

# გენიტივიტი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

2004

9/12

ბავშვები 1924 წლისთვის

**მეორე ტომის ასოციაცია „ენათობის“ ჟურნალი**

დამფუძნებლები:  
საქართველოს მწერალთა კავშირი  
და ჟურნალ „ენათობის“ რედაქცია

**შინაარსი**

ანა კალანდიაძე-80

თამაზ ზილაძე - სინატიფის ძველმეცნიერება.....3

**კომუნია, პროზა,**

თამაზ ერისთავი - ლექსები.....4

გუგუნი ბათიაშვილი - ზანტანი ქმ მორღმხანისა. რომანი.....9

ანდრო ბუაჩიძე - ლექსები.....64

ხემალ მონიავა - მოთხრობები.....67

გიორგი ბიბაჯი - ლექსები.....77

ვეთაან შენგელია - ლექსები.....79

იაკლი აასანაშვილი - მოთხრობები. წინასიტყვაობა ეჭვარ კვიტაიშვილისა.....82

XIX-XX საუკუნეების უკანონო პოეზია - თარგმან რაულ ჩილაჩავამ.....92

**კრიტიკა, კულტივისტიკა**

ვზარ კვიციანი - ცხოვრება და ღვაწლი აკაკი წერეთლისა.....111

მანანა კაკაბაძე - კომედიის კომუნია.....141

ნანა სანაძე - ისტორია უკანონოდ დარჩენილი დაკარგული ძეგლისა და  
უძველეს დარჩენილი დაკარგული ძეგლებისა.....153

როზა დავაძანი - წითელ ფარშაპანგებსა და ოძრუს ჩიტებს შორის.....171

ზაურ კვაციანი - „მეათე მოწვევა“.....179

მინა კობაძე - მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყვარელი“.....183

ვანი ივალიშვილი - მოთხრობების კომუნია უნებურად ენაზე.....187

**მეცნიერება**თეიმურაზ მთიბული - მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ  
ფილოსოფიაში.....194

გიორგი შაყლაშვილი - ...სამ ენაზე ერთი ბრძოლის მხატვარი!.....198

# შინაარსი

(გაგრძელება)



ვერიკი თავაკთქილაძე - კმელი ლიტერატურული მოტივები  
ბრეტონულ ვიკლში .....202

## სარკმელი

იანს ბაღაი - ისლამი: განსხვავებული შეხედულება ადამიანის  
უფლებებზე. თარგმანი მანანა შიქელაძისა .....206

## ხელოვნება

ღავით ანდრიაძე - ზურაბ ნიშარაძის უპრეცედენტო ნიშანსები .....211

## ბიბლიოგრაფია

მაკა ხიხიაძე - ავტობიოგრაფია პროფილში .....217

სილა ქაჩიანიძე - დიდი ალმონა სინას მითის ქართულ ხელნაწერთა  
ახალ კოლექციასში .....221

ქურნალ „მნათობის“ 2004 წლის ნომრების შინაარსი .....229

## მთავარი რედაქტორი

თამაზ ჭილაძე

## მთავარი რედაქტორის მოადგილე

ანდრო ბუაჩიძე

სინატიზის კლავამოსილება

ანა კალანდაძის პოეტურმა სიტყვამ ჩვენი ხალხის სულის წიაღიდან სწორედ მაშინ გამოანათა, როცა გვეგონა, ჩვენი სულიც ისევე გაუხეშებული, დაბრმავებული თუ დაყრუებული იყო, როგორც ჩვენი ცხოვრებისეული სინამდვილესხვათა შორის, დღესაც ნუგეშით აღვიქვამთ მის ლექსებს, ისევე, როგორც მათი პირველი მკითხველები, თუმცა, სხვა რა არის პოეზია, თუ არა ილუზია ღვთაებრივი ნუგეშისა?

მთავარი, რაც ასე გამოარჩევს ანა კალანდაძეს ჩვენი დღევანდელი შესანიშნავი პოეტების გუნდიდან და თავისთავადობას ანიჭებს მას, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ერთი შეხედვით, უმწეო, ადვილად დასამსხვრევი სინატიფის ძლიერამოსილებათა. ასეთ განცდას აღძრავს, მაგალითად, ჩინური ფაიფური, ანდა ძველი ქართული მინანქარი. ჩნდება სიმშვიდის მაგნიტური ველი, გაზაფხულის ხასხასა მდელი, გარშემორტყმული მირაჟებად ქცეული ხილვებითა თუ ჩვენებებით, რომლებიც, შეიძლება იმქვეყნიდანაც კი, ანუ ჩვენი მარადიული სამყოფელიდან გვევლინებიან და ორი ქვეყნის საზღვარზე დგომის, თუ შეიძლება ასე ითქვას - შემაშფოთებელი სიამით გვავსებენ. «ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგავარ, გულო, რისად მეხურები?»

ანა კალანდაძის პოეზია იმდენად ემოციურია, საკვირველი არ იქნება, ეგზალტირებულ ლოცვად რომ წარმოიდგინოს ვინმემ, მითუმეტეს, რომ პოეტი უძველესი ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიციებსაც აგრძელებს. მისი ლექსებიდან ჩვენს დღევანდელობაში გადმოდის საგალობლების იდუმალი მუსიკა, რომელიც არსებითად ამეტყველებული ფიქრია, გულისთქმავა, აღსარებაა საკუთარი სინდისის წინაშე მართოდ დარჩენილი ადამიანისა. ამასთანავე, მისი ლექსები მაღალი ხელოვნების, მაღალი პროფესიონალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი, ამდენად, აქ ეგზალტაცია კი არა, ემოციური ლოგიკაა, თუ გნებავთ, ემოციური წესრიგი, ერთგვარი «ემოციების სპექტრი», სადაც ისეთივე ბუნებრივი კანონზომიერებითაა წარმოდგენილი სიტყვები, როგორც ფერები - ცისარტყელაში.

ერთ მეტად ცნობილ მწერალზე უთქვამთ, იმას კი არ წერდა, რაც ხალხს უნდოდა, არამედ იგივე უნდოდა, რაც ხალხსო. საგულისხმოდ სიტყვებია, მედროვე, პოპულარობის მაძიებელი კალმოსნებისგან ასე რომ ასხვავებს ნამდვილ შემოქმედს. ვფიქრობ, ეს სიტყვები შეიძლებაოდა ამ შემთხვევაშიც გავვემეორებინა...

თამარ მრისთავი

ვინ და რა ხანა ვართ

ეს რა ხანია ამ მიწაზე  
 ყვოცნობით და ვკვდებით -  
 ურღვევ გაღაფნად რომ არტყია  
 კაჟკასის მთები,  
 და ცასთან ახლოს, სადაც კლდეთა  
 მუარი ქანია,  
 რკინის ჰალოზე მიჯაჭვული  
 ამირანია.

ეს რა ხანია ამ მიწაზე  
 ვტირით და ვმღერით,  
 რომ არ გვეღვება გულხარბი და  
 ცბიური შტერი;  
 და მაინც აქ ვართ, ფეხს არ ვიცვლით  
 ეს რა ხანია,

აქ ჩვენი სახლი, ჩვენი ბინა  
 და საუბანა.  
 შენ ხარ აკვანი ჩვენი შვილის  
 და ჩვენი მისხის,  
 შენში ტრიალებს ჩვენი სულიც  
 და ჩვენი სისხლიც;  
 ხარ ჩვენი ცრემლი, ჩვენი ღოცვა,  
 ჩვენი ვეძვი,  
 სიცოცხლეშიც და სიკვდილშიაც  
 გვეიმედები;  
 შენით შევიცნობთ, სამუაროში  
 ვინ და რა ხანა ვართ -  
 შენს სიყვარულზე მიჯაჭვული  
 ამირანი ვართ.

ნეჯარი არიან

ნეტარ არიან, ვინც აკებდა  
 კლარჯეთის ტაძრებს,  
 ჯოკონდას დიმილს ვინც ხატავდა,  
 წურდა ვიტანჯალს,

იმან კი რა თქვას, ვისაც ფრთები  
 დააჭრეს ადრე  
 და ვინც მიწაზე დანარცხებული  
 უღუთოდ იტანჯა!?

ქართული საცყვის წაძარში ჩუმი ხმით  
 თქმული ტექსი ანგელოზის ხატთან

ვინც არ მოუსმენს შენი ღოცვის  
 ღვთაებრივ ბეჭერებს,  
 მიუტყუებელ ცოდას დაიდებს;  
 მეც ვარ მლოცველი და ბედით შენებრ  
 იდუმალ ხმათა მოყურადი.

გხას მიეუწევი მე მწირის არგნით,  
 იმედის ვარსკვლავს მიედე დაძვინი...  
 შემინდე, თუკი ხმა-იდუმალს  
 ისე ვერ ვთარგმნი,  
 როგორც ჩამქმბის.


აქროლების ქარი

ვინ დაიურევს უჩინრად მარბე  
 დროის ბედაურს, ლაგამის მკვნიტავს...  
 როგორ ღამაზად ამოდის მთვარე,  
 და ის ღრუბელი როგორ გაუს კნტავრს!

ღრუბელი ახლა მტრწავეს სერაფიმს,  
 ღვთიურ სამოთხის კარებს რომ კნტავს...  
 ვერ დაბოკებს მის ეინს ვერაფრით  
 და ვერც ქარს აქვე მარილის სვეტად.

გადაიქროლავს ზედაზე ქარი,  
 ღრუბლის ქანდაკებს ამქრევს და ხვეტავს-  
 ასე აღწევდა სხივები მთვარის  
 ალბათ უძველეს მიკენს და კრეტას.

იქროლავს ქარი და ვიცი, ღრუბელს  
 შევეტოქება უფროვე მეტად,  
 მაგრამ არ ვიცი, ამდენ ვარსკვლავში  
 ის ერთი მაინც რატომ ჩანს კნტად-



ბლადიოლუსია

მიზიდავს სვეთო, უადოქარი  
თვალთა მონუსხვის -  
ღარნაკში მდგარი მწვანე ელორტი  
ბლადიოლუსის.

ის ნაწ ვეავილებს ისე ისხამს  
მაღალ ღეროზე,  
თითქოს სიცოცხლის სადიდებულ  
პანტებს მღეროდეს;

მაგრამ დრო ურჩის სიღამაზეს  
ნორჩს და საყვარულს,  
და შლის უხეშად მის ხატებას,  
ამღერვებს აკვარელს;

შემოატყენება ელორტს ქვევიდან  
ვეავილთა წიქება,  
ჩაქრება ფერთა სივლევარე,  
სიმღერა წყდება;

და რომ იფიქრებ - დასდო უკვე  
სიკვდილთან ზავი,  
უცნაოდ გაშლის კენწეროზე  
მიძალულ ვეავილს.

და ხედავ, ეული ისევ გზნებით  
რომ მოიღერა  
და აღუვლინა დამბადებულს  
ბოლო სიმღერა.

ო, არ იქნება? მაგ უადოთი  
ისე მომნუსხო,  
რომ შენი ვნება მეც გადმომდო  
ვლადიოლუსო!

სიკვდილთან ზავის დასადებად  
რომ არ აუჩქარდე,  
შენებრ ვიცოცხლო მეც ვეავილის  
ბოლო გამლამდე...

ბავშვური ხსოვნაში ჩანეტვლია

ჩვენი სოფლიდან იწყებოდა ვხეები განგამის,  
უსამველო სიკრძის და ზომის,  
და მიდიოდნენ დარჩეული, უჩინი ბიჭები  
„დასაკარგავში“, -  
დრო იყო ომის.

სულ გაიკრიფნენ მომავალი სიმე-მაყრები,  
და სიმღერები აღბათ გულის კუნჭულში მირჩათ,  
ნია მამალი დადიოდა ეზოში ვინჩად,  
მთვარეს უეფდნენ ღამით ძაღლები.

და ორლობში, ისე როგორც სიკვდილის ელჩი,  
ნაცნობი სიტყვა ჩაივლიდა დროდადრო - „ქერნი“ -  
შეაგებებდნენ მას ქაღები გაშეივან კივილს,  
და მოხუცები მჯილს იცემდნენ ძაღუმად მკერდში.

ჩვენ დიდ ღელესთან, დობილოში, გროვდებოდნენ  
დარდიანი სოფლის ცხენები -  
დარჩენილები უმხედრებოდ -  
და მოვდნენ ბალახს...

კვეპარკებოდა მათ შემეურე ბაღლებს ხალისი,  
მავრამ როდესაც ნადრევი დეკემბრის თოვლი  
დაფარავდა წუმშეს და ტალახს,  
რა ხდებოდა ჩვენს თავს, არ ვიცი -  
ჩამოუვლიდა ზამთრის ვნება გულებს ვიცივით,  
გამოვკრეკავდა კარში უვულას ანცი უივინით,  
იყო ღაღობა, ვრიაძული, სროლა გუნდების,  
აღარ ვეახსოვდა მამის სიტყვა „არდაბრუნდებით“.

მავრამ ცხენები, ის ცხენები, სმელი შურვებით,  
თოვლის თუთრი თოქალთოებით,  
იდგენ უძრავად, უსმაროდ, როგორც მკვლები  
უძადური, მკაცრი დროების,  
და ისე მშვიდად ელოდნენ სიკვდილს,  
თითქოს ზეციურ ანგელოზებს აბარებდნენ  
სულებს განწმენდილს...

და იმათ ღეშს კი, მათ ფეხებთან მოდარაჯე,  
სულის წამწეუდი

სოფლის ძაღლები

ბასრი კბილებით ფატრავდნენ მესვე

და ერთმანეთთან ეუფა-ღრენით,

იმ სიბასრითვე,

ძვლებზე მიკრულ მწლე სორცს აცლიდნენ.

და მერე, შოცა ქვენა ქარი, ვინების სუსხით განააუბი

გადაუვლიდა ტრიალ ველებს მძლეუარის რინით,

ღობის სარებსე დაგებული ცხენის თავები

გამოსცემდნენ ტრაგიკულ ჭისვინს,

და შიმშილისგან გონისწამლები შემწწუნებით

ეუფდნენ ძაღლები.

საით წავიდნენ ეაქვაცები სასემზიანი,

დაცარიულდა ჩვენი უბანი,

აღარც სიმღერა ორღობეში მგ ზაურის გვიანის,

არც მხიარული, ჭრელა-ჭრულა კაბა-ჯუბანი;


ჩვენი სოფლიდან იწებოდა გზები განკამის,

უსამეულო სიერძის და ზომის,

და მიდიოდნენ დარჩეული, უონი ბიჭები

„დახაკარგავში“,

დრო იყო ოძის.



მაგონდება ზაფხულის დღე ამერიეთში,  
ბავშვობა და გარსახედველი ჩვენი ეზოდან

საქართველო  
საბჭოეთში

კვირიობის თვის მწარე ხეატია,  
კაუკასიონი ჰორიზონტზე აღარ ხატია -  
ნრდილოეთისკენ უანღია მუარი  
და აქ კი - მშვემი მოღაპლაპე სიძინდის ენა;  
იმ სოფლებს ქვია ამაღლება და ზეინდარი  
ქვევით რომ ჩანან,  
იმ შთას - კერცხეთა  
(შთა ეთქმის მახან,  
კაუკასიონს როცა ვერ ხედავ);  
ცამეტი წლის ხარ  
და ოცნებით დაფრენ მერცხლებთან,  
ურს უკლებ ათას ჭრიჭინას ჭრიჭინს...  
იქ, ორღობეში მიიმღერის მესობლის ბიჭი,  
და ეს ჭრიჭინი და სიმღერა  
ირუკლივ გარტეია;  
აქვე, დიდი მსხლის ფულურთში  
სკეინნას ბარტეია,  
ჭელოპინობს ისიც და აქვს ვრთი  
გაწამაწია;  
ხეს კატა უკლის თვალბოროტად  
და მაკუარანსნად,  
პოდა, შენც მიხვალ ჯოხით ხელში,  
ღანსკეილეგ - აცხა“-ს  
და ამეზობაზევ გადაარხენ  
სკეინნას პაწიას.  
მერე დაზურავ მწიფე ლეღვებს,  
მშვემი რომ თაფლობს,  
ახვალ ხეზე და...  
გადახედავ კოლხეთის დაბლობს.  
ხის კუნწუროდან თვალმეღვლებით  
ხულ სხვა სიბღი აქვს  
ვახის პწკარებად ჩარიეპულ  
მღესის ბიბღიას;  
ჯვარცმულის ხისხლი უდგათ ტანში  
ვასებს ჯიმიანს,  
მათ მაცხოვარი ეცხადებათ  
აღბათ, ძიღმიაც...  
იქ კი, რიონის მოსახვეუთან,  
საღაც ქვეშია,  
გამთეხიანას, ცას რომ ფერი  
გადაკრავს ვარდის,  
ცვრიან ბაღასსე ფეხშიმველი  
ღმერთკაცი დადის;  
და მერე მოჩანს თეთრ ღრუბლებში  
მობორიალე  
ანკულონის ფორიანი ღანდი.

## ბავშვობაში დანრუნება

ჩემ ძმას, ვლიზბარს

წამო ელიზბარ, ჩვენს იმერეთს  
 ჩამოუქროლოთ,  
 იქ დავერჩა ესო უწინილოდ  
 და ცა - უქოროდ.

მევაღოთ ფრთხილად მორეული  
 ძველი ჭიშკარი,  
 და მოგვეჩვენოს, რაც იქ იყო,  
 ახლაც იქ არი.

მივუაღერსოთ ბაბუს ხელით  
 ნახსლავ ტალავერს,  
 იმ ურმნის კუშპლებს, დაკუბებულ  
 მხეს რომ მაღავეს,  
 და იმ ბებური მუხის აზრდილს,  
 ტოტებმობელიდს,  
 მამა-პაპათა ხასოებით  
 იქ რომ მოგველის;

ვევლაფერს, რაც დრომ მიივიწეა  
 თვალის მიღუღვით  
 და მარტო ჩვენთვის, მარტო ჩვენთვის  
 დარჩა ხილული -

როგორც ბავშვობის ცრემლნარევი  
 დღესასწაული,  
 დროდადრო მიწას შუქ-ჩრდილივით  
 რომ გადაუვლის.

შევიძლიაფოთ ძმაო ტანზე  
 წლების ბეკთარი  
 და ფიქრები ჩვენი, შემკრთალი,  
 ბავშვურ ეინით გავიხადისოთ,  
 და ოცნების კოშკი ვაშენოთ  
 უქვითვიროდ და უაღიზოდ.

შემოვუაროთ ესოს ნაშლეკს  
 „პაუ-პაუ“-თი,

და ნუ ვიკითხავთ ვის რამდენი  
 ქორი დაუდის;  
 თვალი მოვალლოთ რიონის და  
 ხვამლის ქურებით,  
 დავაფრთხოთ ლელვსე შესეული  
 მოღალურებით;

ვეღარ მოვზომოთ ვერც ეყინა,  
 ვერც სინარული,  
 ცნესლი დაუნთოთ, კუდიანებს  
 ვუთხრათ „არული“.

და ვიხსდეთ მერე განაბული  
 ცისქვეშ ცისკრამდი,  
 სანამდე სკვინჩა გამოჩნდება  
 „ოქროს ნისკარტით“  
 და ხაოცნებო „კაი ამბავს“  
 ფრენით მოიტანს;  
 ის სიუვარული, რომ მოგვეყვება  
 ჩვენ იმ დროიდან,  
 გავუნაწილოთ ნიაუს, ფოთოლს,  
 ესოს კოინდარს;

და გავაცოცხლოთ, ვინც იქ დარჩა  
 წმინდა ლანდებად,  
 ვისი მაღლითაც ჩვენთვის დღესაც  
 თენდება-ღამდება;

მათი ხსენებით დროის ვეალო  
 გავახავერდოთ,  
 და რომ გადამოგვეცნს მოძაულისთვის  
 საალავერდოდ,  
 ის ღვინო შევსვათ  
 ისევ იმ ჭიქით;  
 კოპიტის შირში წავისაუსმოთ  
 ჭადით, ყველით და...  
 ჩიტის ჭიჭიკით.

## ზანძანი ქმ მორღესანისა

### რომანი

#### ცხენთა შეჯიბრებაზე

ბაჩევა ცხენთა შეჯიბრებაზე არასოდეს ყოფილა. რომ არა თინათის დაქინება, ცხადია, არც დღეს წაივლიდა – თინათიმ არ მოასვენა: წამოიღი, დიდებულნი, საქართველოს უკეთესი შეიღინი იქ იყრიან თავს, უსათუოდ უნდა მიიყვანოსო. მთავარი მერე თქვა, იქ უშუს გაგაყენონო, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა იცნობდე საქართველოს ღირსეულ შეიღებსაო. თინათის დაქინება რომ დაეცხრო, ბაჩევამ უხალისოდ მიუგო: ვინძლო, მოვიდეო.

უშუ სამეფო დარბაზის წვეროს, ფრიად დიდებულის, საურმაგის ერთადერთი ვაჟი გახლდათ. თინათი გამუდმებებით უშუს ახსენებდა: „უშუმ ვერე თქვა.“ „უშუმ მოიწყინა“ „უშუს კონსტანტინეპოლში ისეთი მოძღვარნი ჰყავდა, ჩვენში არცკი გაუგიათ.“ ერთხელ კი ოცნებაში წასულმა, თვალეზმელულულმა ბაჩევას გაანდო: „უშუს რომ გულში რაიმე არ ელოს, ვერე ცისკარივით ხომ არ გამოიღებდა?“ ისიც დასძინა თინათიმ: „რომ იყოღე, როგორი დიმილი აქეს – გულისკარს გაგეხსნის და შიგ ჩაგისახლდებაო.“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამეფოს გული – გფილისი არც ისე დიდი ქალაქი გახლდათ, ბაჩევა უშუს არასოდეს შეხვედრია, თვალცი კი არ მოუკრავს მისთვის, მაგრამ თინათიმ იმღენი რამ უამბო, ასე ეცონა, დანახვისთანავე ვიწრობო.

ცნობისმოყვარეობამ სძლია, თუ თინათის დაქინებამ, ბაჩევა უხალისოდ, მაგრამ მაინც მივიდა და ორივენი შტკერის გაყოლებამუ გადაშლილი დიდი ველისაკენ გაემურნენ. ყოველი ადღგომის წინა კვირას ცხენთა ასპარეზობა აქ იმართებოდა ხოლმე. თინათის ძლიერ

უხაროდა ბაჩევასთან ერთად რომ მიდიოდა ცხენთა შეჯიბრებაზე – სულ კისკისებდა: მისი ხმაშალაღი, ყურადღებისმიძქევეი, გამომწვევეი სიცილი ახლადშეუფოთილ ბუქებს ღამის არხვედა – დარწმუნებული იყო უშუთი ბაჩევას გააკვირვებდა და ეს ახალისებდა.

ებრაელთაგან დოდის სანახავად პაგარა ბიჭები თუ გაიქეკოდნენ – რვა-ათი წლისა – მერე დოდზე დასწრების სურვილი არავის უწნდებოდა: გართობანი ქართველთა საქმეა, ებრაელებს კი იქ არაფერი ესაქმებათო. მაინცდათ, რომ ებრაელებს ყველაზე მეტი საზრუნავი აქვთ. ალბათ, არც თუ უსაფუძელოდ ყველა ებრაელი ადათის, ჩვეულების შეღმწეებით შესგად შესრულება და ოჯახის მოვლა-დაპურება დიდ დროსა და ჯაფას თხოულობდა.

ბაჩევას ოჯახი კი ძლიერ განსხვავებულბოდა სხვა ებრაელთა ოჯახებისაგან: ერთობ ღირსეული კაცის შეიღი იყო, ისეთი ოჯახში გაიზარდა, ბელს ისე ჰყავდა განევიერებული, რომ არა-რა საზრუნავი არ აწუხებდა. მთავარი სურვილი იყო, მთავარი იყო რაიმე მოსურვებოდა. ხელი რას ან რაგომ უნდა შეეშალა? დიდებულები, რომლებიც მეფის კარზე გრიადებდნენ, ამათეიმ ასპარეზობას, დარბაზობებს ამშვენებდნენ, ბაჩევას ოჯახის სკუმრებიც იყვნენ – მათი მდიდრულად მოკაშმული ცხენები ბაჩევას სახლის წინ არაერთხელ შემდგარან. ისინი ბაჩევას შამას – მანქანს სკუმრობდნენ ხოლმე. დიდებულები აუქჩარებლად გადმოვიდოდნენ ცხენებიდან, სადავეებს მსახურთ მიუვლებდნენ და საკუთარი ღირსების ხაშგასმით – თავადერიღინი, ამაყად მომშირადნი შემოდდიოდნენ ეშოში. მოურავი შელო – ფეხაკრეფით შედიოდა მანქანთან, სმადაბლა, აუქჩარებლად მოახსენებდა: „გამ-



ჩენის ნებით, თავადი გიორგი მობრძანდა, ღმერთმა სასიკეთო ქნას მისი სკუმრობა“ ან „გამშენის სურვილით, დარბაზის წვერმა ივანემ ჩვენთან მობრძანება მიიწინა საჭიროდ, ღმერთმა სასიკეთო ქნას მისი სკუმრობა“. მანქანიც მშვიდად, აუქტარებლად მიუგება: „მიუგებუ, პატივით მიიღე“ თავად კი განიერი კიბის თავში დადგებოდა, უფროს შეიღს – მორდების გვერდში ამოიყენებდა და სკუმარს იქ ელოდა. ვინ, რომელი დიდებული არ მობრძანებულა ამ ოჯახში და ბაჩევას არ ახსოვს მამა კიბის თავს ჩამოსცილებოდა. ერთხელ ლენით და თურქსელრუკებთან ბრძოლისას გამარჯვებით გათამამებულ რომელიღაც თავადს შეუძახნია: „ეს რასა ჰგავ, აშხელა კაცი გესკუმრე, მანქან, შენ კი კიბის თავიდან გაღმომქერ, ქვევით ჩამოსვლას არ ნებულობ.“ მანქანს სკუმრისთვის მდაბლად დაუკრავს თავი და აუქტარებლად უპასუხნია:

– მაგის უფლებას მეფისადმი რიდი და კრძალვა მაძლევს აქედანა და ჰქმირამდე მანძილი იმას ეუკთვნის. შენ რომ მანდ შეგეგებო, საქართველოს მეფეს სადაა მოუყარო მუხლი?! ვინძლო, ერთ მზიან დღეს ღმერთმა ღირსმყოფს და საქართველოს მეფე შესკუმროს.

მანქანისა და სკუმრის საუბარი, ზოგჯერ პურობა, კონსტანტინეპოლის ყაიდაზე მორთულ დარბაზში იმართებოდა, ან ეზოში, დიდი მუხის ქვეშ. თუ მანქანი სკუმართან ბაასს აქ მოისურვებდა, შელოს ეგყოდა, დღეს მუხის ქვეშ ჯდომას არაფერი სჯობსო. შელოც თავს დაუკრავდა და ეზოში ჯერ ჰილოფებს და ბალიშებს გამოარბენინებდნენ, მერე გაბლასა და ხმელ ხილს, მანქანი და მისი სკუმარი კიბეზე მერე დაემუბონდნენ. აუქტარებლად, ღინჯი ბაასით მოდიოდნენ.

დიდი მუხის ქვეშ ჯდომას იშვიათად ინებებდა მანქანი: თუ სკუმარი ერთობ ღირსეული იყო, კონსტანტინეპოლურად მოწყობილ დარბაზში ღებულობდა, ნაკლები ღირსებით შემკულ დიდებულს საშუაო, ხალხიებიან ოთახში ესაუბრებოდა. უღირსი, უწინშენელო

ადამიანი მანქანთან ვერ მოვიდოდა. სხვათაგან გამბედაობა კიდე გასჩენოდა, უმრს მადლად ყოვს ვერ გამოსცდებოდა.

მანქანის სასახლეს არა მარტო ყორე, კელღებიც იმოღენა ჰქონდა, ოთახებში სიცივე ვერ აგანდა. ზაფხულობით კი სიგრილე იღვა. თუმცადა, ოჯახი ზაფხულს იშვიათად აგარებდა გფილსში – მბუყოთიდან\* მოყოლებული შუა სელისოთამდე\* შთაში, გუდამაყრის ხეობაში, შავი არაგვისპირა სახლში იყვნენ. ბაჩევას შიველი ზაფხული შავი არაგვის დგაფუნა ჩაქსმოდა ყურებში, შესექეროდა დიდ ლოდებზე როგორ ხგოდა მდინარე. არაგვისპირა სახელი ფეთხანისას არ ჰგავდა – სამივე მხარეს განიერი ოვალური აივანი ჩასდევდა.

არაგვი სწორედ ამ აივნის ქვეშ ხგოდა, დგაფუნობდა. მანქანს ამ აივანზე უყვარდა სკუმრის მიღება. აქ უმეტესად ებრაელები სკუმრობდნენ, ისინი არაგვის იქეთა ნაპირზე, ბუქობზე ცხოვრობდნენ. ამბობდნენ, ეს სახლი სწორედ იმ მიდამოებში დგას, რომელშიც ერთ დროს სპერის მღვით საქართველოში მოსულ ებრაელები შთამომავლები დასახლდნენო. საქართველოს იმდროინდელი დედაქალაქის – მცხეთის შემოგარენიდან აქ დიდძალი ებრაელობა ამოსულა.

ბაჩევას არ ახსოვს მამას სიმღერა წამოეწყოს – ხმადაბლა, თავაზითა და შთამატონებლად საუბრობდა. ღვინო იშვიათად ერეოდა – იმდენს არც სვამდა, ღვინოს დაუჯაბნა. სკუმრების სიმღერები კი ხშირად ესმოდა – გატაცებით მღეროდნენ. გარინდებული მანქანის სახებე ამ დროს ნეგარება იკითხებოდა – ძლიერ უყვარდა ქართული სიმღერები და მათი მოსმენა ნამდვილ სიამეს ჰგვრიდა.

თინათი ცხენიდან მარლად გაღმობგა, მშვილობით მოვედითო და პირჯარი გადაიწერა, სადავე კი მსახურს მიუვლო. ბაჩევაც მისივე გაღმობგა ცხენიდან. სადავე მსახურს მიაწოდა და გაუღიმა.

ბაჩევა ადამიანების სიმრავლემ გააოცა – ცხენთა შეკებრებაზე მღვა ხალხი მოსულიყო.

\* მბუყოთი – სინას მთის ძირას თორის მიღების აღსანიშნავი დღესასწაული. იმართება მთის ბოლოს, ივნისის დამდეგს.

\* სელისოთი – ებრაული ახალი წლის დადგომამდე ორმოცი დღის განმავლობაში გარითავის ლოცვა.



ბაჩევამ ჯერაც არ იყოლა როგორ საქართველოში მოუწია ცხოვრება, ჯერ მხოლოდ შენივდმეტე წელიწადში იდგა და არ იყოლა, რომ საქართველოში ყოველთვის ასე არ იყო – ადამიანებს ასე არ უყვარდათ ერთმანეთი, ხოლო როცა ადამიანებს ერთმანეთი არ უყვართ, მგერსაჲ დაჯაბნილი ჰყავს და სიღუბენურსაჲ.

ესენითა შეჯიბრება, ცხადია, საამო საცქერი იყო, მაგრამ უფრო საამო ის იყო, რომ ადამიანებს ერთმანეთთან შეხედრა, ბაასი ახარებდათ. მგერსაჲ ველი პირთაჲდგე გაგვე ბულიყო, ხმაური, აურზაური მაინც არ იდგა. ადამიანები მშვიდად მიმოდიოდნენ, ერთმანეთის თავებიანად უკრავდნენ თავს, თან ხელს ისე მიიღებდნენ შეკრდზე, ზედ გულთან, ამკობრა იყო, რომ ერთმანეთისაღმა მოწიწებას გამოხატავდნენ. ბაჩევას ათასგზის ენახა ქართველთა ასეთი მისაღმება – ერთმანეთისაღმა ხამგასმული პაგივისციემის ასეთი გამოხატვა, მაგრამ დღევანდელი დღე მაინც განსხვავებული იყო: პირველად ხელაღდა ერთად შეყრილ ამოდენა ხალხს, პირველად ჩაესმოდა ყურში ამდენი მშვიდად, თავმჯკავებულად წარმოთქმული „საღამო და გამარჯვება, ბაგონო ჩემო!“ „გამარჯვება ნუ მოგიშალოს ღმერთმა!“ „გამარჯვება, თავადო!“, „დიდება, მენდა, ღმერთო, რახან ვიხილე, თავადო!“. უფრო ხშირად და ხმაჲაღლა ქალთა თავისუფალი, ლაღი კისკისი იხმოდა – მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო გახტმე ქალი დაჯდა, მას შემდეგ, რაც მეფედ ქალი აკურთხეს, თავმყრის ადგ უღებო ქალთა კისკისმა იმატა. ქალების მგერას, ხმას სითბოჲ მეტი დავტყო და სიღბოჲ. ბაჩევას ასეთი რამ ბიშანგაჲმეჲ კი არ ენახა. შარშან მამამ მოელი შემოდგომა-შამთარი ასტუმრა კონსტანტინეპოლს – აქ მორღებანი ვარსულაჲთიშრიცხეულობას სწავლობდა – რა დიდებულ ოჯახებში იყენენ წვეულნი, რამდენ ადამიანს შეხედნენ. მორღებანიმ სპარტაკაჲლის დაწყბასჲე კი აწვიდა, მაგრამ ქალთა ასეთი კისკისი იქაც არ სმენია. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ საქართველოს გახტის მეუფე ქალის ძალა და

ღირსება ყოველ ქალში გადაწვილდა. ესენი ქართველი ქალები, ისევე ღირსეულნი იყვნენ და მეგობრულად მომდიმარნი იდგნენ, როგორც თავად მეფე დადგებოდა. ბაჩევამ მეფეს კი ამ რამდენიმე თვის წინათ, მხოლოდ ერთხელ მოკრა თვალი – მეფედ კურთხევის დიდ დარბაზობაჲზე. ამ დარბაზობაჲზე შანქანის მოელი ოჯახი იყო მიწვეული. ეს ამბავი მანამ იყო, სანამ მორღებანი სასწაულებლად კონსტანტინეპოლს გაემგზავრებოდა, დარბაზობაჲზე მორღებანიჲ კი იყო.

შანქანი და იოხაბელი მეფეს ეხსენენ ისე, როგორც სხვა დიდებულნი. – კურთხევა მიულოყეს. ბაჩევა და მორღებანი მომორებათ იდგნენ, მაგრამ კარგად ხელაღდნენ მეფეს.

თამარი მეფედ კურთხევის დღეს ფიქრობილი უფრო იყო, ვიდრე გახარებული. მასთან მისალოყად მისულ ადამიანებს თითქოს სულის სიღრმეში სჭერეგდა. ალბათ, ამიტომ თქვა იმ დამეს სახლში მობრუნებულმა შანქანმა: „ქალი ბრძანდება ჩვენი მეფე, მაგრამ გამწენმა კაცის გონება მისცა.“ ბაჩევა ყურადღებით შესცქეროდა შეჯიბრებაზე მოსულ ქალებს, აკვირდებოდა მათს მოძრაობას, იმას, თუ როგორ ბაახობდნენ და კვლავ მამის ნათქვამი ახსენდებოდა. ამასწინათ შანქანი იოხაბელს ეუბნებოდა: „თუ შეაწინი, რაც ჩვენს მეფედ ქალი დაჯდა, როგორ შეიცივალნენ ქართველი ქალები?“ „არა, ბაგონო, არსად მიხახავს“ მიუგო იოხაბელმა ქმარს. „თუ კარგად დაკვირდები, დინახავ ქართველი ქალები, ახალგაზრდები, გაუთხოვარნიჲ კი, ამაყნი და მგერით გამწხრეკნი გახსენენ.“

თითქოს მამის ნათქვამს ამოწმებოდა, ბაჩევამ თინათის გადახედა. თინათი ველარე გრძობდა ბაჩევას აქ ყოფნას. ვიდაცას გაუცილებული დაემტებდა. ბაჩევას დაჲინებულმა მგერამ მაინც მოახედა, ჯერ გაუღიმა, მერე კი ნადვლიანად თქვა:

– ნეგა, საღ არის? რაგომ არა ჩანს?

ბაჩევამ პასუხი არ გასცა. მას ახლა ადამიანების ცქერა უფრო იმიდაედა, ვიდრე იმის გარკვევა, თუ რაგომ არ მოვიდა უშუ. კარგა ხანს შესცქეროდა მოსეირნე ადამიანებს.

რამდენიმე ნაცრობ, მამასთან დამეგობრებულ დიდებულსაც კი მოჰკრა თვალი. ხოლო განმალღმა, თავმოწონედ მომავალმა, გამხმარი თუთუნისფერი ქსოვილის ქედანმა აბულასანმა — ქართლის ამირამ, გვილისის გამგებულმა და სამეფო დარბაზის წევრმა, ცოლშვილით რომ ჩაიარა, ბაჩევას თბილად გაუღიმა და გმა განავრძო. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, აბულასანი თანამეცხედრეს მიუბრუნდა:

— ხომ იყო, ხომ გახსოვს რომელია ვგ მანქანი! აბულასანის მეუღლემ, მკერდსავსე და ცისფრთვალეა ქალმა, თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და ღიმილით თქვა:

— ასე ვგონებ, არცა სტყუოდა!

წინა კვირას მთელი ქალაქი მანქან ზორაბაბულზე ლაპარაკობდა. დედაქალაქში ერთი ისეთი ამბავი მოხდა, იყო კიდევ სალაპარაკო: კვირას, ნამუდღევს ნანაკერგელიანთ დიდი წვეულება ჰქონდათ, დღეიდან იუდეველნი აღარა ვართ, იუდეველობაზე საქვეყნოდ ვამბობთ უარს, წელს ადღგომას ჭეშმარიტ ქრისტიანებად ვვგებებით და ამასთან დაკავშირებით პურობას ვმართავთო.

უკვე კარგა ხანი იყო იუდეველს ქრისტებს რწმენა არ მიეღო, აღარც კი ახსოვდათ ის დრო, იუდეველმა როდის გამოიყვალა რჯული.

მანქანს პურობაზე მიწვევა რომ მიუღია, ბევრი უყენია და საქვეყნოდ გამოუცხადებია:

— კოჭლი იუდეველი გულმართალი ქრისტიანი ვერაფრით ვერ იქნება! უნანაკერგლობას იუდეველნი არ დაიგირებენ, ღმერთმა ქნას, ვგ ოჯახი ხვალ მამგდვიანთ არ მიუერთდნენ!

ვგრე რადაო, ქრისტებს რჯულზე მოქცევა, ღიმილისმოშვერული რად არისო, უკითხავს თურმე ვიღაცას — მანქანის ღიმილით განაწყენებულს — რაზეც საურმაგს, დიდ თავდასა და სამეფო დარბაზის წევრს, უთქვამს:

— სწორად უბნობს მანქანი — წაღმა-უკულმა მადომარენი რჯულის ძალას აკლებენ.

ბაჩევა მარგოთბამ რომ მოქაქნა, სწორედ მაშინ იგრძნო ვიღაცის დაქინებული მწერა. ეს მწერა იმდენად ძლიერი იყო, თითქოს

გამოფხილდა, ძალა მოიკრია, წინააღმდეგობის მისთვის დღემდე უცნობი, გრძელმიტი დაეუღლა — წინააღმდეგობა კმის უყო, რომ ასე ჯიუტად მომხირალს ზურგი აქცია.

მანქანის ასული თავდახრილი იდგა, მიწას დასექვროდა და ბრამბოდა, ასე დაქინებით ვინ და რაგომ მომხირებიაო.

თავს თითქოს ჯიბრზე არ სწევდა, არ უნდოდა ასე ჯიუტად მომხირალისათვის სახე დაენახებინა. მერე გაიფიქრა, რახან ასე ჯიუტად მომხირებია, ერთი თავხელი ვინმე უნდა იყოს, მე კი სახეს ბალღივით ვუმაღავ, თითქოს დედიკოს ვებუკებოდეთ და ბრამბორეულმა ასწია თავი. ეწადა მშერით დაეგუქსა ის ჯიუტი მოთვალთვალე, მშერით ეთქვა: აბეზარი რომ ხარ, ამას აიგანდა აღამიანი, ქვეყნად შენნაირ აბეზართ რა გამოლევს, დიდი თავხელიც ყოფილხარო.

ბაჩევა მთვალთვალეს კუმტი მწერა შეაუღო თუ არა, სწითლე მოერია, თავი უმაღდახარა. თვალები მოხუჭა, სული მოითქვა და ასე მოეჩვენა, მოთვალთვალე ბიჭს კი არა, გამაფხულს შეაუღო თვალი. ის ბიჭი გამაფხულს ჰგავდა: წვერ-ულვამი, ხორბლისფერი სახე, ცისფერი თვალები, განსაკუთრებით კი ღიმილი, გამაფხულს ამგავსებდა. სიბრამგმაც უმაღ გაუარა, გაუღიმა კიდევ.

იმ ბიჭს გაუღიმა? არა, იმას, რაც დაინახა — გამაფხულს. იმდენად მომხიბლავი სურათი იყო — აპრილის მოწმენდილ, ლურჯი ცის ფონზე ეს უცნობი მომღმირი ბიჭი... თავს ვერ სძლია — ამ სურათს კუმტად ვერაფერს შეხედავდა. ამ სურათის შემხედვარეს შუბლი უნდა გატეხსნა.

გახსნა კიდევ — გაიღიმა.

სწორედ ამ დროს შემოჰკრეს მარს. შეჯიბრება იწყებოდა. იმ ბიჭმა ცხენს აღვირში წაავლო ხელი, ბაჩევას კიდევ ერთხელ გაუღიმა და წაივიდა. ათიოდ ნაბიჯი არ ექნებოდა გაუღილი, რომ მობრუნდა, ბაჩევას ახლო შეგობარევივით დაუქნია ხელი და იქით გაემართა, სადაც შეჯიბრების დიდი აღამი იყო აღმართული.

დოღმა მიწა გაახურა — ცხენები ისეთი

ძალმოსილებით გარბოდნენ, გეგონებოდით, იქ, სადაც მიიღებენ, მხედრებს აღიარება კი არა, უკვდავების მიზნიჭებული სიგელი ელთით... მხედრები ყიფინას სცემდნენ, მაყურებელი — კიდევ უფრო მკვდა, ისეთი ხმაური დაღვა, აღამიანს თაებრუ დახვევოდა. მკკერისპირა ველზე ამ ხმაურით, ყიფინით, უხამსი შეძახილებითაც კი, თუ შეიგყობდი, რომ სულ რამდენიმე ათეული წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში იმშაელნი მეუფებდნენ. ჯირითის მაცქერალნი უდაბნოთა ყიფინას სცემდნენ, იმას კი არ უწყოდნენ, რომ ამით ცხენებს აფრთხობდნენ, არც იმას რომ იმშაელნი ქვეყნიდან გაეუგებინათ, სულიდან კი — ვერა. ამგვარი არაქართული ყიფინით აღასკურებდნენ, რომ იმშაელნი სულში შემორჩენილად.

ბაჩევა დაეინებით შესცქეროდა დოღს, მაგრამ ვერა-რას ხედავდა — მისი ფიქრი სულ სხვაგან ქროდა. თვალწინ ის დიმილი ედგა, იმ ყმაწვილს დაეძებდა, ვერსად მოპკრა თვალი.

მერე იმ ბიჭის ხილვის იმედი სულაც დაპკარგა. ამან კიდევ უფრო ატკინა გული. შემჯობრისაღმი ინტერესი ისედაც არ ქქონდა, ახლა სულაც უგუნებოდ, უგულოდ იჯდა წიფლის ხისგან ახლად გაჩორკნილ ფიცარზე. თინათის სიგყვეცი ვერ გააყნობიერა. ესმოდა, როგორ არ ესმოდა თინათის ნათქვამი: „აგე, უშუე მოვიდა, აგე, უშუე“ კარგად ესმოდა, მაგრამ სიგყვეს გონება ვერ აყნობიერებდა. ბაჩევას დაბნეულობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის გაბაზუხული, ის დიმილი ისევ მოეუღინა — აგერ, მის წინ იდგა და ისევე იდმიოდა, როგორც ამ რამდენიმე წუთის წინათ.

უშუ ძე საურმაგ სულკალმახის ძისა იმ ქართველ ახალგაზრდათაგანი იყო, საქართველოს უკანასკნელი წლების გამარჯვებები გონიერულად რომ გამოიყენეს. თურქ — სელჩუკებზე გამარჯვებას, საქართველოს გერეგორიიდან მათს საბოლოო განდევნას, ბევრი სიკეთე მოპყა. ერთი ამათგანი ის იყო, რომ ქართველი ჭაბუკები კვლავ ბიზანტიას მიეგანნენ — ზოგი ბიზანტიის ეკლესია-მო-

ნასკრებში ქართველ ბერ-მონაზონთა კვალს მისდევდა, ზოგი ვარსკვლავთმრიხველნი ასტრონომით დაუდგნენ შეგირდებად, ზოგი კიდევ მჭერმეცყველი. მათგან სწავლა იქციეს მთავარ საქმედ. უშუმ ფილოსოფოსთაგან სწავლა ირჩია. ერისთავი საურმაგი გამგავერების წინ სულ სხვა რამეს სთხოვდა, მაგრამ უშუ მაინც ამათ უსმენდა — ისე კარგად ხსნიდნენ სამყაროს წარმომავლობას, ბიზანტიისა, თუ სხვა ქვეყნების უკეთეს შეილთა ამრის მისნობას, უშუს სხვა რამ არც იმიდავდა.

სამი წელი ვაგატარა კონსტანტინეპოლს და რომ არა ყმაწვილი მეფე თამარი — მას სწორედ უშუსნაირი ახალგაზრდები სჭიროდა — დღესაც იქ იქნებოდა. ორიოდ თვის წინ დაბრუნდა თბილისში. „თუ თქვენ, ძმანო ჩემნო, დაუბრუნლებით სამშობლოს, იგი კიდევ ერთ ნაბიჯს წარსდგამს წინ“, — უთხრა მეფემ პირველსავე შეხვედრაზე უშუს და მის მეგობრებს.

დღეს კი უშუ უგუნებოდ იყო: ამ ორიოდ კვირის წინათ ბიზანტიიდან კიდევ ერთი ჭაბუკი, სწორედ კონსტანტინეპოლში დამეგობრებული აბესალომ ძე იორამისა ჩამოვიდა. იგი თავის მიწა — მამულს — ბაზალეთის დაუბრუნდა, მაგრამ მალე ქალაქისაკენ გამოუწია გულმა, აქ მეგობრებში გრიალებდა. გუმინ მზე გადახრილი იყო, უშუ და აბესალომი ძე იორამისა ერთმანეთს რომ გადაეხვივნენ, იქედან მოყოლებული ღამის მზის ამოსვლამდე ისხდნენ და ბაასობდნენ. ცხადია, ღვინოსაც შეეცყვიდნენ, მაგრამ ამასაც კონსტანტინეპოლურად — ცოგას.

მშემ რომ ქვეყნიერება ხელახლა გააყისკროვნა, ორივემ ძილს მისცა თავი. მაგრამ აბა, რა ძილს მოასწრებდა უშუ — შუადლისპირზე მკკერისპირა ველზე, ასპარეზობაზე უნდა ყოფილიყო — სიგყვა ქქონდა მიეკმული.

წელი ძლიეს აითრია. დღეს უშუს შეჯიბრი არ ეწადა. დღეს ძილი უნდოდა. ასე ფიქრობდა მანამ, სანამ თინათის გვერდით უყნობ გოგონას მოპკრავდა თვალს. როგორც კი ეს გოგონა დაინახა, ფეხქვეშ მიწა იგრძნო და თავსემოთ ცა. ის გოგო გაღიმებულ, სახეს მთვარეს ჰგავდა, მაგრამ ვე არ იყო მთავარი



– რამდენი ასეთი პირბადრი მთვარის მსგავსი გოგონა უნახავს უშუს – ეს სხეანაირი იყო. თითქოს კარგა ხნის ნაენობი და ახლობელი. ამიგომ შესცქეროდა ასეთი გასხივოსნებული ღიმილით, ხოლო მოგვიანებით, როცა იმ გოგონამ შურგი აქცია, მოეჩვენა, ქვეყნიერებაზე ბინდმა დაისადგურაო. უხმო, უფერო და უღონო აღამიანები სიბუნელში დაეხეტებოდნენ და არაფერი, სრულიად არაფერი არ ჰქონდათ საერთო ერთმანეთთან.

მერე ცხენთა შეჯიბრიც დაიწყო. უშუ იქით გაემართა, მივიდა კიდევ იქ, საიდანაც ჯირითი უნდა დაწყებულიყო. საესე მთავარემ სწორედ მაშინ გაუღიმა, აქეთ რომ მოემუწებოდა. ამ ღიმილმა გაამხნევა, ძალა მისცა. მაინც არ უნდოდა ახლა ცხენზე შეჯდომა, რა დროს შეჯიბრება იყო! ერთხანს დიდ ალაშთან იგრიო-ალა, მერე უკან გამობრუნდა, იქით, სადაც გოგო ეგულებოდა. მიდიოდა და ფეხს ითრევდა. იყოლა, დარწმუნებული იყო, გოგო დაეძებდა, ელოდა. ამით გაუცნობიერებულ საიამაყეს გრძნობდა. აი, ის მულოდება, ესეიგი ამქვეყნად მე და ის ვართო. როცა გოგოსა და თავისი ერთად არსებობა დააკონკრეცა, აჩქარებული ნაბიჯით გამოსწია იქით, სადაც საესე მთვარე დაგოვა. ვმად ამირაჯიბის ასულმა შეაჩერა. თავადის ქალი რაღაცას ელაპარაკებოდა, თან შეიღს – ხუთიოდ წლის ლუარსაბს თმაზე ისე ეალერსებოდა, სხვა დროს უშუ უთუოდ მიუხედებოდა გულისთქმას, მაგრამ დღეს ვერაფრით ვერ მიხედებოდა იმას, რაც თავადის ასულს ეწადა. მის კითხვებს რაღაცას პასუხობდა, მერე ისე გაეცალა, თავადის ქალმა გაოცებული მშერა გააყოლა – უშუს ცხენის აღვირისათვის ჩაველო ხელი და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

უშუს დანახვაზე თინათი სიხარულით ცას ეწია. ლამის ყელს მოხვეოდა, უშუ კი ბაჩევას მიუბრუნდა. ბაჩევას ღიმილი მოედო სახეზე და თინათი სახგად დარჩა: მიხვდა, ამ ორ აღამიანს რაღაც საერთო ჰქონდათ, თინათი ამ აზრმა შეამოთო, ააფორიაქა. უშუმ კი ბაჩევას მჯავაში ჩაავლო ხელი, თინათის მიუბრუნდა და თქვა:

– რა კარგია!

– რა თქვი? – ნერწყვი ~~გადავ~~  
ლაპა თინათიმ.

– რა ლამაზია! რა ჰქვია? – უშუ ბაჩევას მიუბრუნდა – ვინა ხარ? რა გქვია?

ბაჩევამ უშუს ხელი გამოსცავა და გაიტყა

– ვერსად წამიხვალ, შენ ჩემი ცოლი უნდა გახდე! – მიაძახა უშუმ.

თინათი გახვდა. უშუს აღმოუჩვენა შეძახა

– რას ამბობ!

ბაჩევა შედგა, უშუს მიუბრუნდა. მის მშერაში ნალეული, სასოწარკვეთა და საყვედური იკითხებოდა. ამ მშერამ შეამოთა უშუ და ბაჩევასაკენ გადადგა ნაბიჯი.

ბაჩევა კვლავ გაიტყა.

თინათიმ უშუს მკლავში ორივე ხელი ჩაავლო და შესძახა:

– რას სჩადი, უშუ, იცი ვე ვინ არის?

– ვინც არ უნდა იყოს, ეგრე მოხდება! – მიუვლო უშუმ და შეეცადა მკლავი, რომელსაც თინათი ორივე ხელით ჩაფრენოდა, გაუნთავისუფლებინა – ბაჩევასაკენ ესწრაფვოდა.

– თუღვევლა, მანქან მორაბაბულის ქალწული!

ბაჩევა ცხენისაკენ გარბოდა. უშუ თინათის მიაკვერდა.

ცხენთა ფლოქვების ქვეშ მიწა გორგმანებდა. აღამიანები კვლავ ყოფინას სცემდნენ.

## შუბაბსა და ბალღებს შუა

ფესახის\* პირველი სადამოს აგადას\* ყოველი გვილისელი ვერაელი თავის ოჯახში აგარებდა. ცხადია, ისე აგარებდა, ვისაც როგორი ძალაც მოსდევდა. ხოლო უინ რისი შემძლე იყო და როგორ დღესასწაულობდა ფესახს, ამის გაგება არც ისე რთული საქმე გახლდათ: თუ სახლში რამდენიმე სანიული ერთო, ეს იმას ნიშნავდა, ამ ჰერქვემ აგადას ის აღამიანები იხდიდნენ, რომლებიც ცხოვრებასთან ჰიდილში დამარცხებულად არ თელიდნენ თავს. ცხადია, ისეთი ოჯახებიც იყო, და ძალიან ბევრი – უმეტესზე უმეტესი – ფესახს ერთი ჰრატის მუქზე რომ დღესასწაულობდნენ. მაგალითად, აბრამიკის ფარდალალა

სახლში ერთი ჭრაქილა ბუჭკავდა. ოჯახის უფროსი — კოჭლი აბრაამიკო ხმადაბლა, წამღერებით, დროდადრო ხეწეშა-ოხერით კითხულობდა ეგვიპტელთა გვევობიდან ებრაელთა თავდახსნის ამბავს. აბრაამიკო ასე იმიტომ ოხრავდა, რომ არ სჯეროდა, იმისა, რასაც კითხულობდა: თუ ეს მართლა ასე იყო, მე მთელი სიყოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც რატომ არ გადმოშვებდა ღმერთმა, ერთხელ მაინც რატომ არ მიშველაო. რომ არ სჯეროდა, ალბათ, იმიტომაც იყო ასეთ დღეში.

ზოგიერთი სახლიდან არა მხოლოდ დიდი შუქი, სიმღერის, მოღებვის ხმაყ კი გამოდიოდა. მაგალითად, ბენო კაკიგელას ოჯახში საფესახო თიკანზე ისე მღეროდნენ, სმენას ვერ მოსწყვევდით.

აი, იმას კი ვერაინ გვეყოფათ, ზანქან ზორაბაბელის სახლში რამდენი სანთელი ენთო. ამ სახლიდან არც რამ ხმა ისმოდა — უპარამზარი ეზოსთვის იმოდენა ყორე შემოეფლოთ, ზორაბაბელისას ვერც ვერას გაიგონებდით, ვერც ვერას მოჰკრავდით თვალს.

აღრე ყოველი თბილისელი ებრაელი ფესახის ორივე სააგალო საღამოს თავის ოჯახში აგარებდა. ერთხელ, კარგა ხნის წინათ, ზანქანის ნეგარსხენებულმა მამამ მორღმხაი ზორაბაბელმა თქვა:

— „ზოგიერთ ისრაელს ღმერთმა მისცა და აქვს საშუალება აგადა ღირსეულად ჩააგაროს, ბევრს, ღმერთმა ყველას მოუფინოს, ლუკმა-პური გაჭირვებით შეაქვს ოჯახში. ეგვიპტელთა მონობიდან თავდახსნის დღესასწაული კი ყოველი ებრაელისთვის უნდა იყოს სასიხარულო, ყველამ ისე უნდა იგრძნოს თავი, თითქოს თვითონ გადაიგრო მონობის უღელი, ამიგომ საჯამაათო აგადა უნდა მოეწყოთ, რომ ყველა — მდიდარიც და ღარიბიც, დიდიც და პატარაც, ერთად დაესხდეთ.“

ამ დღიდან მოყოლებული მორღმხაი ზო-

რაბაბელი ფესახის ყოველ მეორე საღამოს თავის ეზოში დიდ სუფრას შლიდა და მთელი გფილისის ებრაელობას ეპატივებოდა: „ყოველი ისრაელიშვილი უნდა მოვიდეს და გაიზაროს განთავისუფლების სიხარული. თქვენ ჩემთან კი არ მოდიხართ, ფესახს შეიშობთ.“

ზანქანი მამის სხოინისაღში ერთგულებას, მისი საქმეებს გაგრძელებამაც ხელადა. ამიგომ ყოველ ფესახში, მეორე საღამოს, მის ეზოში დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. ხახამ აბრაამი ბეით-ქნესეთი\* გამოაცხადებდა:

— ჯამაათო პატიოსანო, ზანქან ბენ მორღმხაი ყველას გაუწყებთ, რომ მისი სახლის ეზოში გაიზარებთა საფესახო საჯამაათო სედერო. ვისაც სურდეს, მოვიდეს და იფესახოს, ვისაც სურდეს, მოვიდეს და ჭამოს, თქვენ მრავალს დაგასწროთ გამქენმა, მას კი ფარსასა\* უმრავლოს“

ეს იყო და ეს! ბეით ქნესეთი კიდევ არ გამოეცხადებინათ, ამ სერობას არც დიდი დააკლდებოდა, არც — პატარა. თუ სულაც საჰყარი არ იყო ყოველი თბილისელი ებრაელი, თუ ნაბიჯის გადადგმა შეეძლო, ფესახის მეორე საღამოს მთელი თავისი ოჯახით, შეილებით, შეიღმივლებით ზანქანის სახლისაკენ მიიჩქაროდა. ეს დღესასწაული ყოველ მათგანს შეახსენებდა, რომ ებრაელობა დეთის მხედველობის არეში მოქცეული ერაი და განთავისუფლებაც სწორედ დეთის ნებით მოხდა. ეს ძალას მაგებდათ. კიდევ იმიტომ არ აკლდებოდნენ ამ აგადას, რომ წელიწადში ერთხელ ზანქანის სახლში შესეულა, თუნდაც ეზოში, ახლადმეფოთილიდი მუხეების ქვეშ ყოველი ამთგანისათვის დასამხსოვრებელი დღე იყო.


ზანქან ზორაბაბელი ერთ-ერთი შთამომავალი გახლდათ იმ ებრაელებისა, ბაბილონიდან სურის მღვით რომ მოვიდნენ საქართველოში. ამაზე არა მხოლოდ მისი გვარი მეტყველებდა, ხალხის მუხსიერებაც იგი იმათი ჩამომავალი იყო, ბაბილონის

\* ფესახი-პატარა. ეგვიპტელია ტვევობიდან ებრაელობის განთავისუფლების დღესასწაული.

\* აგადა-ფესახის (მასტების) საზეიმო სუფრა, რომელზეც საუბრობენ იმაზე — მოსემ, დეთისნებით, როგორ გამოიყვანა ებრაელობა ეგვიპტიდან. აღნიშნება მარტაპრილიში.

\* ბეით-ქნესეთი — სამლოცველო, სინაგოგა.

\* ფარსასა — შემოსავალი.



მღინარეებთან რომ ისხდნენ და დაკარგულ, იავარქმნილ იუდეაზე რომ მოთქვამდნენ. ორი-სამი თაობის შემდეგ იუდეის დამანგრეველი ბაბილონი სპარსელებმა რომ გააცამკვერეს და ებრაელებს მის დაბრუნების უფლება მისცეს, ზორაბაბელთა ერთი ნაწილი იერუსალიმს მიუბრუნდა. ებრაული წყაროები ზორაბაბელთა წინაპრებს მერუბაველებად მოიხსენიებენ. სწორედ ისინი მიუბრუნებულ თანამოძმეებს. იერუსალიმში კი გაბრის აღდგენას ჩაუდგნენ სათავეში. შაქარია წინასწარმეტყველი მანქანის წინაპარზე ამბობს: „რა ხარ შენ, დიღო მთაო, მერუბაველთან შედარებით – დაბლობი მხოლოდ.“ ზორაბაბელთა მეორე შტო იმათ შორის აღმოჩნდა, ვინც კბილებში დანაგარჰობილ ბაბილონელთაგან დანაეულ იერუსალიმს არ დაუბრუნდა – სწორედ ებრაელობისათვის, იუდეა-იმისათვის დარჩნენ უცხო მიწაზე. აქ ბაბილონური თალმუდი იქმნებოდა. ერის, რწმენის და სამშობლოს რაობას წიგნში გამოხატავენ. წიგნში აქვედნენ იმას, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოს მაიცილებელი აღმზიანი, ამ წიგნშივე ხელაუდნენ რწმენის, ერის გადარჩენის და ამ გზით სამშობლოს გაიცილების საწინდარს, რადგან მიანდათ – მიწა-წყალი, პაერი მშობლიური მხოლოდ აღამაანით არის, ამიგომ აღამაანის სულზე მრუნაუდნენ. ნაბუქოდონოსერის მიერ ადრეც, სამშობლოდან ოგბული ებრაელობა სიცოცხლის გადარჩენის დაუოკებელმა წადილმა მიმოფანტა. მომავალში იგი წიგნს უნდა შეეკრიბა, წიგნით უნდა გაერთიანებულიყო ერა.

იმათ შორის, ვინც წლობით ჩაკვირკიტება ბაბილონურ თალმულს, მანქანის წინაპრები იყვნენ. მათთვის არა-რა მნიშვნელობა არ ჰქონდა დროს, არც იმას ეძებდნენ, თუ ვინ იხდა სამეფო გაბგმე მუფეს ის არ არის, ვინც გაბგმე დაჯდა, ის, ვინც ერს საგანძურს უქმნისო. მარადიულ საგანძურად კი წიგნს მიიჩნევდნენ. თაობათა არსებობის მიმანი წიგნში მოქცეულიყო – რადგან იყოლნენ: თუ ხალხის სულის კირად წიგნს არ გახსდი, ხალხი

მუიელს გადამერთებს, მუიელს მოთაყვებე ერთი დაღმართში მიექანება. ამიგომ აღმონაღლეთის ბნელ დამებში, თუ ლაქვარლოვანი განთიადისას, გამოთანვეულ სიფხესა, თუ უემური წვიმიანობისას, მაგიდებზე გადახრილი წელ-გაუმართავად ჩაკვირკიტებდნენ ერის სულის კირს. ასე იყო მანამ, სანამ სპარსეთის ჯერიც არ დადგა, მანამ სანამ ალექსანდრე დიდი არ მიადგა სპარსეთს, და ისეთივე დღე არ აწია, როგორც სპარსეთმა ბაბილონს, ბაბილონმა – იუდეას – სისხლის ნაკადულები როდენენ ბაბილონის მიწაზე.

ამჯერად მაკელონელთა შუბებს გამოეცქნენ ებრაელები – ადრე ოგბულთა ნაკვალევში ჩადგნენ და სიცოცხლის გადარჩენა, მშვიდი ნაესაყუდარი შეავედრეს ღმერთს. მანქანის წინაპრებმა საქართველოში კპოვეს ის, რასაც ღმერთს ევედრებოდნენ. სხეებმაჲ. შოგმა კი საქართველოს ახლო-მახლო დასცა კარაგი.

ზორაბაბელები ძლიერ მდიდრები იყვნენ, ბაბილონიდან იმდენი თვალმარგალიტი, ოქროსმხულიც კი გამოიგანეს, მაკელონელ ჰაბუკს ეს რომ სცილნიდა, უთუოდ გამოუღებოდა და კიდევ უფრო დიდ ნადავლს გაუნაწილებდაო თავის მამაც ბიჭებს.

წელიწადი წელიწადს მისდევდა, საუკუნე საუკუნეს. მანქანის წინაპრები საქართველოს ღვიძლ შვილებად იქნენ. უკვე ძნელი გახდა იმის გარჩევა, რელიგიის გარდა, რა ანსხევებდათ ქართველთაგან. დამკერობელი ვერა-რა განსხევებას ვერ კპოვებდა და ორივეს ერთნაირად ურგყამდა. მანქანის წინაპრებისათვის, თავად მანქანისათვის წმინდა და ხელმეუხეხელი აღონაისადმი რწმენა დარჩა, განსხევეხული რწმენა კი განსხევეხულ ცხოვრებას კარნახობდათ. არც ეწადათ სხეებში ათქვეუა: ჩვენ ჩვენი რწმენა გვაქვს, ჩვენი ღმერთი გვყავს და ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც ღმერთს სინაის მთის ძირში აღუთქვითო.

– საუკუნეები აქა ვართ და მაინც უცხოდ რომ ვრჩებითო! – კითხულობდნენ ჰაბუკნი, ხნოვანნი მხრებს იწურავდნენ: რა ვქნათ, რა ეუყოთ, ჩვენ სინაის მთის ძირში დაღებულ



პირობაზე უარს ვერ ვიგყვითო.

ამ კითხვას<sup>7</sup> ყოველი თაობა სვამდა – იმათ ეკითხებოდნენ, ვინც თავად ადრე კითხულობდა – შინაურნი ვართ და უცხოლ რაღა ვრჩებითო. ახლა ესენი, უკვე ჭაღარამორეულნი, წელში მოხრილნიც იწურადენენ მხრებს: „რა ვქნათ, რა ვუყოთ, აღონასი რწმენას ვერ დაევაგდებთო“.

აგადის წამყვანი ხახამ აბრაში შეკრებილთ გატყეებით უამბობს, თუ როგორ ცდილობს მოსე ღვთის ნების ასრულებას – ვევი პკიდან ებრაელთა უფათურაკოდ გამოყვანას, როგორ ჯიუტობს ფარაონი. ფარაონს არ სურს მონების განთავისუფლება. ეს საბრალო, უმეცარი მპყრობელი არაღ აგლებს ღვთის ნებას.

ზანქანი აგადაზე შეკრებილ ხალხს ათვალიერებს. ამათგან უმეტესობა, ხომ მის სამსახურში დგას. ზოგი აქ თბილისში, ზოგი შორს, გრაპამუნდსა თუ არაში,<sup>8</sup> კონსტანტინეპოლსა, თუ რუსეთის სამთავროებში გამართულ საეპროებში, ცხადია, გფილისშიც. ეს ათი წელიწადია რუსეთშიც შეაღწია ზანქანმა და ყველაფერს ამ დაბნელების მეოხებით აკეთებდა. ფსახისათვის კი ყველა მინ, გფილისში ჩამოსულიყო, რათა დღესასწაული თავიანთ ოჯახებში გაეგარებინათ. ზანქანი ყოველი მათგანის საქმიანობას იგონებდა, აჯამებდა. ხახამ აბრაში კი უკვე იმაზე საუბრობდა, თუ როგორ დაედევნა ფარაონი ვევი პკიდან გამოსულ ებრაელობას. ფარაონის ჯარი სმაურით, ყიფინით მიქრის უდაბნოში. მათი ეგლები მალია და საშიში. სადაცაა ჯარი თავდახსნილ ხალხს მოეწევა. გარბიან ჭაბუკნი, ხეობრები, ქალები, საბკარნი, მოხუკნი, თუ ჯანძღიერნი – ვევი პკელთა პირბასრ შუბებს გაურბიან, მაგრამ საღდა გაიქცევიან, წინ მუწამული ზღვა გადამლიდა, უკან ეგლები მოხდევენ, ეგლებზე კი ჯარისკაცები აშხედრებულან, ხელში პირბასრი შუბები უჭირავეთ. ყოველი შუბის წამახელი წვერი მზეზე ეღვარებს. აბა, აბა, სადაცაა წამოეწევიან, სადაცაა პირბასრი შუბები გაუ-

პობენ გულს ბაღსაყ და მოხუცსაც, პირბასრ ქალწულსაც და აგე, ამ კოჭლ კაცსაც, ლეკსაც არა, ზღვა შთანთქავს მათს გაოფლილ, უდაბნოს სილითა და მშით საცხე სხეულებს. ზღვის გაღლებში შთაინთქმებიან საბრალონი. მოშე სწორედ იქით, ზღვისკენ უხმობს იუდეველთ. ზღვა – საშიში, სიცოცხლის მშთანთქავი, დაუნღობელი და გულგრილი. იუდეველნი მიმდარეულნი, გაგრუნულნი, სულგანაბულნი ადგამენ პირველ ნაბიჯებს სველ ქვიშიში... აბა, ახლა იქუხებს გაღდა და... არა, ზღვა მორჩილად იხვეს უკან... ებრაელები ზღვას მისდევენ. აქოჩრილი, პირზე ჭაფმოღებული, ყანჩასავეთ ცალფეხზე შემდგარი გაღლები თავს უხრიან იუდეველთ.

ზანქანი კვლავ სუფრის წვერებს ათვალიერებს. კი, უმეტესი მის სამსახურში არიან, მაგრამ ისეთნიც არიან, თავის საქმეს რომ მიჰყვებს ხელი და ზანქანთან აღარაფერი აკავშირებთ გარდა სალოცავისა. აგერ, მაგალითად, ბენო კაკიგელა ცოლთან და ორ ვაჟთან ერთად თავმოშწონედ რომ მის. მას შემდეგ, რაც სუფრას მიუჯდა, არც მარჯვნივ გაუხედნია, არც – მარცხნივ, ქადაგად დავარდნილ ხახამ აბრაშისთვისაც კი არ შეუვლია თვალი – ამით თავის დამოუკიდებლობას, ღირსებას უსვამს ხაშს. თავად შიანნია ასე: „ზანქანი ჩემთვის დიდი ვერაფერი შეილია, უბრალოდ, აგადა არ გაეაქდინე“. შეძლებული კაცია ბენო კაკიგელა, ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ზანქანის დიდი სახელი გულს უკლავს. არაერთგმის უთქვამს: „შე რომ მაგდენი ფული მქონდეს...“ ან „მაგისი მამა-პაპაც ხელმწიფის კარზე მიღებული ხალხი იყო, დავით მაგალოლს,\* იმ სულკუროთხელს, თურმე ძლიერ უყვარდა მაგ მიშფახა.\* რაგომ არ იქნებოდა ყინხაღ“.

ზანქანმა ყველაფერი ეს იცოდა – ზოგს თავად ხედებოდა, ზოგს სხვები მიახვედრებდნენ, ან სულაც პირდაპირ ეგყოდნენ: ენის მიმგანთ ჩვენს ებრაელობაში რა გამოლევეს!

\* არანი – შესლინური სახელმწიფო წარმონაქმნი. დახლოებით დღევანდელი ავტონომიური რაიონის ტერიტორიაზე.

\*\* დავით მაგალოლი – დავით დიდი, აქ – დავით აღმაშენებელი.

\*\* მიშფახა – ოქანი, საეკარეული.



აბა, კვლავ მოსდევნ შეზგალესილი ვევიკ-გელეები ებრაელებს... ესენი კი შღვამი შიშით შეაბიჯებენ. ხახამ აბრაამი თაედახსნის ამ ეპი-მოღმე ისე საუბრობს, აგადის მონაწილეთა შორის შიშიაკ კი დაისადღგურა, თითქოს შარ-შანწინ, იმის წინ, აქვე, ამავე ეზოში, არ გაე-ვონოთ, თუ როგორ გაუკო ღმერთმა შღვა მათს წინაპრებს, მაგრამ საუკუნეების წინათ მომხდარის ხელახლა, ისე განცდა, თითქოს დღეს ხდება, ფესახის დღესასწაულის ერთ-ერთი პირობაა. მერე ხახამ აბრაამმა მოთ-ქმით, წამღერებით, ღამის ერემლისაღმ-ერელი რეზიგაციით დახძინა:

— ვაი იმას, ისრაელეზო, ვისაც ეს დაავიწყ-დება, არ დაგავიწყდეთ, არ დაგავიწყდეთ: ჩვენი ყოველთვის პირბასრი შუბებისა და შღვის გალღებს შუა ვართ მოქცეულნი. რა კაი ცხოვრებაც არ უნდა გვექონდეს, არც შღვის გალღები უნდა გვაავიწყდებოდეს, არც ჩვენი გულების გასაპოზად გალესილი შუბები.

— აჰაჰაი! — ამოიგმინა ხალხმა.

— მაგრამ ვინ არის ჩვენი მხსნელი, ჩვენი გაღამრჩენელი, ჯამაათო? — იკითხა ხახამ აბრაამმა და სუფრის წვერებს გადახედა — ძლიერი მეფე? საღ არი, არა გეყავს. ჯარი? არც ესა გეყავს, ჯამაათო, — ისევე გადახედა ხალხს, პაერი ჩაისუნთქა და ისევე წამღერუ-ბით წარმოთქვა, — ნეტარი არის ის, ვისაც ახსოვს ჩვენი გაღამრჩენი, იკურთხოს სახე-ლი მისი — აღონაი! — ეს არის ის, ვინც ჩვენ ამოგვირჩია!

ზანქანს შულო მუხალღუდა და ჩერჩული უბრა-

— აბულასანის კაცი გეხელა, გთხოვს მას-თან შამრბანღე.

ზანქანმა თავი გააქნია, შულოს ანიშნა შადროვეო. ქართლის ამირამ და თბილისის გამგებელმა აბულასანმა — კარგად იცის, რომ ამ საღამოს ზანქანი ებრაელობის მონო-ბიდან განთავისუფლებას დღესასწაულობს. თბილისის გამგებელს ისიც კარგად ეყოღინე-ბა, რომ ზანქანის ეზოში ასობით ადამიანი იგ-ონებს, თუ როგორ დააეღლა ღმერთმა მოსეს ებრაელობის განთავისუფლება. მამ, რა ხდე-ბა? ასე სასწრაფოდ რისთვის უხმობს?

— ახლა არ შემოდია, აგადას ვერ მივა-გოვებ, მოგვიანებით შენთან ვიქნები ვერსი — ჩერჩულით მიუგო ზანქანმა. შულომ თავი დაუკრა და უხმოდ გაეყალა, ზანქანი კი კვ-ლავე ფიქრმა მოიყვა. თუმცა, ეს საზრუნავის გაყნობიერების ცლა უფრო იყო, ვიდრე ფიქ-რი. უკვე აღარ ესმოდა მეწამულ შღვამი მე-სული ებრაელების ამბავი — იმავე ფიქრობდა, თუ რაგომ, რისთვის იწვევდა ქართლის ამი-რა და სამეფო დარბაზის წვერი.

ზანქან შორაბაბელი დიდი ვაჭარი გახლ-დათ — ბიზანგიას, არანს, რუსეთის, ვევიპტე-საც კი სერავდნენ მისი ქარაენები და ყველ-გან დიდი სახელი ჰქონდა. ვაჭარი დიდი ვერ გახლება, ფრთებს ვერაფრით გამლის, თუ სამე-ფო კარი არ შფარველობს. ყველა ამ ქვეყანაში სწორედ სამეფო კარი სცნობდა ზანქანს, მაგრამ იმ სამეფო კარის შფარველობა, რომელსაც ხე-ლისუღლება ძლიერ არ უყვრია ხელი, დიდი ვერაფერი შვილია. მეფე გიორგი მესამეს ქვეყ-ნის საღავეებში ვერც ვერაინ შუეცილებოდა. ამ-იგომაც ჰქონდა ფასი ზანქანისადმი მის ყრად-ღებას, ამანაც შუეწყო ხელი მემობულ ქვეყ-ნებში ზანქანის გაძლიერებას. მეფე თამარის ყრადღებას კი ყურთლულ არსლანის აჯანყე-ბის შემდეგ მეტი ფასი დაედო.

ზანქანი დარწმუნებული იყო: ყურთლულ არსლანის აჯანყებამ, აჯანყებულთა თითქოს-და, გამარჯვებამ, დიდი სამხახური გაუწია მეფე თამარს — ხალხმა დაინახა, რომ მეფისათვის მეტი გონიერება, განსჯის უნარი უბოძებია ღმერთს, ვიდრე ყველა აჯანყებულისათვის ერ-თად: მეფემ აჯანყებულთ დიდბუნებოვანად დაუთმო — მამულები, საეარძლები დაურიგა და ამით დაამარცხა კიდეც — ხალხს დაინახა, თუ რა შუელის გერემა ჰქონდათ ყურთლულ არსლანსა და მის შორჩილით.

აჯანყება დამთავრდა. ბრძოლა კი ფარულად გრძელდება. უშფოთველი, უხმო ბრძოლა გუმინ მოამბოხენი, დღეს საეარძლებში მოქცეულნი, ყოველმხრივ ცდილობენ ქვეყანას უჩვენონ, რომ სწორედ მისთვის ირჯებოდნენ.

აგადის მონაწილე თბილისის ებრაელობა

სულგანაბული უსმენდა ხახამ აბრამს და სულით ხორცამდე განიყლიდა ეგვიპტიდან გამოსულ წინაპართა ყოფას. მათთან ერთად გულშეკუმშული, სულდალეული გადიოდა წითელი მღვის პირზე ქაფმოღებულ გალღებს შორის. მათთან ერთად აწუხებდა შიმშილი და უღაბნოს თაკარა მზე, სული ეხუთებოდათ მოხუკეთ და ვერა-რა გავევოთ ბავშუებს, მანქანი კი ვერაფერ ამას ვერ გრძნობდა, ფიქრში ჩაფლულიყო. ღამობდა ამოეცნო, რისთვის იხმობდა ქართლის ამირა.




ამ ბოლო დროს აბულასანს თავისი გვარსახელი ავი ნაგაზივით უყუფს. იშმაელიანებმა მის წინაპარს გვარსახელი თავის ყადაზე რომ მოუქციეს და დიდმოხელეობაც უბოძეს, აბულასანობა იშმაელიანთა დიდკაცობაში სანდო კაცის სახელს გიბეჭდდა, ხოლო ქართველთაგან ხმაშალა არაეინ დაგმრახავდა. ახლა კი... სხვა დრო დადგა - რა ხანია საქართველო იშმაელიანთაგან განთავისუფლდა - ქართველთა სულეში, თუ რამ ჭკუტი, უკეთურობა დაგროვილიყო, ერთად მოუყარეს თავი, ერთად და ერთხმად მოისროლეს მტკვარში. ახლა საქართველო ღამის თავად გადაიქცეს წინა ამის მორძანებულ ქვეყნად, ხალხი ნელ-ნელა იბრუნებს თავის სახეს. ამიგომ დღეს სანაქებო და სასახელო სულაც არ არის ის, რომ შენმა წინაპარმა გვარსახელი შეიცვალა - დღეს სანაქებონი ისინი არიან, ვინც არც სახელი იცვალა, არც გვარი და არც - რწმენა, ჩაჯდა თავის მამულში, პირველად იწერდა და დრგვინვით ელოდა, თუ როდის ინებებდა ღმერთი იშმაელიანთაგან საქართველოს განთავისუფლებას.

დღეს აბულასანისთვის ორივე ერთია - რა გამოდევნებული ავი ნაგაზი და რა იშმაელიანი ყადაზე მოქცეული ეს გვარსახელი! წინგახედული კაცი იყო აბულასანი - ხვალისდელი დღის დანახვის უნარის მქონე, ხშირად სწორად ამოუცენია მოსახლენი. თუ არ მოსწონდა, შეუეღლია კიდეც ის, რაც უნდა მომხდარიყო. მოსდევდა საამისო ღონე, როცა ქვეყანას დასჭირვებია, არც ხმალი უწნევია ცუდად. ვერაეინ დაუწუნებს. ყურთლულ არს-

ლანს დროულად დაუდგა გვერდით. დაუდგა და აჯანყებაც ისე წარმოებოდა, რომ გორც ქვეყნისათვის აჯობებდა. აბულასანს მტკიცედ სჯერა: მეტისმეტი, განუსაზღვრელი ძალაუფლება წლებით დამძიმებულ, ათას ვებაგამოვილი, მორჭუმულ მეფესაც კი ურუეს გზაკვალს. კი, მეფეა, მაგრამ ადამიანია, ადამის ძეს კი, მრავალი ცდუნება სდევს. ჯერ აბულასანმაე არ იცის, როგორი მეფე იქნება თამარი, ის კი კარგად იცის, დიაცს, მითუმეტეს, ყმაწვილს, მეფედ ახლახანს ნაკურთხს, მოდარაჯე მშერა რომ არ უნდა მოაცილო.

- აბა, კურთხეთ - ღვთის ნება აეასრულები, მაგრამ ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენც ვარსებობთ ქვეყნად - მძღავრნი. როცა საჭიროდ ჩავთვლით, შეფის ყოფასაც კი შეეცვლით, და რაც მოხდება, ისიც ღვთის ნება იქნება.

ქვეყნად პირმოთნე და შურგესუკან გამჭირდავით რა გამოიღვეს. მამულის სამსახურში გატალარავებული რამდენი კაცი შფოთავს იმის გამო, რომ სწორედ აბულასანი გახდა ქართლის ამირა, თბილისის გამგებელი, სამეფო დარბაზის წვერი და არა თვითონ. შფოთავს უხმოდ. ესენი, აბულასანის ავადმჭერეკლნი, ფრთხილნი არიან, ჭკვიანნიც. ფრთხილმა და ჭკვიანმა ადამიანებმა კი ყოველთვის იციან ენაშასწარა, წინგახედვად კაცებს სად, როგორ და როდის ათქმევიან ის, რაც ასე სწადაით ქვეყანას გააგვიბინონ, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ფრთხილნი არიან, თავად არასოდეს არ იცევიან. სასახლეში, თუ წარმინებულთა ოჯახებში ხშირად გაიგონებდით ამგვარ ქირქილს: „აბულასანი?! ვაიო, ვე სახელი რომ მესმის, ასე მგონია, იშმაელინი არსადაც არ წასულან, ვერე უბრალოდ ვიქნით ხმალი?!“, „როგორა, ვეა აქ დარჩა? განა ვე იშმაელიანი არ გააყვა?“, „დაისვენ, ღმერთო, ვე ქვეყანა აბულეებისაგან, ჰასანებისაგან - ყველა იშმაელიანისაგან!“ ამის მოქმელმაც კარგად იცოდა, რომ აბულასანი თხევით გერეფამდე ქართველი იყო და გამეონებაც, ორივე ერთად შექციენებდა აბულასანს, თავს უქონებდა, აქ კი, შურგეს უკან, მაინც ერთი ხიცელ-ხარხარი აცელებოდა ხოლმე. ამ ქილიკითა და



ხარხარით იმას უსვამდნენ ხაზს, რომ ამით წინაპრებს არც რჯული უცვლიათ, არც გვარსახელი გადაკუთვებით დამპყრობთა ყაიღაზე და არც თანამღებობები მიუღიათ. აბულასანის მტრები ესენი არ იყვნენ, ესენი მჩაგენი იყვნენ და ხმაბალა ამზობდნენ იმას, რასაც სხვანი ჩასძახოდნენ. ეს იყო და ეს! აბულასანის მტრები ამით აქეზდნენ, ქირქილს ჩააგონებდნენ არა სიგყვებით, არა ღარიგებით ვერც და ვერც უნდა თქვაო, არა, სულაც არა! აბულასანზე გადაკრული საუბრით, ირონიული გაღიმებით, გამოხედვით, სამშობლოს სამსახურში დამამურალი კაცის ამოხვერით, გმინვით.

ცხადია, აბულასანმა ყველაფერი კარგად უწყობდა. ამირა და ქალაქის გამგებელი ვით იქნებოდა, თუ მეფის კარზე, გამორჩეულ წარჩინებულთა ოჯახებში მსგოვრები არ ეყოლებოდა. დიომიდე რომ მოახსენებდა, ამგვარად შეგამკესო, ხან ღიმილი ერეოდა, ხანაც თავს ისე დაიპყრდა, ვითომ არაღ არ ენადლეუბოდა ვინ რას იცყოდა მასზე. „მაგათ სხვა რაღა დარჩენიათ!“ ჩაილაპარაკებდა და გაღიმებდა, ამას ამზობდა, თორემ ახალ საქართველოში იშმაელიანთა სახელის გარება სიკეთეს რომ არ უქაღდა, იყოღა და მწარედაც განიცდიდა. მეტაურ დიომიდეს კი ცივად ეცყოღა, ე მანდ არა-რა გამოგონეთ, ვინც რას იცყვის, წერილად უნდა მაუწყოთ ყველაფერიო – დაწერილებით უნდა სყოღნოდა, რომ მგერთა, თუ მოქირქილეთა სახვალთო ნაბიჯები ამოუცნო.

არაერთგზის უფიქრია ჩემს გვარს დავიბრუნებო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმასაც ის წინაპრები უშლიდნენ, რომლებმაც აბულასანობა არჩიეს.

ძლიერი, სახელოვანი წინაპრები პყავდა აბულასანს, თუმცა, მათი ბედი რომ ვაახსენდებოდა, სხეულში სიცივე უვლიდა. გონიერი, წინდახედული მეტაურნი ჯარისა, მუდამ მეფეთაგან ისჯებოდნენ, ისჯებოდნენ, რადგან უშხედრდებოდნენ ხოლმე. ერთი სასულიერო პირიღა გამოურია წინაპართა შორის – ეპისკოპოსი. ისიც კი აუხიროდა მეფე დავით

აღმაშენებელს: შენაო, ეკლესიას ძალას აქვლი, იმ სულკურთხეულმა, მეფე აღმაშენებელმა არ დააყოვნა – არ იყოღა დაყოვნება: თუ გასატრეული იყო, უმაღლესად – ძალა ღმერთისა აქვს, შენ ძალა კი არა, ღორმუცელობა გწადია, მაგ უგვანო ლაპარაკით კი მეფის დანიავება განგიშრახავს და არ გაპატიებო. განა მხოლოდ ეპისკოპოსის, მის გვერდით რომ ორი მომდიმარი მღვდელი იდგა, იმათი თავებზე ისე განაყალკევა სხეულებისაგან, ახლობლებმა ერთად შეკრებაც ვერ გაბედეს.

– რა დავიმალო, ბიძაქემო, მართალი იყო აღმაშენებელი. მეფე რომელიც ხელისუფლების დაბიჯებას ეცუება, მხოლოდ თავის თავზე მზუნავს: ჩემს მეფურ ღირსებას არა დააკლდეს რა და ქვეყანა თავად უშეულისო თავს. ვეთი მეფის ხელში ქვეყანა სათიუღივით ილევა.

ვაგუ პაპაც ახლო პირი იყო მეფე დავითისა. ერთ დღეს დავითმა შესძახა: ჩემი ახლო პირი ჩემს ძლიერებას უნდა სურვობდეს, შენ კი პირუკუ იქცევიო. დაინდო, სიკვდილით არ დასაჯა, მაგრამ ვაი, ასეთ სიყოცხლეს – თუ რამ უბაღა – დიდძალი სახნაფ-სათუხი მიწები, ცხვარ-ძროხა, თუ ყმები, მუჭში მოქცეულთხილივით წარსტაცა, ხაზინას გადასცა და თვალბეც დაათხრევინა.

რამდენი რამ გაიხსენოს აბულასანმა წინაპართა ცხოვრებიდან!

მეფე თამარმა ყურთლულ არსლანი რომ დააგუსაღა, განა აბულასანმა არ შეპყარა შიშდარეული, თანამოაბჯრენი? განა მან არ მოითხოვა ამზობისთავის განთავისუფლება? ახალგამრდა მეფე-ქალ თამარს განა მისმა გაბედულებამ არ უკარნახა სიფრთხილე? განა მისმა გაბედულებამ არ ათქმევინა: „იყოლს მშვილობა, დაესხდეთ, ვითათბიროთ!“ შიშლაპარაკეს და თამარს იმის პირობა დაადებინეს, რაც უქაღდათ. მაინც ამით გაიმარჯვეს, ყურთლულ არსლანის დახის წვერებმა, აბულასანის მარჯვეობითა, სიყოჩაღიო. განა მისმა გაბედულებამ არ იხსნა ყურთლულ არსლანიც. ცოტაც, სულ ცოტაც რომ დაეკლო აბულასანს, დღეს ამირთ ამირა, სამეფო დარბაზის წვერი და გყოღისის გამგებელი კი არა,



ასე ეცონა, აბულასანის გეგმას ვგამი ჩახვებოდა, მაგრამ გმას დაადგა თუ არა, აგირე ბული ბალღივით ბაჩევაზე ფიქრი დაედევნა: „თექვსმეტი წელი შეუსრულდა, კარგა ხანია გათხოვების დრო დაუდგა, დედამისი — იოხაბედი 15 წლისა ხუფის\* ქვეშ იდგა“, ფიქრობდა მანქანი და გონების თვალთ გფილისელ ყმაწვილებს ათვალერებდა. სასიძოდ ვერცერთს ვერ მიიჩნევდა. „დაბერუნდები თუ არა, ქიმივი უნდა ჩავიდე, სურამის ებრაელობასაც უნდა გადაავლო თვალი, ქრცხლოვანში მუხლმაგარი ბიჭები იმრდებიან. არ იქნება ერთი რიგიანი ყმაწვილი ვერ ვიპოვო“. ფიქრში ჩაბირულმა ისე გაღია გფილისის შემოგარენი, ებრაელთა პირველი ნასახლარები: მანავი, მცხეთა, ხერკი, პურიათუბანი, არც გაუვია. არაგვისპირა სახლს მშის ჩასვლის ეამს შიადგა, დიდი, ფორთოხლისფერი, ჩახჩახა მშის სხივები ხეთა გოგებში, ორლობებში, მდინარის შედაპირზე იფანტებოდა და არაგვისპირს საამო სახილველს ხდიდა.

მანქანმა პურისჭამა არ ინება. იაყაკობს უთხრა მშის ამოსვლას მალდა, წყაროსთან უნდა შეეხვედეთო და ლოჯინს მიამურა.

კარგა ხანს ქმლოდა თურფორ ხგოდნენ არაგვის ტალღებო, როფორ ეცემოდნენ ერთმანეთს გვიან, ჩაეძინა — არაგვისპირის თაემე ვარსკვლავები კამკამებდნენ.

გმით მოქანული, არაგვის სმაურით სმენადაღლილი, მძინარე მანქანი ხედავს: მღვის სიღრმეში შესულა ბაჩევა, მაგრამ წყალი მუხლებამდე სწვდება, კისკისებს, დროდადრო გაიქცევა, მღვაში ისე გარბის, როფორც ხმელეთზე — გარბი-გამორბის, კისკისებს, წყალი მუხლებს მალდა არ სცდება. ეს ვინ არის? ეს ვინ მოსდევს მოკისკისე ბაჩე-

ვას? ქალია! ლალა ესთერი! ასე რაგომ მოს-  
დევს? როგორ გაახალგაზრდავებულა ესთერი,  
როგორ გალამაშებულა! შუბლშეკმუნხილი  
ესთერი ბაჩევას ეძახის, ბაჩევა კი გარბის,  
კისკისებს. ესთერის ძახილი არ ესმის. ესთერ-  
ის ხმა არც ისმის – ესთერი პირს ადებს, ყვირის,  
კისრის ძარღვები ებერება, ხმა კი არ ამოდის  
პირიდან... პირშივე იხმოზა ესთერის ხმა, „ეს-  
თერ, ესთერ, ასე რამ გაგალამაშა, ასე რამ გაგ-  
ამშვენებია, ესთერ! ასე ისტალები მშვენიერ-  
დებიან, კაცები რომ შყავთ“. ესთერი შორცხ-  
ვად იღმის, თავს ხრის, შერე ისევ ბაჩევას მოს-  
დევს. ბაჩევა გარბის, ესთერის ძახილი არ  
ესმის, ორჯერ-სამჯერ ხელი აუქნია. ესთერი  
შეჩერდა. დაიდალა? უი, გული როგორ უცემს!  
ბაჩევა კი კისკისებს. გარბის და კისკისებს, ეს-  
თერის გულსცემას არად დაგიდევს:

– რა ლამაზი ხარ, ესთერ, ასე რამ  
გაგამშვენებია?!

ესთერი დგას, ზანქანი კი ლოგინიანად წყ-  
ალში იძირება. ლალა ესთერი ადგილიდან  
არ იძერის, ნუთუ, ვერ ხედავს ზანქანის საწო-  
ლი ზღვაში რომ იძირება? „ჰა, ესთერ, ესთერ,  
განძვირი! ან ბაჩევა სად არის? უე სიღამაზე  
რას გიშველის, ყელამდე მოვიდა წყალი! აგე,  
ბაჩევა, თურმე ბაჩევა აწევდა ზანქანის საწოლს.  
რა ძლიერი ყოფილა ბაჩევა! სწორედ ბაჩევა  
გზავნის ზღვის ფსკერისაკენ მამის საწოლს.  
„ბაჩე, შეილო, რას შერები?!“

ზანქანს გამოეღვიძა. მიშდარეულმა მი-  
მოიხედა. ლოგინიდან წამოღვრომა ეწადა, ვერ  
იძეროდა. ეას ახედა. სარკმელშიც კარგად  
ჩანდა, რომ ეას მგრედისფერი დასდებოდა.  
„დალახეროს დმერთმა, ავი სიმშარი“. ძლივს  
წამოღდა, ხალათი მოისხა, არაგვზე უნდა ჩაე-  
იდე, ავი სიმშარი წყალს უნდა გაეგანო.

კარი გამოაღო. კართან მძინარე, მოღარავე  
ეუდას ფრთხილად აუბრა გვერდს, მდინარე  
ესთან ჩაევიდა. არაგვი რაღაცას ებუგბუგე-  
ბოდა ზანქანს. დაიხარა, ხელი გაღაიბანა, ჩემი  
უნაური სიმშარი ამ წყალს გააყვესო. ჩამოჯ-  
და. არაგვი, გამოთენის ხანს ძალას იკრებდა  
– მზე ამოვიდოდა თუ არა, მზის ქვეშ ისევ  
უნდა ებობოქრა, ათას ქვა-ლოლს კვლავ ჩაუ-  
ქალ უნდა გადაეულებოდა თავს. მდინარის პი-  
რას ჯლომამ ზანქანი დაამშვიდა. ალბათ, იმის  
გამოც, რომ ამასობაში ცისქვეშეთში სინათ-  
ლემ იმაგა: აი, ღობე ცხადად ჩანდა, ბოსგანიც,  
წამოღდა, უკან გამობრუნდა, იმ ოთახში შეიხე-  
და, რომელშიც იყავკობი იძინებდა, ოთახში  
არც შესულა, კარებშივე ხმადაბლა, ლამის  
ჩურჩულით თქვა: „აბრძანდი, იყავკობ, სადა-  
ცაა გათენდება მახრითი\* ვილოცოთ“, იყავ-  
კობი, თითქოს ამ ჩურჩულს ელოდაო, მყის  
წამოგა: „ახლავე, ბაგონო, ახლავე!“ ისევ ჩურ-  
ჩულით ამბობდა.

ზანქანმა პირი დაიბანა, ციციო-კატანი\* შრე-  
ბზე გადაიღო და გათი ჩაიყვა.

– შალომ ყალბევი! – თქვა დარბაზში შეს-  
ვლისას. მხლებლები, მშარეულები, უკვე  
აქ შეკრებილიყვნენ. ყველა ფეხზე წამოი-  
ჭრა. მანამ არ დასდნენ, სანამ ზანქანი თავის  
სკამთან არ მივიდა. იყავკობი – გამზდარი,  
აწოწილი, მუდამ მომღიმარი და გამელო-  
ტებული კაცი – ფეხაკრეფით მიუახლოვდა,  
ციციო,\* თეფილინი,\* სიდური\* წინ დაუდო  
და კვლავ ჩურჩულით თქვა:

– ორშაბათი დილა გათენდა ყველასათვის  
სახიკეთოდ! – ამით იყავკობმა ზანქანი გა-  
აფრთხილა ლოცვისას ორშაბათი დღლას საკ-  
ითხავე გქუსკები არ გამოგრჩევი.

– ვიცი – თავი დაუკრა და ხმადაბლა მი-

\* ციციო-კატანი – მატარა ციციოთი,

ჩომელსაც დღენიდაც ატარებენ.

\* ციციო – თეფი, ცისდერზოლიანი  
ლოცვისას მოსასხამი შივილი.

\* თეფილინი – ფილაქტერია, დილის

ლოცვის განუტრედი ატრიბუტი.

ზარცხენა მკლავზე იხვევენ.

\* სიდური – ლოცვისათა წიგნი.



უკო მანქანმა და ყველა ერთად შეუდგა დილის ლოცვას – ხმადაბლა, ლამის დიდნით ლოცულობდნენ, ხოლო მოგვიანებით, დღის საგალობელი „ეინ ქველოენუ“ რომ წამოიწყეს, მათი გალობა უკვე ახმაურებულ, არგახემაშებულ არაგვს შეუერთდა. არაგვის–პირში ტკბილი გალობა ისმოდა.

## ქ ს თ ე რ ი

მანქანი თავის მხლებლებიანად თვალს რომ მოეჭარა, იოხაბედმა ბაჩევას ჰკითხა: არანი სად არისო (მანქანს უთქვამს არანს მიეგუებო). ბაჩევა ფიქრში ჩაფლულიყო, შეკითხვა არ გაუგია. შიში დაუფლებოდა. ქვეშეყნულად გრძობდა, მანქანის გამგზავრება მიუღ მის ცხოვრებას ცვლიდა და სწორედ ეს გვრიდა შიშს.

ღელამ შეკითხვა გაუმოორა, ბაჩევამ ხმადაბლა, უღონოდ მიუყო: „არ ვიცი ლუღა, მგონი, იქ სადაც ძლიერ ცხელა“ და თავის ოთახში შევიდა მოსალოდნელი მონათელა და ჯვარისწერა ბაჩევას გაუცნობიერებულ შიშს კი გვრიდა. მაგრამ უშუსაღში ლგოლვა შიშს ჯაბნიდა. ყველა მისი სურვილი უშუს უკავშირდებოდა. ამასთან შედარებით ის შიში მაინც ფერმკრთალი იყო: უშუ ჩემს გვერდით იქნება და რა უნდა გამიჭირდესო, ხოლო თავს ლოგინში, უშუს გვერდით მწოლარეს რომ წარმოიდგენდა, ისეთი ფრუანგელი უვლიდა, ეწადა ეს ეამი დიდხანს გაგრძელებულიყო.

ლალა ესთერი თვალეში ჩაიქცვრდებოდა და ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით, ითქვა, ოთახში სხვა არავინ იყო, ეკითხებოდა: „ხომ არაფერი გაწუხებს, შეილო?“ არა, ლალა, არაფერი.“ „იყოღე, გამხელილი ჭირი, წელში გაგეხილი მგერია,“ ისევ ხმადაბლა, ისევ ჩურჩულით ამბობდა ლალა ესთერი. ლალას ალერსი ბაჩევას აბნეულა, ედილობდა მშერა აურიდებინა, რადგან ლალა სულში ჩასცქეროდა. მშერის არიდება ეწადა, მკერდში კი ბაღლივით ჩაეკვრებოდა, ისე ისეთი ალერსით ჩაიკრავდა აღმრდილს, ისე მიუაღერებდა, ბაჩევა, ცოგაცდა, მიუღ

თავის საიდუმლოს გაანდობდა.

ლალა ესთერს ამოლახავდა, ეწადა ხანახი საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადის უფლებას არ აძლევდა, გულისთქმას ენდობოდა, მაგრამ ვერ დაეჯერებინა, რომ მისი გამრდილი არაებრავლს შეიყვარებდა. ამგომ ეწადა მანქანთან საუბარი. გადაწყვეტილი ჰქონდა: შაბათი, დღისთვან კურთხეული დღე, გაბრძანდეს და კვირას ნახადილევს მანქანს ვთხოვ მომისმინოსო. ამ საუბრისას ზორაბაბელს მოსალოდნელ საფრთხესაც გაანდობდა და რჩევასაც მიიღებდა, მაგრამ კვირას მანქანი ისე გაუსხლგა ხელიდან, როგორც ონავარი ბაღლი ლოგინიდან გაეპარება რულმორეულ დედას.

ლალა ესთერმა გადაწყვიტა ასი თვალის და ასი ყური გამოეცა. ედილობდა ბაჩევას არაფერი გამოპარეოდა.

დილის მშემ ქალაქის ყოველ კუთხეში რომ შეიხედა და მუხლიც მოიოთხა, ბაჩევამ ლალა ესთერს უთხრა თინათისთან მიუღივარო და წავიდა.

ბაჩევას გასელისთანავე ლალა ესთერმა პირისახე შალით დაიბურა. შუკა-შუკა, მოკლე გზებით ირბინა და თინათის სახლთან ბაჩევამე აღრე მივიდა. ბაჩევა აუქნარებლად მომაჯალ ცხენზე იჯდა და მშვიდად ათვალეირებდა გარემოს. ესთერს პირკატა ეცა – ბაჩევა მარგო წამოსულიყო სახლიდან.

მშითი გამახსახებული მგერიანი ქუჩიდან ეკლესიაში შესულმა ბაჩევამ სივრილე იგრძნო. ვერაფერი დაინახა. მიუხედავად იმისა, რომ აქ-იქ სახილუები ენით, ეკლესიაში ვერაფერს ხედავდა, გარდა სახილუების მოლაპლაპე აღისა. ცოგა ხანში, მისი თვალეების გუგებში მშის ელვარება რომ ჩაქრა და სიბნელეს თვალის შეაქვია, სახილუებთან მღგარი, მავდრეული ადამიანებიც დაინახა. ადამიანები რაღაცას ბუგბუგებდნენ. „ღმერთს ესენიცი ჩვენსაყვით ევდრებთან?“ შევით გაიფიქრა ბაჩევამ. უკვე კარგად ხედავდა ყველაფერს. ეკლესიაში დუმილი დასადგურებულიყო. ხატების სიმრავლემ გააოცა ბაჩევა. ხატებზეც კი ადამი-

ანები იყვნენ გამოსახული. ოქროს ფერმა თვალი მოსჭრა. საითაც არ გაიხედა, ყვითელი ფერი აფრენილი ქორივით შეეფეთა. „რად უნდათ ამდენი გამოსახულება, ან ოქრო?“ ეწადა თინათოსთვის ეკითხნა ეს რა არის, ან ამ რკინაზე ვინ არის გამოსახული, ხმა ვერ ამოიღო, რადგან თინათი არ იყო, თინათი გვერდით არ ედგა და ესეუ თრგუნადა. თინათი რომ გვერდით ჰყოლოდა, ასე ხელფეხმკრულივით აღარ იქნებოდა – თინათიმ, თავი მტკიავო, თქვა და არ წამოვიდა.

ბაჩევა ნანახით იმდენდ იყო მონუსხული, ხმის ამოღება უჭირდა. ერთ ახალგაზრდა კაცს მიუახლოვდნენ – იმ მშვიდი მზერის და სათნო ღიმილის კაცზე უმუშ თქვა ჩემი სულიერი მამა როსტომიო. ბაჩევამ, ცხადია, ვერაფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი უმუს მამა ყოფილა. ვერც იმას ხედებოდა, ეს ახალგაზრდა კაცი რას ეკითხებოდა. უცნაურად, წამდურებით ელაპარაკებოდა. მერეღა გაუელვა თავში „ეს მამა როგორ იქნება, ალბათ, რაბი თუ არი, უმუს რაბი“ და მღვდელს კიდევ ერთხელ დაუქნია თავი. „უმუს რაბი“ თუ რამეს ეკითხებოდა, ბაჩევა ღიმილით უკრავდა თავს – ყველაფერზე თანხმობას აცხადებდა. კი, კი, რასაკერძეულია, თავად მონიღომა აქ მოსედა, არა, არა, ძალით არაივის მოუყვანია, მამ, იმიტომ მოვიდა, რომ მონათლოს, ცხადია, თავად უნდა, ასე სურს, რატომ? უმუს გამო, უმუ... უმუს... უმუს თანამეყხედრე უნდა გახდეს... მის გვერდით... უმუსთან ყოფნა ვერაივინ... ვერაფერმა დაუშალოს...

– დაფლოცოს ღმერთმა! – თქვა „უმუს რაბიმ“.

– ისე თქვა, როგორც ხახამ აბრაამი მეუბნება ხოლმე – გაუელვა ბაჩევას.

– მამ, დაეიწყით! – ისევ ღიმილით თქვა „უმუს რაბიმ“ და წავიდა. მამა როსტომი მიდიოდა და რაღაცას ბუბუბუბებდა, უმუ და ბაჩევა უკან მისდევდნენ.

უმუ ბაჩევას გადმოხედა, ღიმილით გააშხნევა. ეკლესიიდან მზით გაჩახჩახებულ ეპოში გამოვიდნენ. ეპოდანაც გავიდნენ და გზავიწროს დაადგნენ. წინ მამა როსტომი მიდიოდა.

მისი განიერი მხრები ყველაფერს ფარავდა. არ ჩანდა საით მიდიოდნენ. უმუ რაღაცას ეძებდა პარაკებოდა, ბაჩევას კი არ ესმოდა. ღრმად ეძებდა, რომ უმუ აქ იყო, მის გვერდით მოდიოდა, მიმავალი ღამის ცხვირწინ ხოხბები აუფრინდნენ. მამა როსტომი შეჩერდა, მზე ხელით მოიჩრდილა და ხოხბებს მაჩერდა, მერე თავი გადააქნია და გზა განაგრძო.

მტკვრისპირას მივიდნენ. „უმუს რაბი“ ანაფორის გაუხდელად შევიდა მღვრიე მდინარეში. ბაჩევას ხელი გამოუწოდა, მომყვილო. ბაჩევა უმუს მაჩერდა – როგორ მოვიქცეო, ეკითხებოდა. უმუ ღიმილით დაუქნია თავი. ბაჩევა მამა როსტომს მდინარეში შეჰყვა. ჯერ კიდევ ცივი მტკვარი ბრაზიანი ლეკვივით ეცა ბაჩევას.

მამა როსტომი რაღაცას ბუბუბუბებდა. დროდადრო ქალს კითხვებს უნაცვლებდა, თუმცა, ბაჩევას ბევრი რამ არ ესმოდა და „უმუს რაბის“ ღიმილით უქნევდა თავს. მამა როსტომმა პეშეში მოქცეული მდინარის წყალი თავზე გადააველო. ერთხელ, მეორედ, მესამედ. მერე ხელი თავზე დაადო, დააწვა კიდევ – წყალში ჩაყრუყმალეზას თხოვდა ბაჩევას. ბაჩევამ, ისევ მზერით, უმუს ჰკითხა რჩევა. უმუ კვლავ გაუღიმა – ნებას დააყო. ბაჩევამ სამჯერ ჩარგო წყალში თავი. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა, თმა დაებლანდა. მერე „უმუს რაბიმ“ ჯიბიდან ოქროს ჯვარი ამოიღო, ბაჩევას შუბლზე ეამბორა და წამდურებით თქვა:

– ღმერთმა გაკურთხოს, სიღონია. შენი წინაპარი იყო სიღონია, ქრისტეს რწმენის ჩენი ბულებისაკენ გმის გამკაფაუი. გზარვიდეს მისი მადლი – მამა როსტომმა ბაჩევას ხელი გაუწოდა – მობრძანდი, სიღონია – თავად წინ გაუძღვა. მტკვარზე გადასასულელი აქანაგებული ხიდიდან სწორედ ამ დროს გაისმა კაცის ხმა:

– უმეველით, მიმეველით!

მდინარეში რაღაც ჩაგარდა. წყლის მხეფები ღამის ხილს ასწვდა. ყველამ იქით გაიხედა. მდინარის მუდამირზე არაფერი ჩან-

და, ეგ არის, რომ იმ ადგილას, სადაც რაღაც თუ ვიღაც ჩაეარდა, წყალი გორგმანებდა — შემინებული ბავშვის გულივით ცახცახებდა.

— აქეთ, აქეთ ჩაეარდა! — იძახდა ხიდზე მღვარი კაცი და ხილს ქვემოთ უთითებდა. მამა როსტომი მდინარის სიღრმეში მებრუნდა, მიხვდა ანაფორა ცურვამი ხელს უშლიდა, გაიხადა და ბაჩევასკენ მოიხროლა. ბაჩევა კი ადგილიდან არ იძვროდა. გაოგნებული იდგა, ანაფორის გადმოვლებაც კი ვერ გაეცნობოდა. მდინარეში უშუქ გადაეშვა. ორივენი — მამა როსტომიცა და უშუქ — აღმა მიეურავდნენ. მალე მიაღწიეს იმ ადგილამდე, სადაც ის, ხიდზე მღვარი კაცი, ათითებდა. ჯერ უშუქ ჩაყვინთა მდინარეში, მერე მამა როსტომმა. ვერაფერი ვერ იპოვეს. მამა როსტომმა თქვა:

— ეშმაკეული ხომ არ იყო? ასე უცებ სად გაქრა! — მერე ხიდზე მღვარ კაცს ასახა — ეშმაკეული ხომ არ იყო, ან ხომ არა მოგჩვენა?!

— მოჩვენებას მოგვემ მე შენა, თუ ჩამოვედი მანდა, რას მიქვიან, მომჩვენა, ქალი აფე აქ იდგა!

სწორედ ამ დროს გაისმა ბაჩევას კივილი. ბაჩევა განწირულის ხმით ჰკიოდა, რადგან მიცვალებული ჯერ სწორედ მის ცხვირწინ ამოაგლო მდინარემ და მერე აქაფებულმა გალღამ ფეხებში შეუვლო.

ორივემ — უშუქამ და მამა როსტომმაც იქით გაეურეს. უშუქ ბაჩევას ჰკიდა ხელი, მამა როსტომმა დამხვრჩაღ ქალს ჩააულო მარჯვენა და როგორც იქნა, გვაში ნაპირზე გამოიგანეს. ხელს ძლივს ითქვამდა ბაჩევა. მამა როსტომმა გვაში მიწაზე დაასვენა, პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— იდიდოს, უფალო, სახელი შენი! ეს ქალი დამხვრჩავლი არ არის, ერთი წვეთი წყალიც არ გადაუკლაპავს... როგორ უცებ ვამავედა. ამას ჯერ გული ვაუსკდა, მდინარეში მერე გადაეარდა — კარგად დააქერდა და თქვა — შეხე, ყელზე რა უკეთია! ისრაელიანია! — მამა როსტომმა ისევე პირჯვარი გადაისახა და შემინებულმა უკან დაიხია.

ბაჩევამ ეს რომ გაიგონა, წამოდგა, უშუ უმაღ

გვერდით ამოუდგა, ნაბიჯარეული უახლოვდებოდა გვამს. თუმცა, არც არის ხეობის გრძნობს... იცის ბაჩევამ ვინც არის... კარგად გრძნობს... ყველაფერს ხვდება ბაჩევა, მაგრამ უშუ მარჯვენა ჩაუვლია და მოჰყავს. ერთად მოდიან ცხედრისაკენ. აბა, მოვიდა, დახვდა ბაჩევამ... რასაკვირველია, ესთერია, ლალა ესთერია! ლალას როდის მიუგოვებია ბაჩევა, ან რაგომ ეგონა, რაგომ იფიქრა ბაჩევამ, რომ დღეს მოაცილებდა მშერას?


ლალა ესთერს თვალები თითქოს იმისთვის დარჩენოდა ღია, რომ ბაჩევას ყელზე ჩამოკიდებული მოქანავე ჯერისათვის გაოცების გამოშხატველი მშერა არ მოეცილებინა. ბაჩევას ეჩვენებოდა ასე, თორემ... ბაჩევას სირცხვილი დაეფულა — მოქანავე ჯვარი ხელით შეაჩერა. იმ საღამოს ლალა ესთერის გვამი მიწაში რომ ჩაუშვებს, ხახამ აბრამი მიცვალბულის წინგამძლოდ გექსტს რომ კითხულობდა, ხოლო საფლავთან შეკრებილი დამწუხრებული მამაკაცები „ამენს“ რომ შესძახებდნენ, ხეზე ამპერალმა ერთმა პატარა ბიჭმა ხალხს გადმოსძახა:

— გაქრისტიანებული ბაჩევა, ქრისტიანი ბაჩევა! შეხედეთ, ჯვარი!

ისრელიკო „პრანჭიამ“ ორიოდ ნაბიჯით უკან დაიხია, მებრუნდა და სირბილით გაეცაღა შეკრებილ ხალხს. ისხაკია „დაბაღმა“ ბაჩევას მიზლის გამოშხატველი მშერა არ მოაცილა, თვალისდაუხამხამებლად იხვედა უკან — ასე ეცლებოდა იმ ადგილს, სადაც ბაჩევა გამოწნდა, დანიელა „მწიფე“ სირბილით დაეშვა ბეჭობიდან, რომელმაც სასაფლაო იყო, ხოლო ქარელელმა შათულიამ დონიჯი შემოიყარა, მერე ხელი ბაჩევასკენ გაიშვირა და თქვა:

— ვისაც თქვენი ოქრო-ვერცხლი შემურდეს, იმას დაექცეს სიყვარულით ნაშენები ოჯახი!

— შეჩერდი, ჯამათო, მიცვალბულის დაბაგიონებას, გამწენი გვაველებს! — გაისმა ხახამ აბრამის მშვიდი ხმა. ყველა ხახამ აბრამს მიუბრუნდა, გაქცეულნი შეჩერდნენ. ხახამ აბრამი კი ბაჩევას მოუკრიაღდა — ჩვენო საბრალო, საეკლავი მანქანის ასულო, შენ,



აღბათ, არ იცი, რომ ისრაელისშვილის დასა-  
ფლავებებზე დღეაკაცის ყოფნა არ იქნება. არც  
ებრაელის, არც - არაებრაელის. მანამ სანამ  
ქალი აქ იქნება, მიცვალეხულს ვერცერთ წესს  
ვერ შევესრულებთ. - ხახამ აბრაამი შეყ-  
ოენდა და სათნო ღმირლით დასძინა - მოგ-  
ვიტევე, მანქანის ასულო!

ბაჩევაშ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და  
შეჩერდა. ლამის ბეჭებში გაველო ჯამაათის  
წვერთა მშერას. რაღაცის თქმა ეწადა, ვერ  
თქვა. ცრემლებიუ აწვეებოდა. ვერ გიროდა.  
ჯამაათიუ დუმდა - ხმას არ იღებდა, თორემ  
ნეტავ, ჩაგვხელათ მოშია „ყურუყურუს“, ყო-  
ბია „ყანჩას“, დანო „ტრიკიანის“, არონია  
„ფათა-ფათას“ თვალეხში.

და წავიდა ბაჩევა.

ხახამ აბრაამა კი გაიფიქრა:

- მანც ისრაელია, ჩვენ წესს დაემორჩილა,  
წავიდა.

მერე არეს მიელო ხახამ აბრაამის მშვიდი, აუ-  
ლელეხელი ხმა იგი მიცვალეხულს კადიმ<sup>\*</sup> უკითხ-  
აუდა. ჯამაათი კი ხმაშეწყობილად შესახებდა:  
„აქმ!“ ჯამაათის ხმა ბეჭებს გადაეხლებოდა.

ბაჩევა კი ქვევით ეშვებოდა. იქ, ქვევით უშუ-  
ელოდა. შეჩერდა. ჯამაათის ხმა მარგოობის  
განცდას უბლიერებდა. ძალიან უშწეოდ იგრძნო  
თავი. სხვა მხარეს წავიდა, იქ არც არაეინ იყო,  
ვერც ვერაეინ დაინახაუდა.

ი ფ რ ე მ მ ო ნ ი ბ ი რ ი

ფურემ მოიმიჩს არცერთი თავისი ნაბიჯი,  
არცერთი გადაწყვეტილება არ უნანია: ან-  
დრეი ბოგოლუბსკისთან ყრმობის ასაკიდან  
შეგობრობდა. თავად შავგვრემანსა და მორ-  
ჩილი ტანისას, ძლიერ უყვარდა ეს ქერა,  
როხროხა, წითელლოყება რუსი. ანდრეიუ  
ერთგული და მოყვარული შეგობარი იყო.  
ფურემ მოიმიჩისა და ანდრეის შეგობრობას  
ერთხელაც არ დაღამებია - მუღამ მშაინი  
დიღა ეღდა.

ჯორივით ამგანი კაცი იყო ანდრეი. მუშო-  
ბელ სამთავროებთან ოშიში (რაც არ უნდა  
დიდი ოში ბქონოღა სუზღალის დიდ მთავარს,  
ფურემ მოიმიჩი იცყოღა ჩხუბი გვაქეს, მუ-  
შობელ სამთავროს ამოღენა გყე, მღინარე და  
სახნაუ-სათესი უნდა წავართუათო) ეს ამგა-  
ნობა დიღად ადგებოდა, მაგრამ ჯორივით  
ჯიუტიც რომ იყო?! რამდენს ეცადა ფურემ  
მოიმიჩი ძმების შერიგებას, ესეეოლოღს და-  
უთმე, ვერე ნუ ჯიუტობო, არაფერი გამოუეი-  
და, ჯერ ერთი, დიდი მთავარი ერთობ შეუს-  
მენელი კაცი იყო, მეორეუ ძლიერ სჯეროღა  
თავისი სიმართლისა, ეგ რომ დიდი მთავარი  
იყოს და მე უქონელი, სიციხელესაც არ შე-  
მარჩენდა: ვაითუ, ტახტი წამართუასო. მარ-  
თალს ამბობდა დიდი მთავარი ანდრეი  
ბოგო-ლუბსკი: ესეეოლოღისაგან არც ფურემ  
მოიმიჩი ელოღა სიკეთეს - გული ცულს უთქ-  
ეამდა. ერთ დიღას ნადირობიდან მობრუნე-  
ბულ მთავარს გვერდით მიუჯდა და ეუბნება:

- თუ კაცს ყველაფერს წაართმევ, ისა სჯო-  
ბია, მოკლა!

- ეგ რაგომ, რისთვის?! სიკვდილი სჯობია  
სიღარიბეს?

ბევრისთვის სწორედ ეგრეა, ბევრისთვის  
სჯობია, როგორ არა სჯობიაო, მიუჯო ფურემ  
მოიმიჩმა, შუნც ეგრე გერჩიოს: ან სალოღნავი  
უნდა მისცე, ან უნდა მოკლა. ესეეოლოღს  
შენ ყველაფერი წაართვი, ახლა აღბათ, სულ  
იმამე ფიქრობს, შენ როგორ მოკლასო.

ანდრეი ბოგოლუბსკიმ სიცილი დაიწყო.  
გულიანად იყინოღა. ფურემ მოიმიჩი კი გულ-  
მოკლული შეჰყურებდა. იმ დღის მერე აღარც  
უნახავს დიდი მთავარი - ცოცხალი აღარ  
უნახავს, თორემ, მკვდარი.

ანდრეის ცოლი - პირბადრი, ცისფერ-  
თვალეღა დედოფალი ეკატერინე - ლოგინში  
რომ წვებოღა (მთავარე უკვე საფახმშოდ იყო  
წასული, სანამ უნდა დალოღებოღა სანად-  
იროდ წასულ მთავარს), საბანი გადასწია და

\* შახრითი - დიღის დოკვა.

\* კადიმი - მიცვალეხუღის სულს

მოსახრებელი ტექსტი



ბალიშზე ქმრის მოკვეთილი თავი დაინახა. უკებ ვერც მისვდა რა უნდა ყოფილიყო ეს სიმავემორეული ხორცის მასა, ბალიში სისხლით რომ მოეთხვარა, მერე...

დელოფლის კივილმა მთელი სახახლე შესძრა. მთავრის დიდებულთაგან, ახლობელთაგან ყველა სახახლეში რომ დაიგულა, სწორედ მაშინ მობრძანდა ვსევოლოდი, ცხენით შემოვიდა დარბაზში და ვისაც მოეპრიანებოდა მათრახს იმას გადაუკერდა. მერე ძმისშვილი მოიკითხა – იური. დელოფლმა საფრთხე იგრძნო თუ არა, თავი წამოსწია და იკითხა, «ეგ როგორ, ჩემი შეილიც ხომ მამასთან იყო სანადიროდ, ის კი ცოცხალი გადავირჩა?» უფრემ მოიმიჩინა დელოფლის ეშმაკობას მიხვდა, ვსევოლოდს თავი მდაბლად დაუკრა და უთხრა:

– მომიყვებ დედა-შვილი.

ვსევოლოდი ერთხანს ჯიუტად დასცქეროდა უფრემ მოიმიჩინა, მერე კბილები გააკრაჭუნა და ხმადაბლა თქვა:

– მოყვდი, მაგრამ ძვირად დაგისევამ...

– ნამდვილი მეგობრობა იაფი არც არასდროს ყოფილა.

ძმის მკვლელმა ახალმა მთავარმა უფრემ მოიმიჩინა მოსთხოვა ამაღამვე გაეცალეთ აქაურობას, აღარც შენ დაგვედგომება სუბალაში, ამას კი, ძმა ვარ და მე დავმარხავო.

მეგობრის ცოლი ეკატერინე და შვილი იური იმავე დამეს წამოიყვანა უფრემ მოიმიჩინა. ვსევოლოდს კი თავისი სიგყვა სანანებლად ექვა: ასე რად მოვიმორე ის ურია, დახეთ, როგორი მეგობრობა სცილდნიაო.

იმ დროის სუბალას სამთავროში ყველაზე მეტად მეგობრობა ჭირდა. კაცის ყელის გამოზღაბრავე იოლი საპოვნელი იყო, მეგობარი ერთობ – ძნელი. ამიტომ ნანობდა დიდმთავარი ვსევოლოდი მოიმიჩინა დათხოვნას.

უფრემ მოიმიჩინა კი არაფერს ნანობს: მეგობრის ოჯახს უპატრონა. რა ხანია ყიფიყიფის ცხოვრობს, აქაც დიდგაჭარია, შეილები წამოეპარდნენ, თავიანთ ცხოვრებას თავად მიხედეს, ქვეყანა პატივსაც სცემს. ერთობ მდიდარი კაცია, მაგრამ ხალხი მის ყველაზე დიდ სიმდი-

დრედ მაინც ცელაკის\* გაცემის ნიშნით იჭრებოდა. ებრაელთათვის ხაველდებულ წყნარ მდინარეს ხაველის შეათუდი ღარიბ-ღაგაკათის უნდა გაიღო, არაღ დაგიღევს. მეგს გასცემს. ვის არ უმართავს ხელს – ქრისტიანს, მუსლიმს, თუ ებრაელს ერთმანეთისაგან არ არჩევს. დიმილით, სიცილითაც კი იგყვის ხოლმე.

– ყველანი აღამიანები არა ვართ? პირი, კუჭი, ყველას ხომ ერთნაირი გვაქვს, ერთნაირად ვსუნთქავთ და ერთნაირად ვკვებებით?

მუდამ მომიღმარა, ლაღი ეფრემ მოიმიჩინა ამასაც ამბობდა ხოლმე: ღმერთს ჩემთვის ოქროთუხუცესობა არ დაუვალებია, არც რამ კლიგენი ჩაუბარებია, ის შეეინახო, რახაც მამლევს. იმ ხალხს გამჩენი ჩემი ხელით ამლევს და მადლობელი ვარ მე რომ ამ საქმისთვის ამოვირჩიაო.

– ეს უფებები ჯირკვიით არ მქონდეს, ჩემო მანქან, ხო წამოვხატავოდი და ძველებურად ხომ მოვებუოდი. – წამოიძახა მანქანის ხილვით ნასიამოვნებმა უფრემ მოიმიჩინა. მანქანა თავად დაიხარა, მოქებია, ბეჭებზეც ეამბორა.

ბევრი იბაბსეს, საღილიც მიირთვეს, ხილიც იხილეს, იყინეს კიდეც (უფრემ მოიმიჩინა უკვარდა სასაიცილო ამბების მოყოლა), მზე რომ გადაიწვერა და საღამოც ჩამოვდა, მანქანმა თქვა:

– ბოგოლუბსკის ოჯახთან დიდი მეგობრობა გქონდა...

– ახლაიც მაქვს... ეე, დიდი კაცი იყო მამა მაგისი – დირსეული.

მანქანმა უფრემ მოიმიჩინა უამბო ყიფიყიფის ჩამოსვლის მიზეზი, თუქცადა, ყველაფერი არ თქვა, ვესურს ეგ ყმაწვილი ჩვენი მეფის მეუღლე გახდესო, არ უთხრა. ერთ დიდ მთავარს სწავლია სიძელ გაიხადოს, მაგ უფლისწულს დიდი ბედი უღის, როგორ მირჩევ, რომელი მხრიდან მიუვლე ამ საქმესო.

– ეე, როგორი რიდი აქეთ ქართველებს უცხოელებს! – დიმილით გააქწია თავი მოიმიჩინა – ბოგოლუბსკი რისთვის ირჩიეს, რა დირსება ჰპოვებს?

– სამეფო სისხლისაა, ერთმორწმუნე და ამადაც ინდომეს – მიუგო მანქანმა.

უფრემ მოიმიჩინა გაბლაზე ხილს დააცქერდა,

კარგა ხანს დუმდა, მერე მანქანს ჯიქურ ჩახედა თივლებში და კითხა:

– მოხარო, შენ რაგომ გაერო ამ საქმეში?

ეს ის კითხვა იყო, რომელზე პასუხიც მანქანს არ ჰქონდა. უფრემისათვის ყველაფერი რომ გაემილა, უნდა ეთქვა სამეფო დარბაზში დამავალაო, მაგრამ ახლა სამეფო დარბაზს ვერ ახსენებდა.

ამიგომ თითქოს სხვათა შორის მიუვო:

– მოხვეს და მეც ვერ ვუთხარი უარი.

უფრემ მოიწინა კარგა ხანს დუმდა.

– ის თუ შეგიძლია, მაგ საქმეს გაეროდო?

– ხმადაბლა, ფიქრიანად იკითხა, ცოცხა ხნის შემდეგ კ დასძინა – თუ მოახერხებ, ამ საქმისათვის თაღის დასაღწევად, ოქროც არ დაიმურო.

მანქანი დუმდა. ამკარა იყო, უფრემ მოიწინა არ მოსწონდა ქართველთა არჩევანი, მანქანმა ინანა კიდევ აქ მოსვლა. „რისთვის მიუვდი, მე დარბაზში ბოგოლუბსკისთან გარიგება დამაუვლა და არა ამასთან მოთათბირებო“, მაგრამ არა, ეს საქმე ხომ საქართველოს საკეთილდღეოდ კეთდება.

– ახე რაგომ, რისთვის ელგვიან ქართველნი უცხოელთ, თქვენში რაგომ ჰგონიათ, რომ ისინი ქართველებზე უკეთესნი არიან! – მე არ გირჩევ ამ საქმეში გარეგანს. იმაზე იფიქრე, როგორ შეიძლება თავი დააღწიო. მანქანმა თქვა:

– ჰო, მაგრამ თუ ეს საქმე ჩემს ქვეყანას გამოადგება?

უფრემ მოიწინა პასუხი არ იქცარა.

– შენს ნათქვამში ის მომწონს, ჩემი ქვეყანაო, რომ ამბობ. კი, შენი ქვეყანაა, და უნდა ემსახურო, მაგრამ... – ისევ აუქცარებლად ლაპარაკობდა უფრემ მოიწინა – მაგრამ... რომ არ გამოადგეს? შენს ქვეყანას ვუკაცი რომ არ გამოადგეს? – გაიუმბა, მანქანიც უხმოდ იჯდა. მსახური შემოვიდა, ფუხაკრუფით დადიოდა, სანთლებს ანთებდა – გულახდილად და პირდაპირ გეტყვი, მანქან, – ვუკაცი, ბოგოლუბსკი, საქართველოს არ გამოადგება და როცა იქ დაინახავენ, თუ როგორი კაცი იწვიეს სიძელ...

კიდევ კარგა ხანს იბაასეს უფრემმა და მან-

ქანმა. მანქანი რომ ქენაში გამოვიდა, არეზარე ვარსკვლავებს გაებრწყინებდა, იმეშაყი გაახსენდა. გაიფიქრა:

– ვერა, ვერე შინ ჯდომა – ეკვიანი და უნლო ხდებო.

და მანქანმა ძალიან უბრალოდ აუარა გვერდი პასუხს, რომელსაც ეძებდა. პასუხი გვერდზე იდო, სულ ახლოს – ვერ შეამჩნია და ჩვეულებრივად განაგრძო გზა.

## ი ო ხ ა ბ ჯ დ ი

მანქან მორაბაბელის მამას მორდებს – ახეთი ჩვეულება ჰქონდა: ებრაული ახალი წლის – რომ ჰამანის წინა დღეებში, მიუღი ქართლის სოფელ-ქალაქს დაივლიდა, ყოველ სოფელსა, თუ ქალაქში ბეით-ქნესეთში მიდიოდა, ღარიბ დაგაკოთა სახლები მიმასწავლეთო, ითხოვდა. ღარიბებს შინ მიადგებოდა და სახარჯო ფულს უგოვებდა: ახალი წელი დგება, ყველამ სიხარულს მიეცეთ თავი, აბა, რა ვიცი, მომავალ წლამდე გამჩენი რა სიკეთეს გამოიმეტებს ჩვენთვისო.

მოგიერთის ებოში ჩამოჯდებოდა, ჰიდან წყალს ამოადებინებდა, მასპინძლებს გამოელამარაკებოდა და ისევ გზას გაუდგებოდა. შინ სწორედ რომ ჰამანისთვის ბრუნდებოდა. საახალწლო სუფრას მით უფრო ემყოფილი და ნასიამოვნები მიუჯდებოდა, რაც მეტ ღარიბ-დაგაკს დაუგოვებდა სარომ ჰამანოდ სახარჯო ფულს: ახლა ისინიც საახალწლო სუფრას უსხედანო. ჰიწლისა იყო ეს მადლი რომ დაიწყო, ოთხმოცდათორმეტამდე მოჰყვა ძალი – ფული არახსოვს არ გაუგზავნია, თავად დადიოდა სოფელ-ქალაქს, თავად ნახულობდა ყოველ ოჯახს: მადლი სწორედ ეს არისო, ფიქრობდა. ოთხმოცდათორმეტისა რომ გახდა, საღამო ხანს ღოგინში ჩაწვა, „შემაყ, ისრაელ“ წარმოთქვა და დაიძინა.

დიღას „შემაყ, ისრაელ“ აღარ უთქვამს – ევლარ გაიღვიძა.

იოხაბელი ქარელში, იხხაკია „ღრანჭას“ ოჯახში ნახა – დიდთვალეა, გუჩიხელი და

მკერდსავე გოგო იყო. შელის ნუკრს ამ მიწურში რა უნდაო, გაიფიქრა და ისხაკია „ღრანჭას“ მოუგრიალდა:

– ბიჭი მყავს თვრამეტი წლის, შენი გოგოც იქნება თოთხმეტის – იოხაბელს მშერას არ აცილებდა – მგონი, გამჩვენმა სარძლო მაპოვნინა. შენ რას იგევი?

ისხაკიამ მოუგო, მე ამჟინს გარდა არაფერი მეთქმისო.

მამ, ეს გოგო ჩემი ზანქანისათვის დამინიშნავს, „სიმხათ თორამი“\* ჩამოვალთ, ხუფისათვის\* გაუმზადეთ – თქვა მორდეს მორაბაბულმა, კიდევ ერთხელ გადახედა იოხაბელს და ისევ გაუღევა თავში: შელის ნუკრს ამ მიწურში რა უნდაო. მერეღა იკითხა: წიგნი თუ იყისო. ისხაკია „ღრანჭას“ გაუღემა და კიდევ უფრო მოექცა სახე: – ეგ რა ჩვენი საქმეა, ბატონო, სამაგისო ან ბუდი ვინ მოგვცა, ან – ფული, ან სულაც... რისთვის არი საქირო, რა სიკეთის მომგანი ეგ არისო.

დაღონდა მორაბაბული, იფიქრა, იფიქრა და თქვა:

– აბა, ასე მოვიქცეთ ჩვენ: აბა, შენ ეს ფული, გოგოს ხეალ დილიდანვე დააწყებინე ლამონ ჰა კოდეში\* და ქართულით წერა-კითხვა, სიმხათ თორამი ქეთუბა\* კი არა, ნიშნობა გადავიხალოთ, ქეთუბა კი ხანუქის მერე წაეკეთხოთ. ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ წერა-კითხვაში გაიწაფოს. ხომ გავიგია: ეინ თორა, ეინ ქობა!\*

ისხაკია „ღრანჭას“ გამოჩენილ, სახელოვან კუთონ დამოყვრება არ გახარებია ისე როგორც ამდენი ვერცხლის დანახვა – მორდეს მორაბაბულს ფული არც დაუთვლია, ჯიბიდან ამოიღო და ისხაკიას პეშეი გაუვსო. იოხაბული იხმო და სახელი კითხა, მერე კი უთხრა:

– დღედან ჩემი ძის – ზანქან მორაბაბუ-

ლის დანიშნული ხარ, სწავლას უნდა შეუდგე, რომ წიგნის კითხვა შეგეძლოს, შენი საქმრო ისეთ იუმბაში\* დადიოდა, ივრუშალიმში აღარ არი მაგნიარი – მერე ისევ ისხაკია „ღრანჭას“ მიუბრუნდა – ნიშნობის წინ ჩემს ხალხს გამოვიგზავნი, ისინი მოამზადებენ ყველაფერს ამის შვითევი პატიოსნება და წიგნი იქნება.

გუილისში მიბრუნებულმა მორდესმა დილას, ბეთი-ქნესეთში წასვლისას ზანქანს უთხრა:

– მომილოცე, შეილო, რძალი შევიგულე – შენი მომავალი ცოლი. ისეთი გოგო შეგიჩივ, გუილის-ქალაქში მაგნიარს არც გაუღეია.

ნიშნობის გადასახედად, მართლაც, სიმხათ თორამი ჩავიდნენ ქარელში. მორდესმა ცხენიდან ფეხი გადმოღვა თუ არა, იოხაბელს კითხა სწავლის საქმე როგორა გაქვსო. ისხაკია „ღრანჭამ“ შეიღს დაბსწრო: ამან რომ ისწავლა, ბარე ორს არ დავსიმზრებარო. მორდესმა კიდევ ერთი პეშეი ვერცხლი დატოვა, სწავლისთვის არაფერი დაიშურითო.

საქმე ის იყო, რომ ამ ერთ თვეში იოხაბული კიდევ უფრო დამშვენებულიყო. მორდესმა შეიღსაც შეატყო და შეუღელსაც, რომ ოჯახისთვის არჩევანი მოსწონდათ. ამან კარგ გუნებაზე დააყენა. ცხადია, არ უწყობდა, რომ იოხაბულმა დღესაც ის იყოღა, რაც რომ ჰამანის წინ, სიღარიბის მიშეში მხოლოდ უღბლობა და ხელმოყარულობა როდიღა – სულმოკლეობა და უგუნურობაც.

ისხაკია „ღრანჭამ“ როგორც ნამდვილმა ყამბარეცმა,\* ამდენი ვერცხლი რომ დაინახა, ლამის ხუნთქვა შეეკრა, თავისსავე მიწურში მიწა ამოთხარა, ვერცხლი ქოთანში ჩაყარა და მიწაში ჩამარხა. იმ დღედან ჭილოფი სწორედ იქ ჰქონდა გაფენილი, სადაც ქოთანი ჩამარხა. თუ დამე იყო, მედ იწვა, თუ დღე,

\* შემავე, ისრაელ – იმანვე ისრაელ!

\* სიმხათ თორა – შემოღობის დღესასწაული, კარგობა.

\* ზეთა-ქორწილი

\* ქეთუბა – საქორწინო ხელ შეკრულება, ქორწინება.

\* ლამონ ჰა კოდეში – წმინდა ენა. ასე უწოდებენ ებრაულ ენას.

\* ეინ თორა, ეინ ქობა – არ არის ცოდნა, არ არის ძალა.

\* იუმბა – სასწავლებელი, სადაც ძირითადად დღისიმეტყველებას ეუფლებიან.

იმ ადგილს არ სცილდებოდა — იქ იჯდა. მიწას მჭერაგაბრწყინებული დასცქეროდა და ფიქრობდა: „ვითომ რით არა ვარ ხონთქარი, რა მაკლია, თუ მოვინდომე, ორმოცდაათ აგლასის ხალაის და ქოშს ჩავეცემე“ ცოლს არ უმხელდა ამდენი ვერცხლის პაგრონი გაეხდო, არც შვილს — „მაგასთან რა ხელი მაქვს, სგუმარია. ხვალ-მეგ მოვა ის კაცი, წაიყვანს და მორჩა!“ იოხაბელს წერა-კითხვა ვასწავლო, არც უფიქრია. „კემმა შვილმა ყველაფერი იცის: მუხულოს მოხარშეა და დღეებე თეთრეულის გარეცხეა, სხვა რაღა უნდა!“

ქორწილში თავისი მოყვრის სახლ-კარს, სიმდიდრეს რომ მოაგლო თვალი, ქარელში სხვა კაცად დაბრუნდა — სულ იმ ჭილოფს დასგრიალეუბდა თავს. სოფლად თუ გავიდოდა, შედაც არავის უყურებდა, თავის სოფლელებს, გუშინდელ გოლ-აშხანაგებს შესძახებდა — თქვენ ვინ მიგდობართო. ქარელელები კი, ქართველი იქნებოდა, თუ იუდეველი, თავში წაუთაქებდნენ რა ყვინივით მიდი-მოდინარ სოფელშიო. ისხაკია „ღრანჭა“ გაიძახოდა, ყვინი ვინ მიგდია, ერთი მაგის ოხერ-მუღრევი დედაყო.

ყვინობა ამოიხემა, ჭილოფს აღარ სცილდებოდა, დღეცა და ღამეც შედ იწვა, ან იჯდა და ბუგბუგებდა „რით არა ვარ ყვინი, რითეინ არა ვარ ყვინი!“

— ალუ კაცო, სოფელში გაიარე! — შესძახებდა ცოლი — მაგ ჭილოფს რა დარაჯად დაუდექ! არათო, ერთი წუთითაც რომ გავეყოლო, ჭინკები დაეპაგრონებიათო — ფიქრობდა. ყვინობის სურვილმა და ჭინკების მიშმა ამ საბრალოს ჭკუა ისე აურია, გულმაფიწყობის სუნმა შეიპყრო, ძალიან მალე ეს სენი ისე გაუბლიერდა, ისე კი დააეიწყდა, იმ ჭილოფს რისთვის დარაჯობდა. მალე ლოცინად ჩავარდა, იმ ჭილოფიდან ვეღარ დგებოდა. ცხადია, აღარც ჭილოფქვეშ, მიწაში მოქცეული განძი ახსოვდა და ცოცხა ხანში ისეთივე ღარიბ-ღაგაკად ამოხდა სული, როგორცაე მორღეს მორაბაბელის გამოჩენამდე ცხოვრობდა. მიწაში ჩამარხული განძის ამბავი ცოლმა არ იყო და ისხაკია ჯამათამა თავი-

სი ხარჯით დაასაფლავა.

მორღესმაც და მანქანმაც გვიან ამოიხსნენ, რომ იოხაბელმა წიგნი არ იყო და. გული ძლიერ დაწყდა, მელამელი\* მიუსყეს, მაგრამ ვერას გახდნენ. — თვალწარმგაცი იოხაბელი სიგვეა-პასუხითა და თაქამიანობით არ გამოირჩეოდა. ვიდრე ხმას ამოიღებდა, საამო სანახავი იყო, თუ რამეს იგყოფდა, ყურებზე ხელები უნდა აგეფარებინა. მორღეს სიხარული სინანულით შეეცვალა და დაასკენა: ალბათ, ღმერთს ჩემი დასჯა ეწადა და ასე დამსახავო. ბოჯანოთა ოჯახში აღმრდილი იოხაბელი, მას შემდეგ, რაც მორაბაბელთა ოჯახში შემოვიდა, ბრძანების კილოთი ღაპარაკს დაეყვია. მსახურთაღში ისეთი უღმობელი იყო, მორღეს მორაბაბელსა და მის მეუღლეს გული უელიოდათ. დედამთილ-მამამთილს კი იმდენად უკმუხად ელაპარაკებოდა, თითქოს თვითონ იყო სრა-სასახლის პაგრონი, ესენი კი მასთან შემოხიზნულნი. ამიგომ გაყლა ამჯობინეს, თავიანთთვის ფუთხანმევე ახალი სახლი აამუენებინეს, შეიღ-რძალს კი სასახლე დაუგოვეს.

იოხაბელს არც სხვა მხრივ გაუხარებია მორაბაბელების ოჯახი — კარგა დრომ გაიარა, ვიდრე შვილი გაუჩნდა. მორღესი ამის გამოც აღანამაულებდა თავის თავს: ბერწი ქალი როგორ მოენახე ამხელა ქვეყანაშითო, ეს კიდევ უფრო არწმუნებდა, რომ გამხენი სჯიდა, მაგრამ ათიოდე წლის შემდეგ ბიჭი რომ დაიბადა, მორღეს მორაბაბელი ღმერთს მადლობას წირავდა: როგორც იქნა, ჩემსკენ მოიხედა და წყალობა ინებაო.

ღალა ესთერის გარდაცვალება რომ გაიგო, იოხაბელმა „უი, საყოღავიო“, წამოიძახა. ეს იყო და ეს! დაკრძალვამე. ცხადია, არ მისულა — ღალა ესთერი იმ წრის ქალი არ იყო, რომლის გასვენებამე მისელას იოხაბელი ინებებდა.

მომღვენო დიდას, იოხაბელს ეზომი თმა რომ გაეშალა და ივარცხნიდა, შუკაში მომავალი „რო კაპი“ ხავა დაინახა. ხავას ქაშერი რძე, მარწონი, ყველი დაქონდა მორაბაბელებთან.

– რამ მოკლა შენი საყოფადვი მემობელი, ქალო! – იკითხა იოხაბედმა.

ხავას ყურს არ გამოეპარა, რომ იოხაბედმა ისე, სხვათაშორის იკითხა ესთერის ამბავი. ამით დარწმუნდა, იოხაბედი მისი მემობლისა და მეგობრის გარდაცვალებას აინუნშიც არ აგებდა.

– ესთერს სასიკვდილო არაფერი ჭირდა, მაგრამ შენმა ქალმა გაუხეთქა გული! – ხავარის როკაში იქნებოდა, თუ იოხაბედს პირში არ მიახლიდა სათქმელს – ისედაც არ უყვარდა შორაბაბელების რძალი. ზანქანი რა თავმდაბალი კაცია, იოხაბედს კი ისე უჭირავს თავი, თითქოს მთელ ფეთხაინის მისით უღვასო სული. წუხელ მთელი ფეთხაინის ებრაელობა ღალა ესთერს მისტიროდა, იოხაბედზე კი პირში წყალს იგუბებდნენ. ისიც არავის უთქვამს, გასვენებაზე მოხვლაც არ ინებო, ყველაფერი იგულისხმებოდა. ბაჩევანზე კი ყველა ერთხმად ამბობდა, „ეგ საბრალე, ეგაო“.

იოხაბედმა თავი გააქნია, გამლილი თმა სპარსული ოქროს საგარცხლით ჩამოივარცხნა და ხავას დამცინავი ღიმილით კითხა.

– ჩემ ქალს რითეინ უკბინე, ხავაია?!

ხავას ოქროს საგარცხელი თვალს სჭრიდა, მაგრამ ამას შეეგუებოდა. იმან უფრო გააღიზიანა ამ ქალმა თავისი თმის, პირი-სახის და უკანალის მეტი არაფერი იცის, ისიც კი არ ენადღელება შეილი რომ გაუქრისტიანდაო და წყრომით შესძახა:

– შენი ქალი რო ქრისტიანი გახდა, ისიც არ იცი, განა!

– შენ ხო არ გადაიბრე, ქალო!

– ქრისტიანი შეილი გყავს, ქრისტიანი! – მიმღით მიუგო ხავამ, და ღამის სირბილით გავიდა ეზოდან.

მიუხედავად იმისა, რომ იოხაბედი განკუნარი გოგო აღარ იყო, ერთობ დასრულებულიყო კიდევ, მაინც მურღულივით გაექანა ბაჩევას ოთახისაკენ.

ბაჩევა გუშინ საღამოს რომ მოღასლასდა და გახტვით დაჯდა, არც განძრეულა, თვალზე არც რული მიკარებია, არც რამ ცრემლი სდენია – იჯდა უხმოდ, ღონწართმეული. დედა

რომ ოთახში შევარდა, მშერაჩამქრალმა და ფერდაკარგულმა ბაჩევამ თავის წინ ყელზე ჩამოიკიდებული ჯვარი აქნაწავდა. ცხადია, ჯვარი თვალში ეცა იოხაბედს, იცილა და შვილისაკენ გაექანა. ბაჩევა როგორც გითხარით, სვედამორეული იჯდა, ამიგომ აუჩქარებლად წამოდგა, ზონზროხა იოხაბედმა კი სხეული ვერ დაიმორჩილა, გახტვით დაეხარცა და საბრალოს ჯერ კვნესა აღმოხდა, მერვლა წასცივდა ცრემლები.

– შეილი მომიკვდა, შეილი! რაგომ, რისთვის, შეილო, ბაჩევა, რისთვის გაეცალე წუთისოფელს! – მოთქეამდა იოხაბედი.

იოხაბედის მოთქვამ ბაჩევასაც ცრემლი მოგვარა. დაიხარა და დედას მოეხვია. ბაჩევას დედის აღურსი, თუნდაც მოხევეა არასოდეს ნდომობია ისე, როგორც ახლა, ამ წუთში. იოხაბედმა კი ბაჩევას ხელები ზიზლით ჩამოიშორა, წამოხტა და როგორ მოულოდნელადაც შემოვიდა, ისევე გავიდა შეილის ოთახიდან.

რამდენიმე ხანში ბაჩევას ეზოდან შემოესმა კივილი. ფანჯარას მივარდა, ეზოში ქალები შეკრებილიყვნენ. ქალები გაროდნენ, კიოდნენ, პირს იხოკდნენ. ბაჩევამ შავდამორთული იოხაბედი მოგვიანებით დაინახა – შუა ეზოში სკამზე იჯდა. ბექთ-იქით მოშინა, რიბკა, რუთო და ღია მისხლომოდნენ. ყოველ ამითგანს შავ-შავი კაბა ეცვა. თავზეც შავი შალი ეხურათ, წინ კი გახტი დაეფათ. გახტვით რაღაც ეუინა – ბაჩევამ თავისი კაბა იცნო და შეკვივდა.

ეზო თანდათან იცებოდა ქალებით. ჭიმკარს გადმოსცდებოდნენ თუ არა, ისეთ კივილს ასეგებდნენ, ისე იხოკდნენ პირისახეს, ადრე მოსულნი, სულ ცოცხა ხნის წინათ ასევე რომ გაპკიოდნენ, გაოცებებს იყენენ: ასე რა აკივლებთ, ნეგავ, მართლა ხომ არ გარდაიცვალა ზანქანის და იოხაბედის ქალიშვილიო. მოსულნი შეეხადებებს რომ მოითაყებდნენ, ვალმოხდილნი განპირდებოდნენ, ეზოს კი ახალი მოგირაღნი – სამ-ხუთ ქალიანი ჯგუფი მოადგებოდა. ახალმოსულნი ცდილობდნენ თავითაიანთი შეკივლება-შეძახილებით წინარენი დაქრდი-

ლათ, რომ უფრო შთაბეჭედავად გამო-  
ჩინილიყვნენ. ყველაფერს ამას თან სდევდა  
იოხაბედის მოთქმა:

- რაგომ, რისთვის დაგვგოვე, შეილო!

ამის გამგონე ქალები ისე სულსშემძ-  
ვრულად შეპკივლებდნენ ხოლმე, ბაჩევას  
თვალთაგან ცრემლი არ შორდებოდა.

ეზოში მიხი შემოვიდა - ბეითქნესეთის შა-  
მაში.\* აჩქარებული ნაბიჯით გაემართა იოხა-  
ბედისაკენ, მიუახლოვდა და ღამის ბრძანების  
გონით უთხრა:

- ხახამ აბრამმა, ახლავე შეწყვიტეთ ეს  
ამბავი, ცოლვას ნუ ამრავლებთო!

იოხაბედი მიხის დააქცურდა, სახე დაუმანჭა  
(მიმღმა დაუმანჭა სახე) და კბილებს შორის  
გამოსცრა:

- თუ ხახამ აბრამი გაქრისტიანდა, არაფ-  
რად შვირდება, თუ ისევე ისრავლია და ხახამდ  
მიმინვეს თავს, აქ მობრძანდეს, ყველა წესი  
და რთვე ჩამაგარებინოს, თორემ მანქანი არც  
გახილავს მაგის ბეითქნესეთისაკენ - იოხა-  
ბედმა მიმღის გამოშხაგველი მშვერა არ  
შოიცილა მიხის, იყრა, მერე და დანძინა - წადი  
და ასე მოახსენე!

მიხი არ ჩქარობდა. თანაგრძნობით შესე-  
ქროდა იოხაბედს.

ბენო კაკიგელა ფეხაკრეფით მიუახლოვ-  
და იოხაბედს და მიხის.

- იოხაბედ, ჩემო უბედურო დაო, ხომ იცი,  
როგორი მეგობარი ვარ თქვენი ოჯახის,  
რაც გუწადოს, ის დამევალე, მიმსახურე რამე-  
თი - სახე-პირზე სათიწობა გამოხატავოდა.

- ხახამ აბრამმა ახლავე შეწყვიტეთ ეს  
ამბავიო, ბრძანა - თქვა მიხიმ.

ბენო კაკიგელამ კი გაიოცა:

- ახლა აქ ოჯახს თანაგრძნობა უნდა და  
არა ჭკუის სწავლება! მანქანის ოჯახი ისე  
არ წაქეუვდა, რომ იოხაბედის სიგვეა არ  
გაიგონონ!

- ახლავე აქ მობრძანდეს ხახამ აბრამი და  
შეილი დამამარხვინოს! - ბრძანა მხარდაჭე-  
რით გულმოვიქმულმა იოხაბედმა - ვერცხლს  
კი არა, ერთ თეთრს არ მისცემს მაგ ლოცვას  
მანქანი, ერთ თეთრს! ახლავე მობრძანდეს!

შამაში მიხი უხმოდ გაეცალა იოხაბედს  
და ბენო კაკიგელას. უხმოდ და უკმაყოფილოდ  
ბენო კაკიგელა ფეხაკრეფით გაემართა იოხა-  
ბედს, ერთობ კმაყოფილი იყო, თუმცაღა,  
სახეზე კვლავ შუქნარება აღბეჭდვოდა.

ეზოში ხმაური მინელდა. აღარც გიროდ-  
ნენ, აღარც არავინ კიოდა. მომხელელიც უკვე  
მოსულიყო. ქალები, ეზოს კუთხეში შეკრე-  
ბილი სამო-ოთხი მამაკაცი, ერთმანეთს ებაძე-  
ბოდნენ - მთავარი საქმე მოეთავეუბნათ და  
მუსაიფის ჯერი დამდგარიყო. რადგან არავინ  
იყოლა შემდეგ რა უნდა ეკეთებინათ, ყველა  
ერთ საკითხს - ბაჩევას გაქრისტიანებას  
უგრიალვებდა. არავინ არაფერი არ იყოლა -  
არც ის, თუ რაგომ მონათლა ბაჩევა, არც ის,  
ბაჩევას მონათელის გამო გარდაიყვალა თუ  
არა ლალა ესთერი. ამიგომ წარმოსახვას  
დიდი გასაქანი მიეცა.

ესთერი, ის საყოღადი, თურმე მუხლებზე  
დაეცა და ისე ეხეწა: ნუ იბამ ამ საქმესო -  
თქვა ლეღვიაანთ თამარმა.

- ერთ ქალს დაუნახავს, მღვდელმა რო  
გაგლო ესთერი: წადი, თორემ შენც მონათ-  
ლავო - თქვა რიბკამ.

- კი, ასე უქნია - რა შენი საქმეა, ხელს  
რაგომ უშლიო!

- ასე ყოფილა, კი, მეც მითხრეს - კვერი  
დაუკრა ვიდაყამ.

სამუალო ასაკის ქალები ერთად იდგნენ  
და ერთმანეთს შესწიოდნენ:

- ასე რაფერ წახდა ჯველობა, რა არის ეს!

- წახდა? წახდა კი არა, შორს, შორს!

- მაგას შეყვარებულიც ყოილებოდა!

- კი, ასეა, ამ ორი დღის წინ იოხაბედს შეყ-  
ვარებულის უსტარიც უნახავს.

- არ იქნება, არა, არ უნდა ასწავლო შეილს  
წიგნი. რო არ ცოდნოდა, ხო ვერ წაიკითხავ-  
და იმ წიგნს!

ჰიმკართან ახლო მდგარ ქალთა წრეში  
ერთმა მწითურმა, ელაშმა ქალმა საიდუმ-  
ლოს განდობის ინგონაციით, ხმადაბლა თქვა:

- მე ვციც, მაგას ჰინკამ გალაუკრა ვბა.

- სად იყო ეს ამბავი!

- აფერ აქ, მოსახვევში, ახალ დადამებულზე.



– აბა, ჭინკა დღის სულზე გამოვა კარში?  
სს... აყალე!

– მერე?

– დედა, დედა, დედა! – ლოყაზე შემოირტყა ხელი მარიამმა – არ იქნება სადამოს კარში ვასვლა, არ იქნება!

– რას ამბობ, გოო, კიდევ კარგი რო გავიდა და ჭინკამ გააფრთხილა...

მამაკაცებიც ბჭობდნენ, მამაკაცებიც ეძებდნენ ბანკებს ქრისტიანად მოქცევის მიზეზს. იქ თქვა ბენო კაკიელამ:

– არ ვარგა მეუფის კართან დაახლოება: მანქანი შეყოლება მეგისმეგად. მაგას მოსთხოვეს თურმე გაქრისტიანება, ჯერ შეილი გააქრისტიანა: ალბათ, მალე თვითონაც...

ამ დროს ეზოში ძლიერი კვილი გაისმა. ქალები, ბაასი მობემრებოდათ, თუ ვერ ხელე ბოდნენ რა ხდებაო, ერთხმად აკივლდნენ. ყველა სულმოთქმელად გაკიოდა. ბანკეა ფანჯარას მივარდა. ეზოში თინათი შემოსულიყო.

თინათის გაეგო ბანკეა გარდაიყვალა, დღესვე ასაფლავებენო და უღდანაკეში მოახტა ცხენს. ეზოში რომ შემოვიდა და ასეთი კვილი ატყდა, ლამის თვალთ დაუნეულდა. განსაკუთრებული სიშფაითი იოხაბედი მოთქვამდა: „მენი ბანკეა აღარა გყავს, სხვად იქცა“-ო. თინათის დაპაღუპით სდიოდა ცრემლები, თავბრუ ეხვეოდა და ეჩვენებოდა, სადაცაა წაფიქვეიო. თავს ეკავებდა. ცრემლებმაკ თვალები ისე ამოუვსეს, ვერაფერს ხედავდა. ცოტა ხნის შემდეგ გააყნობიერა: გახტმე მიყვალუბული კი არ დაესვენებინათ, კაბა გადაეფინათ. ალბათ, ასეთი წესი აქეთ იღვევებულსო, გაიფიქრა და იოხაბელს ჩაეკრა. თან ლულულეებდა:

– უშუ რა დღეში ჩავარდებამ! – ცრემლები ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდნენ თინათის, მაგრამ იოხაბელმა მანინ გაიგო თინათის ნათქვამი, იოხაბელმაკ და მის გვერდით მჯდარმა ქალებმაკ: მოშანამ, რიბკამ, ლიამ.

– უშუ ვინ არის? – იკითხა იოხაბელმა.

– ხეალ-მეგ ხომ ჯვარი უნდა დაეწერათ! ამ ცნობამ იოხაბედი მწარედ ააკივლა, ახლო-მახლო მჯდარმა ქალებმაკ ისე აუბეს

მხარი, რომ თინათი ცრემლად დასწყნობამ იოხაბედი ისე გაკიოდა, გვერდობით, ცრემლიანი ძაღლი დასდევსო.

მაგრამ გირილი, მოთქმა-გოლება უცებ შეწყდა. ეზოში სიჩუმე ჩამოვარდა ცრემლ-მორეულმა თინათიმ ეზოში შემოსული ხახამ აბრაამი გაარჩია. აუქჩარებლად მოდიოდა იოხაბელისაკენ. განსრული კაცი იყო ხახამ აბრაამი, შუა ხანს გადაცილებული, თეთრი წვერი მთელ მკერდს უფარავდა.

ხახამ აბრაამი იოხაბელს მოუახლოვდა. შეჩერდა, ჯერ ქალებს მოაულო მშერა, მერე იოხაბელს გაუსწორა თვალი.

– ადამიანის სული გამყენის კუთვნილებაა, ადამიანიც გამყენს ეკუთვნის. ვიდრე სული სხეულში დგას, არაფის აქვს უფლება, ადამიანი იმ ყოლამზე იგულებს. მანქანის ასული გადაეცენილია, მან ღმერთთან კავშირი გაწყვიტა. მაგრამ თქვენ არა ხართ განაჩენის გამომგანი, არა გაქეთ ამის უფლება.

– თხოვდებოდა თურმე, ჯვრისწერას აპირებდაო – კვილით შეაწყვეტინა იოხაბელმა ხახამ აბრაამს.

ხახამ აბრაამი არ იყო ჩვეული სიკვცის ასეთ წართმევას. პასუხი არ იქარა. ყვრადლებით დააქქერდა იოხაბელს და თქვა:

– ხანამ ადამიანი ცოცხალია, განა მხოლოდ მისი არსებობა უნდა ვცნოთ, გადაცდომის უფლებაკ. დაანებეთ ფიქრი – გასომოს თავისი ნაბიჯი. რაგომ ართმეეთ უფლებას იყოს ადამიანი და თავს თავად მოუაროს. – ხახამ აბრაამი მშვიდად, მთამგონებლად ლაპარაკობდა – გაპაკიით გამყენმა, ყველას შეგუნდოთ ცოცხალი ადამიანის გირილი – ხახამ აბრაამი შებრუნდა და ისევე აუქჩარებლად გაემართა ჭინკისაკენ, როგორც ლაპარაკობდა. მიზი უკან მისდევდა.

ქალები თავაქინდრულნი იდგნენ. ერთმანეთისთვისაც ვერ გაესწორებინათ მშერა. თინათის სიბრბევე ყელში მოაწვა. წამოღება და სიბრბილით გადაჭრა ეზო.

თინათიმ ყველას უშველა, ყველას გაუიოლა ამის გაკეთება, რაც ეწადათ და ვერ გაუბედნათ – მწითური და ელაში ქალი ლა-

მის ჭიშკართან წამოეწია თინათის. იმოდენა ნაბიჯებს აღებდა, გასწრო კიდევ, მას ესთი დაეღვენა, ესთის კი მშერაცარიელი, ჩასუქებული მიჰყვა. მას კიდევ ვიღაცა და მალე ჭიშკართან ხალხმრავლობა შეიქმნა. უხმოდ, თაქნაქინდრულნი სტოვებდნენ იოხაბელს. იოხაბელი კი გულში იქაბდა:

— აწი ნახე, ხახამ აბრამ, აწი ნახე, რასაც მიიღებ ზანქანისაგან!

ბაქევა ფანჯარასთან იდგა და შესცქეროდა, თუ როგორ გარბოდა მის გასვენებაზე მოსული ხალხი.

ბენო კაკიგელა ერთობ კმაყოფილი იყო.

ებრაელთა დღესასწაულის დღეებში ბენო კაკიგელას სახლის ყველა ოთახი სათლების მუქით იყო გაჩინჩხებული, მაგრამ რა?! მიუღ ქალაქს ზანქანის სახელი ეკერა პირზე — ზანქანს უქებდნენ თავმდაბლობასა და გაცემის უნარს, სიმდიდრესა და ოჯახისშეიღობას

— რაგომ ომ არ იქნება კეთილი, რაგომ არ გასცემს — შავის მამა-პაპა ცურავდა ოქრო-ვერცხლში — უკმაყოფილებას არ მალაუბდა ბენო კაკიგელა. დღეს კი...

სალამო ხანს, სალოცაეში, ვიდრე მინხას\* დაიწყებდნენ, ლამის თვალზე ცრემლმომღვარი ამბობდა:

— საცოდავი, საბრალო ზანქანი! როგორ გაკამგვერა შვილმა!

ძალიან ცდილობდა ჯამაათის წევრები მიხვეოდნენ იმ აზრს, რომ დღეიდან ზანქან ზორაბაბელი გაცამგვერებული კაცი იყო, მაგრამ სალოცაეში ყველა თავს არიდებდა ბაჩევას საქციელზე საუბარს. თითქოს პირი შეკრესო, საუბარში ვერაფერს აიყოლია.

ცხადია, ჯამაათის დუმილი ბენო კაკიგელას სისარულს ჩრდილს ჰყენდა, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ დუმილი ვერაფერს დააკლებდა ბენო კაკიგელას ბედნიერებას.

## უ ფ ლ ი ს ნ უ ლ ი

საქონელში  
სიბრძნისთვის

ქალბატონს სახეზე დიმილი მოეფინა, სკუმარს ხელეგამილი, გახარებული მიეგება:

— ზანქან, ძვირფასო, ჩვენო საყვარელო ზანქან, ასე რაგომ დაგვივიწყე, რა ხანია ჩვენთან არ ყოფილხარ!

ზანქანმა ქალბატონის წინ თავი დახარა და თქვა:

— დიდად მისხარის თქვენი ნახვა. ჩინებულად გამოიყურებით.

— მართლა? — ქალბატონს თვალები აუციმიმდა — შენცა, შენცა, ჩემო ზანქან, თმაში ერთი ჭადარაქვ არ შეგპარვია.

— განა შევთმინი ბებერი არ გინახავთ? აი, მე ვლგაეარ თქვენს წინაშე შევთმინი ბებერი კაცი

— ბებერი? შენ ბებერი ხარ?!

— უფლისწული როგორ ბრძანდება? — იკითხა ზანქანმა — ძლიერ ეწადა უფლისწულის ნახვა და ამიგომ საუბარი უმალ მასზე გადაიგანა.

— უფლისწული?! — მცირე პაუზის შემდეგ თქვა მასპინძელმა — კარგად, კარგად.

— ვინ არის, ვინ მოვიდა? — მოისმა მეზობელი ოთახიდან ბოხი ხმა.

— გამოხვალ და ნახავ, ძვირფასი სკუმარია!

— გასძახა ეკატერინე ივანოვნამ — ზანქანს უფლისწულის დედის ხმაში უკმაყოფილება არ გამოეპარა. ყურადღება დაძაბა.

დარბაზში უფლისწული შემოვიდა — მაღალი, ქერა, განსრული და მშერაამღვრეული, ძილნაკლულობისა, თუ სხვა რამ სენისგან ფერწასულიც. უფლისწული კი არ მოდიოდა, მოქანაობდა — იფიქრებდით, თავის სხეულს ვერ ერეკვით.

— ვინ არის? — ისე იკითხა უფლისწულმა, თითქოს ახლა გაადიდესო.

— აბა, თუ იცნობ?! — დიმილით უთხრა

\* ცოლში - სამყარო აქსაიქო.

\* ცედაცა - ღარიბ-ღატაკთა გაკითხვა, ქველმოქმედება.

\* მინა - ნაშუადღევის ლოცვა.

\* შელაგედი - მასწავლებელი

დედამ. ეკატერინე ივანოვნას ღიმილი ძლიერ უბღებოდა.

ზანქანი ღიმილით მისჩერებოდა იურის. იური სკამზე დაეშვა, ზანქანს დააქექრდა და ღონეწართმეულმა ამოთქვა:

- ვინა ხარ?

ზანქანმა უხერხულად იგრძნო თავი, უმწეოდ მიმოიხედა.

- თავს მეგ პატივს რომ სდებდე, უფლისწულო, უსათუოდ იცნობდი - ამჯერად დედის საყვედური შეფარული არც იყო - მაგრამ ახლა შენი გონება... მოიკოჭლებს - გონებას ძალა გამოლევია.

- მაგას ნუ მეტყვი, ძვირფასო დედო, მე კარგადა ვარ, ძლიერ კარგად! - უფლისწული ზანქანს თვალს არ აცილებდა, თუმც კი სიკვევით დედას მიმართავდა. მერე უცებ სახე გაუნათდა და წამოიძახა - მასსოვს, თქვენ ხომ ბიზანტიური ხალაბი მაჩქეტი!

- სწორია!

- ამ სამი წლის წინათ!

- დიდებული მეხსიერება გქონიათ!

- აი, ხედავ? - დედას მიუბრუნდა იური - მენ კი მეუბნები გონება... რაო? პო, მოიკოჭლებსო - მერე ისევ ზანქანს მოუგრიალდა

- მე თქვენ გელოდით!

- მელოდით?

უფლისწულს დაბნეულობა დაეგყო.

- დიახ, ისე, მოგვენატრეთ.

ზანქანი კარგა ხანს შერჩა ბოგოლუბსკების ოჯახში. დიდხანს მასლაათობდნენ, გარდასულ დღეებს იგონებდნენ. უფლისწულის დედა, სინანულით ისხენებდა წარსულს. ზანქანს ვკითხებოდა, ხომ გახსოვს, რა ლამაზი ვიყავით. ხოლო იური ბოგოლუბსკი ზანქანს უღიმიოდა და ეუბნებოდა - მე თქვენი დიდი მეგობარი ვარო, ლამის ეხვეოდა.

სალამო ხანს ბოგოლუბსკები დაგოვა თუ არა, ეუდა იხმო:

- აქ უნდა დარჩე. ამ სახლიდან გამოსულ უფლისწულს კარგად უნდა ადევნო თვალი. სადაც წავა, თან გაჰყვები, ყუადე, ისიც შეიგყო, იქ რას გააკეთებს.

მომდევნო დღიას ეუდამ ზანქანს მოახსენა:

- უფლისწული რო სახლიდან გამოვიდა, ბაგონო... ცხენზე რო შეჯდა და წაეხდა? კარგა ხო გინახია, კატის სიარული, ე, ისე მივყევი უკან, კატახავით. შორს არ წასულა. ერთ დიდ, ყორუმქოვლებულ სახლში შევიდა. იქით მივდექი, აქეთ მივდექი, ამას ვკითხე, იმას ვკითხე აქ ვინ ცხოვრობს-მეთქი. აქაური თავადი ვინმე ყოფილა. შეხნელდა თუ არა, ლობესაც კატახავით გადავყვევ. რამდენი არ ვეგრიბაღე სახლს, ვერაფრით ვერ გავიგე რას აკეთებდნენ შიგ გული მეუბნება, უბედური საქმეები უნდა კეთდებოდეს იქ, აბა, რატოა დაგმანული ყველაფერი, ციხეა, ბაგონო, ციხე! უკან დავბრუნდი და ვარსკვლავების ამოსვლამდე ქუჩაში ველოდე. გამოვიდა, არეულ-დარეულად მოდიოდა, თავს ვერ იმაგრებდა, ღვინო სძლევადა თავსა, რადაცას გაიძიხობდა, არა, სიკვევს ვერ ახერხებდა და გაჰყვიროდა - ენასაც ძლევადა ღვინო. ცხენზე ძლივს შესვეს, მსახურიც უკან მიუჯდა, ომ ბაგონი ცხენიდან არ გადმოვარდნოდა. ცხენი ღონიერი პყავს, არსად არ გადაუხვევიათ, შინ მივიღინე.

ზანქანი ეუდას ყურადღებით უსმენდა.

- დღესაც ვერაქმენ, თვალი არ მოაშორო, სადაცაა გაიღვიძებს, ალბათ, - თქვა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ.

ის, რაც მომდევნო დღეს ეუდამ ზანქანს მოახსენა, წყლის წვეთითი პგავდა წინა დღეს მოგანილ ამბავს.

ეუდა კიდევ შეიდი დღე და შეიდი დამე დარაჯობდა უფლისწულს და მისი ნაამზობი ზანქანს გუნებას უმღერევდა. მერე თავად უჭერეგდა იური ბოგოლუბსკის - მოგჯერ განთიადამდეც კი - და ზანქან შორაბაბელი, ძე მორდებისა, ფიქრს ჩაულრმავდა: სამეფო დარბაზისაგან უფლისწულ იური ბოგოლუბსკის თბილისს დროული ჩაყვანა პქონდა დაეალებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც უფლისწული მსმურობამე გადაგებული იხილა, ღირდა კი ამ ნაბიჯის გადაღმა? ზანქანს, ძეს მორდეს შორაბაბელისას, ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქეუელიყო - მსმურობას გადაგებული კაქისათვის შეეთავაზებინა საქარ-



თელის სიძობა? მეორეს მხრივ, სამეფო დარბაზმა ზანქანი უფლისწულის დასაბეჭრებად კი არა, საქართველოში ჩამოსაყვანად გამოგზავნა. როგორ მოიქცეს, რა იღონოს?

პარასკევ დილას ლოცვა დაამთავრა თუ არა, ბოგოლუბსკებთან ჯერ საჩუქრებით ხელდამშვენებული უკა გაგზავნა, მერე კი თავად მივიდა — უფლისწულთან მშვიდი, საყველპურო საუბარი უწადა.

უფლისწული დიმილით შეეგება სკუმარს. ერთობ თავაზიანად ირჯებოდა, მაგრამ მისი დიმილი ამაოდ იფრქვეოდა — მზერაშიაქრალი უღაჯოდ, უღიღამოდ დაბაიჯებდა, ნათქვამი გვიან წუღებოდა მის გონებას, პასუხსაც შეყოვნების შემდეგ იძლეოდა.

ზანქანს მოსვლის მიმეზი მოფიქრებული ჰქონდა. იქნებ, თქვენს შშობლიურ მხარეში, ისეთ კაცთან მიმგზავნოთ, ან წიგნიც კი გამატანოთ, რომელიც ბეწვეულის ყიდვაში და მუხმარება, ისა მწაღს, ბეწვეული რუსეთიდან ბიზანტიაში უზიღო. უფლისწული მზერაყარიული მისჩერებოდა ზანქანს. განაბულიც კი იჯდა. მისი უამრო გამოხედა მორაბაბულს აბნეულა. „იქნებ ვერ გაიგო, რაცა ვთქვი?“ გაიფიქრა ზანქანმა და თქვა:

— თქვენს მხარეში საუკეთესო ბეწვეულია.

ეკატერინე ივანოვნა თავჩაქინდრული იჯდა. უფლისწულმა თავი დააქანა — ყველაფერი გაიფიქრო. ხმას კი არ იღებდა. კარგა ხნის შემდეგ დედოფალმა თქვა:

— ახლა იქ მხოლოდ ჩვენი მგრები ცხოვრობენ. შეგობრები მანამ გყავადა, სანამ გახტი გვეპურა.

— გახტის დაბრუნებაზე აღარც ოცნებობენ — გაიფიქრა ზანქანმა. უფლისწულმა კი ხელი ხელს შემოკრა და მსახურმა სასმელი შემოიტანა. უფლისწულმა ხისგან ნაკვეთი სასმისი ხელის კანკალით გაავსო, გაგვიმარჯოსო, ჩილიაპარაკა და გადაკურა.

— ნუთუ, ძველთაგან არაეინ დარჩა? — იკითხა ზანქანმა.

— დარჩნენ, მაგრამ ჩვენ თავს გვარიდებენ, გვიერთხიან — თქვა ეკატერინე ივანოვნამ.

ზანქანმა უფლისწულს შეაღლო თვალი. იურის

მზერა გაბრწყინებოდა, ფერიც მოსვლელად შეცვლია.

— ეგრეა! — თქვა უფლისწულმა და წაჩვიტეკა მელი ისეე გაავსო — ეგრეა, მაგრამ... არა გვეცნობენ და, ნუ გვეცნობენ! ვითომ რას ვაგებთ ამით? ისეე გაგვიმარჯოს! — თქვა და კვლავ გადაკურა.

ეკატერინე ივანოვნამ ამოიოხრა:

— ჩვენ იქით არც ვიხედებით.

„არა, ამათ გახტზე ოცნების თავიე აღარა აქეთ!“ — გაიფიქრა ზანქანმა.

— ბიძაქუმი ეჭვინი კაცია, თუ რამ შეიგყო, გახტის წართმევას არ ევაკმარებს. აქც მოგწველება — უფლისწულმა კვლავ გაავსო სასმელი — ასე რომ, უნდა იყუდ წყნარად, ხელი არაეის არ უნდა შეუმღლო, ეს არის მთავარი — თქვა, გაიღიმა და არაყი გადაკურა, თვალები მოხუჭა, რამდენიმე წამში გაალო და ისეე გაიღიმა.

— აქ ცხოვრება კარგია, ყიფიყითა ხელმწიფე გეწყალობს — დამნაშავესავით გაიღიმა ეკატერინე ივანოვნამ — ყიფიყებს წესადა აქეთ: ახლობლად თუ გიგულეს, სიკელიამდე ერთგულნი არიან.

— გამოდის, რომ გახტი... — ზანქანი შეყოვნდა, ინანა კიდეც გახტზე სიგყვა რომ ჩამოაგლო, მერე გაიღიმა და სხვა რამ თქვა — თუმცა, შეიძლება ყველაფერი შეგრიალდეს.

— გახტს არყის სმით არ იბრუნებენ! — ბრაზით წამოიძახა ნადედოფლარმა, ხელი ხელს შემოკრა, ოთახში მსახური შემოვიდა, ანიშნა სასმელი გაიტანო. ეს რომ უფლისწულმა დაინახა, ჰქია, რომელიც ხელში ეჭირა, სასწრაფოდ დაცალა. მსახურმა აღროვა, მერე სასმელის ჭურჭელი მაგიდიდან აიღო, ზანქანის დაუელელ ჰქიქს მიაციქრდა.

— ეტ ჰქვიანია, გაიტანე! — ბრძანა უფლისწულის დედამ.

უფლისწული სკამის სამურგებზე გადაწვა და სიმღერა წამოიწყო — ზანქანისათვის გაუგებარ, სევიან სიმღერას მღეროდა.

გრძელი და დაუმთავრებელი იყო ეს სიმღერა.

ზანქანი ნადედოფლი, გულმოკლე ლიც კი შესექტროდა უფლისწულს და თვალწინ მშისსადარი მეფე თამარი ედგა.



## დიდებულნი

აბულასანს ლამის გული დაეღო.

სამეფო დარბაზის სამ წვეროთან სამი მაცნე გააგზავნინა:

– თუ სხედან, აღვობა არ დააყოვნონ, წამოხგნენ და აქეთ გამოეშურონ, თუ უფხზე დაგანან, არ დახსდნენ, დაუხანებლად წამოვიდნენ – ბრძანა აბულასანმა. რა ხანია მაცნენნი გაიქცნენ. იმ სამთაგან ჯერ არცერთი არ ჩანს.

ცულ გუნებაზეა აბულასანი – სხვაგვარად არც იქნება: რამდენი არ უგრიალა, რამდენი არ იფიქრა, მანქან მორაბაბელის უსტარს ვერა-რა გაუგო, ვერც მისი საქციელი ახსნა: რატომ, რისთვის მოიწერა ეს უსტარი, რა სწაღია? უსტარი აიღო, კიდევ ერთხელ გადააუღო თვალი: „პატივქმნილო და დიდებულო, აბულასან, ამირთამირაჲ ქართლისა და გამგებულო გვილისისა, წვერო სამეფო დარბაზისა და ძალაჲ მეფე თამარისა“. აბულასანმა კითხვა შეწყვიტა. ბოლო ფრაზა ისევ გადაიკითხა. რას უნდა ნიშნავდეს ეს, რისი თქმა სწაღია? ნართაულად მელაპარაკება? შეყოვნდა. ვერა, ვერარა ამის ვერ მიაგნო. კითხვა განაგრძო: „ძალაჲ მეფისა თამარისა: კეთილისმყოფელი და კლაჲც ერთგული შენი მანქან მორაბაბელი მდაბლად გიკრავ თავს და სალაშს გიბღენი ყიფნაყითიდან. კლაჲც მსნეობას, ძალოვნებას, ქვეყნისა და შექმნილ მგერთა ივარქმნას ვისურვებ და საჭიროდ ეცნობ გუჯყო: ვიხილე უფლისწული იერი ბოჯოღუბსკი – კლაჲც კეთილადნაჲ პირმშვენიერი, თუმც მხნეობით ნაკლული, რამეთუ მისცემია ვლახაკთა ჩვევას – მშაჲრობას ყოველ ცისმარე დღესა, რაჲც ვაი, რომ.“

უსტარის კითხვა გიმოთეს შემოსვლამ შეაწყვეტინა.

– გეახდნენ, ბაგონო!

– რაღას ელოდები, შემოუბუქს!

გიმოთე გავიდა თუ არა, დარბაზში სამი დიდებული – სამეფო დარბაზის სამი წვერი შემოვიდა.

– სალაში აბულასან, ხომ მშვიდობაა! – ჯორჯიკის ძემ თავდაჭერილად, მოკრიძალე-

ბულადაც კი იკითხა.

– ვინათმე, ომს ვიწყებთ, <sup>კარგად უნდა</sup> მომხდარიყო! – საეარძელში შევბით ჩაეშვა ფარნავაზის ძე.

– წაიკითხეთ! – აბულასანმა მოწყველთ უსტარი გაუწოდა.

– მოხდა რამე? – გაბაონმა შემოთოებით ჩამოართვა უსტარი:

– წაიკითხეთ, წაიკითხეთ!

ჯორჯიკის ძე გაბაონს ამოუდგა, ერთად იწყეს უსტარის კითხვა.

– ცოგა მაღლა ასწიე, პო, კარგია, ერთი ამას დამიხელეთ!

ფარნავაზის ძემ ვეღარ მოითმინა, წამოღგა, გაბაონს მეორე მხრიდან ამოუდგა და უსტარის კითხვა დაიწყო. დარბაზში სიმუშე ჩამოიარდა. აბულასანი უხმოდ მიმოდიოდა, მერე საეარძელს მიუბრუნდა და იკითხა:

– რას იგვეთ, როგორ აუხსნათ ეს უსტარი?

სამივენი – ჯორჯიკის ძე, გაბაონიც, ფარნავაზის ძეც უხმოდ იდგნენ.

– აბა, რა გითხრა, აბულასან, ვერ არის კარგი მაცნე – შეყოვნების შემდეგ, თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა ფარნავაზის ძემ და საეარძელში მოიკაღათა. ჯორჯიკის ძემ კი ცხარედ თქვა:

– თქვენ უნდა გახსოვდეთ, მე თავიდანვე უარს ვიყავი – არ მომწონდა მორაბაბელი. ეგ რატომ, რისთვის უნდა გაგვეგზავნა – ჯორჯიკის ძეს პასუხი არავინ გასცა. ამან უფრო გააცხარა იგი. – რატომ არ მიდასტურებთ ჭეშმარიტებას, დიდებულნო, პირში წყალი რად ჩაიგუბეთ!

აბულასანი ფიქრობდა:

– ჭეშმარიტება! ამათ ჭეშმარიტება ხეზე ჩამოკონწიალებული კენკრა ვაშლი ჭჭონათ, ის კი არ იყიან ჭეშმარიტებას ბროწეულით მრავალი მარცვალი რომ აქვს – მერე კი თქვა:

– ახლა ეს არის მთავარი? იქნებ, იმაზე ვითათბიროთ, დღეს რა გმას დაფადგეთ, რა ვიღონოთ?

– რა უნდა გადავწყვიტოთ? – იკითხა გაბაონმა.

– მორაბაბელს პასუხი უნდა მიეცეთ: წამოიყვანოს თუ არა უფლისწული.

- მე კი მფონია, ჯერ იმას უნდა ჩაეწვლით, რაგომ, რისთვის მოიწერა ეს უსტარი. რა სწავლა? საით მივცევართ? - ცხარედ იკითხა ჯორჯიკის ძემ.

ეს კითხვა იყო აბულასანს მთელი დღე რომ აწვალვებდა, პასუხი კი ვერა და ვერ იპოვა, ამიგომ ყურადღებით მიაჩერდა ჯორჯიკის ძეს. ჯორჯიკის ძე - დუმდა - არაფერს ამბობდა.

- მაინც რაგომ, რისთვის უნდა მოეწერა ასეთი წერილი? - იკითხა გაბაონმა.

ჯორჯიკის ძე კვლავ დუმდა, ფიქრობდა, თავისავე მოსაზრებას თუ ეკამათებოდა. მერვლა თქვა.

- იქნებ, იმიგომ რომ... იქნებ, იმიგომ რომ ეგ რუსი მართლა მაგ გზას დასდგომია, ეს კი ქალწული მეფის ღალაგი იქნება, მაგრამ... მაგრამ - შეყოვნდა, ფიქრობდა... - მაგრამ იქნებ, აბულასანის ამ სანდო კაცს ამ საქმის ჩაშლა სწავლია? - ისევ დადუმდა ჯორჯიკის ძე, ერთხანს დუმდა, მერე მის მხერამი ელვა გაკრთა, თვალები აენთო - იმისთვის ხომ არ მოიწერა ეგ წერილი აბულასანის სანდო კაცმა, რომ საურმაგ სულკალმახის ძესთან შეპკრა პირი? საურმაგ სულკალმახის ძე კი...

- არა, არა, ეს არ მოხდება! - შესძახა აბულასანმა. საეარძლიდან წამოხტა.

ჯორჯიკის ძემ თქვა ის, რისაც ყველაზე მეტად ემინოდა აბულასანს, მთელი დღე გულს უღრღინდა, საკუთარ თავს არ უცხადებდა ამ შიშს. დარბაზში აღელვებული მიმოდიოდა, უცებ მიხვდა, ამგვარი აღელვებით დარბაზის მოწვეულ წევრებს დააფრთხობდა. კვლავ საეარძელში ჩაეშვა და საზგასმული სიმშვიდით თქვა:

- არა, არა ვგონებ, ვგერ იყოს.

- მე კი სულ სხვა ფიქრი ამუღვენა და ვგონებ, ეს არის მთავარი - ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ელაპარაკებო, თქვა ფარნავაზის ძემ. ყველა მას მიაჩერდა. რა შეაგყო, ფარნავაზის ძე ამრის გამოთქმას არ ჩქარობდა, გაბაონი ჩაეკითხა:

- რა ფიქრი? რა ფიქრი გღვეს?

ფარნავაზის ძემ პასუხის გაცემა არ იჩქა-

რა. აბულასანს ეწავდა ერთი ძლიერ შეეძახა რა ფიქრი გღვეს ასეთით, როცა ფარნავაზის ძემ კვლავ სახხვათამორისოდ ჩაილაპარაკა:

- და თუ მორაბაბელმა ასეთივე უსტარი მეფე თამარსაც მისწერა?!

ფარნავაზის ძის სიტყვები აბულასანს მუხივით დაეცა. ენა ძლივს მოიბრუნა:

- რაო, რა თქვი? - კი, სწორედ ასე იყო - ენას ძლივს იბრუნებდა აბულასანი.

- რომელი თქვენგანი მეგყვის დაბეჯითებით, რომ მანქანმა ასეთივე უსტარი მეფე თამარსაც არ გამოუგზავნა? - მშვიდად, აუღელვებლად იკითხა ფარნავაზის ძემ.

აბულასანმა სტუმრებს გადახვდა. ყველას შემფოთება აღბეჭდვოდა სახემე.

- გვიბრძანე, აბულასან, ეგ შენი რჩეული ასეთ საქმეს იზამდა თუ არა? - ჯორჯიკის ძე სიტყვებს კბილებში სერიდა.

აბულასანმა იგრძნო, ჯორჯიკის ძეს თავმოყვარეობა ამხედრებდა. არ აჩქარდა. არც ეწავდა პასუხის გაცემა, ფიქრი ერჩია, ერჩია ფარნავაზის ძის მოსაზრებაზე ფიქრა, ჯორჯიკის ძის შეკითხვამეც, მაგრამ ჯორჯიკის ძე არ ცხრებოდა:

- იზამდა თუ არა?

აბულასანმა კი, ვითომც ვერც იგრძნო ასე რა ამხედრებდა ჯორჯიკის ძეს, თქვა:

- მე ვიცი, მეფისაგან პატივღებულია და... - კვლავ არ აჩქარდა აბულასანი, კიდევ ერთხელ ჩაფიქრდა - მას შეუძლია მეფეს უსტარი შეპედოს, მაგრამ...

აეკალეს აბულასანს, უხმოდ ისხდნენ, მაგრამ ამრის გასრულება რომ შეაყოვნა, ჯორჯიკის ძე კვლავ ჩაეკითხა:

- გამოუგზავნიდა? რომ შეუძლია, ეგ ერთია, იზამდა თუ არა?

აბულასანი პასუხს არ ჩქარობდა:

- არ ვიცი, ვერ გეტყვით, დაფიქრება გემართებს.

- მე კი ასე გეტყვით: თუ მანქან მორაბაბელს ამ საქმის ჩაშლა სწავლია, მეფე თამარს უსტარს უსათუოდ გამოუგზავნიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დაემარცხდით. არა მხოლოდ

დაემარცხდით... და თუ მეფეს არაფერი აცნობა — ფარნაევამის ძე შეყოვნდა — თუ მეფეს უსტარი არ გამოუგზავნა, ყველაფერს მოვევლება.

— ეგ როგორ!

— ფიქრი უნდა, დაეხსდეთ და მოვიფიქროთ.

— როდის მოვიდა უსტარი? — მოულოდნელად იკითხა ჯორჯიკის ძემ.

— გუშინ, ბინდის ჩამოწოლის გაშს — თქვა აბულასანმა და შარი მოუთმენლად დარეკა — უსტარის მომგანი აქა მყავს, მზე არც უნახავს დღესა — დარბაზში გიმოთე შემოვიდა — უსტარის მომგანს მგონი, პურიც არ უჭამია, თავად შეუგანე, დააპურე, ღვინოც ასეი, კარგი ბიჭი ჩანს, იქნებ, ისიც ამოსტყუო კიდევ ვის გამოუგზავნა მანქანმა უსტარი და ვისი ხელითა — გიმოთემ ბატონს თავი დაუკრა და უხმოდ გავიდა. აბულასანი ერთხანს დუმდა, მერე თქვა — მანქანს შეუძლია მეფეს უსტარი გამოუგზავნოს, უფროვე იმიტომ, რომ სამეფო საქმე დაეკისრეთ.

— მერედა, რად გიკვოთ, თამარ მეფეს აცნობოს: კაცი, რომელიც დიდებულთ საქმროდ და საქართველოს მეფე-ქმრად შეგირჩიეს, მსაური და მფსმელი ყოფილაო! — წამოიძახა ფარნაევამის ძემ.

— თუ ეს ამბავი მეფე თამარს ეცნობა, შენ განწირული ხარ, აბულასან, შენ მოინდომე ბიზანტიის უფლისწულს რუსთ უფლისწული დაუხუვედროთო, ჩვენ კი შხარი მოგვიტო... —

— ჩემი ხატრით არა, განა ჩემი ნდომითა! — ხმაში სიბრაზე შეეპარა აბულასანს, თავის წელანდელ დაოკებას ახლა უთხრა უარი — საურმაგ სულკალმახის ძის ბეჭებზე დასაყუმად ისურვეთ ვერე, ბიზანტიელსა თქვენაყ ისურვებდით, საურმაგ სულკალმახის ძის, და ივანე ფალავანდის მესობგე რომ არ იყოს! მე ნუ მამუნათებთ, თქვენც ის გიჯობდათ, აღექსი კომინოსი არ გამხდარიყო საქართველოს მეფე-ქმარი.

— თვალისჩინრო საქართველოსი, ახლა ფიქრი გმართებთ და არა ყვირილი, პუქტარუბელი ფიქრი — თქვა გაბაონმა.

— მე კი მინდა გაგიცხადოთ: კარგად ვიცი ნობ შორაბაბელსა, გონიერ კაცად მეგულ-

ვის და განა ვერ მიხვდებოდა, თუ ამ ამბავს მეფეს აცნობებს, ამით აბულასანსაც და...

— ისევ აბულასანი! — ფარნაევამის ძემ სიგვეტ პირიდან აართვა აბულასანმა.

— ბატონი ხარ! — ჩვენ ყველას გეწირავს. ამას ვერ მიხვდებოდა? — აზრი გაასრულა ფარნაევამის ძემ.

— იქნება იმიტომაც გააკეთა, რომ მიხვდა! როცა საქმე მეფე თამარს ეხება... — თქვა ჯორჯიკის ძემ.

— და შენ ფიქრობ, რომ მანქანი მეფის გულის მოსაგებად ჩვენ გავწირავს? — ფარნაევამის ძე ჯორჯიკის ძეს მიუბრუნდა.

— ეგ მე არა, იმას უნდა ჰკითხო! — აბულასანმე მიუთითა ჯორჯიკის ძემ — ეგ უკეთი აცნობს.

— ფიქრია საჭირო, უნდა ვიფიქრო — თქვა აბულასანმა.

— ის ხომ არა სჯობდა, მანამ გეუფიქრა, აღრე?! — ღმილით იკითხა ჯორჯიკის ძემ.

— ახლა ისიც ვიკითხოთ, მანქანმა რისთვის უნდა ეწას ეგ საქმე — ხმაძალა ფიქრი განაგრძო ფარნაევამის ძემ — მან ხომ იცის, აბულასანის გაწირვა ვერე იოლად არ ჩაივლის, ისიც იცის, რომ აბულასანი შარგო არ არის. თუ ჩვენ მღვაში გადაგვაგდებს, გალღების დიდი ცემა აგყდება, ის გალღები კი ბევრს ხერხემალსაც დაუტყვევებს.

— მამ, ფიქრობთ, რომ იმ გალღების შიშით არ იმამდა? — ჯერ ფარნაევამის ძეს მოაულო ირონიული მხერა ჯორჯიკის ძემ, მერე გაბაონს, დიდ სასანთლესთან რომ იდგა და ჩიბუქს ეწეოდა — ჰა, ასე გგონიათ? გალღები, ზღვის გალღები... მაგრამ თუ მეფის კალთას შეაფარებს თავს? განა არ იყით დიდებულნო, მეფის კალთას თავმეფარებულ კაცს ვერარა გალღა ვერ მისწვდება? თქვენ კი... ჩვენ ყველას... ვინ იცის რა გველის...

— მეფე... მეფის კალთა... რომელ დროში ცხოვრობთ, დიდებულნო, ისევ იქა ხართ? წარსულში? მეფეს ვეფით ძალა აღრე ჰქონდა, ეგ როდის იყო, ასე რამ დაგაფრობით. მეფე ისე უნდა გაისარჯოს, როგორც ჩვენ ვბრძანებთ — დიდებულნი, სამეფო დარბაზი — შესძახა გალიმიანებულმა აბულასანმა.



გაბონმა ჩიბუხი ჯამზე დაფერთხა და იკითხა — რა ხდება, წარჩინებულნო, ასე რაგომ ცხარობთ, ან რა მღელვარებას შეუპყრონ ხართ. ვეინობ მე შაგ კაცს, კარგად ვეინობ მორაბაბელსა, წინდახედულია და ისეთ რამეს არ გააკეთებს, სხვას აუნოს... მაგრამ იყოს ვერე, მეფის კალთის ქვეშ ყოფინათვის გადადგა ასეთი ნაბიჯი, კი ბატონო, მივიღოთ ვერე — ვთქვათ, მისწერა უსტარი მეფე თამარსა, შერე რა მოხდა? განა დღევანდელი მეფე ისე ღონიერია, რომ...

— რას უბნობ, განა იმისთვის დათრგუნე სამეფო დარბაზი, რომ ღვინის დღე-ღამე მსმურს ნებულობდი საქართველოს მეფე-ქმრად? — გაბაონს სიკვება გააწყვეტინა ჯორჯიკის ძემ.

— არა, ვერე არა, ეგ რითვინა! — ისეე გაივინა გაბაონმა. მე ვიციდი, რომ ბოგოლუბსკი კარგი ჭაბუკი იყო, მაგრამ თუ შერე მსმურობას და მესმულობას მაყო ხელი, განა სიმშრად ენახავდი! არა, სიმშრად არ მინახავს, ხოლო იმითვის რაგო სიმშარი არ ნახეო, ვინ დამამუნათებს!

— არა, მაგითვის ვერაფერ ვერ დაგამუნათებს, მაგრამ... ეს ხომ იმას ნიშნავს — ფარნავეამის ძემ ფრაზა არ დაასრულა.

— ბოგოლუბსკიმე ხელი უნდა ავიღოთ. იური ბოგოლუბსკიმე ხელის აღებით კი ბიზანტიის უფლისწულს ალექსი კომნინოსს გავიხდით სიძედ. კომნინოსი საურმაგ სულკაღმახის ძის, ივანე ფადაევანდის, თარხანის ძის — ჩვენს მოქიშკეთა მწყალობელი იქნება. მღვამე განა შასქანი, ეგვნი გადაგვისვრიან! — ცხარედ თქვა აბულასანმა.

მაინც მორაბაბელი მაგათი ხელებით — ჩაილაპარაკა ჯორჯიკის ძემ.

დარბაზში დუმილი ჩამოვარდა. აბულასანმა იგრძნო — ეს დუმილი შიმში ჩამოვარდა. შიმში გაუკუნდა, გაურინდა ყველა. სწორედ ამ დროს შემოაღო კარი გიმოთემი.

— მაინც ამბობს უსტარი მხოლოდ აბულასანთან გამომგანესო — თქვა ხმადაბლა.

აბულასანი ერთხანს უამროდ მისმერებოდა შახურს, შერედა მოეგო გონს და ხმადაბ-

ლა კითხა:

— როგორა კითხე, გიმოთე? გიმოთე თავის ბატონს უხმოდ მისმერებოდა, შერედა უსწორედ — კარგი — ხმადაბლა თქვა აბულასანმა. გიმოთე უხმოდ გავიდა.

— ეგ არც რამეს ნიშნავს. შესაძლოა, ამან არც რამ იცის. თუ მეფე თამარს უსტარი გამოუგზავნა, სხვა მაყნეს შეარჩევდა — თქვა ჯორჯიკის ძემ.

— შესაძლოა, ეგრეც იყოს, თუმცა, ისე შეიძლება... — გაბაონმა წინადადება აღარ გაასრულა, რადგან ჯორჯიკის ძე აბულასანს მიუბრუნდა.

— მაშ, უსტარი შენთან შწურის ვაშ მოვიდა?

— სწორედ ასეა!

— თუ მორაბაბელმა მეფე თამართან სხვა მაყნე აფრინა, ჯერ მასთან გავგზავნიდა უსტარს, შერე — შენთან. შენ ვალის მოსახდელად გამოგიგზავნა კაცი. სწორია? — იკითხა ჯორჯიკის ძემ.

— ჭკუასთან ახლოს უნდა იყოს — მცირე ფიქრის შემდეგ მიუგო აბულასანმა.

— მაშ ასე, მეფე თამარმა უსტარი გუშინ დილით მიიღო, იქნებ, გუშინწინაც კი. ახლა კი ჩაეხედეთ რა უნდა ექნა მეფეს უსტარის მიღების შემდეგ?

დარბაზში ფიქრი გამეფდა.

— შევეყადოთ, იქნება ჩაეხედეთ? უწინარეხად, შენ უნდა მივიხმოს, აბულასან, — ჯორჯიკის ძე ბუნქარებლად ლაპარაკობდა — პირველად შენ ახსენე ბოგოლუბსკი, ახსენე და ბოლომდე გაიგანე კიდევ შენი ნათქვამი. ამიგომ შენ უნდა მიეხმე!

— ალბათ, ალბათ, ეგრე უნდა იყოს! — დაეთანხმა აბულასანი.

— და უნდა ეთქვა, ბოგოლუბსკი საქართველოს მეფის ქმრად არ გამოღგებიაო. ვერეა?

— ალბათ, ვერეა — ჯორჯიკის ძეს დაეთანხმა აბულასანი — მაგრამ...

— მივიხმო?

— არა!

— მაშ, რა გამოდის? რაგომ არ მივიხმო?

— აბა, აბულასანმა საიდან იცის — ჩაერია

ფარნავაზის ძე.

– არც მე ვიცი, არავინ იცის, მაგრამ იქნებ, ჩაეხვედეთ? – ჯორჯიკის ძე ისევ გაბუმდა, გაირინდა. მერე თქვა – ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უსგარი არ მიუღია?

– იქნება სწორედ მაგას ნიშნავს, მაგრამ... არც ნიშნავს. შესაძლოა, უსგარი კიდეც მიიღო... რაგომ, რისთვის უნდა იხმოს მეფემ აბულასანი, რაგომ უნდა მოახსენოს თავისი ამრი – გაბაონი გაღმზიანებული ჩანდა.

ოთახში ისევ ფიქრი გაბეჭდა.

– მე კი ასე გეცოდით: მეფემ შეიძლება იხმოს აბულასანი და უთხრას: თქვენს წამოწყებულ საქმეს გამარჯვება არ უწერიაო. თუ არ მიიხმო, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ უსგარი არ მიუღია – ფარნავაზის ძე უძრავად იჯდა – იქნებ, მეფეს არ ეცალა? ვინ იცის, გუშინ, დღეს რას აკეთებდა მეფე?

– გუშინ? გუშინ დილას ამირსპასალარ სარგისთან ბჭობდა. შესაძლოა, გაოსკარში ბრძოლამ გვიწიოს. შემდეგ – მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერ ვარდანის ძე იწვია.

– აჰა, აკი გითხარით – მეფეს არ ეცალა! – შესძახა ფარნავაზის ძემ.

– არა, ვარდანის ძის წვევა მცირე ხანს გაგრძელდა... შემდეგ – პო, შემდეგ მამიდა რუსუდანთან შევიდა, იქ ისადილა, მთელი დღე ერთად იყვნენ, ერთად ილიყეს.

– მთელი დღე? – ჩაეძიბა ჯორჯიკის ძე.

– კი, მთელი დღე – მცირე ფიქრის შემდეგ თქვა აბულასანმა – ერთი ხანი ბაქარ ბაქარის ძე შევიდა მათთან. ეგ იყო და ექ! დასაძინებლად იქიდან წავიდა!

– გამოდის, რომ მეფეს დრო ბევრი კქონია! – თქვა ჯორჯიკის ძემ.

– ეგრეა! – დაემოწმა აბულასანი.

– დღეს?

აბულასანი ერთხანს ფიქრობდა:

– დილას ოთალო შერეაშიძე – ცხუმის ერისთავი ეწვია, კარგა ხანს ბჭობდნენ, მეფე თამარს ცხუმთან ნავთმესაყრის აგება სურს. ამის მერე... ამის მერე არაფერი... მეფის კარი არც არავის შეუღია. ხაილიად

ისევ მამიდა რუსუდანთან დაჯდა. ახლაც იქ უნდა ბრძანდებოდა.

– ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მეფე თამარს უსგარი არ მიუღია – დაასკვნა ჯორჯიკის ძემ.

– პო, ალბათ, ეგრეა, მაგრამ... – ფარნავაზის ძე სიფარძლიდან წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადაგა – მეფეს ძლიერ უყვარს მამიდა რუსუდანი. რუსუდანი კი ერთობ გონიერი ქალია. იქნებ, გუშინაც, დღესაც სწორედ ამ უსგარზე ბჭობენ. შენ კი არ ღებობხა, აბულასან, რა საჩქაროა, ჯერ მამიდასთან თათბირობს – ფარნავაზის ძე ერთ წერტილს მიანერდა, პაუზით ისარგებლა გაბაონმა:

– მანდ არც რა გახლავს საოთაბირო, დიდებულო, თუ ამ ამბავმა მეფე თამარის ყურამდე მიაღწია...

– კი, ასეც იქნება, მამიდა უთოოდ ურჩევს უარი თქვი ბოგოლუბსკიზე, არ გამოგვაგებო. ექსორაიქმნილი, მსმური და მფსმელი უფლისწული კი არა, მეფე ღემეგრეს კიევის მთავრის იმასლავ მსტისლავის ძის სიძეობა არად გამოაღვაო. რუსუდანზე უკეთ ვინ იცის ეს! თამარმა იქნებ, უკვე გამოიხმო კიდე მანქანი, მანდ არა გვაქმება, შინ დაბრუნდით.

ფარნავაზის ძის ამ სიგყვებმა ლამის აღაშფოთა აბულასანი:

– ეგ როგორ, როგორ იქნება, სამეფო დარბაზმა თავისი სიგყვა თქვა, მეფე დარბაზის სურვილს ვერ გადავა. ეგრე ვალდე ბულაკო თავისი თავი!

– არა, მეფე მაგდენს ვერ გაბედავს – თქვა ჯორჯიკის ძემ – ვერ იმამს ამას!

ფარნავაზის ძემ წვერში შეიყო ხელი, ნიკაბი მოიფხანა:

– ყურთულ-არსლანის ამბოხი დავიწყებას ეძლევა, მეფე თამარი კი დღითიდღე ძალას იცემს. იქნებ, ყურთულ არსლანის მხარდამჭერნი ერთ მშვენიერ დღეს გაგვკოჭონ კიდე.

– გამოდის, რომ გვიღალაგა იუდეველმა! – შესძახა ჯორჯიკის ძემ – რაგომ არაფერს ამბობ, აბულასან!

– თუ მეფეს უსგარი მისწერა, ვეღვალა! სასჯელიც, სასჯელიც დღესვე უნდა გადაეწყვიტოს!

– თუ გვიღვალა, სასჯელი, მართლაც კეთილის, მაგრამ... – ფარნავაზის ძე იჭვს შეეპურო.

– სწორად არ ირჯებით, წარჩინებულნი – მშვილად თქვა გაბაონმა, სწორ გზას არ აღვახართ.

– ეგ რაგომ, რისთვის! – ჯორჯიკის ძეს არ მოეწონა სასჯელის გადაწყვეტა რომ შეეფონდა.

– ჩვენ მანქან მორაბაბული ყიფიყიფის იმისთვის გავგზავნივთ, რომ ჩამოვიყვანოს საქმრო საქართველოს მეფისათვის. ხომ ასეა? ხომ არა შემლება რა? – გაბაონმა მსმენელებს გადახედა, – ჩავიდა და იხილა ბოგოლუბსკი ვერ არის არის სადი კაცი – მსმურობას წარუტყენია. რა ქნას მორაბაბულმა – მაინც წამოიყვანოს? არა, ვერე არ იქცევა და სწორადაც ირჯება, ვაუწყებს: სხვა კაცთან მივიღო და სულ სხვა დამიხვდაო, როგორ მოვიქცეო, გვეკითხება. ახლა ჩვენ ან თანხმობის უსგარი უნდა გავუგზავნივთ, ანაც...

– გამოდის, ჩვენზე ჭკვიანია! – შესძახა ჯორჯიკის ძემ.

– არა, ვერე არ არის! – მორაბაბული ფრთხილი კაცია, ფხიშელი. არ სურს ხვალ საყვედური ჰკადრონ და გვეკითხება ეს მსმური კაცი დავუსვათ ქმრად საქართველოს მეფესაო? – დააკონკრეტა გაბაონმა.

– მერედა, რაგომ გვეკითხება, ან მაგას რომ გვეკითხება, ჩვენგან რა პასუხს უღის! – არ ცხრებოდა ჯორჯიკის ძე.

აბულასანი ისევე წამოღდა, სანთელს მიადგა, ცვილს აყლიდა.

– მერე რა, რომ გვეკითხება: მანაც იცის, ზოგი მსმურია, ზოგი ყრუი, ზოგიც – ცველანი, მაგრამ მეფობენ – აბულასანმა სანთელს ცვილი შემოაყლიდა.

– ქალწულ მეფესთან მსმურს რა ხელი უნდა ჰქონდეს? – ბრამით იკითხა გაბაონმა – ვგეთ ცოდვას თავს ვინ დაიღებს?!

– მამ, ბიზანტიის უფლისწული უნდა ვიყავო აბულოთ და შეებად მივილოთ ყველა მსმურს, რასაც მისი მეაბჯრენი გვითავაზობენ.

– მე კი სულ სხვა რამ მინდა ვითხროთ – ხომ შეიძლება, ეგ რუსი უფლისწული სულაც არ იყოს მსმური და... – ჯორჯიკის ძემ დარბაზში მყოფთ ყურადღებით გადახედა.

– და ეგ ყველაფერი მანქანმა მოიგონა? – იკითხა თვალმოჭკუგულმა აბულასანმა.

– არა, მანქანი მაგას არ იკადრებდა, მაგრამ... ხომ კარგად ვიცნობთ ივანე ფალავანდსა – კაცსა ხარბსა და დაუნდობელსა, არც ვერატი საურმაგ სულკალმახის ძეა თქვენთვის უცნობი და არც მელაკულობით საქვეყნოდ ცნობილი თარხანის ძე. ჩვენ ხომ არ ვიცით რა ძალა იღონეს, რომ მანქანს ასეთი უსგარი მოეწერა, ხომ შეიძლება, ამით ცდილობდნენ ხელი აგვადებინონ იური ბოგოლუბსკიმედ, თუ ჩვენ ამ უსგარით დაუფრთხებით, მერე ყველაფერი გაუიოლდებათ.

– და მაინც... კიდევ ვნება მიაყენონ ჩვენმა მტრებმა... მაინც ქვეყნის ერთგული იქნება მორაბაბული?

დარბაზში ღუმილი ჩამოვარდა. ყველა ფიქრს მიეცა. მწარე იყო ეს ფიქრი: ოთხივე ცდილობდა წარმოედგინათ, თუ რა შედეგი მოჰყვეო ბოდა იური ბოგოლუბსკიმე უარის თქმას, როგორ შეიცვლებოდა მათი ცხოვრება.

– ღმერთსა ვოცევე ვერ გამიგია რას უნდა ნიშნავდეს მსმურობას გადაყოლა – როგორ იქნება კაცმა ღვინო ირჩიოს მთავარ მეგობრად! – თქვა ფარნავაზის ძემ.

– ეგ არც მე მსმენია – რაგომ, რისთვის უნდა ქნას კაცმა ეგა? – ჩაილაპარაკა გაბაონმა.

– მე კი მსმენია: არიან აღმაინები სახმელს რომ ემიჯნურებიან – თქვა ჯორჯიკის ძემ.

აბულასანს ეგ საუბარი არაფრად უღირდა. ამიგომ ასე დასვა საკითხი:

– როგორ მოვიქცეთ, წარჩინებულნი, რა გზას დავადგეთ, რა ვირჩიოთ – ბოგოლუბსკი და გამარჯვება, თუ ბიზანტიის უფლისწული და ჩვენი გაცამტვერება?

– არა, ეგრე არ იქნება, დამარცხებას ვინ ირჩევს. ჯერ სხვა რამ უნდა გადაწყვიტოთ – ჯერ ის ვთქვათ, ვენდობით, თუ არა მორაბაბულსა, გჯერა თუ არა ამ კაცის ნამუსიანობისა – იკითხა გაბაონმა.

დარბაზში ისევ ღუმილი გაბეჭდა.

– ბრძანეთ, დიდებულნო, გისმენთ. თუ ვენდობით მორაბაბულსა, მისი უსტარიც მივიღოთ, და ისე მოვიქცეთ, როგორც ქვეყნის პატრონი ეკადრებათ, თუ არა გჯერა მისი, სხვაგვარად გადაწყვიტოთ ეს საქმე

ღუმილი არცერთმა არ დაარღვია. არცერთს არ ეწადა თავისი ამრის გამხელა.

– აბულასან, იქნებ, შენ ბრძანო? დღეს ენდობი თუ არა მორაბაბულს? – გაბაონი თავს წაადგა აბულასანს. აბულასანი ხმას არ იღებდა, ღუმილს ირჩევდა, მაგრამ გაბაონი ჯიუტად შესიქეროდა – შენს პასუხს ველით, აბულასან, ბრძანე! – გაბაონის ხმაში მოთხოვნა იგრძნობოდა.

– კი, მე ვენდობი მორაბაბულს – თავაუღებლად, კბილებში გამოსცრა აბულასანმა.

– ღმერთმა სიკეთე მოგვცეს სიმართლის თქმისთვის! – მიუგო გაბაონმა და დანარჩენი მიუბრუნდა – თქვენ რაღას ბრძანებთ, ბატონებო?

პასუხის გაკეობას კვლავ არ ჩქარობდნენ. უხმოდ ისხდნენ. ჯორჯიკის ძემ მოგვიანებით თქვა:

– აბულასანი, ცხადია, ენდობა, მისივე რჩეულია!

– შენა? შენ თუ არ ენდობი, გვიბრძანე!

ჯორჯიკის ძე პასუხს აყოვნებდა.

– არაფერს ამბობ, მამ, არ ენდობი მორაბაბულსა! – დაასკვნა გაბაონმა.

– ჯორჯიკის ძემ კვლავ არაფერი თქვა. გაბაონი ჯიუტად არ აცილებდა მშერას:

– მამ, არ ენდობი!

– არა, მე ვგ არ მითქვამს.

– ენდობა!

– არც ვგ მითქვამს, და თავს ნუ მადგახართ, მე არ მინდა რაიმე გითხრათ.

– ნება შენია, ყმაწვილო, მაინც სიკეთე მოგვცეს ღმერთმა. მე გეტყვით ჩემს სათქმელსა: მჯერა, ზანქანი ჩვენს უკან პირს არავისთან

შეპკრავდა, არც მეფეს მისწერდა უსტარსა. ჩვენ მოგვწერა ის, რაც ნახა, ~~მისივე~~ ვინც იქ გაგზავნა. შენ რაღას ბრძანებ? – ფარნავაზის ძეს მიუბრუნდა გაბაონი.

– ვიცი, ვიცნობ და მჯერა: აუგს არ იკადრებს – დაუყოვნებლივ თქვა ფარნავაზის ძემ. გაბაონის მშერა გაუბრწყინდა.

– მამ, რაღა დაგვრჩენია? მართალია, ბოგოლუბსკის სიძეობაზე აბულასანი აღაპარაკდა და ჩვენც გვერდით დაუდევით...

– ისევ აბულასანი! – აბულასანს ხმამი გაღმიანება დაეცყო.

– ნუ ჩქარობ, აბულასანი! – მშვიდად თქვა გაბაონმა – დღეს ერთად ვართ, ერთადვე უნდა ვიყოთ, ერთად მივიღეთ მშეთამართან და წერილად მოეხსენით: ჩვენი კაცისაგან შევიგყვეთ, მუფო, რომ ბოგოლუბსკის არ გამოდგა, რაიც გვეგონა. ჩვენ ასე ვფიქრობთ. არჩევანი თავად გააკეთე, მუფო, რასაც ინებებ, ჩვენ, სამუფო დარბაზის უმრავლესნი, ყაბულს ვიქნებით – დარბაზში კვლავ ღუმილმა დაისადგურა – პასუხს არავინ ჩქარობდა – ჰა, რას იტყვით, დიდებულნო, მეფესთანაც მართალნი ვიქნებით და ღმერთთანაც!

– საკუთარ თავთან? საკუთარ ოჯახთან? ეს ხომ იმას ნიშნავს თავს უღალატო – ივანე ფალავანდს, თარხანის ძეს თოკები ჩამოევრიგოთ, თანაც შევევედროთ ხელუფლებითო? – თქვა ფარნავაზის ძემ.

– თოკს, ჩვენც არ გავუწოდით, თავად მონახვენ, ისე შეგვკრავენ, მიელი სიცოცხლე ვერ დაეხსნათ თავი – ჩაილაპარაკა აბულასანმა.

– სხვაგვარად ჩვენ ვერ მოვიქცევით, მშეთამარს მსმელსა და მფსმელს ვერ შევერთავით! იქნებ, ის სჯობდეს, რუსუდან დედოფალს გავუტყულოთ, ჯერ მამიდასთან მივიღეთ ვცონებ, ეგრე აჯობებს – გაბაონს კვერი დაუკრა ფარნავაზის ძემ – ზანქანს კი ვუბრძანოთ, ხვალვე გამობრუნდეს უკან.

ჯორჯიკის ძე მოღუშული იჯდა. ბრძანებულს შეტყუებად გაბაონსა და ფარნავაზის ძეს.

– უფალი ბრძანდებით, ეგრე ეწნათ, მივი-

დეთ რუსუდან დედოფალითან, პატიება ვთხოვოთ, მერე მეფე თამარის წინაშე მოვიყაროთ მუხლი, ვეჯაოთ. კი, ბაგონო, ვერე ვწნათ, მაგრამ... — აბულასანი გამუშა — მერე? ეს ხომ ყველაზე იოლია. ეს ხომ უბრალო გამოსავალია. ამაზე უბრალო კი ის იქნებოდა, თქვენთვის თავი არ მომეყარა. ეს ამაზე დამეშალა — რა მოხდებოდა? არც რამე! იმისთვის გიხმეთ, რომ გონიერული რამ მოვიფიქროთ და კიდევ უფრო შევიკრათ. ჩვენ დიდი ომი გვაქვს. ამ ომში დამარცხებით ყველაფერს ვკარგავთ.

— რა გწადია, აბულასან? — გაბაონს მოუთმენლობა დაეცყო.

— მე ის მწადაია, რომ... — აბულასანი ერთ წერტილს მისჩერებოდა — ასე მოვიქცეთ... სასწორის ერთ მხარეს ბოგოლუბსკი დაეაყენოთ, მეორე მხარეს ჩვენი დამარცხების სიმწარე. მწარეა დამარცხება აღამიანისა, მაგრამ... სამეფო ღარბაზის უმრავლესთა უკუნურებაზე ხარხარი, დაეცნება კიდევ უარესი.

— კი, აბულასან, დამარცხება არავის უხარის, მაგრამ სასწორის მეორე მხარეს მეფის მსმური ქმარი ღვას, ეს კი მთელი საქართველოს დამარცხებაა — გაბაონი აღარც ფარაედა გაღიმიანებას. აბულასანი კი დაჟინებით და გამჭირდავად შესცქეროდა. მერე თქვა:

— ნუ ჩქარობ, დიდებულო, მე ხომ ვიცი, შენ ძლიერ მოგწონს სამეფო ღარბაზის წვერობა, ვიყვარს ყველა ამქვეყნიური სიკეთე, ხვალ კი... რა იქნება ხვალ? თუ ბოგოლუბსკის მხარდამჭერი იქნები, ვინ იცის, როგორ დაგიფასდება ამაგი... ნუ აჩქარდები... შენს ოჯახს დღევანდელი ხვალ აღარ ყოფნის, ხვალ მეტი უნდა... მეტი კი... კარგად უნდა იყოლე, მეტი ვის ხელშია.

— შესწყვიტე, შესწყვიტე ვე ვაჭრობა, აბულასან, ხომ არ დაგავიწყდა დიდებულ გაბაონს უღაპარაკები და არა ქალაქის ვაჭარს!

— მომავალზე თუ არ იფიქრე, დღეს დიდებულ ხვალ მოაჯე იქნები! — თქვა ჯორჯიკის ძემ — ამიგომ ვე განრისხება არას მაქნისია.

— თქვენა ვინა ხართ, თქვენა საქართვე-

ლოს დიდებულნი ხართ, თუ ვაჭართგამგებულნი, მე ვხედავ, თქვენ მაინც მსმურ კაცს ირჩევთ საქართველოს მეფე-ქმრად, არ მინდა, მე მაგას არ ვიზამ... თუმც ღარბაზის წვერობაც მიხარის და სხვა სიკეთენიც

— რას აპირებ? — მშვიდად იკითხა ფარნაეზის ძემ.

— თქვენგან გაცლას, მეგს არაფერს! — გაბაონი კარისაკენ გაემართა — საქართველოს მეფეს ქმრად მსმურ კაცს ვერ მოვგვრი. კარგად ბრძანდებოდეთ! — თქვა და კარი გამოაღო.

აბულასანმა ახლა კი ინანა შეთქმული თავი რომ მოუყარა. კართან მივიდა, შვიდად მიხურა და გაბაონს უთხრა:

— მე ვირჩევ, გეაჯები კიდევ, ნუ აჩქარდები, პატიება გეემ და იმაღ გეაჯები. მე ვიცი, თავმეკაცება რაოდენ შევებას და სიამეს მოჰკვრის ბოგოლუბსკის მხარდამჭერთ. მოდი, ვაჭართა აუგს თავი ვანებოთ, ქვეყნის ჭაპანს დღეს ვგვნი ვზიდებთან და სასწორიც ხელიდან არ დავაგდოთ. ყველაფერი აქწონ-დაქწონოთ. იმით დაევიწყით რომ ვიკითხოთ, თუ ვინ არის ბოგოლუბსკი. მიბრძანე, გაბაონ, შენ მითხარი, ვინ არის ბოგოლუბსკი?

— პო, მართლმადიდებელი ქრისტიანია, ვე ძლიერ კარგია!

— კიდევ რა ვიცი? სამეფო სისხლისა არის?

— კი, ბაგონო, არის — ყაბულს განადა გაბაონი.

— ეგეც ხომ კარგია? — იკითხა აბულასანმა და თანხმობის დუმილი რომ არავენ დაარღვია, განაგრძო — კიდევ? კიდევ რა ღირსება აქვს?

— მეტი არა-რა ღირსება არა აქვს! უნათუ-სავო კაცია — ექსორიაქმნილი, ერთადერთი ბიძა მგრად მოკიდებული...

— ე მანდ უნდა შედგე, ახლა ეს ვნახოთ გამოწვლილვითა — გაბაონს სიყვეა პირიდან გამოგლიჯა ჯორჯიკის ძემ. გაბაონმა გაოცებული მშერა მიაპყრო ყმაწვილ თავადს — ნუ გამინაწყენდები, თავადო, სიგყვეა წაგართვი, მაგრამ ახლა ის ვნახოთ ეს როგორია, კარგია, თუ ცუდი ვე კაცი რომ უნათუ-სავო და ექსორიაქმნილია?!

– რა განსჯა მაგას უნდა – უნათესაევო, ექსორიაქნილია – ცუდია, მაშა?!

– მაშ, შენ ამბობ რომ ცუდია? – აუჩქარებლად ჩაეკითხა ჯორჯიკის ძე.

– მაშა, მაშა, რა, ეგრე არ არი? – მყის იკითხა გაბაონმა.

ჯორჯიკის ძემ პასუხი არ იჩქარა. შერედა, ხმადაბლა თქვა:

– თუ ის გვინდა, რომ მეფე უზენაესი იყოს და ჩვენი ბელიც ხელთ ეპყრას, ცხადია, ცუდია. ჩვენ კი სხვაგვარად ვფიქრობთ: მეფემ უნდა შეასრულოს დარბაზის გადანაწყვეტი, მეფე – დარბაზის გამგონე. ასეთი ბოგოლუბსკია ჩვენთვის კარგი – აუჩქარებლად თქვა ჯორჯიკის ძემ – ასეთი და არა ნათესაუჯარით ძლიერი!

– რაო? რას ამბობ, ვეეო! – ლამის აღშოთებით წამოიძახა გაბაონმა და დარბაზში სიჩუმე გამეფდა. სიჩუმე კარგა ხანს იდგა. აბულასანი საეარძელს მიუბრუნდა, ჩაჯდა და ბრძანა:

– თავადო, გაბაონ, ნათესავიანი, ღონიერი, ძლიერი მეფე-ქმარი მეფეს ძალას კიდევ უფრო შეჰმაგებს და შენ – ქვეყნის პაგრონო დიდებულო, ისღა დაგრჩება, მეფის ყოველ გადანაწყვეტს პირზე ღიმილით შეეცეობ, ხმა კი ვერ ამოიღო, მაგრამ თუ... – აბულასანი გაჩუმდა, ერთ წერტილს მიაჩერდა – თუ ის მსმური და ბელოვლათი იქნება, ვინ უნდა მიდლოს ქვეყნის ჭაპანი, ვინ უნდა გადაწყვიტოს ბელი ქართელისა... ჩვენ, დიდებულთ და არა მეფემ – ერთმა სულიერმა – აბულასანი ისევე გაჩუმდა, ფიქრობდა – მსმური და უძალო, ვერუ ჯარს გაუძღვება. ეს საქმე ვინ უნდა ითავოს? შენა, გაბაონ, შენა, ფარნაეზის ძე, შენა ჯორჯიკის ძე, მე... ჩვენა. ჩვენ შევბასა და სიამეს სამშობლოს ასეთი სამსახური მოგვანიჭებს... – შევბაჟა და სიამემ ღმერთმა უნდა მომანიჭოს და არა მსმური უფლისწულის მხარდაჭერამ – თქვა გაბაონმა. კარი ისევე გამოაღო, ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ არ გავიდა – კარებში ჩადგა – აი, როგორ დაგვიცინის ბული, რა სასაიცილოდ ვიხდით თავსა.

უცხო, გადაშთიელი გეორგუნაედა, ხან არაბი გვხვდია სულს, ხან თურქული, ბიზანტიელიც სიკვილის ანგელოსივით გვადგა თავს. ჩვენს უბედურებათა სათავედ მგერს მივიხნევდით, უცხოელთ, ჩვენს დასაიორგუნად, ჩვენი მიწა-წყლის წასართმევედ მოსულს. ვგმინავდით, ვკენესოდით, სიმღერებშიც კი ვოხრავდით – თავისუფლებას ცრემლითა და ხმლით ვნაგრულობდით, აჰა, მოგვეცა თავისუფლება და გუშინ მკენესარენი, დღეს საკუთარ მეფეს რას ვუშვრებით! ვიღრე თავს არ გამოუეგყვებით, რომ ჩვენვე ვართ სათავე ჩვენი უბედურებათა – ჩვენი გაუმაძღრობა, წესთა აბუნად აგდება, ეგრე ვიქნებით!

გაბაონმა კარი უხმოდ გაიხურა, დარბაზში კი სიჩუმე ჩამოეარდა. ფიქრმორეული ფარნაეზის ძე, ჯორჯიკის ძე იაგაკს დასექეროდნენ. ღუმლი კარგა ხანს გავრძელდა, ბოლოს კი აბულასანის სიცილმა დაწარღვია. ფარნაეზის ძემ თავი ასწია, აბულასანს მიაჩერდა. ჯორჯიკის ძეც.

– ხომ კარგად ბრძანდები, ამირთამირაე? – იკითხა შერე ფარნაეზის ძემ.

ამირთამირა კი გულიანად იცინოდა.

– აბულასან, პა, აბულასან!

აბულასანმა როგორც იქნა, თავი დაიოქა და თქვა:

– კა, კარგადა ვარ, ძალიან კარგად! ის წარმოვიდგინე, საქართველოში ჩამოსული უფლისწული რომ საკუთარ თავს მოერევა, სენს შეერკინება და საქმეს გერგილიანად მოეკიდება, გაბაონი რა დღეში ჩავარდება. პო, როგორ დაეკოდება გული! ჩვენი შეება, სიხარული კიდევ უფრო აღუშოთებს სულსა. ჯორჯიკის ძესა და ფარნაეზის ძეს პირზე ღიმილი მოადგათ.

– აბულასან, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა შევბასა და სიხარულზე ლაპარაკობ? – იკითხა ჯორჯიკის ძემ.

– შევბაჟე დიდი იქნება და სიხარულიც! უნაკლო ადამიანი ჯერ არ გაუჩენია ღმერთსა. რამდენი მეფე გამხდარა თრიაქის კერძი, რამდენს ნადირობის გრფიალმა მოუღო

ბოლო. მეფსალმუნე მეფე დავითს, წინას-  
წარმეტყველსა კი ქალმა ჩააღენინა დიდი  
ცოდება. მსმურობის გამო ამ საქმის ჩამლა  
არ ეგების. ჩამოვიდეს, ქვეყანას რომ გადა-  
ხვდას, მეფე-ქმარი გახდება, სხვაგვარად გაირ-  
ჯება. ჩვენც მეუკებახებთ საქართველოში ეგ  
საქმე არ გამოვა-თქო, ხოლო თუ ჩვენ ახლა  
უარს ვიგვეით და დარბაზის უმცირესთა ყბაში  
ჩავეარდებით, კარგი დღე არ გველის. ეს ხომ  
ცხადია. დღეს კი არ მინდა იმავე საუბარი, თუ  
როგორ დავგიფასებს ამავს მეფე-ქმარი.

- თუ ჩვენ ჩვენსავე აზრს პატივი არ  
დავღეთ, ეგენი მასხარებად გაგვხდიან! -  
დასძინა ფარნავაზის ძემ.

- მაგრამ არც ისე გამოვა საქმე, აბულა-  
სან, ეგ შეება მხოლოდ მუნთვის იყოს, ჩვენ  
კი... - გაღრთხილებს გონით წარმოთქვა  
ჯორჯიკის ძემ.

- მე უკვე გითხარით: შეება და სიხარული  
ყველას გველის.

- ეგ კი ბრძანე, მაგრამ შეებაც არის და  
შეებაც! შენ სუფრაზე კარგად იღხინო და  
ჩვენ ნამსეცობაზე დავიძობხო, ეგრე არ იქნე-  
ბა, არ გამოვა - ჯორჯიკის ძე ყოველ სიტყ-  
ვას დამარეკლით წარმოთქვამდა.

- ერთი ნახე, აბულასან, გაბაონმა კარი  
გახიურა, არ ისურვა ამ საქმეში გარევა.  
ჩვენც რომ მის გზას დაუადგეთ, ჩვენც რომ  
წავიღეთ, რად ეღირება შენი ამდენი ხნის  
მეკადნიეობა! - ფარნავაზის ძე პირზე დიმილ-  
მომღვარი ლაპარაკობდა - ამიგომ რაიმეს  
დავიწყება, საქმის წახედნას ნიშნავს

- ეგ ყველაფერი ჩემი საფიქრალია,  
საქმეს არ წავახედენ, მაგრამ მაინც ის მიჯობს,  
ერთად ვიყოთ.

- ბატონი ხარ, ვიყოთ ერთად, არც მე მინდა  
იენე ფალავანდისა და საურმაგ სულკალმასის  
ძის საქილიკოდ გავიხადო საქმე, მაგრამ ისე  
არ მოხდეს, ბოგოლუბსკის შენ წარუდგე: რომ  
არა ჩემი ნება, მეფე თამარის ქმარი ვერ გახ-  
დებოდლო, ჩვენ კი ვალმა ნაპირიდან შემოგე-  
ქროდეთ - თქვა ჯორჯიკის ძემ.

- მე მაგის თქმის საბაბი რომ არ მომიცია!

- მოგიცია, პაი, პაი რომ მოგიცია, აბულა-  
სან, ამბოხი ერთად დავიწყეთ, ყველაფერი  
დარსლანს ერთად ვეღვეით გვერდში.  
ამირთ- ამირაყ შენ გახდი ქართლისა, გვილ-  
ისის გამგებელიც. სხვანი არ ვიყავით მაგ ამ-  
ბოხში?

- მერე თქვენ განა დამავიწყდით!

- მე ის მიჯობს, ახლავე დავთქვათ, ვინ  
სად დადგება - ჯიუტობდა ჯორჯიკის ძე.

- მე არცა მითქვამს თქვენ უკან და მე  
თავში-მეთქი. მე ვთქვი - ერთად-მეთქი.

- ეგ კი თქვი, აბულასან, მაგრამ მე სხვა  
რამეს მოგახსენებ: ჩემთვის რუსთ  
უფლისწულიც ის არის, რაც ბიზანტიისა.  
ბოგოლუბსკი განა იმისთვის ვინდომე, რომ  
შენ ინავარდო.

- სწორად არ ირჯები, თავადლო - ჯორ-  
ჯიკის ძეს მიმართა ფარნავაზის ძემ - დღეს  
სხვა რა გითხრას ქართლის ამირთ ამირამ.  
დღეს მთავარი ის არის, სამეფო დარბაზის უმე-  
რესთ არ ჰპოვონ გამარჯვება უმრავლესმედ  
- ბიზანტიის უფლისწული არ იქცეს მეფე თამ-  
არის მეუღლედ. დღეს მთავარია ბოგოლუბს  
კი ჩამოვიყვანოთ და ქორწილიცა ვქნათ, ჩვე-  
ნი დიდი გამარჯვება ეს იქნება. ამ გამარჯვე-  
ბას კი სიამენი უსათუოდ მოჰყვება.

- მაშ, შენ, ამირთ ამირაყ ქართლისა,  
გამგებლო გვილისისა, გვირდებნ, რომ მარ-  
გო არ წარსდგები რუსთ უფლისწულის წინაშე,  
რომ შეება, სიხარული ყველას ერთნაირად  
შეგვხვდება?

- ეგრე მითქვამს და ვამბობ - შევლა  
ყველას შეგვხვდება! - აბულასანმა პირჯვარი  
გადაიწვრა.

- მაშ, დაჰკა ხელი! - პირმცინარმა ჯორ-  
ჯიკის ძემ მარჯვენა გაუწოდა აბულასანს.  
ქართლის ამირთ ამირამაც მარჯვენა დაჰ-  
კრა ჯორჯიკის ძის მარჯვენას - შენა? -  
ფარნავაზის ძეს მიუბრუნდა ჯორჯიკის ძე.

- მეც თქვენთან, ცხადია, მეც თქვენთან,  
ძმანო! - ფარნავაზის ძემ თავისი ღომის  
თათისოდენა ხელი ჯორჯიკის ძისა და აბუ-

ლასანის ხელებს დაადო.

- ეგრე!

- ღმერთმა ბედნიერი ქმნას ჩვენი გადაწყვეტილება!

- ეგრეც იქნება, მაგრამ მანქანს ერთი კარგად უნდა შევძახოთ, რაგომ, რისთვის აყოვნებს ამ საქმეს! სამეფო ღარბაშმა ამოღენა პატივი დასლო. დავალება უნდა შეხსრულოს - თქვა ჯორჯიკის ძემ.

- მაინუ ახლავე უკან გავაბრუნოთ, უსტარიც ისეთი გავაგანოთ, საქმე აღარ დაყოვნდეს - ფარნაეზის ძეს თვალები უბრწყინავდა.

- უსტარი? - აბულასანმა ხელი ხელს შემოჰკრა. გიმოთე უმალ შემოვიდა

- შიკრიკი! - ბრძანა აბულასანმა. გიმოთე გავიდა - უსტარი! - აბულასანმა მანქანის უსტარი აიღო, სანთელთან მიიგანა და ცეცხლი წაუკიდა - უსტარი აღარ არსებობს.

- მართალს ამბობ, არც უნდა გამოეგზავნა, განა იმისთვის წარვგზავნეთ ყიფიყეთს, უსტრები გვიგზავნოს. მას მეფისწულის ჩამოყვანა ევალება, მეგი არაფერი! - თქვა ჯორჯიკის ძემ.

გიმოთე ეუდას შემოუძღვა.

- მამ, შენა ხარ მანქანის შიკრიკი? - ჰკითხა აბულასანმა.

- მე გახლავარ, შენი კენესამე!

- როგორ ბრძანდება შენი ბაგონი, რასა იქმნ?

- რახან ყოველდღე სტუმრად დაბრძანდებ, ცუდად არ უნდა იყო. სხვა არა ვიცი რა!

- ახლავე უნდა გაეშურო ყიფიყეთს, დაბნელებამდე კარგა მანძილს გაივილი.

- შშადა ვარ, შენი კენესამე.

- საქმე ძლიერ სამური - აბულასანი შეყოვნდა, რომ მომღვენი სიგყვესათვის მეგი ძალა მიენიჭებინა - ძლიერ სამური, გქმის?

- უსტარს გამოგაგანსო.

- უსტარისა არც წერა მიყვარს, არც - კითხვა.

- ეგრევე ვეგყვი, შენი კენესამე.

- ყური მიგდე - აბულასანი ეუდას მიუახლოვდა, ხამგასმით უთხრა - შენს პა-

ტრონს ის უთხარი, რაც გეწადიქ მთავებრე კი ოთხი სიგყვა - უსტარის სანთელის ცთობა სიგყვა. გაიგე?

- არა ვითქვამს რა, ბაგონო, ვით გაიგებდი!

- საქმეს ნულარ აყოვნებ, მანქან! კარგად დაიხსომე ეს ოთხი სიგყვა. საქმეს ნულარ აყოვნებ, მანქან! გამიშუორე!

- საქმეს ნულარ აყოვნებ, მანქან!

- ამხელა კაცი ოთხ სიგყვას როგორ ვერ ჩაიგან ყიფიყეთში.

- გინდაც ოთხჯერ ათი იყოს, ბაგონო!

- მე შენ მომწონხარ, შიკრიკო! გიმოთე, უხმარი წულა და ახალუხი მიუქენია შიკრიკისათვის! - აბულასანი ეუდას მიუბრუნდა - გასწი, დღეც უნდა იარო და დამეყა!

- შენს ბაგონს ჩემგან სალაში გადაეცი: სამეფო ღარბაშის წვერი ვამეხ ჯორჯიკის ძე პატივით გიხსენებს-თქო!

- ეგრე ვეგყვი, ბაგონო!

- მაგრამ მთავარი ის ოთხი სიგყვაა. რაო, როგორ ვითხარი? - იკითხა აბულასანმა.

- საქმეს ნულარ აყოვნებ, მანქან!

- აბა, ვინა თქვა, რომელმა ბრძანეთ ვე შიკრიკი წულა-ახალუხის ღირსი არ არისო!

- ყოფილა, ყოფილა! - გაიყნა ფარნაეზის ძემ. აბულასანი გიმოთეს მიუბრუნდა:

- საჯინობოში ყველაზე მარდი ცხენი შეურნიე, თან ორი რჩეული ვაკეკაც გააყოლე, არსად შეჩერდენ! - ჩვენ კი იმ ოთახში სუფრას მიუქსხდეთ, ამ უსტარმა ისე ღამიკარგა მოსვენება, მთელი დღე პური არ გამიგებია - აბულასანი სტუმრებს შემობოლ ოთახში შეუძღვა, სადაც ოთხი კაცისთვის გამილილი სუფრა დახვდათ - მობრძანდით, ბაგონებო, დავილოცით. ვე მეთოხე სკამი გაბაონისათვის იყო, მაგრამ რა გაეწყობა, ასე ირწია - ამბობდა აბულასანი, თან ჯამეში ღვინოს ასხამდა.

- პა, რა სუნი აქვს პურსა! - თქვა ფარნაეზის ძემ.

- გინა ღვინო რა სურნელს აფრქვევს! - დასძინა ჯორჯიკის ძემ - ოპ! ოპ! ოპ!, არც

გეწალოს, მაინც შეგასმევინებს თავსა.

- დალოცვილი მიწა გვაქვს, დიდებულ-  
ნო, დალოცვილი! წყალმდინარენი?! აბა,  
ეს თევზი იხილეთ!

- დიდებულია, დიდებული! - ილუკებო-  
და ფარნაგაზის ძე.

- აი, რად მოსწონდათ გადაბთიელთ ჩენი  
წყალ-ჭალა, კურთხეულია და იმად, მაგრამ  
მეფე დახითმა სამარედ უქცია ეს მიწა!

- არც მეფე ღმერთს დაუკლია რამე მგრე-  
ბისთვის, არც მეფე ვიორგისა. მშეთამარი კი უა-

რეს დამართებს მაგათ. აბუღასან, <sup>გაგრაში</sup> რამე, გამრა ყელი! - შესახა ჯორჯიის ძემ.

აბუღასანმა ჯამი ახწია:

- ჩენს მეფეს დიდება, მშეთამარს! მისის  
მოთავეობით მრავალ მგრეს გაფუქლავებით!

- დედას არ ვუგვირებთ, რო!

- დიდება მეფეს!

სამივემ ერთდროულად დაცალა ჯამები.  
ჯორჯიის ძემ კი მრავალეამიერი წამოიწყო.  
აბუღასანი და ფარნაგაზის ძეც აპყვნენ. გაგ-  
ბებით მღეროდნენ.

### გაგრაძელება იქნება

გარდირაგიდან, კარის ღრიჭოდან,  
სარკის ბზარიდან გვიანლოვდება,  
წარბს არ შეიხრის და ღამეში  
გესვება წუნკალ მკვების სროვებად.  
არ განურდება, არ შენუღდება,  
არ შეტოვდება, გვიანლოვდება...  
უკვე ხავლილი ვუვლა ღამიდან

ანდა ჩამქრალი ვუვლა დილიდან,  
რამაც მივიღო და შევიწოვა  
ანდა ხელი გკრა და განვირიდა.  
მოდის მოპარვით, მოდის ბორძივით,  
თვალუამტრებით ან თვალრიზბად, -  
შუალამა, ძალღები ვუფენ...  
ვამომალეობა ჩემმა ვვირილმა.

15.XII. 2004 წ.

მე საკუთარ თავს ღამეში ვაგნებ,  
ღამეა, ღამე - უძირო სრამი  
და ვკარგება ფორმა იმ საგნებს,  
ანრდილებივით რომ მახლავს ღამით.

რა საჭიროა, რომ გვრქვას მრუმი,  
მეძავი ანდა რაღაც ამგვარი,  
როდესაც გუძინავს, სიბნელის ღრუში  
ხანულებს ირქმევს ვუვლა საგანი.

და თუკი უკვე თენდება საღამე,  
ელნათურები უქმად ბრწყინავენ,  
შენს საწულ სინდისს - დაღუბნილი  
ხანთელს,  
რაღაც აწვალებს სორცის წინაშე.

ზამთარიც რჩება იმავე ზამთრად,  
თოვლივით ადევს ძველი სახელი,  
ზამთარიც თავის სუსხითვე დათურა  
და უმწარესი ახლავს ნაღველი.

რა საჭიროა მოვიდეს მკვლელი  
ანდა იქნუდეს საჯანს ჯალათი,  
თვითონ ტრიალებს ცხოვრების კვრი  
და თავისთავად მოაქვს დღაღტი.

და მეც ბჭვე ვარ, მოწმე ამ ღამის,  
სინუემს მირღვევს ქროლა ქანქარის,  
უნაპიროა ღამე ვით სრამი  
და ვურცღის კიდეს ავსებს ფანქარი.

ქარი მიაფრიალებს კორპუსებში ცელოფანს,  
ო, რა სისულელეა თვითმკვლელობის მცდელობა!

მიდგან თეთრი ნაუენი და ღუშელი მინთია,  
ავბედი ცსოვრებაა, აუცა ამიხდია.

ქარი მიაფრიალებს უიმედოდ ცელოფანს,  
უვლაფერზე მსელია აღბათ დაუცველობა.

ათასნაირ დარდისგან, ჯაერისგან, ქარისგან,  
რამაც ასე დამტანჯა და სარივით დამრისხა.

და ავკინძე ღეჭები, კადაფურცლე რუეული,  
რომ ღამე აღმებჭდა - ღამე ვამორღვეული.

ქარი მიაფრიალებს უნუკემოდ ცელოფანს,  
ო, რა სისულელეა ვარსკვლავების მცველობა.

გასეარნება

მითხარი, როგორ უნდა ვიაროთ  
აქ ამ ფურდობზე მე და შენ ერთად,  
და ვარსკვლავების ვიყოთ ზიარი  
და მე შამა და შენ შვილი გერქვას.

აქ ამ ფურდობზე მე და შენ ერთად,  
და ამ ცოდვების ვიყოთ ზიარი,  
და მე შამა და შენ შვილი გერქვას,  
რომ ვაგრძელებდეთ ასე სიარულს.

აქ ამ ფართობზე, სადაც ნამკვები  
დგანან და გერჩება ნაფეხურები,  
სადაც საღამოს ჩრდილი დაწვება  
და ჩვენ ორივეს წაგვუხურება.

უნდა მიკვირდეს, რომ შენ აქამდე  
არ არსებობდი, არ შეკვდი გვერდით,  
და თუ ორნი ვართ, მე ხელს გაკარებ,  
და მიკვირს, როგორ ვიყავი ერთი...

ტამის რადიო

შენ იწექი სიბნელეში და უსმენდი რადიოს  
და მოულოდნელად წააწედი ჩემს ხმას რადიოში.  
უსმენდი დიდხანს, უსმენდი მერეც,  
როცა შეწედა ჩემი ხმა და დაიწყო  
სხვა გადაცემა,  
შენ მოულოდნელად წააწედი ჩემს ხმას;  
შენ უსმენდი და გიკვირდა  
და ისევ უსმენდი და ისევ გიკვირდა  
ჩვენი შესუვდრა შუალაძინას...  
უნილაუი რადიოტალღები მთარღვევდნენ  
დიღმის მასივის ბნელ სივრცეს,  
მთარღვევდნენ ბნელი ალღების სეივანს,  
ქუჩას, ნაკვის ეუთების ირგვლივ მოგროვილ წვედიანს,  
გაცვენილ ნამკვებს და თავს იერიდნენ  
ერთ ჰატარა ოთახში, მეორე სართულზე,  
და შენ იწექი და ჯერ კიდევ ფიქრობდი ცხოვრებაზე  
და საერთოდ, ადამიანის ბედზე ცხოვრებაში,  
ფიქრობდი ვეულაფერზე,  
რასაც შეიძლება შეხებოდი მხერით ან სმენით—  
საწოლის ძვიდეს, საწურ მაკიდას,  
შხალურზე არბენილ სინათლეს,  
რომელმაც უღდანაცემივით გადაუარა  
ტანსაცმლის კარადის თავზე შეწეობილ წიგნებს...  
შენ უსმენდი ჩემს ხმას,  
მოულოდნელად რომ წააწედი...  
... ახლა მეც ვწევარ სიბნელეში  
და ვუსმენ შუალაძინის რადიოს,  
ვუსმენ სიმღერას, რომელიც ნაღვლიანად იღვრება,  
უნილაუი რადიოტალღები მთარღვევენ  
ნუცუბიძის ჰლატოს უმეფლებელ სიბნელეს

და ჩემს ირგვლივ მეთორმეტე სართულზე  
 ერთ პატარა ოთახში იურიან თავს,  
 სადაც სძინავთ ბავშვებს,  
 სადაც სძინავს ცოლს,  
 სადაც პატარა ღამშა ანთია,  
 რადგან ეს წუთია ჩაქრა სინათლე  
 და სრულმა წუედიადმა დაისადგურა.  
 მე ვუსმენ სიმღერას, რომელიც ცუცხლის ენასავით  
 ანთია სიბნელეში და აფრიალებს თავის უმწყო მულოდას...  
 მე ვუსმენ რადიოს, რომელსაც შენ უკვე აღარ უსმენ,  
 ვწვეარ უძრავ და თითქმის ბნელ ოთახში  
 და ვგრძნობ სადღაც მიუვქანებით  
 მე, ცოლი და ბავშვები,  
 სადღაც მიუვქანებით საკმაოდ სწრაფად  
 ამ უძრაობაში...  
 მე შეხარება საწოლიდან წამოდგომა  
 და გარეთ გახედვა, რადგან ვიცი,  
 სახლების ნაცვლად მალაღ სილუეტებს დავინახავ,  
 ვიცი, რომ ასეთ დროს  
 მთელი ქვეყანა ემსგავსება დიდ ოთახს,  
 სადაც მალაღი, ბნელი სახლები აღმართულან  
 და მათ ქვეშ მოისმის მისუსტებული ძაღლების ვუვა...  
 მე ვუსმენ რადიოს  
 და თითქოს თავს ვიმშვიდებ ამ რადიოთი  
 და ამ წელწელა სიმღერით...  
 და მახსენდება რომ ამ ოთხიოდე წლის წინ  
 შენც უსმენდი შუალამისას რადიოს  
 და მოულოდნელად იქ წააწედი ჩემს ხმას...  
  
 მე ვუსმენ რადიოს, რომელსაც შენ აღარ უსმენ.





## მოთხრობები

### ფირუზა

მაფხულის ხეაგისაგან გათანგულ მგზავრებს გულ-მკერდი უბოდიშოდ მოუღელდავთ და ყურნალებსა და ცხვირსახოციებს უილაჯოდ იფრიალებენ. აუტობუსი აღმართში მიიჭიფება. გადახურებული ძრავა ხროტინებს. დაოსებული ხალხი ხან ერთ მხარეს მიიგლისება, ხან მეორე მხარეს.

- ფირუზა მასწ... - უკანა რიგებიდან თავს წამოსწვეს ახალგაზრდა, - გვითხარ რამე, ცოგა გაგეამხიარულე, თორე, ხო ხედავ, გვიანი აგეუქეთიფა, კაცო.

- პო, ვერეა, შეილოსა, გაკვეთილზე შე ვიხევეწი ხოლმე მომისმინეთ-მეთქი და აქ კი კარგადა გაქვით ყურები დაქვევკელი.

- მართლა თქვი რამე, შე, დალოცილო, ჭირის სუფრიდან ხო არ მოვიდივართი? - ახალგაზრდას მხარს აუბამს ჭადარა ქალბატონი.

- აგე, თბილისიდან მოყოლებული სუ არა ვლაქლაქებ? ყბის პრუქინებიდა მტკიება, რადა უნდა მოვეყე?

- გექნება რამე გადანახული.

- ხეგა ერთი თქვენა, არ გემარებათ მაინცა?

- მილი, ფირუმ, მილი, - შეაგულაინებენ აჭუთიქან.

- კარგი, პო, კარგი. თქვენ რო ადამიანს შეუნდებით... - წინა საეარძლიდან წამოიშართება მოინტელიგენტო ახმახი. მძღოლს მურგს შეაქევეს ფეხებს გაბიჯავს, სახელურებს ზორბა მტკენებით ჩამოეკლება და მოუმზადება... - ერთი ოჯახის შემარცხენელი ამბავი მაქვს გადანახული, ვიცი ბოლოს სადმე მაინც წამოიყვება და ამრი თქვენ ვითხრობ.


- მილი, პო, მილი, - მოყოლებიან მგზავრები.

- ბედი უნდა დაგყვეს კაცსა ყველაფერში, ბედი, - დადარაჯებულ მგზავრებს მოათვალიერებს ფირუზა, - ერთთავადა შესს გოლსწორებში უნდა იცხოვრო და იგრიადლო, თორე ჩემსაებრ დაგემართებათ. თუმცა, რას გაუკვებ ამ ცხოვრებასა, თითქო ხო ერთად მოვიდივართ ყველანი, მაგრამა ზოგი ამ გზა-

ზე ჩამოვრება, ზოგიც გადაგისწრებს, ზოგი კი იმ სიმაღლეზე აებლოგება, თვალს თვალს ველარ შეასწრებ, კაცო... აბა, შე სახლი საცა მიდგა, ხო იცი, არა? სუყველამ გამისწრო. აქეთ ერთი მემოზელი გამგებელი გამიხდა, იქითა კიდე გამიპარლამენგარდა. წინა, საგადასახადოს უფროსი გახდა, უკანა რადაციის ბიწნესმენი. პოდა, რაც შე იმათ დევიდარაბაში ჩამაგდეს, ენა ვერ იგყვის. მაგრამა, ყველაფერი მაინც ჩემი არგასახარელი ცოლის ბრალია, ის უნდა მამეკლა, ისა... იმას ვამბობდი, ამ ჩემმა მობობოლებულმა მემობოლებმა, ერთმანეთის ქიშპითა და წამხედურობით, დაანგრის ის თავ-თავიანთი ძველი სახლები და იმოღენა სასახლეები წამოჭიმეს, დავიწრდილე, ხალხო, ჩამოუნებლდით და ჩამოეღუსკემდით. მშე აღარ ჩამოვიდა ჩემს ეზოში. შუქი რომ მოგაკლდა, ხეზილე ჩაიფშუკა და ვამიე ჩანაცრდა. ახლა ეს ჩემი დედაკაცი ხო, შურით სუ დაიმცრა და დაილია. ამიხირდა, მაგრამ რას ამიხირდა:

- ჩვენ რა, მაგათზე ნაკლებები ვართ, ჩვენ აღარ უნდა ა ვამენით ახალი სახლიო?! გაგიფდი, ქალო, რითი უნდა ავამენით-მეთქი, - ეინ შეისმინა? - როლემდე უნდა ვიცხოვროთ პაპამენის გადაფერდებულ ქიხში? თავი მოგვეჭრა, სირცხილია, ბავშვები გვეზრდებიან, საცოლეებს ქალს არაეინ გამოაგანს, გასათხოვრებს კიდე შინ დაგვიჩენენო, - გაბაა და გაბაა ქოროს გარმონივით. არც დლე მომცა საშველი, არც დამე, ადრინდელი დალოცილი დრო მაინც ყოფილიყო, აი, ქალი რო ფეხებითან ეწვა ხოლმე ქმარსა, - პო, პო, სუ იყინით, ვერე იწვენ ხოლმე ჩემი პაპა-ბაბოი...

„რა მოხდა, დედაკაცი, დღესაო?“ - რომ დაწვებოდნენ და ჩაითბუნებდნენ, მერეღაკითხავდა მთელი დღის გარჯით გათანგული პაპაჩემი. საყოდავი ბებოი კი წამოსწვედა თავს მეორე მხრიდან და... - „ძროხა გამრა, ღორები საცაა დაყრიან, თხებსაც, აი, რასაც



თიკნები გამოღეჭავენ ეგაო“, - ეგყოლა. ჩამოყინულს დაეძაბებოდა კისრის ძარღვები, ასტკიედებოდა და ისევ ბალიშზე მიეგდებოდა. ეგ იყო და ეგა. დაიძინებდნენ მშვიდად, უმყოთველად. ეხლა?! ეხლა ეგ ოხერი დედაკაცი ხო აქვე ვიწვევს მკლაფზე არა? პირი ყურთანა აქვს მოდებული. არც კისრის ძარღვები სტკივა და რაღას დაგაძინებს? ეს ენა ხო აღარ ეღვება. მთელი დამე ყურში ჩაგჩხავის, ჩაგყრანგალებს. პოდა, ამ ჩემი ცოდვით საესქმა მომასეუნა რო? მეც რაღა უნდა მეთქვა? - ავიღე ურის ვალი. ცოგა ნათესავებმაკ გამომართეს ხელი, ნამოწაფარებიც წამომეშველნენ. დაეანგრიე ის მამაპაპისეული ქობი და რის ვაი-ვაგლახით ორი სართული ამოვიყვანე. მაგრამა იმას ეხლა გაწყობა ხო უნდოდა არა? ეს რეპროდუქტორი კიდე ყურის ძირში ხო არა ჩერდება? ჩამოვისაწყულე ისევ ნაცნობ-მეგობრებში და რის ჭაპანწყვეტით სახლი როგორც იყო გაემართე მერე, ფირუზ, მერე?

- რაღა მერე, ეგ იყო ვიფიქრე მორჩამეთქი და... - ისევ განაგრძო ფირუზამ, - ეს ოხერი დედაკაცი ისევ აქ არ მიწვევს ყურისძირში? ეს ფარდები გვინდაო, აუჯიო, გლეჯიზორიო, ფერადი რაღა თქმა უნდა, ფართოკრანიალიო... ახლა ნახე, იმათი როიალები რა დღეში არიანო... ჩვენთან რა, არ უნდა გრიალებდესო?! მივაღდექ ისევ ურებიცა, ნაკუწ-ნაკუწ ჩამოვკრიფე ფული, ჩაველ თბილისში და აი, იმ მღამისა მივაღდექ „ბელუქსა“, აი, რეკლამაში ძროხა როა წამოგორებული დეიანზე. ჩამოვიგანეთ „რენესანსიო“, „ტროიკაო“, გლეჯიზორიცა, ფერადი რაღა თქმა უნდა. ერთი ოთხმეტრიანი როიალიცა, მგონი „კრასნი აკეიბარი“ თუ რა ვიცი. ავიგანეთ ეს ყველაფერი მეორე სართულზე, გაეაწყვეთ, გამოვაკონგავეთ ოთახები, გმოვიხურეთ კარი და... ის დღე იყო და ის დღე, იმას იქეთ მეორე სართულზე აღარ აესულვართ. პირველზე ვცხოვრობთ მთელი ჯალაბითა, ფრინველ-საქონლიანადა. ამ წინებზე, სკოლის საქმეებზე თბილისში გამომიძახეს.

აველ მეორე სართულზე, ვიფიქრე, გალსტკის გავიკეთებ-მეთქი. ხო იცნო, დედაქობაქია მაინც, რათ უნდა თქვენ პროფესიანი ჩამოვიდაო. აველი და რასა ეხედავ: - ამ ჩემ წვითა და ღაცვით ნაყიდ როიალზე მგვერია, მგვერი რო... ფუხი რო გაკრა ზედა არა, მუხრუკს ვერ დაიჭერ. ავედექ და არც ვაყიე, არც ვაყხელე, თითით წავაწერე ზედა ფირუზა! - ჩემი სახელი რაღა... იქნებ მიხვდნენ და მგვერი გადასწმინდონ-მეთქი. ჩამოველთბილისიდან. ერთი სული მაქვს გავიგო, რა ქნეს, როგორ მოიქნენ-მეთქი. აველი ზევით და რას ეხედავ: - ამ ჩემს არდასარჩენ დედაკაცსა, ვერვე თითით მიუწერია პლიუს მაყვალო! აბა, ეგ საქმეა? აბა, წესიერი ქალია ეგა? მოდი და ელაპარაკე მაგასა... პოდა, იმ ჩემი გამამწარებელი დედაკაცის საქციელმა ამღერდა მეცა, თორემ აბა, რა მოსაყოლია ეს ამბავი. ხო მიცნობ არა? ერთი უბრალო დაწყებითი სკოლის დირექტორი ვარ, რაც მე ბარგყები დამიფრენია, საგრებახოლ ვეცე მეყოფა, მაგრამა... რა გაცინებთ? იცინეთ, შვილოსა, იცინეთ... თქვენ რა გენაღვლებათ? მე კიდეცა, იმ ურიების ვალები ხო დასასტუმრებელი მაქვს... ღმერთმა დასწყველოს ამათი გამგებლებიცა, პარლამენტარებიცა და ბიზნესმენებიცა, მაგათგანა მჭირს ეს ყველაფერი... ერთი დღესაც არ დამხედეს როიალი გადაწმენილი და რა სამემოდგომოებსაც მაგათ გამოეაყოლებ, მემრე ნახონ...

აგობუსი უკვე სოფლის ვიწროებში მიმღამებდა. გამზიარულეული მგზავრები წამომიღებინან.

- შენ გაიხარე, ფირუზა მასწ... - იკრიჭება ნამოწაფარი, - ჩათვალე, იმ ურიების ვალები სუ დასტუმრებელი გაქვს.

- პო, შენ რა გენაღვლება, შვილოსა, - კარისაკენ იწვევს ფირუზაც.

- ფირუზა მასწ... - გამოაჯაერებს ჭაღარა დედაკაციც, - ქალი მკლაფზე აღარ დაიწვინო, რაღა დროის თქვენი ვეგები, ფეხებთან გადაუშვი, ფეხებთან, თორე კიდე რასმესა გწვეს...

აგობუსი მზიარული ხორხოციით მოსახვევში მიიძალება.

მგზავრები

სამი დღე-ღამის გადაუღებელმა თქორმა მოუბი ჩამორყეხა. გახვლებულმა ღვარცოფმა ყველა ხევი და ღრმული ქვა-ღორღით ამოგლისა. სამანქანო გზა ჩახურგა. გვირაბის ჭერი ჩამოაშრავა და ჩაკეცა. სამამუელო ბრინჯალები თავს არ მოგაედნენ. გზა თითქოს მოაწესრიგეს კიდევ. მაგრამ გვირაბის ბოლოს შუქი ჯერჯერობით არა და არ ჩანდა.

სამი დღე არც ერთი მანქანა არ დაქოქილა. ავტობუსების მოსაძვლებში მთელი მიწის ხალხს მოეყარა თავი. მგზავრები არა თუ აკლდებოდა, - ემატებოდა დარბაზს. გაგანჯული, ნაშიშმილარი ხალხი ოხრავდა, ქმნავდა და ბუებუებდა. სიგარეტითა და ბოლით გაჯერებული ჯანდი ჭერს ეგლისებოდა. უკუძეული დაორთქლილ მინებს ამჟოდ აწყდებოდა და ილაჯგაწვეტილი ისევ შვეით მიიზღამებოდა.

გვეა აღარსად იყო. ერთმანეთში თავჩარგულ ხალხში, კაცისა და ქალის გარჩევა შეუძლებელი გამხდარიყო. მოგი ერძელ სკამებზე მიტეცილიყო, მოგიც კედლებზე მურგმიერდნობილი, მოგსაც სულაც იაგაკმე დაეფინა გაბეთები და ბარგზე თავმიდებულს ეძინა. უთავო ქეთმების თავახილ კონსერვის ქილას დამსგავსებოდა აქაურობა. ამ ბლანტ გარინლებამი, აქა-იქ გაწამებული ბავშვის თავი თუ წამოყვლედაფებოდა. ეს იყო და ეს.

ბარდამ დაბუქებული ფეხი მოიკეცა, გამწარებულმა დაუწყო სრესვა.

- რა იყო, შე კაციო, ამ იდაყვს რას მიხაბოქნებ თავში? - წაიბუღუნა ლეჩხუმულმა.

- კაი ძილი თუ გინდოდა, ყოფილიყავი სახლში, - მეუღრინა ბარდამ და წამოჯდა. გვერდით მიწოლილ მგზავრს ქვემოდან პიჯაის კალთა გამოაძრო. ჯიბიდან ჩაკუქული „პრემის“ კოლოფი ამოაძებინა, ჩასრუსილი სიგარეტი კარგა ხანს ასწორა, მერე მოუკიდა, გააბოლა და კვამლს მარმაცი, მიზღნარევი მწერა გააყოლა.

- გაა, მშია... - წამოიქნაფულა იქვე, მშის მკერდზე მინაბულმა ბიჭმა და წამოიწია.

- მეც, - მშის თავი ისე შშრუნველად მიიხუტა უფროსმა და მეორე მკლავიე გადახვია, - ცოგაე მოითმინე, ალბათ მალე წავალთ.

- აქა-იქ თავები წამოსწიეს, უკმაყოფილოდ გადააქნის და ისევ მიყუღდნენ-

აუ! ახლა ცივი ჭაღი მაჭამა და ცხელი კუპაგი, - ნეგარად გაიშშორა ბარდლა.

- კაცა ნაგერის შნო მაინე ხო უნდა ჰქონდეს, არა? - შუბლზე ჩამოფხაგული ქუდის ქვეშოდან წაიუკმება ბაქრომ და ფეხები გაშალა.

- ვითომ რას უწუნებ ჩემს ნაგერას, მაგალითად?! - თვალები მოუწკურა ბარდლამ.

- მა, ეგ წიწაკიანი კალბასი რა სანაგრელი იყო ეხლა?

- რა არის კაციო კალბასი, კუპაგი კალბასია?! - გაუცებლდა ბარდლა.

- კალბასია, მაჰ, რა არი, - ისევ ქუდს ქვეშოდან იცოხნებოდა ბაქრო.

მგზავრები შეუბიღდნენ, მოგი წამოვდა კიდევ

- კუპაგზე, თქვენი ჭირი ნუ შემეყაროს, რაეა შეიძლება თქვა კალბასიო?! - ბარდლას გამოესარჩლა გამხდარი, აწოწილი იმერელი.

- გიმველა ღმერთმა, - გამხნვედა ბარდლა, - ერმილე, არა?

- მელიგონი, ჩემო ბაგონო...

- პო, მელიგონი... რასაა რომ ამბობს ეს კაცი, მელიგონ ბაგონო?

- არ უჭამია ალბათ და ებაგიება, - დაუყვავა იმანაც.

- ალხანა და ჩალხანაო, - ისევ აბებრად ჩაიღულუნა ბაქრომ.

- ერთი შენი სახელი მაჩუქე, - თვალები ისევ წამოიწიო ბარდლას.

- განუქო რა, სახლში მიგაქ?

- მამაქეს თორემ, - ჩაიქირქილა ბარდლამ, - ერთბაშად ხაშლამა არ მოეხარშო მაგით.

- შენა, ხაშლამასთან რა ხელი გაქვს? - როგორც იქნა ქული შუბლიდან მოიშორა ბაქრომ და წამოიწია.

- ააა, სახელის დამაღლება რა შეიქნა, შე კაციო?

- ვითქვით, ბაქრო მქვია, მუმრე?

- დიდად სასიამოვნოა, მაგრამ კუპაგზე

როგორ ამბობ შენ მაგას?

- მა, ამ სამი დღის კუჭკამხმარ ხალხსა, კუჭკამით დააძღობ შენა?

- მუცლის ჰყვიგინი რომ შეგვიჩეროს, უკეთეს რას შემოგეთავაზებ შენ, მაგალითად?

- ისევ ეშმაკურად მოჭედა თვალები ბარდლამ.

- ღორის ღურთებს, - სითბო ჩაელეგრა ზაქროს, - ცერიან მწვადსა და ხაშლაშასა. აი, რომ მოგაქ ოხრახუშმოყრილი და მშეკაბან-ივით რო თიმთიმებს.

მგზავრები წამოიშალნენ და მოკამათიებს გარს შემოერგყენენ.

- სულ დაკარგეთ სინდის-ნამუსი? - გაწყურა ფაშფაშა ქალი, - რა დროს მაგებებე ლაპარაკია ამ დამშეულ ხალხში?

- პოდა, ამათი ქარაქუცა საჭმელებით დაუესებ სტომაქს ამ ხალხსა? - გაღალდა ზაქრო.

- ვისი საჭმელებია, კაცო, ქარაქუცა? - ისევ ააღდა ბარდლა.

- თქვენი, მა ვისა?

- ვითომ ჭიპჭიპ იმერულ ხაჭაპურს რას უწუნებთ, ზაქროს ვენაცვალე? - შეფხიზღუბას შეეცადა მელიგონი.

- ნება ერთი თქვენა... ხელი აუწია ზაქრომ, - გასკლებით მაგ ხაჭაპურითა და მემრე ვედარაფურს ვედარა სჭამთ. იმიტომაცა ხართ ვერ გაშწლელულები.

- რასაა რომ ამბობ შენ, ვისაა რომ დასცინი თუ იცი? - დასაბმელი გახდა ბარდლა, - კუჭკამე და ხაჭაპურზე კადრულობ მაგას? პირის გემო თქვენ არა გაქვთ და აბა, რა იქნება ბოლოს და ბოლოს.

- ვის არა აქვს პირის გემო, ჩვენა?

- თქვენ, პო, თქვენ... რაც მაიმუნი ხიდან ჩამოვიდა და ცეცხლის დანთება ისწავლა, მას მერე ხორცს სწავას და ხარშავს. იმის იქით ვეღარ წახვედით, თქვენ, ვერა.

- შენა, მართლა ნუ მაიმუნობ მანდა, - აიქოჩრა ზაქროც, - ისიც შეგერჩეს ხაშლაშაზე რომ წაინაგლე.

- გყუილი ვთქვი, თუ? თქვენ ჯერ ის ვერ გაგირკვევიათ ბოშაში ჯობია თუ ჩიხირთ-მა და ხაჭაპურზე და კუჭკამე როგორ ასველებთ ენას?

- უხ, მართლა თქვენი! - წამოვარდა

ზაქრო. ბარდლაც შესაკეცებელი შეიქნა. მგზავრები უცებ ჩადგნენ შუაში და დაეწყვიტნენ, ღმილ-მოფურებით, როგორც იყო დააშორმინეს წამოქოჩრილი მოკამათიები.

- ნება ერთი თქვენც, - იკრიჭებოდა გურული, - რას ხოცავთ მძანებო ერთმანეთის ამ გოუწყობელი სუფრის გულობიშა?

- მა, რაებს რომავს ეგა?

- კაი, ბაგონო, - ჩაეხრა ბარდლაც, - მოდი ახლა, მე ჩემს პურ-მარილს გაემლი აგერ აქ და მაგან თავისი გამალოს. მერე ამ ხალხმა გადაწყვიტოს ვისი ჯობია... ჩემი თუ მაგისი. - რას ქვია ჩემი და შენი, ჭკუა სულ დაგებნათ? - ისევ გაწყურა ფაშფაშა ქალი.

- მიდი, პო, მიდი, - მთელი ყურადღება

ზაქროსკენ მიეპყრო ბარდლას, - მიდი, გამალე.

- მაგას რა გამლა უნდა, გამლილია და ეგ არი, - გაიდრიჭა ზაქრო.

- სად დაეხსდეთ, ბაგონო? - ისევ ვერ იოკებდა თავს ბარდლა, - სად დაეხსდეთ, აგერ კონიდარმე, ქუხნაში თუ ოღაში აუიღეთ?

- არე ავიღარ და არე ჩავიღარ, აქვე გემლი.

- მიდი, აბა, პე...

- აი, ეხლა არა... - ფეხები მოიკეცა

ზაქრომ, - აი, ეხლა, ყინვები რო წამოვა და ინდაურსა ჩიჩაყვი მოეპრუჭყება, არა... ხო პურ-მარილების სეზონი წამოვა, არა? ღორის ქელეხებიც დაიწყება, არა?.. პოდა, ეხლა,

აი, აქა შუაში გუდის ყველს ჩავდგამ, ფიჭასავით დამურეგილსა, ერბონალეუნოსა... აი, რო გახედავ, არა და ქვეყანა ვარდისფერი რო მოგეჩვენება, იგეთსა. გვერდზე კიდე, მიშველი ხმლებითი ალესილ დედას პურებს შემოულაგებ. აქეთ, ალაშანის ლოქო იქნება

ქინძმარში, იქით - შამაია. იქით კიდე, ციგ-გომბორის დანძილი, გურჯაანული შეგვეულობა და ველციხის მწვანილეულ-ბოსგ-ნეული. ახლა უკანალამობრუნებული, ჩაკერ-ციხილ-ჩაყვითლებული მრგვლად მოხარშული დედალი როგორია? ბებოს მაჯის სისქე,

შეპედრული ჩურჩხელები?.. მემრე შემოდის წალმის სურნელედააყოლილი ჩალადა-

ჯის მწვადი... სულ ბოლოს კი, ხაშლაშა მკერდისა და უმწვერისა, ძელიანი... ეხლა დაღ-

ოცილი, ღმერთების სახმელი, ჩვენებური



დენიოც შემოვდგა, მუქუმი რო დგება, ვენ-  
აევალე მის შემქმნელსა... ჰო, კინაღამ დამ-  
ავიწყდა, დუმა ნივრითა და კოსგად დათ-  
ლილი მოხარული ბურვაკი, როგორია?..

მოელი დარბაზი დუმა, სმას ვერაუინ იღუდა.  
- შიდა... - მისუსტებული ხმით კიდევ ერთ-  
ხელ გაიბრძოლა ბიჭმა.

- თქვე უღმერთოებო, ბავშვი მაინც შეიცო-  
დეთ, - თავადუც ნერწყვი გადისკდა ფაშაშას.

- ა, ხომ გამბობდი, გამი შემოპკრა ბარდღამ,  
- მეტი ნიჭი არა აქვთ მაგათ. ისევე შემწყარ-  
მოხარული არ ჩამოთვალა?..

- სხვა რაღა ნიჭი გინდა, შე, ოჯახქორო?!

- აბა, გოჭს რომ ხარშავთ, სინდისი სულ  
დაკარგეთ თქვენ?

- მა, რა უნდა უყოთ, კაცო?

- არა, შემოგველე... გოჭი ჯერ აჯიკით  
უნდა შეასუნელო და მერე, აღურხიან ნაკვერ-  
ნხალზე უნდა შეაპიწკინო. გახელებული მუ-  
გუბალი არ უხდება მაგას, - თვალები მინაბა  
ბარდღამ.

- მემრე, მაელი რო?

- შენ მაყალე ახლა, თევზს რომ ხარ-  
შავთ, საქმეა ეს?

- მა, უმაღ უნდა ჭამო, კაცო?

- არა, გენაცვალე, პირის გემო უნდა  
გქონდეს. და თუ გაქვს, თევზი ნიგვის ფო-  
თოლში უნდა შეახვიო და დადარში შეაგლო.  
იმასა აქვს ეშხი, თორემ მარტო ის კი არ  
არის, მოხარში, შეწვა. პაგარა ფანტაზიაც  
ხომ უნდა მიაგანო საქმეს? ეს ხელოვნებაა,  
გენაცვალე, აბა, როგორ?

- რაგომ ლაპარაკობენ საჭმელებზე? -  
გაწამდა უმცროსი.

- თითონაც შიათ და იმიგომ, - მისუსტე-  
ბული ხმით განუმარტა უფროსმა.

- კარგი, მაიგა ახლა შენ გააწყვე, - გატყ-  
და მაქრო.

- გაეაწყობ, აბა, რას ვიპამ? - მოხერხებუ-  
ლად მოეწყო ბარდღა.

- ნეტავი, როდის რა გატყვევიათ? - ისევე  
ჩაიქოჩილა ფაშაშამა.

- თქვენა გაწყვიტეთ ხმა! - გაუწყრა  
მაქრო, - გოგოები ჩვენზე აღრე იწყებთ  
ყველაფერსა: - ჭრა-კერვასაც, წარბების ამო-

პუგვასაც და საჭმლის კეთებასაც, მაგრამ ჯერა  
გამოჩინილი მხარეული, პირიკახური ან მკვრევე ნულში  
თქვენგან არც ერთი არ გამოსულხართ. მისევე იმისა

- ელაპარაკე ეხლა ამას... - გუჩი აიბშუა  
ფაშაშამა.

- მაყალეთ!... - ისევე სუფრის თავში მოექ-  
ცა ბარდღა, - უყურეთ ახლა რას ვმერები მე-  
აგერ, ა... შუაში, რძეში მოხარული და მერე  
შეპიწკინებულ, ფეხზე მდგარ ქაელარს დაე-  
აბრძანებ აქ, ჩემო ბაგონო... აქეთ დედის  
ფოთოლზე, ახლად ამოწვნილ რძიან სულ-  
გუნს ჩაეღვამ... იქით, შენ ხარ ჩემი ბაგონი,  
პიტნით შეგემოვნებულ ნაღულს, იქით კიდევ  
გაღამელილს... ეგერ-აგერ მთვარეებივით  
მიბნედილ ჭადებს დაეაგორებ... ახლა, შენ  
რომ მთლად არ მოგიკლა გული, მაქროს  
ვენაცვალე, ამ გოჭს რას ვუბამ თუ იყი?

- რასა? - უნდოდ მიაჩერდა მაქრო.

- ნახევარს შეეწვაე და ნახევარს მოეხარშა.

- ეგრე, გაეკრი და მეც ხო ვიპამ.

- აჰ, - ხელები გაასასვავა ბარდღამ, - გოჭ-  
ის გაჭრა როგორ შეიძლება, შე კაცო, ის კი  
არ არის...

- ვითომ გოჭი რა არისო?

- გოჭი სუფრის გვირგვინია, ჩემო ბაგონო,  
მაგიდის დამამშვენებელი.

მემრე?

- მერე მთლიანად, გაუჭრელად შეეწვაე  
კიდევ და მოეხარშაე კიდევ.

- ეგ როგორა, კაცო?

- როგორ და უყურე ახლა... ჯერ გოჭს  
მარილწყალში ხომ ოდნავ მოეხარშაე, არა?  
მერე ამოვიღებ, ნახევარ გვერდზე, წინასწარ  
მომელილ ცომს აკურაგულად დაეაქრავ.  
შამფურს გაეყური, მუცელს ამოუყუკრაე და  
ნაკვერნხალს მიუფიცებ. მერე, შენ გენაც-  
ვალე, ამ გახიკინებულ ცომს მოეაფხიკავ და  
პაქალუგა, შემწვარიცაა და მოხარულიც ერ-  
თად. აბა, როგორ გგონია, შენ! აი, ესაა ვიში  
პილოტაგი. თორემ, ისე კი არ არის, მოხარ-  
ში-შეწვა... ნიჭი უნდა ყველაფერს, ძმაო, ნიჭი  
და პირის გემო, ასეა ეს...

- ვიფა ეს მოხელადლო, - ყბა მოეცა მაქროს.

- მაყალე, ჯერ არ დამითავრებია. ის  
მუცელი რომ გამოეკერე ხომ გახსოვს?



- მახსოვს, მერე?  
 - რა არის შიგ თუ იცი?  
 - რაი?  
 - რა და... ქონდრით შევიყინებული, ცხელ-  
 ცხელი კუჭმაჭი.  
 - ევეთები ჩვენთანაც იციან, გოჭი მუთანჯით.  
 - მუთანჯი რა არის, კაცო!  
 - რავე, ბარბარე ჯორჯაძის წიგნში  
 ვერსწერია.  
 - ა, შეხედეთ, ხალხო, წიგნში წაკითხული  
 საჭმელი იშვევა?!  
 - გია, მშია... - ისევ შეეცადა მშის შეუხი-  
 მლებას უმეროსი, მაგრამ გასუსულს, ვე-  
 რაფერი შეასმინა. გზაზე იყვნენ განაბულიყენენ.  
 ორ ბანაკად გაყოფილები, აშარგულად შესე-  
 ქროდნენ თავ-თავიანთ ჯილებს.  
 - ჰო, სად გაუჩერდი? - იკითხა ბარდლამ.  
 - კვატა არ დაგვიწყდეს, ბარდლას ვენ-  
 აცვალე, კვატა გყვამალში და გარშემო  
 ნიგვითა და მურაბით გაწყობილი შემწ-  
 ვარი ბია, - წაეშველა მელიგონი.  
 - ორნი ერთზე მიდიხართ? - გაწყრნენ  
 ზაქროს მოძრეები.  
 - რა იყო, კვატა ვახსენე, მეტი ხომ არაფერი?  
 - მოიყათ! - ხელები გაყარა ზაქრომ, - ეგ  
 კვატა რაღაა?  
 - კვატა ისვია, ზაქროს ვენაცვალე, - დატუ-  
 ქსა ბარდლამ.  
 - მა, ბია?  
 - ბია კომში ქვია, კაცო, სად გაიბარდე?  
 - ვაი, საყოღავე ქართული თქვენ ხელში,  
 - თავი გადააქნია ზაქრომ, - ისევ კახელების  
 გადასარჩენი შეიქნა ჩვენი ენა.  
 - რა იყო, კაცო, ხეს აბია და ბია ქვია, რა მოხდა?  
 - თქვე დალოცვილებო, კიგრიც აბია ლერ-  
 წსა, მამ ისიც ბიაა?  
 - გვატალეთ თუ შეიძლება, - ხმა გაიმკაც-  
 რა ბარდლამ, - მე აქ საქმეს ვაკეთებ, თუ რას  
 ვმერები?  
 - ვაი და ვუი თქვენს საქმეს, - დაკურებუ-  
 ლი პალტოს კალთა ისევ დაითრია ფაშფაშამ.  
 - შემწვარი სულგუნი კეცმე, - თავდავიწ-  
 ყებული განაგრძობდა ბარდლა.  
 - აბა, ეგ საქმეა, კაცო, ყველს ვინ წვავს?  
 - მაყალე-მეთიქი! კეცმე შეიწკინებული, გა-

ჩახული დაუპეღავი წიწილები - მაყალეში.  
 - აწლი არ იციან თქვენც?  
 - ნიგვზის მუთით ყვილიად დალაქული ბაფ-  
 - მოიყათ, ეგ რომელია, ხორც რო ამო-  
 განგლავთ ხოლმე?  
 - ოხ, არ დამიწუნო ახლა.  
 - ეგრე, ნიორთავე ჩვენსა გვაქ, მაგრამ  
 ცალკე გვიღვე მაგიდაზე.  
 - ეხლა, ზაქროს ვენაცვალე, მენგან და  
 წუნებული კვატა და ათუბთუბებული ელარჯი.  
 - ღომით არ მომითხვარო აქაურობა,  
 ღომით!  
 - აბა, მერეული საცივი პურით ვჭამოთ, კაცო?  
 - საცივი იმერულია, ბარდლას ვენაცვალე.  
 - შეაფხიზლა მელიგონმა.  
 - რასაა, რომ ამზობ შენ, მელიგონ?  
 - კი, შენი ჭირი ნუ შემეყრება, ასეა.  
 - გავგიჟდები ახლა, რა არის ასე?  
 - გეფიცები, იმერულია.  
 - გყვილი.  
 - ასეა ეს, ბაგონო.  
 - რა, კაცო, საცივი იმერულია?! - დასაბმული  
 გახდა ბარდლა, - მაგრამ ისევ გურულმა ივარცა.  
 - კაით, ახლა, მძანებო, ამ უცხოური საჭმ-  
 ლის გულობობა, ნუ დატკვირავთ ერთმანეთს.  
 - რა არის, კაცო, უცხოური, საცივი?! - სულ  
 გაყოფდა ბარდლა.  
 - უცხოურია, აბა, რა არის?  
 - ეს როგორ, კაცო?!  
 - ინდაური ამერიკიდანაა, ბარდლას ჭირ-  
 იმე, კაკალი საბერძნეთიდან, ძირა, დარძინი  
 და უცხო სუნელი ინდოეთიდან და ქვაბიში  
 თუ ხოცავთ ერთმანეთს, გვითხარით, ბაგონო.  
 მგზავრები ახორხოცდნენ. ყველას დავი-  
 წყებოდა თავისი გასაჭირი და იცინოდნენ  
 ლაღად, გულარხენი თავდავიწყებით.  
 - გეყოფათ ახლა, თავი თუ არ გეყოლებათ,  
 ჩვენ მაინც შეგვიყოღეთ, - იმედარებოდა  
 ფაშფაშა, - სუსი აღარ გავიგონო თქვენი.  
 - როგორ გეკადრებთ, ქალბაგონო, -  
 იუკადრისა მელიგონმა, - აქ სახელმწიფო  
 საქმეები წყდება. ხომ გაგიგონიათ: - ქართუ-  
 ლი სუფრა აკადემიააო.  
 - კი, მაგნაირი აკადემიკოსებით, საესეა  
 აგერ პარლამენტი, - არ შეეპეა ფაშფაშა.

ქართული  
ლიტერატურა

- არა, რა... - იცინოდა ზაქროს, ეხლა ამ გვარას რო გაწმენდავენ, ღომით უნდა ამოვგლისო, ღომითა, რო აქეთ ვეღარ გამოხვიდეთ.

- რათ გინდა რა, ჭამა-ჭამით გამოვალთ, - ისევ კვიმაგობდა გურული.

- კარგით, მოიცოთ, - ისევ გაიღმიჭა ზაქრო, - ღვინო? ღვინოსა რას უპირებთ?

- ღვინო რა, ოჯალეში ღვინო არ არის, - გაიკვირვა ბარდლამ.

- ღვინო არა, ისა...-

- როგორ, კაცო? ციყვა, იმაბელა, ხვანჭკარა, ხახვი, ალადასტური, ცოლიკაური, ალექსანდროული, ჩხავერი...

- ერთი თქვი, ერთი და მაგარი, - აგუღინებდა ზაქრო.

- კოლომი.

- კოლომსაც ღვინოს ეძახით თქვენა, კაცო?

- უსახელოური.-

აბა, თქვენ ხალხი ხართ? ღვინისთვის სახელიც კი ვერ დაგიჩქმევიათ და რა სინდისითა სებათ?

- სხვათაშორის, ზაქროს ვენაცებლე, - გაწყრა მელიგონიც, - მაგ ღვინოებით იყო გამრდილი ის იმერელი, თქვენი ლუარსაბი რუმბივით რომ გააგორა.

- ენ გაგორა, ვეწო, ლუარსაბი, იმერელმა?

- იმერელმა, ბაგონო, იმერელმა, - კარგად წაიკითხე

- ეხლა წერა-კითხვასაც მასწავლით, თქვე ვირიშვილებო, გაბიშვით!.. - გაიწია ზაქრო და ისევ აირია მოსაცდელი. ხალხი ერთმანეთს მიაწყდა. შეიქმნა ერთი გამიშვი და გაგვივებ, ბღლარძუნი, გაწყე-გამოწყევა.

- შეჩერდით, ხალხო, რას შევბით, ბავშვებს მიხედეთ, ბავშვებს!.. - კიოდნენ ქალები და გულწასულ ბავშვებს დაპოფინებდნენ.

- არიქა, უშველეთ!

- ვაიმე, მომიკვლეს თავი, რა მოხდა?

- როგორ ვერ შევამჩნიეთ...

- რა მოუვიდათ?

- ლუკმა, ლუკმა ჩაუღეთ პირში!

- არა, საჭმელი არ აჭამოთ!

- ნეტავ, სადღა საჭმელი?

- წამოაჯინეთ.

- ჰაერი მიუშვით, ჰაერი.

- ყურზე უკბინეთ, ყურზე.

- უკბინე რა, კამეჩია? ბარემ გაუწყროთ.

- სასწრაფო, არიქა.

- დარეკეთ სასწრაფოში.

- აქვეა, მოედნის გადაღმა, საავადმყოფოში გადავიყვანოთ.

- მიშველეთ!

- მომეხმარეთ!..

- მამაკაცებმა ხელი დააველეს გულწასულ ბავშვებს და გაარბენინეს. ნირწამხდარი ხალხი კი კარ-ფანჯარას მიაწყდა - ცივი, წიწინა ქარი მოსაცდელში შემოიჭრა და ბარგს დაერია. გამეთები ააფარფაგა. აღვილიდან არავინ დაძრულა. იღგნენ და დაძბულები საავადმყოფოს მისჩერებოდნენ. საოცარ დანაშაულს დაეთრგუნა თითოეული მათგანი. მაინც იმედინადა იღგნენ და საავადმყოფოდან კაცები რომ მობრუნდნენ, მაშინდა გამოცოცხლდნენ.

- მგონია, გადავრჩით, - ფეხები ძლივს შემოათრია ბარდლამ, კარგად არიან.

- ექიმებმა, ახლა ჩვენ მიხედავთო, - დაუმოწმა ზაქრომ.

- აწი, არაფერი უჭირთ, - თქვა მელიგონმა.

მგაგრებმა შვებით ამოისუნთქეს. მერე კარიც მიხურეს და თავ-თავიანთი ბარგიც მოიძიეს.

- რა ექვნით კაცო, ეს ა? - ისევ კედელთან მოეწყო ბარდლა, - კინაღამ არ წაიწყდით?

- აბა, ნამეტანი მოგვივიდა, ჩემო ბაგონო,

- კვერი დაუკრა მელიგონმა.

- ყაიმზე შეთანხმდით აწი, ყაიმზე, - ისევ აქტიურობდა გურული.

- თქვენ რო აღამიანს შეუზნდებით, - ქედი ისევ ჩამოიფხაგა ზაქრომ, - მუცელქორები ხართ ყველა და ჭამპურაშვილები.

- კრინგი აღარ დაძრათ არავინ! - დასჭყვილა ფაშფამამ, - გასკდა თქვენი მუცელი. ნეტავი ასეთი გამეტებით ქვეყანა დაგვევათ და იქნება ეს გვირაბიც არ ჩამოქცეულიყო, - გაბრაზებულმა ისევ პალგოს კალთა ათრია.

სირცხვილნაჭამი მღუმარება ჩამოწვა. გამტკნარებულყო ყველა და დანაშაულგადავლილი მიწუშათებულყო. დაგუქული სირცხ-

ვილნაჰაში ბავშვებივით ჩაუქინდრათ თავები და მორცხვად იმზირებოდნენ. კარგა ხნის შემდეგ ვილანამ მორიდებულად ჩაახველა. ვილაყამ წაიქსუტუნა კიდეც, ვილაყამ ხერინვეყ ამოუშვა და გარეთ ქარიც ჩადგა, გაისუსა.

— ერთი ეხლა, ქოთანში ამოლესილი ლობიო მაჭამა, დაფნით, — მეორედ ამოიღო ხმა ლეჩხუმელმა.

— ნუგა ამ დაუნას რალაზე უშვებით? მაინც არა სჭამთ, გამოიელეებთ პირში და გადააგდებთ, — ისევ ქულს ქვემოდან ამოილულულა მაქრომ და აგყდა ერთი ხორხოცი. წამომილი, თვალმეცრემლმომდგარი ხალხი ხარხარებდა. თავებს ურახუნებდა ერთმანეთს და გაჭირვებისაგან თავდახსნილი, თავდავიწყებული ლალობდა.

— გვირაბი გაწმენდილია, ხალხო, გამოდით! — ყელს იხლეჩდა გზათა ინჟინერი და უამროდ შლიდა ხელებს.

გარეთ კი ათუთიუხებული ავტობუსები ხრილობდა და მგზაურებს საყვირით უხმობდა.

გვირაბის ბოლოს შუქი გამოჩნენილიყო.

## შაბათი და კვირა

არა და, მართლა ფათერაკიანი უნდა იყოს კაცი, ქვა რომ აღმართში დაეწიოს. გურულები იცყვიან: — „ფარეკაგი ელანძეაო“ და ასეყაა. აბა, ამ გატრავუნა დროში, ქალებს უამდლო მკერდი რომ მოუფლამ-მოუბოშებიათ, მჭიდროდ შემოტმასნილ მაისურებში, კერგები რუსი იმპერატორის პუსარის დილებივით რომ წამოუყოჩებიათ, ამოგლუვებულ მუცელზე ჭიპის ნასკვი, წყლის დასაყლდლ ხერულს რომ მიუგავთ, ბარძაყებზე შემოჭერილი ქედაკაბები ღამის... ღმერთო, მომიგვეყ და, ყველაზე დასამალ ადგილს რომ ვერ უფარავთ — ამ ოხრობა დროში, პერანგებანი ქალი რომ შეახვედრა?!

უფროსებისაგან, პაპა—ბებიისაგან გაგონილი პქონდა — საპაგარძლო, სიძიათი ქალებს ჭრულ აბანოში მიჰყავდათ, მისი განკენარობა რომ შექმნილიყინათო და ახლა ვიდას რაში ეოხრება ეგ თქვენი ჭრელი აბანო?! ქუჩაა აბანო, აბა რა არის?! მკერდიც სახეზეა, ჭიპიც

და კანჭ-პარკლეულიც. ამით თუ ჩაიყმევ, — თორემ, გახლა რალაში ჭირდებინა...  
— შოდა, ასეთ დროში, პერანგებანი ქალი საიდან გამოუგვეყრა?

— ე, ჯიგარო, ან გაიარე, ან გადააყენე, ვაახს!  
— უკანა მანქანიდან, მძღოლმა თვალები ბოროტად დაუკვეცა.

ყველაფერი კი, იმ დაწყველილ შაბათ დღეს დაიწყო. იმ ავადსახსენებელ შაბათ დღეს. ყველა გასაჭირს ისიც დაერთო, რომ ქალაქში „პატრიოტები“ დათარეზობდნენ. მათი შიშით, მანქანა ვერავის გამოყავდა. მოგადგებოდნენ ავტომატის ეღარუნით, შეათვალეურებდნენ მანქანას, თუ თვალში მოუვიდოდათ, — ჩვენ, უტრანსპორტობის გამო ომში ვერ წაესულვართ, შენ აქ რას დასეირნობ? აბა, გადმობრძანდი, ბიძაო... და უპრაგონოდ, ჩხუბისა და აყალ-მაყალის გარეშე, ბრამისა და უსასოობისაგან გამწარებულს მანქანიდან გადმოგვამდნენ — ნუ გეშინია, ბიძა, არძინბას გაგებარავთ და უკეთესს მოგართმევითო და... სიცილ-კისკისით გაგველეზოდნენ. ესეც რამდენჯერ შეაყენეს, მაგრამ დაფხავებული „წოლ ერთი“ არავის მოსდიოდა თვალში და ესეც აღმადამა, დაურიღებლად დაგრიალებდა.

შოდა, იმ შაბათ დღესაც — რალა შაბათს, უკვე კვირა თენდებოდა, — ღამის ოთხი საათი იყო. ძმაკაცისაგან კარგად შეყვირებული გამოვიდა. ქარი ქროდა — ლეწდა ყველაფერს. შოდა ის იყო მანქანა დაძრა, სინქარეც აკრიფა და ხელეზაფხარკალებული კაცი დაინახა. ყელს უწვედა, გამწარებული რალაყას ივედრებოდა. ერთი კი შეავლო თვალი, ვინ ოხერიაო, გაიფიქრა და გაიარა, მაგრამ სახლს კუთხეში, ახლა ბავშვგატაკებულ ქალს მოკრა თვალი. პალტოს კალთა მოებუნდა და ქარისაგან შურგებქცეული, აღრავლებულ ბავშვს, გამწარებული არწვედა, ამომშინებდა. მიხედა, კაცი და ბავშვიანი ქალი ერთად რომ იყვნენ. მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა, უკან დახია და კარს ორივე ერთად მოაწყდა.

— თუ ძმა ხარ, ქარმა არ მოგტაცოსო, — ამის თქმალა მოასწრო და აქაქანებულმა ქალმა თავი შემოყო — მიმეღლით, თქვენი ჭირიმი, დამ ჩადინებული ბავშვი დამიგოვა, გამოილეძა და

ბეკებს ქვეყანას, ვერაფრით ვერ ვაწყნარებთ. უწებ დედამისთან გამაყვანინოთ.

- რა უქნა, აბა, ამ ჯგუფიში გარეთ ხომ ვერ დაგვოვებთ, ჩახხედითო - და მგზავრები რომ მოეწყვენ, მერედა იკითხა - საით მივდივართო? - ვარკეთილში, თუ შეიძლებაო - და ამან ბენზინის ნიშნულს დახედა. სათუო იყო საწვავი ყოფილა. ბენზინგასამართი სადგურებო, აბა, მაშინ სად იყო, მაგრამ რაღას იზამდა და მერე, მთელი გზა სამივე გადაფინებულ ბაემეს ართობდა და ამშვიდებდა.

ადგილზე მისულები აღარ გადადიოდნენ, კაცი იხეწებოდა: - თუ ძმა ხარ, მითხარი, მითხარი, რამდენი გეკუთვნისო. - ეს უარობდა, - როგორ გეკადრებათ, რა შემატყვევთ სამაგისო, - მაგრამ არა და არ დაადგათ საშეუღი. ჩაწყნარებული ბაემევი დიმილით შესეჭროდა იმათ კინკლაობასა და ამან - თუ არ გადახვალთ, უკანვე გაბარუნებთ, ვერ ხედავთ ბაემევი გამოფხიმდლო.

ქალი ივედრებოდა: - სახელი მაინც გვიტხარით, ახელა პატივი დაგვდეთ და ასე როგორ გადავიდეთო? - მოკლედ, ძლივს მოიშორა თავიდან. უკანა გზაზე კი, რაღაც კმაყოფილი მოდიოდა, გაამაყებული. ერთი სადარდებელი ის იყო, ბენზინი არ გამოლეოდა და ღვთის მადლი იყო თუ რა, - სახლთან რომ მივორდა, მაშინდა ამოიხროგინა მრავამ და ჩაქრა. მუორე საღამოს კი, მანქანაში მოისმინა, ქალი რადიოში ენამშობდა: - წუხელ, ერთი მძღოლი ასე და ასე მოგვექცა. ამ გაჭირვებულ დროში, გასაკვირიც კია, ქუჩაში არ დაეგავლო, ვარკეთილში აგვიყვანა და ფულიც არ გამოგვართვა. არც სახელი გვიტხრა, არც გვარი, ჩვენ, მანქანის ნომერი დავიმახსოვრეთ, გვარიც დავადგინეთ და ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები, ნეტავ ბენზინი სახლამდე თუ ვცყო.

და მას შემდეგ, ავტო, რამდენი წელია, ყოველ შაბათ-კვირას (სხვა დღეებში მუშაობს), როგორც კი შევა მოიქუფრება ან წვიმა წამოვა, ჯდება მანქანაში და ხალხს სახლებში არიგებს.

საოცარი გრძნობა ეუფლება, მგზავრი რომ იხეწება, - თუ ძმა ხარ, მითხარი, რამდენი გეკუთვნისო. ეს კი ამშვიდებს: - როგორ გეკადრებათ, ბაგონო, რა შემატყვევთ სამაგისო,

- მას შემდეგ რადიოში არავის გამოუხხედია, მაგრამ ეს მაინც ყოველ შაბათ-კვირას ხალხს ანად დაერიალებს. ამ ხნის მანძილზე, მრავალი ნარი ხალხი შეხედრიდა. შოგი წყრება, იღანძლება კიდევ, ფულს ბრამიანად მოისფრის საეარძელზე, მაგრამ უმრავლესობა მაინც დიმილითა და ლოყვა-კურთხევით ემშვიდობება, ბედნიერი და კმაყოფილი.

დღეს კი, დღეს წერა იყო თუ რა, ამ გამიშელებულ ქალაქში, პერანგიანი ქალი მაინც და მაინც რაღა მას შეხედა, თანაც ვაკლი?! თითქმის ძალით შემოიკეცა მანქანაში - თუ ძმა ხარ „აჭარა მუში-კოლში“ მიმიყვანე, ჯამის ფესტივალი გარდებო, - მაშინვე არ მოუვიდა თვალში. იმ ხალხს არ ჰგავდა, ეს რომ ხელს უმართავდა ხოლმე, მაგრამ რა უქნა? ქალი ცქცუკავდა, ნერვიულობდა, - ღმერთო ჩემო, როგორ დამაგვიანდა, მომკლავსო - და მობილურ გელეფონს წამდაუწუმ აწკარუნებდა: - პო, მოვლივარ, უკვე გალაკტიონის ბეგლთან ვარ, მანქანაში ვზივარო. ეს კი გაბადრული, ფინალის მომლოდინე, წინასწარ ტკებოდა, აქითქითებული ქალი რომ გაიკვირებდა: - როგორ გეკადრებათ, ქალბაგონო, რა შემატყვევთ სამაგისო.

აღბათ ესეც წერა იყო: - რომელიდაც სამთავრობო ესკორტის გამო, გზა გადაეკეტათ. ზევით აუხვია. ფალიაშიელი გატევილი იყო, ბარნოვიც - ცხვედაძემე გაძვრა, იქიდან გაბიძებე და მცხეთის ქუჩას დაუყვა. ქალი უკვე თმებს იგლეჯდა. მრგვალ ბადთან ისეც აღნაელებული მანქანების საცობს გადააწყდა. ქობულეთის აღმართზე აიჭრა. კეკელიძესაც თავი აარიდა და გოგებაშვილით შემულისაკენ დაემშვა. მობილური კი არ ისვენებდა - გაბქონდა ერთი მზიალ-წკრიალი.

- რა უქნა, ყველაფერი გადაკეტილია, შორიდან უველითო, - თავად დასაწყნარებული ქალი, ვიდაცას თავგამოდებული ამშვიდებდა.

რის ვაი-ვაგლახით მიადგენენ „აჭარას“. ბრგე, მოსული მამაკაცის აჭარხლებული თავი ძლივს შემოეგია სარკმელში და ქალს ჩასისხლებული თვალები გადაუბრიადა: - რამდენჯერ უნდა გითხრა, სახლიდან დროზე გამოეგეიმეთქი!.. და მერე ამას მიუბრუნდა:

– რამდენი გეკუთვნისო?

– როგორ გეკადრებათ, ბაგონო, რა შემაგვეთ სამაგისო, – გაიკვირვა ამან და გაეცეხლა კაცი; შენ ალაოლ ხო არა ხარ? მითხარი რამდენი მოგვეო.

– მიბრძანდით, ბაგონო, არაფერი მინდაო.

– ნინო, იცნობ ამ კაცს? – ჯერ კიდევ მანქანაში მჯდომ, გაკვირვებულ ქალს მიუბრუნდა მამაკაცი.

– არა, მამა პირველად ვხედავ.

– აბა, რას იპრანჭება, ეს შობელძალი?

პაერში უსიამოვნო ხუნი დაგრიალდა.

– გადბრძანდით, ქალბაგონო, არაფერი მინდა, – გაღიწია ეს და კარის სახელურს მიაწყდა.

– ხელი აიღე, შენი! – გაეცეხლა მამაკაცი და კარი თავად გამოუღო ქალს. გაღიყვანა და ისევ შემოძვრა.

– რა ხელებს აუთაურებ, შენი!

– მიბრძანდი, ძმაო, მარი ხარ? – გაღიშებას შეეკადა.

– ვინ არის შენი ძმა?! – ჯიბეში მოაფათურა ხელი მამამ, ფული ამოიღო, მოჭმუჭუნა და ზედ მიაგდო. მერე კარი გაგულსებულმა მიიჯახუნა, ქალს ხელი გამოსდო და აითრია. აფარუბაგებული მიიყავდა საწყალი, წონასწორობადაკარგული.

ეს დაიხარა, ფული ბარძაყზე დაიუთოვა, მიმაგალ წყვილს თვალი გააღევნა და... აი, ეს აღმოჩნდა საბედისწერო შეცდომა. ქალს პერანგი ჩამოშლიდა და აქაჩული ქვედაბოლოდან, ქარი ჭრელად უფრიალებდა. მამინვე გაღმობგა მანქანიდან. მიმაგალ წყვილს წამოეწია. მამას მკლავში მოქანა, შეაჩერა და ყურში ჩასურჩულა: – თქვენს ქალბაგონს შაბათი გრძელი აქვს კვირამეო.

ეს უკვე მეორე შეცდომა იყო. იქნებ შესამეც მამა გაფითრდა. ჯერ ქალი წინ გაიქნია, მურგი დაურიდებლად აუთვალიერ-ჩაუთვალიერა, ქალო, ვასწორე იუბკაო! – შეუღრიონა და ახლა ამას ჩააფრინდა გულისპირში: – ვინა გღიხარ, რას უყურებ ჩემს ცოლს გრაკზე, შენი! – ხელი დანდობილად კრა და იქვე მღგარ „ბეუმევეს“ მიანარცხა, მანქანამ

წოკი აგება. „სიგნალიზაცია“ ყურში უწოდა, მაგრამ სიმწრისა და ტკივილისაგან დაგრეხილი წელში ვერ იმართებოდა.

– რა გინდა ჩემ მანქანასთან, შენი! – ახლა „ბეუმევეს“ პაგრონი მოვარდა. იმანაც დაიქნია და თავისივე მანქანას გამეგებულად შეანარცხა. რის ვაი-ვაგლახით იმართებოდა წელში. მომუშტული მგევნით, რომლიდანაც ათლარიანის ყუა მოუჩანდა, გამწარებული ისრესდა მურგს.

ქარი კი გლეჯდა იქაურობას. პერანგვანი საღდა ჩანდა, მაგრამ ყველა ქალს ღამის დასამაღ ალერსსაც კი უშინვლებდა.

– წაღით, თქვენ! – წვალბით გამოიღო მანქანის კარი, – ჭკუა მაქვს ახლა მე? რას ვეგორილალები ამ იდიოტებს?! თავს მიხედ, რა... ჩაჯდა, კარი მოიხურა. კარგა ხანს იყო საჭეს გადაშობილი, ვსიო, მორჩა, გვერება საჭმე არა მქონდეს. ურთი იმ რადიოსიც და ჩემიც. მორჩა, მორჩა! ვიცი ხარ, შე, მართლა მობელძალი, მურგე რა ეს შაბათი-კვირა, – წელში ძლივს გაიმართა და ის იყო მანქანა უნდა დაეცოქა, აქომინებულმამ ქალმა კარი გამოიღო.

– ფრთხილად, თუ და ხარ, ქარმა არ მოგტაცოს! – ესღა მოახწრო, – კრილოს დამიჭყყავს.

– თქვენი ჭირიმე, ნუკუბიძებე ამადელი რა... ბავში სკოლიდან უნდა მოვიდეს, მგობობლებიც არ იქნებიან და ამ ქარში გამეფინებება. გემუდარებით, – იხვეწებოდა ცრემლმომღვარი ქალი.

– ნუკუბიძებე არა? კბილებში ბრაზიანად გამოსცრა.

– პო, ძალიან ვთხოვ.

– ბავში, არა?

– პო, ბავში, – ყელს იღადრავდა ქალი.

არა, ეს ნამდვილად არ ჰგავდა იმ ნინოს, მაგრამ რაგომდაც, დადარაჯებული მშერა მაინც მუხლებისაკენ გაეპარა.

– პერანგი ხომ არ გაცვიით?

– რა ბრძანეთ?

– პერანგი ხომ არ გაცვიით-მეთქი? – ვაიკრიჭა.

– რას ამბობთ, დღეს ვიდას აცვია პერანგი?! – დაიბნა ქალი.

– მამინ დაბრძანდით.

შაბათი დღე იყო, წინ კვირა მქონდა და სხვანაირად ვერც მოიქცეოდა.



### მწერატორთა სასახლე

კედელს აცხია ჰოეტის ტენი,  
მნათობს შებღავის სისხლი ჰოეტის,  
დაცმულს ცხარე ცრემლებით სტირის  
სასახლე, მუზის უდაბნოეთი.  
მოწვენილია ბაღი შრიალა,  
ბუერის მნახველი,  
ბუერის ამტანი,

ვერა, ვერაინ გაატიალებს,  
ვერაინ აქცევს ბუდედ სატანის.  
ვერ შემლებს მდილი გამლას  
სუფრისას, -  
სად უკვდავების სიმი წკრიალებს...  
დაუთმე უფალს წილი უფლისა  
და მომავალი გაიმზიანე!

### მაცნე

მტერი ამოდ ჩაბღავის სრამებს,  
ველარ გამოხრას მიწა ივერთა,  
სხივთა შუბებით დაემხო ღამე,  
გაბრწენდა ზეცა დასაღივრთან.

გაუკუა მაცნე მდინარის ნაპირს,  
იმდინი თავდაჯერებით,

მიაცილებენ ტაღლები მმაფრი  
და ნამდგურილი მთათა სურები.

გორის სანახებს უნდა ახაროს,  
ნომარ გზასე აუვავდა ვარდი,  
თავისუფლება ტკბილი ნაღართ  
და საღამურით ამ გზასე დადის.

### ცყის მოთქმა

გამიფერმერთაღეს სიმხნევე სულის,  
ტყვის დამიკარგეს იმედი სვალის,  
აუფუდა ნემი მამულის წულული  
და მომენატრა დავითის სმალი.

სურთ სიმულვილი ჩამიდონ გულად,  
გადუკრან მარღვი სხივების ჩქერაღს,  
თავზე დამსუროს ღრუბლები ქულა  
და ამიკრმაღონ მზისაკენ მხერა.

უნდათ მომგლიჯონ ეროვნულ ფესვებს,  
მაქციონ მსხვერპლად მურის და ჯავრის,  
მერე ბეჭებით გაძაქრან ხესე  
და ამ ხისაცან გათაღონ ჯვარი...

დიღვს ვიწროს და ფართო ქვებისს  
დეღვმად აწუდება ჰანგი ველური,  
მთის წყაროსავით მომწუვრება  
ამომღერება დავითფერულის!

### შენც არ ჩავთვლიამის

მოიღი დაღის წერილიდან

1.  
სანუკვარ მამულს ჯიჯინიან მტრები,  
აქ ცოდეა-ბრადი ისევ ტრიალებს,  
საჯიღდაო ქვა აზიდე მხრებით,  
სამპობღოს მიწა გაამთლიანე.

რაკი ამ გზასე თამამად დგახარ,  
აქციე ერთ სულის ნაწილად,  
თავის განწირვას დიდება ახლავს,  
არ შეუძინდე თავისგანწირვას...



ერისკაცობა მძიმე ტვირთია,  
 მოსდევს ძალ-ღონე შეუბის მოტანი,  
 სახელისათვის ბევრი იღტვიან  
 და ზოულბენ მხოლოდ ცოტანი.

სხვათა ნაცვამი აცვია ტანზე,  
 აუტაცია სხვათა ნაწერი,  
 ცხადად მიიწევს სისმარში  
 ნასქენს სისმარში - უმნოდ  
 გაწევილს...

2.

ხან შინაურიც წინაპრის კარავს  
 კალთებს უფლეთავს ოქროსფარჩიანს,  
 ხმა მშობლიური არ უღირს, ჩაღად,  
 სხვათა დაკრულზე მღერა არჩია.

ასეთებს უნდა ასწავლო ჭკუა, -  
 ერისკაცობა აი ეს არი, -  
 შორს შენგან,  
 ვინაც ბეცი და ურუა,  
 შენც არ ჩატოვლიძობს,  
 შენი კენება მე!

ფლოტის ფანტემა

გაიხაფსულეს ეამთა ცვლილებით,  
 გაითავისეს დაღლილი მთვარე,  
 ხატთან ფიცს დებენ მუხლმოკურილები  
 და იქვე კმშას უღებენ კარებს.

მიმოფანტულნი მთიდან ბარამდე,  
 თუ დააცილუ,  
 რას არ იზამენ!..

სიტყვის გატეხა,  
 მოქმის ღალატი, -  
 არის მათი ხმა,  
 მათი მიზანი,

როს დაუდგება ეამი დაცემის,  
 როცა დაკარგავს ძალას ფლიდობა,  
 ბევრიც ეცადონ არაკაცები  
 ვერ იუდიიან ნოეს კიდობანს.

ოცდასამი მათა

ხმლების ჰირებზე ვაბიჯებ ფრთხილად,  
 ვისმენ მთებიდან არწივის ვივილს,  
 თავზე დამადგა ძაბისის დილა,  
 დღე დაბადების მკაცრი და ცივი.

ფიქრის მორევი ვდგავარ უვლამდე,  
 ცის თაღზე კრთება დედის ხატება,  
 წვიმას აქეხებს ქარი ღუქადის,  
 მგონი, დასტირის ჩემს დაბადებას.

გეძებდა ვილავს...

მარი აბრამიშვილს

ნისლიან ბაღში გემუბდა ვილავს,  
 ვილავს გულოდა დაიმედებით,  
 უკარებლობის ირგებდი ნიღაბს,  
 ღიმილის ხეშხსაც ვერ იმეტებდი.  
 არას ამზობდი იმ დიდ ტკივილზე,  
 იმ დაუვიწეარ მწარე წარსულზე,  
 ღრუბლებზე მწოლი შენი ცივი მზე  
 დატყვევებული ჰევადათ ავსულებს...  
 გამეტებული სინორჩე შენი,  
 სივარულისგან ნაჭდვეი წელული,  
 ვერ დაიტრე გამშრალი ცრემლით

და ვერ განკურნე გაეინულ გულით.  
 სიორცვეებს შერჩი დარდის ამარა,  
 მაინც გაჭეურებ მალრიბს ამაუად,  
 დაღლილმა მუზამ შეჭკრა კამარა,  
 აქლერებს სიმებს სულის განაუარს.  
 ... უკამო ეამი ისევ ბოგინობს,  
 ღუქის ბქარები მწარე წლებია,  
 მომურნეები,  
 მთების დობილო,  
 შენ კოჭებაამდე ვერ მოგწევიდიან.



თუ გული გულობს, მთაში მარტო არწივს რა უნდა,  
არწივზე ზევით აფრინდები კავკასიონთან,  
უშას და თეთნულდს ჯერ ნახდები კი არ გაუცვდათ,  
არც ხანთლის ალი გალეულა ჯვართან, სიონთან.

არ ღირს ამ ქვეყნად დადიოდე ვიღაცის ნებით,  
კარნახ-კარნახით, თხოვნა-თხოვნით, ხელის ცეცებით.  
ო, რარივ ძაღვად დანდართულან ცხოვრების გზები,  
აღარ ღირს შიში, ბოლოს მაინც ჰირქვე ეცემი.

თუ გული გულობს, მთაში მარტო არწივს რა უნდა?!  
ქამო უგრძნობო, უნდობელო, უაღბო, ტიალო...  
ორი რამ მინდა: საქართველო რომ გამობრწყინდეს  
და სიკვდილამდე ჩემს ნებაზე ვიხეტიალო.



მადვიძებს შიში, ეს აღვლევს,  
უბილობისგან არ ჩნდება თითქოს,  
რადღაც არ მოშწონს შენ საუბარში,  
შესკუპებულო რაფაზე ფიფქო...

შემიპურობს შიში და იანვარში,  
თოვლი მიეურებს უცხო თვალებით,  
ჰო, ასე იცის, ვოველთვის, ღამით  
გადვიძებს გულში ნაიარევი.

### თუთიყუში

წივს. ნაწამთრალ მიწას ჰკითხე უველაფერი,  
შე ნუ მკითხავ, გადაძალა ფიქრებმა,  
გულს ნუ ვტანჯავთ, თუ უგულოდ გადავრჩებით,  
ასე უფრო ადვილია, იქნება?!  
მოდის ქარში ფრთამეჭვრილი თუთიყუში,  
სცივა, მოდის ნელა, ბანცალ-ბანცალით,  
გადარჩება?! ასე მუც კი გადავრჩები,  
თუ არა და... სულ ეს არის, რაც არის...

### ღამე

გარეთ დარჩენილ ვარსკვლავებს ვფიცავ,  
შენს გვერდით ქრება დარდი, ხალვლი,  
მაცრამ შემოდის გულში ზრიალით,  
ავსულთა ვქვი, ბევრის მნახველი.

რა სიბნელეა?! თითქოს დაურუვდა  
მთელი ქალაქი, ხე და კედელი,  
ვინ იცის, როდის დარეკავს კარზე  
ჩემი და შენი ბუდის მკედელი.

## შენ კრები

შენ ვუვლავური უარუავი,  
ამიტომ ქრები,  
აღარ გაოცდებს, აღარ ელი...  
არ გსურს არაფერი.  
შენ აღარ გეხმის საუბარი -  
ჩიტების ხმები  
და დაგეგნევა სიყვარულის  
მწვანე კარავი.  
არ გწამს, არ გხიბლავს,  
აღარ გიკვირს,

რაც მთავარია,  
რაც მთავარია,  
აღარ გჯერა, მზე რომ  
ანათებს,  
ამ დროს დადიან შენი ტუპი  
დები მინდორზე  
და  
გვირილებით აივსებენ სოღმე  
კალათებს.



მშვიდობით. იქნებ მახატო...  
მე ვეღარ შეუძლებ,  
გავეყვ უხანჯლოდ, უხანჯლოდ  
ქარში მწვერჩიტას.

არ ვიცი რატომ?! ლამაზი გსა  
მეგონა შენსკენ,  
მაგრამ ამოდ, მუულის ტოტი  
გულში შენსვლიტა.

## აბაღა

უკვე აცივდა. ტოტიდან ტოტზე,  
სტუნავს ჰატარა ჩიტი, საწუალი...  
მადარდებს ის, რაც უერ არ შემშლია  
და რაზეც ფიქრი ვერ მოვასწარი.

ჩემი ცხოვრების გზაუარედინთან,  
შემომავარა ბედმა ნაცარი,  
მადარდებს ის, რაც ვერ გავარკვეი  
და რაზეც ფიქრი ვერ მოვასწარი.



ბაღში გაუშალეთ, ვარდების ბაღში,  
მე და ჩიტებმა ჭრული სუფრები,  
რამ დამაჯერა, რომ გეხმის ჩემი,  
ასლა კი ვსხედვართ, როგორც უბრები.

ბაღში გაუშალეთ, ხელოვნურ ბაღში,  
მე და ჩიტებმა ჭრული სუფრები,  
არ განახვ, რადგან როცა განახულობ,  
სულ უცხოხავით განახებრები.



ბიძის - შინდია შენგელიას სხონის

იქნებ იმიტომ ვიტყვი,  
მზემ რომ სხივები დახარა?!  
გავინაწილოთ: ჩიტი - მე,  
შენ - ეს ჭადარი ჭადარა.

სიზმარში განხე ცოცხალი,  
ცხადში სიკვდილი დაგწამეს.

დამწიფებული მოცხარი,  
აფახულებდა წამწამებს,

იქნებ იმიტომ ვიტყვი,  
მზემ რომ სხივები დახარა?!  
გავინაწილოთ: ჩიტი - მე,  
შენ - ეს ჭადარი ჭადარა.



ეს სიბნელე მგლის სროვასაც უყვარს,  
სამთრის ღამეს თავს თუ ესხმის სოფელს,  
მკვრივ კაცთან რატომ გიჭირს სუნთქვა,  
მეიღი რატომ აღარ უყვარს მშობელს?!

ხან გიმღერებ, ხან ვიტყვებ მესთვის  
და ნახესხებს დაკვირვებ სახთლით,  
ჰუმოით გასმევ ამ მადლიან წყაროს,  
მერე რა, რომ დღესაც დამრჩა სათლი.

იქნებ შექმლო და დაგჰყენო დარდი,  
სხივის ნაცვლად ქარს მივანდო ძლიერს,  
ან ფთილებად გავატანო შერცხადს,  
ზღაბრის კართან დამდგარ მცველს თუ ვძლივ.

გულში ხანძრის ნარჩენები ღვივის,  
არას ნიშნავს ნაკვერჩხალი ჩემთვის,  
ვერ ვეჩვევი არაფრის მთქმელ ღიმილს,  
ყველას ნაცვლად - მხოლოდ ინფ ღმერთი.

ჰა, სიცოცხლე, ჩემი წრფელი სუნთქვა,  
გულს ნუ დამწვევტ ადრინად ასე,  
კვლავ მანუქე სურვილები მწველი,  
ჰეპლის ჩრდილებს დაგაკიდე ბზაზე.

ჰა, სიცოცხლე, ჩემი წრფელი სუნთქვა,  
გულს ნუ დამწვევტ ადრინად ასე,  
კვლავ მანუქე სურვილები მწველი,  
ჰეპლის ჩრდილებს დაგაკიდე ბზაზე.



მოდის ვუირილა და  
გულწასული ვვაზილი მოაქვს -  
ტაღლას ჰატარა...  
მზა დილიდან,  
მენ ხომ არ გახსოვს, როდის აშენდა  
ზედა ხატარა?!  
მოდის ვუირილა და  
ტაძრის ახლოს,

-ლოცვანს“ კითხულობს  
სოკურ ვმაწვილი.  
სანთელი,  
ბიჭი,  
მდინარე,  
ბორცვი -  
ჩემი სამშობლოს ერთი ნაწილი.



## მოთხრობები

### მხოლოდ სიყვარულით იცხოვრა

(კარლო არსენაშვილის დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)

#### წინასიტყვაობა

შარშან გარდაცვლილი ქართველი მწერლის კარლო არსენაშვილის დაბადებიდან სამოცდაათი წელი შესრულდა. ცოტათი იყო ჩემზე უფროსი და მისი სიუჟაწვილე კარგად მახსოვს. უკიდურესად მორიდებული, მუდამ ხმადაბლა, ოდნავი ბორძიკით ლაპარაკობდა. ტექნიკური განათლების საკმაოდ ნაკიბ კაცს წერა რომ ეხერხებოდა, ეს სარულეობთაც არ გვიკვირდა. ამის მაგალითები მწერლობაში სხვაც ბევრი უყოფილა. გენიალური ანდრიე პლატონოვი, როგორც თავად ამბობდა, „სტენიკის კაცი“. პროფესიით ინჟინერ-მელიორატორი იყო, უკვდავი მემკვიდრეობაც შექმნა, მაგრამ უღმობელმა საბჭოთა რეჟიმმა დაუბეძღვაობითა და შიმშილით ამოხადა სული, რა უბედურებას აღარ მოესწრო, ახალგაზრდა, ორ-მოცდაათი წლისა დაიღუპა.

კარლო არსენაშვილი იმთავითვე ახლობლურ გულახდილობას იჩენდა გვიე გვიგვიკორთან და ჩემთან, „კისკარში“ მოჭონდა და გვაკითხებდა თავის ნაწერებს, რომელთაც, ბერისგან განსხვავებით, ხელის დაკარება არ სჭირდებოდა. ისიც ვიცოდი, კარლო დიდი ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილის დათო ჯავახიშვილის სიყრმის მეგობარი იყო და მათი გულითადი ურთიერთობა ბოლომდე ასეთად დარჩა. ასეთივე მეგობრობა აკავშირებდა მას ნაადრევად დაღუპულ გურამ რჩეულიშვილთანაც.

კარლო არსენაშვილის მოთხრობებიდან პოეტურობით, განწყობილების მთლიანობითა და ადამიანური სითბოთი გამოირჩევა „ახალწლის ღამე“. ლიბანის სანატორიუმში მომუშავე ექიმის (მას ნოდარი შქვია) მოგონება-მონაყოლი, მუდრო სანატორიუმში ნაძვარითაა გაშემორტყმული და იქ ფილტვებით დაავადებულიებს მკურნალობენ. მოთხრობის გმირსაც ადრე, სტუდენტობისას, ამ სანატორიუმში მოსწევია უფუნა და მაშინდელ, ახალწლის ზღაპრულ, ჯადოსნური ფერებით აციმციმებულ ღამეს იგონებს... პალატაში სამნი არიან, შეუძლებელია დაგავიწყდეს ექიმთა, მომვლელთა საერთო სიყვარულითა და ზრუნვით გარემოსილი ცისფერთვალეობა, გამზადარი, რომანტიკული ბუნების მოხუცი, ლევანი, რომელსაც სანატორიუმში თუბე არაერთი წელიწადი ჰქონდა გატარებული. ლევანი პალატის ბინადრებს თხოვს, ღამით ოთახში შუქი ჩააჭონ და საკმეილი ღია დატოვონ (ამ თხოვნის აზრი და მომიხილბობა მალე გახდება საჩინო).

მეორე ავადმყოფი, ილარიონი, ძუნწი, უხიაგი, თავისი თავის კაცია; საახალწლოდ მიღებული ამანთიდან არავის არაფერს უწილადებს. საწოლზე ჩამომქდარი, ანთებულ შუქზე, მარტოკა იცმუცნება, ახრამუნებს გემრიელ სასუნავებს. მერე, დანაყრებული, ყუთს სახურავს აფარებს, კარდაში ინახავს და ოთახიდან გადის, სუფთა შაერზე რომ გაიარ-გამოიაროს, შუბლი გაიგრილოს. კეთილი, სათნო მოხუცი



აღარ აყოვნებს, საწოლიდან წამოხტება, ფანჯარას გამოაღებს და შეუსაც გამოართავს. ოთახში ცივმა ჰაერმა უკვე დაიწყო მისი შეშინება და შოლიატი ყმაწვილი მართლაც უცნაური, ფერითული სანახაობის მომწიფება:

«ეს ნამდვილი სასწაული იყო:

ოთახში დაქოლდნენ ფერადი წერტილები. წერტილები კრიალებდნენ, ბზნავდნენ, ერთმანეთში იბრუნდნენ, წერტილები ბრუნავდნენ, ფერს იცვლიდნენ, ტრებოდნენ, ისევ აინთებოდნენ. მათ მოძრაობას თვალს ვერ ვაკილებდი...

- ეს ნისლია, ნოდარ, ფერადი ნისლი! - გავიგონე მოხუცის ხმა. - აი, ახლა ნიავე დაუბერავს და ფერები კვლავ გავლენ ოთახიდან.

ცოტა ხნის შემდეგ ფერებმა მართლაც დატოვეს ოთახი, ნელა გავიდა ნისლი გარეთ. ახლა ეზოში აირივდნენ ფერადი წერტილები. შემდეგ ერთმანეთისაკენ დაიძრნენ, წრებებად შეიკრნენ და გამოჩნდა დიდი ყვითელი ბურთი, რომელსაც შარავანდედი შემოტრყმოდა... მალე შარავანდედიც შემოსცილდა და გაგარჩიე, რომ დიდი ყვითელი ბურთი ლამპიონი იყო».

მინუსული მოხრობელი პოეტურად ხსნის ამ უცნაურ ფიზიკურ მოვლენას. თავად ფერად წერტილებს ამტყველებს სილამაზის დეგრადაციობაზე, ადამიანთა აღქმის დარღუებებაზე, მალე წერტილები ერთობილად შემოიჭრებიან ჩაბნელებულ ოთახში, ციციანათელებივით დასრიალებენ აღმა-დაღმა, მაგრამ ეს დიხანს აღარ გაგრძელდება, ისინი ადგილს ინაცვლებენ:

«ფერადი წერტილები კვლავ გაიკრინდნენ ოთახიდან: ნაცვებით შემოჭარული დათოვლილი ეზო გამოჩნდა. მაგრამ შოლოდ რამდენიმე წამს ჩანდა, - ისევ ნისლმა დაფარა იჭაროება. ნახლმა დიდ ყვითელ ბურთის კვლავ მოსტაცა სინათლე, ლამაზ წერტილებად დაშალა იგი და კვლავ ფერებით აავსო ოთახი. ისევ ფიჭვში წვივდა: - ადამიანმა თუ ყველაფერი დაკარგა, დაკარგა სიყვარული, ჭანჭითელობა, ძალ-ღონე, სიარულის უნარი, მას ხომ რჩება ოცნება, უსაზღვრო და უკიდვანო, ლავგარდისფერი და ლავგარდის შერწყმული ოცნება».

თქმა არ უნდა, ახალწლის იმ შორეულმა ღამემ, სიხშირით მოღანდებულმა წერტილებმა გარდაქმნა და სხვაგვარი აზრით აავსო გვირის ცხოვრება და აღაასაღეს ავიწყდება ნეტარი წუთები, როცა ფერები მღეროდნენ ტყეში».

«ახალწლის ღამეში» უთუოდ იგრძნობა ავტობიოგრაფიული, პირადი განცდები. ეს მოთხრობა გახლავთ ჩუმი წუთილი ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში ოცნების უკმაყოფილებაზე, მშვენიერების ვერსიმეზობაზე, ყველაფრის უხეშად გაპროზაულებაზე, იმაზე, რომ ადამიანებმა სილამაზის, ბუნების საოცრებათა შეგრძნება დაკარგეს.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ მოთხრობას, გამოტყვევებისთანავე, გულთბილი, აღფრთოვანებული წერილი უძღვნა ახალგაზრდა შემოქმედთა უნჯარო, დიდმა ქომავალმა ბატონმა მიხეილ კვეციელავამ. იქვე ბატონი მიშა მორიდებით ეტვს გამოსთქვამდა, ამ მშვენიერი მოთხრობის ავტორი ზედმეტად ფაქიზი სულიერი წუთის კაცი ჩანს, ვაითუ ნებისყოფად უმტყუნოს და სულიერად გატყუდესო. მერე, ალბათ იმავე ხანებში დართულ მცირე მინაწერში წერილის ავტორი აშკარად შეშფოთებული იყო, ჩემი შიში, სამწუხაროდ, გამართლებულათ.

სურვილი მძალავს გავიხსენო მეორე, არანაკლებ პოეტური, ისევ და ისევ «ობტიკურ ცოპილებზე» ავტული საუბრით მოთხრობა «ხოხბები გვალვამი», სადაც კარლს არსენაშვილი სამაგალითო ოსტატობას ავლენს. პროზაიკოსისთვის ესაფენე საჭირო შახვილი თვალთ ჰვრტეს საგნებს, ბუნების სურათებს. ავტორი, მოთხრობის გვირგი, ჰყვება გულის დაგადებით გარდაცვლილ მეგობარზე გვიცი მინდელზე, რომლის



შეუდარებელმა, გადაამდებმა ღიმილმა და სიკეთემაც იგი, საშინელ ავარიასი მოხვედრული, ავტობუსისთან ერთად ხევში გადაჩხილი და სიკვდილის პიასს მყოფი, გამოაბრუნა, იხსნა. მანამდე კი ასე უნდა მოხდებოდა არსის გადმოცემული მათი სიახლოვე:

„ჩემი მეგობარი დაბადებიდანვე გულით იყო ავად. იგი მკურნალობის შემწეობით ცხოვრობდა და ბავშვობიდანვე იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწეება.“

ჩვენ შეგვეძლოს საათობით გვესაუბრა, მაგრამ შეგვეძლოს საათობით გვეცქირო ერთმანეთისათვის ჩუმად, ხმისამოუღებლად, ისე, რომ არ მოგვეჩვენოდა ერთად ყოფნა...

ასე მოუბერებლად შეიძლება იდგე მხოლოდ კლდის კედელზე და უცქირო, როგორ ვარცხნიან ხეობიდან მზის სხივს ამოყოლილი ღრუბლები ფერდობებს.“

მთხრობელი გვიამბობს, როგორ უყვარდა მას სვანეთის უბანში, გვიც ეწოდა მდგარი სამურაბე ვაშლის (ამ ხეს „სამოთხის ვაშლსაც“ ეძახიან დასავლეთ საქართველოში) წითლად შეფერილი, წვრილი, გრძელყუნწიანი მომწარო ნაყოფი. გვიც მინდელი სწორედ ამ ციკენა ვაშლებს მიიტანს გონივრად მიღებულ მეგობართან, მის საწოლზე მუჭიდან საითთაოდ აბნევს, თვალს გაახელებს, მისებურად გაუღიმებს, შუბლზე ხელს გადაუსვამს და სიკვდილის კლანჭებიდან დაიხსნის.

მთელი მოთხრობა გახსენდება იმისა, გვიც მინდელმა როგორ მოიარა ერთხელ ზაფხულის საშინელ ხეტოში ალაზნის ველი, გვალვისაგან თონესავით გაბურბებული რიყე, როგორ მოერგნა მტვრით დაფარული მყვლის ბარდი „უზარმაზარ ცხვრად“ და შერე, თავის თავზე გაჭაგრებულმა, იმ ბარდს როგორ ესროლა ქვა. მთავარი სანახავი, მთავარი ხილვა სწორედ აქ იწყება:

„ბარდიდან თვალისმომჭრელი რამ ამობრიალდა, ნაირფერი კლაკნილით გახაზა ბუფი. წითელი, ყვითელი, ღორჭი და ათასნაირი ნაპერწკალი გამოყარა. თითქოს ოდნავ შეტრიადა. გასწორდა, მიუღწევლ ოცნებასავით გაშექვა. შავ წერტილად გადაიჭვა და სადღაც, შორს გაუჩინარდა.“

გაოგნებამ რომ გამიარა, მიგვხდა - ეს თვალისმომჭრელი უცნაურობა ხოხობი იყო. კენტი ხოხობი.“

ალმურაგარდნილ რიყეს აღმა აყოლილი გვიც მინდელი სხვა ბარდებსაც ესვრის ქვეშ. მაგრამ ახლა მხოლოდ ალაგალაგ და თანაც უკვე წყვილ-წყვილად ამოფრთხილდებიან დაფითებული ხოხობები, ფერად ნაპერწკლებად იშლებიან ტატნობზე და შხულით უჩინარდებიან. იგი მინც იმ პირველ, ცაში ნაირფერი შუშუნასავით აჭრილ (გავიხსენოთ ედუარდ ბაგრატიონის ლექსის ელგარე სტრაქონი) ხოხობზე ფიქრობს:

„მაგრამ სულ სხვა იყო კენტი ხოხობი!

მან თავისი ნამცეცა ფრთებით მტვრის უზარმაზარი ღრუბელი ააცვილა დედამიწას, გამოაჩინა რიყის ცალ მხარეს აუღებელი კლდე, მეორე მხარეს - ბარაქანი მინდორი, უფრო იქით ლამაზი სოფელი, სადაც ცხოვრებას ქრიაშული გაუდის და ყოველი ხალაში სავსეა სიმღერებით. მან მეც შემომოაყარა თავისი ნაპერწკლები, ჩემი უხალისობა საკუთარი ბუმბულის სიმშუბუქით მომშორა და სადღაც გადაიარა.“

მართო მოტანილი ნაწყვეტებიც კმარა საიმისოდ, ვირწმუნოთ, თუ რა მძლავრი ნიჭისა და უფაქიზესი გრძნობის შემოქმედი დაგვიკარგავს. ახლა, საკმაოდ დაგვიანებით, მეც გულდაწყვეტილი ვფიქრობ: კარლო არსენავილი იყო გაუხალის გვალვაში მოხვედრილი და სულმხუთული „კენტი ხოხობი“, რომელმაც ჩვენ ყველას გაუზუნარი, მტვერგადაცლილი, არამიწიერი სილამაზე დაგვიანაზა. თავისი ზღაპრული სამყაროს წიაღში გადაგვახედა.



და ეს მოსაფრებელი კაცი, რომელმაც მხოლოდ სიყვარულით აცხოვრა, თბილისის ქუჩებში, წლების მანძილზე დაბეჩავებული, ჩაუცემელ-დაუზურავი, ვასაცოდავებული, მაგრამ ღირსება შენარჩუნებული დაიარებოდა. ვიცოდი, დროდადრო რამდენიმე ახლობლის ოჯახში სადილობდა. ისინი, რაღა თქმა უნდა, ამ სიეთეს არასოდეს ამაღლიდნენ. ერთხელ მითხრა, მეგობარი მელოდება სადილად, მაქვს უფლება, ვინც მინდა წაიყვანო, წამოდი, თითო ბოთლი ღვინო დავლითოთ. უარი ვუთხარი, სადღაც მიმტკბარებოდა.

კითხვის ინტერესი სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს. წერდა კიდევაც, მახსოვს, მდოგვისფერყდანიანი მოზრდილი წიგნი ეჭირა, უცხოურიდან თარგმნილი, დოკუმენტური; შინაარსი მოკლედ მომიყვა, პირველი მოვლით ომის დაწყებაზე, განსაკვივრებელი ფაქტები თავმოყრილი და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების კანონზომიერებებია დადგენილი, მთლიანად არ წამიკითხავს, უსათოოდ გათხოვებო, დაატანა, ამ წიგნმა დამანტერესა, მაგრამ მერე კარგა ხანი აღარ შემხვედროდა და მეც აღარ შემხიხნებია.

მწერალთა კავშირში ხშირად დადიოდა. ერთხელ ლიტერატურთა სახლის დარბაზში, რომელიღაც შემხვევის ვაჟი, სუფრა გაიშალა და კარლოც იქდა შევიდასთან. თამადაშ, რეზო ჭეიშვილმა, ყველაზე პირველად და გამოჩრეული სითბოთი ადღევრძელა, როგორც ნიჭიერი მწერალი და კარგი კაცი. ყველამ გუხარით ჩვენ-ჩვენი სათქმელი. ფეხზე წამომდგარს, თვალები უბრწყინავდა. ისეთი სასიხარულო წუთები ბევრია არ ტვებია ცხოვრებაში.

შარშან ზაფხულს, მწერალთა კავშირის კლუბში, ერთი ადამიანის მწერლობის მეგობარი ქალბატონის ნინო ლომიძის საპატივცემულო შეხვედრა იმართებოდა. კარლო არსენაშვილი დიდი ხანი იყო არ მენახა და ჩემდა უნებურად ვიკითხე, სად დაიკარგა, ხომ არ გინახავთ-მეთქი. ბიბლიოთეკაში მყოფი ქალები შეებნენ - არ იცი, რა სამწუხარო ამბავი მოხდა? კარლო არსენაშვილს დღეს შარბავენ თელავში, ჩვენგან ზალ ბოტკოველია წასულიო, მითხრეს. უზომოდ დაშფუდა გული. უკანასკნელი პატივი რომ ვერ მივაგე განვენებულს. მოგვიანებით მომიყვინენ, რომ ღირსეულად დაეკარგალათ ახლობლებს, მეგობრებს, საფლავში წინაპართა სურათებიც ჩაუფლესო. ჭირის სუფრაც მისი საკადრისი გაემართათ. დაწმუნებული ვარ, ამით არ გათავებულა ამ ხალხი შემოქმედისა და უპატიოსნისი, კეთილშობილი პიროვნების მოწამებობი ცხოვრება. სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს. აქ არაფერი მითქვამს კარლო არსენაშვილის საყმაწვილო მოთხრობების საუკეთესო წიგნზე "როცა ყვავილებს სძინავთ", რომელიც სხვა მოთხრობებთან ერთად, ხელახლა უნდა გამოიცეს.

ამას წინათ იმავე ზალ ბოტკოველმა, კარლო არსენაშვილის ერთგულმა მკითხველმა და მოტირანხულემ მისი სულ უკანასკნელი, 2003 წლის ივლის-აგვისტოთი დათარიღებული ნაწერები მომცა, გადახედე, ეგებ გამოქვეყნება ღირდეს და თუ სურვილი გაგიჩნდება, რაიმე წაუმძღვარეო.

წავიკითხე და შეტრული, აფორიაქებული დავრჩი. პირველში მოუნელებელი წუხილია დაუხარბავ ძალებზე, გამოუყენებელ შესაძლებლობებზე. მშაფრად არის გამოხატული გვიანი, უსაშველო სინანული: ასამოცდაცხტა წლის ასაკშიაც იცი, ბევრი რამ შეგეძლო, ბევრი, ძალიან ბევრი, მასთან შედარებით, რაც ქალაღზე გამოიხატა, ათი, ასი, ათასჯერ, მილიონჯერ მეტი, უთვალავჯერ მეტი, პროზაშიაც და ყველა ეპანშიაც. ეხლა თუნდ ინანი, თუნდ იდარდე, თუნდა იწუწუნე, ვერც წარსულ წლებს დაიბრუნებ, ვერც მას, რაც წარსულს გამყვა".

მეორე - "... და აეროპორტში სიწყნარე იდგა", - მშვენიერი მოთხრობაა და აქ უფრო მკვეთრად, სახი-



ერად იგარანობა კარლო არსენაშვილის თავისებური ხელწერა, თითქოსდა უმნიშვნელო წერტილებს შემწინების ეგზომ იშვიათი უნარი. განსაკუთრებით ამაღლებული, პოეტური და შთაქმნითი (ლიტერატურული მოგზაურის ქრისტეფორე კოლუმბის გახსენება). შე არ ვაპირებ გარდაცვლილის ბოლო დანატოვარის გარჩევას. დაკვირვებული მკითხველი ურემოდაც მიხედება, რა პიროვნება, როგორი მწერალი წავიდა ამ ქვეყნიდან ასე შეუმჩნეველად მაშინ, როცა სახელს და სახარავს დახარბებული, საეჭვოდ ენერგიული ცრუ კალმოსნები გაცილებით შეტ პატივში არიან. ურცხვად ეცლყოლაობენ და, ჩვენდა სავალაოდ, სიამტკბილობა არც მომავალში მოაკლდებათ.

ვფიქრობ, ჭარბი მწერლობის ტექნიკური კომპეტენცია, კარლო არსენაშვილის შეგობრები და ახლობლები რამეს იღონებენ. რომ თუნდაც მისი დაბადების სამოცდაათ წლისთავზე უფრო დაფასებული და მოფლელი გამოიყურებოდეს იგი, ვინც იყო „შეუპოვარიც და დამომობიც ერთსა და იმავე დროს“.

ემზარ კვიციანიშვილი

25.07.2004.

### სიცოცხლე იწურება

სიცოცხლე იწურება. სამოცდაცხრა წლის ასაკშია იგი, ბევრი რამ შეგეძლო, ბევრი, ძალიან ბევრი მასთან შედარებით, რაც ქაღალდზე გამოიხატა, ათი, ასი – ათასჯერ – მილიონჯერ მეტი, უთვალავჯერ მეტი პროზაშია და ყველა ეპოქის, სხვათა შორის, და ეხლა თუნდა ინანე, თუნდა იდარდე, თუნდა იწუწუნე. ვერც წარსულ წლებს დაიბრუნებ, ვერც მას, რაც წარსულს გაპყვია.

ღმერთმა ქნას და მოესწროს ვინმე იმ წლებს, დროს, რასაც ილია ნაგრობდა მშობელი ხალხისთვის: შრომის თავისუფლებას და ადამიანის სრულყოფას. ილია ნაგრობდა! და რაკი ილიას ენაგრებოდა ეს დრო და ამ ნაკვრით აღმოხდა სული, ვეცით ჩვენც; ვისაც ილია ეჯავრებოდა, შრომაც ეჯავრებოდა! სიცოცხლე იწურება. სამოცდაცხრა წლის ასაკშია იგი, ბევრი რამ შეგეძლო, ბევრი, ძალიან ბევრი, მასთან შედარებით, რაც ქაღალდზე გამოიხატა, ათი, – ასი, ათასჯერ, მილიონჯერ მეტი, უთვალავჯერ მეტი, პროზაშია და ყველა ეპოქის. ეხლა თუნდა ინანე, თუნდა იდარდე, თუნდა იწუწუნე, ვერც წარსულ წლებს დაიბრუნებ, ვერც მას, რაც წარსულს გაპყვია. ერთი რამ კი შეიძ-

ლება დაასკვნა: ყოველთვის გაეიწყებოდა, ყოველთვის დაეიწყებოდა გაქვს საკუთარი „მე“. ეს კი ძალიან სუსტი ადგილი იყო ჩემს ცხოვრებაში. ესეც აღუნიშნავთ სხვებს. კერძოდ ჩემს ყოფილ მასწავლებლებს. უფროსი ასაკის ადამიანებს და ჩემს უმცროს მეგობრებს – რამდენიმე წლით უმცროსებს! ესეც ბედი! ჩემი პედაგოგები ცოცხლები აღარ არიან და განსვენებულებმა ეს აღნიშნეს საშუალო სკოლის დამთავრებიდან ოცდაათი ან ოცდახუთი ან ოცი წლის შემდეგაც. ძველმა მეზობლებმა და ჩემმა სკოლელებმა ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსებმა, ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმაც – მოგმა ჩემთან ერთად, მოგმა რამდენიმე წლის შემდეგ დაამთავრა და ჩემი სახელი გაგოვ უკულტეტებზე. მათთან შეხვედრა და მათი გულწრფელი სადარდებელი ხშირად ვყოფილვარ კიდევ თურმე და ხშირადვე ვახსენებდი თურმე იმ პირებს. მთელი გრაგვილია ეგ არის: ხასიათის ჩამოყალიბება, ხასიათის გამოვლენა, ხასიათზე შეგავლენას სულ სხვა ადამიანები ახდენდნენ და შემოასებელ-დამფასებლები სულ სხვაგან იყვნენ, ანუ საერთოდ, ბედის თავისებურებაა, ხასიათის თავისებურება, ასე

იყო ყოველთვის ჩემს ირგვლივ: ვინც მაფასებდა ან მეხმარებოდა, ის ყოველთვის უმწეო იყო, ვისაც ჩემთვის, ყოველთვის კარგი უნდოდა, ჩემი მშობლებისთვის კარგი უნდოდა. ჩვენივე, ყოველთვის ჩამოცილებულიყვით იღბა ჩვენიდან წყალგაუმტარ, გაუკონაზი მასით გატენილ ინტრიგანთა წყალობით. აი, ასეთ აგმოსუეროში ინტრიგანი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ეცდებოდა და ეცდება, დაგავიწყების საკუთარი განმრახვეც, საკუთარი მოთხოვნილებაც, გამოხატოს ის, რაც შეგიძლია გამოხატო და უფრო მეტი არგუნო ადამიანებს, ვიდრე წვრილმანი მათი ყოველდღიური ფსუსის დროს დახარჯული ენერგია. ანუ დიდი მდინარის ენერჯის გამოყენებაზე რომ უარი სთქვა და დიდი მდინარის ენერჯიას ხარჯავე იმ მიზნებისთვის, რასაც წვიმის წყალიც კი უფროს, თუნდაც წელიწადში ერთხელ რომ მოვიდეს. ასეა თუ ისეა, ეთქვით პირდაპირ: საშუალო სკოლის პედაგოგებს უნდოდათ ეს ეთქვით და მითხრეს, ჩემს უმცროს კეთილ ადამიანებს უნდოდათ და განაცხადეს საჯაროდ და ერთხმად სხვადასხვა ასაკის ხალხმა, უნდოდათ ეთქვით და მითხრეს ჩემს შემდეგ დამთავრებულებმა სკოლის და ინსტიტუტის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა უკვე გაჭაღარავეულებმა, უთქვამთ ჩემს ნათესავ მამაკაცებსაც, სხვათა შორის, მათაც აღნიშნეს, გვიან ვამბობთ ამასო, მისთვის სულ გვინდოდა გვეთქვა, ისიც ნაკლებს ფიქრობდა თავის თავზე, მიგოს, მამამუნს აღარაფერი ეშველება, აღარც ის არის ცოცხალი და ახლა შენ გუბუნებით, განა მარტო მე, სხვებიც, ჯერ კიდევ დროა, ძნელია ხასიათის გამოცვლა, მაგრამ იქნებ შესძლო და მეტი იფიქრო შენზე, ცოცხა მაინც მეტი, თორემ ასე არ შეიძლება. და ასე ამრიგად, ვერც წარსულს დაიბრუნებ და ვერც მას, რაც წარსულს გაჟვეა. ისე კი, მაინც კარგია თუ გაიხსენებ, როგორ მოაწყვეს ამ სიგვეების სათქმელად შეხვედრა ჩემმა სკოლელებმა, ჩემს შემდეგ რომ დაამთავრეს და წვიმამ რომ შემეშალა ხელი, დავსწრებოდი დედაჩემთან ერთად და

წვიმამი მოყოლილი როგორ გავივიე კიდევ

2003 . 22 ივლისი, სოფ. თბილისი

... და აეროპორტში  
სინყნარე იღბა

იყო მწერალი და მწერალი რაკი იყო, იქვე იღბა ბავშვიც, და იღბა სიცხე, გამთანგეული სიცხე. ყველაფრის გამაყრებელი სიცხე, თაბრუდამხვევი სიცხე, მაგრამ ამ სიცხეს მაინც იწვევდა მზე, მზე – სიციხლისთვის აუცილებელი ენერჯის წყარო, მზე – აუცილებელი, სამშეოზე გამოსატანი აუცილებლობით. მზე დამგუბებელი და ამხსნელი ყველა საიდუმლოსი, სადაც მზის სხივი მისულა. მზე – ჩვენი სიერცის აუცილებელი თვალის ჩინიც, ჩვენი გვინიც, გულიც, ძარღვებიც და სისხლიც. ჩვენ მაჯისცემას რომ ეგყობა, მზე არეკლილი ოკეანეშიც, პატარა გუბეშიც და იმ აეროპორტშიც, სადაც სიწყნარე იღბა. ამქროლებული მღვის ნაპირზე და გატრილებულ ხეობაშიც, მულამ გამხიარულებულ ბუნქნარიან ნაპირზე და სითბოჩამღგარ ლოდებზედაც მზის სხივების თვალისმოჭრელი ელვარება.

ახლა, რა თქმა უნდა, უკვე შედმეტია სიგვეები, იყო მწერალი და მწერალი რაკი იყო, იქვე იღბა ბავშვიც, ბავშვის ხსენებას მოჟვეება პირდაპირ მზე, თუნდა ბუნებრივი იყოს, თუნდა არაბუნებრივი, თუნდა მოჩვენება, თუნდა სიგიჟე ან გენიოსის გამობრწყინება, თუნდა აღმოჩენა, თუნდა დახვევა – სიხვე, გულის ნორჩი ფეთქვისა, თუნდა ფართხალი უსუსური ფრინველისა, თუნდა სიხარული, თუნდა მწუხარება, მშისთვის, მზის სხივისთვის ყველაფერი ნაცნობია და ამ სიცხეში, ამ სიწყნარესა და ღუმელში ისმოდა და ისმის იმ პატარის მთელი ქვეყანა.

სადაც ქვემოთ აეროპორტის შენობა თვლემდა. რადიოხელსაწყობები ჩუმაღ გრიალებდნენ ან კიდევ უძრავნი იყვნენ. მგელისძველი ამბავია და ახალი ამბავიც, მამინდელიც, სანამ რადიოხელსაწყობები განდებოდა და სანამ დამინაურდებოდა. იყო და

იყო რადიოანბნა, იდგა სიყვე და აეროპორტის შენობაც თელეშტა. თითქმის ერთდროულად გაჩენილი რადიოანბნაც და აეროპორტიც, თვითმფრინავებიც და მგზავრები, ასაკით თანატოლებიც და შშის სხვის ალმოხენაც ბიჭს უყვარდა აქაურობა. აქაურობა ნისლიან ამინდშიაც მოსწონდა, წვიმამიც. ელქვის დროს ხომ სულ ყველაფერი კარგი იყო. თვითმფრინავიდან ჩამოსული დასველებული მგზავრები, გრაპის კიბეზევე საიმელო ლაინერი – საიმელო აეროპორტი – მეტი რაღაა საჭირო შშის ხასიათის გამოსაყნობად. იქვე ნათელი დარბაზი, საიმელოდ გვირთის გადატანა და საიმელო ლოდინი, სანამ გადაიღებს წვიმა, იქვე გრილი ოთახები, საიმელო ოთახები დელებისა და ბავშვებისათვის. და იქიდან ექვრა, როგორ დაემშვება ახლა სხვა ლაინერი, სხვა ფორმისა, სხვა ფერის ბოლებით და სხვა სიდიდისა თუ მოცულობისა. ზაფხულში დღეც დიდია, ზამთარში პატარა და ბიჭმა დააბუსტა, ლაინერები შუაღამისას სწყვეტენ ფრენას მთელ დედაშიწაზე და დილაადრიან იწყებენ. დილითვე რწყავენ სარბენ, ასაფრენ ბილიკებს სპეციალური მანქანებით; ასუფთავებენ სპეცგანსაცმელში გამოწყობილნი. ახლოს დიდი შენობაა, თხელ, მსუბუქედლებიანი, სადაც თითქმის ყველაფერი ისევ ძველებურადაა. ამ თხელ კედლებიან შენობას ანგარი ეწოდება. დროდადრო ლაინერი შეიძლება შეაგროვოთ შესაკეთებლად, ძალიან კარგია ანგარი. პო, ანგარი. მთელი ამბავიც ეგ არის – აეროპორტისთვისაც, მგზავრებისთვისაც. ანგარი სთავიდანვე მაგარი და მაგარი რომ გამოდგა შშის სხივებით აუცილებელი, უკლებელი და მარადიული, კოხტაც და მორგებულიც. მთელი ამბავიც შემდგეშია, იქით, ანგარის იქით, ძველი აეროპორტია. ძველი აეროპორტის იქით კი გზაა, ძველი აეროპორტიდან ქალაქისკენ მიმავალი. ამ გზებსა და მიმობნულ შენობებს შორის ბალახი და ბალახი. პო, ძველი აეროპორტი. იმ ძველი აეროპორტის ხუროთმოძღვრის სახელი და

გვარი უკვდავია. აეროპორტის გარეშე ვიღამ სთქვა დღევანდელი ქალაქი, პო, იქით ანგარია. იმ ანგარის პირველი ინჟინრის და ხუროთმოძღვრების სახელებიც უკვდავია. ვინ – ვინდა და უპირველესნი იყვნენ ხელთათმანებითაც, ფეხსაცმელებითაც. ზამთრის თუ ზაფხულის განსაცმელითაც და ქედებითაც, პირველ მგზავრებთან ერთად. უფრო მეტიც, მათი განსაცმელი – მექანიკოსის განსაცმელი გაულენას ახდენდა მთელ მთოცე საუკუნეში, დაწყებული სახელმწიფოს ხელმძღვანელთა განსაცმლის დეგალებიდან, დამთავრებული თვით სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მძღოლების განსაცმლის მიხედვით – მძღოლებისა, რომლებსაც შეეცვალათ მუშებისა და მილორდების ეგლების კოფიებზე ჩამომხსდარი მუღამ სერიოზული კარგი მცოდნენი ცხენების აღვირებისა, ავმარებისა თუ სადავეებისა. მთოცე საუკუნე, როცა უკვე თამამად შეიძლებოდა შეგეშნიათ და არ გაგვირეებოდათ, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელად უკვე ძრავებმა მოიყვანეს ფრანსუა სათავეში, ხოლო სენგეკეშიუპერი მფრინავის სატეს მუსევეს, მათი იმ ძველი ყმის ფრანსუას ბრძანებათა შესრულებისათვის ზღვის გალღებს შერეოდა რკინის მანქანასთან ერთად ერთხელ და სამუდამოდ – აქით, მეორე სულ უფრო დიდებული შენობაა, თანამედროვე კომფორტით, ცალკე უკვე ყველასთვის ყველაფერი: თვალსაჩინო ადამიანებისათვის, ცალკე თვითმფრინავის დასაჯლომაც, ცალკე სასაუბრე, ცალკე შაბაიც, ცალკე საბილიარდოც, თუმცა თვალსაჩინო ადამიანებისთვის თავისუფალი დრო დეფიციტია, მაგრამ საბილიარდო მაინც გამოყოფილია. საბილიარდოშიაც შეიძლება დანკენება, სჯაბაასი სხვადასხვა თემამე და, რა თქმა უნდა, ბილიარდის ბურთის ჩაგდებაც სამიწეში. გააჩნია, თამამის დროს ვინ რას ფიქრობს, რას უმიწნებს და ვის როგორ გაუმართლებს. ფარული განზრახვა, წინასწარ გამოიყნოს მეორეს, თვალსაჩინოს განზრახვა და დამოკიდებულება არამარტო ბილიარდთან, არამედ

საერთოდ ცხოვრებასთან. რადგან ბავშვმაც უკვე იცის, რომ ცხოვრება ხშირად სულაც არ არის თამაში ან გაართობა, სულ სხვა რამეა ცხოვრება, სულ სხვა რამეა ანგარიც, სხვა რამეა, ძველი და ახალი შენობაც. ამინდიც სხვა რამეა და მშის სხივების ენერჯიაც.

და მაინც უნდა თქვას ის, რის თქმასაც სულ გაუბოლოდა ხოლმე. გაუბოლოდა და გაუბოლოდა... და ამ დროს კვლავ ახსენებოდა თვითმფრინავები და თვითმფრინავები საღამოს ხანს. ფერადი, ფერადი წერტილები, რომლებიც აბლოცდებოდნენ და სხდებოდნენ ბილიკებზე და კობტად, მშვიდად შემოდისდნენ მოედანზე და კობტადვე ჩერდებოდნენ, გაშლიდნენ ბოლოში დამამუხრუჭებელ ქსოვილებს დაჭიმულს სიმებად, მიმზიდველი თოკებით – ხილულს მშის სხივებით და პატარა ბიჭს საკუთარი გულის ბაგა-ბუვიც კი არ ესმოდა, ისე იყო მიჯაჭვული მისი მშერა თვითმფრინავისაკენ და პირდაპირ ყურებში უწიოდა მშვიდობიანად დაბრუნებული ძრავების ხმაური, როგორ ნელ-ნელა იკარგებოდა ამ ჩვენი დედამიწის ყოველდღიურ და მარადიულ მაჯისსემაში. ყოველთვის მოსწონდა (და, თანაგონებმა მოიწვევებდა ჩათვალონ, ან ყურადღებას სულაც ნუ მიაქცევენ), რომ გამოდიდა ბევრი სინათლე. ბევრზე ბევრი სინათლე! დიხ, ილუმინატორი!.. პო, ეს ილუმინატორი იყო, სინათლის წყარო – სიხარულის წყარო, შორიდანვე მცდელი ჩაპკონებოდა, შერწყმოდა მიმზიდველ აეროპორტს, ჩამოდიოდნენ მგზავრები ღიმილით, კობტა განსაცმლით, დასვენებული სახეებით, სულ ერთი საათით ან ერთი დღის მგზავრებს ისეთი გამომეტყველება პქონდათ – ძველი მეგობრები იყვნენ თვით ბავშვის თვალში. გააყოლებდა მშერას ბავშვი იმ მგზავრებს და უკვირდა, როგორ ცივად ხელის ჩამოურთმეველად სცილდებოდნენ ერთმანეთს. ერთად იმგზავრეს? იმგზავრეს. გამოემშვიდობნენ? გამოემშვიდობნენ, მაგრამ მაინც ხელის ჩამოურთმეველად სცილდებოდნენ ან ამოიოსრებდნენ – „ეჰ!“ ან კიდევ, აქეთ-იქით იც-

ქირებოდნენ. ერთად დაინახეს ოქეანუს ვულკანებიც, თოვლიანი მთაგრეხილებიც, სახლებიც გაართობეს შემოდან, კულტურის ძეგლებიც და ორასათასიანი „მარაკანას“ სტადიონიც, შეიძლება სპილოების ჯოჯობიც დაითვალეს აფრიკაში. ცოტა რო შერყა თვითმფრინავი, შეიძლება კარგი შორბა ვინმე სპორტსმენი შეშინებული შეაჩერდა სტიუარდესას, რომელსაც მაინც არ დაეღვარა ღიმილითი, ელექციანი დრულებიც გაიარეს, შეიძლება სულ მანმარებდა და მანმარებდა თრთვილ შემოკრული ფრთები და სიკვდილის და სიცოცხლის საზღვრები უამრავჯერ გადააქეტეს ერთად, მაგრამ მიწაზე ფეხდადგმულები ჩვეულებრივ, არც კი გამოემშვიდობებიან ერთმანეთს. შოგი ყვავილების სკვერში ისვენებდა. ყვავილებიც ჰგავდნენ ლანჩებს, იქაც ფუსფუსი და მოძრაობა ამგყდარიყო, პავრშივე გრიალებდნენ ფუტკრებიც, პავრშივე გრიალებდნენ სხვა მწერებიც. ფუტკრები, როგორც სხევიანთი, ველურ ყვავილებს დასტრიალებდნენ, როგორც პირველი მფრინავი გამომცდელები – უცნობ საპაეო სივრცეს. და უცნობ მიწას და მიქქონდათ ნექტარი ადამიანებისათვის. კარგ ყვავილებს, მებადის მოვლილ ყვავილებს დასტრიალებდა უამრავი მწერი, უამრავი პარამიტი, ებილემის გამავრელებელი მწერი, კოლო თუ ბუმი. და მაინც ამ პატარა ბიჭს უყვარდა აეროპორტი, თავის ყვავილებით, ველური ყვავილებითაც და ბაღნარის ყვავილებითაც. უყვარდა სიციხეშიაც, უყვარდა წვიმაშიაც, ყინვის დროსაც, შუადღესაც, დღითაც და საღამოთიც.

– კიდევ რა სთქვას? – მუხებდა დედას.

– დაფიქრი. იქნებ რაიმე გამოგჩა?! – შეკითხვითვე უპასუხა დედამ.

შეილი სულ მუდამ ფიქრობდა იმ პირველი მფრინავების საფლავზე, რომლებიც ძველი ანგარის ახლოს განისვენებდნენ მამინ მიღებული საფლავის გიპური ფორმით. მკაცრი მოზაიკა, მკაცრი ხაზები, მკაცრი რკინა – პროპელერი. მამინ აეროპლანი ეწოდებოდა, ხოლო აეროპორტს აეროდრომი, უყურებდა

ბიჭი ამ რამდენიმე მკაცრ საფლავს, მკაცრი ხაზებით, მკაცრი ფორმით, გამძლეობითა და მართლაც გამძლე ადამიანებს, უკერებდა და ვერ გამოეხატა. ვერ გამოეხატა ის, რასაც გრძობდა პირველი გამკვალავების მიმართ, მკაცრად დაღუპულებისა მკაცრ ორთაბრძოლაში კი არა, „მკაცრ“ მრავალბრძოლაში – ეგონა ამ სიკვლეობით, მან გამოეხატა მკაცრი მრავალთან ბრძოლაში და ამუსგებდა მრავალთან მკაცრ ბრძოლაში არადა, არ გამოდიოდა ის, რამე ფიქრობდა იმ პირველ გმირთა მიმართ და მიანხდა, ისინი იყვნენ სწორედ უანგარონი, მომავლის წყნარი, მშვიდი აეროპორტების დამაარსებელი ისინი, ვისი ნემსიც იპოვეს და, მიწას მიაბარეს, ისინიც, ვისი ნემსიც ვერ იპოვეს და მხოლოდ ცნობებზე დადრჩნენ: „გაფრინდა და არ დაბრუნებულა“.

და დაე იყოს მწერალი, და დაე იქვე იღვას ბავშვიც, რაკი არის მწერალი. ამას ალბათ ყველა ფიქრობს, თუკი ერთხელ მაინც დაინახეს ბავშვი, რომელიც შეიძლება მომავალში გადაიქცეს იმ პირველად, როგორც ის პირველები, დღეს წყნარი აეროპორტის ავტორებზე, რომ შეიძლება ჩაითვალოს და დამაარსებელი იქვე განისვენებდნენ და ამითავე ბუნდოვანი არიან თავის პირმშოს ქმნილებებთან და ძველებზე გადაქცეულ ჩამომავლებთან.

#### მინაწერი:

და რა კარგი იქნება – ლაინერის მგზავრებით ავსებდნენ სივრცეს კარგზე კარგი მოთხრობები, ფერად-ფერადი, კარგზე კარგი სტრუქტურები, კარგზე კარგი ელვადობის სასწაულებრივი სიკვებები, მშის ენერჯიასავით ცხოველყოფილი, ამაღორძინებელი, გამღვიძებელი და მშვიდი. მკაცრი ფორმის მკაცრხაზებიანი, მოღაღანე, მოღუღუღე, მოღუღუნე, პროფესიის მაუწყებელი პროპელერებით და ყველაფერი ესწრებოდა თავის სიმტკიცეს და სიწყნარეს ერთი თაობის სიცოცხლეში. ერთი თაობის დაწყებული კვალად და კვალის შედეგად, როგორც ღვას პირველი ავიატორთა ძველებიც და

მშვიდი გიპური შენობაც აეროპორტისა ერთად, წვიმასა და თუნდაც გამთბარებულ სიხვეში, მგზავრებით უხვად დაგვირთული, უხვადვე დაგვირთული ადამიანის გენის ნაყოფით – კარგი სიკვებებით, კარგი მოთხრობით, კარგზე, კარგი წიგნით – ადამიანის უკვდავებით და დიდებით. და როგორც რკინის ფრინველი შეყამივე აწვდის მეორე რკინის ფრინველს საწვავს, თვით რკინაც კი რკინას, ადამიანიც მარავანდელს ადგამდეს თავის ძმასა და მეგობარს – თავის სისხლსა და ხორცს – მეორე ადამიანს... ეპ! პაგარა იყო ბავშვი და რას იშამ, მოგჯერ თავის თავსაც არ უმტყდებოდა თამამ ფიქრებს, სითამამესაც სჭირდებოდა აწონ-დაწონვა მისი შეხედულებით: არ იყოდა, ხშირად დრომოჭმულია ამის გაფიქრებაც კი.

#### კიდევ მინაწერი:

შეიძლება სხვადასხვა ბედის მოფიქრება პირველი ავტორებისა, შეიძლება დაემატოს პირველი მგზავრების სხვადასხვა ბედიც, მოფიქრებაც მოაზრებული თვით ავტორის მიერ, როგორც ყოველთვის და არა ის, რაც ხშირად სიყალბის სახით არის ცნობილი. ან კიდევ ცნობილია ოფიციალურად, ოფიციალურიც არ არის ყოველთვის მშრალი და ამავე დროს თვით ამ ოფიციალური მონაცემების უკან ღვას ხშირად ის პიროვნება, რომელიც ვაკეკაცი იყო, მაგრამ მისი ეს ვაკეკაცობა შეფასებულია ოფიციალურ დონეზე და რაკი ასეა, არ სჩანს ძალიან ხშირად ის ცოცხალი ადამიანი, რომელიც გულში იკლავს სიციხის წყურვილსაც, ბუნებრივ სისუსტეს – შიმსაც თრგუნავს სიკვდილის წინაშე, თუმცა არც ერთი ადამიანური სისუსტე მისთვის არ არის უცნობი და ეს ყველანაირი სისუსტე ისე ჰყავს მოკლებული, არც ერთ უჯრედს აღარც ახსოვს. აი ასეთი რამ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის ნათქვამი.

ალბათ, შორს არც ის დროა, როცა ამ აუვავებულ აეროპორტიდანაც გაფრინდებიან დამამ-ღამამი, ამკარად ხილულხაზებიანი,

მოლებიანი, დინჯი, დაფიქრებული თვითმფრინავები, და მეციადან უხვად გადმოჰყვრიან თავისასავე მსგავს ფერად-ფერად ნაყარს, გამაბრუებელს ფუტკრის ნაყარივით, მსუყე და გრილი გამაგრილებელი, წყურვილის მომკვლელი წიგნებით, სიმღერით, ყიფინით და სისარულით, ფეიერვერკით, მიწის გუგუნით, თუ მეციური გამოძახილით, ფიქრობდა პაგარა და ღელას შეჰყურებდა.

კიდევ რა გამოჩნა. ბევრი რამ. ყველაფერს ვერ ეგყოფა ღელა. ვერ ეგყოფა ყველაფერს მამა. ვერ ეგყოფა ყველაფერს ერთად ვერც ერთი სულიერი, რადგან სიწყნარე იღვკა აეროპორტში, მგზავრებით, ცოცხალი ადამიანებით მუდმივად ცვალებად აეროპორტში, სადაც ყველას და ყველაფერს ფეხი აედგა და პაერზე უფრო სწრაფად იცვლებოდა ყველაფერი თითოეულ შშის სხივიან ერთად ნათელი და გამჟვინრვალე ფერებით საფე, ხელისგულივით სუფთა აეროდრომთან ერთად, თავის მოსაცდელი დარბაზებით, ფართო და დიდი მინის კედლებით, თავის ანგარებით და ასაფრენი ბილიკებით, მარად ცოცხალი ადამიანებით და მარად მოძრავი ნივთებით, ხელბარგის გადასატანი ურიკებით და დასვენებული, მომღიმარე, მინდაბრუნებული მოლიდინე გოლიათებით – თვითმფრინავებით. და თითოეული მგზავრის მიერ ჩამოგანილი ბედით, იღბლით და გამომწული ნაბიჯით. ყველა დროის დონ კიხოტებით თუ სერვანტესებით, კოლუმბებითა თუ მაგელანებით საე : ქვეყანაში, მკვლავების თუ რკინის მკვებელების ღელამიწაზე, ხნულის გამგანისა თუ შემოდგომა-გაზაფხულის მონაეელებით ღელამიწაზე. მშვიდსა და წყნარ აეროპორტში, სადაც კრამაულს და ყიფინას გაუღვამს თამამი ფესვები და სადაც იდგა მწერალი და იქვე იდგა ბავშვიც.

– პა, რას იგვეი, ნიკოფორე!

– ვერაფერს! – უნებურადვე უპასუხა ნიკოფორემ – გრიალი მინდორიც მახსოვს, საძირ-

კვლები როცა ჩაყარეს. აი, იმ ძველ ბარაკებს, ანგარებს, ასაფრენი ბილიკების კეთილმოწყობას – გუნებში კი გაიფიქრა: სხვადასხვანაირად დაიფემა, სხვადასხვანაირად აშენდა, მაგრამ მაინც არ გამოვიდა ის, რაც ჩაიფიქრა, ბოლომდე ალბათ ფიქრიც ვერ მოასწრო, ფიქრის დასრულებაზე ვერ მოასწრო, ან ვინ მოასწრო, ვინ ეღრსა იმ ბელს, ვინ ეღრსა ბედნიერებას. ანგარის წინ მუშები ჩამომსხდარიყვნენ და სიფრივე გამოდიოდა.

ნიკოფორე ანგარისწინ ჩამომსხდრებს გამოემშვიდობა და მინისკენ გაემურა. მიდიოდა ძველი შიაბტელილებით დაგვირთული თავისი წყნარი, მშვიდი აეროპორტიდან მინისკენ. და მიჰქონდა თამამი ფიქრები ცხოვრების თამამით გართულს და მუდმივი დაკვირვების მიუხედავად, წყნარი და მშვიდი აეროპორტის სამუდამოდ უცნობი რიგში.

– გამაგინე რა სიტყა შენმა მკვობარმა! – მტყნაკოსმა ხელთათმანი შეისწორა, რაღაცა კოსტად-

რა კი იყო მწერალი, იქვე იდგა ბავშვიცო, უყვარს მოგჯერ ასეთი რამეების თქმა, ისე თავისთავს, როგორც ახლა ჩაილაპარაკა. იგვეის და მიდის მინისკენ. აქვე ახლოს ცხოვრობს. რას იშამ, აეროპორტია, ბევრს იმიდაეს და იმიდაეს წუთისოფელში ცოცხალი აეროპორტი, ბევრს უცნაურს შეხვლები, მოგჯერებება, ვითომ უცნაური. ისე კი ჩვეულებრივი ადამიანია, თუ დააკვირდები. იდგა მშინი ამინდი და ირგვლივ ყველაფერი ღელდა და ღელდა.

ნიკოფორე ახლა უკვე სულ სხვა რამეზე აგრძელებდა ფიქრს.

ნეგა რა უფრო ენატრებოდა კოლუმბს გადასახლებებაში, ეხილა თავისი ძველი გერეა თუ ესპანეთი, ესმოდა თუ არ ესმოდა გამლილ უკიდევანო ოკეანის ხმაურში მშობლიური ნავსადგურის ნაპირზე ტალღების ხმაური და გაივილიდა თუ არ გაივილიდა ისევე იმავე გზას, ოკეანის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირისკენ. მრისხანეც და კეთილიც ერთდროულად, შეუპოვარიც და დამთმობიც ერთსა და იმავე დროს.

2003 წლის აგვისტო, სოფ. იყალითო

## XIX-XX საუკუნეების შპრაინელი პოეტები

### მთარგმნელისაგან

მთარგმნელობითი საქმიანობა, ისევე, როგორც საერთოდ სამწერლო, ესთეტიკურ კატეგორიას განეკუთვნება. მისი ერთადერთი და პირდაპირი დანიშნულებაა, გაცნოს მკითხველს ის ნაწარმოები, რომლის ენაც მისთვის მიუწვდომელია. თარგმანის ამ მისიას შეამავლობასაც ემახიან. მკითხველს უფლება აქვს მოთხოვოს შეამავალს არა მარტო დედნის შინაარსთან, არამედ მის სახეობრივ საწყააროსთან გაცნობაც. მთარგმნელი მოვალეა აქციოს უცხოენოვანი ტექსტი მშობლიურა ლიტერატურის ფაქტად, თანამემამულეთა ესთეტიკური ტკბობის წყაროდ.


ბავშვობაში ხშირად შემინიშნავს თუ როგორ ნამრავდენენ ზურთები ზის სახლის დაშლისას ფიცრებს, რათა ისინი ზელახლა აწყობისას არ შეშლოდათ. ზოგი ოსტატი სხვა ადგილას, სულ სხვა ფონზე პირველყოფილი ხიბლით ადადგენდა ზოლმე დაშლილ სახლს, რომელსაც შენარჩუნებული მქონდა პრაპორციებიც, ჩუქურთმებიც, საერთო სილამაზიც, გადაადგილება მისთვის ისეთივე ყოფილა, რაც ტილოსთვის ჩარჩოს გამოცვლა.

სხვანაირ სურათსაც შეგსწრებივარ: სხვაგან გადატანილი სახლისთვის ზედმეტი ფანჭრები გამოუჭრიათ, დარაბები დაუკიდათ, ხოლო ჭერ კიდევ დაშლისას დაზიანებული ჩუქურთმები უბრალო ლარტყებით შეუცვლიათ. საბოლოოდ გამოხსულა უსახური შენობა, რომელიც ედემის ბაღში რომ ჩაგდებოთ, უწინდელ მიზიდველობას ვერ დაიბრუნებდა.

ეს, ალბათ, არც თუ ზუსტი ანალოგია, გარკვეულწილად გამოხატავს „მთარგმნელობითი მედლის“ ორივე მხარეს - კეთილსინდისიერსაც და ზერერესაც, იქაც და აქაც საქმე გვაქვს დაშლასთან და აწყობასთან, იქაც და აქაც თანმიმდევრობა და სიზუსტეა საქირო, რათა ორიგინალი არ დავამახინჯოთ. თანაც ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ავტორი საკუთარი ნაწარმოების შექმნისას აბსოლუტურად თავისუფალია თემის, სიუჟეტის, ფორმის, გამოსახველობითი საშუალებების არჩევანში მთარგმნელს არჩევანი არსებითად არ გააჩნია. ის, რაც ავტორისთვის თავისუფლებას ნიშნავს, მთარგმნელისთვის ხშირად უმძიმეს ტვირთად იქცევა. მისი ოსტატობა სწორედ ამ ტვირთის ღირსეულად, უზორთიკოდ ტარებაში გამოხატება.

თარგმნა გულუხვობას, სხვისი განძისთვის ელვარების შესანარჩუნებლად საკუთარი განძის ხელგაშლილად ხარჭვასაც გულისხმობს. მოშვირნობა, სიძუნწე, საკუთარი სიმდიდრის სხვისთვის გაყოფისგან თვის შეკავება შემოქმედებით მარცხში გადაიზარდება ზოლმე.

წესისმიერი კეთილსინდისიერი თარგმანი მუდამ დედნისადმი ერთგულებით იწყება. წინასწარ არავინ გეგმავს მის გადასხვაფერებას, მხოლოდ უთანასწორო ორთაბრძოლის, მხოლოდ დიდი ზნის ყოფანისა და წვალების შემდეგ იწყება ერთგვარი კომპრომისი, უკანდახევა, ჩიხიდან თავდასაღწევი ზგზების ანუ საკომპენსაციო საშუალებების ძიება ე. წ. შემოქმედებითი თანავტორობის ცდა, რაც უფრო რთული და მაღალპოეტურია დედანი, მით უფრო დიდი გულისტკივილი, რომელიც მთარგმნელს ეუფლება მსგავსი იძულებითი ოპერაციის ჩატარებისას. ეს გულისტკივილი ოკუცდება, თუკი მთარგმნელი უშუალოდ პირველწყააროს ეწაფება და სრულად გრძობს მის ყველა ღირსებას. თარგმანი მისთვის ნაშვილები ბავშვივითაა. სულ იმას ფიჭრობს და ეშინია, ვაითუ პატარას ჩემს ზერტვეშ სითბო დააკლდეს ან რაიმე არ მოეწონოს. ამიტომაც მას განსაკუთრებული სისათუთით ეპყრობა.



საკუთარი გამოცდილებით ვიცი: დედანი, ხანამ იგი მეორე სიცოცხლეს დაიწყო და, მთარგმნელის შერეულ უმცირეს ნაწილაკებად იშლება და ერთგვარ კლინიკურ სიყვდილს განიცდის. სიყვარულისა და ზოგჯერ მისი ბიზის გარეშე შეუძლებელია ველოდეთ მკვდრებით აღდგომის სასწაულს, შატკრული აღმოჩენის სასწაულს, რომელმაც იქცევა ღირსეული ქმნილების ღირსეული თარგმანი.

ყოველივე ამის გახსენება იმისთვის დაშვებია, რომ შეთქვა: ჩემთვის ცნობილი იყო თუ რა უმძიმეს და უბოროტეს საქმეს გვიდებდა ხელს, როცა უკრაინელ პოეტთა თარგმანს ვადავსუვიტე. და თუ მაინც გავრისკე, მხოლოდ იმიტომ, რომ გულით მეწადა ჰქარაველი მეთხველისთვის შიახლოებით მაინც მეგრანობინებინა აქ წარმოდგენილ უკრაინელ პოეტთა შემოქმედების განუმეორებელი ხიბლი. ზოგი მათგანი ჩემამდეც უთარგმნაო უფროს თანამოკალმეებს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყოველი ახალი თარგმანი ორიგინალის რაღაც ახალ და აქამდე უცნობ წახანგებზეა წარმოაჩენს ხოლმე. მით უმეტეს, თუკი წინა თარგმანები შეტწილად პროზაული პუბლიკაციებიდან იყო შესრულებული. პუბლიკები კი, სამწუხაროდ, ბრემისთვის გამზადებულ ტექსტსა ბგავს, რომელიც ბრაილის სტილით უნდა წაიკითხო. განსხვავება ისაა, რომ ბრემები ტექსტს გრძობენ, მაგრამ ვერ ხედავენ, აქ კი პირიქითაა  ხედავენ, მაგრამ ვერ გრძობენ. პუბლიკებიდან მთარგმნელი მოვავსებებს კომპანალისკი შატკვარს, რომელმაც ორიგინალი მოწმის ჩვენების მიხედვით უნდა ადადგინოს. განა სამტკიცებელია ის, რომ შატკვა ნატურადან სჯობს?

— ვიმდგომებ, რომ „ჩემი“ ტარას შეგვჩუკო, ივან ფრანკო, ლეხია უკრაინკა, პავლო ტინინა, მაწიშო რილსკო, ვლადიმირ სოსიურა, მიკოლა ბაუანი თუ ანდრეი მალიშკო ამ თვალსაზრისითაც დაინტერესებს მეთხველს. გარდა ამისა, აქ იგი გაცივობა ბევრ მისთვის დღემდე უცნობ ავტორსაც, რამდენადაც მე ვიცი, ჩვენში არ თარგმნილა ისეთი გამოჩენილი უკრაინელი პოეტები, როგორცაა მიკოლა ვორონი, ალექსანდრე ოლენი, ივანე მალანოუკი, ივანე პლუნინკო, ოლენა ტელივა, ოლენა ოლენი, ბოგდან-ივოზ ანტონიჩი, ვასილ სტუსი, ანტონიჩის გამოკლებით ყველა მათგანი რეპრესირებული იყო და ბოლო ათწლეულამდე მათ უკრაინაშიც კი იშვიათად ბეჭდავდნენ (ან არ ბეჭდავდნენ სულაც). ზოგი შინსაკომის ჭურჭლებში დახვრიტეს (ვორონი, პლუნინკო), ზოგს პოლიტიკური ემიგრანტის მამზე ხვედრი ერგო წილად (ოლენა, მალანოუკი), ზოგიც ფაშისტური ქალათების მსხვერპლი გახდა (ტელივა, ოლენი). თანამედროვე პოეტი ვასილ სტუსი პირდაპირიზისა და შეუბოვრობისთვის ქვარს აცვა საბჭოთა სუკმა. სულიერად გაუტყველი პოეტი ფიზიკურად ვერ გაუშკლავდა ხანგრძლივ გადასახლებებს და 1985 წელს მორდოდეეთის საკონცენტრაციო ბანაკში აღესრულა.

... არ ვიცი, ესადაგება თუ არა შატკრული თარგმანის დანიშნულებაზე ჩემი ზემოთგამოთქმული „ეთერ-იული“ მოსაზრებანი მათ პრაქტიკულ ხორცშესხმას, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ცდა არ დამიკლია, რათა ორიგინალისთვის მაწიშოლურად შეემწარჩუნებინა მათი ჭკერადობა, ფორმალური, შინაარსობრივი და სახეობრივი მრავალფეროვნება, რამდენადაც ამის საშუალებას მამდევდა უწინარესად საკუთარი პოეტური შესაძლებლობანი, შემდეგ კი ქართული ენისა და თვით პროსოდის ბუნება. მათ ხომ უკრაინულთან შეხების წერტილი საერთოდ არ გააჩნიათ!..

პოეზია მსოფლიოს სივრცეებში ადამიანის თვითდამკვიდრების ერთ-ერთი მიზიდველი გზაა, მაგრამ რაკი ეს სივრცეები დასახლებულია მრავალრიცხოვანი რასებით, მთარგმნელია მისი ჩინჩრონი ენათა დახლართულ ლაბირინთებში. იგი თითქოს ის კეთილი სულია, რომელიც ბაბილონის კოშკის ნგრევისას გადაარჩა და მოწოდებულია აღადგინოს კაცობრიობის დაჩაღვეული ერთიანობა, სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ შენი მოკრძალებული შრომით ამ უცეთილშობილეს მიზანს ემსახურები.

## ტარას შვიჩენკო



ნუ მიატოვებ დედასო, - გითხრეს,  
 შენ მიატოვე, მაინც წახველი.  
 გეძება დედაშ, - შენი მნახველი  
 ვერაფერს ჰპოვა. გეძება დიდხანს  
 და ცრემლს გადაჭყვავა. იქ, სადაც წინათ  
 გითამაშავა, კაცი არა ჩანს,  
 ძაღლიც გაიქცა, არ იდარავა,  
 ქოხის სარკმელში ჩაიშხურა შინა.  
 ბაღშიგან დღისით მოვევ კრავები,  
 ბუკიორები კვიან ღამით.  
 მუზობლებს შვევა არა აქვთ წამით,  
 ვერ იძინებენ საცოდავები.  
 და გველის სუროც ველურ მელავებთ  
 მოაძთო გღვრტად. არ დადგა ქამი,  
 რომ ჩამობრუნდე ვეავილთა სწორი,  
 ჭალაში შრება კამკამა ტობორი,  
 სად ბანაობდი მკვირცხელი და მარდი.  
 ჭალასაც ნელა ერევა დარდი.  
 არც სირთა სტვენა მოიხმის შორით, -

ისინიც, ალბათ, შენთან არიან.  
 ხვეში რაკრაკით არ მოჩქეფს წყარო,  
 გადაფურდილა, გამხმარო სარო.  
 ბილიკზე, სადაც ოდესღაც რბოდი,  
 მხოლოდ ვაჯნარი და შამხნარია.  
 სად ხარ, სად გაქრი, ნიავის დარო?  
 გადახვეწილი გიხილონ როდის?  
 უცხო მიწის და ოჯახის მშვენი,  
 ვის ახარებს და რა გიხარია?  
 ვის ჩააბარე იღბალი შენი?  
 მიგრძნობს ეს გული, რომ ქარვასლათა  
 დაღსინებული ხარ ბინადარი.  
 არც გახსოვს ქოხი, შენ რომ გაგზარდა...

დმურთს ვუვედრები, სევდის ღადარი  
 არ გავიღვივოს ცეცხლის ენებად,  
 საქმე არ გიქნას დასავსებული,  
 არ სცადო უფლის განაწვეენება  
 და არ დახსწველო დედა მშობული.

## ივანე ვრანკო



შუადღე ცხელი.  
 უკაცური ტრიალი ველი.  
 მიუაჭვულია სმენა და მხერა  
 მიდამოს ვერანს!  
 კვლი კაცისა აქ გამქრალია...  
 ოდენ მოღალანე ბალახები,  
 მწვანედ და ფერადად ნალაღები,  
 სადაც ჭრიჭინით დასტის კალია.

მუხნერებლიც,  
 სად მდინარის რბიან ჩქერები,  
 სად ელაუს ღურჯად, ვით განთიადი,  
 მთები დიადი,  
 მიფრინავს ჩემი თვალთა ისარი,  
 დახარბებია სული ცის არილს,  
 სულის გამთბობი სწორედ ის არის, -  
 სივრცე ზვიადი.

თუმცა - აი, რა!  
 ვის აღმოსდა ქვითინი ნელი,  
 რომ დაკიდულა ჰაერში მწველი  
 ოხერის ნაირად?  
 იქნებ ეს ჩემი ბედია კრული?  
 ან აფრთხილდა მტკივანი გული?  
 ოჰ, არა! შორით საამური  
 ქარს მოაქვს მანვი საღამურის.

და იმ მანუკებზე  
 მვის გაკვეთა გულმა ტალკვესი.  
 იმ ზღაპრულ მხარეს ამოდინდა ქვითინი  
 მუნჯური, უხმო.  
 შენ მოაგონდი მას, ჩემო მთვარევ,  
 და ხალხურ ხმათა საამო ეღვრანს  
 თანდათან ჩემი შეერწევა მღერა,  
 ხათავემ უხმო.

## ლექსია უკრაინეა

## ქალის პორტრეტი

ზატოსანი შენ ხარ ქალი, შენი სხეული  
 და სილამაზე არასოდეს გაკვირდება,  
 უკულო კოცნის, ფუფუნების ტრფობად ქნეული,  
 არ მდგარხარ, სადაც უბედობის შავი კიდეა.

ზატეშოვარე შენ ხარ ქალი და არ ინებე  
 სხვათა ხაუჭდარს შეფარვოდი, როგორც ფრინველი,  
 ეწვეი ჭაჭანს საოცარი გულმოდგინებით  
 და წლებს მიმაუალს გასცქერ მშვიდი და უღრტვინველი.

სიკეთით საეყ შენ ხარ ქალი, არ გაგანნია  
 მსუსხავი სიტყვა მათთვის, ვინაც „ფსკერს“ შეეთვისა,  
 თუმც სიდუსჭირემ იარები შენც დაუანნია,  
 თუმცა ცთუნება არ უოფილა უცხო შენთვისაც.

მართლაც გუღლია შენ ხარ ქალი, შუბლი მალალი  
 ძირს დაგიხრია, როცა გიწვეს მათი სხენება,  
 ვინც გაივიდა და მონობის ტვირთმა დაღაღა,  
 ვინაც ტებელმწარედ ექცა გარჯა და დასვენება.

უკეთუ შენაც გაივიდე, თუმც სასდაურად  
 არც ოქრო-ვერცხლი ვითხოვია, არც ვოლუელი,  
 უბრალოდ, უცებ მოგეძალა ტრფობის ზღვაური,  
 სითბო მოგინდა და ვაკეცის კოცნა გრმნეული...

შენ აწვეუტილად მიგაფრუნდა გულისწადილი  
 კვალდაკვალ მისად, ვის აღმანის ჭონდა თვალები,  
 ვისი სიცილიც შენთვის იყო ოქრო ნამდვილი,  
 ქონორა თმები – მწიფე მტკვნებს მისათვალები.

სხეული – არა, შენ გავიდე სული ალალი,  
 ნიჭიც, გონებაც ტვექმნილია, ტვევა მშვენება,  
 შენ სამუდამო კატორლაში ხარ მიმავალი  
 და ტვივილამდე ტებელმწარეა მისი სხენება.

მიქოლა პოროფო

## MEMENTO MORI! \*

გულის მალამოე! ჰევაი, როგორც მაინის ვარდი  
და ვეულა გაშვლელს მიაცილებ კეკლუცი მსურით.  
ვინც ერთხელ ცნასავს - მომორდება ერთბაშად დარდი,  
გახდება შენი ქვეშეურდომი და ფესთა მტკერი.  
მაგრამ იცოდე: სიღამაზე ნისლის დარია,  
გავლენ წლები და ვე თვალები - ვარსკვლავთა სწორი,  
ჩაქრება, წელში მოიხრები, კაშს აუდარიანს  
სიტურჯის ღანდიც თან წაჰყვება...

MEMENTO MORI!

შენ ჯერ სამუარო გეყენება მომხიბლავ ზღაპრად:  
იგი გიზიდავს - იდუმალი და მშვენიერი...  
მაგრამ დრო მოვა, - გაგაქროლებს გაშლილი აფრა  
და შენს სახესაც წაერთმევა ზღაპრის იერი.  
იქცევა კვამლად ის, რაც ადრე გვეგონა ცხადი,  
ივრმნობ, ცხოვრებამ გიღალატა, გაწია თქორი,  
ასაკი შენი შეუწირავს ამაო ნადიმს,  
დგახარ დაისის კარიბჭესთან...

MEMENTO MORI!

## ალექსანდრე ოლქსი

დარდს სისარული გადაჰხვევია,  
სიცილო, ტირილს უფრო ჰგაყხარო.  
უცნაურ დილას დამე სწვევია  
და მე ისინი როგორ გაუჭეარო?!

გადაჰხვევია სისარულს დარდი,  
ზანტს ვომეება დაუდგრომელი...  
მიდის, გრძელდება შეჯიბრი მათი,  
და მე არ ვიცი - სჯაბნის რომელი...

## აკვლო ტიხონა

## მგლოვიარე დედა

1  
ის მინდორ-მინდორ ვლიდა,  
ის ვლიდა ეანა-ეანა.  
გულს უსურავდა დარდი,  
როგორც პირბახრი დანა.

დედაქემის სსოენას

მძინარ თავთაუებს წასცდათ:  
აქ დარჩი, დარჩი მარად!  
შენურდა დედა ღვთისა,  
ცრემლები გადმოლევარა.

სინემე იღვა ირგვლივ,  
გვამს გადაწედა ოდეს.  
მძინარ თავთაუებს წასცდათ:  
მარიამ, გიხაროდეს!

არც მუქი ჩანდა მთვარის,  
არც თუნდებოდა დილა.  
შემწრუნდა!.. კაცის გული  
რა უსასოო ქმნილა.

\* ლათ. - გახსოვდეს სიცილილი

ის ეანა-ეანა ვლიდა,  
შემოეუარნენ ოდეს  
მოწაფეები მისა -  
მარიამ, გიხაროდეს!

მარიამ, გიხაროდეს:  
კვალს იესოსკენ ვიგნებთ.  
ემაუსამდე მოკლე  
გზა მიგვასწავლო იქნებ!

აღაპერო მარიამმა  
მკვნარი ხელები მალდა:  
ნურც იუდეა გინდათ,  
ნურც გალიდეას ნახვა.  
თუ მეს დაემებთ ჩემსას,  
უკრაინაში წადით, -  
იქ უოყელ ქოსში ცოცხლობს  
მისი ჯვარცმული ღანდი.

3  
ის ეანა-ეანა ვლიდა,  
ჩანდა საფლავთა ჯვარი,  
მოშირალებდა ქარი;  
- ქრისტე არ არის მკვდარი!

- ქრისტე აღსდგაო, ვინ თქვა?  
შე არ ვვნდობი ქარებს.  
ვურც როსმე გაიხარებს  
სისხლით მორწუელი მხარე.

- მარიამ, ქრისტე აღსდგა!  
- ჩვენ - ვვაილებიც, ჯარად  
ამოვლანდით, მარად  
სად სისხლის გუბე მდგარა

სდუმან სოფლები შორი,  
სძინავთ საფლავში ძვლებს.  
ახელს ვვაილი თვალებს:  
მარიამ, შეგვიწვალე!

4  
ის ეანა-ეანა ვლიდა...  
- ნუთუ ეს მხარე კვდება? -  
სად ის მეორედ იშვა, -  
სად მან შეიგრძნო შვება?

ნახა - სინემე სუფევს.  
ტოკავს ველური ჭვავი.  
- რატომ გავაკრუნ ჯვარზე,  
რატომ ჩამაცვეს შავი?

ვერ აიტანა ტანჯვა,  
თვალწინ დაუდგა შვილი -  
და ჩაიკუცა უცებ  
ჯვარივით ხელგამლილი.

თავთაენი თავდახრილად  
-გიხაროდესო!" - ხმობდნენ,  
ანგელოზნი კი ღაყვარდ  
ცაში არც არას გრძნობდნენ.

## მამსიხ რილსკი



ვაძლი დამწიფებული, ვაძლი მოღაქდაე!  
ბაღში ერთად მიფდივართ და ბილიკებს ვიგნებთ.  
მიმაციდლებ მინდვრამდე, ჩემო საუვარულო,  
შე წაუღ და მეორედ არც მოვიდე იქნებ.

ტრფობაც დამწიფებულა თბილ სხივებქვეშ უკვე,-  
ის კიდევაც მოწვიტეს ბაკეებმა მღერით,-  
ახლა გულში რაღაცა ცაცხანებს და ფუთქანს,  
როგორც მზეზე ცაცხანებს ტოტი ოქროსფერი.

ჭვი, ველი ვვითლდება და ღურჯდება ზეცა,  
საწიერზე მეტუნე წერტილივით ქრება...  
მკოცნე უკანასკნელად, მკერდში ჩამიკონე:  
ვისაც ტრფობა ძალუძდა ძალუძს განშორება.

## მეხმეო მაღანისკი

ავკისცი

Ave Caesar-ო, მწველო ავკისტო,  
უავეუსტესო მეუფე წელთა!  
კვიან ბოსტნეულს უდგან დაგვის დრო,  
შენმა ნათელმა უუელას გაგვისწრო  
და ბრმა შინაზე უწეალოდ წვეთავს.

Ave Caesar-ო, ჯერაც ბრდღვიალებს  
ტვის კოლონადა, ფორუმი ვანის,  
რომს დაქაუთათებს და მოკრიალუ,  
ის ხან ჩაქრება, ხანაც იალებს,  
ვით გალობაში ჩართული ბანი

Ave Caesar-ო, გაქვავდა ტახტი,  
ხარ ქანდაკება, მარმარი მკედარი,  
და მხოლოდ გვირგვინს მზე მსჭვალავს ნაღდი,  
და საფუთქლებზე ღაყვარდი დაგდის,  
და ცხრუკავს წელთა ხასტიკი ქარი.

## ჰლადიმერ სონიურა



ვერა ბერზინას

ასე არავის ჰეკარებია. ათას წლის მერე  
თუ შესძრავს ვინმეს მსგავსი ტრფიალი.  
ასეთ დღეს ქვეყნად გაზაფხული იმშვენებს ფერებს  
და ღვდამიწას გააქვს კრიალი.

სუნთქავს წუნარად და თავისუფლად... ღაღისფერ სისხამს  
ხვდება ზედისკენ აწვდილ ხელებით...  
ასეთ დღეს ქვეყნად გაზაფხული ევაილებს ისხამს,  
თრთის ტებილი ტანჯვით განახელები.

ღაუბნედათ გული ზედი ბედნიერ თვალებს,  
შორი ნისლიდან რომ დამნათიან.  
მჩქეუარე სისხლი მარღვეებს თითქოს უკიდებს ალებს,  
ეს ათინათი თითქოს მათია.

ჰეი, ნათელო ვარსკვლავებო, წუნარო მთვარეო!..  
გინახავთ კიდევ სხვა სატრფოეთი?  
მე მისთვის მოეწვეუტ ცისკიდიდან ოქროს ორიონს,  
მე ვარ სულ ბოლო მუშა-პოეტო...

ასე არავის ჰვეარებია. ათას წლის მერე  
 თუ შესძრავს ვინმეს მსგავსი ტრფიალი.  
 ასეთ დღეს ქვეყნად გასაფხული იმშვენებს ფერებს  
 და დედაძინას გააქვს კრიალი.

სუნთქავს წუნარად და თავისუფლად... ღიღისფერ სისხამს  
 ზვდება ზვცისკენ აწვდილ სველებით...  
 ასეთ დღეს ქვეყნად გასაფხული ვვაილებს ისხამს,  
 თრთის ტკბილი ტანჯვით განახვლები.\*

## მეხვედი ალუშინი



ენებათა მიღმა იბადება სათნო გრძნობები.  
 ო, მწველი ბაგე და მხევალი ტანის მრჩეველი!  
 მშვენიურია მართლაც მათი საკურთხეველი  
 ენებათა მიღმა როს გეწვევა სათნო გრძნობები.

რას ელოდები? რად ეოვნდები ქარივით მალო!  
 გაძალე ფრთები, გადასურე შორი ტუე-ველი.  
 გაფრინდი, მოხდა მოსახდენი, რაც უნდა მალო...  
 ენების მიღმაა გულგრილობის საკურთხეველი!

## მიკოლა ბაჟანო

ფროპცია სიმონ ჩიქოვანს

1

მე სუნთქვა მეკვრის. მე ვიხრჩობი. მე ვიგუდები  
 მათ მომსკდარ ზვაყვემ, მათ დაუმცხრალ ღვარსა და თქემში.  
 მე მათ ვურს ვუგდებ, მე მათ ვუმზერ, მათ ვუბრუნდები  
 ძველი ნაღველით, ძველი სველით, მეძებრის გემით.  
 და მე ვუმუნჯდები, დარჩენილი ასე ვულად.  
 ჩემი ხმა მათ ვერ უძვლავდება, სიტყვა თავდება.  
 ისინი ცრემლად არ ქცეულან, არ დაქცეულან,  
 არამედ იქცნენ ჩემი მტკიცედ ეოფნის თავდებად.  
 მე მათ ვესხები ხარბი მხერით ჰირველეოფილით,  
 მე მათ შორიდან ვეფერები, ვეაღერებები.  
 მესობა ტანში გამჭვირვალე მათი ნემსები,  
 გლეტჩერის მსუსხავ სხივებისგან გამოწრთობილი.  
 ხსოვნის ფოსოდან, ნაპრაღიდან, ღრმულიდან ხსოვნის,  
 რწმენით, რომ ქვეყნად არ არიან ოდენ ზმანება,  
 ისინი ჩემში იხრდებიან ჰირბახრ დანებად,  
 მკვეთრნი, ვით სიცხე და ფხიზელნი, ვითარცა თოვლი.

მათ ვერ გააქრობს ვეღარც წლები, ვეღარც ვნებები,  
მათ მინდორ-ვეღად ვერ გაფანტავს ქარი ნალველის.  
ჩემს მტერიან გზაზე ირვვიან მოგონებები,  
ჩემს ჩავლილ გზებზე სხვა თვალისთვის დაუნახველი  
მოგონებები აღმართულან, როგორც მასვილი.

სპეტაკი თოვლით დაფიფქული კლდეხო, მწვერვალხო, დექსად ამნთებო  
უზენაესი სინუმის სახლის თვალისმომჭრელი ათინათებო,  
მარადისობის თეთრო ტაძრებო, კაკასიონის მთათა კალთებო! -  
თქვენზე ვიბოდო თუ ამბორი მიბრძანეთ უკვე?  
მე ვეღარ ვითმენ და ჩემს ნაჭკუქს გავარღვევ მაღე,  
რათა ჩავხედო, ვით დეკენდის ფიქრიან გუგებს,  
სიმონის თვალებს უდიძლამოს, მარიკას თვალებს.

## 2

შენ გახსოვს, სიმონ, იმ დღეების თუ გახსოვს ზარი?  
წურვილი, სიცხე მოძალემა ხორშაკი ქარის.  
კლდეთა ქიმებზე იმსხვრეოდა სხივები მნათი,  
შუადღის ზვატი და ბოროტი დუმილი მათი.  
მსგავს რამეს სიზმრად თუ იხილავ შუოთიან ძიღში, -  
აღის ბრიალი და ტრიალი დადეწვის შიძი.  
ქარი დაწანით ხეებს ზრიდა  
და უოველ მხრიდან  
მოგჩერებოდა ჩვენ დრუნები საძინელების  
და მთის კალთებზე, ქარაფებზე ტინების მსხვრევიით  
სიავის მაცხე ბილიკები გაცურდნენ ქვევით,  
როგორც ვეითელი და ტანსლიპი მასწრობელები.  
მხოლოდ დაწვევლილს თუ ვწვევა სიღვა ასეთი, -  
მეარი, დასმული, გაუინული, გადაფისული,  
ვით სერს შეფენილ კუბობების შავი ნახვრეტი,  
ვით ეს ფესვები გაქვავების სღვართან მიხული,  
იავარყოფილ ფუძეთა ფერფლი, კალაპოტები დამშრალ დღეთა,  
ოდენ ჩონჩხები მიმოფანტული, ოდენ ზუსუნი დურჯი სღვაურის.  
გადარუჯული აზიის სიერცე დაუსაბამო ცით და სმელეთით,  
განგმოდებული უდაბნოების ჩხრიალი შორი და საცნაური.  
შენ გახსოვს, სიმონ? ის ჩვენება, გახსოვს ამარი?  
როგორ შეიჭრა ზვობაში ჩვენი გზა-შარა  
და მთების გულში ფრთები ერთობ როგორ გამალა  
და შიგ თვალეში შეკვავარა ნაცარი ცხელი.  
და ჩვენ შევდგეთ. მოსახვევთან გამოჩნდა ქალი,  
ბაკემდუმარი, სასკეუმტი, ვით მოიწვენება,  
არც შემოგვხედა, მოდიოდა, როგორც ვნება,  
ვით შეწამული ქარბორბალა, ვით ცუცხლის აღი.  
ჩვენ დავინახეთ მუქ-წითელი მისი სამოსი  
და ხორბლისფერი, უსამლური ფესვების კვალი

და ბეჭდის ბრწყინვა, საღარუბი მთვარის ამოსვლის  
და უელსაბამზე ელვარება ძვირფასი თვალის.  
სირმით მორთული აბრეშუმი უცნობ ასულის,  
ვერცხლის წკრიალით გაპობილი მთათა აირი,  
ცეხინები და დინარები მძივად ასმული  
და მოოჭვილი სამაჯური ნაირ-ნაირი, -  
ეს ეველაფერი სულ ერთ წამში გაგვიქრა თვალწინ,  
გადნა, აორთქლდა, ვადიქროლა, გადაიარა  
და მათი შორი ანაშუქი, როგორც იარა,  
მურჩა მარადის ჩვენი სულის და სსოვნის ნაწილს.  
ვინ იყო, ნეტავ, მოჩვენება ის შესქული?  
ქურთის ღამაში პატარმადი თუ ვნებით სავსე  
ეიწაღის ქალი, ვინც ოდესღაც სცოდა სხეულით  
და მერე ასე ეხეტება წამების გზაზე?  
ვინ იყო იგი, ცისიერი და მიწიერი?  
მასში ღტოლვაც და იდუმალიც იყო მრავალი.  
ვნახეთ ორმუსდის მოციქული ეოვლადმლიერი  
თუ ხეთელ შწეჟსთა ქურუმების შთამომავალი?  
ჩვენ იგი ვეღარ შევიცანით და ვერც შევიცნობთ,  
მაგრამ აღდგენა მისი სახის ვინმლო შევიძლოთ,  
ვცადოთ გარდასულ წელთა, დღეთა ფიქრით ავსება,  
რომ ჩვენ, უფსერულის პირთან მისულთ, ქალმა კი არა -  
სეველ წაფარნით, ბეწვის ხიდით გვერდს ჩაგვიარა  
მარად უცნობ და სავეარელმა ჩვენთვის არსებამ.

## 3

შენი სახელით გავინათვ პურობა მწუხრის,  
ვამბობ სიხუმის სადღვერძელოს და ფეხზე ვდგები.  
არ ეხარჯავ სიტყვებს, არ ვემღევი დარდსა და წუხილს,  
მარტოდ შემეურე შენი წმინდა, დაბინდულ მთების.  
ვევლს ვატან წიწმაცს, მიბრუნდება ძვირფასი წლები,  
წინ მიდევს ღორით გაწყობილი ნისორი თლილი.  
სუფრა სავსეა სასუსნავეთ, მე ლეღვით ვტკბები -  
შენთა წინაპართ სავეარელი, პირველი ხილით.  
მსურს ზედაშუმი ამოვარო ღაჯამი თბილი,  
მაგრამ უცვრად ურს ჩაესმის ნაცნობი ხმები  
და ვხედავ ცხადად -მეკრულ ფაცხას სცილდება ჩრდილი,  
შენ შემოდიხარ მოქანცული შორეულ გზებით  
და მოგაქვს ჩვენთვის პოესია, ნათელი დილის.  
მე სულ არ მიკვირს შენი მოხვლა ამვეარი გზებით,  
შენ ხომ შენს კვრას დაუბრუნდი წასული შვილი.

## ოლენა ტელია

### მამაცაცოცლმა

არ წამოგვცდება ფოლადით ნაწრობი სიტყვა,  
 და ვეღარც შუბი შეცვლის როსმე ჩვენს სულში კალამს.  
 ჩვენ ვართ ქალები, ჩვენი სული წაბრა, - გვითქვამს, -  
 რომელსაც სვამთ და გემატებთ სიმსხვე, ძალა!

ჩვენ მას განიჭებთ არა რკინის ჰიმნით ან მარშით,  
 გუწამს თქვენი ნაზი მოფერების, მტკიცე სელების!  
 რადგან სულ ძალე დრო მოვა და გაქრებით კვამლში,  
 გაგვიფრინდებით ღალი ფრთებით, ვით ფრინველები.

ჯერ არც საღუტი, არც ქვეშთა ვეფა გესმენია,  
 თქვენ კი ფეხზე ხართ. და ჩვენ, როგორც დათაფლულ ნექტარს,  
 უკანასკნელად, რაც კი ქვეყნად მუქთამფენია,  
 ვაგროვებთ თქვენთვის, ტანზე გაქსოვთ აღურხის ბეგთარს.

დასტკმეთ -ვაშა!“ გააჩაღეთ კოცონი კვესით!  
 ჩვენ კი დაგბანგავთ სინარულით, მხურვალ ვნებებით, -  
 ჩვენ არც მგზნებარე სიტყვებს ვაშბობთ, არც უქმად ვკენებით,  
 ჩვენ თქვენს კვადდაკვად თვით სიკვდილსაც შევეკვებებით!

## ოლენა ოლჟინი

### ოლბიელა

კმარა! დაუბგე ვეფხის ტყავზე მე ჩემი ქნარი.  
 მგონარობს გული - ცარიელი ღვინის ფილა.  
 დაუცალე მხამი, მე რომ ასე გამატიალა,  
 მწარე სიმათლეს შევაცებე დიმილის ფარი.

საწოლთან ხმალი რომ შევიდა ოქროფერილი,  
 ამოქარქამდა და მუქ-ვეითელ მუნლებზე მიწვეს,  
 იგი ხარკვა და მიგ ვზედავ: ღამქრობა მიწვეს,  
 მწვანე სიფრცემი მე ხალაქროდ ვარ აღერილი.

ხვალ გავალ ველზე. დამაურიან ისართა წვიმებს.  
 ვილაც ველურმა შორით უკვე დამადგა თვალი.  
 მოვკვდები, თითქოს მესხურება ცინცხალი წვალი.  
 ვით ათიკური ზეთისხილი, დღე მიცდის მძიმე.

ბოზღან - იმორ ანტონიონი

საქართველოს  
ბიბლიოთეკასიმღერა მაცურის  
მარადისობაზე

უღრანებში შევხეტე, მოვისვიე ტანზე ქარი,  
თავზე შეცა წამოვიცვი, სიმღერებით შევიფუნე.  
ვწვარ, როგორც ბრძენი მელა გვიმრის ძირას, თითქმის შევდარი,  
თუთრ ქვანავით ცივი, მკურივი, ამ ქვეყანას არ ვეკუთვნი.

ირველივე შევბია შწვანე, მოქუსს ნიაღვარი მათი,  
დრომ ფარფარა ფოთლების და კომეტების ჯარი დამრა.  
შემიწირავს წვადდიდობა, გამჭვლეტს, გამსრესს თეთრი მნათი,  
მე ნახშირად ვიქცევი და ჩემი სიმღერები - ნაცრად.

გადაიუღის, როგორც ღაფა, ათასობით საუკუნე,  
მოედება ნასასღარებს უსახელო ზღმა სშირი,  
შავ ვეავილად ამოხეთქავს ჩვენი ტანის ქვანახშირი,  
გული თითქოს მალაროა და წერაქვი უკაკუნებს.

საქართველოს ბიბლიოთეკა

## ადრე მიღაშპო

გუთანი  
(ბალადა)

ვულად მხოვეს დაჯანგული ხმალი,  
გადაადნეს, გუთნად იქცა რვალი.

ვით ცხოვრების ციურ მადლით მმოსავს,  
ის გუთანი დაულოცეს მგოსანს.

მან გუთნიდან ნაპურწყლები კვება,  
კვებას მოჰგვა მხენელ-მთესველთა კვება:

რიერაყიდან სამკალშია შეკლი,  
ხან მრისხანებს, ხან ცრემლი სდის ცსელი.

ენაცვლება ხანძრებს დილის ნამი,  
ცისფერთვალა გლეხი მღერის ღამით.

იმ გუთანში ცოცხლობს ერთი ასად -  
რკინის ენა, მართლაც რკინის ფრანა.

## დმიტრო აკვლინკო

## სიმბოლურ პოეზია

## ზავხუტა

როგორც ფორთოხლის სიფრიფანად გაჭრილი რგოლი,  
ლაქვარდებიდან მზე თანდათან უშეება დაბლა  
და მწუსრისეულ ჰორიზონტზე ჟურაც ანთია,  
როგორც ხის ქერქზე ფისის წვეთი უკანასკნელი.

და ვით რუბენის ქაღალმურთები, მდინარისაკენ  
ვლიან დიაცნი, შიშველნი და მკერდათქვირულნი.  
ტანთა ნათელით ღაქაშებში წულის ზედაპირი  
დამსვავსებია მოციმციმე მწვანე აბაჯურს.

მოულოდნელად მოვარდნილი ნორჩი კენტაური -  
ეს ცხენჭაბუკი, კიე არსებად გადაქცეული -  
ესობა წყალში და ინთქმება სიცილ-ჟვირილში.

ულდანაჯრავი დიაცები ფურწორციანნი,  
ქართ დანბრილ ჰერანგებით, ვით იალქნებით,  
ცად მალღდებიან, როგორც ქერა ანკელოზები.

## ლინა კოტინკო

## სუკოთის ღაფა

სკეითის დიაცო, ქვის უსეში გაცვია კაბა,  
დგახარ ტრამალში... შენს გარშემო მხოლოდ შაშბია...  
რა დიაცი ხარ, რა დიაცი, მითხარი, აბა,  
რომ შეიღი ასი საუკუნე ვერ გიმობია!

მას ვენებოდა უნათუოდ ფეხები კაეის,  
შემოირბენდა უსამანო ველებს მუნმულთ!  
თქვი, რა გაცინებს? კოსმოსია უცოლო ვაეი,  
შენ კი მარტოკა აბზინდებში ხარ ატუსული.

ნუთუ არაუის არ უცვნიხარ ჭემძარიტ ქალად?  
აეი ჰკიღია მუსეუშში ჰორტრეტი შენი.  
მკვდარი კაზაკის გიდიმოდა შენ თავის ქალა.  
ეს წარსულია, ქალს შოფადზე ოცნება შეენის.

შენ შეეწიე ცხენებს, ისრებს, თოფებს დაფერილს,  
ქორივით შხირალ მოღალატე ხანთა პროფილებს...  
გადივიწეე! აწ მველია ეს ვველაფერი.  
დრო-გამს შოცე საუკუნე მიაფოფინებს.

შენ კი ხულ დგასარ გასუნებულ თმებით, ხელებით,  
მხრებით გეფუშნება... გეშინია სიმართლის თქმისა?  
ქვის შვილიშვილებს ვაგისრდიდნენ მინდორ-ველები,  
გესმის, დიაცო? ქვისას-მეთქი, შენსავეთ ქვისას.

შეგე თვითმფრინავს, რომ დატოვა ზეცაში კვალი,  
ეს პროგრესია, შენ კი მარად რჩები უცვლელი...  
იციინის ქალი, დაწვეული სკვითული ქალი,  
ისე იციინის, უკავია ხელით მუცელი.

## მასილ სიმონეძე

### ავანსურა

ნისლში ფრთებს ანარნარებენ გედები ვარდისფერიო,  
მთიებმა გადააფრქვია ღამეს ციური ფერიო.

ჭროლათვალემა ზღაპარი მოდის, სარკმელთან დგებო,  
დედის კეთილი აღურსი იმ ზღაპარს თან მოჰყვებო.

პოი, არული, არული, შენ არ გაჩერდე, წყნაო,  
ჩემს ქონში აკვნის დარწვევას არ დაგანებებ შენაო.

მოცურდით ოცნებასავით, გედებო, აკვანთანაო,  
ნამოდით დაბლა, ვარსკვლავნო, შვილს უგალობეთ ნანაო.

მამლების გადაუციელი ამინებს წუვდიადს ველადო,  
ქონის კედლებზე გედები ცეკვავენ უზრუნველადო.

ვარდისფერ ფრთათა შრიალმა გაგვისხალისა კერაო,  
მათმა ფუშფულა ბუმბულმა სომლი ოქროსფრად ფერაო.

გაისრდები და დადგები, შვილო, საკუთარ ცხაზეო,  
აკედვენება წუსილი, სოფლის წესია ასეო.

მათრობელ მწუსრში გიცდიან ტურფანი შავწარბანო,  
რათა შესს ტრფობა-აღურსში არ შეეცილონ სხვანო.

შემოგეწვევენ ბაღნარში, ხად გალობს იადონო,  
შაქოსირიანი ბიჭების ხაცოლე-საბედონო.



ნება გაქვს, ამოირჩიო შეგობრები და ცოლიო, უკრაინული  
მაგრამ სამშობლოს არასდროს არ ეუფლება ტოლიო. ზოგჯერ მოსწონს

ნება გაქვს, ამოირჩიო მოძმე და შეგობარიო,  
ოღონდაც დედა-მშობელი, განსოვდეს, ერთი არიო.

არ მოგშორდება, თითქოსდა შივ სულში ჩაკეხატაო,  
დედის კეთილი თვალები და შენი თეთრი ხატაო.

და თუკი ცხრა მთის გადაღმა წაგექცეს უცებ ცხენიო,  
მოგიყვან უკრაინიდან მეწნები, ალვის ხენიო,

დაგადგებიან თავზედა ფოთლების შარიშურითო,  
ისეთ მალამოს მოგცხებენ, მტერი გასკდება შურითო.

შვილო, ამქვეყნად ვეველაფრის არჩევის შენ გაქვს ნებაო,  
მაგრამ სამშობლოს არსევა არაფრით არ იქნებაო.

## პორის ოლინიკი

### როკვენ ქართველნი

როკვენ ქართველნი. და ეოველი მეფეა თვისი.  
როკვენ ვაჟკაცნი. შეენით შავი წარბების რკალი.  
ალვისტანებმა ტვეედ წაასხეს ზედ დღისით-მზისით  
ვეველაზე უფრო უკარება ამაჟი ქალი.

და უცებ - მოსხლტნენ! დატრიალდა ჰაერში მტკერი.  
განგაში! - სადღაც აჭინვინდნენ ცხენები მალი.  
იელვებს თვალთა, უკუიქცა ვერაჯი მტერი  
და ნამდვილ ხანჯალს დაემსგაყესა თუნუქის ხმალი.

დაჰქრიან ისევ. და ეოველი მეფეა თვისი.  
ელავს ქარქაშზე მონოგრამა და სწიღოს ძეალი,  
ალვისტანებმა ტვეედ წაასხეს ზედ დღისით-მზისით  
ვეველაზე უფრო უკარება ამაჟი ქალი.

მე საიდუმლო სულ ახლახან ავსხენი ბედად,  
ქართველთა პორის უმფოთველი რადა ვარ ასე:  
თუკი შეგობრის წელზე ნაცნობ სატვეარს ვხედავ,  
ვიცი, ჩვენს მშობას ზურგში ხანჯალს ვერაჟინ ჩასცემს.

0356 ღრანი

## ნერილი წიგნან წაბიძეს

საქართველოდან დაუბრუნდი წუხულ,  
 ხეში იზრდება ქედები შორი.  
 ხეში ჯერ კიდევ დულს და ბობოქრობს  
 უღელტეხილის მძლავრი ქარები.  
 ენახე სურამი, რუსთავ-ქალაქი,  
 ენახე ლანჩხუთი, ბეჟური გორი,  
 ზენ კი ცისფერი შენი ეანწები  
 ამოხვ ცრემლით და შწუსარებით.

მე შენზე ადრეც მსმენოდა ბევრი,  
 ზენს ლექსებს, როგორც ბაკებს, ვხვამდი.  
 მათ ჰასტურნაკი საკუთარ ეანწით  
 მანვდიდა, ვერმნობდი სისხლს ქარბუქიანს.  
 ტიციანს, მე შენს იმურულ ცეცხლში  
 დავდნები, როგორც უმწეო ლანდი,  
 ხეშო ძვირფასო, ასე სასტიკად  
 კადის გაწირვა ვის გაუვია!

მე დღეს უბრალოდ ერთი პროფილიც,  
 მე დღეს უბრალოდ, უბრალო ფერიც  
 უშენოდ უკვე აღარ მეცნობა,  
 ზაგრამ შენს ცრემლებს გაეხვდავ როცა,

მე შემომლია აღვიქვა ზუსტად  
 ნებისმიერი სერი და თხემი,  
 შენს ნიანსლოვეს მაინც ვევა მთა  
 მე შენვევება ჰატარა ბორცვად.  
 ოცდათექვსმეტში ბრძენი ბაყანი  
 და საბოლოოცი სიტვეანსმიერი  
 შენთან ხედებიან აღაყურდობას,  
 მე კი აკვნიდან მოგძახი, ძმაო:  
 „შენ მთვარისფერი პროფილი გშენის,  
 შენ ვარსკვლავების დაგკრავს იერი,  
 გთხოვ, მომამსურო შენი ოპანნა,  
 მეც ვივრძხო მისი სორკლი და ხაო!“

შენ კი ჰანუსად მეხური მისაკებს,  
 რომლებიც ღურსმნად შესობა მეურდში,  
 ბუდაურების უწვევტ ქროლვაში  
 მათ ბაგეებით ვიჭერ და ისევ  
 შვისფერ ჩანჩქერში ვრმულდება ომი  
 და სანამ მელავი და მუხლი მერჩის,  
 ვომობ მისაყით და გუვიცები,  
 როგორც უფსკრული, მიუვარხარ ისე!

მიკოლა ჰინგრაგოვსკი

## მოძღვარი

კონსტანტინე ვაშასვილიძე

მოძღვარო, უკვე ერთმანეთის ჰირისპირ ვდგავართ...  
 სიბერეს შენსას სიჭაბუკე ქედს უხრის ხეში...  
 მოჩქევს მდინარე, შხე საცაა მთებს მიღმა ჩაყა  
 და ცისკრის შუქით განათდება სისხამზე თხემი

დავითის ქნარი და მთრთოლვარე ქნარი სორივის,  
 მოძღვარო, იგი ძველებურად დღესაც ხეუნშია.  
 მათ ჰკეპებს ხეუნი შეურვესელი სულის მორვეი,  
 და სულებს ხეუნსას მისამართი ჯერ არ შემლია.



უკრაინული  
ლიტერატურა

ჩვენ ვიცით ვადრი საკუთარი, როს ერთურთს ვუმწერთ...  
სუნთქავენ სმები და გულებშიც სისხლმა იათა...  
ვევლას ჩვენ-ჩვენი ჩორნოგორა გადაგვიდის ზურგზე  
და რბილ თითებში საწურ-კალამს ღვიძავს ნიადავ.

ამას რას ვხედავ, სიუვარული სევდამ შებურა,  
სიუვარულს ჩემსას სიუვარული ვრქმევა მიწვივ...  
და, ჰა, ვაგზაღზე გადიშება შენი მეფური  
და შენს ტუჩებზე მოწანწკარე ტიტათა სისხლი...

წადი, წაბრძანდი! ჩემში შენი დარჩება სახე!  
მშვიდობით, კარგო... მუვარებისართ ძალიან ცოტა...  
ის სიუვარული განათებს ჩემს მცირე სახელს,  
ძას არ დაფუერფლავ, არ გავატან დინებას დროთა.

## პედრო ოსადრუკი



შემწუნებულმა გავიფიქრე - ავმცდარვარ-მეთქი,  
ამ ცხოვრებაში საკუთარ თავს - ავმცდარვარ-მეთქი,  
მივიჩქაროდი ზაქმანზე - ავმცდარვარ-მეთქი,  
ზირისზირ შეურიღს გაფულიძე - ავმცდარვარ-მეთქი.

მაშინ რისთვისდა ვეხეტები? - ვფიქრობ.  
ახე ჯიუტად ვილას ვეშებ? - ვფიქრობ.  
ვის ან რის გამო ვუთელი კრულვას? - ვფიქრობ.  
დღეიდან ვილას წარმოვადგენ? - ვფიქრობ.

მაგრამ უცნადა მე გამახვევა - ფიქრმა  
ჩემმა და - ერთობ მე გამახვევა - ფიქრმა,  
მე სული სულ მთლად ამომიწეწა - ფიქრმა,  
ბანალურმა და საბედისწერო - ფიქრმა.

რას ვერევი ჩემს თავს, თუკი უცნადა - შევხვდი?  
რას ვერევი ჩემს თავს, თუკი უცნადა - შევხვდი?  
რანაირ სიტყვით შევხვდები, თუკი - შევხვდი?  
ვისი თვალებით შევხვდები, თუკი შევხვდი?

## პასილ სტუსი



ო, რა კარგია, რომ სიკვდილის არ მეშინია  
 და არ ვეითხულობ, რას იწონის საჩემო ჯვარი.  
 რომ თქვენს წინაშე, მსაჯულებო, როგორც ფინია,  
 არ ვილაქცეებ, დამესმობა როდესაც კარი.

რომ მიცხოვრია, მვეარება, რომ არ ვუნდები  
 სიმუღვილს, წვევლას, რომ შორი გზა ჩავთვალე არად.  
 ხალხო მშობულო, მე შენ ისევ დავიბრუნდები,  
 მიღმეთის მხრიდან მიქცეული სიცოცხლის კარად,

რომელიც მტანჯეს, მაგრამ ვეღარ გამტეხეს, ვერა.  
 მე, შვილი შენი, თავს დავიხრი მიწამდე კდემით,  
 აღაღ თვალებში ჩაგაშუქებ ამ აღაღ მწერას  
 და სიკვდილშიაც დამიმოყვრებს სამშობლო ჩემი.

## სვეტლანა იოჰანკო

## ცამეულია ქუხილა ზღვაზე

მაერს დაეტყო ფორიაქი. ისმის სმაური-  
 ისრდება, ბორჯავს, მეჯახება მკერდზე ფუთებით!  
 უცნაურ ფიქრებს ემსეფება მძაფრი წვეთები,  
 ტბორავს წვედიადი არემარეს ვერსაცნაური.

ზღვა აბობოქრდა, მე კი ვფიქრობ... ჩემი სარკმელი  
 აურის უმწყო სულია და სუნთქვა ციონის.  
 ფართქალებს გული: ნეტავ, რაა შინი სახელი,  
 შტორმი თუ ლექსი ღამენათვე გალაკტიონის?!

ასე მპეინვარებს მგოსნის ვნება დაუურველი  
 თუ ზღვას ასელებს წინათგრძნობა, მღვკი მასავით?!  
 ღილისფერ მუქში ირეკლება ზეცის სურვილით  
 ფანტასტიურის და წარმავლის რაღაც ნაზავი.

რომ არ გამახინდეს უკრაინა მწედ და ნუტემად,  
 ამ მთავრესილებს ავირჩევდი სამშობლოდ მაშინ! -  
 კავკასიონის ქვატალღათა ღვარი უკეში  
 ჩაედინება ჯერ ჩემს გულში და მერე - ზღვაში.

ვლვის კართოში კიპარიხი ამოიზარდა, -  
 ქვა იუოს თითქოს, არ ირხევა მისი სხეული.  
 ეს ზაღმა ტოკავს ფერმინდილი და შიშვეული  
 ბოროტ სისინში ფოსფორივით მბრწყინავ იხართა,

თუ მიმოსაზავს, მიმოკვსავს ნერვთა უღამით  
 შემრწუნებული წარმოსახვა ზმანებებს ფერადს?!  
 ო, საქართველოვ, მოალერსე მოაუღე მწერა,  
 მოეც ნათელი დამფრთხალ ფრთოსნებს, როგორც მაღამო!

თვინიურ ჯიქად დამიწვინე ფერხთით ტიალი  
 სტიქია ესე - მოვლენილი გარდუვალ წარღუნად.  
 - ოპ!


დასკდნენ მთები! -  
 ნაპრაღებში მოშხუის ტაღდა.  
 ზღვა ეაღეზე დგება!!!  
 ვრგვინება და...  
 ცოდვის ტრიალი.

## სპეტლანა შოლოგი

### ქუთაისის ქარი

ოპ ქარო, ქართ აშარო,  
 ათახი ჭინკას დარო,  
 გზაზე მტერის ბული ტრიაღებს,  
 წაქაჩებს ცრემლი წუღება...  
 მარტოსულ ქაღთან რა კინდა  
 რას ემართლები, ქარო?  
 ნუ ღმუი, გემუდარები,  
 მომეც სიმშვიდის ნება.  
 ვერ შენს კამო სეუბი  
 ტანგაპარცული დგანან,  
 როსმე ლაქლაქა ფოთლები  
 აწ ფურფლია და მტვერი.

ოქროსფურ თმებს შემოდგომა  
 ვერ შეამჩნიე განა,  
 ვერ ნახე, თვალებს უოვლისმჭვრეტს  
 წაერთვა მტრედის ფერი.  
 და გასაკვირი არცაა,  
 ქუთაისს რომ არ ვეცნე...  
 ავიტან ამ ციე შესუდრას,  
 არ გადავივლი ბეჭობს,  
 გაკოცებ კიდეც, თავსეღო,  
 ოღონდ ისმინე სეუწნა:  
 თუ ძალგიძს, კვლავ დამიბრუნე  
 თუნდ იმ ზაფხულის ექო!



## ცხოვრება და ღვაწლი აკაკი წერეთლისა

აკაკი წერეთელი ერთი უპირველესთაგანია, ვინაც თავისი არსებობით, გარეგნობით, პიროვნული მოწიბვლით, ცხოვრების წესითა და შემოქმედებით, ქართულ მწერლობაში, პოეტიკის მარად ცოცხალი, ხალხისთვის უსაზღვროდ საყვარელი ხატი შექმნა. მასავეთ ცოგა ვინმეს თუ ესადაგება რუსთაველის ღვაწლად, სულის გამათბობელი სიტყვები: „მშობლური, ტკბილი, მოწყალე“. იგი თავისი ზეგარდმო ნიჭის მართლაც უხვად მთოველი იყო და, ამავე დროს, მედმიწვენით ახლობელი, ქვეყნის სატკივარზე გადაგებული ჭირისუფალი, რომელიც პირად სამრუნავს არად აგულებდა. სწორედ ამიტომ უწოდა მას გურამ ასათიანმა „ყველაზე შინაური სული“.

ჩვენა ბედად, ერის თავდაუზოგავი, გიგანური ძალის სამსახური, აკაკისთან ერთად, სხვა, მამულისთვის მსხვერპლად შეწირულმა, დემურთკაცებამც იგვირთეს. ამდენად, გადაჭარბებულ ნათქვამად სულაც არ უნდა მოგვეჩვენოს, როცა ქართველთა ცნობიერებაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ ასეთ შეხედულებას წავიკითხავთ:

„ენი იყის, იარსებებდა თუ არა დღეს ქართული ენა და საქართველო, შეცხრაბმეც საუკუნეში ილია, აკაკი, ვაჟა და იაკობი, ეს ოთხი მესია რომ არ მოვლენოდა მას“ (ნოდარ დუმბაძე).

მახვილგონიერებით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით განთქმული აკაკი შეიძლება მხიარულ კაცად მოსჩვენებოდა ვინმეს, მაგრამ ამ მოჩვენებითი სილალისა და სიცილის მიღმა სამშობლოს სავალალო მდგომარეობით გულგასენილი კაცის ნაღველი იმალებოდა. აკაკი წერეთელმა მთელი თავისი მოწამებრივი ცხოვრება და ამოუწურავი ნიჭი მამულის სამსახურში ჩამდგარ მწერლობას მიუძღვნა და სხვა სამსახურს, რაგინდ მიმზიდველი და შემოსავლიანიც არ უნდა ყოფილიყო, ყოველნაირად ერიდებოდა, „ოქროს

ბორკილად“ სთვლიდა. გამგები, თანამდგომი, თანამომარე იმეფითად თუ გამოსწენია და ხშირად იძულებული ხდებოდა თავისი ნამდვილი სახე არ გამოეჩინა: „... ცხოვრებაში მრავალ ნიღაბს ატარებდა, მიზანგრომისა, პილპილიანი ნაკვეთების ოსტატისა, ქალაქის მოთამამისა, გულცივი მოამიკისა... თავის თანამედროვეებზე ის ახლენდა სახარების ფრინველის შთაბეჭდილებას, რომელიც არ მკის და არ სთესს და რომელსაც ხელში ფული არ მიეცემა“ (გერონტი ქიქოძე).

სინამდვილე კი სულ სხვაგვარად წარმოგვესახება. კონგრასტი სხვა მხრივაც შედარდებოდა: „თითოეული ჩვენგანის წარმოდგენაში არსებობს ხატი პოეტისა, რომელიც თავისი დიდებული გარეგნობისა და ოლიმპიური სიმშვიდის მიუხედავად, ასე არ ჰგავს ქრესტომათიულ შეხედულებას პოეტზე. ის იყო თავისი ლექსების გმირებით ყოველდღიური შრომით წელში გაწყვეტილი, ხელუბაკოვრილი მშრომელი ადამიანი“ (თამაზ ჭილაძე).

მწერლის ლიგვრატურულ მემკვიდრეობას როცა ვაფასებთ, არსებითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმას, რასაც თავისთავადობა არ დაუკარგავს, კვლავაც ინარჩუნებს ცხოველყოფილობას, მხატვრული შემოქმედების ძალას, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ, მარადიულ სულიერ ღირებულებად არის დარჩენილი. ასეთი ქმნილებები კი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მრავალადაა.

ამავე დროს, უთუოდ ჭეშმარიტი, გასაზიარებელი აზრი, რომ პოეზიაში, გარკვეული დროის შემდეგ გქქიკურ მიღწევითა ათვისება ხდება, საერთო ფონი იყვლება და რომელიმე პოეტთან დაკავშირებული ფერსიფიკაციული ნოვაგორობა სიხლედ აღარ აღიქმება. ამდენად, დროის გამოცდას უძლებს, „ცოცხალი რჩება ის, რაც გინუ მუორებულია“ (დავით წერეთლიანი).

უპირველესი ნიშან-თვისება, რაც აკაკი წერეთლის მიერ შემოქმედებას, განსაკუთ-



რებით კი პოეზიას, თავიდან ბოლომდე მსჭვალავს, ესაა დაპირისპირებულია ერთიანობის ანუ კონგრასტის უბერებელი და უნივერსალური ხერხი, რასაც მასავით ხშირად და მარჯველ ქართველ მწერალთაგან ვერაფერ იყენებს. უთუოდ ამას ითვალისწინებდა იგივე მკვლევარი, როცა წერდა: „აკაკისთან გაქრა გარდამავალი, ნიუანსირებული ფერები, ასე უხვად რომ არის ბარათაშეილთან, და დარჩა დაპირისპირება თეთრისა და შავისა, რამაც არა მარგოს სისადავეს, არამედ გაუბრალოებასაც გაუხსნა გზა, როგორც ფორმის შხრივ, ასევე შინაარსობრივადაც“ (დავით წერეთლიანი).

აღნიშნული ხერხი ძველიაგანვე, ამასთანავე ნაირგვარად, იყო გამოვლენილი მსოფლიო ხალხთა პოეზიაში და, შეიძლება ითქვას, არც არასოდეს მოძველდება. თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ეფექტურია კონგრასტულ ხაგებზე დაბეჭდული ამოცნება, ამის ნათელსაყოფად უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს დავეჯერდებით: უბრწყინვალესი ესპანელი პოეტის ფედერიკო გარსია ლორკას ძმა ფრანსისკო გარსია ლორკა, „ბოშური რომანსეროს“ ავტორის სწორედ ამ თვისების გამო, საგანგებოდ აღნიშნავდა: „მის პოეზიაში ეს პოლიუსები რომ არ იყოს, ფედერიკო დიდი ლირიკოსი ვერ გახდებოდა“.

აკაკი წერეთელი მარად ცოცხალ, მუდმივ თანამგზავართა რიგს განეკუთვნება და ყოველ ახალ ეპოქაში მისი შემოქმედება ახალი კუთხით წარმოიწმინდება შთაბეჭავალია წინამძემდამ მსკეული მგზნებარებით გვეუბნება მამულის გადასარჩენად გამომწულ სათქმელს.

დიდი ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი მიგელ უნამუნო ეჭვის თვალთი უკურებს იმ ლიგურაგორებს, კლასიციკაგორებს, რომელთაც ცოცხალი პოეტების შეფასება არ შეუძლიათ და, პალეონტოლოგებივით, მხოლოდ გარდაცვლილთა ძვლებს ახარისხებენ, მაგრამ ვერც ამას ახერხებენ. თავის ესეში – „ერუდიციასა და კრიტიკაზე“ – სწორედ ასეთი „შემფასებლების“ გასაქამკვერებლად წერს იგი: „იმათ თვალში არავისა აქვს წონა, სანამ არ მოკვდება, არ დაიპარება და მის ძვლებს მაგლები არ გალოკავს. ისინი ხომ შეისწავლიან ჩონჩხს, პოეტურ ძვლებს

და თუმცა გარდასულ დროთა პოეზიის მკვლევრებზე მოაქვთ თავი სულერთი, არც მკვლევრ იგონონ არც ხორცი, არც სითბო ეპოქისა, იმ დროისა, როცა ეს ძვლები სხეულში ყალიბდებოდნენ; მათ მიანიათ, რომ გარდასულ ცნობისთა შეფასება შეუძლიათ, მაგრამ მათ არა აქვთ უნარი, ხვალისძელი გენია შეიყნონ“.

ასეთი „პალეონტოლოგიური“ მიდგომა, უსულგულო კატალოგიზაცია არც თანამედროვე და არც გარდასული ეპოქების შემოქმედთაგან არამცააარამც არ არის გამართლებული თუ გვინდა, რომ დღემოკლე, მკედარი სქემების გვევობაში არ აღმოვიწოდეთ, რისი მოწმენივ ახლო წარსულში არაერთხელ გავმხდარვართ.

გასული საუკუნის ქართველ მკვლევართა ნაშრომებში მრავალი შეუმცდარი დაკვირვება, სახელმძღვანელო დებულება გვხვდება აკაკი წერეთლის შემოქმედების ხასიათზე და ამითან მოგი მათგანის გახსენება მოგვიწევს. ქართული მეპირისიგვეერების საუკეთესო მკოდნე და ჩვენი ლიგურაგურის ისტორიკოსი ვახტანგ კოტეგიშვილი საგანგებოდ დააკვირდა აკაკის შემკვიდრობას, მის სიხხლბორეულ კავშირს ჩვენს უმდიდრეს ფოლკლორთან და ბუნებრივად დაასკვნა: „... ვისაც უნდა ღრმად ჩასწვდეს აკაკი წერეთლის შემოქმედების ბუნებას და გაიგოს მისი მზატვრული ხერხების სისტემა, მან კარგად უნდა იყოღეს ხალხური პოეზიის საფუძვლები. მხოლოდ ამ ფონზე არის შესაძლებელი აკაკი წერეთლის პოეზიის ცნობა და დაფასება“.

უთუოდ ამ სიახლოვეს თელის ვახტანგ კოტეგიშვილი მთავარ წყაროდ და ამოსავლად, როცა საგანგებოდ აღნიშნავს: „შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი პოეტის ლექსებს იმოდენობით არ მღერის ჩვენი ხალხი, როგორც აკაკისას. ამისი მიზეზი სწორედ ის „ნათლად ხილვა“ არის, რომელსაც დიდი სიმარტივე ახასიათებს და რაც უკვარს ხალხს და დიდ ოსტაგებს“.

ასევე ჭეშმარიტია და აკაკის პოეზიის ბუნების, სიგვესთან მისი დამოკიდებულების საფუძვლიან ცოდნას ემყარება შემდეგი თვალსაზრისი: „აკაკი წერეთლის შემოქმედების მთელი ძალაც იმაშია, რომ იგი გამომსახველია არა გარეგანი ხერხებით, არამედ შინა-

განი მღელვარებით და უშუალო განცდებით. ბერი ლექსი და იქნებ უმრავლესობაც ყოველგვარი ორნამენტისა და ჩუქურთმის გარეშეა დარჩენილი. სხვათა შორის, ეს მომენტი ახასიათებს ჩვენს ხალხურ პოეზიასაც. ამ ეპითეტების შხრივაც აკაკი წერეთელი ჭირვეულად არ ეტებს ახალ და უჩვეულო სახეებს, ის მარტივად უღებდა საკითხს და ხმარობს მხოლოდ ისეთ ეპითეტებს, რომლებიც ხალხს მუდია და იმთავითვე დაუღვნიანა“.

ამ ავტორიტეტულ და განმაზოგადებულ ამრს, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით, მაგრამ, ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს აკაკი გაგკენილი გზით მიდიოდა და დიდი სიახლე არ შემოიგანა პოეტურ მეტყველებაში, კერძოდ, ეპითეტთა ოსტატურად შერწყვასა და მარჯველ გამოყენებაში. ამის თაობაზე მრავლად თქმულა და დაწერილა.

ვახტანგ კოტეგიშვილი უყოყმანოდ იზიარებს ცნობილ მოსაზრებას, რომ ბავშვობიდანვე ხალხის წიაღში ყოფნამ ბერწილად განსაზღვრა აკაკის პიროვნების ჩამოყალიბება (ამის გამო თვით პოეტიც დიდად ემადლიერებოდა მშობლებს) და მისი შემოქმედების ხასიათი, მიმართულება, მაგრამ, ამასთანავე, ხამგასმულად მიუთითებს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მანამდეც, „სტილის ძალეში დაქვეითების ნიშნებს“, რაც ახალ თაობას უთუოდ უნდა დაეძლია. ამან მისცა მკვლევარს საფუძველი, თამამად განეცხადებინა: „... აკაკი წერეთლის „გახალხურება“ სახეებით კანონმემომილი იყო. მას ნიადაგი ჰქონდა მომზადებული წინამორბედ პოეტთა შემოქმედებაში. ხალხური კილოსი და ენის გაბატონების პერსპექტივა ჯერ კიდევ ნ. ბარათაშვილმა იგრძნო, გლეხურ კილოზე რომ დაიძახა: „მადლი შენს გამწენს, ლამაზო გოგოვ, შე-თვალებიანო“-ო.“

საგანგებოდ აღსანიშნავია ერთი რამ, რაც არასოდეს გამხდარა სადავო: სამშობლო იმდენად განუყოფელი და ყოვლისმომცველია აკაკის წარმოსახვასა და შემოქმედებაში, რომ იგი იმთავითვე „ერთი თემის პოეტად“ იქნა შერაცხილი. კიკა აბაშიძე სწორედ ამის გამო წერდა: „... აკაკი წერეთლის პოეზია მეტად ერთგვარია. მთელი იმისი ლექსების საგალობელი საგანი ერთი და იგივეა, ერთსა და

იმავე პანგზედ მღერის (პანგი, პირიქით, სხვადასხვაა, მისი თაყვანისცემის საგანია ერთი უცვლელი - ე. კ.); მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს სრულიად არ ამცირებს პოეტის ნაწერების არც დირსებას და არც მნიშვნელობას. ისტორიულად და ფსიქოლოგიურად სრულიად ბუნებრივია და მისახვედრი, რომ ჩვენს მგოსანს მარტო ერთი ფიქრი და ამრიგრივ უგრივადღეს თაქმი. ეს მწერლის მოქალაქეობრივ სიკეთესაც ამტკიცებს, ხოლო ესთეტიკურად, ჩემი აზრით, პოეტის ხელოვნება მით უფრო მაღლა არის დასაყენებული, რამდენადღე ერთსა და იმავე საგანს ღრმად და ყოველნი მხრივ დაგვისურათებს“.

ზოგჯერ შემოქმედი მელმეგბად კრიტიკულია საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ ეს არ შეესაბამება ხოლმე რეალურ ვითარებას. მაგალითად, ბოდლერი ფიქრობდა, რომ მის ლექსებს ახლო მომავალში ცოცხა ენზე თუ წაიკითხავდა. ეს ვარაუდი ოდნავადღე არ გამართლდა. მთლად პირდაპირ არ უნდა გავიფიქროთ, აგრეთვე, აკაკის განხილვება, როცა იგი თავის თავს „დღიურ მუშად“ სთვლიდა. კიკა აბაშიძე სამართლიანად აცალკევებდა მისი ღირისის შედეგებს დანარჩენი, ყოველღიური საჭიროების გამო დაწერილთაგან და ასევე მართებულად აღნიშნავდა:

„აკაკი წერეთელი შემცდარია, როცა ამბობს, რომ მომავლისთვის არა ვსწერღიო და თამამად შეგვიძლია მოვახსენოთ, რომ შესაძლოა დიდ ნაწილს მისი საგირებისა და პუბლიცისტური ლექსებისას და წერილებისას აწუკვე მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდეს, როგორც თვითონვე აღიარებს, მაგრამ მისი საღირიკო პოეზია კი მომავლისთვის არის შექმნილი და მის ლექსებში მხოლოდ იმასა აქვს საუკუნო მნიშვნელობა, რომელსაც საუკუნო ღიადი ამრი და ფიქრები აქვს საგნად, ანღა ღღიური აე-კარგი, მაგრამ უკვღავი „ხელოვნებით“ შექმნილი; ერთი სიკვეთით, მის ნაწერებში არის უკვღავი, რაც უკვღავ და საუკუნო ფორმით არის შემოსილი“.

ნიშანღობღივი და კანონზომიერიღა ისღი, რომ კიკა აბაშიძემ ყურღღებღა მიღქღიღა აკაკის ღღირიკღში ყვეღღამღე ხშირღად გამოყენებულ პოეტურ ხტგებს - „სანთღლს“ და „ფუტკარს“, რომელთღაც „ციციღნღიეთღღასა“ და „სუღღიკოს“

ავტორი პოეტის ანუ თავისი თავის ყველაზე მუსტ და მეტყველ მეტაფორად თვლიდა. ამ და სხვა მსგავს სახე-სიმბოლოებზე შემდგომ მოგვიხდება ზოგი რამის თქმა.

აკაკის ლირიკის შინაგანი ბუნების ნათლად წარმოსაჩვენად სიმონ ჩიქოვანი შეიპირისპირებას მიმართავს და მისეული ზოგადი დახასიათება რეალურ სურათს ასახავს, უჭველად გასაზიარებელია:

„თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე ინტონაციური ბუნების სიგვეის ოსტატები იყვნენ, აკაკი წერეთელი უფრო მელოდიების შემქმნელი მელექსე იყო. „სულიკოს“ ავტორის ლირიკულ შემოქმედებაში აღწერილი ადგილები იშვიათად შეიმჩნევა. მისი ლირიკული ლექსები უფრო პოეტური საგალობლებია, ვიდრე პოეტური სურათები, მისი შინაგანი პოეტური მიდრეკილება მელოდისკენ იხრებოდა“.

კიტა აბაშიძის, ნიკო ლორთქიფანიძისა და სხვათა კვლადაკვალ სიმონ ჩიქოვანიც აღნიშნავს: „აკაკი თითქმის ერთი თემის პოეტია და ეს ერთი თემა ბიოგრაფიულად განცილებილი სამშობლოს სიყვარულია.“, მაგრამ იქვე მიუთითებს ამ „ერთი თემის“ ამოუწურავ ნაირგვარობაზე, რითაც ასე უხვია აკაკის პოეზია:

„სამშობლო მხარე პოეტს მრავალი სახით ჰქონდა წარმოდგენილი. იგი ხან ხატად მოეხატებოდა და ხან სხეულების მექრნალად ეჩვენებოდა; სამშობლო ზოგჯერ მიჯაჭვულ ამირანს ჰგავდა და ზოგჯერ ქაჯეთში დატყვევებულ ნესტან დარეჯანს. ხშირად დღესაც უძელებს მკითხველს გაიგოს, რომელია ნამდვილი პატრიოტული ლექსი და რომელი – წმინდა სატრფიალო გალობა, მკითხველი ხშირად ვერ ხედება, ვინ არის ცინიანთელა – პოეტის გურუა იგი თუ უცხოთა მიერ დაპყრობილი სამშობლო მხარე, სულიკოს საფლავი დაკარგული მიჯნურის სამარეა თუ წარსულში სასიკვდილოდ განწირული ქართველი ხალხის ბედი. მშრომელი და გამბრჯე ფუტკარი პატარა საქართველოა თუ ხალხის სამსახურისთვის თავდადებული მგოსანი?“

სიმონ ჩიქოვანს არც ის დარჩენია აღუნიშნავი, რომ „აკაკი წერეთლის ლექსებში მრავლად გაბნეულია ძველი და ახალი აღთქმიდან

ამოღებული მხატვრული სახეები, სიმბოლოები, იგავები და სხარტული გამოთქმებები“.

აკაკი წერეთლის ლექსების ერთნაწილში შეიმჩნევა მაჯამისაკენ ლგოლება, მუხამბაბის კილო, მაგრამ სიმონ ჩიქოვანი მართებულად ფიქრობს, რომ პოეტმა „აღმოსავლურ ლექსოწყობის ვეროპეიზაცია მოახდინა და ეს ზომები ახალ პოეტურ ხარისხში აიყვანა“.

ასეთივე ამრისაა ლექსთმეოლენე აკაკი ხინთიბიძე, რომლის მონოგრაფიაში „აკაკის ლექსი“ (თბილისი, 1972) საფუძვლიანად, ყოველმხრივ არის შესწავლილი და დახასიათებული პოეტის ვერსიფიკაციული ნაირსახეობა, აგრეთვე, მრავალი მაგალითის მოხმობითა და ბეტრწერაზე გულმოდგინე დაკვირვებით ნაჩვენებია თუ რა ოსტატურად, ძალდაუტანებლად აღწევს აკაკი წერეთელი უმაღოკეთილხმოვნებას, გასაოცარ მელოდიურობას.

აკაკის ლირიკის უმთავრესი მომჯადოებელი თვისებები მუსკად, მოქნილად განსაზღვრა გურამ ასათიანმა: „სიმუსუბუქე, ძალდაუტანებლობა, სილაღე მისი ნიჭისა და შთაგონების განუყოფელი ნიშნებია. მთელ მის შემოქმედებაში ერთ გამოკატანულ სტრიქონსაც ვერ მოძებნით“.

ტიგანური ძალით გარჯილი, სახელითა და დიდებით ტკობას არასოდეს მისცემია, საღათის ძილიდან მამულის გამოსაფხიმლებლად და დასახსნელად, სიციოხლის ბოლომდე დაუცხრომლად იღვანა. ამიგომაც იყო – „ღრმა მოხუცებულობამაც კი, როდესაც თანამედროვენი მის პიროვნებას უფრო სიმბოლოდ აღიქვამდნენ, ვიდრე ცოცხალ არსებად, თვით პოეტს ერთი წუთითაც არ დაღატობს უღრმესი ნიჭი, ერთი წუთითაც არ იღებს მისთვის ყოველი მხრიდან შემოთავაზებულ მესიის გვირგვინს“ (გურამ ასათიანი).

ასევე ჭეშმარიტებაა და ფაქიმი მგრძნობელობით გამოირჩევა გურამ ასათიანის შემდეგი დაკვირვება: „მისი გვიანდელი სიმღერები ხმის შესამჩნევი ცახცახით არიან ნათქვამი, მაგრამ მათში პოეტური შთაგონების დაუოკებელი ჟინი იგრძნობა“. აკაკის ლეითური მადლის უღვეულობასა და უბერებლობაზე მრავალჯერ თქმულა. ეს ცნობილი აზრი გურამ ასათიანს თავისებურად აქვს გამოხატული: „... სიბერეს არ გაუციებია პოეტ“.

ის შთაგონება. პირიქით, მოხუცებულობის, წარმავალი ცხოვრების მწკავე განცდამ თითქოს განსაკუთრებული სიმძაფრე შეიგანა აკაკის პოეზიაში და მას სულის სიღრმემდე შემძვრელი სტრიქონები დააწერინა სიციხის საბედისწერო ფერისცვალებაზე“.

აკაკისნაირი, სამშობლოსა და პოეზიისადმი თავშეწირული, კეთილდღეობის მიმართ სრულიად გულგრილი, ამავე დროს ოჯახმოუწყობელი შემოქმედი, ვინც ადრეული ჭაბუკობიდანვე ერის მსახურების ეკლანი გზა აირჩია, თავისთავად ცხადია, სიამაგებობით ვერ იცხოვრებდა. იხედავ, ყოველგვარი პრაქტიკული ცხოვრების უნარს მოკლებული იყო; ჭიათურის შავი ქვა მან აღმოაჩინა, იყოფა, იმ საბადოს რაოდენი სარგებლობის მოგანაც შეუძლო, დიდძალი დრო და ენერჯია შეაღია ხსენებულ საქმეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოაბა თავი. მრეწველის შინ და შარი-ფათი რომ ჰქონოდა, უთუოდ დიდი შეძლები-სა და ქონების პატრონი გახდებოდა. თუმცა პირადი გამდიდრების სურვილი არასოდეს გასჩენია; შავი ქვის გატანაც ვეროპის ბაზარზე მხოლოდ იმიტომ მოიწადინა, რომ შემოსავალი მისთვის სათაყვანებელი საუნჯის – ხალხური შეპირსიცივეერების შეკრებას და დაფიქვებისგან გადარჩენას მოხმარებოდა (ეს მისი დიდი, უპირველესი მამულიშვილური სურვილი და შრუნვა კიდევაც აისახა პოეტის ანდერძში).

შემთხვევით არ გამოთქმულა ის საგულისხმო აზრი, რომ აკაკი სულიერად, ცხოვრების წესითაც აღრინდელ, რაინდული შემართების ქართველებს ენათესავენოდა, ჩვენი სამშობლოს ძლიერების გარდასულ ხანას მისტიროდა და თავისებურადაც აიცილებდა (გალაგკიონ გაბიძემ მას „ძველი საქართველოს მოღანდება“ უწოდა, საუკუნეთა სიღრმიდან გამოსმობილად მიანდა. არ უნდა გვაფიქვო-ლოვდეს, რომ მისი სიცილი, მხიარულება მოიწვევბითია (ამას თავადაც აღნიშნავდა) და ... მისი სახე ღრმა ჩაფიქვების სვედის ნაოჭით არის დაღარული. გაიხსენეთ მისი ისტორიული პოემები და ღრამები, მისი პაგორიოგული და ეროტიკული ლექსები, წაიკითხეთ მოგიერთი მისი კერძო წერილი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არის თორნიკე

ერისთავის, ცოგნე დადიანის და პეტრე ბუაჩიშვილის თანამებრძოლი, რაინდული ფეხველეობის გური მიჯნურობის გმირი, საქართველოს უანგარო გრუბალური, რომელსაც თითქო რამდენიმე საუკუნე დაუგვიანია და იმის მაგიერად, რომ თავისი პოეტური შემოქმედებით ძველი საქართველოს ლაშქარი აღუერთოვანებინა, გაიძვრა ალვოკატების და გონე-ბაჩლუნგი შედუქნეების წრეში მიხედრილა“ (გერონგი ქიქოძე).

ჭემშირთაგად სავალალო სურათია დახატული, მაგრამ ამ ღმერთკაცს ეყო ძალა და მხნეობა, ბოლომდე ქედუხრულად მღვარიყო იავარქმნილი სამშობლოს სადარაჯოზე და როცა თანამედროვეთა შორის ხშირად ღირსეულს ვერაფის ხედავდა, „ეფუხისგაყოსნის“ პერსონაგოთა და დიდი ხნის წინათ დამიწებულ გმირთა სახელებს იმეველებდა, მათ უხმობდა „ცხრაკლიგულში მჯლომარე“ სატრფოს გამოსახსნელად. ამ სურვილითვე ჩაივდა სამარეში.

მივედ უნამუნო პროგრამული ხახიათის ლექსში „პოეტის კრელო“ პირდაპირ, შეუღამა-შებლად ამბობს: „მე გრძნობით ვფიქრობ, აზრით კი ვგრძნობ“. ამ გამოხატუებას უყოყმანოდ დაეთანხმებოდა აკაკი, რომელიც მუდამ ამრისა და გრძნობის შეთანაბრების მომხრე იყო და რომელსაც მსგავსი შეხედულება პოეზიაზე არაერთხელ გამოუხატავს, როგორც სიცივეერად, ასევე სხვადასხვა ლექსებში. აქ, უპირველეს ყოვლისა, გახახსენებელია მისი გამოშვევად თამაში, ცუცხლოვანი სტრიქონები: „მაგრამ ლექსი რა ლექსია, თუ რომ გულს არ დავსობა“.

მკვლევარები ხშირად იმოწმებენ პანისეს სიცივეებს: „პოეტების ცხოვრების ისტორია მათსავე ნაწარმოებებში უნდა მოვძებნოთ, მხოლოდ იქ შეიძლება ვიპოვოთ მათი უიღუმალესი აღსარებანი“. აკაკის შემოქმედება (პოეზია, პროზა, ლიგერატურული წერილები, პუბლიცისტიკა, პირადი ბარათები) საამისოდ უხე მასალას იძლევა.

იმავე უნამუნოს, შემოთ ნახსენებ ესეში, თითქოს აკაკიმე ეთქვას: „პოეზია ბულებულის გალობაა, პოეტს არ ძალუძს ამხნას აზრი თავისი სიმღერისა და არც ის, რაგომ მღერის ასე. ცხოვრებაში იგი ნამდვილი ბულებულია“.

მიუხედავად მისი პოემიის კლასიკური სი-  
სადავისა და გამჭვირვალობისა, აკაკის მთე-  
ლი სიციცხლის მანძილზე ანეციფრებდა და  
აჯადოებდა ხილული სამყაროს იღვრებდა  
და მის არაერთ ქმნილებაშიც ბევრი რამ არის  
ისეთი, რასაც სახელს ვერ დაარქმევ და რაც  
მხოლოდ უნდა იგრძნო და განიცალო.

აკაკი წერეთლის ბიოგრაფიის პირველწ-  
ყაროები, ხელნაწერები, ლიტერატურული მემკვი-  
დრეობა საფუძვლიანად შეისწავლა და პოეტს  
თვალსაზირობა ამაგი დასლო მკვლევარმა გიორგი  
აბშიანიძემ, რომლის კომენტარებიც, თხუთმეტ-  
გომიანი აკადემიური გამოცემის ცალკეულ  
ტომებზე დართული, განსაკუთრებულად ფასეუ-  
ლი და ანგარიშგასაწეია.



აკაკიმ დიდად გაუადვილა საქმე მისი ცხოვ-  
რებისა და შემოქმედების მკვლევართ, აუ-  
გლობიორგანიზებული ხასიათის ბრწყინვალე წიგ-  
ნი „ჩემი თავგადასავალი“ რომ დაწერა. სამ-  
წუხაროდ, თავდაპირველი ჩანაფიქრის ბო-  
ლომდე განხორციელება ვერ შესძლო, მეტის-  
მეტად შეკვეცა ადრე განზრახული, მაგრამ  
რაც არის, ჭეშმარიტად მაღალმხატვრული,  
უტყუარი და ძალზე ფასეულია.

მრავალ მოძიებულ მასალასთან ერთად,  
აკაკის ეს წიგნი და თვით პოეტის მიერ მო-  
წოდებული სხვა დოკუმენტური წყაროები  
დაედო საფუძვლად ლევან ასათიანის უად-  
რესად მნიშვნელოვან მონოგრაფიას „ცხოვ-  
რება აკაკი წერეთლისა“ (თბილისი; 1953). ასევე  
ძალზე სასარგებლოა ნოდარ გურგენიძისა და  
ილია გორგაძის ერთობლივი ნაშრომი „აკაკი  
წერეთელი – ცხოვრებისა და შემოქმედების  
მაგიანი“ (თბილისი, 1989), სადაც აკაკის ცხოვრე-  
ბასთან, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ  
საქმიანობასთან დაკავშირებული თითქმის ყვე-  
ლა საჭირო ცნობაა თავმოყრილი.

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წლის  
9 ივნისს, ზემო იმერეთის სოფელ სხვიგორში,  
როსტომ წერეთლისა და ეკატერინე აბაშიძის  
ოჯახში. წერეთლები იმერეთის სამეფოს ცხო-  
ვრებაში კარგა ხანს აქტიურად მონაწი-  
ლეობდნენ და ძველი წარმომავლობის ამ  
ფრიად გავლენიან ფეოდალურ გვარს არაერთ-  
თი წარჩინებული პიროვნება ამჟღავნებს. მათი

თავდაპირველი საცხოვრისი ქართლში,  
მდინარე ფრონეს ხეობაში ყოფილა, ამჟღავნებს  
გამიარებულია მოსაზრება, რომ წერეთლები  
თავიანთი „სამკვიდრო მამულიდან“ (სოფე-  
ლი თიღვა და მისი შემოგარენი) იმერეთში  
მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს გადასულან,  
ხოლო მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევ-  
რიდან დიდძალი მამულების მფლობელები  
გამხდარან. სწორედ იმ ხანებში დამკვიდრებუ-  
ლა შემდგომ ფართოდ გავრცელებული გერ-  
მინი „საწერეთლო“.

აკაკის მამა, გორგოზი და მედმეტად ფიცხი,  
პატივმოყვარე მეზაგონე როსტომ როსტო-  
მის ძე წერეთელი, საკუთარ კარ-მიდამოში  
ჩაკეცილი, ნიჭიერი, თავისებურად გულკეთილი,  
მაგრამ უსამველოდ ზარმაცი, საკმაოდ ახირე-  
ბული მნის კაცი იყო (შვილის მოგონებებში  
იგი შედარებით ლმობიერ პიროვნებად გამ-  
ოიყურება, მაგრამ მის რამდენიმე კურობულ  
საქციელზე მაინც არის ზოგი რამ ნათქვამი).  
უცნაურობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ  
შვილებს სწავლის დამთავრებას არ აყლიდა  
და თვითონ აკაკიც ქუთაისის გიმნაზიის მეშ-  
ვიდე კლასიდან გამოიყვანა, რის გამოც მის  
საამაყო ვაჟს შემდგომში ხელი შეემაღა.

დედა აკაკისა – ეკატერინე ივანეს ასული  
აბაშიძე იმერეთის მეფის სოლომონ პირვე-  
ლის პირდაპირი შთამომავალი იყო. ადრე  
დაობლებული (მამამისი, იმერეთის 1819 წლის  
აჯანყების ერთ-ერთი თავკაცი, დღაგათ  
მოკლეს ახალციხეში), იგი ერთხანს ბიძამისის,  
გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიე-  
ლის კარზე იმყოფებოდა. გურიელის სასახ-  
ლეში მას ფრანგი პატრები ზრდიდნენ. ზედ-  
მიწევნით შეასწავლეს საექიმო საქმე, სოფ-  
ლის მეურნეობა. სათნო, ღვთისმოსავი  
პიროვნება, მწიგნობარი, მუხლჩაუხრელად  
მშრომელი და გულმოწყაღე, ყველა გაჭირე-  
ბულის გამკითხავი – ოცი წლის მიათხოვეს  
როსტომ წერეთელს და ოჯახის მოვლა, გამ-  
დოლა თითქმის მთლიანად მას უხდებოდა.  
აღნიშნავენ, რომ აკაკის სწორედ დედისაგან  
გამოჰყვა ხასიათის სიღბო, წიგნის კითხვაში  
მუყაითობა, ცოდნისკენ ღვაღაღა, ბედისგან  
დაჩაგრულთა მხარეზე დგომა, სიკეთის ქმნის  
მუღმივი სურვილი.

თავაღ-აზნაურობაში დამკვიდრებული,



ყოველად მოსაწონი ჩვეულების მიხედვით ახალდაბადებული აკაკი გააძიძავეს მახლობელ და ერთ-ერთ უღამაშეს სოფელ საფანეში, გლეხის ოჯახში. მისი ძიძა მანო საღნიშეილი მწეკეთილი, მოსიყვარულე, დედობრივად მზრუნველი, პოეტური ბუნების აღამიანი იყო. გლეხის ბავშვებთან ყოფნამ და აღზრდამ აკაკის ბევრი სასიკეთო რამ შესძინა - გემო გაუგო, იმთავითვე დაეწაფა შეპირსიკვიერებას, ხალხურ ლექსებსა და თქმულებებს; ხშირად დიდიდან დაღამებამდე იმყოფებოდა მწყემსებთან, ყანის მუშებსაც აკვირდებოდა, ისწავლა საქონლის მოვლა-პაგრონობა, ძიძიშვილებთან და გოლ-ამხანაგებთან ათასნაირთ. თამაშობითაც ერთობოდა. ყოველთვის დაწერილებით, სახოვანად, დიდი ცხოველმყოფელობით არის მოთხრობილი „ჩემს თავგადასავალში“. ექვსი წლის აკაკი სხვიგორში, მამისეულ სასახლეში დააბრუნეს, მაგრამ ის მაღლი, სითბო და სიყვარული, ჯადიას ოჯახიდან რომ გამოჰყვა, სიცოცხლის ბოლომდე არ დაეიწყებია.

წერა-კითხვა აკაკის უფროსმა დამ, მემდგომში გაუთხოვრად დარჩენილმა ანამ შესწავლა. დედა, რა თქმა უნდა, თვალყურს აღევნებდა ცნობისწადილით აღსახე შეილის მისწრაფებას, მაგრამ იშხანად შეყადინეობაში უშეალოდ არ ერეოდა. აღსანიშნავია, რომ აკაკიმ უჩვეულოდ ადრე, სრულიად პაგარამ გამოამედავნა ლექსების შეთხზვის გამორჩეული ნიჭი. თავიდანვე ეგყობოდა აღამიანთა მანკიერების მხილებისა და გაკილვის იშვიათი უნარი და ის რამდენიმე, თითოსტროფიანი ექსპრომიტი, რომლებიც ისევე მისმა დამ ანამ შემოგვინახა, გამოთქმელის კვიმაგ ენახა და მახვილგონიერებაზე მეტყველებს, ჩანასახშივე იგრძნობა, როგორ ეხერხება მას ჟრამის მოქნევა, სამიშნედ შერჩეულ „მსხვერპლით“ (ხაბაში, მემარნე, მოურავი) გამათრახება.

1850 წელს აკაკი მამამ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. სწავლაში იგი სიბეჯითეს იჩენდა და კითხვითაც ბევრს კითხულობდა, მასწავლებლებთან ყურადღება და სიყვარულიც დაიმსახურა. გიმნაზიაში ყოფნისას ევრნალ „ციისკრის“ 1858 წლის შეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნდა ლერმონტოვის ლექსის („რგო პალესტინისა“)

მისეული თარგმანი. მომდევნო წელს მამამ აკაკი გიმნაზიიდან გამოიყვანა და შეგვრებულ ბურგს გაგზავნა სახმედრო სასწავლებელში ჩასარიცხად. ქართველ სტუდენტებში მოხვედრილმა აკაკიმ (იმ დროს ილია ჭავჭავაძე იქ იმყოფებოდა და ერთმანეთი გაიყნეს) გადაწყვეტილება შეეცალა და პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

აკაკის ნამდვილი ლიტერატურული ნათლობა მოხდა 1860 წელს, როცა იმავე „ციისკრის“ პირველ ნომერში ევრნალის რედაქტორმა ივანე კურსულაძემ გვარ-სახელით დაუკვდა (ეს შედუმეტად შორსევი ავტორის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა) პეტერბურგში დაწერილი ერთ-ერთი უმშენიერესი ლექსი „საიდუმლო ბარათი“, რომელშიც პოეტმა თვალნათლივ დაგვანახა თავისი სახე და განუმეორებელი ნიჭი, როგორც ლირიკოსმა; გამოავლინა გამომწეული ლგოლევა ხალხური უბრალოების, სისადავისაკენ, რამაც ბევრწელად განაპირობა ჟრამის სილაღე, მუსიკალობა, თვით ლექსის სასიმღერო ხასიათი. „საიდუმლო ბარათი“ დაულო სათავე აკაკის მომავალ უჭკნო შედევრებს, რომელთა მომხიბლობასაც ყველი არასოლეს გაუვა, მუდამ შეარხევენ ჩვენი სულის იღუმალ სიმებს და უმაღლესი პოეზიის მაღლს გვაზიარებენ.

იმ დროს, როცა ილიასა და აკაკის, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, პეტერბურგში უხდებოდათ ყოფნა, ახალგაზრდობის უმრავლესობა რუს რევოლუციონერ-დემოკრატი (ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და მათი მიმდევრები) იღვების მძღავრ მეგავლენას განიცდიდა. ერთი, ნიპილისტურად განწყობილები, საესეებით უარყოფდნენ ხელოვნების ფახეულობას, სხვანი (ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ), პირიქით, აფეტიშებდნენ ხელოვნებას, პოეზია მხოლოდ კეთილზმეოვნების, გკიბლ ხმათა საუწლოდ მიაჩნდათ. აკაკისთვის ყველაზე სასურველი გრაფ ალექსი გოლსტოის მომიერება, „სამუალო ხაში“ აღმონდა, ვინაიდან იგი ვერასემბით ვერ დადგებოდა იმათ გვერდით, „უშეიანის მიწახთან გასწორებას“ რომ ღამობდნენ.

1862 წელს აკაკიმ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. სწავლას მუდამ დიდი გუ-

ლისკურით ეკიდებოდა. არ ჩარეულა სკულუნი-  
გთა არეულობაში. დაწერა ძალზე საინტე-  
რესო საკანდიდატო თხზულება „ვეფხისტყა-  
ოსნის“ ორიგინალობაზე, სადაც შეენიერის,  
მკვლევარის საუკეთესო თვისებები გამოაფ-  
ენინა, მაგრამ მიუხედავად წარმატებისა  
დიპლომი ვერ მიიღო, ვინაიდან გიმნაზიის  
დამთავრების მოწმობა არა ჰქონდა.

1864 წელს, მოსკოვში ყოფნისას, აკაკიმ გა-  
იყნო რუსულ არისტოკრატიულ ოჯახში აღ-  
ზრდილი ქალიშვილი ნატალია ბაზილევსკა-  
ია და მალე ცოლადაც შეირთო. რუსეთში  
ყოფნის დროსვე შექმინათ ერთადერთი  
ვაგი, ალექსი. თავისი ხასიათიდან გამომ-  
დინარე, აკაკი არ აპირებდა ცოლის შერთვას,  
მაგრამ მასზე თავდადავიწყებით შეყვარებული  
ყმაწვილი ქალის ცრემლიანმა აღსარებამ  
(გოგონას ძალად ათხოვებდნენ არასასურე-  
ულ პიროვნებაზე) პოეტი ააღელვა და ეს  
ნაბიჯი გადაადგმევინა. ქორწინებას აკაკი-  
სთვის ბედნიერება არ მოუგანია, ნიადაგ  
ფინანსურ გასაჭირში მყოფი, სულ იმას ცდი-  
ლობდა, უმრუნველ ცხოვრებას მიეყუდოდა.  
ცოლ-შვილი, რამდენადაც შეეძლო, კმაყოფილი  
ჰყოლოდა და ეს მძიმე ჯვარი სიცოცხლის  
ბოლომდე უღრგვინებლად ზიდა.

საქართველში ჩამოსულმა აკაკიმ ცოლ-  
შვილი სოფელში დააბინა. თვითონ კი  
ქუთაისში დარჩა, შეუდგა ქართველი მწერ-  
ლის მძიმე, უმაღურ ცხოვრებას. ქუთაისში, სა-  
ბედნიეროდ, აღმოჩნდნენ კეთილი, ღვთის-  
ნიერი აღამიანები, რომელთაც დახმარება  
გაუწიეს ხელმოკლე პოეტს. ერთმა მათგანმა,  
იმხანად სასკუმრო „კოლიდას“ მებაგრონემ  
გიორგი ჭელიძემ ნომერიც უფასოდ მისცა  
და სახმელ-საჭმელშიც ფულს არ ახდევინებდა.  
სულიერი სიმშვიდე როცა მოეხატებოდა,  
აკაკი ნიკო ნიკოლაძის მამის – იაკობ ნი-  
კოლაძისა და ბესარიონ ხელთუფლიშვილის  
ოჯახებს ესტუმრებოდა ხოლმე, მათთან  
პოეუბდა შეებას.

განსაკუთრებით ხშირი და სასურველი  
სტუმარი აკაკი მანინ ნიკოლაძეების ოჯახში  
ყო. ნიკო ნიკოლაძის და ანა მთელი  
ცხოვრება ფარულ, გაუმკლავებულ სიყ-  
ვარულს აგარებდა აკაკისადმი და თავისი  
წმინდა გრძნობა გულშივე ჩაიკლა, გაუთხო-

ვარი დარჩა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გულმოდ-  
ამოკიდებულება, რასაც თვითონ ნიკო ნი-  
კოლაძე აკაკის მიმართ იჩენდა. სწორედ  
მან დაითანხმა აკაკი 1870 წელს, რომ იგი  
ქუთაისიდან თბილისში გადასულიყო და  
სერგეი მესხთან დაეწყო თანამშრომლობა  
„დროების“ რედაქციაში. არც ის უნდა დაეიფ-  
ყოთ, რომ ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით  
მოხდა ილია ჭავჭავაძის წამოსვლა ლუშეთიდან,  
სადაც „აირდილის“ ავტორი მომრიგებელ  
მოსამართლედ მუშაობდა.

არ დარჩენილა საზოგადოებრივ ცხოვრე-  
ბასთან, ქართველი ხალხის ყოფასა და  
კულტურასთან დაკავშირებული ცოგად თუ  
ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის  
გადაწყვეტაში აკაკის ცხოველი მონაწილეობა  
არ მიეღოს. განუშორელი ამავი დასდო მან  
ქართული პროფესიული თეატრის შექმნას.  
გარდა იმისა, რომ ორიგინალური ქმნი-  
ლებებით გაამდიდრა ქართული დრამატურ-  
გია, მუდამ მხარში ედგა ერთუშიასკ სცენის-  
მოყვარეებს, ყოველმხრივ ესმარებოდა და  
ახალისებდა მათ. ქუთაისში, საზოციანი  
წლების დასაწყისში, აკაკის ძალისხმევით იქნა  
წარმოდგენილი შურაბ ანგონივის პიესა „მშის  
დაბნელება საქართველოში“. ქუთაისშივე  
დაუახლოვდა აკაკი მომრიგებელ მოსამარ-  
თლელ მომუშავე რაფიელ ერისთავს, რომელ-  
საც მასავეთ გამოკვეთილი თეატრალური  
ინტერესები და საამისო ნიჭიც ჰქონდა.

ქუთაისის გუბერნატორის, გრაფ ლევაშო-  
ვის მუდლემ, რომელმაც ქალთა უფასო სკო-  
ლა გახსნა და, საერთოდ, ქველმოქმედები-  
თი საქმიანობით გამოირჩეოდა, რაფიელ  
ერისთავს თეატრის გამართვა დაეავალა. მალე  
რაფიელ ერისთავმა და აკაკიმ ქუთაისში ჩამო-  
აყალიბეს საკმაოდ ძლიერი თეატრალური  
დასი, რომელმაც საზოგადოების მოწონება და  
სიყვარული დაიმსახურა და საგასტროლოდ  
თბილისშივე იწვევდნენ.

თეატრთან მჭიდრო კავშირი აკაკის არა-  
სოდეს გაუწყვეტია, პირიქით, ცხრაასიანი წლებ-  
ში იგი ქართული დრამატული დასის ხელმძღ-  
ვანელი, მისი ყველა წამოწყების მთავავე და  
სულისჩამდგმელი გახლდათ.

პოეზია აკაკის ცხოვრება, მისი უპირველ-

სი მოწოდება იყო, მაგრამ იგი თავიდანვე დიდ მიღრეკილებას ამკლავებდა პუბლიცისტიკისადმი, სადაც მის მძლავრ გალანგს ფართო გასაქანი მიეცა. ცხადია, ყურადღებით აღწევდა თვალს ჩვენს ლიგერატურაში მიმდინარე ცოცხალ პროცესებს. ოცდახუთი წლისამ „ესიკარში“ გამოაქვეყნა ძალზე პრინციპული, საყურადღებო რეცენზია „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ (იგი სათაურითაჲ და ჯანყიანი სულის კეთებითაჲ წააგავს ილიას ცნობილ „რამდენიმე სიტყვას“), რომელშიც სანიმუშო პირდაპირობით, პირუთინულად გამოსთქვა თავისი მრწამსი და შეხედულუბები იმდროინდელ მწერლობაზე, მის ცალკულ წარმომადგენლებზე. აქ დააწყვილა მან ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელთაც „ჩვენი მწერლობის მოსე და აარონი“ უწოდა.

ქართული სალიგერატურო ენის გახალხურების საკითხში აკაკიმ იმთავითვე უყოყმანოდ გაიზიარა ილიას თვალსაზრისი და ამან განაპირობა მათი შეჯახება ე. წ. „მამია ბანაკონი“. განსაკუთრებით აქტიურად ჩაება ამ დეკამი გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც გახმარებულ ლექსში „პასუხი შეილთა“ დაცინვით, აგდებულად მოიხსენია ახალი თაობის არაერთი წარმომადგენელი, მაგრამ მას არც დაუშვავად გაბიაბრებული „სამოციანელები“ დარჩნენ ეალში. ყველაზე მწვავე მათ შორის აკაკის სატირული მახვილი იყო. პამფლეტური პოემის უძლიერეს ნიმუშად ითვლება გრიგოლ ორბელიანის განმარტებელი ლექსი „ხარაბუბა ღენერალს“. თუმცა ეს მაინც ეპიბოლურ შემთხვევად უნდა შევრაცხოთ – შემდგომში ილიაჲ და აკაკიჲ დიდად აფასებდნენ გრიგოლ ორბელიანის მამულიშვილურ და მწერლურ ღვაწლს, გარდაცვლილსაჲ შესაფერისი პატივი მიაგეს. საგულისხმოა, რომ გრიგოლ ორბელიანთან ერთად, ორიენი ქმედითად მონაწილეობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიაში, სადაც ბევრი რამ გაკეთდა რუსთველის გენიალური პოემის გექსტის ცალკეული ადგილების დასადგნად. გასასწორებლად.


საყოველთაოდ ცნობილია – აკაკის, როგორც ქურნალისტიკის, გასაოცარ ნაყოფიერებას, ყველაზე მეტად, სერგეი მესხისა და მის

გამბეთს „დროებას“ უნდა ვუმაღლოდეთ. თვითონ უნიჭიერესმა ქურნალისტიკაჲმ, ვარც იყოლა – თუ აკაკი მასთან ითანამშრომლებდა, „დროების“ წარმატებას წინ ვერაფერი დაუღებოდა. ამიტომაც, დროდადრო, რაღაცეებზე განაწყენებულ აკაკის (ოჯახური მდგომარეობის გამო ნერვებაწვილ პოეტს კი მცირე მიზეზიჲ ჰყოფნიდა, განწხლებულიყო) შემოირიგებდა ხოლმე, მისივე თქმით, თავს მოუქონებდა ხოლმე სერგეი მესხი, რომელიც აკაკის გამორჩეულად უყვარდა და რომლის ნაადრევმა გარდაცვლებამ დიდად დაამწუხრა, მუდამ სასოებით იგონებდა.

„დროებაში“ აკაკი ხერხიბად ბუჭდავდა საჭირობოროცო, ცოცხლად, მიმზიდველად დაწერილი ფელეტონებს, პოლემიკურ თუ შეყენებით ხასიათის წერილებს. პირველად ამ გამბეთმა მიაწოდა ქართულ მკითხველს მისი გენიალურად მოფიქრებული ლექცენდა „გოგია-შეჩონგურე“. 1876 წელს „დროებაშივე“ გამოაქვეყნა აკაკიმ ღრმამაშროვანი, ბრძნული წერილი „ჩანგური“, სადაც ძალზე მოხელნილად, მეტაფორულადაჲ გამოთქმული საქართველოს ცალკეული კუთხების ერთიანობის აუცილებლობა: „... საქართველო – ეს არის ჩანგური, რომლის სიმუხსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხრელო, გურია, აფხაზეთი, ლაზისტანი და სხვ. თვითეულ ამითგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კრძოდ თავისთავად არც ერთს არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ“.

აღუნიშნავი არ დარჩენილა, რომ ეს საკრალური ამრი პოეტმა შემდგომ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვთა, მწყობრი საღვთო ფორმა მოუხებნა და დიდოსტატურადაც გამოხატა საყოველთაოდ ცნობილ „ნათელას სიმღერაში“.

ქართული ლიგერატურის დაცინების უმთავრეს მიზეზად აკაკი წერეთელს ის გარემოება მიაჩნდა, რომ მისი თანამედროვე მწერლები საქართველოს ყოფას, ხალხის მისწრაფებასა და მწეჩვეულებებს ჯეროვნად, მთლიანობაში არ იცნობდნენ, ბევრს უსოხოეთისკენ ეჭირა თვალნი და სამშობლოდან წასულები, მამამაჲველ კერას მოწყვეტილები, კარგადნენ ეროვნულ ცნობიერებას, გადაგვარების გზაზე დგებოდნენ. თვით მას ფხლადუხს ქონდა შემოვლილი საქართველო, ყოველ კუთხეს



მისებურად ეფერებოდა, ამხნევებდა, კითხულობდა ლექციებს მარად სათაყენებელ „ეუფისიგაოსანზე“, წარმოსთქვამდა ლეთიური მაღლით შთაგონებულ სიტყვებს, რომელთაგან ბევრი პოეგის უბადლო ორაგორულ ნიჭზე შეგველაუბს.

პოეზიისა და მამულიშვილობის ცოცხალ სიმლოდლ ქვეულ აკაკის, სადაც კი ჩადიოდა, ყველგან უსამღერო აღგაყებითა და სიყვარულით ეგებებოდნენ. განსაკუთრებულად დიდი გამოძახილი ჰქონდა გორსა და თელავში მის ყოფნას, იქაურ საზოგადოებასთან შეხვედრებს. ეს იყო პოეგის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე დამაში და ამაღელვებელი ფურცელი.

ყოველთვის გაწონასწორებულმა, საკვირველად გულდინჯმა და სიგყვადიერმა ბრძენკაცმა ილია ჭავჭავაძემაც ვერ დაფარა თავისი აღფრთოვანება – აკაკის მოგზაურობას ქართლსა და კახეთში „ივერიის“ 1882 წლის მეცხრე ნომერში საგანგებოდ დაწერილი „შინაური მიმოხილვა“ მიუძღვნა, უმოზოდ გახარა, რომ მისმა დიდმა თანამებრძოლმა, უღლის გამწვევმა უხეად მოიმკო ხალხში მის მიერვე დათესილი სიკეთე. მსგავსი აღიარება „ოთარაანთ ქერივის“ დამწერისაგან არცერთ მოკვდავს არ ღირსებია. ძნელი წარმოსადგენია შემოქმედის ნიჭისა და ღვაწლის უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე ილიას იმ წერილშია, რომლის ძალისა და წარუვალი მნიშვნელობის გასაკებად მცირე ამონარიდებიც იკმარებს: „... საქართველოს და ქართულის სიყვარულისგან არის წარმომდგარი ის პაგივისცემა, რა პაგივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეგს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არაერთხელ დაუკნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარდიანი სიგყვა, თავისი სიგურფით სახეუ ქართული. საცა წაეიდა ბაგონი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთა-ასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართულისა, წინ დახვდა გულწრფელის პაგივისცემითა და მაღლიერებით აღსავსე გულითა. აგრეთვე, თვითონვე იგემა ბაგონმა აკაკიმ ნაყოფი თავისი დანერგულისა და დათესილისა.

ჩვენ ესეთი მიღება ბაგონ აკაკი წერეთ-

ლისა აღენიშნეთ, როგორც სანუგეშო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენის ცხოვრების წარმატებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც არის. ეგ არის სიგყვა აკაკი წერეთლისა თქმული თელავში კახელების წინაშე, ამაზღ მშვენიერი სიგყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაბაჰპოინოთ, სიგყვა აზრს თუ აზრი სიგყვას, – ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიგურფე სიგყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორაგორის ხელოვნებისა დაყულია და ხმარებული, რომ სიგყვამ ისე გასჭრას, როგორც თქმულს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიადწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც თქმულს სურვებია...”

ილიას და აკაკის რომ ერთურობის შემკობა აერასოდეს ჰქონიათ მიზნად და ერთმანეთის ყურის საამებლად არ მოედებოდნენ, ვფიქრობთ, ამაზე სიგყვის ჩამოვლებაც უხერხულია. საზომი, რომლითაც ისინი აფასებდნენ ერთმანეთის, ერის სასახურის წმიდათაწმიდა მოვალეობით გამოიხატებოდა და პირად სიხარულსა თუ წყენაზე ბევრად მაღლა იდგა.

სამიღე წლის შემდეგ, 1885 წელს, როცა საჭიროებამ მოიითხოვა და ილიამ ეყრნალი „ივერია“ ყოველდღიურ გამოვთად გაღააკეთა, აკაკის გაუგვანა საგანგებო, ყველასგან განსხვავებული წერილი და მეგობრული თანადგომა სიხოთა. ამ ცნობილ პარათში ერთი ულ კიდე გამოწნდა, რომ დიდმა პიროვნებებმა ერთმანეთის ფასი მშვენიერად იციან. თანამედროვენი შემდგომაც არაერთხელ გამზადრან მოწმენი ილიასა და აკაკის გულითადი, მეგობრული ურთიერთობისა, რასაც, ისეც და ისევე, მამულის თაემწერიული სიყვარული ეღა გვორცინადა.

აკაკი წერეთლის საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან უპირველესი მნიშვნელობისა იყო ჩვენი უმდიდრესი შეპირსიგყვიერების შესაგროვებლად და გამოსამშვეურებლად მუდმივი დაუცხრომელი შრუნეა. თუ რაოდენ სისხლხორცულად მოწადინებული იყო იგი ამ საშვილიშვილო საქმის სწორად წარმართებასა და ღროულად მოგვარებისათვის, 1882 წელს

„ღრობაში“ გამოქვეყნებული განცხადებებიდან ცხადი ხდება. აკაკი შერისტიკეციერების შემკრებთ (უფრო სოფლის მასწავლებლებს) თხოვს, ტექსტი არ გადააკეთონ, აგრეთვე, მუსგად მიუთითონ კუთხე, ადგილი, სადაც მოპოვებულ მასალებს ჩაიწერდნენ.

მოგვიანებით, 1897 წლიდან, როცა გამოსულა იწყოს „აკაკის კრებულმა“ (ამ კურნალმა მხოლოდ სამ წელიწადს იარსება), სადაც პოეტის დაბეჭდავ ნაწარმოებებთან ერთად სხვა რამეხეც იბეჭდებოდა, აკაკი წერეთელს საშუალება მიეცა, უხვად გამოექვეყნებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაწერილი შერისტიკეციერების ნიმუშები. მას არასოდეს ეპყვებოდა ჩვენი ფოლკლორის უნიკალურობა, ამ დიდი სულიერი განძის „მსოფლიო ხასიათი“ და შერისტიკეციერებისადმი მიღვთმაც მუემედარი, მეცნიერულად საფხვებით სწორი პქონდა. ამ შხრივ აკაკი წერეთლის განზომული დამსახურება, დღესდღეობით, სრულადაა წარმოჩენილი და დაფასებული (იხ. თემურ ჯაგონიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, წიგნი პირველი (XIX-XX საუკუნეები), თბ., 2004, გვ. 393-405).

ცალკეა აღსანიშნი ის თვალსაჩინო ამაგი, რაც აკაკი წერეთელმა საბავშვო მწერლობას დასლო და რასაც განსაკუთრებულად აფასებდა იაკობ გოგებაშვილი; უმშვენიერესი ორიგინალური საყმაწვილო ლექსების, მოთხრობების, იოლად ასათვისებელი მახვილგონიერული გამოცანების გარდა, შემოქმედებითად გადმოაქართულა კრილოვის იგაუარაკები, რამაც დიდად შეუწყო ხელი მოზარდი თაობების სრულყოფილად აღზრდასა და ჩამოყალიბებას.

აკაკი წერეთლისთვის აღამაზნობის უპირველესი საზომი სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვა იყო და ადვილი წარმოსადგენია, 1887 წელს რარიგ მძიმედ უნდა განუცადა მას მსოყენი მამულიშვილის, ნამდვილი მწეობრივი გმირის, იარიშმის ჯალათების მიერ სტავროპოლში მხეყურად მოკლული, გადასახლებაში მყოფი დიმიტრი ყიფიანის დაღუპვა. მიუხედავად მთავრობის შხრიდან აკრძალვისა, დასაფლავების დღეს პოეტმა დიდი პატივი მიაგო განსვენებულის ცხელარს, წარმოუთქვამს მოკლე, მაგრამ მგ-

მნებარე სიტყვა, რომელიც პოლიციის აგენტს ჩაუწერია. დიმიტრი ყიფიანის მოწამებრივი სიკვდილი გახდა ის ბიძგი, რამაც მოგვიანებით, 1892 წელს, აკაკის თავისი უპირველესი შედეგერი „განთიადი“ დააწერინა.

აკაკი წერეთლის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და გამოთენებული იყო 1898 წლის 26 ივნისს, შუაღამისას, ივანე მაჩაბლის უყვარი გაქრობა მისივე ოჯახიდან. აკაკი იმ დღეს, ჩვეულებისამებრ, სტუმრად იმყოფებოდა მათთან და საღამოს მასპინძლის, თვით ივანე მაჩაბლის თხოებით დასაძინებლადაც იქვე დარჩა. მაჩაბლის უკვალოდ გაუჩინარებამ იმთავითვე უსიამოვნო მოთქმა-მოთქმა გამოიწვია აკაკის მიმართ, რასაც, ცხადია, არავითარი საფუხველი არ გააჩნდა. მსგავსი ფიქრის გატენებაც კი უდიდესი მკრეხელობა იყო.

აკაკის პიროვნებასა და ბიოგრაფიაში სინათლის შესატანად და ბოროტი მონატორის აღსაკვეთად უთუოდ არსებითი მნიშვნელობა პქონდა მანამდე „აკრძალულ ფონდში“ დაცული, ტასო მაჩაბლისადმი, ივანე მაჩაბლის დაკარგვის შემდეგ, გაგზავნილი 19 წერილის გამოქვეყნებას („მნათობი“, 1996, №9-10; წინათქმა და პუბლიკაცია ნორა კოტინოვისა), რომელთა აუღელვებლად წაკითხვა შეუძლებელია. საიდუმლოებას არც მანამდე წარმოადგენდა, რომ ტასო მაჩაბელი ნახვის დიდნევე ქალის იდეალად ჰყავდა აკაკის წარმოსახული და ეს შთაბეჭდილება კიდევაც აირეკლა არაერთ ლექსში, ცალკეულ გამონათქვამებში. სხენებულ წერილებში სათაყვანებელი არსებისადმი იმდენი თავდაჭერა და მოკრძალება ჩანს უთანაგრძნობოდ დარჩენილი პოეტისა, მხელია მის მიმართ სამულამო პატივისცემით არ განიშკვალო. პირველსავე ბარათში („სიკვდილის წინეთი აღსარება“) ხელნაკრავი, გულგრილობის კედელთან მიმდგარი ღმერთი, კაცი ასე ევედრება შეუბრალებელ აღრეხაგს: „მაპაგივეთ დღეიდან მკედარს და თვით მკედრადაც მიგულვეთ, რომ ჩემმა სახსენებელმაც კი ჩრდილიც კი არ მიაყენოს თქვენს ნათულმოსილ ნეგარებას“. ერთ ბარათს ასეთი მინაწერი აქვს: „სიკვდილამდე შენი ერთგული მოყვარული და უბედური აკაკი“.

ბოლო, ყველაზე ვრცელ, გამოსათხოვარ



წერილში ყოველი ფრაზა აღსარებად გაისმის. ამის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთ ნაწყევებს მოვიხმობთ: „... ამდენის ხნის განმავლობაში, კამკამ წყაროსავით შექონდა თქვენ წინ გადაშლილი ეგებ პოეტურად ახირებულები, მაგრამ მაინც წრფელი გული კი და თქვენც შეგებლათ თქვენის საკუთარით თვალით, და არა სხვების სათვალევით, ჩაგვხლათ შიგ და დარწმუნებულებით, რომ იქ ძირამდე სიწმინდის მეტი არა იყო რა...“ ეს გახლდათ დიდი პოეტის ისედაც გაუხარელი ცხოვრების უმძაფრესი დრამა და ამ უსპეტაკეს გრძნობაში ნატამალიც არ იყო ხორციელი ღვთისა, ყველაფერს ღვთისური შუქი ემოსა. მიუხედავად დროდადრო გამოვლენილი იმედგაცრუებისა და გულგატეხილობისა, ტასო მარაბლის სახება სიცოცხლის ბოლომდე რომ არ მოსცილებია აკაკის ფიზიკურ თუ შინაგან მზერას, ამის აღნიშვნა კიდევ მოგვიწევს.

გამოთქმულია აზრი და ეს თავისთავადაც ასეა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებითი სიმწიფე, დაუმრეგელი ნაყოფიერება ყველაზე მძლავრად ოთხმოციან, ოთხმოცდაათიან წლებში გამოვლინდა, როცა თავისი საუკეთესო პოემებისა და ლექსების უმრავლესობა შექმნა, თუმცა იმასაც ერთხმად აღნიშნავენ, რომ სიცოცხლის მიწურულამდე მის სიგყვას ძალა და ელვარება არ დაკლებია.

სწორედ ამ აღმავლობის ხანაში, 1883 წელს, დაწერა მან გიორგი ერისთავის თხზულებათა კრებულისთვის განკუთვნილი წინასიტყვაობა, რომელშიც განსამღვრა მწერლობის დანიშნულება, სინამდვილის ასახვის უმთავრესი გზა, პირდაპირ განაცხადა: „ეიური ნიჭი ქვეყნის სასამსახუროდ და არა საპირადო რამედ ეძლევა კაცს...“ ის, რაც ამ წინასიტყვაობაშია ნათქვამი (კერძოდ, თავისებურად გაამრებული სარკის შეგაფორა), პოეტის ლექსებშიც დაიხსენიებთ მეორედ და, ამდენად, ერთი, განსაკუთრებულად ანგარიშგასაწვევი და ფარული აბზაკი უნდა ამოვიწყოთ:

„მწერლობა მწეობრივი და გონებრივი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერალს თანადროება მისის სისწორ-სიმრუდით... პოეტის ნაწერშიც იმას უნდა ეხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანამიარს, მოხვედრია. და,

მაშასადამე, მწერალს ნება უნდა ექნება, რომ ყოველდღიურ საერო მოვლენებში, მისთვის წერილმანაც იყოს, თვალი აარიდოს“.

საკვებით მართებულია ლევან ასათიანის თვალსაზრისი, რომ აკაკი ურყევად იდგა ჰუმარიტი რეალიზმის პოზიციებზე და ვერ ურიგდებოდა ბრმა, ნატურალისტურ მიბაძვას: „ცხოვრების შესარკეობა მას ესმოდა არა როგორც სინამდვილის ფოტოგრაფიული ფიქსაცია, მოვლენათა შედაპირულ-ემპირიული დანახვა, არამედ როგორც აქტიური შემოქმედებითი მისვლა საგნებთან და მოვლენებთან – მათი მხატვრული ათვისება და ასახვა...“ (ლევან ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 338).

მუღმიემა სიდუხჭირემ, ნიეთიერმა გატირევაბამ, დაულავებელმა, მოუწყობელმა ცხოვრებაში ხანში შესული აკაკის ჯანმრთელობა საგრძნობლად შელახა. 1904 წელს მას დამბლა დაეცა (ამის შემდეგ დამძიმებული ქუთუთობის გახელა უჭირდა, რაიმეს დასანახად თავი უკან უნდა გადაეწია და ასეც გამოიყურება იგი იაკობ ნიკოლაძის სწორკუთვარ ქანდაკებაში, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ). ერის სათაყვანებელი პოეტი თანაგრძნობისა და თანადგომის გარეშე არ დარჩენილა, მაშინვე შეიქმნა მისი დახმარების კომიტეტი. მეგობარი მწერლები (თაოსნობა იაკობ გოგებაშვილმა გამოიჩინა), მოწინავე საზოგადოება, უბრალო აღაშინებელი ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ აუადმყოფი მოსანი გამოჯანსაღებულყო, მომდევნო, 1905 წელს იგი საფრანგეთსა და შეიქცარიამ იმყოფებოდა, მაგრამ იმდენი თანხა მაინც არ აღმოაჩინდა, საფუძვლიანად ემკურნალა.

შედმიემა იმის აღნიშვნა თუ რა უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე საფრანგეთის დედაქალაქის განუყოფელი სილამამემ, როგორ გააოგნა ვიფელის კომკის სიმაღლიდან დანახულმა გრანდიოზულმა პანორამამ; იმ დროს მან დათრგუნულადაც კი იგრძნო თავი, მაგრამ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ უფრო გაუშმაფრდა მშობელი მიწის სიყვარული და ლოცვასავით ადავლინა ერთი საკვირველი ლექსი, თავისებური „ოსანა“ (სათაურად გამოიგანა საგალობლის სიგყვები, რომლითაც ბზობაზე იერუსალიმში შესულ ქრისტეს მიეგებნენ: „აღდება მაღალ-

თა შინა“), სადაც ერთხელ კიდეც ცხადყო, რაოდენ ძალმოსილია პოეტური სამკაულები-სგან სრულიად განძარცული, ღვთაებრივი ცეცხლით ანითებული სტრითონებ:

*არც მეყარებია, არც მიყვარს,*

*არც მლომებია, არც მინდა,*

*არც მწამებია, არცა მწამს*

*შენ გარდა კიდეც სხვა წმინდა!*

აქ აკაკი თითქოსდა ჩვეულებრივ ფრაზა-თა თავბურღაშხვევად განმეორების, ელვისე-ბური მიმოხრის, მოქნილობის ჭეშმარიტად რუსთველისეულ ჯადოქრობას ავლენს. ასეთი გრუნანგლისდამცემი აღსარების წამკითხველი უმალ ირწმუნებ ექვიკოსკის პირით ნათქვამ ჭეშმარიტებას: „სიდიადე უნდა გაა-შიშვლო და მაშინ იგი უფრო მიმზიდველი გამოჩნდება“.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სამარცხეინო თარიღად დარჩება 1907 წლის 30 აგვისტო, როცა უკვანი, გინდღანელე-ბული ქართველების ხელითვე მოკლულ იქნა ერის პატრონი და მამა ილია ჭავჭავაძე, გაღაგარებული, საგანური ძალების მიერ კარგა ხანს შზადდებოდა ეს ამაზრზენი, გონებაში დაგუქენული ბოროტება. მთელი ქვეყანა გლოვამ მოიცვა, მაგრამ ამ სამინელი ამბით ყველაზე მეტად გულდაკოდილი, განადგურე-ბული იყო ერთი კაცი, აკაკი წერეთელი, ვინც ილიას არსებობასა და სამშობლოსთვის არ-ნახულ გარჯას მისივე სიცოცხლის განუ-ოფელ ნაწილად თვლიდა. ერის მეხსიერე-ბიდან არასოდეს ამოიშლება შეკაყის გონე-ბის შესაფერისი, ურჩეულესი სიგყვა, 9 სექტემ-ბერს მიმედ ავადმყოფმა, დაუძღურებულმა აკაკიმ (მას ფუხზე დგომა უჭირდა, ორი კაცი ეღვა შხარში) სიონის გაძრიდან გამოსვენე-ბული ილიას ცხედრის წინაშე რომ წარმოსთქ-ვა. რა რკინისებური ნებისყოფა ჭირდებოდა მწუხარებისგან თავმარდაცემულსა და სუნთქვამეკრულს, რომ იმოღენა სამგლოფ-იარო პროცესის თვალწინ ეს, თან მანუგ-უმბელი და თანაც შემადრწუნებელი ამრი-გახშიიანებულები: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შერც უკედავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰკონიათ, მაშინ ნეგაიი შენ, რომ მავ შენი სიკვდილით

წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღა-რა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიმეზად ხალხთა ამოძრავებისა და აპა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავ-მოყრდინი გვხვევინ გარს! და, ვინ იყის, ეგება სიკვდილით განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმალ! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!“

1908 წელს შესრულდა აკაკი წერეთლის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეო-ბის ორმოცდაათი წლისთავი. ამ დიდებული თარიღის დირსეულად აღნიშვნა მთელმა საქართველომ მოიწადინა. შზადებას სათავეში ჩაუღდა პოეტისთვის ესოდენ ახლოვლი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-ბა. ბევრი რამით გულნატკენ ქართველობას უნდოდა რამდენაღმე მაინც შეენელებისა ის მწუხარება, ილიას ვერაგულმა მკვლელი-ბამ რომ განაცდევინა და აკაკის სახელი უჭ-კნობი გვირგვინით შემოსა, საყოველთაო სიყ-ვარული მაიგო, რაც მანამდე, სიცოცხლეში, არცერთ ქართველ მწერალს არ რგებია.

იუბილე, თავდაპირველად, საქართველოს დედაქალაქ თბილისში გაიმართა 1908 წლის 7 დეკემბერს, ხოლო ერთი კვირის შერე, 14 დეკემბერს, პოეტის ფასდაუღველ დეაწლიან დაკემირებულმა ერთეულმა დღესასწაულმა აკაკის საყვარელ ქუთაისში გადაინაცვლა. გარდა იმისა, რომ ამ შეიმშა ძალა და მხნიო-ბა შემაგა ამავდარ პოეტს, ჩენი ხალხის შეგ-ნება აამაღლა, სიამაყის გრძნობა გაუორკე-ცა. აკაკის გრანდიოზულ იუბილეს დიდი გამოსხმარება მოყვა როგორც მაშინდელი რუსეთის იმპერიის ხალხებში, ასევე საზღვარგ-არეთაც. იუბილეს დღეების შინაარსი და გარე-მო, მისი მხველეობა, მონაწილეები (ხარგლ-იდან საგანგებოდ ჩამოსულმა ეგვა-ფმაველამ ბრწყინვალე, მაღლიერებით აღსავსე ლექში მიუღენა უფროს თანამოკალმუს კარგადაა ცნობილი, სხვადასხვა წყაროებსა და ნაშ-რომებში ყველაფერი დაწერილებითაა აღწ-ერილი და, ამდენად, მასზე სიგყვას აღარ გაფ-აგრძელებთ. საყოველთაო აღიარებასა და სიყვარულს, წმინდა შარაქანდლის დაღვმას ოღნაეადაც არ შეუცვლია აკაკის მწე და ბუნე-ბა; მისივე გამოთქმა რომ გამოიფიქროთ, იგი

კვლავ „პაგარა დლიურ მუშად“ დარჩა და ამის მერე ისეთივე თავდაპირველად ემსახურებოდა შრომობიურ ლიგურაგურას, შრომობულ ხალხს, როგორც დადამხმარებელი იქნა.

აკაკის ხშირად უხდებოდა ყოფნა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ასევე ჩვენი სამშობლოს გარეთაც. სრულიად განსაკუთრებული, მართლაც რომ გრიუშვალური იყო მისი ორკვირიანი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912 წლის მაისში), რასაც თავად „საარაკო და საზღაპრო“ უწოდა და, ამასთანავე, ჩვეულებისამებრ, საკუთარი პიროვნების როლი ყოველნაირად დაამყარა: „... თუმცა იმ ლიგანობის ცოგა მოზიარე მეც ვიყავი, მაგრამ უნდა გამოვყავი, რომ ის მცირედით აღემატებოდა ჩემს ღვაწლს“.

აღფრთხილებულ პოეტს სასახარულიოდ დარჩა ხალხის ერთნული შეგნების ამაღლება, მშრომელი ადამიანების უჩვეულო გამოღვიძება, ირწუნა, რომ საქართველო მხრებს გამოღვიძდა, აღორძინდებოდა. არც მაშინ და არც მერე ვჭვი არაღვის შეჰპარვია – მსგავსი სიყვარული, სიცოცხლე, არცერთი ქართველი მწერლის მიმართ არ გამოუხატავთ. ეს დიდებული მოგზაურობა ფირზე აღბეჭდა ახალგაზრდა ოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა – თავისი თავით უკვდავყო და ერის სათაყვანებელი პოეტის ცოცხალი სახე შემოგვიჩინა.

ცნობილია, როგორ უსიყვარულებოდა, აღმერთებდა აკაკი პაგარებს („მიყვარს საერთოდ ბავშვები, ანგელოზთი დასადარები, მათთვის ყოველთვის, ყოველგან ღია მაქვს გულის კარები...“) და ამ პირველ ქართულ დოკუმენტურ ფილმში არის ერთი დაუფიქარი ეპიზოდი: ჭადარაღმერთი კაცს ვეუბნა საკულგო ხესავით დგას მინდორში, მის გარშემო კი ხელისულა კიდებული სოფლის პაგარა გოგო-ბიჭები წრედ შეკრულან და ფერხულს უვლიან. მართლაც შტაპრული საჩახახოა. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენი სიამით იესებოდა მათი მაქქერალი პოეტის გული. თქმა არ უნდა – პაწია ბაღლებს რომ დაჰყრებდა, მზიარული შეხახილბითა და სიცილკისკით მოგრიალეთ (დასანანი კია, ეს ხმები მუნჯ კადრებში არ ისმის), იგი საქართველოს ბედნიერ დღეს სჭერვდა, ქვეყნის უკეთეს მომავალზე, სამშობლოს თავისუფლებაზე

ფიქრობდა. მის ხსოვნაში, წამიერად, ვხვდებით შორეული ბავშვობაც გაკრფულ დასწრებულ დრო, როცა ზემო იმერეთის მწვენიელ გადაბურულ სოფელ საგანეში, თანაგოდ გლეხის ბიჭებთან ერთად დიდიდან დაღამებამდე თამაშობდა...

იმხანად ავადმყოფობა უკვე შორეული ქონდა და ფიზიკურადაც საკმაოდ დაძაბუნდა, მაგრამ აკაკის აქტიური სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა არც ამ მოგზაურობის შემდეგ შეუნელებია, თუმცა იმავე 1912 წლის 7 ნოემბერს ანდერძი შეადგინა და ფიქრობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ქონდა დარჩენილი.

აკაკის ანდერძად ჩვენ არ უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ ნოგარიუსის მიერ დამოწმებული იურიდიული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც იგი თავის უძრავ-მოძრავ ქონებას ცოლ-შვილს, ახლო ნათესავებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებს (უპირატესად ჩვენი შეპირისიკვეთების შესაგროვებლად და გამოსაქვემად) უგოვებს. ანდერძია აკაკის მთელი შემოქმედება და ხატის წინ წმინდა სანთელივით დამწვარი სიცოცხლე.

აკაკის ანდერძის ქვაკუთხედად უნდა მივიჩნიოთ მისი დაგინებული თხოვნა თუ ქადაგება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ერთიანობას თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ, ამავე დროს თვითოველ ამ კუთხეს თავისი განუმეორებელი იერი შეუნარჩუნოთ, დიდი და სანუკვარი საერთო მიზნის მისაღწევად მოვაშვალოთ და შევითანხმოთ ისინი.

ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენათაგანი, რასაც აკაკი წერეთელი თავის სიცოცხლეში მოესწრო, იყო გერმანიის მიერ წამოწყებული პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად, რუსეთიც ჩაება. ომი ადამიანთა სასაკლავო და აკაკისთანა ლმობიერი, ქრისტეს მოძღვრებით მცხოვრები, სათნოებისა და სიყვარულის მქადაგებელი პიროვნება, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა იმ საშინელებებს, რაც სახელმწიფოთა შორის გაჩაღებულ უღმობელ ხოცვა-ჟლეტას მოჰყვა. იმ ომმა ბევრი რჩეული ქართველი ვაჟაკის სიცოცხლე შეიწირა. არსებობს სარწმუნო მოგონება, რომ მოსუ-

ცი, თავად მისახელი პოეტი დაჭრილების მოსანახულებლად დადიოდა თბილისის ლაბარეთში და ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, ამხნევებდა, ნუგეშს სცემდა. ხან ერთ, ხან მეორე საწოლთან ჩამოიჭადრი, ყველას თავის ენაზე ესაუბრებოდა – ქართველს, სომეხს, რუსს, თურქს, არაბს... მომაკვდავებს წყალს ასმევდა, კოვით მიარებას აღებინებდა.

პირველი მსოფლიო ომის გკივილიანი გამოძახილია აკაკის ბოლო პოემა „ომი“, რომელიც უკიდურესად დაუძლურებულმა პოეტმა, გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, დიდი განჯვით დაამთავრა. პოემის დასაწყისშივე მოქცეული მშვენიერი აკაკისეული, პარალელიზმზე დამყარებული უკავშირო შედარება – „რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს – განსაცდელი“ ... – თითქმის ობლად რჩება და ეს შემართება, მერე და მერე, ვერაა შენარჩუნებული. ეს ნაწარმოები მხატვრულობით არ გამოირჩევა, მაგრამ თავიდან ბოლომდე გასდევს იმედიანი სულის კვეთება, რომ უთვალავ განსაცდელს გადარჩენილი ლეისმშობლის წილხვედრი ქვეყანა თავისუფლებას უნდა ეღირსოს. რუსეთის მიმართ აკაკის დამოკიდებულება, ადრინდელისაგან განსხვავებით, მაღლიერების გამოშხატულია; ერთთავად სკვითების განმქიქებული, მაგინებული, „თანამორჯულე დიდ რუსეთს“, ამჯერად, „წერილ ხალხის დამცველს“ ეძახის. ეს ამკარად პოლიტიკური თვალსაზრისითაა გაკეთებული, რასაც ადასტურებს აკაკის ახლო მეგობრის ანგა იურკევიჩის მოგონება. სიკვდილის წინ, ამ პოემის წაკითხვის შემდეგ, აკაკის შინაურებისთვის რუსეთზე უთქვამს: „ძალიან ვეფერები, მაგრამ ვიბი თუ ამ მოფერებიდანაც არა გამოვიდეს-რა“. სანამ ამას იტყოდა, მწოლიარე, დაერდომილმა აკაკიმ თავისი დიდრონი თვალეი თურმე იქ მყოფთ მოავლო, განზრახვას, ჩანაფიქრს თუ მიმიხედნენო. შთამომავლობამ უნდა წარმოადგინოს, რამოდენა გკივილია დატეული პოეტის ამ სიტყვებში, მრავალჭირნახული სამშობლოს მოსალოდნელი ბედის გამო. ერთი კია, აკაკი შინაგანად დარწმუნებული იყო, ამ ომის დასრულების მერე, საქართველოს თავისუფლება ეღირსებოდა (ეგყოობა უარულად იმელოვნებდა, რომ რუსეთის იმპერია დაიშლებოდა). ეს ასედაც მოხდა, მაგრამ

საქართველოს დამოუკიდებლობამ, ჩვენდასტურებლად ალალოდ, მხოლოდ სამ წელს გასტანა.

1914 წლის მიწურულს აკაკი გრძნობდა, სამშეომე დიდი დღე აღარ ქქონდა დარჩენილი, მისი ნაბრძოლი, უღეთოდ დადლილი სხეული სასიცოცხლო ძალებისგან დაიშრიგა. დეკემბრის თვეში, თბილისში მყოფს, ავისმომასწავებელი სისუსტე დაეცყო. შეუარა უახლოეს მეგობარს, ექიმ ივანე ელიამეილს, თავისი დროის ჩინებულ საყმაწვილო მწერალს და უთხრა, თქვენთან უკანასკნელად მოვედიო. სადლიად დარჩენაც ვედარ შესძლო. დასახლისსა და ბავშვებს გამოემშვიდობა. ოჯახის უფროსი გადაკონცა, რამდენჯერმე ჩაიკრა გულში და მძიმედ დაუყვა კიბეს.

რამდენიმე დღეს, ასე დაუძლურებული, ქუთაისის გაყინულ სასტუმროში იმყოფებოდა; ცოლ-შეილისთვის გასაგზავნი ფული უნდა ემონდა 20 დეკემბრს ერთგულმა მოურავმა კოტე აბდუშელიშვილმა ჩამოაკითხა და საჩხერეში წაიყანა. ქარიშხლებში მოხვედრილი, აფრებდაწეწილი ხომალდით თავის ნავთსაყუდელს, მშობლიურ სახლს მიამურა. მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. 24 დეკემბრს აკაკი ლოგინად ჩავარდა და დამბლადაცემულმა გარდაცვალებამდე ერთი თვე იწვალა.

1915 წლის 26 იანვარს, დამის პირველ საათზე, საქართველოს უგვირგვინო მეფის სუნთქვა შეწყდა. თითქოსდა განცების ძალით, დროის აღრიცხვა შეწყვიტა ბუხრის რაფამე შემოდებულმა საათმაყ, ახლაც რომ ვხედავთ პოეტის საწოლ ოთახში. გარდაცვლილს შემობელმა გლესმა ბაგრატ მაშხაბიძემ უბიდან განუშორებული „დავითნი“ ააქალა.

(პოეტის ბოლო დღეები, გარდაცვალება, საყოველთაო ეროვნული გლოვა და გრანდიოზული დასაფლავება დაწერილებით არის აღწერილი ნ. გურგენიძისა და ი. გიორგაძის წიგნში „აკაკი წერეთელი – ცხოვრებისა და შემოქმედების მაგინე“, გვ. 547-560 და, ამდენად, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ).

8 თებერვალს, დასაფლავების დღეს, ძვირფასი ცხედარი 12 საათზე გამოასვენეს ქაშვეთის ეკლესიიდან. უზარმაზარ სამგლოვიარო პროცესიას უძღოდა ერთადერთი გვირგვინი, რომელსაც მოკლე, მრავლისმთქმელი წარწერა ამშვენებდა: „აკაკის – საქართველო“.

მამადავითმე აგანილი კუბო მხოლოდ შედამე-  
ბულს ჩაასვენეს სამარეში. მარადისობის  
კუთვნილ იმ ღიად და მწუხარე წუთებს ყვე-  
ლაზე შეგად შეეფერებოდა მის მიერ უდიდუ-  
სი შთაგონებით ამოთქმული სტრეიქონები,  
რომლითაც ადრე სამშობლოსთვის თავ-  
შეწირული მოხუცის სსოვნა უკვდავყო:

*მთაწმინდა გულში იხუტებს  
საშვილიშვილო სამარეს,  
მამადავითსა ავედრებს,  
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...*



ვიდრე აკაკი წერეთლის პოეზიის თავისე-  
ბურებებსა და წარუღნებულ მშვენიერებაზე  
ვიტყობდით ორიოდ სიტყვას, საჭირო იქნება  
გაიხსენოთ მწერლის ზოგიერთი შეხედულებ-  
ა ლიგურაგურასა და მის დანიშნულებაზე, პო-  
ეტურ ხელოვნებასა და სამწერლო ენაზე,  
რაც გამოიწილა შემოქმედითა გამოანათქვამებს,  
ესთეგიური ამროვნების მრავალსაკუროვან  
გამოცდილებას ეუბარება და სადაც, აგრეთვე,  
გამოკვეთილად ჩანს ამა თუ იმ საკითხისადმი  
აკაკის პირადი, უშუალო დამოკიდებულება.

აკაკი წერეთლის შეუვალ ჭეშმარიტებად  
მიაჩნია და, ცხადია, ეს ასე არის, რომ შემოქ-  
მედის არსება მთლიანად უნდა იყოს შეპყ-  
რობილი, შთანთქმული იმით, რასაც ქმნის –  
შთავარი გმიდან ფიქრის ყოველი გაქცევა,  
გდახვევა ნაწარმოებს უნებს, შემოქმედების  
ძალას უკარგავს. ახალგაზრდობისდროინ-  
დელ ერთ წერილში („... პირველი და უკ-  
ნას კნელი სიტყვა „დროებისადმი“, 1868) ნათქ-  
ვამია: „როდესაც პოეტი შეუდგება რომელიმე  
საგნის ხელოვნებით გამოხატვას, მაშინ მისი  
გონება ექვემდებარება მხოლოდ იმ ერთს  
შხატვრობის საგანს, არის მისგან გატყუებ-  
ული და იმ დროს პოეტის ფიქრები სხვა რამე-  
ზედ ჩვეულებრივად აღარ გადადიან; ის  
ერთი საგანია მხოლოდ მაშინ მისი გულის-  
თქმა, მისი სურვილი, გარეშე ფიქრები ვეღარ  
უხებიათ მღელვარე გულს და აღმუთებულ  
სულს, თითქმის უნებურ-გრძნობით განმსჭვ-  
ალული პოეტი, მხოლოდ თვის შხატვრობაში,  
თვის ქმნილებაში მხედავს თვის ჯოჯოხეთის  
და თვის სასუფეველსაყ...“

ეს აზრი ღრმად ჰქონდა განცდილი და შეთ-

ვისებელი. აკი პოეზიის სიმბოლოდ წარმო-  
სახულ თავის ჩანგურს მტკიცედ, ფორმულად  
სიმუსგით შემოსახლვრა სანოქმედო პრე-  
ერთ-ერთი პროგრამული ლექსის სტროფი  
გემოთ გამოთქმული ამრის ბუნებრივი გაგრ-  
ძელებაა: „ერთი ჰქონდეს მას საგანი: პარ-  
მონია მისი ხმების, ცხოვრებაში იყოს ბანი ხან  
ლხენის, ხან მწუხარების!“

ლიგურაგურის მნიშვნელობის მკაფიოდ  
წარმოსახენად, როგორც უკვე აღვნიშნეთ,  
აკაკის უყვარდა სარკის შეგაფორის მოხზო-  
ბა და ეს პარალელი შედამ შესგად გამოხ-  
ატავდა სათქმელს. აქ მწერლობის ზოგადი,  
რამდენადმე პრაქტიკული დანიშნულებაა ხან-  
გასმული: „როგორც კეკელეისათვის სარკე,  
ისე ხალხისთვის ლიგურაგურა საჭიროა, რომ  
შეგ ჩაიხედოს და თავის სახე მისის ღირსე-  
ბით და ნაკლულევანებით დაინახოს“.

აკაკის ამროვნება, ძირითადად, კონგრასტე-  
ბზეა დამყარებული, მაგრამ ლექსსა თუ პრო-  
ზაში იგი შედამ პარმონიას, დაპირისპირე-  
ბულთა ერთიანობას, მთლიანობად შერწყ-  
მას ესწრაფვის. შეგავსად ცხოვრებაში ასარჩევი  
ორი გმისა, პოეზიაშიც იგი ორ შთავარ ნა-  
კაღს აყალკევებს, თუმცა მის ამროვნებასა  
და შემოქმედებაში გრძნობა-გონება იმეოათ  
თანამომეიერებით არის შეზავებული მოვის-  
მით „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“ (1899)  
გამოთქმული მისი ერთი დაკვირვება, რაც მის-  
სავე ბუნებასაყ ახასიათებს:

„პოეტური ნაწარმოები, ლექსები, ორგ-  
ვარია: ერთი აღვიძებს გონებას, ამაღლებს,  
მერე გადადის გრძნობაზე და ორივეს ერ-  
თად მსჭვალავს. მეორე კი – თითქოს საქმე  
კი არა აქვს რა გონებასთანაო, თავის თავად  
უძერება სულსა და გულში და თითქმის უნე-  
ბურად მხიბლავს ადამიანს. ამ უკანას-  
კნელთაგანს ეკუთვნიან სახალხო მგონებე;  
მათი ლექსები უფრო სასიმღერო არიან, ვი-  
დრე საღკლამაციო, ხმამაღლა საკითხავი, და  
მართლაც, მათი კითხვის დროს გულში უკვ-  
ველად მღერის მკითხველი“.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ღაღ, მიმ-  
ზიდველ, ამღერებულ ლექსითა დამწერნი ამ-  
როვნების სიღრმეს, გონების ძალმოხილუ-  
ბას მოკლებულნი იყვნენ – ასეთთა რიგს  
აკაკი მიაკუთვნებს ბერნსს, ჰაინეს, ბერანეს

და აქედანაც ჩანს, რომ „სახალხო მეოცნებში“ იგი დიდ ამრსა და მნიშვნელობას ღებს.

ცხოვრებასა და შემოქმედებაში აკაკი მუდამ მომიერებას ესწრაფვოდა. გარდა საფუძვლიანი ცოდნისა და დაკვირვების გამორჩეული უნარისა, ბრძენკაცის ალღო და მიხედვრილობაც არ აკლდა. შეუმედარად ფიქრობდა, რომ ქართველ მწერალს, საჭიროებისდა მიხედვით, უნდა გამოეყენებინა ყოველი ქართველი გომის ლექსიკური მარაგი, რაც სალიტერატურო ენის გამდიდრების უმთავრეს გზად ესახებოდა. ამიტომაც არის მისი ენა უზადო, ყოველმხრივ სამაგალითო; რასაც თეორიულად გამოხსოქვამდა და რაც სწამდა, იმასვე განუხრედად, შესაფერისი ოსტატობით, ახორციელებდა თავის მხატვრულ ქმნილებებში.

სიკვყის კეთილხმოვანებაზე უკიდურესად მქონდა სმენა გაფაქიშებული, შინაგანად გრძობდა ქართული ენის ბუნებას, კანონზომიერებებს და ამანაც განაპირობა მისი სტილის კლასიკური სისადაფე, ლაპიდარობა. ბუნებრივია, რომ ამ თვისებათა მქონეს აღიზიანებდა, ექოთირებოდა ყოველგვარი შედმეგობა, რასაც მოურიდებლად არქმევდა თავის სახელს. უკვე ხანდაზმულობის გამს, 1911 წელს წერდა: „სიკვყის უმეტეს კლებობა ნიჭიერების სასწორსაზომია. ნიჭიერება ორი-სამი სიკვცით გამოთქვამს, რასაც ძალდაკანებული ვითომ ნიჭი რამდენიმე სკრიტიკონს მოანდომებს. მომიერება იქ შეჩერდება, სადაც უნიჭობა თავს ვერ შეიკავებს და გააჟიანურებს საუბარს“. ამის საეაღალო მაგალითები, სამწუხაროდ, ყველა დროის ლიტერატურაში უხეად მოიძეეება. შემოთ მოხმობილ ციგატაში მომიერება ნიჭის სინონიმად არის მიჩნეული.

იმავე 1911 წელს გამოქვეყნებულ სხვა წერილში („ივანე ვლიამეილი“) აკაკი აღნიშნავს: „მწერლობა იგივე მხატვრობაა, მხოლოდ სიკვცით. როგორც უხეირო მხატვარი ხაზის უსწორმასწორობით შეშლალავს ნახაგს, ისე მწერალიც სიკვცის მეტ-ნაკლებობით ამახინჯებს ნაწერს, რადგანაც რაც ხაზია მხატვრობისათვის (არ უნდა ვიფიქროთ, რომ აკაკი ფერის, საღებავების უღდეს მნიშვნელობას უგულვებელყოფდა, ეს თავისთავად იგულისხმებოდა — ე. კ.), ისევეა სიკვცის მწერლობისათვის! დააც, სიკვცეში და მათ ერთმანეთთან შეკავშირებაშია მწერ-

ლობის საიდუმლოება“.

ამგვარ ჭეშმარიტებას მტკიცებას არ ჭირდება — ვისაც ამ საიდუმლოს შეგრძნება არ შეუძლია, მის არსს ვერ ჩაწვდება, იგი ამაოდ ირჯება და თავს იგყუებს, ასეთ მწერლობას ნამდვილი ღირებულება არ ექნება.

აკაკის მთავარი მოთხოვნა სავსებით ნათელი და მისახედრია — ნაწარმოებს ხელი არ უნდა დააკლო, მატრამ შედმეგი მოწადინება, გადამტეგაყ ზიანის მოგმანია, მწერალს ყველგან და ყველაფერში მომიერების დაცვა მართებს, ლექსიცა და პროზაც ამ, საუკუნეების გამოსვლილებით განმტკიცებულ, მკაცრ მოთხოვნას უნდა დაემორჩილოს.



უთოდ სიმბოლური ამრითაა დატვირთული სიტაბუეში დაწერილი აკაკის ლექსი „კანდელისაღმი“, სადაც ყრმა პოეტი ირვვლივ ჩამომდგარი წყვილიადის გაფანტვას ვვედრება იმედად შეგულებულ სინათლის წყაროს: „გაბრწყინი, ჩემო კანდელო, მინათლე ბნელი ღამისა!“ არც ის არის შემთხვევითი, რომ „სანთელი“ მისი პოეზიის ერთ-ერთ მთავარ, გამჟღელ ხატად გვევლინება. თექვსმეტი წლის აკაკი წერეთელი თეითონაც აღმოკიდებულ სანთლად წარმოიდგენს თავს და ეს მეტყველი, მის მიერვე მოძებნილი პარალელი გეამცნობს პოეტის განმრახვას თუ დანიშნულებას — სანთელივით გაანათოს ცხოვრების ბინდი, მსხვერპლად შეეწიროს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ემსახუროს მამულს. ისე ვერ იგყოფა: „ჩემი სიცოცხლე შენსავით იწვის და თანდათან სდნება“. მერე და მერე ამ მეტაფორას უფრო მოქნილ, სრულყოფილ სახეს ანიჭებს, ხოლო სიტარმაგის გამს დაწერილ უსათაურო შედეგრში, აფორიზმის სიცხადითა და შთამბეჭდაობით ამბობს: „რაც არ იწვის, არ ანათებს“. ასეთი აღნაგობისა და მიზანდასახულობის ლექსებზე გზადგმა მოგვიწევს საუბარი. ბნელს ნათელი უნდა დაუპირისპირდეს, დასძლიოს. უმისოდ ადამიანის, შემოქმედის არსებობა გაუმართლებელია.

პარადოქსებით, ძნელად ამოსაცნობი პოეტური სახეებით მოამაროენე ეფესელი ბრძენის პერაკლიტეს ჩვენამდე მოღწეულ ფრაგ-



შენებებში ერთ-ერთი უმთავრესია მოძღვრება დაპირისპირებულია თანაარსებობაზე. იგი ფიქრობდა, რომ ფარული ანუ დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილი პარმონია ხილულზე უმჯობესია. ხანგრძლივი დაკვირვებითა და მრავალ მაგალითთა მოხმობით, მან ცხადყო, რომ ბუნებასა და ადამიანთა ცხოვრებასაც კონტრასტის კანონი მართავს (იხ. თეოდორ გომპერცი, ბერძენი შოაბროუნენი, ჯეკერბურგი, 1911, გვ. 64, რუსულ ენაზე).

ეს უნივერსალური კანონი თითქმის ყველაფერში და მათ შორის, ბუნებრივია, პოეზიაშიც იმეხს თავს, ოსტატის ხელში მარჯვე, უაღრესად შთაბეჭდვად ლიგურაგურულ ხერხად გვექვინება. შეუქმნიველი არ დარჩენილა, რომ თავისი ცუცხლოვანი გემპერამენტისგან, შინაგანი ბუნებიდან და ამროვნების წყობიდან გამოიშინა. არაფერს ისე ხშირად და მოხლენილად არ იყენებს აკაკი წერეთელი, როგორც კონტრასტის მუდამ გამოსაღვე ხერხს. ნაკოვანად შეგვიძლია ვთქვათ — იგი მისი ჭეირნიშანია.

შედგება იმის საგანგებოდ აღნიშვნა, თუ როგორ ჭქონდა გამაჟფრებული საქართველოდან წასულ და ჯეკერბურგში რამდენიმე წელიწადს სკულენგად მყოფ აკაკის სამშობლოს მონატრების გრძნობა. ეს განცდა თვალნათლივ აირეკლა იმ პერიოდის მშენებურ, ემოციურ ლექსში „ხალამური“, რომლის პირველივე სტროფი მამულისა და მშობლიური პანგების მონატრების დაუოკებელი ამოძახილია:

*სად ხარ, ჩემო ხალამური,  
ხმაგბილი და საამური,  
რომ შენის ხმით ჩრდილოეთში  
ქართველს გული გამიხბრო!*

ეს საყვარელი ხალხური საკრავი, ჩონგურთან ერთად, აკაკის პოეზიის სიმბოლოდ ესახება და ამიგომაცაა, მის შემოქმედებაში არაერთგზის რომ ფიგურირებს. ჩვენი შეპირისპიერების მოგროფილემ გენიალურ და სეველიან მღაპარ „წიქარადანაქ“ იყოლა, სალაამური, გარემოებისა და მიხედვით, ორ სხვადასხვა ხმას — ლხინისას და ჭირისას — გამოსცემს და ამ ლექსში ნახსენებია, დარსა და ავღარში მომთაბარე ქართველი მწვემსიყ ასევე ორ ხმაზე არაკრავებს განუშორებელ სალაამურს:

*როცა მწვემის ვიპრობს ხელში  
და გააკეთის მთა და ველში,  
ტკბილს ხმას ცაში ჭკარავს  
და სეველისას — მავს ქვესკვლში.*

თავისთავად გვახსენდება მოგვიანებით დაწერილი (1891) ასევე სიმბოლური ხასიათის ლექსი „გელი“, სადაც პოეტის ბუნებაზეა მინიშნება და ნათქვამია, რომ სიკვდილის წინ გელის ახლერება ორგვარად არის აღსაქმელი. ორმაგობა დაპირისპირებაა და, ამავე დროს, ერთ რკალადაც თავსდება, ერთი მოვლენის ორი მხარეა. ამრი უაღრესად მომჭირნელ არის ჩამოქნილი:

*უენაური ვალობა  
პირველ და უკანასკნელი!  
აქ იხატება ცის სიერეც,  
აქვე იხატვის ქვესკვლი.*

მომღვენო სტროფში კიდევ უფრო ცხადი ხდება ავტორის შთანაფიქრი: გელის ვალობა გამოხატავს პოეტის არსს — ერთ მილიანობაში მოაქციოს ცა და დეღამიწა, ხილული და მიღმა სამყარო:

*ორ-ამროვანი, ორ-კილო,  
ერთის ხმით გამოშეკველი,  
შემოქმედების ქება,  
ცისა და ქვეყნის შემკველი.*

ეს „ორ-ამროვანი, ორ-კილო“ გრიგოლ რობაქიძემ თავის აღნიშნულ, ნაკოფი სტილით დაწერილ საგულისხმო ნაშრომში „აკაკის ქანია“ პოეტის შემოქმედების გასაღებად მიიჩნია და მართლაც შეგვიძლია ამ ნიშნით განვიხილოთ აკაკის პოეზია, მთელი მისი ნაამრევი, „გელის“ ფინალურ სტროფონებში „უენაური ვალობით“ მონუსხული პოეტი პირდაპირ ამბობს: „გელი! შეენატრი შენს ჭიკჭიკს, შენგვარ სიკვდილსაც მეც ესერი!“ ასევე ბუნებრივი გახლდათ აკაკის პიროვნებისა და პოეზიის მოთაქვანის, „შთაწმინდის მთვარის“ ავტორის, ვალაკკონ გაბიძის მღელვარე სურვილი, რომ ისიც „გბის სეველიან გელად“ მომკვდარიყო.

„სალამურში“ იგივე ორმაგობა, „ორ-კილო“ ხმაა აკაკის აღმაფროთოვანებული და მანუგეშებული („ქართულად ჭკენს, ქართულად სკვენ“), რადგანაც იყის, ეს „ორ-ამროვანი“, თანაც მშობლიური პანგები ერთმანეთშია გადაწული, მწვემის ხელში ტკბილად აღლუნებული საღ-

ამერიდან მოვლინება.

თანამედროვეთაგან მოგიერთებს აკაკი უმრუნველ, ჩიტივით თავისუფალ პიროვნებად ესახებოდით, მაგრამ ვინც მის ნაფიქრსა და ნაღაწს გაეცნობა, ეჭვიც არ შეეპარება, რომ პოეტის მთელი მოწამებობრივი ცხოვრება მშობელი ერის, საქართველოსთვის ყოველდღიური, მუხლჩაუხრელი სამახური იყო. თავისი შთაგონების სიმბოლოც ამ სანუკვარ, უმაღლეს მიმანს დაუმორჩილა:

*მე ჩანგური მისთვის მინდა,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს,  
განამტკიცოს ამრი წმინდა  
და გულს წრფელად ახურებდეს.*

სამწერლო ასპარეზზე გამოცემის დღიდანვე ძველ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ეს ადითქმა და ამ რწმენისათვის არც არასდროს უღალატნია, წამითაც არ გადაუხვევია მამულის მსახურების ძნელად საეალი, ეკლავანი გზიდან. სიმართლეს, ჭერმარტივება, ხატი და ჯადარი და თვით ღმერთიც მისთვის საქართველო, ხოლო მთავარი სამრჩნავი საუკუნოვანი გვეუბოდან მისი დახსნა იყო; ამაზეა ატეხული და აწყობილი მთელი მისი შემოქმედება.

ჩანგურის ფლერას აყოლებული პოეტის სიმღერა ისევ და ისევ „ორ-ხმოვანია“, დაჩაგრულს ცრემლები უნდა შეუმროს თვალზე, გააზნევის, ხოლო მჩაგვრელი გული ისარივით განვმართოს. ეს ორმაგობა მუდამ მუსკად, თვალნათლივთა გამოკვეთილი და ჩანგურსაც იგივე დანიშნულება აქვს:

*ერთი ჰქონდეს მას საგანი:  
პარმონია მისი ხმების,  
ცხოვრებაში იყოს ბანი  
ხან ლხენის, ხან მწუხარების.*

ნიადაგ სამშობლოს ბედზე მაფიქრალს, სიგვეით და საქმით დაუცხრომელ მებრძოლს, არაერთხელ უგემნია უმაღურობა შინაურთა, თვისაგომთა მხრიდან, ხოლო გარეშენი, მგრები ისედაც სიციხელეს უშხამავდნენ. ამის გამო არაერთხელ დაუწივლია და გულისკვიცილს კელავ თავის ბოლომდე მართალ, მოუსყიდველ ჩანტს ამცნობდა:

*ჩემი ჩანცო, ობოლ-მწართ,  
ჩემი უბედობის ძირო,  
მგრებისაგან ქვებ-ნასროლო,  
მოყვრებისგან ვანაწირო!*

აკაკის არაერთ ლექსში უკიდურესი სიყვარულით არის ნათქვამი შემოქმედის ამგვანად დანიშნულებაზე, მოვალეობაზე და აქ, უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება „პოეტი“, სადაც იგი თავის თავს „გარემოების საყვირს“ უწოდებს. ამ თითქოსდა მარტივ მეტაფორაში ძალზე ღრმა აზრია ჩაღებული. ეს ამკარავდება ასევე სადაღ მეტყველ ფინალურ სტრიქონებში: „შუაკაცო ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“. სახარება სწორედ შუაკაცად წარმოგიდგენს და სახავს ჩვენთვის ჯვარცმულ მაქსივარს, ღედამიწაზე სიყვარულად, ჩვენს ცოდვათა გამოსასყიდად მოვლინებულს. მეოცე საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი ჯაკ მარტიენი უყოფმანოდ იმეორებს ამ ჰქმმარტივებას, როცა ამბობს, რომ ქრისტე არის „შუამავალი ცასა და მიწას შორის“. პოეტის დანიშნულება ამგვარადვე ჰქონდა მოაზრებული პუშკინსაც, რომელთანაც აკაკის ბევრი რამ აახლოვეს. საერთოდაც, არ უნდა გვეუკვებოდეს: „პოეტი, თავისი ბუნებით, მედიუმია – საიდუმლო ძალთა გამგარი. ისინი მის სიწმინდეს იყენებენ და ნიშნებს გვიგზავნიან“ (ჯან კოკტო).

არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ (ნიპილისტები, ჩვენდა სამწუხაროდ, არ ვუკალია), რომ აკაკისთანა დიდი შემოქმედის მემკვიდრეობას, ნააზრევსა და ნაანდერძევს, როდესმე ყავლი გაუვა. ამიგომაც გემართებს, მისი „სარკელ ქსეული გულის“ თვითიუღ ამონათქვამს, ცხოვრებისეულ სიბრძნეს კარგად ჩაუკვირდეთ, ყური მიეუვტოთ და ყველაფერი გავისიგრძეგანოთ; რაც მთავარია, ჩვენი უკვდავი მოძღვრისაგან სამშობლოს სიყვარული და ერთგულება უნდა ვისწავლოთ, ყოველივე პირადული მის სამსახურს ვანაცვალოთ.

არისგოკრატული წარმომავლობის მიუხედავად, უმომოდ კაცთმოყვარე, სოფლად, გლეხობის წიაღში აღმრდილი აკაკი წერეთელი იმთავითვე ქომავობდა და თანაუგრძნობდა უბრალო, მშრომელ ადამიანებს; თავისი დეითაებრივი ჩანტი არაერთხელ აუკვლერებია საქვეყნო დოღათის შემქმნელის, ყანის მუშის გარდა რომ ედიდებინა და ამას რომელიმე იდიოლოგის, მოძღვრების გავლენით კი არ აკოთებდა, ეს მისი მრწამსის, კეთილშობილური ბუნების პირდაპირი გამოვლინება იყო.

აკაკის შემოქმედებაში საგანგებოდ გამო-საყოფია გლეხკაცთა დუხჭირ ცხოვრებაზე, შრომაზე დაწერილი, მხატვრული ღირსებითაც გამორჩეული ლექსები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ: „მუშური“ („სი-მინდსა თოხნა დაუწყეთ“), „სიმღერა მკის დროს“, „იმერული ნანინა“, „მუშებს“, „ღმერთო წვიმა მოიყვანე“, „მუშური“ („ყანაო, მუშის სამოთხევე“), „მუშის ნაგერა“, „მუშები“, „მწყემსის სიმღერა“, „ყანა“, „ეპიგრაფია იობა ისაკიძისა“ და სხვები.

ხალხური პოემის სილამდე, სისადავე და მოქნილობა დაკვივება ერთ-ერთ „მუშურს“, რომელიც ერთ რითმაზეა გაწყობილი და სიმღერასავით სულმოუთქმელად, ძალდაუ-განებლად იკითხება, უღამამეს სურათებად იმლება ჩვენს თვალწინ.

*ყანაო, მუშის სამოთხევე,  
გლეხის დიდებაე, ყანაო!  
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს  
და ნამმა გადავტანაო;  
დილის ნიაემა დაგქროლა,  
აღურსით გითხრა ნანაო;  
ქუეუნა წვიმამ მედ დაგკრა,  
აღურსით ავაშქანაო.*

„უფლის თვალ“ წყალობას არ აკლებს და პოეტს გულით ღოცავს პიროფლიანი მშრომელის ნაამაგარს („აგმორდეს გვაღვა და სეგყვა“); მან იცის, ბევრჯერ უნახავს – მწიფე თავთავი მშებე ოქროსფრად ანათებს, ხოლო მანამდე, ქარში აგალღებულ ჯეჯილს მურმუხტის სიმწვანე დაპკრავს და სწორედ ეს არის დასურათხატებული ლექსის ბოლო სტროფა:

*ყანაო, ოქრო-მურმუხტო,  
ყანაო, ჩვენი ყანაო!  
მალაღმა ღმერთმა აკურთხოს  
სხვაე ბევრი შენისთანაო!*

აკაკის ამ დიდებულ ლექსს ეხმიანება (სათავე, ცხადია, ჩვენი ხალხური პოეზია) ნიჭიერი ხელოსანი პოეტის იოსებ დავითაშვილის საქვეყნოდ ცნობილი „ჯეჯილი“ („ცხარღე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო“) და, ისედაც, იოსებ დავითაშვილი აკაკისთან არაერთი ძაფით იყო დაკავშირებული, ვისი გამკვა-ლავეად, მოძღვრად მიჩნეულ უფროს თან-ამოკალმეს იგი „ჩემს ოსტატს“ ეძახდა.

აკაკი წერეთელმა „თავისი ცხოვრების

წესითაც ნათელიყო, რომ შეპირისიგყვიერე-ბისადმი გრფიალი მარგო მისა მრქანდ ბქქქ-ბრივი პოზიციის გამოხატულმა კორწვი, არამედ მისი სიციოცხლის ყველაზე დიდი ფა-სეულობა“ (თემურ ჯაგოდნიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 566). აქ პოეტის შოგიერთი გამო-ნათქვამი და დაკვირვებაე უნდა გაეიხსენოთ.

1913 წლის 30 მარგს ახალგაზრდა ალექსან-დრე აბაშელის საღამოზე წაკითხული მოხ-სენება აკაკისა უთუოდ საგანგებო ყურად-ღების ღირსია. მას პქონდა საბაბი, საფუძე-ლი, იმ დღეს ამჟყად განეცხადებინა: „არე ერთ ვრს ჩვენყარი და ჩვენოღნი შეპირისიგყვიობა არა აქვს“. იქვე, კომპოზიტორ ია კარგარეთე-ლის მიერ შეგროვილი ლექსებიდან ერთ-ერთიზე, ნამღვილ შეღვერზე, თავის აღგაკუბას ვერ ფარავს:

*ხომალღმი ჩაეჯეჟ, მღეას გაველ,  
ფრანგის ქეეუნები ვნახეო;  
სულ დავიარე ხმელეთი,  
ვერ ვნახე შენი სახეო,  
ანთებულ სანთელს გამგავეჟ,  
დილით ცისკარზე ვნახეო,  
ხელში გეჭირა ყმაწვილი,  
ფარსავ ვერ დავინახეო.*

წარუძღვლი, მარაღსახსოვარია ის ცხოვე-ლი შთაბეჭდილება, რაც აკაკის წარმოსახვაში ღვთაებრივი სიღამამის განმადიდებულ, სულის სიმებზე აეღერებულ ამ უკვდავ სტრიქონებს აღუძრავს. გვაოცებს და, ამასთანავე, არ გვეხამ-უშება მოხმობილი შეღარების ვრანდიშოშლო-ბა. „განთიაღის“ ავგორი წერს:

„მსოფლიო ვენიოსმა მხატვარმა, რაფა-ელმა, როღესაც მშეენიერების გამოხატვა უნ-ლოდა, უკეთესი ველარა მოახერხა რა და მშეენიერ მაღონას მისცა ხელში უშეენიერ-ესი ყრმა, რომელსაც სიყვარულით ზე დაპ-ქითქათებს დედა. ზე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შაირის დაშქერს, არე ეს სურათი უნახავს და არე რაფაელი გაუგონია, მაგრამ ზეგარდმო შთაგონებამ მიიყვანა რაფაელის აღმაფერენამღი!“

ამის შემდგომ ლექსი მთლიანაღაა ამოწ-ერილი, მაგრამ ჩვენი მხოლოდ ბოლო სტრო-ფის მოგანას დავეჯრდებით: „ფრანგის ქეე-უნები დავაგდე მიეძარ-მოეძარი მღვებია, ვერ-სად ვერ შეეხედი სიგურფეს მაგრეთსა, შენ

რომ გხლებია“, რასაც კვლავ პოეგის აღფრთოვანება და უდიდესი შეფასება მოსდევს:

„არა თუ დღევანდელი მკლახნელი და მათ რიცხვში მე, თქვენი უმორჩილესი მონა, თვით რუსთაველიც კი მოაწერდა შეურცხვენლად ხელს. და ამგვარი მარგალიტი იშვიათი არ არის შეპარსიგყვაობაში“.

ვურ ვიგყვი, ნანახი ქონდა თუ არა აკაკის ღრმდენის ვალერეაში რაფაელის გენიალური გილოს ღლანბი, მაგრამ, უცქველია მას წაიხთხული ექნებოდა რუსული რომანტიზმის საპროგრამო დოკუმენტად მიჩნეული ეკოპოესის ბრწყინვალე წერილი „რაფაელის „მადონა“, სადაც ნათქვამია, რომ „ეს სურათი სასწაულის გამს შეიქმნა: ფარდა აიხადა და ადამიანის თვალს იცის საიდუმლო ექვენა“.

ახეთ მიუწვდომელ სიმბოლურ ვეგულებოდა აკაკი წერეთელს ჩვენი უმდიდრესი შეპოსიციყვიერების გაუსუნარი მარგალიტები და აქედანაც ცხადია, რაოდენ მომთხოვნი იქნებოდა ხალხურ კილოზე, ხალხურ მოტივებზე დაწერილი თავისი ლექსების მიმართ.

ისევე, როგორც სხვა ხალხთა, ქართულ ფოლკლორშიც უხვადაა გაბნეული უძველესი, არქეტიპული სახეები, მყარი ხატები, საუკუნოვან გრადიციებზე დაფუძნებული მითოსური აზროვნების თანამდევნი სიმბოლოები, რომელთაც აკაკის დარი დიდი პოეტიკები ახალ სიცოცხლეს და ელვარებას ანიჭებენ, თავისუბური მარაგანდელით მოსავენ.

„ხალხური“ – ამგვარი დასათაურება აკაკის მრავალ საუკეთესო ლექსს აქვს, მაგრამ აქ მხოლოდ ერთ მათგანს დაუაკვირდებით. პირველი ორი სტროფის ამოწერაც იკმარებს გასახსენებლად და იმის ნათელსაყოფად, რომ ეს ლექსი თავიდან ბოლომდე ხალხურ მეტაფორულ აზროვნებაზეა აგებული და კომპოზიციურადაც ერთი გიჰის ხალხურ ბალადებს მოჰყვება:

*აღვის ხე აყვავებულა,  
ამშვენებს არემარებსა,  
გარს იხვევს ქვეყნის მშვენებას,  
თავს იელებს მშეს და მთვარესა.  
„ეს შენ ხარ აკოკრებული,  
მშეთუნახავო თინაო!  
მშენიერებამ შევამკო,  
ციო მადლი ვადმოვფინაო!“*

აკაკის ლექსი უაღრესად ფაქიზად, ოსტატურად არის სტილიზებული და ისევე აღვივებს მისახვედრია, რომ აღვის ხის სადარი „მშეთუნახავი თინა“ უკნობი სილაშაშის, მარაქალურობის სიმბოლოდაა მოაზრებული და როგორც ყველა ღრმა სიმბოლოს, მას შეიძლება სხვა განზომილებაც ჰქონდეს.

შემდგომ ალვა უკვე „ეხოვრების ხედ“ გვევლინება; იქვეა ამ საყოველთაოდ გაერცვლებული სიმბოლოს განუყოფელი აგრიბუტები – უკვდავების წყარო და მედ შემოდგმული ფილაა, რასაც პოეტი მომღვერო სტროფშივე შიფრავს, განმარტავს (აკაკი ხშირად იყენებს ამ ხერხს) და ეს ორქლანიანობა ბოლომდეა შენარჩუნებული.

არ შეუდგებით ყოველი სტრიქონის გამოწვლილვით გარჩევას, მხოლოდ ვიგყვიო, რომ მეზოთ მოტანულ სტროფებში მოქცეული, შედარებაზე დამყარებული სახის (აღვის ხე – მშეთუნახავი თინა) სათავე ხალხურ პოეზიაშია.

გავისხენით გრავიკული შინაარსის მქონე, კოხიგა-პასუხზე აწყობილი, რეფრენებ-გადვენებული უძლიერესი ლექსი „სიმშარი“, სადაც სიმშრად ნანახი, წაქცეული აღვის ხე დასაღუად განწირული ვაჟია, მაგრამ ეს შედარების არსს, სახის აგების მოდელს არ ცვლის. სათქმელი რომ ცხადი ვახდეს, მგლოვიარე დედის მოთქმით დამძიმებული სხენებული ბალადის დასაწყისის მოხზობაც საკმარისია:

*– წუხელი სიმშარი ენახე,  
ნეტავ დედავ, რაო?  
აღვის ხე რომ წამოიქცა,  
ნეტავ დედავ, რაო?  
– შეილო, შენი ტანი არის,  
ვაჰ, შენ დედასაო!*

არ უნდა შეგვაყდინოს იმან, რომ, თითქოსდა ენრის მისათითებლად, აკაკის მოტივით ღრმააზროვან ლექსს ქვესათაურად მიწერილი აქვს „მესტვირული“. პოეტი თვით გექსტშივე შედმეტად იმდაბლებს ხოლმე თავს, მაგრამ ეს მის დიდებულ პოეზიას არაფერს აკლებს. მაგალითად, შეგვიძლია მოვიგანოთ სამშობლოს სავალალო მდგომარეობით შექრული ღმერთაკაკის ლექსი „ორაკლის საფლავზე“, რომელსაც კვლავ და კვლავ კონგრასტის ყოვლისმომცველ ხერხს მორგებული შე-

ფარული შედარებები, სიმბოლოები მსჭვალავს, მონიშნული პარალელები მთავარ სათქმელს წარმოაჩენს. ლექსის ღერძია ის ადგილები, სადაც აღწერილია იუდეველთა უბედურების გამო დამწუხრებული იერემიას გლოვა. მსოფლიო სახელის წინასწარმეტყველთან თავისი თავის შედარება პოეტს ეუხერხულება, მაგრამ არ მალავს, რომ მასაც იგივე საგოდებელი უხრავს გულს და „მეცის საყვირად ქცეული ვნა“ საქვეყნო საგკივარს ხმაშაღლა გვაშინობს:

*მე რა მრჯის იმის მიბაძვას?  
სად წმინდა კვერთხი, სად მხირი?  
სად ჩემი სვერი, სად მისი  
იერიქონის საყვირი?  
ის მაღალ პანტზე მღეროდა,  
მე ბლიატურად გავეყვირი,  
თუმც კი ორივეს საგლოვის  
ერთია სარჩულ-საპირი:  
ის გლოვდა საფლავს იუდის,  
მე - ირაკლისას დავეყვირი...*

ბიბლიური სახელების სხეუბა აკაკის იმისთვის სჭირდება, რათა მცხეთაში დამარხული „საქართველოს აღმდგენი გმირთ-გმირის“ მეფე ერეკლეს სული გამოიხმოს, „პაგარა კახს“ ერის ხსნა შევედროს: „და ახლაც შენი კურთხევა მაღლიდან გადმოგვცახე!“

ამავე ხასიათის სხვა ლექსში („საქართველოს დღევანდელი სახე“) ერთმანეთშია გადაჯაჭვული ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. იქ აკაკი მგზნებარედ მიმართავს მისთვის სულიერად ესოდენ ახლობელ ბიბლიურ წინასწარმეტყველს: „ვის იგლოვ, იერემია? თავზე რად იყრი ნაყარსა?“, მაგრამ ეს რიგორიკული შეკითხვაა; ამის დამწერმა სხვაზე მეტად იყის, რა უკეთურობანიც იწვევს ერის დაცემას, გადაჯვარებას, თავზე ნაყრის დაყრას რა აიძულებს ხალხის რჩეულს; მას არ დასჭირდებოდა ჩახედვა თელო სახოკიას ლექსიკონში, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „ძველად ებრაელებს ასეთი ჩუქულება პქონდათ: გლოვის და მწუხარების დროს, ავრეთუე, დამცირებისა და თავის უღირსობის ნიშნად, იწუნენ კერის პირად და თავზე ნაყარს იყრიდნენ“ (ქართული საგოეთანი სიგყვა-თქმანი, თბ. 1979, გვ. 222).

აკაკის სულიერ წყობას, ცეცხლოვან ბუ-

ნებას ბიბლიურ წინასწარმეტყველთაგან ყველაზე მეტად, როგორც აღწერილია მის მიხედვით და, რაღა თქმა უნდა, „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“ გაეცნობიერებული პქონდა: რასაც ძველი ბერძნები პოეტს ეძახდნენ, იმას ებრაელებში წინასწარმეტყველი ერქვა (გ. სკოვიროლა).

აკაკი წერეთელს გყვილად როდი უწოდეს „ერთი თემის პოეტი“. უმთავრესი და ღირებული, რაც მის კალამს შეუქმნია, სამშობლოს ბედზე დაუცხრომელი ზრუნვით არის განპირობებული; მისი ფიქრი მუდამ საქართველოს დასტრიალებს, თითქმის ყველაფერი, რაც მისი გულიდან და გონებიდან დაძრულა (მოგჯერ შეფარულად, გადაკრით), საქართველოსადმი მიმართული, სამშობლოთი სამრლოობს და სულდგმულობს.

აკაკიმ ერთი, ადამიანის სიყვარულითა და მამულიშვილური მრწამსით აღსაქვე ლექსის აფორიზმად ჩამოქნილი სტრიქონი - „რაც არ იწვის, არ ანათებს...“ - ცხოვრების უპირველეს ღვეთად გაიხადა, თავისი თავი „საიდუმლო მსხვერპლად“. წყვიდადის გამაზნველ სანთლად პქონდა წარმოდგენილი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ასე გალია წუთისოფელი. ამ საყოველთაოდ ცნობილ სიმბოლოს პოეტი ხშირად უბრუნდებოდა და ყოველთვის განსხვავებული კუთხით და სხივმოსილებით, ნაირგვარი ელვარებით წარმოაჩენდა. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი გაზაფხულები შედევრი „ხაგის წინ“.

პირველი სტრიქონებიდანვე საგრძნობია ხამგასმულად დინჯი თხრობის კილო, რათა მკითხველის ცნობიერებაში აღიბეჭდოს პოეტისთვის ესოდენ სასიამოვნო და საკრალური სურათი, რაც მისი სანუკუარი ფიქრის დასაბამი ხდება:

*მეყვარს, როდესაც ხაგის წინ  
ანთია წმინდა სანთელი  
და საიდუმლო პარპლით  
ბნელს ფანტავს მისი ნათელი.*

მომდევნო სამი სტროფი ამ მომწესხველი იღუმალებისა და საყდრისეული სიმეუდროვის აღწერას ეთმობა. პოეტიც უსიგყოდ, „ეის სვეტად გაქვეყნული“ მისჩერებია უძრავად აალებულ „დიად მსხვერპლს“. სანთელსა და საკუთარ არსებას შორის „უცნაურ ერთი-

ბას“, მსგავსებას აძნეებს და ამის შერე ფიქრი იწმინდება, კრისტიანობა, ძვირფასი ხატი იმიოფრება, მაგრამ ეს დანაწევრება, განმარტება სრულებით არ გვეხამუშება, აკაკის ხელში პოეტური სახის ახსნა პოეზიადევ რჩება, ლექსს მომხიბლავობა და იღუმალება ოდნავადაც არ აკლდება:

*სანთელი ჩემი ხორცია,  
სიციოხლე - მოკლე პატრუქი,  
ნათელი - ჭკუა-გონება,  
იმთიან გამოხამუქა.*

ამას მოსდევს ღვთაებრივი შემთავონებით ნამობი სტრიქონები, ლექსის გემი უჩვეულოდ აჩქარებულია, რიგშიც - გაძლიერებული; პოეტს უკიდევანო ქვეყნიერების სახაგემი ეგულება თავისი ხაგად შერაყხული მამული. ლექსის დასაწყისში ნაჩვენებია კონკრეტული სურათი გრანდიოზულ განზოგადებას იძენს. ეს სიგვები ყოველ ქართულს ჭეშმარიტად გულის ფიცარზე უნდა პქონდეს ამოკვეთილი:

*ჩემი ხაგია სამშობლო,  
სახაგე - მთელი ქვეყანა,  
და რომ ვიწოდებ, ვდნებოდებ,  
არ შემიძლია მეც, განა?*

ღვთის რწმენა და სამშობლო გვექვეება საღმე ისე იყოს ვათანაბრებული, ქართულ პოეზიაში რომ არის. ამის დასტურად თუნდაც რაფიელ ერისთავის საქრესტომათიო ლექსის ერთი სტრიქონიც გამოდგებოდა: „როგორც უჟალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“ ცნობილია, ამ და რაფიელ ერისთავის სხვა, მთის ხალხურ კილოზე დაწერილმა ლექსებმა რაოდენ დიდი წამახალისებელი ზეგაუღენა იქონია ახალგაზრდა ევაზ-ფშაველაზე.

აკაკის შემოქმედებაში რაფიელ ერისთავის მიერ დიდი პოეტური გზებით გამოხატულმა ამ სასიციოხლო მნიშვნელობის ამრმა თვალშუუდგამ სიმაღლეს მიაღწია და ამან ყველაზე შთამბეჭდავად მისი პოეზიის გვირგვინში „განთიადში“ იზინა თავი.

„განთიადი“ აკაკი წერეთელმა სათაყვანე-

ბელი მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობიდან ხუთი წლის შერე (1892) დაწერა, მაგრამ ეროვნული გრაგედით გამოწვეული მძაფრი განცდა პოეტს არ განულებია; გულში დატუბებულმა ნაღველმა სადინარი იპოვა, ამაღლდა და ღვთაებრივი იერი შეიძინა. ალბათ, არაფერი ისე არ მიესადაგებოდა ვალმოხილ მამულიმივითა მკუდრო საფანეში გაჭრილ წმინდა სამარეს, როგორც განთიადის მაცნე ცისკრის ბრდღვიალა ვარსკვლავს მიჩერებული, მტკვრის ღამეულ ღულუნს მიუყრადბული, ქვეყნის შწარე ბუღმე ჩაფიქრებული და დაღუბებული, პერსონიფიცირებული მთაწმინდა. სწორედ აკაკის „განთიადის“ შემდეგ იქნა დიმიტრი ყიფიანი, როგორც ზეარაკი აღამიანური სიწმინდის, ეროვნული შეუდრეკლობის ერთ-ერთი სიმბოლოდ.

ლექსის შესავალ ნაწილშივე ნათქვამია, მამაღვთის შესაუღრებლად, როგორც კრავს მთაწმინდა გულში „საშვილიმივილო სამარეს“ და ამის შერე წინა პლანზე გამოდის თავად მგოსანი, რომლის ერთ რითმაზე გაწყობილი მონოლოგი უზენაესის მიმართ აღვლენილ მზურვალე ლოცვად გვესმის, ატყვევებს ჩვენს გულსა და სმენას; სწორედ იგია სხენებული ლექსის ღერძი და ღვრიგა:

*ცა-ფირუშ, ხმელეთ-შურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო,  
სნული დაებრუნებულეარ,  
მკურნალად შემეყარეო!*

ასე სხარგად და ყოვლისმომკველად მანამდე არავის დაუხატავს საქართველო. იშვიათი ძალისა და სილაშაშის ეს შეფარული შედარება მანამდეც გრიალებდა აკაკის წარმოსახვაში, მაგრამ ათმარცვლიან სამოშვერ შეეწყო, სასურველი შემოქმედების ძალავერ გამოავლინა („ყოო ფირუშო და შურმუხტ-მიწა“) და მხოლოდ ამონი აუღვარდა მთელი ძალმოსილებით, როცა პოეტმა ბეჭედში გამოშობილად ჩასმულ ძვირფას თვალვით რეჟიმარცვლიანი დაბალი შაირი მოარვო. მოგანილ სტროფში სვედიან განწყობილ-

\*ღამეული, ვარსკვლავიანი ცა - ფირუშისთვის, ხილი შწარედ მოხსახვ ელესი - შურმუხტისთვის, ცალ-ცალკე სხვა პოეტური შედარება (ეროვნო ორბელიანის პოემა „საღვრებელი“), მაგრამ ეს მკრეიად მკრელი უღამიშვი შეგვიერთი ისევე და ისევე აკაკის სახელს უკავშირდება.



ბას საგრძნობლად აძლიერებს მშნის თურ-  
მეობითის ფორმა („დავბრუნებულვარ“).

ქართული მწერლობის უძველეს გრადი-  
ციებზე მყარად მდგარ აკაკის, როცა წერდა:  
„სისხლის ცრემლები ვღვარეო“, ცხადია, ახსოვ-  
და მზე თამარზე ნათქვამი რუსთველის მეტაფო-  
რა: „სისხლისა ცრემლდათხეული“,  
აგრეთვე უფრო აღრინდელი „ვისრამიანის“  
გენიალური მთარგმნელის ფრაზა: „ესე სთქ-  
ვა და სისხლისა ცრემლნი დეარულად  
აღინა“. აღანიშნავია, რომ სპარსულ დღანში  
სხვა შედარება, „ღვინისფერი ცრემლი“ ფიგუ-  
რირებს (იხ. ალექსანდრე გვახარია, ნარკვევები  
ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერ-  
ობის ისტორიიდან, II, თბილისი, 2001, გვ. 260).

სულიერი ობლობით განაწამები პოეტი  
თითქოს უცხო ქვეყნიდან ბრუნდება, „სისხლის  
ცრემლების“ დამღვრელს ერთი სული აქონ-  
და, როდის იხილავდა მშობლიურ გარემოს  
და ეს ნანატრი წამიც დაღვა:

*წინ მომეგებენ დიმილით  
შენი მზე, შენი მთვარეო,  
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,  
მოკამკამ-მოულვარეო.*

აკაკის ამ უმშენიერეს, ლირიზმით აღსავსე  
და, ამავე დროს, კოსმოური სიდიადის გაღამზულ  
სახეს, გარეგნულად, შეიძლება სათავე დაეყუ-  
ნოს გრიფოლ ორბელიანის „ხადღერძელიში“  
(„გუნდნი და გუნდნი ვაკაკეთა სპანან მამუ-  
ლის მფარველნი“, მავრამ „განთიადის“ ტრო-  
პი („გუნდი და გუნდი ვარსკვლავი...“) განუზომ-  
ლად მეტი მხატვრული ღირებულებისაა და  
დანიშნულებაც განსხვავებული აქვს.

მომღვწეო, უაღრესად ეპოციური, მართლაც  
რომ „გრძნობამორევით“ ამოთქმული სტრო-  
ფი ასე იწყება: „გულში იფეთქა სიამემ,  
„სეველები უკუყვარეო...“ ეს ხაგო-  
ვანი თქმა ერთგან გურამიშვილსაც აქვს  
გამოყენებული („სევედა უკუმყარეო“), რაც  
პირდაპირ გაუღენებე არ მიგვიანიშნებს; შესაძ-  
ლოა სულაც ჩვეულებრივი ფრაზეოლოგიური  
დამთხვევა იყოს.

ასევე, ილიას „ოთარაანთ ქერივში“ დედა  
ხალხური წარმომავლობის ლექსის სტრი-  
ქონებს ეუბნება თავის ერთადერთ, ობლობა-  
ში გაზრდილ ვაჟს, გიორგის: „შენი ვარ,  
შენთვის მოკვდები, შენთვის დაეციემ დანა-

სო“, არავითარი სათაკილო და სკანდალურად  
არ არის, როცა „განთიადში“ ამ ნათქვამს  
ერთგვარ პერიფრაზს წავაწყდებით.

*ვა-ფირუმ, ხმელეთ-მურმუხგო,  
სულის ჩამდგმელო მხარეო,  
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,  
შენმევე მეგლოვიარეო.*

მითუმეტეს, კარგადაა ცნობილი აკაკის  
გამოკვეთილი მიდრეკილება ლექსის კომპოზი-  
ციურად შემკრავი „სამეუღლებისადმი“ (ეს ხერ-  
ხი ხშირადაა გამოყენებული ხალხურ პოეზიაში,  
„ვეფხისტყაოსანში“, სხვაგანაც). საერთოდ,  
ცალკეულ ფრაზაშია თუ გამოთქმაშია დამთხ-  
ვევა ბევრს არაფერს ნიშნავს „განთიადი“ ერთ  
ურდევს სხეულად შეკრული დიდი ლექსია და  
თავიდან ბოლომდე აკაკის ლაღი სუნთქვით  
მისი განუმეორებელი ნიჭის მადლით არის აღ-  
ბეჭდილი და გასხვიოსნებული.

მართალია გახლდათ ნოდარ ლუშაბიძე, რო-  
მელმაც ასეთი რამ თქვა: „განთიადი“ კაცის  
დაწერილი არ არის. ასეთ ლექსებს აღმანიები  
არ წერენ. ეს მათ ძალეებს აღემატება. დიახ, ეს  
ლექსი ღვთის ბაგიდან არის გადმოსული და  
ნაკარნახევი“. აქი თავად პოეტიც საქვეყნოდ  
აქხალებდა: „შუაკაცი ვარ უბრალო“.

სადღვიოდ არც ის შიანინია ვინმეს, რომ რამ-  
ღვინე უკნობს. გაზუნარ შედეგთან ერთად,  
„განთიადი“ საკუთრივ ქართული ლექსის სიმ-  
ლიერის, სრულყოფილების ერთ-ერთ უც-  
ყვარ საზომად, უცვლელ ვგალონად ითვლე-  
ბა და მომზავალშიც ასეთად დარჩება.

აკაკი წერეთლის თანამედროვეებს და  
შემდგომი ხანის მკვლევარებსაც ანციფორუ-  
ბადი ერთი გარემოება – მის ლექსებში ყოფ-  
ლად ჩვეულებრივი, ყოველდღიურად სა-  
საუბრო სიტყვები იყო გამოყენებული და  
უკვირდით, ვერაფრით აქხნათ მათეური მემო-  
ქმელება, რასაც ამ ლექსების წაკითხვა გა-  
ნაღღვინებდათ. აქ გონება უძღვრია. მხო-  
ლოდ შინაგანი ალღოთი, გუშანით უნდა მიეხ-  
ვდეთ – ჯადოქრობა თვით მის პოეტურ  
მეტყველებაშია ჩამარხული, მუსიკაც, მელო-  
დიურობაც ოსტატურად ახსული მისი სტრი-  
ქონების წიაღშია შეფარული.

გენიალურ პიანისგვე სვიაგოსლავ რისტერ-  
შე მუსიკათმცოდნე ვალენტინა ჩემბერჯი ამ-  
ბობს – მისი ხელოვნების აღწერა რომ შეი-

ძლებოდეს, თვით ამ ხელნაწილების იდუმალი არსი დაიკარგებოდაო. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ რამდენადმე მაინც გასაცნობიერებელია მომწესხველი ძალა, აკაკის საუკეთესო ლექსების კითხვისას რომ ვგრძნობთ. სასურველია გვახსოვდეს თანამედროვეთა ცნობები იმის თაობაზე, რომ განმარტოებული პოეტი ლექსებს ერთგვარი წამღერებით თხზავდა, ჯერ მულოდია ჩაესმოდა და სიგყვებს მერე ურჩევდა სათქმელს.

ანდრე ბელი რუსულ პოეზიაში აღექვსანდრე ბლოკს ყველაზე ამადლებულ პოეტად მიიჩნევდა და წერდა, რომ ეს კეთილზმოვანება, ლექსის მუსიკალობა მისი პოეზიის შინაგან რიგმს ყოველგვარი გარჯის გარეშე, ბუნებრივად უკავშირდებოდა და ბლოკი ამამე საგანგებოდ წინასწარ განმზარახულად არ მრუნაედა, ბგერათა პარმონიის მისაღწევად თავს ძალას არასოდეს აგანდა.

უშუალობის, ბუნებრიობის ასეთივე განცდა გვეუწულება აკაკის არაერთი ლექსის კითხვის დროსაც. ამას მრავალი მკვლევარი აღნიშნავს და სწორედ სტრიქონთა ვახაოცარი სილადის, პარმონიული ელერადობის გამო შევიძლია დაეასკვნათ, რომ ეს მოვლენა მისი, როგორც პოეტის, ერთი უმთავრესი თავისებურებათაგანია. „ციცინათელასა“ და „სულიკოს“ როდესაც კითხულობ, ისეთი შეგრძნებაც გიწმნება, რომ ეს ლექსები პირდაპირ სიმღერებად არის დაბადებული. სანამ უშუალოდ „ციცინათელაზე“ ვიგყოღეთ რამეს, მანამდე უმჯობესია, თავად პოეტს დავევლით ყური.

ერთ-ერთ ფელეგონში – „ცხელ-ცხელი ამბები“ („რა გუნებაზედა ვარ“ – აკაკი წარმოსახვით აღრესაგს (შეიძლება იგი კონკრეტულ პიროვნებასაც გულისხმობდეს) ბრძნული შეგონებებით შეზავებულ აღევორიული მინაარსის ზღაპრებს მოუთხრობს და ბოლოს, ვიდრე ამ ფელეგონს თავის ახალგაზრდობის დროინდელ შეღვერს – „ციცინათელას“ დაურთავდეს, წერს: — იცით, რას მომაგონებენ ხოლმე ჩვენში ლამაზი ქალები მათის მშვენებითა და ელვარებით? ციციანათელას. ციციანათელა, ხომ მოცხესუნებთ, მისთანა ჭია არის, რომელიც ბნელში დაფრინავს ხან იქითა და ხან აქით და თანაც საბოლოდ ანათებს. მე ჩემს ერთ ციციანათელათაგანს, აი, რა ლექსი დაუე-

წერე...“ ამას მოსდევს ლექსის გექსიგი. ფელეგონის ავტორს უნდა დაეფიქროს, რომ რომელიღაც კვლევით, მიმზიდველ, კორწია ქალის მიხერა-მოსხერა, პიეროვანი მოძრაობა, გარეგნული ელვარება გახდა ამ ლექსის დაწერის საბაზი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია – დიდი პოეტის სრულყოფილი ქმნილება ყოველთვის განუშობლად მეგია, ვიდრე თავდაპირველი შთანაფიქრი, გამოიწვევი ბიძგი (გავისხუნოთ კლასიკური მაგალითი, სადაც ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს აგვობინებს, რომ „მერანი“ მას თავისი უმცროსი ბიძის ილია ორბელიანის ლექებთან გყვედ ჩავარდნამ დააწერინა).

აკაკის ლექსის საგანთან პირდაპირ უყვარს მიახლება და „ციცინათელა“ უშუალო მიმართვით იწყება, რითაც ინგინი მყარდება მეტაფორულად წარმოსახულ, ესოდენ სასურველ, მაგრამ მოუხელთებელ არსებასთან. პოეტის საყვარელი, შედამარცვლიანი საზომი და სამჯერადი, ე. წ. „რობასის რითმა“ თავიდანვე სასიმღერო განწყობილებას ქმნის:

*ჩემო ციციანათელა,  
რად მიპერენ ნელა-ნელა?  
შენმა შორით ნათებამ  
ღამწეა და ღამანელა.*

თუ დავაკვირდებით, მიმართვაში, აღურსიანი კილოსთან ერთად, იგრძნობა მსუბუქი, უწყინარი საყვედური – ციციანათელა მისი მაქებარისა და კეთილმოსურნესგან განიღვტვის, „ნელ-ნელა“, მაგრამ მაინც შორდება მას, ხოლო პოეტს ასე შორიდან ნათება, თავისი თავის „შორით დაგვა“ არ მოსწონს. ჩვენ არ ვიცით, ვისმა „შორით ნათება“ დასწვა და დაანელა“ იგი, მაგრამ გრფიალება რომ ნამდვილია, ეს ამკარაა. მომდევნო სტროფში საყვედური მაგულობს, მაგრამ რაინდული თავდაჭერილობა, დელიკატურობა არც აქ ირღვევა:

*ანათებ და კარგი ხარ,  
მე თუმე არას მარჯიხარ,  
ჩემი იყო, ის მინდა,  
შენ კი სხვისი ბარგი ხარ!*

აქ უკვე სარგებელზეა გადაკრული სიგყვა, პოეტი წუხს, რომ ციციანათელა სხვისკენ მიექნება, მისი „შორით ნათება“ მას არაფერს რგებს, მაგრამ, საბოლოოდ, იგი მაინც მშვენიერებისკენ იხრება, წმინდა სილამაზეს ანი-

ჭებს უპირატესობას და ვინაიდან კონგრას-ტის ხერხს არასოდეს ელევა, ციციანთელასთან დასაპირისპირებლად სამ ცოცხალ არსებებს („აბრეშუმის პეპელა, ფუტკარი და წურბელა“) ჩამოთვლის. ყოველ მათგანს ადამიანისთვის სარგებლობა მოაქვს, მაგრამ თვითუნებურად თავისი ნაკლი გააჩნია – აკაკი საითთაოდ ახასიათებს სამივეს, თუმცა, წინდაწინვე, ციციანთელას რჩობს („შენზედ სარგებლიანი შენ გენაცვალის ყველა“). პოეტი ეფიყება ბინდში გაღვლებულ ციციანთელას, რომ არავეისში არ გაცვლის და თანვე აფრთხილებს: „მე ვარ შენი ერთგული, სხვა მოგატყუებს ყველა“.

ის სტროფები, სადაც ფუტკრის, წურბელას და აბრეშუმის ჭიის სარგებლიანობასა და ნაკლებად ნათქვამი, ნატურალისტურად გამოიყურება, მსჯელობითაა გადატვირთული და ბუნებრივია, სასიმღერო ტექსტში ზედმეტი აღმოჩნდა. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში (გურამ ასათიანი და სხვები) გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ეს ნატურალისტური, ნაკლებად ესთეტიკური პასაჟები პოეტს რეალისტებისადმი გადამეტებულმა ერთგულებამ დაწვრიანა. ერთ-ერთ სარგებლიან მწერზე, „იობის მაგლზე“ – ფუტკარზე – ქვემოთ მოგვიწევს მოგი რამის თქმა.

„ციციანთელა“, მიუხედავად აღნიშნულისა, უმშვენიერესი სატროფალო ლექსია, პოეტი სამარის კარამღე ერთგული რჩება ფეხმერული სილამაზისა, რომელიც მისგან თანდათან განიზიდება და საერთო ნაღვლიან ტონსაც ეს დამორება განაპირობებს. აკაკი ამ ლექსშიაღე დიდოსტატურად ფლობს რეფრენის ხელოვნებას, როცა ცალკეულ, განმეორებულ სტრიქონებში მცირეოდენი, მაგრამ ნაწარმოების კომპოზიციისთვის აუცილებელი ცვლილებები შე აქვს და ესეც ცნობილ სტილისტურ ხერხს, „სამუელის“ გამოყენებას ემყარება. შეკითხვის ინტონაცია თანდათან ძლიერდება: 1. „რად მიჭრენ ნელა-ნელა?“ 2. „ს ა ი თ ჰჭრენ ნელა-ნელა?“, ფინალურ სტროფში კი სინანული კიდევ უფრო მძაფრად არის გამოხატული:

*ჩემო ციციანთელა,*

*ს ა დ ა ჰჭრენ ნელა-ნელა?*

*შენმა შორ-შორ ნათებაჲ*

*ულროოდ დამანელა!..*

ბევრი დაწერილა აკაკისეულ უბრალოებებზე, სისადაეზე, რაც იოლი მისაღწევად ღრმად ვერც მის პოეზიაში, ვერც პრინციპში მქმნის. ვეით, უაღვილო ეპითეგს, ხელოვნურ, გაპრანჭულ ფრამას ვერ იპოვიო, ეს კი ოსტატობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია. ამ კლასიკურ სისადაეებზე, ღვთაებრივ უბრალოებებზე იგი საგანგებოდ თითქოს არც ზრუნავდა. უნებურად გატახსენდება გამოჩენილი მთარგმნელისა და უმაღლო სტილისტის ნიკოლაი ღიუბიშვილის მოხდენილი გამონათქვამი – „უბრალოების შეუმჩნეველი ხელოვნება“ – მან რომ ღვე გოლსტოის პროზის დასახასიათებლად გამოიყენა. ღერმონტოვისა და გიუტრევის წინასწარმეტყველურად აქედრებული გამჭვირვალე ღექსების უმთავრეს ღირსებად ერთმა მკვლევარმა „მოჩვენებითი უბრალოება“ მიიჩნია. ამგვარი განსაზღვრება, ვარდა „ციციანთელასი“, ზედგამოჭრილი იქნებოდა, აგრეთვე, აკაკის არაერთ ღექსზე, რომელთა იოლად აღსაქმელი უბრალოების, სიმარტივის მიღმა ღრმა აზრი, იღვშალება იღანდება (თვით სახთელზე, მისგან მრავალგზის გამოყენებულ სიმბოლოზე პოეტი წერს: „საიდუმლოდ იწვის, დება...“). ანტიკური ხანის ბერძნული ხელოვნება ვინკელმანმა ასე შეაფასა – „კეთილშობილური უბრალოება და მშვიდი დიდებულება“. ეს მოგადი ფორმულა უთუოდ გამოდგებოდა ყოველივე საუკეთესოს აღსანიშნავად, რითაც ასე უხვია აკაკი წერეთლის შემოქმედება.

საგანგებო აღნიშვნა არც ესაჭიროება იმას, რომ ფუტკარი აკაკი წერეთლის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი, მყარი სიმბოლოა. ფუტკრის ურთიერთსაპირისპირო თვისებები – შხამით დანესტკრა და თაფლის მოცემა აკაკის წარმოსახვაში ამ უცნაურ მწერს პოეტთან ანათესავენდა, მის იპოსტასად აქვე და. ღექსში „მედარება“ იგი, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს მიმართავდა:

*შენ, პოეტი, კეთა შორის,*

*ფუტკრად ხარ გაჩენილი,*

*ენა-ისარ-ნაღვლიანსა*

*ნაყოფი გაქვს ნათელ-გკილი.*

საუურადღებოა ამავე ხასიათის სხვა, უფრო გვიანდელი ღექსი „ფუტკარი“, სადაც, შეგა-

ფორული გააზრების გარდა, კონკრეტული ცნებით, ლიგერატურული გერმინით არის განსაზღვრული ფუტკრის დანიშნულება, ორივე პლანი ცხადადაა წარმოჩენილი:

*ს ა რ კ ე დ ა ს ა ხ ე მ გ ო ს ნ ო ბ ის,  
ე მ ბ ლ ე შ ა ც ა ხ არ შ რ ო ბ ისა,  
შ ე ნ ა თ ხ ი ს ი ე ვ ა რ უ ღ ი ს ა  
და წ მ ი ნ დ ა გ უ ღ ი ს წ ყ რ ო მ ი ს ა .*

აქვეა ხაზგასმული ორმაგი სამსახური, რასაც ფუტკარი ორ, ამირ და იმირ, სოფელს უწევს და რამიე აკაკი განსაკუთრებულ აზრს ხელახს:

*ქ ე ე ყ ა ნ ა ს თ ა ფ ლ უ კ ს უ მ შ ა დ ე ბ  
და ს ა ნ თ ე ლ ს უ ნ ი ე ბ შ ე ნ ა ს ა .*

ეს თემა აკაკის შემოქმედებიდან იღებს დასაბამს, ხოლო შემდგომი დროის ქართულ პოეზიაში თავისებურად ვითარდება, რასაც აქ ვერ განვიხილავთ. ფუტკართან მჭიდროდ დაკავშირებული სანთელიც რომ აკაკისეულ მყარ ხატოა რიცხ მიეკუთვნება, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი და მოგვიანებით კვლავ ვიგვეთ.

მრავლისმეტყველია ხსენებული ლექსის ბოლო სტროფის ხაზგასმულად აღტაცებული, აღერხიანი კილო, აგრეთვე, ერთი მეტაფორული სახე, უშუალოდ აკაკისგან მომდინარე:

*ფუტკარო, ჩემო ფუტკარო,  
ი ო ბ ი ს მ ა გ ლ ო მ ე ი რ ე ო !  
ჩ ა ნ ვ ი გ თ ხ ო ვ ს, მ გ ო ს ნ ის ს ი გ ყ ვ ე ბ  
მ ს ხ ე რ პ ლ ი ვ ი თ შ ე ი წ ი რ ე ო !*

ბუნებრივად დაისმის კითხვა, საიდან განზღა და ეს გამოთქმა – „იობის მაგლი“. საგულისხმო ფაქტია, რომ აკაკის ქართველი ებრაელებისგან ჩაუწერია თქმულება ბიბლიურ იობზე, რომლის მიხედვითაც იობს ღმერთისთვის უთხოვია – მის სხეულს დარეული მაგლები ადამიანებისთვის სარგებლობის მომგანნი გამხდარიყვნენ. უმნაესს რწმენაშეურყვეველი წამებულის თხოვნა აუსრულებია და ერთ-ერთი მაგლთაგანი ფუტკრად ქცეულა. ამის შერე გასაკვირი არაა, რომ ფუტკარი „იობის მაგლად“ არის მოხსენიებული. ძველი ადტიქმის კანონიკურ გექსტში ამაზე არაფერია ნათქვამი და, ამდენად, აკაკის მიერ ჩაწერილი შეპირი გადმოცემის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, იგი აპოკრიფულ თქმულებად შეიძლება ჩაითვალოს.

ცხადვე უცხადესია, „სულიკო“, მთელ ქარ-

თულ პოეზიაში, ყველაზე პოპულარული ლექსი სად შეუდარებელი სიმღერის წყველობით იქცა, მაგრამ ისიც უეჭველია – აკაკის ამ უკნობ შედევრს თავისთავადაც დიდი მხატვრული ღირსებები ახლავს და, როგორც პოეტური ქმნილება, უნაკლოა. ასეთ, მთის წყაროსავით გამჭვირვალე, ლექსებზე ამბობენ – განმარტება, კომენტარები არ სჭირდებათ, მაგრამ მიახლოებით მაინც უნდა გამოვხატოთ შთაბეჭდილება, რასაც მაგიურ სტრიქონთა კითხვა თუ მოსმენა აღძრავს.

მარტვი თხრობა და ასეთივე სოფტეგი, მძივად ასხმული ცალკეული, გზადაგზა გაღვებული და თავმოყრილი სახეები, რომელთაც ვერაფერს მოვაკლებთ და ვერც ვერას მიეუმაგებთ, თავიდან ბოლომდე გასდევს და კომპოზიციურად უზადოდ კრავს, ერთ ურღვევ მთლიანობად აქცევს ხსენებულ ლექსს. რა უნდა იყოს იმაზე უფრო გაცვეთილი, გრივი-აღური, ვიდრე უთვალავეჯერ გამოყენებული სახე-სიმბოლოები – ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი, მაგრამ აკაკიმ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ იგი ლიგერატურული კლიშეების გაცოცხლების ნამდვილი დიდოსტაგია. მან ისეთი ცხოველი სული შთაბერა ამ სახეებს, ისე განაღვარა და ერთი ნათელი წერტილისკენ იმდაგვარად მიმართა ისინი (მისი საყვარელი, სამუელთა გამოყენების კლასიკური ხერხი ყველაზე მეტად აქ გამოადგა), რომ შეუძლებელი იყო, პოეტის იდეალურ ჩანაფიქრს ამგვარივე ნაყოფი არ გამოეღო.

უბრალოდ შეგვიძლია ვთქვათ – „სულიკო“ ძიებაა ყოველივე წმინდის, სანატრელის, სანუკვარის, რაც აკაკიმ „საყვარლის საფლავად“ (რეალური საფლავის, სამარის შეგრძნება იმთავითვე ეფემერულია ამ შესიგვეებაში) წარმოიდგინა. იგი თითქოს ძენაცაა იმ სამოთხისებური წიაღისა, ედემიდან გამოდევნილმა პირველმა კაცმა არსებობის გარიტრატზე რომ დაეკარგა. „სულიკო“, ამასთანავე, უკიდევანო სამყაროში განფენილი მშვენიერების თავმოყრა და გაუმართლებელია, კონკრეტული შინაარსის შემცველ ლექსად, ალევორიად მისი მიჩნევა. ამდენად, არაა საჭირო, თვითველ ხატს საგანგებოდ ვუკრიალოთ და სახელები დავარქვათ. აქაც, როგორც აკაკის სხვა საუკეთესო პოეტურ ქმნილებებში, საწყ-



ისი ბიძგი, რა თქმა უნდა ემოციურია, მაგრამ, საბოლოოდ, გრძნობა და გონება მუდამ შეწონასწორებულია, რაც თავიდან არაერთხელ აღუნიშნავს. ეს მისი ღრმად გააზრებული, აწონილ-დაწონილი პრინციპი იყო.

ლექსის პირველივე სტრიქონებიდან გვესმის ცხოვრების ამაოებისგან გულგასენილი, გაგანჯული ძახილი, რაც უმაღლესი თანაგრძნობისათვის განგაწყოს. აკაკი, როგორც მას სჩვევია ხოლმე, შორიდან არ უელის, პირდაპირ გვეუბნება სათქმელს:

*საყვარლის საფლავს ვეძებდი,*

*ვერ ვნახე! დაკარგულიყი!*

*გულამოსკენილი ვიოდი:*

*„სადა ხარ, ჩემო სულიკო!“*

ბოლო სტრიქონი შემდგომ ლაიგმოტივის მგვირთველ რეურენადაა გამოყენებული, შეკითხვის კილო მიმართან უფრო მიახლოებულს, გამოკვეთილია და ამ სახით – „შენ ხომ არა ხარ სულიკო?! მედიმედ სამჯერ მეორდება და სამივეჯერ გამოზომილად, თავ-თავის ადგილას, აუცილებლობის გამო.

აკაკი ყველგან, ყველაფერში თანხმობის, პარმონის შაძიებელია, პოეზიის უმთავრესი სიმბოლო, ჩანჩიყ, ასევე აქვს აწყობილი („პარმონია მისი ხმების“) და, ბუნებრივია, „სულიკოს“ წერის დროსაც ამასვე ესწრაფვის. პოეტი თავის დაქონებულ კითხვაზე სამივეჯერ არასიგვიერ, მაგრამ დამაიმედებელ პასუხს იღებს (ეს მინიშნუებით ხდება) და იმავე წამსვე ნიავი ჩასწორულებს – საწადელს უკვე მიაღწევ, „მორნი და მოსიგენო“. თან ისევე უნაწევრებს და იმგვარადვე ნათლად უხსნის ყველაფერს, როგორც თავად პოეტი იყო ჩვეულო. „სამად დამზიდა ის ერთი ვარსკვლავად, ბუღბუღ-ვარდადო.“ შაძიებელი პოეტის მძლავრ წარმოსახვაში ერთ მასულდემულზელ თავიგულად შიკრა სასოებით მოძიებული სამეული, მის თვალწინ გაბრწყინდა თავისებური „სამება“ (მოელი ცხოვრება მოუნდა ამ ძენას) და ვაჟაკური აღარაა ის უსამღერო სიხარული, რამაც სვეტაშწარებული პოეტის ქმუნვა და ვება ასე სასიკეთოდ შესყვალა:

*მენიშნა! აღარ დავეძებ*

*საყვარლის კუბო-სამარეს,*

*აღარც შევიჩიო ქვეყანას*

*აღარ ეღერი ცრემლებს მდულარეს!*

*ბუღბუღს ყვრს ვევედებ, ვარდს ვწერსსვე,  
ვარსკვლავს შევეურებ ლხენიშა  
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს  
ვერ გამოითიქვამს ვნითა!*

თვით ეს გამოთუთქმელობა, მოხვენებითი უძღურება უკვე ყველაფრის თქმასა და განდობას ნიშნავს. ვარდი, როგორც ვიყით (იონა შეუნარგიას შეღვენილი კითხვარი), აკაკის უსაყვარლესი ყვავილია. „საქარველის ბუღბუღს“ – „ყოთლებში მიმალული სწორუპოვარი მაგალობელი მგოსნის“, კრძოლ, თავისი თავის გამოხატულებად ესახებოდა. ვარსკვლავი მისი ოცნებისა და გრფიალების გამუღმებული საგანი იყო: აკაკის პოეზიის გვირგვინი – „განიიადი“ – ხომ „ეის კრის ვარსკვლავის“ იღუმალი შუქითაა გასხივოსნებული. ამ სამეულზე უკეთესს პოეტი ქვეყნად ვერაფერს მოიფიქრებდა, რათა თავისი ცხოვრების ამრის, უკნობი მშვენიერების ერთიანი ხატი შეექმნა.

„სულიკო“ რომ დაწერისთანავე ჩვენი ხალხის სათაყვანებელ სიმღერად იქცა, ამის ახსნა სხვადასხვაგვარად შეიძლება, თუმცა, არ გვერნია, სავალდებულო იყოს. უპირველეს ყოვლისა, თავად ლექსია ლაღი და ამღერებული, ძირითადად, ერთ გამყოლ რითმაზეა გაწყობილი (რამდენიმე გადახვევა მონოტონურობის თავიდან ასაცილებლადაა გამომიწული) და სტრიქონთა ბოლოებში სმოვანთა (ი, ი, ა) გრძლად, წამღერებულად გამოთქმა უკვე სასიმღერო განწყობას ქმნის.

აკაკისთანა უფაქიძვის სმენის პაგრონისაგან მოსალოდნელიც გახლდათ, რომ მელოდია თავად ლექსში ყოფილიყო ჩაბუღებული და პოეტის ახლო ნათესავმა, ნიჭიერმა მომღერალმა ვარისკა წერეთელმა ადვილად ამოიციო იგი, მუსიკოსის შეუმცდარი აღლოთი დიდებულად ააღერა, გაახმოვანა. ლექსიდაც და სიმღერადაც მუდამ მოუბემრებული „სულიკო“ მარადისობის წარუღინებული წამებისგან არის ნაქსოვი, აელვარებული და მას დაღუმება, გაქრობა არასოდეს უწერია.

საერთოდ, აკაკის ლექსებზე შექმნილ, მშობლიური, ღეთაებრივი პანგებით შეზავებულ სიმღერებს როცა ვისმენთ, მუდამ უზომო მადლიერების გრძნობით ვიმსჯვალებით ამის

მიმართ, ვისი ნათელი სულის სიმბეჭე ეს უკუდავით საგალობელი პირველად დაირხა და გადმოიღვარა, რათა საქართველოს და მერე მის მიერვე „სახაგდე“ მიჩნეულ მთელ ქვეყნიერებას მოჰყენოდა.

გარემომცველი სამყაროსა და ყოფიერებისადმი აკაკი წერეთლის მიმართება რამდენადმე სრულიად რომ წარმოჩნდეს, ზოგი რამ უნდა ვთქვათ მის საქრესგომათით, ბიბლიის აღუშვებით აღსავსე, მომრიღი, უაღრესად ღრმა აზრების შემცველ ლექსზე „ქებათა ქება“, რომელიც სიყვარულის თავისებურ პიშნადაც გაისმის.

„უღვინოდაც მთვრალი“ პოეტი გაოგნებულია იმ ერთი აუწერელი მშვენიერებით, რაც მის წინაშეა გადაშლილი, არ ასვენებს საიდუმლოებათა ამოცნობის დაუცხრომელი ჟინი, გუმანით ხვდება, გრძნობს, რომ სულიერი თუ სუსული, ვინც და რაც ირველივად, მთელი ქვეყანა, მაღლიერებით „თავს უხრის შემქმნელს“. „სხივმომჟინარე მთვარე“ და „ვარსკვლავნი... მოკამკამუნი, მოთამაშენი“ ერთ დიდ, საყოველთაო ფერხულში არიან ჩაბმულნი, თავიანთი წრეგადასული სიხარული, აღტაცება რომ გამოხატონ:

*ძალთა დიდება, შექმნათა ქება  
არს საიდუმლო მათი ვედრება.  
ქვეყნით ბუნება  
ბანს ეუბნება  
და ეს ბანია „ქებათა ქება“.*

აქ მცირე გადახვევა დაგვიტრდება, რათა აკაკის ლექსის სიდიადე, სიღრმე, თვალისმომჭრელი ელვარება უფრო ნათლად, მეტი ძალით შევიგრძნოთ. პოლ კლოდელი თავის ერთ წერილში ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რასაც პოეზიას რელიგია ანიჭებს. უპირველესად მას მიაჩნია ღვთის რწმენა, რაც დასაბამს აძლევს ქებას: „ქება, შეიძლება ითქვას, პოეზიის ყველაზე მძლავრი მამოძრავებელია, ვინაიდან იგია სულის უღრმესი მოთხოვნილება, სიცოცხლისა და სიხარულის სმა, ყოველივე შემქმნლის ვალი, რომლის აღსასრულებლად თვითვე ქმნილებას ყველა დანარჩენი სჭირდება. დიდი პოეზია ვედების პიშნიდან მოყოლებული, მშისადმი აღელენილ წმინდა ფრანცისკის პიშნამდე – ქებაა. ქება – მთავარი თავისმომყრელი თემა. მარტოღმარტო

არაეინ მღერის. თვით ცის ვარსკვლავებიც, ვკითხულობთ წმინდა წერილში, ყველაწმინდისა ერთად გალობენ.

იქვე კლოდელი ამბობს, რომ რელიგიამ, სიმღერის გარდა, დაგვიბრუნა და „ქვეყნად მოიგანა არა მარტო სიხარული, ამრიც. რახან ვიცით, რომ სამყარო არ შემქნილა შემთხვევის ანდა ერთმანეთისკენ ხელის ცეცებით მიძველ ბუნების ბრმა ძალითა წყალობით, ჩვენ ვიცით, რომ სამყაროშია აზრი. აზრი ჩვენ გვეუბნება შემოქმედზე, გვაგვბინებს მის, ნამუშოქმედარს, ნებას გვაძლევს თუნდ კითხვები დავეუხავთ და გადაუხადოთ მას ვალი“.

დაახლოებით იგივეა, ოღონდ სხვანაირად ნათქვამი პლოტინის მუხუთ ენადას ერთ ნაწყვეტში – „ყოველმა სულიერმა, უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა იცოდეს: მსოფლიო უნივერსალურმა სულმა სიცოცხლე შთაბერა და წარმოქმნა ყველა ცოცხალი არსება – ის ცხოველები, რომელთაც ასაზრდოებს მიწა და ისინიც, პერსა ანდა ზღვაში რომ ცხოვრობენ, მანვე წარმოშვა ღვთაებრივი ვარსკვლავები და მზე და, საერთოდ, უკიდვანო ციურ სხეულთა მთელი სიღამაზე მან დააწესა და ყველაფერში იყავს კანონმომიერ თანმიმდევრობას“.

ეს სიბრძნე აკაკი წერეთელს, რუსთაველის უღირსეულეს შემკვიდრეს, თვით ამ აღფრთოვანებული ოდის შემქმნელს, გამინაგნებული, შესისხლხორცებული პქონდა. მან, რა თქმა უნდა, ისიც იცის, რომ სამყაროში ყველაფრის გვირგვინი ღვთის სახედ ჩაფიქრებული და შემქნილი ადამიანია და უმაღლეს ექსტაზში მყოფი აეგორი „ქებათა ქებისა“ მაინც პირველადმოქმნის აღტაცებით შესძახებს:

*და ახლა მე ვგრძნობ, საიდუმლოდ ვცნობ,  
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!*

ამას მოსდევს (აქედან მოყოლებული, ლექსის გრაფიკული იერიც იცვლება) რიგორიკულ შეკითხვათა წყება, ბიბლიის საფუძვლიან ცოდნას რომ ეყარება და ამავე დროს ჭეშმარიტ, ამაღლებულ პოეზიადაც რჩება:

*რამ ამაშაღლა? ვინ მაგრძნობინა  
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?  
აღამის ცოდვით მკრთალი ბუნება  
ძღვეამოსილად გარდამიცვალა?!  
აკაკის არაევისგან ესწავლებოდა (თვად*



იყო ცხოვრებაში ამ დიადი გრძნობის, „ციური ნიჟის“ განუხრულად მატარებელი), რომ ყველაფრის თავი და ბოლო, თვით ქრისტეს მოძღვრების საძირკველი სიყვარულია: „აღამის ცოლდაც“ კაცთა მოღვაწის სიყვარულად მოუღვინილმა უფალმა წარსოცა, „ქებათა ქების“ სტრიქონთა შუა პავლე მოციქულის სიტყვებით იკითხება: „ღმერთი სიყვარულია“. ამიგომაც აკაკი პირდაპირ არ ასახელებს ქრისტეს, როცა მის მიერვე დასმულ შეკითხვებს პასუხობს.

*შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის  
კავშირო და თან შუამავალო!*

*შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანგვაროს,  
მზად ვარ, სიციხელე მთლად ვანაყვლო!*

„ცისა და ქვეყნის კავშირი და თან შუამავალო“ ვისაც გულისხმობს, ესეც ცხადია. აკაკის გულისყური მიჰყოლილია სამყაროს შემოქმედისკენ, მისგან ელის კურთხევას, რათა „გვლივით, სიკვდილის წინეთ უცნაურ პანგზე ჩაიხმატკბილოს“. პოეტი შენატრის და ეთაყვანება მას, ვისაც აქვს განსაკვიფრებელი უნარი – შეითავსოს რამდენიმე ღვთიური თვისება და აქაც თავის საყვარელ სამეულებს იშველიებს, მაგრამ ისე, რომ ერთფეროვნება არიდებულა:

*მე მას ეუვალობ, ვისაც განგებამ  
მშენიერება უსხივეისკარა!*

*ვისე ვარ დს ელფერი, ი ა ს სინაზე  
და ბ უ ლ ბ უ ლ ს ენა ერთად მოჰპარა.  
ის არის ჩემი ტკბილი სიმშარი  
და მომზობლავე მძლავრი ოცნება...  
სიყვარული რომ გასტად უღვია,*

*ვევირვეინება პატონსება.*

აკაკი რომ სიტყვითწარმოქმნის განსაკვირვებელი, რუსთაველის შესაღარი ჯალოქარია ამ უცნაურად ჩახვეული, ფერადოვანი მწიხვანაე („უსხივეისკარა“) ცხადი ხდება, მაგრამ, ამასთანავე, ორიოდ სტროფში, მისივე გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, პოეტის მთელი პიროვნული, ადამიანური და შემოქმედებითი, ესთეტიკური მრწამსია გახივრებულად.

„ქებათა ქება“ ისე არ მთავრდება, რომ პოეტს თავისი სამშობლოს სახე და წილხვედრი არ გამოეკვეთა სამყაროს უსასრულობის ფონზე. იმ „ტკბილ სიმშარში“, რომელიც მის სანთელივით წმინდა ცხოვრებად უნდა წარმოვიდგინოთ, აკაკი კვლავ უსამღვრო მოქმადლებით ახსენებს საქართველოს უბირველეს ქალთა სათაყვანებელ სამებას – „ნინოს, თამარს, ქეთევანს,“ ეს თაყვანისცემა არაერთ მის სხვა ლექსსა თუ პოემაშია გამოხატული.

„ქებათა ქების“ ამომთქმელი ოქროპირი მადალი ღმერთის საუფლოს – ცას – უსწორებდა თვალს, თავისი „მძლავრი ოცნებით“ ხშირად იქ, ანგლოშითა შორის იმყოფებოდა, მაგრამ გარემოება აიძულებდა, ცოდილ მიწაზე დამვებულიყო, რათა თავისი სვეტამწარბეული მამულის გვევობიდან დახსნაზე ებრუნა.

აკაკის შოგიერთ ამღვრებულ ლექსს (სათაურიც დაგაბნევს: „საგროოს“) თავიდან ვერც შეაგვობ, რომ იგი საყვარელ არსებას, ქალს არ ეძღვნება. იშვიათად ხდება – სამკაულთაგან თითქმის განპარკული სიტყვებით პოეტი ამღვნს აღწვევებს.

**დასასრული იქნება**



## კომედიის პოეზია

პოეზია კომედიის ფორმით, ასეთია გუნოსთა დრამატურგია. ასე განიცადეს იგი ბერძნებმა. ღვთაებრივია ტრაგედიისა და კომედიის ფორმით შექმნილი ანტიკური პოეზია. ღმერთები და ადამიანები იქ უკვდავების ერთ მეტყველებენ და სულიერი ხაზრდოთი აესებენ დღევანდულობას ისევე, როგორც მათი შექმნის ეპოს. არისტოტელემ ამ მარადიულ, უკვდავ პოეზიას „პოეტური ხელოვნება“ უწოდა, მისთვის დრამატურგია პოეზია იყო.

ესქილეს, ევრიპიდეს, სოფოკლეს, არისტოფანეს დრამატურგია, ანდა შემდგომ, შექსპირისა თუ მოლიერის ქმნილებები პოეზიის დარგად წყობილსიტყვაობის გამო კი არ გამოცხადდა, არამედ იმ თვისებათა გამო, მაღალ პოეტურ ხელოვნებას რომ გააჩნია და განასხვავებს მას ყოველდღიურობისათვის შექმნილ, ყოფითი ხასიათის მწერლობისაგან.

ყოფითი ხასიათის მწერლობა მხოლოდ ხანმოკლე დროის მანძილზე ცოცხლობს, მხოლოდ კერძო, ერთეულ, წარმავალ ამბავს გადმოგვცემს და მალე ქრება.

ყოველდღიური ცხოვრების პროზა და მისი თანამდგე მწერლობაც, საკანცელარიო, საჭიანი ქაღალდებისა და მიწერ-მოწერის მსგავსად, დროებითია. ასეთ მწერლობას „ყოფითი ლიტერატურა“ უწოდეს. „ყოფითი დრამატურგია“ მისი ნაწილია და პოეზიასთან ცოტა რამ აქვს საერთო, წყობილსიტყვაობის ფორმითაც რომ იყო დაწერილი.

ასევე ფიქრობდა პოლიკარპე კაკაბაძე და თავის შემოქმედებას განასხვავებდა „ყოფითი დრამატურგისაგან“, რომელსაც იგი „პროზაულს“ უწოდებდა.

პოეტურია დრამატურგია, რომელიც მარადიულ ენებებს, გონიობებს, აზრებს, ფიქრებს და საკუთრო ტოფილებს გამოხატავს

პოლიკარპე კაკაბაძემ „დრამატული პოეზია“ უწოდა თავის ქმნილებათა ორტომეულს

და ამრიგად, თუთორნვე შეიტანა სიახლე მისი შემოქმედების განმარტებაში. იგი თვლიდა, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“ პოეზიაა.

პოეზიაა „ყვარყვარე თუთაბერი“, უკვდავი პოეზია, სიცილის ფორმით რომ დაატყვევებს და მარადიულ ფიქრებთან და ენებებთან დააენებს ადამიანის მადიებელ სულს, მიანიჭებს მას ახალ სიცოცხლეს, სიყვარულითა და სიკეთით შობილს.

იგი კაცობრიობის სულს ნაცრადქცეული, ყალბი დიდების წარმავლობასთან და სიცრუესთან დააპირისპირებს, საშინელი ძალით რომ შემოხვევია ადამიანის არსებობას და მისი ტანჯვისა და ჭკუშმარტებისაგან დაშორების მიზეზად ქცეულა.

ყველაზე დიდი პოეზია ქვეყნად შეიქმნა იმ ფორმით, რომელსაც პროზუელი ეწოდება. ეს გახლავთ ბიბლია. მას არანაირი სხვა პოეზია არ ედრება. მისგან საზრდოობს ყველა პოეზია. „ფსალმუნნი“ დიდი პოეტური ქმნილება ქვეყნად არ შობილა. მას თვითონ ღმერთის სული ქმნიდა დაეით წინასწარმეტყველის ხელით.

„ფსალმუნნი“ იქცა საფუძვლად იმ პოეზიისა, ქრისტიანული სამყაროს წიადში რომ წარმოიშვა. ყველა დიდი პოეზია თავისი ფესვებით მას უყრდნობა, მისგან მოდის, მაგრამ მის ღვთაებრივ სიმაღლეს ვერასოდეს აღწევს, რადგან ღმერთის ვინ გაუტოლდება.

ქრისტიანული პოეზია უდევს საფუძვლად მთელ ქართულ მწერლობას, მის მაღალ პოეზიას, რომლის საფუძვლებზეც აღმოცენდა პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგია. უკვდავი გრძნობები და ენებები იღურება მისი სტრიქონებიდან, იქ ამტყვევებულია კაცობრიობის ტკივილები. მისი ღვთაული მიმართულია მაღალი ჭკუშმარტების ძიებისაკენ, ღვთაებრივი საიდუმლოს წედომისაკენ, მისი სურვილი ღვთაებრივი სიკეთის წედომის სურვილია, რომელიც ზოგადად

კაცობრიობის მარადიული სურვილია და ნაირგვარი ფორმით ვლინდება გენიალურ სულთა შემოქმედებაში.

დრამატურგის ხუთი კომედია: „ყვარყვარე თუთაბერი“, „კახაბერის ხმალი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „ლოპიანე“, „ცხორების ჯარა“ ის ქმნილებებია, რომელთა გამო იგი შეიყვარა მთელმა საქართველომ. პოლიკარპე კაკაბაძის ამ დრამატულმა ქმნილებებმა გამოხატეს ეპოქა, რთული, წინააღმდეგობებით სავსე ტრაგიკული მეოცე საუკუნე. ამ საუკუნემ თითქოს თავის თავში წარმოაჩინა კაცობრიობის მთელი სატანჯველი, რაც კი მას ოდესმე გადაუტანია. ადამიანის დანაშაულებათა სისასტიკე, უსამართლობა, ვერაგობა, სიძულვილი, საშინელი სულის დაცემა, მსგავსი იმისი, რომელზეც გოდებს წინასწარმეტყველი იერემია.

პოლიკარპე კაკაბაძის ეს ხუთი ნაწარმოები არის კაცობრიობის სახე, სადაც გამოხატა ადამიანის მარადიული ტკივილი, მისი სისუსტე და სიძლიერე, დაცემა და ბრძოლა, სწრაფვა ხანუკვარი, სულიერი თავისუფლებისაკენ, ღვთაებრივი დიდი სიმართლისაკენ, ერთადერთ მხსნელად რომ მოველინება ადამიანის ცეკვებით და ცდუნებებით განაწამებ, გადაადგილ გულის და გონებას. ტანჯვის გზით იბადება დიდი რწმენა, რწმენა და იმედი იმისა, რომ მადალი ღმერთი მის შემცდარ შეიღებს გამოიყვანს ცხოვრების ამოუბოთი შექმნილ ლაბირინთებიდან, სადაც დაიბნენ, იმიტომ, რომ სცოდნეს, დაეცნენ სულთი, ეშმაკის ღლეკის ეჭიბედნენ სულმოკლეობით და ვერ აივხეს უძღები გული მაკდურ ხაუნჯით.

პოლიკარპე კაკაბაძის ფილოსოფიური, მაღალპოეტური კომედიები, იხვევ, როგორც მისი დრამები და ტრაგედიები, გამოხატავენ კაცობრიობის უდიდეს ტკივილს და მოწოდებულნი არიან ადამიანთა სულის გამოსახსნელად.

„არა მოუფდ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, რაითა შეინანონ“, ბრძანებს უფალი (ლუკ. 5.32).

ღმერთს უყვარს თავისი ცოდვილი შვილი იხვევ, როგორც მართალი, და მისი ხსნისთვის მოვიდა ქვეყნად. სწორედ ეს ცოდვილი

შვილია გამოხატული პოლიკარპე კაკაბაძის კომედიათა ტიპებში, რომლებიც მან უყვარს, და მათი ხსნისათვის იღვწის.

პოლიკარპე კაკაბაძეს არ მიაჩნია სწორად პერსონაჟთა დაყოფა დადებით და უარყოფით გმირებად, სექსატურად თვლიდა ასეთ დაყოფას. მას უყვარდა თავისი კომედიების „უარყოფითი“ პერსონაჟები იხვევ, როგორც მის დრამებსა და ტრაგედიებში წარმოსახული იდეალური გმირები.

რა თქმა უნდა, ყვარყვარე „უარყოფით“ გმირია და არა „დადებით“, მაგრამ იგი უზოგადესი ტიპია ადამიანისა, ერთ-ერთი იმათგანი, მსოფლიო ლიტერატურაში რომ შექმნა. იგი კაცობრიობის სახეა, ღმერთის შემცოდვე შვილის გამოხატულებაა, რევოლუციის ეპოქებში რომ დაიბადა, როგორც ტიპი.



ისტორიის მსვლელობამ მეოცე საუკუნეში მოიტანა უდიდესი ძვრები, რომელთა ასახვა მოხდა საქართველოში საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილებით „ყვარყვარე თუთაბერი“, მან გამოხატა არა მარტო ეპოქის საეციფიკა, არა მხოლოდ რევოლუციის ღიფერის სახე, არამედ ზოგადი თვისება ადამიანისა, მისი შინაგანი არსი, მისი ბუნება, ის, რაც ყველა ადამიანში არსებობს მეტად, ნაკლებად, ხანდახან, თუ ხშირად.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა აზრი, რომ ყვარყვარე თუთაბერი ზოგადსაკაცობრიო ტიპია და ყველა დროში და ყველა ხალხში იცოცხლებს მარად, მსგავსად დონ-კიხოტისა, ფაუსტისა და ტარტიუფისა.

ხოლო ყვარყვარისში, როგორც თვისება ადამიანისა, კიდევ უფრო ძლიერია და ვრცელი, ვინაიდან ყველა ადამიანში ასოვებს საყრდენს, როგორც თანდაყოლილი ცოდვის ანარკელი. ამ ტიპის მთავარი თვისება არარაობა, სიცრუე, აღმდგარი ღვთის წინააღმდეგ.

ყვარყვარე როგორც ტიპი, რევოლუციის ღიფერია და შეიქმნა კიდევ იმ ტკივილთა პასუხად, რომელიც 1917 წლის რევოლუციამ მოუტანა კაცობრიობას.

მეოცე საუკუნის რუსეთის დიდი და სისხლისმღვრელი რევოლუცია, ყველაზე

მასშტაბური თავისი მსხვერპლით და ყველაზე სასტიკი თავისი შედეგებით, სრულიად განსაკუთრებულია რევოლუციათა ისტორიაში. მან დააბრკოლა კაცობრიობის პროგრესი და უარყოფითად იმოქმედა მის მომავალზე. მის მორალურ და ეთიკურ განვითარებას მძიმე დაღი დაახვეა. ეს არ იყო „ვარდების რევოლუცია“. რუსეთის ამ სასტიკი რევოლუციას არაფერი აქვს საერთო ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში გათამაშებულ მეტად ორიგინალურ და ახალი ტიპის რევოლუციასთან, რომელიც მოვლენილი იყო მეოცე საუკუნის რევოლუციის შედეგების სალიკვიდაციოდ.

„ვარდების რევოლუცია“ რუსეთის რევოლუციის და მისი ბუნებების გაბორბლებული ტყინით შექმნილი საბჭოური სახელმწიფოს და მისი ახალი ვარიანტის, შევარდნაძის სახელმწიფო სისტემის დასამხობად იყო მოწოდებული. ამიტომ იგი ყვარყვარიზმის ბატონობის იღვას ბუნებრივად შეებრძოლა და დაუპირისპირდა. „ვარდების რევოლუცია“ საპირისპიროა თავისი მიზნებით და იდენტო ცხრაასწივდმეტე წლის რევოლუციისა. იგი არ არის რევოლუციის ის კლასიკური სახე, ყვარყვარეს ტიპი რომ უკარნახა კაცობრიობას.

პოლიკარპე კაკაბაძისათვის რევოლუციის თემა ცხრაასწივდმეტის რევოლუციით აუღერდა, მის თვალწინ რომ დატრიალდა მთელი თავისი საშინელებით.

„ყვარყვარე თუთაბერის“ დაწერიდან ოცდათერთმეტი წლის შემდეგ იგი ისევ ფიქრობდა რევოლუციათა ზოგადი კანონ-ზომიერების შესახებ და წერდა:

„სიკეტიციზმის, ანტიქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუცია და გრძელდება დღემდე და ახლო მომავალში დასრულდება, როგორც ქრისტიანულ ზნეობასთან და პიროვნების სრულყოფილებასთან უმსგავსო, მახინჯი მებრძოლი“ (1959 წლის საარქივო ცანაწერები, პ. კაკაბაძის არქივი, გვ. 24, გვ. 4).

რევოლუციის თემა მისთვის მარად ახალი იყო. იგი რევოლუციათა ფენომენს მეტად ზოგად განფენილობაში ხედავდა, რომელიც მოიცავდა მსოფლიო რევოლუციათა მთელ კანონზომიერებას. მან ახალი კუთხ-

ით დაინახა რევოლუცია. იგი წერს:  
„მეცხრამეტე საუკუნის მწერლებმა უდიდესი შეცდომა იმაშია, რომ მსხვერპლებრძოდნენ არსებულ დესპოტებს და ცხოვრების სისაძაგლეს და იმავე სიმზურვალით არ ებრძოდნენ ბნელ ბრბოსაგან წარმომდგარ დემაგოგებს, დესპოტებზე საზიზღარ სულებს“ (იქვე გვ. 12).

სწორედ რევოლუციის ამ დემაგოგთა ასახვა ხდება მის ქმნილებებში. ეს იყო ახალი თემა. ეს იყო დიდი სახელე ლიტერატურაში, რევოლუციათა თემის სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია, რომელსაც მანამდე არ იცნობდა მსოფლიო ლიტერატურა.

რევოლუციის თემა, რევოლუცია, როგორც არსი, როგორც ფენომენი, როგორც ამბოხი ადამიანის ბუნებისა დეთის წინააღმდეგ, როგორც დამანგრეველი ძალა პარმონისა, როგორც უარყოფა დეთაებრივი სიმართლისა, ყველა მისი ფილოსოფიური განფენილობებით ამოიკითხება პოლიკარპე კაკაბაძის ქმნილებებში.

„დღეს ბაღლინჯოც კი სხვაგან არ იქვლტეს თავს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე“  
„სოციალისტები მარტო იმას თვლიან სიმართლედ, რასაც თვითონ ამბობენ“...

„ბოლშევიკებს თურმე, ერთი კალამოტი მოუტანიათ, ვინც პატარაა, იმაზე გაადიდებენ და ვინც დიდია, იმაზე დაამოკლებენ“...

„ხალხი თავის მტერია, თუ არ მომწვეს, უჭკუო საქონელით ხრამში გადავარდება... თუ შრო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანურად უნდა დაარტყა“...

„მე შემიძლია დავეჯდე და დახუჭული თვალით დავწერო ბედნიერი სახელმწიფოს სრული კონსტიტუცია... და როდესაც ეს იდეალისტური სამეფო აშენდება, ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოვიღებთ...“ - აი, სინამდვილე, ის სინამდვილე, რომელიც ყვარყვარემ და მისმა თორეტიკოსმა, სოციალიზმის ინტელექტუალურმა ძალამ, ტიტე ნატურტარმა შექმნეს.

მათ შექმნეს ასეთი სახელმწიფო, სადაც ციხეებში ხალხს ამღერებდნენ ბედნიერ ცხოვრებაზე, ხოლო მათ, ვინც ისინი იქ წაყარა, სამადლობელი და სადიდებელი პი-

ნებით მიმართავენ, როგორც კერპებს.

„ყველა ჯვარს ეცმება ხალხისათვის, და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოკიდებენ, იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გააზრდებენ“.

ყველა ჯვარს აცვენ ხალხისათვის, აწამეს, დახვრიტეს და გაუყენეს ციმბირის ზღებს. ერთმანეთსაც აღარ ზოგავენ, ისე, როგორც არ დაზოგეს ყვარყვარე მისმავე მეგობრებმა, გაწირეს, რათა მისი ადგილი მეორე ყვარყვარესათვის გაეშაადებინათ.

„მე რომ მკითხონ, სოციალისტების სურათებს ეკლესიაში დაეკიდებენ, სულ წმინდანებისთვის წვალთქმ ხალხისათვის“.

და მართლაც, ხატები ჩამოხსნეს და მათი სურათები დაკიდეს, სწორედ ისე, ყვარყვარე რომ წინასწარმეტყველებდა ჯერ კიდევ ნაცარში მჯდომი, არარა, პოტენციაში არსებული სოციალიზმის ძალა.

„ცოცხალ ძველად დამდგამენ“, ამბობს ყვარყვარე, ასეთი ცოცხალი ძველებით დაიფარა დედაიწვის შექცეული. სამოცდაათი წელიწადი შენდებოდა ეს ძველები და მერე ერთბაშად დაინგრა, უცებ, როცა ხელახლა იწყო და შლა უსამართლობით აგებულმა სახელმწიფო წყობილებამ.

ყვარყვარის აღზევება და კრახი გათამაშდა ცხოვრების სცენაზე.

ყვარყვარე თავისი ეპოქის შეილია, რევოლუციების მკაცრი, დემოკრატიული სახეს ეპოქის, თუმცა მას მოჰყვება ზღაპრული სამყარო, რომელიც ბოლომდე აძლევს პოეტურ ელფერს მის სახეს, და ყველა მისი ქცევის მიუხედავად, მაყურებელში არ იწვევს პიროვნულ ზიზღს, სიძულვილს, არამედ – ღიმილს, სიცილს, სიკეთის განცდას და უპრინციპობას იმისა, რომ ყვარყვარისი უნდა ვარაუდოთ, იმიტომ რომ იგი ადამიანის სულიანობის დამღუპველია.

ყვარყვარე ანტიპოლია ნამდვილი გმირის, თუნდაც დანაშაულებრივი გმირის. იგი გმირის ნიღაბს ეფარება, იმიტომ სასაცილოა, კომიკურია და არა ტრაგიკული, თუმცა მის მიერ ჩადენილი საქმეები ცრემლისა და ტანჯვის მოთხველია.

მეოცე საუკუნეში ყვარყვარემ შეცვალა მეთურამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში შექმნილი რევოლუციის გმირის რომანტიკუ-

ლი სახე, ვაჟაკის, კეთილშობილის, შეფარებულის, ტრაგიკულის. ეს სახე, რომანტიზმის ეპოქიდან მომდინარე ადამიანთა თვალსაზრისს წარმართავდა და მეოცე საუკუნის რუსეთის რევოლუციის ეპოქაში, უკვე სინამდვილეს მოშორებული, ერთგვარ შტამად გადაიქცა. იგი აღარ გამოხატავდა ახალ ეპოქას და მის ნამდვილ სულისკვეთებას.

პოლიკარპე კაკაბაძემ გამოხატა თავისი ეპოქა და აჩვენა, რომ გმირის ადგილს იჭერს შმიშრა, სიწმინდისა – უღმერთობა, სიკეთისა – სიბოროტე, სიყვარულისა – სიყვარაგე, სიმართლისა – სიბრტე, არარაობა.

ყვარყვარე ავანტურისტული განწყობილებით სახეს ეპოქის შეილია და ცეცხლის პირას ნაცარში მჯდომი, უკვე საღი თვალთ უყურებს იმ სინამდვილეს, რომელმაც შეიძლება კაცი ნაცრის ქექვიდან – არარაობიდან, ლიდერის როლში მოაქციოს... მას მოჰყვება ზღაპრული ნაცარქექიას ყველა თვისებები, მაგრამ იმ ზღაპრული სამყაროდან ამოსული, იქცევა ისეთ რეალურ გმირად, რომელიც შეიძლება დაინახო ყველგან, ყველა დროში, ყველა სიტუაციაში და... ყველა ხალხში.

იფრქვევა ენერგია და იბადება გმირი ჩვენს თვალწინ, ცეცხლის პირას პასიურად მჯდომი მეოცნებე ნაცარქექია, ზღაპრის სამყაროდან, პოეზიიდან წამოსული მითების პერსონაჟი, ცეცხლის მოკიანე ენების მოვლემარე ლანდი, უცებ ხორცსხმულ რეალობად იქცევა. ამტყველდება ნათელი, ცოცხალი ტიპი, იგი ჩვენს თვალწინ, სცენაზე იმოსება ხორციით, სისხლით და ძალით, იგი ივსება ჩვენი უახლოესი ეპოქის ვნებათაღელვებით და ატრიალებს ბედს და ცხოვრებას, და მარადიული სიცოცხლის სახეს წარმოგვიდგენს.

მისი შექმნის და მოქმედების საოცარი ენერგია გადადის მაყურებელზე, და ცხოვრობენ ისინი ერთი ცხოვრებით, თითქოს ერთად ებრძვიან ბედს და სამყაროს კანონზომიერებას. ნაწარმოების ყოველი სიტყვა გულზე ხედება მაყურებელს, საკუთარ სულში ჩაახედებს, ჩაებულება მესხიურებაში და შემდეგ იგი არაერთხელ თვითონ ზეპირად

იმეორებს მათ, მიუვადებს ყურს ამ სიტყვებს, როგორც ტაძრის ზარების რეკვას, როცა სული განსაცდელის ვაჟს ეძებს დიდ სიმაღლეს, დიდ სამართალს დმერთთან.

მართალი სიტყვები ყველას ჰორდება, ცოდვილსაც და უცოდველსაც, დანაშაულებაც და მართალსაც, რადგან სინანული ცოდვითა გამო ყველა კაცის სულს ენატრება.

ყვარყვარე, როგორც კაცობრიობის მარადიული სახე, ჩვენს თვალწინ, ნაცრიდან, მიწიდან იბადება და იქცევა რეალურ, ცოცხალ ტიპად.

იგი მოძრაობს სხვადასხვა დროში და სხვადასხვა ეპოქებში, რომელიც პირობითია. მეფის დრო, მეფის ხელისუფლება, რომელიც ფიქციაა, იქ არც ერთი დრო არაა სინამდვილეში, იმიტომ, რომ მეფის დრო გასულია, თუმც ეს ჯერ არ იციან, ხოლო ახალი არ არსებობს. წისქვილი, მმრუნაეი ბორბალი, ცხიურების საზრდოს რომ ფუჭავს, მმრუნაე დრო-ვაჟის სიმზოლოა. წისქვილის სიმზოლიკა ამავე დროს უკაუშორდება იმედის ფერომენს. სადაც იმედია, იქ ოცნებაა, სადაც ოცნებაა, იქ პოეზიაა. იგი ზღაპრის ადგილია, სადაც ცეცხლთან იბადება მითი. იგი დგას ორი ქვეყნის საზღვარზე („ფრონტის ხაზთან სოფლის წისქვილი“ და არც ერთ მათგანს არ გუთუნის, თითქოს აბსტრაქციაა და არა მატერიალური კუთვნილება ამა თუ იმ დროისა, ან ქვეყნისა. მაგრამ ამავე დროს, იგი არის ნამდვილი რეალობა, როგორც მისგან გამოშავალი ცეცხლი და სინათლე, იგია სიცოცხლის საფუძველი.

პიესის ყველა მოქმედება უდიდესი ძალით და ენერგიით მოძრაობს და წარმოგვიდგენს ახალ და ახალ სიტუაციებს, ეპოქათა, ხელისუფალთა და დროთა ცვალებადობისა, მაგრამ ყველა მათგანი ფიქციაა და ქრება, როგორც ნაცრის გუდა. ფიქციაა ის დროებითი მთავრობაც და მისი ფაქტობრივად დროგასული ხელისუფლებაც, ფიქციაა და მოწვევებითი ის ძალაუფლებაც, რომელსაც ყვარყვარე მიადწევს, როცა თავი ქვეყნის მფლობელი პკონია და ჩადის უსამართლო სამართალს.

ნაცარივით ქრება ის ძლიერებაც და ყველაფერი უბრუნდება თავის საწვისს,

არარაობა - არარაობას, ნაცარი - ნაცარს, მიწა - მიწას.

მაგრამ რჩება ტიპი, რომელიც შეიქმნა სიტყვით, ამოზიდული დიდი იდეიდან, მსგავსად პირველქმნილი ადამიანისა, რომელიც ყველა ადამიანის სახეა. მარადცოცხალი ტიპი, დიდი, ფილოსოფიური კომედიის გმირი, ყვარყვარე, თავისი ზოგადობით, ყველა ადამიანის ნაწილია და აღბეჭდილია ადამიანის პირველი ცოდვით.

სიტუაციათა ცვლაში გამოივლენდა ყველა მისი თვისება, რომელიც ქმნის ყვარყვარიზმის იმ სახეს, ასე რომ მოიცვა ადამიანთა ცნობიერება და გამოხატა ჩვენი ეოქა მისი მორალური დეგრადაციით.

ყვარყვარიზმი, როგორც მოუღწა, არ არის მხოლოდ ერთი საუკუნის კუთვნილება. იგი შეიქმნა მთლიან საუკუნეში, კაცობრიობის შემქმერელ, სულიერად დამანგრეველ ატმოსფეროში, როგორც მისი სახის ნამდვილი ჩვენება და მორალური პასუხი იმ ტკივილებზე, რაც ადამიანთა ხულების ღუთაბერივი სიმართლის უზიდან ასე საშინლად დაშორებამ გამოიწვია.

პოლიკარპე კაკაბაძე იყო პირველი და ერთადერთი, ვინც რევოლუციის ლიდერებში დაინახა ნაცარქექია.

სხვა ხელოვანნი რევოლუციის ლიდერის გამოხატვისას სრულიად სხვა ამოსავალ ხაზდენს ეძებდნენ, მკაცრი, ძლიერი პიროვნებისას, გმირისას, ან ყანაღისა და მკვლელისას... არც თვითონ ეძებდა მანამდე, 1924-1925 წლებში, „ლისაბონის ტუსალებს“ რომ ქმნიდა რევოლუციის ლიდერის ტიპში ნაცარქექიას.

მაგრამ სინამდვილეკ, რომელიც თანდათან უფრო და უფრო სასტიკი და მკაცრი გახდა და მანამდე არნახული სიტუაციები დაატრიალა ცხიურების სცენაზე, როცა დესპოტიის ციხიზმი და სიყვარავე იქამდე მივიდა, რომ - „სიკვდილით სასჯელის ტორილისთვის შემოიღებდნენ“, პოლიკარპე კაკაბაძემ აღმოაჩინა ახალი კანონზომიერება ადამიანთა ბუნების არსში, რომელიც აღარ ეტკოდა მანამდე ხელოვნებაში მივსებულ მხატვრული ასახვის ჩარჩოებში.

როცა ყველა ადრე არსებული მართალი ასახვა ცოტა აღმოჩნდა დატრიალებული

ჯოჯოხეთის განზოგადებული ფორმით წარმოსახენად, პოლიკარპე კაკაბაძემ აღმოაჩინა ყვარყვარეს ტიპი, და ეს იყო უბედნიერესი ხილვა სინამდვილისა.

ნაცარქექია, არარაობა, სიცრუე და ამ სიცრუიდან შექმნილი ცრუ გმირი, გაფეტიშებული არარაი, კერპად ქცეული სიყალბე ეს არის იგი, რაზეც იერემია წინასწარმეტყველი უსასტიკეს მორადურ და სახელმწიფოებრივ ნგრევის ეპოქაში, ღვთისგან შთაგონებული გოდებს, უარყვესო ღმერთი და კერპებს უდგამენო საღოცავეებს, სიცრუეს აღმერთებენო.

„სიცრუეში გიდგას ბინა, სიცრუე უშლის მათ ჩემს შეცნობას“ (იერემია, 9,51).

ხოლო დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „აჰ, კლმობა სიცრუე მუცლად იღო საღმობადი და შვა უშუალოები“ (ფსალმ. 7,15).

ყვარყვარე მაყურებელში იწვევს აღფრთოვანებას, აღტაცებას, დიდ სიხარულს, სიამეს, ტკბობას იმ სიმართლის გამო, რომელსაც იგი გაგრძობინებთ სცენიდან და რომელიც სულს ასე სწყურია და ენატრება. ენატრება იმ სულსაც კი, რომელიც სიცრუეს მოუცავს და დანაშაულებათა მორევეში ჩაუთრევია... ასეთი სულიც კი გრძნობს თავისუფლებას მასთან ზიარებით...

ყვარყვარიზმი, ყვარყვარეს, როგორც ტიპის თვისებები ადამიანებს აღაფრთოვანებს და აგრძობინებს მათ საშინელებას, სულს უკარნახებს უარყოს და შეებრძოლოს ამ თვისებებს. მაგრამ ყვარყვარე, ან, თუნდაც გოსტაშაბი, „კახაბერის ხმლიდან“, პიროვნულის იძულებილის გრძნობას არ იწვევენ მსგავსად იაგოსა და რინარდისა. თქვენ ხედავთ ყვარყვარეს სცენაზე, მაგრამ არ გაუღოთ, იცინით, და ამავე დროს, ყვარყვარიზმის წინააღმდეგ მთელი არსებით დგებით, თავისუფლდებით ყვარყვარიზმისადმი შემგუებლური გრძნობისაგან. ყვარყვარიზმის ტიპიურ თვისებებს ხომ, გარკვეულწილად ვერცერთი ადამიანი ვერ ასცდებდა. ნუ გიკვირთ, ყვარყვარიზმი ზოგადი თვისებაა ადამიანისა. იგი, ყვარყვარე, მეტად განზოგადებული ტიპია, თვით ადამიანია, კაცობრიობის თვისება, მისი ტკივილია, მისი ამაოების სახეა, იმ ამაოებისა, რომელიც ადამიანური არსებობის

ნაწილია და მუდმივი ბრძოლის საგანია სულსა და ხორცს შორის. არქონესული პოეტურია პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებები, ამას ყველაზე კარგად თვითონ გრძნობდა და გამოხატა კიდევ, როცა თავის ქმნილებათა ორტომეულს „დრამატული პოეზია“ უწოდა.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება პოეზიაა, მარადიული იდეების შემცველი და მარადიულ ტკივილთა გამოშხატველი პოეზია.

პოეტურია ყვარყვარეს სახე, გოსტაშაბის, დემეტრე მეფის, ვახტანგ გორგასალის და სხვა მისი პერსონაჟთა, მარადიულ ტიპთა, რომელნიც ებრძვიან არარაობას სიყვარულის გზით.

პოლიკარპე კაკაბაძის ენა სადაა, მაგრამ უაღრესად მხატვრული, სიბრძნითა და აფორიზმებით სავსე, ყოველ მის სიტყვას საოცრად დიდი დატვირთვა აქვს და სიცოცხლის უნარი არც ერთი ზედმეტი მეტაფორა ან სხვა სამკაული, ყოველი სიტყვა უდიდესი სიზუსტით, სიფაქიზითა და გემოვნებითაა ნახმარი და მოხშობილია სიმართლის გამო-სახატავად არასდროს ზედმეტი სიტყვა, პრანჭვა და გრეხა, არასდროს თავმომწონეობისა და ტრაბახის ტონი...

მისი სტილი, მანერა და თავისებურება ენისა, მოგვაგონებენ ბიბლიის ენას, სტილს, მანერას სათქმელის გადმოცემისა, თავშეკაფებულს, სადას, პოეტურს, მხოლოდ სიმართლის სათქმელად მოვლენილს. ასეთივეა პოლიკარპე კაკაბაძის მეტყველება და იგი სრულიად შეესაბამება თვით მწერლის სულს, ღუთაებრივი სიმართლით ამაღლებულს.



ყველა კომედიისაგან განსხვავდება „კახაბერის ხმალი“.

იგი მხოლოდო დიტურატურაში შექმნილ არცერთ კომედიას არ ჰგავს არც „ყვარყვარეს“, მოუხდავად იმისა, რომ აქაც ნაცარქექიაა.

ცეცხლი და ზღაპარი არის მოქმედების ის მუდმივი, უბედველი ფუძე-გარემო, საიდანაც იწყება ცხოვრება, სინამდვილე და საიდანაც იბადება გმირი. ასე დაიწახა მარადიული ადამიანი და მისი სამყარო პოლიკარპე კაკაბაძემ. „სამი ასული“ იყო მისი ერთ-ერთი პირველი დრამატული ნაწარმოები და განსაკუთრებით უწვარდა კიდევ. იგი თელ-

იდა, რომ ამ ნაწარმოებით გაიხსნა მისთვის შემოქმედების დიდი საიდუმლო, რომ აქედან იწყება მისთვის ნამდვილი, მაღალი მწერლობა, ამ ნაწარმოებით დაიბადა იგი როგორც დიდი შემოქმედი.

პოლიკარპე კაკაბაძე ამბობდა, რომ „სამი ასულის“ შექმნით, მან გადაწყვიტა ის ამოცანები, რომელნიც მთელი მისი შემოქმედებისათვის გეზის მიმცემი იყო.

ღირიკული დრამა „სამი ასული“ 1918 წელს დაიწერა, „ყვარყვარე თუთაბერი“ – 1928 წელს, „კახაბერის ხმლის“ პირველი რედაქცია, „ბახტრიონი“ 1929-1933 წლებში იწერება და მაშინვე იწყება მის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა, როგორც „ნაციონალისტური“, სოციალისტების იდეოლოგიასთან დაპირისპირებული ნაწარმოებისადმი, მაშინვე იწყება მის დადგმაზე ლაპარაკიც, როგორც რუსთაველის, ასევე მარჯანიშვილის თეატრებში, მაგრამ მთავრობის ზეგავლენის შედეგად, თეატრების და საზოგადოების ეს ოცნება, დიდხანს განუხორციელებელი დარჩა.

იქნა შემდეგ რამდენჯერმე კიდევ გადაამუშავა ავტორმა, ორმოციანი წლებიდან იგი უკვე ცნობილია „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით, იქნა იტყვება მხოლოდ 1954 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო 1965 წელს დიდი წარმატებით იდგმება მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გიგა ლორთქიფანიძის რეჟისორობით.

„სამი ასული“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „კახაბერის ხმლი“, სამი სრულიად სხვადასხვა ნაწარმოები, სამი სრულიად სხვადასხვა პოეტური სამყარო... მაგრამ მათ აქვთ საერთო მითოლოგიური საწყისი.

ცუცხლი, მითი, ზღაპარი და მისი პოეზია არის სამივე ამ ნაწარმოების საწყისი ნიადოვი, საფუძველი, საიდანაც იწყება მოქმედება, იწყება სცენური ცხოვრება და იბადება გმირი.

მოქმედება წარმოშობს ხასიათებს, ტიპებს. პოლიკარპე კაკაბაძის ყოველი მოქმედი პირი არის ტიპი, რომელიც ზოგადია და ამავე დროს ინდივიდუალური, ყველას თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს და თავისი მარადიული ცხოვრება.

სამივე ეს ნაწარმოები განსხვავებულია,

დამოუკიდებელი მიზანდასახულებების მქონე, „სამი ასული“ სტილითაც განსხვავებულია, მაგრამ სამივეში მეტად საგრძნობია მწერლის ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მრწამსი. პოლიკარპე კაკაბაძის ქმნილებებში თითქოს ყველგან არის ღმერთი და მისი მაღალი მორალით წარმართება მოქმედ პირთა ბედი, სიტუაციების ცვალებადობა, მთელი კაცობრივი ცხოვრება მხატვრულ სიმართლეში წარმოსახული.

ამ ქმნილებებში ფოლკლორული, მითოლოგიური და სარწმუნოებრივი სახეები და მოტივები ურთიერთგადაჯაჭვული განსაკუთრებით საგრძნობია და ქმნიან იმ განუყოფელ სპეციფიკას, რაც პოლიკარპე კაკაბაძის ამ ნაწარმოებებს განასხვავებს ყველა სხვა ქმნილებისაგანაც. ის განუყოფელი სითბო და სულიერი სიმაღლე, მის ღრმა, ფილოსოფიურ ტექსტებთან და ქვეტექსტებთან ერთად ამ ნაწარმოებთა გენიალობას ქმნიან.



პოლიკარპე კაკაბაძე იყო ოსტატი ხიტუაციების შექმნისა. მისი სცენა ყოველთვის განსაკუთრებულია, ყველა ავტორისაგან განსხვავებული, ორიგინალური და უადრესად დახვეწილი.

იგი თავის გმირს აყენებს ისეთ გარემოში, რომელშიც მაქსიმალურად გამოავლენს ხასიათის ყველა შესაძლებლობას. წარმოიდგინეთ სცენა „ყვარყვარე თუთაბერიდან“, ან „კახაბერის ხმლიდან“:

– ზღაპრული სიტუაცია, წყნარი, ინტიმური საუბარი სცენის დასაწყისში და მოქმედების უსწრაფესი განვითარება, ხაფხაფიანად, უჩვეულო, ზღაპარ-ცხადი ამბებით.

კერია, ცუცხლი, წისქვილი, ჯადოსნური კოშკი ტყეში და ცუცხლის პირას სამი მზეთუნახავი, სამი მეოცნებე ასული... პიესის სხვა სცენებიც ამ ნახევარ-ზღაპრულ, ნახევრადმითურ პოეტურ გარემოს სხვადასხვა ვარიაციებით ინარჩუნებენ, სადაც თანდათან ძლიერდება ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მოტივი, ქრისტეს საფლავისათვის მებრძოლი ჯვაროსანი ძმის – რაინდის ხატი, უფლის სძლიობაზე მეოცნებე ქალწულის სახე იკვეთება. სამი ქალწუ-

ლი ქრისტიანულ და ამავე დროს მითოსურ ტრიადას ქმნიან, კეთილ ფერიათა, ანგელოზთა თვისებებს განასახიერებენ, სიყვარულს, რწმენას და მშობლიურ ფუძეს, ეროვნულ გრძნობას წარმოსახავენ სიმბოლურად. მათ ღვთაებრივ სიკეთეს უპირისპირდება ნაწარმოებში ბოროტი ჯაჯოს ხმა, რომელიც სცენაზე არ შემოიყვანა მწერალმა, და არ დაარღვია ის ღვთაებრივი პარმონია, რომელიც იქ სუფევს.

პოლიკარპე კაკაბაძე სიტუაციების შექმნის დიდოსტატია. მის ნაწარმოებებში მოქმედება წარმოშობს მაღალი რეალიზმით ნაძერწ უაღრესად დახვეწილ ტიპებს, რომლებიც ისეთი თანამედროვენი და ახლობლნი ხდებიან, რომ შეგიძლია დაელაპარაკო, ხელი შეახო, იცნო. თუ დააკვირდები, უამრავ ნაცნობში, თანამედროვე ადამიანში, მათ მოქმედებასა და ხასიათს შეიცნობ.

ასევე განსაკუთრებულია, ორიგინალური და ზღაპრის არქეტიპებით აღსავსე „ღიხადონის ტუსაღების“ („ქარიშხალი“) დასაწყისი და მისი მომდევნო სცენები... საპატიმრო, მიწისძვრა, დედოფლის ღომა, სამეფო ოჯახთან დაკავშირებული იდუმალებით მოცულე. თუთონ აჯანყებაც ორიგინალურ გარემოში მოქცეული, ამავე დროს, ეს აჯანყება ნამდვილი რევოლუციის თვისებებს ატარებს, და არამეფულებრივი სიცხადით გამოაფენს ადამიანური ბუნების მრავალფეროვნებას.

განსაკუთრებულია და ორიგინალური გარემო ტრაგედიაში „დემეტრე მერე“. იქაც დიდი მიწისძვრით იწყება მოქმედება. მიწისძვრა თითქოს განსაკუთრებულ, საბუდისწერო სიტუაციათა დასაწყისისათვის არის მოხმობილი მწერლის მიერ, როგორც ზენაარის რისხვის გამოხატულება.

განსაკუთრებულია „ვახტანგ გორგასალის“ დასაწყისი სცენებიც, სადაც მოქმედების ადგილად წმინდა ნინოს მაცულოვანია გამოყენებული. მეხუთე საუკუნე, ქრისტიანობის გარიჟრაჟი საქართველოში. ამ ნაწარმოებშიც ისევე, როგორც „დემეტრე მერეში“ ქრისტიანობისათვის და სამშობლოსათვის ბრძოლა გაიგივებულია და წარმოსახულია როგორც ყოფნა-არყოფნის საკითხი ერისათვის. ამ საკითხებით გან-

საკუთრებული დაინტერესება პოლიკარპე კაკაბაძის მიერ იყო შეუპოვარს/წარმოდის იმ ათეისტურ რეჟიმთან, რომელშიც მის მოუხდა ცხოვრება და რომელიც მის ქვეყანას გადაგვარებისაკენ და ეროვნული შეგნების, ეროვნული შემეცნების დაკარგვისაკენ მიაქანებდა სარწმუნოების დაკარგვასთან ერთად. სარწმუნოება, როგორც ბურჯი ეროვნულობის შენარჩუნებისა, პოლიკარპე კაკაბაძის კომედიებშიც, დრამებშიც და ტრაგედიებშიც გამოხატულია დიდი სიმძლიერით.

პიესაში „ვახტანგ გორგასალი“ ეპოქის სპეციფიკას ასახავს წარმართულ, ბერძნულ კულტურაზე აღზრდილი ხელოვანის შეპირისპირება ქრისტიანულ სამყაროსთან, მის ეთიკასთან და ესთეტიკასთან. ნაწარმოებში ნახვევად ზღაპრული თქმულებები გაშლილია ეპოქისათვის დამახასიათებელ, რელიგიურ გრძნობათა ადტივების ფონზე. სვიმონ მესხეტის გაიხიდი, ვახტანგ მეფის უდაბნოში მოგზაურობა რელიგიური ექსტაზით შეპყრობილ მეფის ასულთან ერთად, ნაწარმოებში განსაკუთრებულ იმტიმურ გარემოს ქმნიან და მიმზიდველს ხდიან სიტუაციის განვითარებას, რომელიც ამჟღავნებს ხასიათებს. ეს პასაჟები მეხუთე საუკუნის ქრისტიანობისათვის ბრძოლისა და მისი აღზევების სპეციფიკას გადმოგვიცემენ და ამავე დროს მახსოვრდენ არიან თავისი მარადიული ადამიანური თვისებების გამოხატულებით ჩვენი დღევანდელიობისათვის.



გმირი იბადება სცენაზე.

„კახაბერის ხმლის“ სცენა, თავიდან ბოლომდე ზღაპრია, ყველა რეალობაზე უფრო ცხადი, მითი, რეალობა და ისტორიული სინამდვილე ერთად. სინამდვილე დიდი, მარადიული, დღევანდელ დღეს რომ საოცარი სიცხადით წარმოგვიდგენს. მოქმედება ვითარდება სრულიად ძალდაუტანებლად, ბუნებრივად, წყნარად. ისეთი სიმსუბუქა და სინატიფე ამ მოქმედების განვითარებაში, რომ უცებ ვერც კი ამჩნევ, როგორც საოცარი ცვლილება ხდება შენს თვალწინ, სულ რაღაც წუთებში, წამებში,

როგორი სისწრაფით იცვლება სიტუაციები, იბადებიან ზღაპრიდან გამომდინარე და იქცევიან ხორცშესხმულ, საკაცობრიო მნიშვნელობის ტიპებად. და ეს ხდება უცერად. პირველივე მოქმედებაში შემოდის ხუთი ნიღაბი: ნაცარქექია, ქოსატყუილა, მუსუსულა, დოჟლამა და როსტომ ბრძენი. ყველა ისინი, ეს ზღაპრულ-მითოსური გმირები ამოძრავდებიან და იქცევიან სიბრძნის წყაროდ, ცოცხალ სინამდვილედ. მათი მეტყველება სავსეა აფორიზმებით, მახვილი გამოთქმებით, საოცარი, ნატიფი იუმორით. ენა სადაა, ბუნებრივი. ამ სისადავეში არის უდიდესი ძალა, სიმართლე, სიწრფე. ეს დიალოგები გვაგონებენ ბიბლიის ენას, მის სიბრძნით და ქვერქმეობით სავსე მეტყველებას. პოლიკარპე კაკაბაძის სიტყვას განსაკუთრებული სიცოცხლე აქვს, იგი ერიდება ყოველ ზედმეტ სამკაულს. ყველა სიტყვა ზუსტია, საოცრად მხატვრული და მეხსიერებაში რჩება თავისი პირუთენელი სიმართლით.

პოლიკარპე კაკაბაძის დიალოგები თავისი სტილით და მხატვრული თავისებურებით უახლოვდებიან ასევე პლატონის დიალოგებს, მის სტილს, მის სისადავეს.



„კახაბერის ხმალი“... ისევ ცეცხლი, როგორც „ყვარყვარეში“, რომლის ირგვლივ ბრუნავს ზღაპარი და დულს ცხოვრება. და სამი მოქმედი პირი, სამი ზღაპრიდან მოსული გმირი - როსტომ ბრძენი, ნაცარქექია და მისი ცოლი - ცხოვრობენ, როგორც ძველისძველი, მარადიული კაცობრიობა ზღაპარში და ცხადში ერთდროულად.

მოქმედების განვითარებაში ამ სამ ზღაპრულ ნიღაბს ემატებიან სხვებიც, ზღაპრიდან მოსული და რეალისტურ გმირებად ქცეული პერსონაჟები - ლიპარიტე-ქოსატყუილა, შოშობა-მუსუსულა, დოჟლამა და ქონდარა, ნაცარქექიათა გუნდი, მუჟე - ისტორიული პირი და იმავდროულად ზღაპრის თვისებების მატარებელი.

ყველა ეს მოქმედი პირი თავისი ბედით და ინტერესებით უპირისპირდება და ებრძვის ცხოვრებას. ისინი ამ ბრძოლაში იბადებიან და იქცევიან სისხლსავსე რეალისტურ გმირებად. ყველა მათგანში მთავარია

ის უდიდესი ფილოსოფიური სიღრმე და მხატვრული ძალა, რომელიც მათ აქცევს უმეტესად, მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრულ გმირებად, კლასიკურ, ზოგად ტიპებად.

„კახაბერის ხმალი“ დადგმა უნდოდათ მარჯანიშვილსაც და ახმეტელსაც. ეს ამბები მამანქმისაგან გადმოცემით ვიცო. მაგრამ მარჯანიშვილი უცერად გარდაიცვალა მოსკოვში, უცნაურად საექვო ვითარებაში. ამ პერიოდში პიესა უკვე არსებობდა, მაგრამ დასრულებული სახე არ ქონდა, მოუხედავად ამისა, მის შესახებ უკვე იცოდნენ, მასზე უკვე ლაპარაკობდნენ.

1933 წელს სანდრო ახმეტელს წააკითხა პიესა. იგი აღფრთოვანებული იყო. მოვიქრა, როგორ უნდა განეხორციელებინა დადგმა. მე შევექმნით მსოფლიო მნიშვნელობის სპექტაკლს, ამზობდა თურმე აღფრთოვანებით, მთელ ქვეყანას შეეძრავ და მოვივლი ამ სპექტაკლით მსოფლიოს, ეს იქნება ჩემი უდიდესი გამარჯვება, მთელი მსოფლიო დაინახავს საქართველოს.

რეჟისორული ჩანაფიქრი უკვე ქონდა, თეატრის კედლებში ვეღარ ატევდა თავის ფანტაზიას, უნდოდა, რუსთაველის თეატრისათვის, სპექტაკლის დროს, განათებების საშუალებით, კოშკის ფორმა მიეცა, ბახტრიონის ციხის მსგავსად. თეატრის შენობისათვის პროსპექტის მხრიდან, უნდა მიეშუქებინათ თეატრალური განათებანი, რომ ამით ზღაპრული ელფერი მიეცათ მისთვის. მთელი ქალაქი უნდა ყოფილიყო შეპყრობილი ამ განწყობილებით.

პოლიკარპე კაკაბაძე დადგმის ამ აღფრთოვანებულ იდეას ცოტა მწერალად და კრიტიკით შეხვედრია, ფუფუნება და ზედმეტი ეფექტები არ სჭირდება ჩემს ნაწარმოებს, იგი თავისი შინაგანი ძალით უნდა წარმოედგეს და გაიხსნას, და ამით დაიპყროს მყურებელი, უთქვამს.

მთელმა თბილისმა იცოდა ამის შესახებ და დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ ამბებზე. დღეს ეს ამბები არ ვიცო, თუ შემორჩა ვინმეს მოგონებებს, მხოლოდ „სუკის“ არქივებში კი დიდხანს ინახებოდა, სანამ არ დაწვეს. ვ. კიკნაძემ მოასწრო მცირე მათგანის ნახვა ახმეტელის საქმესთან დაკავშირებით და გამოაქვეყნა კიდევ.

„ბახტრიონის“ (ასე ერქვა პეისის ადრეულ რედაქციას) დადგმა გადაიდო, პოლიკარპე კაკაბაძე ეჭვობდა, მოითხოვდა, რომ ფორმალისტური ელემენტების გარეშე განხორციელებულიყო დადგმა. მას მარჯანიშვილისეული სტილი უფრო სწორად მიაჩნდა. თანაც, იგი კიდევ მუშაობდა ნაწარმოებზე, ხევედა, ანიჭებდა ფილოსოფიურ განზოგადებას.

ეს ხდებოდა ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ამ დროს „ეკარეკარე თუთაბერი“ უდიდესი წარმატებით მიდიოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და ასევე მიულ საქართველოში. ამ მიმე და სასტიკ წლებში, სისხლის წვიმების და დესპოტიის არნახულ ეპოქაში, თეატრის სცენაზე იმართებოდა ზეიმი სიცოცხლისა, სიკეთისა და კაცთმოყვარების დასაცავად... ეს იყო მხილება უმწვენიერესი მხატვრული ფორმით — მტარვალთა, მოღალატეთა, კაცისმკლელთა და სიცრუით აღზევებულთა. თეატრში ყოველდღე ძირს ემხოზოდა სიცრუე ნიღაბ-ჩამოსხნილი და ადამიანებს გულში უნერგავდა იმედს სიკეთის გამარჯვებისა...

ახმატელს ხელი შეეშალა, მან ველარ მოასწრო ჩანაფიქრის განხორციელება. მიუღლი მისი მგზნებარე ბუნებით იგი შეეყვარებული იყო ამ ნაწარმოებზე და სიცოცხლის ბოლომდე ოცნებობდა მის დადგმაზე.

ოცდაათიანებში, როცა დააპატიმრეს, ერთ ბრალდებულად წაუყენეს პოლიკარპე კაკაბაძის „ბახტრიონის“ დადგმის განხორციელებული სურვილი, „ნაციონალისტური პეისის“ — როგორც მას მოიხსენიებს „სუკის“ ავტენტურა. სანდრო ახმატელი ამ ოცნებისათვის უკვე „დამნაშავე“ იყო, „სიკვდილის ღირსი“ (იხ. ვ. კიკინაძის წერილი ახმატელის დაკითხვის ოქმების შესახებ).



ხალხური პოეზიიდან მომდინარეობს გმირი კახაბერის სახე. პიესაში კახაბერი განასახიერებს სამშობლოს მარადიულ იდეას, მის დაუმარცხებელ ძალას, მის სიწმინდეს. მას ვერაფერი მოერევა, იგი დეტაბრივია, მითიური, და ამავე დროს, რეალური, როგორც სიცოცხლე. კახაბერი

უროვნული სულის გამოხატულებაა. სამშობლოსადმი თავგანწირვა გმირის უმკლესი იდეალია. სამშობლოს იდეა სინამდვილეა, როგორც ღმერთი, და ყველა სხვა ცვალებადია, წარმავალი. სამშობლოს იდეა დეტაბრივია, და სანამ გვწამს მისი, იგი ცოცხლობს და მახთან ერთად ცოცხლობს ერიც.

ადამიანი ცოცხლობს მარადიულად, სანამ სწამს ღმერთი, რადგან რწმენა ცოცხლობს მასში. მაგრამ როგორც კი ეს რწმენა იკარგება, ღმერთი ტოვებს კაცს, კვდება კაცში ღმერთი და რჩება უსუსური, წველიადში გაქრობის მომლოდინე, სიკვდილის წინაშე შიშით შეპყრობილი არსება...

სანამ იყო რწმენა ანტიკური ღმერთებისადმი, ისინი იყენენ ძლიერნი და წარმართავენ ადამიანთა ბედს, მათ ცხოვრებას, მაგრამ დაიკარგა რწმენა მათადმი და ძალა წაერთვათ ანტიკურ ღმერთებს, ისინი ვეღარ ერევიან კაცთა ცხოვრებაში.

სანამ სამშობლოსადმი ძლიერი რწმენა და ჭეშმარიტი თავგანწირვა არსებობს ერში, იგი ცოცხლობს და ძლიერია ყველა განსაჯირის მიუხედავად, მაგრამ როგორც კი ეს რწმენა სუსტდება, იღვევა ერის სიცოცხლის ძალაც.

კახაბერი განასახიერებს იმედს, ერის მარადიულ ძალას. ამ ძლიერების საფუძველია სიწმინდე და თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი, ისევე, როგორც ღმერთისადმი.

პოლიკარპე კაკაბაძის ამ ნაწარმოებში, და სწორედ, მიულ მის შემოქმედებაში, ნათლად იკვეთება ამ ორი იდეის, სამშობლოსა და ღმერთისადმი სიყვარულის ერთ მთლიან ფუნომენად წარმოღვევნა, როგორც ამქვეყნიური და მარადიული სიცოცხლის ერთიანობის გამართლება.

ამქვეყნიური სამყარო და ადამიანის სიცოცხლე მარადიული ცხოვრების შემადგენელი ნაწილებია, ისინი უერთმანეთოდ არ არიან, როგორც არ არის ადამიანი თავისი სხეულის გარეშე, და, ამქვეყნად დაბადების გარეშე, აქედან იწყება მისი ინდივიდუალობა, პიროვნულობა, და ასევე, ამ დაბადებით იწყება მისი მარადიული სიცოცხლე, ხოლო მარადიული არსებობა სამშობლოს გრძნობის გარეშე წარმოუღვენელია. წარ-

სული, აწმყო, მომავალი და მარადიული, რომელიც ყველა ადამიანს აქვს, ღმერთისა და სამშობლოს მისტიკურ არსებობაში ერთიანდება.

ამქვეყნიური სამოთხე მხოლოდ სამშობლოა, როგორც არ უნდა იყოს იგი, გაჭირვებული, ღამაში თუ ხრიოკი. ისევე, როგორც ადამიანისათვის საკუთარი სხეულია ყველაზე მახლობელი, როგორც არ უნდა იყოს იგი, სუსტი, ძლიერი, ღამაში თუ უღამაზო. ეს სხეული ხომ შენა ხარ!

მერე რა, შენ თუ წახვედი შენი სამშობლოდან, და კარგად ან ცუდად ხარ სხვაგან, განა ამით შენ მისგან არ მოდიხარ, განა შენი სხეული და სული სამშობლოსგან არ არის წარმოშობილი?

მერე რა, თუ შენ დაივიწყე ღმერთი, განა იგი აღარ არსებობს და შენ აღარა ხარ მისი შექმნილი, მისი შვილი, უარყოფელი, გამდგარი, შემცოდე შვილი.



პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებში აღებულია მასალად ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი პერიოდი საქართველოს ისტორიიდან, როდესაც ერთ დაცემულია და სიკვდილის პირასა მისული, მძინარებს ბორბტება, ღაღატა. სამშობლოს გამყიდველთა აჯახებას არა აქვს საზღვარი... საკუთარ ქვეყანას მისივე პატრონები ყიდიან, თავკაცები. ერისთავები, მთავრები, ძალმომრეობით გამყვებული უფლისწულები... ქოსაყილების, ქარაფშუტების, ნაცარქექიებისა და უმოქმედო, შემინებული და დაჩაგრული, მშვიერი ადამიანების ძრწოლაა. ირგულიუ სიკვდილია გამყვებული, უდანაშაულოთა დასჯა, ხოცვა და ჩაგვრა, უფიფითა ძალმომრეობა. ადამიანების მასიური გადასახლება შორეულ ტრამალებში. ვაჟკაცობა ჩამკვდარია, რეულდაკარგული დიდკაცობა და გმირთა შთამომავლები ნაცარქექიებად ქვეულან, და შემინებულნი თავს გარეთ ვერ ყოფენ, მხოლოდ ზღაპრებით ირთობენ გულს. ბრძენი ნაცარში უმოქმედოდ გდია, ღატაკი ნაცარქექიას ღუკმის შემყურეა, მის სიბრძნეს სხვა ასპარეზი არა აქვს. არც სხვა პეაგს ყურის მიმდგები.

სწორედ ეს, ზღაპრული და რეალის-

ტური, ისტორიულად ნამდვილი სურათი, რომელიც იხატება ნაწარმოებში, ზრცხეცის ორი წვეთი წყალი, პეაგს იმ ხნტუცანას, რომელშიც საქართველო იყო, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა. ასე იყო მთელი სამოცდაათი წელი, და შემდეგაც არაფერი შეცვლილა.

ღალატი, სისხლის ნიაღვრები, გამყიდველი მთავრობა, ერის მოღალატე დიდკაცობა, სამშობლოს გაყიდვით, ჯაშუშობით მიღებული ჩინ-მედლები, სიღატაკე და უსამართლობა, სიცრუე, ქარაფშუტობა, სიცრუის ღალადისი, სიბრძნის დამცირება, ღმერთის გმობა, ხალხის უსამართლოდ ხოცვა, გადასახლება, პატრეაყრილი ვაჟკაცობა, უმოქმედობით დაბუნაკებული გმირთა შთამომავლები.

მწერალმა „კახაბერის ხმალში“ წარმოსახა თავისი თანამედროვე ეპოქა, და გავაწერა, თუ რა დიღია იმედი ღმერთისა, როგორც წარმოუდგენელ ზღაპარში, ისე აღადგენს იგი კაცში ზნეობას, ძალას, მოქმედების უნარს, რწმენას, სინანულს, სამშობლოსადმი თავგანწირვის გრძნობას.

სამშობლოსადმი თავგანწირვის გრძნობა არის ღმერთის სიყვარულის გამოვლენის ფორმა, და ისეთივე მარადიულია, როგორც ღმერთის იდეა. ეს გრძნობა ზოგჯერ უწვლდება ერს, სხვადასხვა გარემოებათა გამო (მაგრამ, ხომ ასე ხდება ღვთაებრივი გრძნობის მიმართაც), – იმ პერიოდში, როცა ერთი ძლიერ სულიერ კრიზისს განიცდის, მაგრამ იგი აუცილებლად დაიძლევს და ისევე ერის გამარჯვებით და ახალი ენერჯის აღდგენით შეიცვლება.

„კახაბერის ხმალი“ არის ბრძოლის და იმედის ნაწარმოები.

ამ იმედს და ამ ბრძოლას განახიერებს კახაბერი, რომელიც წმინდა გიორგის სახის მემკვიდრეა.

ამავე ფუნქციებს ასრულებს ნაწარმოებში გულქანა, იგი მოხმობილია ეროვნული, მაღალი ზნეობის, შეუდრკვეული სულის, სიმართლისა და სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარულის მღაღადებლად. გულქანა არის ქართველი დედის ფენომენის ხატება, იგი არის ტიპი, რომელიც



თავისი ზოგადობით, იდეალური დედაკაცის სახეს ქმნის.

ნაწარმოებში დიდი, მთავარი იდეის, გმირის იდეის გამოხატველია კახაბერი, იგი მხსნელია ერის, და ამით უდიდეს ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეალს, წმინდა გიორგის სახეს ენათესავება, ხოლო გულქანა, ოჯახის ფუძის და ურყევი ხეობის იდეას ატარებს.

დიდი ხეობრიობა, უდრკვი ხული, რწმუნისა და სამშობლოსადმი თავგანწირვა განსახიერებელი ქალის სახეში, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურამ წარმოშვა და დაამკვიდრა ჩვენში. ასეთი სახე პირველად ბარათაშვილმა შექმნა, ესაა „ბედი ქართლისას“ გმირი ქალი, სოფიო. შემდეგ დროინდელი ქართული მწერლობა სულ განიცდიდა ამ სახის გაგლენას და წარმოსახავდა ქართველი ქალის მიმსგავსებულ ხატებს. ბარათაშვილის გაგლენითაა შთაგონებული ილიას „ქართველის დედა“. ილიას სხვა გმირი ქალები, ოთარანთ ქერიე, კესო, თამრო, დარეჯანი და სხვა. სრულიად სხვა თვისებების მატარებელნი არიან, ხოლო „ქართველის დეისი“ გმირი ქალი შინაგანი თვისებებით ნათესაობას ამჟღავნებს ბარათაშვილის სოფიოსთან და იდეურადაც ემხრობა ამ სახეს, მაგრამ სოფიოს მხატვრულ ძაღას ვერ უტოლდება.

აკაკი რამდენჯერმე უბრუნდება იდეალური ქართველი ქალის ხასიათის შექმნას. ლექსში „ქართველი ქალი“, პოემაში „ნათელა“, მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“. ამ ქმნილებათა გმირებს, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველას ლელას, პოემიდან „ბახტრონი“, სათავე უდევთ სოფიოს მხატვრულ სახეში, თუცა ბარათაშვილის გმირი ქალი, სოფიო, კვლავ შეუდარებელი და მიუღწეველი რჩება.

იდეალური ქართველი დედის, სამშობლოსადმი თავგანწირვის გრძნობით შეპყრობილი ქალის მეტად ზოგადი ტიპი შექმნა პოლიკარპე კაკაბაძემ. ამ ტიპში მარადქალური იდეალი, სიღამაზე და სიყვარული, ოჯახურ მაღალხეობრიობას-

თანაა ორგანულად განსახიერებული.


ბარათაშვილის სოფიო არცერთხელც მის ეპოქაში შექმნილი უკეთესი დედაკაცი უკლებლივ სახე. იგი რომანტიკული გმირია.

პოლიკარპე კაკაბაძის გმირი ქალი, გულქანა არის დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ტიპი. იგი სრულიად დამოუკიდებელია, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ლიტერატურაში განუმეორებელი და თავისებურად ერთადერთი. მის შორეულ საფუძვლად ეროვნულ ლიტერატურაში შეიძლება სოფიო ვიგულისხმოთ, თავისი მიზანდასახულებით. მაგრამ ამ ორ სახეს სრულიად განსხვავებული ტიპოლოგიური თვისებები აქვს.

„კახაბერის ხმლის“ გულქანა ეს არის ღრმა, განუმეორებელი ტიპი, რომელიც მოხმობილია ერისა და კაცობრიობის ცოდვათა გამოსახეიდად. მან უნდა შეინახოს სიწმინდე და ძლიერება თავის არსში, რათა წინ აღუდგეს დაბნეულ და დაცემულ კაცობრიობას. მან უნდა გაამართლოს თავისი სულიერი სინათლით ადამიანთა არსებობა, უნდა შეინახოს სამშობლოს მარადიული გრძნობა, როგორც ფუძის, კერძის უკვდავი ცეცხლი, საიდანაც იწყება სიცოცხლე. სამშობლოს გრძნობა უკავშირდება ადამიანის დაბადების, მარადიული ცხოვრების საწყისს. დაბადებით იწყება სიცოცხლე, ხოლო ეს დაბადება მშობლიდანაა, რომელიც ღვთაებრივი ნების და სიყვარულის გამოვლინებაა დედამიწაზე.

დედა, სამშობლო, სიცოცხლე, მარადიული ცეცხლი, ოჯახის ფუძე და თვითონ ღმერთიც, რომელმაც შექმნა ყოველივე და რომელიც ქვეყნად ქალისაგან იშვა, ადამიანი თავისი დაბადებით და მშობლიური გარემოცვით, რომლის გარეშე იგი არ არსებობს, უკავშირდება ზოგადად ქალის ფუნქციონს.

„კახაბერის ხმლის“ გმირი ქალი გულქანა, როგორც ტიპი, ღვთისმშობლის სახის მარადიული იდეიდან იღებს სათავეს, იმ თვისებათა მონათესავეა, რომელსაც წარმოშობს ღვთისმშობლის ხატების ესთეტიკური ფუნქციონი მსოფლიო ლიტერატურაში.



# ისტორია უკალღოდ დარჩენილი დაკარგული ძვეყნისა და უძვეყნოდ დარჩენილი დაკარგული კალღებისა...

## ოთარ ჭილაძის „გოდორი“

„ისტორიული სიბინძურიდან პეპელსახვით ამოფრინდება მათი გადარჩენილი და, რაც მთავარია, განწმენდილი სული...“ – ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევს ო. ჭილაძის ბოლო რომანს „გოდორი“. მწერლის მთავარი სათქმელი სწორედ ესაა – დაგვაფიქროს საზოგადოების, ერის დაკნინებისა და გადაგვარების მტკივნეულ მიზეზებზე და გვიჩვენოს მათგან თავდაღწევის, განწმენდისა და გადარჩენის გზები. ეს გზები შორია და მწვანედაცხვადი, მაგრამ მთავარი მაინც ამ გზის პოვნაა. პოვნა უკვე ნიშნავს გამოფხიზლებას, გამორკვევას, მწარე რეალობის ობიექტურად აღქმას, საკუთარი თავისა და ადგილის დანახვასა და შეფასებას. თუმცა „აღმავანობა... არარსებული გზების ძიება“, მაგრამ მონობაში ჩაეარდნოლი ერისათვის, ცოდვებსა და ქვენა გრძნობებს დამონებული თაობებისთვის ჯერჯერობით ერთადერთი გზა არსებობს მხოლოდ, გზა, რომელიც „მათ თავიანთი ცხოვრებით დაიმსახურეს – არსაიდან მომავალი და არსაით მომავალი – გზა კი არა, გზის ნაგლევი, გზის მონარჩენი, ბალახმოღებული...“

„გოდორი“ დრამატული, ფილოსოფიური-ისტორიული რომანია, რომელშიც მწერალი, წინა რომანების მსგავსად, საოჯახო ქრონიკას კაცთა მოღვმის ქრონიკად (ა. იანს კაია) წარმოგვიდგენს. მისი პერსონაჟები განასახიერებენ მთელ თაობებს, რომლებიც თავიანთ ეპოქებს ქმნიან პოლიტიკური, კულტურული თუ მორალურ-მწიგნობრივი თავისებურებებით. „გოდორი“ თითქმის შემაჯამებული წიგნია ადრე გამოცემული რომანებისა, რომლებშიც ეპოქათა ასახვის მიხედვით გარკვეული თანმიმდევრობა შეინიშნება. მწერალი ამ ნაწარმოებით ასრულებს ქარ-

თველთა მწიგნობის ისტორიას, დაწყებულს ანტიკური პერიოდიდან, და წარმოგვიჩენს მას ისტორიულ-ფილოსოფიური პერიპეტეებით, მითოსურ-ბიბლიური მოღვლებების გამოყენებით, სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტებითა და ფსიქოლოგიური წიაღსელებით. თუ „გზამე ერთი კაცი მიდიოდა“ აივცისა და შედეგს საქართველოს აღწერს, ყოველმან ჩემმან მოენელმან – რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიადქცეულ ქვეყანას, „რკინის თეატრი“ – იმპერიის რღვევის შედეგად გადაძებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ დარევოლუციურ ბრძოლას, „მარტის მამალი“ – ილიას მკვლელობიდან დაწყებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს, „აველუმი“ – 50-80-იანი წლების ეროვნულ მოძრაობასა და 90-იანი წლების სამოქალაქო ომს, „გოდორში“ მწერალს აინტერესებს საქართველოს რუსეთთან თანაარსებობის 200-წლიანი ისტორია, დამთავრებული აფხაზეთის ომით, როცა ქვეყანას კიდევ „ჩინოსანი კომუნისტები და გამამულიშვილებული კომკავშირლები“ მართავდნენ.

რომანის სათავური მეტაფორული ხასიათისაა და მის მნიშვნელობას თავად ავტორი გვიხსნის ლიტერატურისათვის მეგად უცხო და უცნაური, ბიოლოგიიდან აღებული პარადიგმით – პეპლის განვითარების სკაღივებით, ანუ პეპლის სრული მეგამორფოზით. ეს პარადიგმა წარმოადგენს მთელი ნაწარმოების სიუჟეტურ და იდეურ ღერძს, რომლითაც მწერალი გვიხსნავს ბოღმევიმის წარმოშობას, განვითარებასა და მოსაშობას ჩვენს ქვეყანაში ერთი ოჯახის – კამულთა ოჯახის ქრონიკის მაგალითზე. თუმცა ამავე ღერძს პეპლის სრული მეგამორფოზის (კვერციხე – მაგლი –



ჭუკრი-ქეპელა) პარადიგმა კაცობრიობის ქრონიკადაც აღიქმება და ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ჩამოყალიბების მოდელადაც წარმოგვიდგება. ამდენად, იგი მრავალგანზომილებიანია და მეტად გვეყვადი მხატვრული ფუნქცია გააჩნია. მაგრამ მისი პირველადი დანიშნულება შემდგენაირად იმიფრება: ბოლშევიკების პირველი თაობის წარმომადგენელი რაქდენ კაშელი (უფროსი) გოდრიდან ისე იჩეკება, როგორც კვერცხიდან. გოდორი მისთვის ერთადერთი მშობლიური გარემოა. უსამშობლოდ დარჩენილი კონსტრუქციის მიზანი საკუთარი ქვეყნის დაპყრობაა, ეს არის ბოლშევიკების ის თაობა, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს ცეცხლითა და მახვილით შემოვიდა თბილისში. სწორედ ამ დღეს დაიბადა რაქდენის შვილი ანტონი, რომლის სახითაც საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა საქართველოში. იგი ბოლშევიზმის განვითარების მეორე ეტაპზე იმყოფება, ანუ მაგლია და მაგლივით მიასრისეს იმ სატვიროთო მანქანით, რომლითაც მამამისი ემიგრებოდა 1924 წელს აჯანყებულთა გვამებს, რომლებმაც ერთხელ ბუქოვინაში, თვითონაც სიამოვნებით იბუქნაგა. ანტონის შვილი რაქდენი (ბაბუსის სენსია) განვითარების შესაბამე ეტაპს გადის, ჭუკრია, „ბოლშევიზმის გაჭუპრებული მაგლი“, დამყაყებული სოციალიზმისა და უძრავობის პერიოდში საკუთარ სინამტერეში, „მოლოდინისა და მოთმინების უპაერო პარკში“ გამოშრჩევალი. მეგამორფოზის ვზას ასრულებს ანტონი – ქეპელა, რომელიც იგივე მაგლია, ოღონდ წინამორბედის სიკვდილით გაკეთილშობილებული და, რაც მთავარია, განწყენილი და გადარჩენილი. ანტონის მიერ მამის ფსიქოლოგიური მკვლელობა სხვა არაფერია, თუ არა ბოლშევიზმის სენსიან განვითარება და სამუდამოდ ვითავისუფლება. სიმბოლურია, ქეპელის მსგავსად, ანტონის სიცოცხლეც ხელშეორედ შობის, ანუ ფსიქოლოგიური დაბადების შემდეგ სამი დღით შემოიფარგლება. ანტონი ეწირება წინაპრების მიერ ჩადენილ ცოდვებს, ქართველი ერისათვის თავსმოხვეულ საკუთარი მოდემის კიდევ ერთ დანაშაულს – აფხაზეთის ომს მისი სიკვდილით მთავრდება კაშელთა ისტორია.

ქუპლის მეგამორფოზის პარადიგმა კაცობა

მოდემის ქრონიკადაც მოიაზრება. მისი საფუძველი აღმოსავლური რელიგიატუზიუზი სოფიურ-მისტიკურ საწყისებში შეიძლება მოეძიოთ რენკარნაციის თეორიის სახით, რომლის მიხედვით, ადამიანის სული რამდენჯერმე მოდის დედამიწაზე საცხოვრებლად, მანამ, სანამ მთლიანად არ განიწმინდება და საბოლოოდ არ დარჩება უფალითან. ქეპელა, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, კვერცხის დადებას მინიყ ასწრებს და, ამდენად, ბუნებაში არაფერი იკარგება. უბრალოდ, ახალი წრე იწყება, ახალი კვერცხიდან (თუ გნებავთ, გოდრიდან) ახალი მაგლი იჩეკება, რომელიც დიდთვალდება, ქოჩრიან, მუკელმედინდელ ქეპელად გარდაიქმნება ბოლოს და ასე იქნება სულ, უსასრულოდ. უკუნიით უკუნიამდე.

შეწრალი კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით მოიაზრებს ქუპლის მეგამორფოზის ლოგიკურ დასასრულს – მამისმკვლელობას და მას მეორედ მოსვლის წინადადეგ, აპოკალიფსად წარმოგვიდგენს. რამდენადაც „ყველაფერი მოდის მამისაგან და არავენ იყის ძე, გარდა მამისა, და არავენ იყის მამა გარდა ძისა, ეს უკვე კატასტროფაა, აპოკალიფსა, სამყაროს ბოლო დღე, არმაგედონი“ – სწორედ ამ იდეურ საფუძველზე მიანიშნებს ნაწარმოების ეპიგრაფი: „და აღდგნენ შვილინი მამა-დედათა ზედა და მოკვლიდნენ მათ“ (მათე 10-20).

მიუხედავად ასეთი მასშტაბური და განზოგადებული გააზრებისა, ქუპლის მეგამორფოზის პარადიგმა, როგორც ვთქვით, ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ჩამოყალიბების მოდელადაც წარმოგვიდგება: კვერცხი ბავშვობის პერიოდს შეესაბამება, როცა შვილი მშობლებთან ერთად პარმონიულ გარემოში იმყოფება; მაგლი სიყმაწვილის ფაუსტური ძიებებისა და შემეყენების აქტიური პერიოდია; ჭუკრი-მოწიფულობის ახაკი, ცოდვისა და, ამავე დროს, გონებრივი სრულყოფის ხანა, რაც საკუთარი სიმბოლოს მწვერვალზე ყოფნად აღიქმება, და ქეპელა – როცა ადამიანი ინიციაციისა და კათარმისის შემდეგ ბრუნდება შინ, მამასთან, ერთ დროს თავისივე არსისაგან ლგოლეილი და გაუცხოებული. შინდაბრუნებული „მე“ უკვე თავის თავს აღარ ჰგავს. ეს არის არა რეალური, არამედ ადამიანის „მაღალი მე“, მისი არსების სამ-

ყაროს ერთიანობასთან წილნაყარი ნაწილი, სულის არსებითი უმინაგანესი მე, რომელსაც ინდოელი აგმანს უწოდებს, და რომელიც ღვთაებრივია და მარადიული. ის, ვინც მიაგნებს ამ „მეს“, დაუკავშირდება სამყაროს, ღმერთს, და გადავა მარადისობაში. სულიერი განვითარების ეს სტადიები უძღები შვილის იგავითან ასოცირდება, რაც ერთ-ერთი მთავარი მოტივი ნაწარმოებში. ამ კონტექსტში მოიაზრებიან ანგონი და ლიმიკო. ისინი „საკუთარი სიმდაბლის“ მწვერვალზე მდგომი ინციდაიური გმირები არიან, რომლებიც კათარმისის გაგლის შემდეგ (ერთი ომში იღუპება, მეორე ვენებს იჭრის) ისევ ახერხებენ გადარჩენას. პეპლის, როგორც გადარჩენილი და განწმენდილი სულის, მეგაფორაც მათ მიემართება. ოდონდ ანგონის (კამელთა უკანასკნელი ნამიერის) გადარჩენა მამის მკვლელობის ფსიქოლოგიური აქტითა და საკუთარი მოღვმის გააღამიანურებისათვის მსხვერპლმწვერვით ვლინდება, ხოლო ლიმიკო აღიარებს მამის სიმართლეს და სინანულის უღრმესი განცდით უბრუნდება მას, იპოვის, საკუთარ თავს, დაკარგულ და ფეხქვეშ გათვლილ ფასეულობებს, რომლებსაც სამშობლო, სინდისი და ეროვნული ცნობიერება ჰქვია. ანგონი და ლიმიკო გენეტიკურ მნიშობრივ შემკვიდრობასთან მიბრუნებით საკუთარი ცნობიერების მონობის ბორკილსაც ამხსნერევენ, რითაც სიმბოლურად გადიან ლაზარეს გზას.

რთული და ამოუწურავი მხატვრულ სახეთა სისტემა, ასოციაციებითა და ქვეტექსტებით დატვირთული თითქმის ყოველი წინადადება, სიუჟეტის ხამგასმული უქონლობა, ამრის ფრაგმენტულობა, ემოციური წარმოსახვისა და რეალობის შერწყმა, არაყნობიერი ფსიქიკის სიმშრისეული თუ ცხოვრებისეული ამოტივტივება, სიმბოლოსა და ლაიგმოტივის პოლიფონიურობა მეგად რთულ პოეტურ არტიკულტონიკას ქმნის რომანში. ისტორიული თუ ფსიქოლოგიური პერიპეტეგიების მიღმა ფაბულის წაკითხვა იოლი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ჭილაძისათვის დამახასიათებელ პერსონაჟთა ხატვის მითოლოგიზებას, რომლის მიხედვით, მთავარი მოქმედი გმირები შეგვიძლია ისე განვსაზღვროთ,

როგორც ვშიფრავთ მითურ პერსონიფიკაციას: ქალი ქვეყანაა, კაცი – ამ ქვეყნის მფლობელი, გრონი, ბავშვი – მომავალი. ნაწარმოებში ზოგჯერ ქვეყანას დედაქალაქი ენაცვლება, მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის. „უფროსმა რაქვენ კამელმა ერთხელს კი არ აიღო თბილისი, არამედ ერთხელ და სამუდამოდ, ანუ მომავალში იმდენჯერ აიღებს, რამდენჯერაც საჭირო იქნება, ვიდრე მთლად არ გაკამელდება ეს ძირგავარდნილი ქალბატონი, მარადიული ქერივივით რომ დასკუპებულა მტკერის ორივე ნაპირზე ერთდროულად და უხმოდ, უცრემლოდ გლოვობს მის წიაღში „ვითარცა საწნახელში“ ბაბუა რაქვენისა და ბებია კლავას ბინძური ჩექმებით ჩაწყვლეტილ ფალანგებს“.

უმცროსი რაქვენ კამელისათვის ცხოვრების მიზნად საკუთარი რძლის გაბახება ქვეულა, რისთვისაც იგი არაფერს იმურებს, „ფსიქოლოგიურ გრანში“ ამყოფებს მხვერპლს ქვიშეთიდან თბილისში წამოსვლის წინ რაქვენის ფიქრებში ამოტივტივება რკინის კომბრის სახე, რომელიც თბილისის აღებისაკენ მოუწოდებდა ამოტივტივებულ, თავგზებულადებულ ბრბოს, რომელშიაც მისი დიდი წინაპარი რაქვენ კამელის იღვა. მწერალი აქვე ავლებს დია და გახსნილ პარალელს ლიმიკოსა და თბილისს შორის, რაც რაქვენის ცნობიერებაშიც ამგვარად შემოდის: „საკუთარი რძლის დამორჩილება და საკუთარი დედაქალაქის აღება თავისი სიმძაფრითა და მნიშვნელობით ერთმანეთის გოლფუს მოუღწეხად აღინიშნება, ალბათ, კამელის საფარველო მაგიანეში და ყველაზე ნათლად დაადასტურებს პაპისა და შეილიმეილის სულიერსა და ხორციელ ერთიანობას, ერთიანობას“.

იმ პარადიგმა-სიმბოლოებს შორის, რომლებიც რომანის მხატვრულ ქსოვილს ქმნიან, მთავარი მუხლის სიმბოლოა, როგორც ქვეყნის დაკეპის, პოლიტიკური თუ სულიერი მონობის, მნიშობრივი დაკნინებისა და გადაგვარების გამოუმხატველი. მისი არსებობის დროლოკალიმებულა და საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და თანაცხოვრების პერიოდს მოიცავს. „მას შემდეგ, რაც ქართველი ალექსანდრე პირველის დაშლილ-დაქუქიციებული, რუსმა ალექსანდრე პირველმა იმპერიის სტომაქში გააერთიანა, მუმილი გვესება“. აქ



მუმილი თუ ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტის დაკარგვის გამოძახებელია, სხვაგან იგი ერის სულიერ დაქინებებს მოახწავებს. „მოელ საქართველოს დასტრიალებს მუმილი, როგორც გადამწიფებულ ხილსა თუ სიდაბლუ გამკადარ ბოსტნულს“. მწერალი ამ სიმბოლოს ოცამდე ეპიზოდში იყენებს, აქვეყნებს რამას ნაწარმოების მთავარ ლაიგმოტივად, უფრო განზოგადებულ მნიშვნელობას ანიჭებს და კაცობრიობის უბედურების მაუწყებლადაც წარმოგვიდგენს: „მოელი სამყარო მუმილადაა ქცეული, რომ გინდოდეს, ვერსად გაუქვევი, ყველგან ერთნაირად დაგახრჩობს მუმილით გასქელებული პაერი“.

მოჭარბებული მუმილის მნიშვნელობის აღქმა-გაცნობიერება ნაწარმოების მთავარი გმირების – ანტონისა და ლიზიკოს მერ ხდება. თავდაპირველად, მანქანაში მჯდომი და ქვიშეუთიდან თბილისში მომავალი ანტონისაგან უკუღმა წაკითხული „მუმილი მუხასა“ – „ილმუმ ასახუმ სრაგ ადოევებ“ – შხოლოდ ლინგვისტური ექსპერიმენტია, რომელიც მოგვიანებით იქვეა ანტონის სულის ტრაგიკულ გამოძახილად. მის განზინაგანებას ანტონის დაკარგვის შემდეგ ახერხებს ლიზიკო, როგორც განწმენდილი და გადარჩენილი ქვეყნის სახე და „გაილმუმ – გაასახუმ – გასრაგ – გაადოევებელი“. ელოდება ისევე ანტონის, თავის ჭეშმარიტ პატრონს.

უკუღმა წაკითხული ეს ძირძველი, მგრიტი გარემომორტყმული საქართველოს სიმბოლური ხატის შემცველი, ხალხური ლექსი, თანამედროვეობის, ჩვენი ეპოქის, საგანური დროის გამოძახილია და მთელი თაობის გაუკუღმართებულ, ტრაგიკულ სულისკვეთებას გამოხატავს. ლიზიკოსა და ანტონს სხვა აღარაფერი შერჩენიათ, თუ არა უკუღმა წაკითხონ „მუმილი მუხასა“, რადგან საბჭოურ იმპერიამ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული, ყველა მარადიული ღირებულება დიდი ხანია გადაფასებულია, ჭეშმარიტი მამულიშვილების (ელიზბარისა და მისნაირების) აღმა ხნული, კამელებმა დაღმა ფარცხეს“. ღრმა ქვეტექსტის შემცველია ის ეპიზოდი, როცა დეიდა ლენა ლიზიკოს წარმოთქმულ „ილმუმ ასახუმ სრაგ ადოევებ“-ს „სოხუმი დაემხო“-დ განმარტავს. ეს, ერთი შეხედვით გაჯან-

ტული და შემთხვევითი ასოციაცია ნაწარმოების ძირითად სათქმულს ექვემდებარება, ქართველი ერის კიდევ ერთ წაგებულ ომზე მიუთითებს.

ო. ჭილაძე შორეული წარსულიდან იწყებს ერის დაცემისა და განადგურების მიზეზების ძიებას. მონღოლთა ორასწლიანმა ბაგრობამ ბოლო მოუღო „რაინდული კეთილშობილებითა და მეომრული შემართებით სახელგანთქმულ... თავმომწონე, ლაშქარმრავალ და ყმიან ქვეყანას“. ურთიერთშუღლითა და მგრობით დაბრძალებული ქართველები „ვლუჯდნენ და აჩანაგებდნენ საერთო სამშობლოს, როგორც სვაეები – უპატრონო ვირისღემს... წინაპართა სისხლითა და ოფლით, ხმლითა და წიგნით, წვითა და დაგვით ნაშენები ქვეყანა“ თანდათან იშლებოდა. მწერალი უდიდესი ტკივილის გრძნობითა და შთაბეჭდვით პოეტური ხერხებით აღწერს „ორი მეფის, ოთხი მთავრის, ერთი ათაბაგის და უთუალავი თავადაზნაურის უკუდო ამპარტავნობას გადაყოლილი“, მაგრამ მაინც თავისუფალი ქვეყნის კოლონიადქვევის პროცესს. „იქამდე ვერ მოგენენ გონს ჩვენი ბედადმწეარი მეფეები, ვიდრე ქართველი ალექსანდრე პირველის დამლილსა და დაქუცმავებულ ქვეყანას რუსმა ალექსანდრე პირველმა არ მოუყარა თავი იმპერიის ფაშეში, რათა მომავალში მხოლოდ იმპერიის უკანა ხერხულიდან მოვლენოდა საქართველო ქვეყანას, რამდენჯერაც საჭირო იქნებოდა და, თავისთავად ცხადაა, უკვე სხვა ნიუთიერებად გარდაქმნილი...“

არაჩვეულებრივ მხაგერულ მედარებას იყენებს ავტორი, როცა წერს, რომ მას შემდეგ მარაგმადქვეულ მამულში ჩამოსული ათასი ჯურის ავანტიურისტთაგან, ყველა საკუთარი ჭოგრიტითა და მონოკლით ათუალიერებდა ამ ახალ მიწას, „ველურ მხარეს“, ფინჩხივით გადაბერტყილს ღმერთის კალთიდან“, აქვე თითქოს შემთხვევით, მიანიშნებს მკედრის ნიუთებისა და განსაკმლის განაწილების მიღებულ, ცივილიზებულ წესზე მწერლის სარკაშში და ირონია ნათელია, და მაინც, ყველაზე დიდი უბედურება არის არა მონობა, არამედ მონობასთან შეგუება და შერიგება, რადგან, რაღაც რომ ხდება, თუნდაც უარესობისკენ, უკვე არსებობას ნიშნავს.

ნაწარმოებში განვითარებული მოქმედება თვალმისაყვამ ალვეგორიით იწყება: „ლუთა-ებრივი გარეგნობის“ მქონე მატრამ ახალი ცხოვრებით შემინებული გაუკხოებელი და ცოგათი ჭკუასითი მწყრალად მყოფი მოხვეე მწყემსი ჯერ საკუთარ ცოლს კლავს რუსის „ურადნიკთან“ დაღაგისათვის, მერე მუკვლს გამ-ოიფაგრაჲს სამურაივით და ხმაურზე შემოცე-ნილ შემობლებს გოდორში ჩასმული ბაემის (გოდორში ბაემს დედა სვამდა, ხელი რომ არ შეემაღა „ურადნიკთან“ დღაბუმი) მოკვლას სიხოვს, მატისგან კაცი მაინც არ გამოვალ.

ძნელი არ არის მიხედვით მწერლის მიერ შემოთავაზებულ ქვეტექსტს: მწყემსი საქარ-თველოს ჭემმარიიგი პაგრონია და ამავე დროს „მწყემსი კეთილის“ პაროდირებული ასოციაცია, რადგან ცხურებს კი არ მწყემსავს, არამედ ძროხებს, რითაც ავგორი მიგვანიშ-ნებს, რომ ქართველი ერი მწველ ფურადაა ქეეული რუსების ხელში. მწყემსს არათუ წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარა აქვს, არამედ ისე შეგუებია რუსის ბაგონობას, რუხ-ვენია კიდევ, მისი ენა რომ არ იყის. იგი იმდენად ალაღია, იმდენად გაჯღომია ძვალ-რბილში „ძეული ადათ-წესები“, რომ არ სჯეროდა, ადამიანს ასე უსირცხვილოდ თუ შეეძლო ეყრუა, თუნდაც დედაკაცს. მწყემსი ცდლობდა არ ეფიქრა საფრთხეზე, მისი სამ-შობლოს მსგავსად, ისე დაედამბლაგებინა მოყვრად მოსული მგრის სიყვრავს, გახელ-ვაც აღარ უნდოდა მისკენ. თითქოს, თუ არ დაინახავდა, ისიც თავისთავად გაქრებოდა“. ამიგომ წარმოსახვისა და ოცნების სამყარო-ში იკეტებოდა. ბუნებას უხვად დაეჯილდოე-ბინა „მიბაძვისა და მიმსგავსების უნარით და ავად თუ კარგად ამით ირთობდა თავს. ხან კაჭკაჭივით ჩხაოდა, ხან მგელივით ყმუოდა, ხან ძროხასავით შმუოდა, ხან არწივივით ყაშ-ყაშებდა...“ ამ მიბაძვებში ქართველი ერის თვისებები იგულისხმება, რომელთაგან პირვე-ლი – კაჭკაჭივით ჩხაველი, ძლიერ უყვარდა ანგონსაც – კამელთა უკანასკნელ წარმო-მადგენელს. ლიშიკოს კაჭკაჭი ანგონს ახსენებს. ამდენად, ანგონი კამელებს კი არა, იმ მწ-ყემსს უმსგავსება, რომელიც ქვეყნის ჭემმარ-იგი პაგრონი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ კამელებში კამელობა უკვე დამთავრდა.

კაჭკაჭი ბოლომდე ინარჩუნებს ველურთა და მოუთვინიერებელთა სიამაყეს. სწორედ ამ თვისებებმა გადარჩინა საქართველო – „ქე-ლური, მოუთვინიერებელი კაჭკაჭივით ჩა-იქროლა ლიშიკოს სიცოცხლემ“. კაჭკაჭი ყო-ველთვის რაღაცის მაწვევებელია. ლიშიკოს აუადმყოფურ ცნობიერებაში იგი ყველაზე მეტად შეეფერება მის სამშობლოს, რომელ-იც მისთვის და ანგონისთვის უკვე „კაჭკაჭა-დავლილი მინდრების“ მეტაფორული ასო-ციაციით აღიქმება. ფსიქიატრიულ საავადმყო-ფოში მყოფი, ხელუღბანტული, სიკედილის გზაზე შემდგარი, თვალდახუჭული ლიშიკო ლუდოვიკო ბოლონიელთან წარმოსახული საუბრის შემდეგ კაჭკაჭის ჩხაველს გაიგონებს და თვალს გაახელს. კაჭკაჭის ჩხაველი სა-ქართველოს შემობრუნების, მის მიერ ჭემ-მარიიგი გზის პოვნისა და გადარჩენის მაწ-ყებელიცაა და განმაპირობებელიც. ლიშიკო და ანგონი, როგორც ქვეყნისა და ამ ქვეყნის პაგრონის მითოლოგიზებული პერსონიფიკა-ციები, ისე შეეფერებიან ერთმანეთს, როგორც მათი მეტაფორული ასოციაციები – „კაჭკაჭა-დავლილი მინდორი“ და „კაჭკაჭი“, რომელ-თა ერთნაირობაზე ბგერწერის თანხვედრით, ანუ ალიგერაციული ხერხის გამოყენებითაც მიგვანიშნებს მწერალი.

კამელთა საგის სათავეში რუსი ურიადნი-კის ნაიბჭვარი რაქდენ კამელი დგას. იგი ვე-რაფრით ვერ ამოიყვანეს გოდრიდან, ხანამ არ გაიშარდა და გოდორი თავისით არ შე-მოემგერა, მამასაღამე, გამოიჩეკა, რაც იმას ნიშნავს, რომ კამელობა ბუნებრივი მოელენა კი არ იყო საქართველოსთვის, არამედ საიდ-ანდაც თავისმოხვეული და განგებისმიერი სა-მართლით – არაკანონზომიერი. „ბიჭი კი დროის პირში გახლდათ... მას უნდა დაელო-სათავე სრულიად ახალი მოღგმისათვის, რომელიც თვითონვე თუ ამოჭამდა საკუთარ თავს, თორემ სხვა არავითარი ძალა არ მოი-ძებნებოდა ბუნებაში მისი მომრევი“. სწორედ ის იყო „რუსეთის იმპერიის უკანა ხერველ-იდან“ დაბადებული საქართველოს ახალი სახეობა და „იმ საქართველოში უნდა გამო-ყვინა გოდორში შექმნილი მიდრეკილებები“. გოდრიდან გამოჩეკილი რაქდენ კამელი პირველ რიგში გამწრდელ კესარიას მივარდა

გასაუბავიერებლად. იმის მაგივრად, რომ ევსარიას ქმარი ხმაურზე შემოცვენილ მეზობლებს მიხმარებოდა შვილობილის გაღახვაში, გაოგნებული დარბოდა და მოქნეული კეკებისაგან იცავდა მოძალადეს. გაყვანილებული და გაავაზაკებული რაქენი სოციალდემოკრატიებისაგან დაწინაურებისა და ილიას მკვლელობაში მონაწილეობის მიღების შემდეგ რუსეთს გადაიხვეწა, იქ ინტერნაციონალური ოჯახი შექმნა – კამაკი ქალი კლავა მერთო და, რკინის კომისრის მოწოდებით შეგულიანებული, წითელ არმიასთან ერთად, 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოვიდა. კესარიას კი მთელი ცხოვრება განჯავდა კომმარული სიმშრები და ქმარიც მართმანებით უყურებდა მის მარადიულ გაუპატიურებას.

ამ ეპიზოდში მოცემული ქვეგეჟიტი ნათელია: 1921 წელს საქართველოში შემოსულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ, რომლის წარსულის გმაც ავაზაკობაზე, ყაჩაღობაზე, ილიას მკვლელობაზე გადიოდა, უარყო და ფეხქვეშ გათიულა (გააუპატიურა) ეროვნული ღირებულებები: ისტორია, კულტურა, ადამ-წესები, მწიბორი-ფეთიკური ნორმები და უცხო ძალის შემეფობით დაიპყრო საკუთარი სამშობლო. ასეთი დაცემის ძირეული საფუძვლები კი მარტო გარეპოლიტიკურ მიზეზებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ჩვენსავე უწინარობასა და დაბნეულობაში. კესარიას ქმრის საქციელი – მოძალადის დაცვა მეზობლების ხელკეკებისაგან, სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი სიბრიყვე და მოუშვადებლობა ქართველი ერისა, რომელიც იძულებულია, სამშობლოს მარადიულ გაუპატიურებას უყუროს ბოლშევიზმის ბაგონობის პერიოდში.

თავდაუ იგულისხმება („ყვითელი რქებით, წითე-  
ლი ხარი, ცხელი და ჩქარი ვადიდოთ ქებით...“).

არადა, მის სულში ხომ თორმეტი წლ-  
იდან ჩასახლდნენ მოკანახხე ოქროს ჩიგე-  
ბა! მათგან ებოძა „კალამის წვერი, კალამის  
წვერი – ბულბულის ნისკარგი“, რომელიც  
ელოდა, სულმოუთქმელად ელოდა, როდის  
უკარნახებდა, თუ როგორ ავყავდნენ ბაღში  
ქვიშნები ან როგორ არტობდა დილის მზე  
ყავრის ჭერში ოქროს დანას; როგორ განძარ-  
ცავდა ქარი თეთრად გადაპენგილ „დელო-  
ფად გყემლებს“ ან როგორ ელამუნებოდ-  
ნენ მისი თმის ღერებს ღურჯნისკარგა წუში  
მგრედები; როგორ ისროდნენ მწყემსები  
ფიღისა თოფებს ჯოგით ავსებულ ჭალაში  
ან როგორ მღეროდა ჩორთას ასული ძვე-

ლებურ ივენანას: როგორ იდო მთებარე –  
ძროხის ერთი წველა – ჰერანგას ქმუნა-  
ან როგორ ფანტავდა მინდორზე შეყვიღან  
დამეებული მგრედების ჯოგი უნამეს ჩეროს;  
როგორ არხევედა ბოვირზე აკუნესტული  
ურმული ნადიების კენწეროებს ან როგორ  
გოვებდნენ კოლხიდის ლოგინს მეცამი ის-  
რად შეუკრებული წეროები...

... თორმეტი წლიდან შთააგონებდა „კალა-  
მის წვერი, კალამის წვერი – ბულბულის  
ნისკარგი“: „დაჯექ, დაწერე, დახატე, რითაც  
ცხოვრება ივსება, მიუც დამმეულ ქაღალდებს  
საშვილიშვილო თვისება. გარეშე საქმეს გა-  
დარჩი, მან ხალხი გააგულისა, გასინჯე ცეცხ-  
ლის ღადარში სიმამგრე ღექსად თქმულისა;  
ვერ ნახო სიგყვის გარეშე სხვა მოწოდება  
მადალი, ჰანგებით იანგარიშე ცხოვრების  
აყალბაყალი... უნდა თქვა ხმა საკახეთო, მისი  
ველები გელიან, ან ახალ თვალთ შეხედე  
მურძაყან დაღმექელიანს. დაჯექ, დაწერე,  
დახატე, რაც ბუნებაში გეღექსა, მიევი სარჩო  
არხევაგელ ფანდურზე კარგა მოქმედებსა...  
რომ ღამამ თქმაში გამოლოგო, რაც დარჩა  
გულის მიგნითა, რომ ამაყობდეს სამშობლო  
შენი მდიდარი წიგნითა. ვინც ერთგულ მი-  
წას მსახურობს, წიგნს ეცეს თვალგამალებით,  
რომ შემდეგ გკბილად დახუროს, როგორც  
ძილისთვის თვალებში... მგერს კი დარჩება სახ-  
ადად ძახილი დაუცხრომელი: დაჯდა, დაწერ-  
რა, დახატა და დარჩა, როგორც შმრომე-  
ლი“ („საკუთარ თავს“).

მაგრამ ცხოვრების ბორბალს კვლავაც  
ბელმებელი აგრიალეზება და პაოლო იაშვი-  
ლის პოეზიაში ისევე ავებელითად ეღვარებდა  
წითელი ფერი.

„ფარშავანგები ქალაქში“ (1916 წ.) აპოკა-  
ლიფსური ეპოქისათვის ნიშანდობლივი მძაფ-  
რი კაგაკლიმმების მარდამეცეში მაგიაწეა.  
მასში მოქმედი საგანური ძალები: სისხლის-  
ფერი გველემშია და მის საბრძანისში შოფრე-  
ნილი წითელი ფარშავანგები წითელი ხარი  
სულიერი გყუპისცალები არიან. მათ მიერ  
დამკვიდრებული ჯოჯოხეთური ყოფა ღექს-  
ში პარაბოლურად არის წარმოსახული.

ავტორი ქმნის შემადრწუნებელ პანორა-  
მას სისხლით გაღვნილი ეპოქისას, რომელ-  
მაც წითელი ურჩხულის მადას მილიონობით  
ადამიანის სიციცხლე უმსხვერპლა და სა-

მომავლოდაც ათეულ მილიონობით ზვარაკის შეწირვა აღუქვა.

სიციხით გაფარვარებული ქალაქი, სადაც „რეგიონ ფიქრებს მზე აწვალედა და ახრობდა ცხელ ნიაღვარში“, არის განსახოვნება რევოლუციის სახმილში გახვეული ქვეყანა, რომელსაც წითელი გრიგალი აზანზარება, ამ სისხლისფერ ურჩხულს კი „თავდაუზოგავად მოაჭენებდა უმეზმარავესი მხედარი, ცეცხლმემართული აზრთა მმუსკრელი წითელი ცენზურა, მისთვის უცხო, მიუღებელ აზრებს ხშირად თავებიანად რომ ათიბავდა მათსავე მაგარებელთ“ (მერაბ კოსტავა).

აეგორი შემადრწუნებელი ფერებით ხატავს ყოვლისმომსპობი, ყოვლისგამზანაგებელი ბოროტი ძალის აღმეგების სურათს. მისი გარემო შემოკრებილი წითელი გველები და ქუჩების ღარში მიშეებული მკბენარი სისხლი, დამხხერული შუშების მგვრით გაღურჯებული ჰაერი და „ჩქარ ელვარებით“ მოძრაი „ხალხი, მორთული ცხელ ოღარებით, ქარხნების ყვირილი და კვამლი ღვრია“, ქუჩებში დაყრილი სხეული ძაღლები, ქვეყნის დუღილით გახარებული ფერადი კატები და მხურვალე ცახცახით მქროლავი ცხენები – ასეთია საგანის სამფლობელოში დამკვიდრებული „მომგებული ნეგარების“ პოეტიკური ანაბეჭდი.

პაოლო იაშვილი აქ არ სვამს წერტილს. მან იცის, რომ სისხლისფერებია ტარგაროშის მრისხანება განუზომელია. ქვეყნის მდურება, ცხელი დარებით, მხურვალე ნიაღვრებითა და ცახ მიწვედნილი ცეცხლის ენებით აღძრული, მას ვერ დააოკებს. „სისხლისფერ გველემას ბრამი ემატება...“ შედეგად – „ქალაქში შენიშნეს ჰაერის ანთება“.

ამის შემდეგ განვითარებული მოვლენები ჩვეულებრივი აზროვნების ფარგლებში ვერ თავსდება. ფანტასმაგორიული სურათი, რომელსაც აეგორი ცვათავაზობს, პიკრობოლური ფერებით წარმოგვიდგენს ქვეყნად დატრიალებული ბორიაციის საშინელებას. აბსურდული ყოფა, რომელიც, ლექსის მიხედვით, ქალაქში წითელი ფარშავანგების მოფრენის უმაღლე მკვიდრდება, შედმიწვევით მუსგად შეესატყვისება იმ ყოვლად უაზრო, გამაოგნებელ, შლეჯურ ორგაბას, რომელიც რუსეთის იმპერიის ვრეცლ გერეგორიაზე „დაიდი

რევოლუციის“ კვირამაღზე გაიმართა. ქალაქს წითელი ფარშავანგების წარმომის „მთვრალი განგებით“ ევლინებოდა.

**„მოულოდნელად მდუღარე მშის მთვრალი განგებით“**

**ჰაერი აყვავილდა წითელი ფარშავანგებით“.**

„მთვრალი განგება“ უმენავის – ლეთიური პარმონის დამამკვიდრებლის – საპირისპირო ძალაა. მასთან გონებისმიერ სამღერებში დაუტეველი სიავეა დაკავშირებული. მისი ბოროტი ნებით ეღამიწიდან ქრება სიმშვიდე, სიკეთე, სათნოება და სიყვარული და მათს ადგელს შფოთვა-ფორიაქი, უკეთურობა, განუკითხაობა და სიძულელი იჭერს. წითელი ფარშავანგები ქარგვილისებრ აცვდიბან თეს ცისქვეშეთს და შემზარავი ყვირილით აძრწუნებენ აღამიანებს:

*„ყო მათი მოვლენა წითელი ქარგვილი, იყო მათი ყვირილი მხურვალედ დატეხილი.“*

„მთვრალი განგების“ ხელით დატრიალებული ჯოჯოხეთის მხილველი მკითხველის წინაშე სოლომ-გომორის განადგურების წარმოსახვითი სურათი ცოცხლდება: წითელი ფარშავანგები, რომლებიც ყვითელი ციდან კოიან, ფრთებით მდუღარე სიალენებს აფრქვევენ, „ითიქოს ახლა ამოცივიდნენ გახურებულ ქვაბებდან, რომელმდაც სჩქეფდა რკინა“.

მზრძანებლის ბრმა იარაღად ქვეუღნი, სისხლით გაპოხილ-გალეშიღნი, დამწვარ-დათუთქული ფრთების გკივილით შემღილ-გახელებულნი, ისინი სატიქის მძებნვარებით აწყდებიან მშისქვეშეთს და დაუზოგავად ანადგურებენ ყოველივეს, რაც კი თავიანთი შლეჯური სრბოლის გზაზე წინ გადაელობებათ:

*„და ელავდა მათი განი სისხლით, ითიქოს ვინმე მოსდევდა ფარშავანგებს მშის ხელით.“*

*ცხელ ჰაერის ცისფერ ხორცსა ჰგლეჯდნენ შვარცი ნისკარგებით და ქალაქში მოფრენილი გატივებულ მშის დარღებით,*

*ქუჩებს კუმტად დასქეროდნენ შეპყრობილი რაღაც შიშით და აივსო ეს ქალაქი ხმაურობით და სიციხით“.*

წითელი ფარშავანგების მოფრენით აღძრული ქარგვილი ამოკალიფსური ძალით

აგყვება ქალაქს. სამყაროს ნგრევებანდაგურუბად აღიქმება ის კენესა-ვაება, კვილა-სივილი და შფოთვა-ფორიაქი, რომელიც მზის ფრინველების გამოჩენას მოსდევს. ხეებს ღიწინით სცივება რტოები, სახლებს აღმური ეღება, გრამვაები ყვირილით დაქრიან... მოსალოდნელი კატასტროფით გაგივებულთ პეგანან ცხენები, სვეტებზე მკერდგადახეულნი რომ აწყდებიან კილით კიდეშდის: „ღიწინით სცივიოდნენ ხეების გოტები, აინთნენ სახლები აღმურის მოდებით. ხალხი ირეოდა კენესით და ვაებით, ყვირილით მიქროდნენ ჩქარი გრამვაები, და ფარშავანგები კიოიოდნენ, კიოიოდნენ, მაღალ სახლებიდან კატები სვიოდნენ. და გიჟი ცხენები თვალბახეული მოჩანდნენ სვეტებზე მკერდგადახეული. ოხრავდნენ პაერში მზისგან დეენილეები. სისხლით ეღვარებდნენ ძირს ქვაფენილეები.“ – ასეთია წითელი ფარშავანგების მიერ დამკვიდრებული ამქვეყნიური ჯოჯოხეთის პარაბოლური სურათი.

ღვექსის ფინალში გამჟღავნებული მკვდრული სიჩუმე ავებდითი მომავლის მაუწყებლად აღიქმება. მდუმარება, რომლითაც ცრემლისფერი ორთქლით დაფარული მზურვალე მგეცა და ისიფერ ნისლში გახვეული ველებია მოცული, უარესი მებთაგების მოლოდინს აღბრავს. ხეებზე ჩამომსხდარი დაღლილი მზის ფრინველები ის შემშარავი ვამპირები არიან, სისხლით დამთერალნი, თელემის ნეგარებებს რომ ეძლევიან, რათა გამოფხიზლებულნი, უფრო და უფრო დიადი მსხვერპლის სისხლით გაიღვმონ: „წითელ ქარში ზართა რეკა შემოსმა ყრუ და ჩქარი. ყველა მიშმა გადარეკა, მხოლოდ მკვდართან მოჩანს მკვდარი. ცხელი ორთქლი, ცრემლისფერი, მზურვალე ცას ეფინება, ჩემად არის ყველაფერი, ქალაქს წითლად ეძინება... ვით დაფლეთილი სისხლისფერი, სოველი ჩერები, ხეებზე სხედან დაღვლილი მზის ფრინველები“.

საგანის აღმეგების ამ შემადრწუნებელ სურათში ყველაზე თავზარდამცემი, ყველაზე შემშარავი მაინც ის არის, რომ აღამიანები იძულებულნი არიან, თავიანთ საცხოვრებელთა ფასადები ოქროსად და ძვირფასი ქვევით შეამკონ, თავად კი სისხლით გალოპრიდ, ცხედრებით მოფინილ ქუნებში გამოეფინონ და გულში დაუტყველი „სიხარულის“ ნიშნად საერთო-სახალხო მვიში გამართონ, წი-

თელ-მწვანე ქოლგები და სადღესასწაულო დროშები აფრიალონ:

*„მწვანე და წითელი ქოლგების გრისადღესასწაულო დროშების ფრიალი...“*

ამოკალიფსურ მოტივზე დაწერილი ეს ორი ლექსი („წითელი ხარი“ და „ფარშავანგები ქალაქში“) რევოლუციამდე დაწერილი მათში საოცარი სიმუსტიითაა განჭვრეტილი ის გოგალური უბედურება, რომელიც მოახლოებულ კატაკლიზმებს უნდა მოჰყვეს. გარღუვალი ფსევდობედნიერების სამინელებაც მთელი სიგრძე-სიგანითაა განსახიფთველი.

როცა კბილებდარეცხნილი ურჩხულის თარეში მწარე რეალობად იქცა და ოქროს ჩიგებისაგან ბოძებული შთაგონებით გათანგული პოეტის წინაშე ცოფით სახეგადაღესილი გიგანტის ავი ჩრდილი აღიმართა, მან მთელი ძალისხმევა ამ უღმობულ სტიქიასთან საბრძოლველად მიმართა:

*„თორმეტი წლიდან აბარ მეცილიდნენ ცხოვრებას წილად ოქროს ჩიგები...“*

*თორმეტი წლიდან მე ბრამიან კაცს ვევიღები.“*

ბრამიანი კაცის – ბოროტი დემონის – რისხვის დასაოკებლად შეიქმნა ეს სკრიქონები: „მამ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით ძველი ქვეყანა დახახეხული. შხად არის თოფი! შხად არის ხმალი, მგერს ჩვენ გეყოფით მარგოკბილებით, დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი წითელ რუსეთთან დამძობილებით!“

მაგრამ მისი დაოკება არცთუ ოილი გახლდათ. არადა, ბრამიანი კაცი მაგერიალურ ფასეულობას კი არა (ან კი რა გააჩნდა: „ცოლი და ბავშვი, ძალი და ცოგა ხელნაწერები...“), გულს ითხოვდა მისგან, რათა ნაჭერ-ნაჭერ გაევიდა, და ისიც თავგანწირვით იღეწოდა, რომ ჩარჩებს არ მოეხეტოებიანთ ოქროს შოდის ბადალი მისი გული და „ძვირფას გულთა ბამარზე“ არ გაეგანათ იგი („პოეტი და აღამიანი“).

ბრამიან კაცთან დაზავება სულში ჩაბუდებული ოქროს ჩიგების ხმათა ჩახშობას – გულიდან ამოშკლარი სათქმელის გარკვეულ კალაპოგში მოქვეყნას, ნიაღვარივით მოვარდნილი განცდის დაოკება-დამოშშინებას ნიშნავდა. ეს კი სიკვდილის გოლფახი იყო. არადა მას ერჩია, გიჟის ხალათი ჩაეცვა, თვალისჩინს შელეოდა, ვიდრე სხვის დაკრულზე ბუქ-

ნაობის მწარე ნაყოფი: შთაგონების დაშრე-  
გა, განცდათა გამოყოფა, გრძნობათა და-  
ჩლუნება – მოეყო და ის სიხარული, რომე-  
ლიც შშობელი მიწით ნასაზრდოები, მშობ-  
ლიური წიაღიდან ამოგყორცილი, სისხლ-  
სახეს, „სუხლადი, ბედაური, მადლარი“ სიგყვით  
(გლეონიძე); წრფელი, გულიდან სისხლად  
და არა, ხორცად გამონატანი სგრეიქონით;  
უსიერცო, უნაპირო, უჯებირო ლექსით უნდა  
მინიჭებოდა, სამუდამოდ დაქსამარებინა.

*„გაფრება სჯობს, თუ გათავდა სიგყვის მადანი,  
და თვალთა დათხრა, თუ მშვს ქებით  
ვედარ დახედები,  
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ  
გამონატანი,  
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ ვახლდები“;*  
— წერს პოეტი.

პაოლოს სიგყვით, ადამიანს არ ძალუძს იმ  
ტკივილის მასშტაბების წარმოსახვა, რომელ-  
საც პოეტური შთაგონებით დასწეულეული  
პიროვნება განიცდის. მასთან შედარებით ხანძ-  
რით, ომით, მიწისძვრით, ჭირით გამოწვეუ-  
ლი განსაცდელიც კი უმნიშვნელოა. „არი  
მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი, მიწისძ-  
ვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულეზად,  
მაგრამ არ არის განჯვა უფრო უზარმაზარი,  
როგორც პოეტის შთაგონებით დასწეულება“.

ერთი შეხედვით – სხეების მსგავსი, არაფ-  
რით განსხვავებული, არაფრით გამორჩეუ-  
ლი, არაფრით განსაკუთრებული, გარდა იმი-  
სა, რომ, უბრალოდ, „ეს კაცია ლექსის მწე-  
რალი“, სინამდვილეში დიდად განსხვავდება  
სხვათაგან, რადგან, როცა „სიგყვა კეიაგი“  
სიკვდილივით შემოახურებს, მთელი მისი  
არსება: „სისხლი, აზრი, სული“ – მას ემონება,  
მას ემორჩილება. მასთან ჭიდილში გადის ღამე,  
„მოახლება კარს განთიადი“ და... „აღარ ხარ  
კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოცონება“. და ეს  
ერთი უძილო ღამე, შინაგანი წვით, განჯვით,  
შთაგონებით აღსახეს, მოჯარებული პოეტ-  
ური სახეებით დაყურსული და მრავალთა-  
გან საუკეთესოთა არჩევისა თუ დაწუნებულ-  
თა გაპარგახების მოწმე და თანამონაწილე,  
მოდ წელიწადს გადასწონის, რადგან მის  
წიაღში ერთი კარგი ლექსი იშვება, წმინდა,  
მსუბუქი და პაეროვანი, როგორც კეპულა.

ღამით გადაგანილი ბრძოლა მით უფრო  
გაუსაძლისია, რომ სიგყვასა თუ სახესთან

მორკინალი პოეტი თვალნათლივ ხედავს იქვე  
ჩასაფრებულ საგანას, რომელიც შეხვრეულ  
ჩახმხს უმდება. სიგყვასთან ბრძოლის მტან-  
ჯველ და ამ განჯვით სანეგარო პიროცეს  
სწორედ ამ ურჩხულის შიში აქვედა გაუსაძ-  
ლისად. მისი მოთხოვნა-დაკვეთები აასკე-  
ცებდა გულს მოდებული სახმლის მჭურვალ-  
ებას და გვინი, „დასაქვევი გვინი, ვერანი“  
ულმობლად იჭყლიტებოდა იმავე ფიქრით,  
თუ როგორ შეენიღბა სათქმელი იმგვარად,  
რომ ურჩხულის კლანჭებში არ მოქცეულიყო.  
იმ აზრთან შეგუება კი, რომ შთაგონებით  
დახსნელება აღარ განმეორდებოდა და ეს  
ლექსი უკანასკნელი იქნებოდა, წარმოუდ-  
გენელი იყო, რადგან უშთაგონებოდ დარჩე-  
ნილი პოეტი აზრით, გრძნობით, განცდით  
აღსახეს პიროვნება კი არ არის, არამედ  
მემუერად ჩამომხმარი, სისხლდაშრეგელი  
„ძორი“, რომელიც ყვაფ-ყორნებმა უნდა  
დაწეწ-დაჯიჯნონ:

*„და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,  
მამინ ეს ძორი ყვაფებისთვის ვასატანია“.*

წითელი ურჩხული – რკინის ბაწარმოძარ-  
ჯებული მოღვისმუსკულებიანი გიგანგი (ტ-  
გაბიძე) დატივით მოითხოვდა კუთვნილ  
ხარკს. პოეტიც იძულებული იყო, გულში ჩა-  
მარხული ოქროს მადნის გადასარჩენად სო-  
ციალიზმის „ღაღი მონაპოვრებისათვის“ ემ-  
ღერა: „მოწავ, ახალი დაღით დაგტორეს, მთე-  
ბო, მოგასკენენ რკინის ჯარები, მეუ ვუმღ-  
ერ ველად გაჭრილ ტრაქტორებს და ოქროს  
მადნებს მიეჭქარები“ („პოეტის საქმე“).

– იქ, სულში კი ოქროს ჩიბები ჭიკჭიკებ-  
ნენ და ეს პანგები ისევე ვერ ეტეოდნენ მის  
არსებაში, როგორც დაუღუდარი ალადას-  
ტური – ვიწრო ჭურჭელში:

*„მაინე რად მინდა მეტი დასტური  
გარდა იმისა, რომ დილა მეხნა,  
ვარ როგორც ღვინო ალადასტური  
და მიხარია ფათური ქვეყნად“*

(„როგორც აფრის ტაკუნია“)

ისინი ბადებდნენ ვრცელ, უკიდეგანო ახ-  
პარემზე გაჭრის დაუოკებელ წაღილს, საზღ-  
ვარმიუჩენელ სივრცეში განავარდების დამ-  
თრგუნველ სურვილს და ისიც ნატრობდა, მარ-  
ჯნის მძიმე ჯაჭვის გარებით დაღლილი მაჯა  
ნებაზე მიეშვა, რათა მის პოეტურ კალამს  
ისევე დაუბრკოლებლივ შესძლებოდა ჯა-



ღალღმე ვათარეშება, როგორც შურგის ქარს  
მინდობილი იალქნიანი ნაეი დანაგარდობს  
შვილი, უშუოთელი ზღვის კრიალა მდებარეზე  
**„მინდა სიკეთის თარეში ჩემი ყველამ ნახოს,  
ხევისურების ფარებში, ჩანსქერების ახლოს  
მინდა მიწას მარჩენნაღს ქვირდეს**

**მშვილი ძილი,**

**ჭეუღეს ვაფის განენას მის ამოვლა დღითი  
როგორც აფრის ტკაეუნი, მოვარდნილი  
მღვიდან,**

**ისეთი ვაგკაეური გაქროლებს მინდა“.**

პოეტი არცთუ საგულდაგულოდ დაფარუ-  
ლი სარკამშით აამქარავებდა ბოლშევიკური  
ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ სა-  
მოთხეს, ბენიერებას, ხეაქსა და ბარაქის, სი-  
უხევესა და კეთილდღეობას:

**„მორთმეულია სამყარო გობით,  
მხოლოდ აყლისა ოქროდ დადნობა...“**

კომუნისტის ცამდე აღმართული ხარაჩო-  
ვის სიმგკიყეს კი ასეთი საგირული გაეკე-  
ბით გამოხატავდა:

**„ამართულია სოფელ ქვიშიდან  
ცამდე კრიალა შუშის კედელი...“**

იყოლა, განა არ იყოლა, რომ ქვიშამე  
დაუშენებული შუშის კედელი გამძლეობით  
ბირთვის-სამშვილდის ციხეს ვერ გაუგოლდე-  
ბოდა, მაგრამ ამ „შლაპით ნაგევი“ შენობის  
მესაძირკვლეს მაინც განადიდებდა:

**„და ვრთ დღეს თივის ქიხიდან მოვიდა  
კაცი დაბალი**

**და ცეცხლით და ამბობთია  
დასწვა ქვეყანა დამპალი...**

**ის გამოვიდა ოქროს თივიდან  
და ჩააბარა ხალხს გამარჯვება...“**

რაოდენ სასიხარულო იყო პოეტისათვის  
თივის ქიხიდან გამოსული დაბალი კაცის  
ხოგბა-განდილება, ხელშესახებდა ამოიკითხ-  
ვა მძაფრი ირონიით აღსაკეს სგრიქონებში:

**„სიე მახარებს უბადრეკი კუბის კეთებაე,  
როცა ოსგატი მას უმაგებს მხიარულ  
ფარნას“**

(„მწვერვალებიდან“)

ამიგომ, როცა ურჩხულისაღმი მიძღვნილ  
სახობგო სგრიქონებს წერდა, „გიროლა,  
გიროლა კალამის წვერი, კალამის წვერი -  
ბულბულის ნისკარგი“.

გიროლა და ცოლვათაგან განწმენდას, პირ-  
ველხატის აღდგენას, მშობლის წიაღში დაბ-

რუნებას შთააგონებდა.

ბიწიერების ჭაობში ჩაფლული სულის  
გრაგვლია უდიდესი პოეტური ძალითაა გამ-  
ოელნილი პაოლო იამვილის ლექსში „წერ-  
ილი დედას“ (1918). ნაწარმოების ღირიკუ-  
ლი პერსონაჟი წარმოგიედგება სოფლის სის-  
პეგაკეს მოწვევტილ, ქალაქის მღვრიე ნა-  
კადში მოყოლილ ძე შეეღომილად, რომელ-  
საც უღმობლად ფლეთს უკან დარჩნილი  
სიწმინდის ნოსტალგია. მისი გრაგვლის  
მასშტაბებზე მკაფიოდ მეგყველეს ის უკიდ-  
ვანო ტკივილი, რომლითაც შიული ნაწარ-  
მოებია გაელენილი. ყოველი სგრიქონიდან  
აფორიაქებული, სნებით შეპყრობილი ადამი-  
ანის ჩუმი ქვითინია გადმოდერილი.

ანკარა ცრემლი ბავშვობის დღეებიდან  
იღებს სათავეს, ტკივილით აღტობს სოფლის  
მყუდრო ორღობეებსა და სიმინდის ყანეთ-  
ან დაკავშირებულ მოგონებებს და, ქალაქის  
ბინძური ყოფით შებღალული, კვლავაც ბავშ-  
ვობაში ეძიებს განსაწმენდელს.

ამ წუხილში სამოთხედა კარგული, ყოფი-  
ერების ჭაობში ჩაფლული, ცოდვეებით დამძ-  
იმებული, ამავე დროს გაუნელებული სინანუ-  
ლით შეპყრობილი, მშობლის წიაღში დაბ-  
რუნების სურვილით მოსვენებადაკარგული  
აღამიანის გოდება შეიქნობა, ამიგომაც მისი  
დიამპონი ვერ თავსდება ერთი აღამიანის  
სულიერი ბიოგრაფიის ფარგლებში და კა-  
ცობრიული ტკივილის რანგში განიხილება.

სოფლის იდილის მოგონება ლექსის და-  
საწყისშივე მღვარდალევი აღამიანური წუ-  
ხილით არის მოცული. მკითხველი იმთავითვე  
გრძნობს, რომ მისი მიტოვება გაუსაძლის  
განჯვასთანაა დაკავშირებული, რადგან ის,  
რაც უკან დარჩა, პირველქმნილი სიწმინდი-  
თა და უბიწოებით არის მოსილი. ამრიალე-  
ბული ქალაქისათვის ესოდენ სანაგრელი  
„მყუდრო სამყოფელი“, ბინძური სამიკიგნი-  
ბის ხორხოც გარიღებული, დავიწყებისათვის  
ვერა და ვერ გასამეგებელი ქვითკირის  
მარნები, უყოღველი კუგები და მშობლიური  
მიწის სურნელით გაელენილი სიმინდის  
ყანები - აი, ყოველივე, რაც პოეტის დაკუ-  
წულ-დასაპყარებულ სულს იმ პირველქმნი-  
ლი სიფაქიშისაკენ უბნობს:

**„დაგოვე სოფელი,  
მყუდრო სამყოფელი,**

**ქვიციურის მარნები  
და კატის კნუტები...  
სიმინდის ყანა!**

ამ შეუბღღავე სამყაროს მომზიბულელობა ლექსში ჩვეულებრივი ყოველდღიურობის ხამოსშია გახვეული. „ბნის ვანიავება, კალო და კვერ“ ის საქმანობაა, რომელიც ადამის მოღვმას სასჯელად დაუქვსა შემოქმედმა. და ეს სასჯელი, პირველხაგს დაცილებული ადამიანისათვის ესოდენ მტკივნეული, მის შორეულ შთამომავალს სანაგრულად რომ გახდომია, არის მკაფიო დასტური იმისა, რაოდენ ღრმად შეუგოპავს კაცობრიობას ცოდვის შორევეში.

გახრწნილ-გათახსირებული სამოგალოების დაიქმა ლექსში ქალაქური ყოფის ამსახველი სურათების გაცოცხლებითაა წარმოჩენილი. დარბასიელი, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი ყარაჩოხელის ადგილზე გაქსუბული, დაღლარი, თახსირი, თვალმანკიური და გულხენეში კინგოს დამკვიდრება, შაქიზიანი ვეკაყის დარბასილური, ტკიბილი და შთამბეჭდავი მეტყველების ნაყვლად ხრინწმოკიდებული, ოკრობოკრო, ლამღანდარა და უდიერი კილოს გაბატონება – ასეთია ის სინამდვილე, რომელმაც ძველი თბილისის კოლორიტი შთანთქა და ინგელექტი დაყურსული, სიწმინდისა და სიწრფელის მაძიებული პიროვნება საღახანად გადააქცია:

**„პა, კინგოს პროფილი,  
საეჭვო გარნები,  
და დაიყუნებო  
ქალაქის ქუჩებში მე – საღახანა“.**

მხელაყეული, სიყრუითა და ფლიდობით დაღდასმული ქალაქის სახე ლექსში ერთადერთი მრავლისმეტყველი ფრაზით ხდება ხელშესახებ. სოფელში დარჩენილი „მართალი ბათმანის“ მონაგრება იმის მკაფიო მინიშნებაა, რომ ქალაქში ყოველივე თვალთმაქცობასა და მოკყუებაზე დაფუძნებული, ბათმანი აღარ ბათმანობს, არმინი აღარ არმინობს და, ცხადაა, აღარც კაცი კაცობს. ყველაზე სამინელი, ყველაზე გასახლებული მაინც ის არის, რომ ეს ეულლეტი, ხელმრუში ადამიანები თავიანთ გულფუტობასა და სიყარიელეს ცრულეგანტურობით, ჭრელაჭრულა ყელსახვევებითა და შავი ხელთათმანებით ნიღბავენ:


**„და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,  
როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს  
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი“.**

ლექსის ხაერთო განწყობას ქმნის „გირილი, გირილი, გირილი ბევრი“, რომელიც ქვეყნიური ჯოჯოხეთის დარჯაკში გამოვლილი სულის არჩევანს აქვლენს. საღახანების გარემოცვაში ხანგრძლივად მყოფი, თაქადაც საღახანად ქვეული ღირიკული პერსონაგის სულს ქვეყნიური ბიწი ცრემლმა უნდა ჩამორეცხოს და სულწმიდის მაღლიც ცრემლმა – მწეობრივი კათარმისის უმთავრესმა ნიშანმა – უნდა მოჰფინოს.

მოგვიანებით დაწერილ ლექსში „მეღორის ლოცვა“ პოლო იამილი საღახანებს შორის მოქცევას ღორებში ჩავარდნად მიიჩნევს და წაწყმედისაგან გადარჩენას ცრემლების ყლაპვით შესთხოვს განგებას: „უფალო! უსმინე მავარდენს, მის ხელით გიგზავნი ბარათს. მიმველე ღორებში ჩავარდნილს, ღორებში ჩავარდნილს მარად, როგორც რომ ბურჯაკი პალომე მინდორში ბაწარით აბია, მარგო ვარ, უფალო, დალოცე მეღორე ცრემლების ყლაპია!“

განწმენდის გზად აქაც სინანული, ბავშვობასთან მიბრუნება და პირველყოფილი უმანკობის აღდგენა მიჩნეულია. უფალო! მომეცი სამხარი მაღლივით ამოსულს ცაზე და მენი პერაპე ნახმარი ჩამაყვი ცოდვიან განმემომეცი ბავშვებში ჩარევის და მათთან თამამის ნება. უფალო, მენს გარდა არავის არა აქვს ამის უფლება. ჭიჭრები სამწყემსო ღორებზე ყოველდღე ცრემლებით მსჯიდა. უფალო, გალავნის ორეზე დამნიშნე ბელურა ჩიგად...“

პოლო იამილის „წერილი დედას“ გადარჩენის მაძიებელი სულის მწურვალე დადაღისია. იმედის ხაგად მასში დედა და მისი ტკიბილი იავნანაა დასახული. საოყრად თბილსა და ნათელ განცდას გადასდებს მკითხველს იმ უმანკო, კამკამა დღეების გახსენება, როცა პოეგს პირველი კიბილი ეჭრებოდა და ამის მხილველ დედას სიხარულით ცა ეხსენებოდა. ეს თბილი და ნათელი გრძნობა მით უფრო დიადია, რომ მისი წყარო – დედა და იავნანა – რაღაც სამინელს, შემშარაქსა და მტკივნეულს – თბილისის დატოვებას უპირისპირდება. და ეს თბილისი, წინარე სტროფებში ესოდენ მუქი ფერებით წარმოსახული და გაუცხოებულე კი, მისი დატოვების მოლოდინში ისეთი თბილი და ახლობელი ხდება, როგორც დედა-მშობელი და „ნანა ტკიბილი“. ამდენად, თბილისის დატოვების მოლოდინი



ლექსში ჯოჯოხეთურ განცდად აღიქმება, დედაზე ფიქრი კი ამ ჯოჯოხეთის უპირისპირდება ანუ სასუფეველის ნეგირებას უთანაბრდება:

*„იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ  
დავტოვოთ!*

*მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ,  
იმღეროს მამასთან ის ნანა ტკბილი,  
როცა ვაიხარა, რომ მე მეჭურებოდა  
პირველი კბილი“.*

ასევე კონტრასტის შეგრძნებას ბადებს მომდევნო სტროფი, რომელშიც ერთხელ კიდევ გაიუღეკებს საღაბანური ცხოვრების ირონიული ქვეტექსტი: კაცს, რომელსაც გაღაბნის ყორღზე ბელურა ჩიგად შემოჯდომა ეოცნება, ქურდები რაცხავენ მეგობრად! მას კი, გარეგნულად ამ „მეგობრობის“ შემფერებელს, სოფელში მოსარწყავ ვენახზე ფიქრი არ ასვენებს და ვაზის ფურცლებზე შერჩენილი შაბიამნის მოღანდება ძილში საბანგადახილი ბავშვის სიცივისაგან ჩალურჯებული თვალის უკეებს აგონებს. და ეს მოგონებაც, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დედას უკავშირდება, რადგან ამ შედარების მიღმა აშკარად ისმის თავისად მაყურებელი თვალის დამხმობი და შეიღისად მაყურებელი-თღა ცოცხალი მშობლის შეცხადება:

*„როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,  
სოფელში ვენახი ვახდა მოსარწყავი,  
და ვაზის ფურცლებზე ისე ვალურჯადა  
იქ შაბიამანი,  
ვით თვალის უკე, როცა მე არ მახურავს  
ღამეში საბანი“.*

„წერილი დედას“ XX საუკუნის დასაწყისში, უღმერთობის ხანაში დაიწერა. ეს იყო ხანა, როცა წარსულის – მეოცე საუკუნემდელი, ორმოცსაუკუნოვანი საქართველო მოადგა მეოცეს, „როგორც სულის ხრამს და ფიქრობს, როგორ მიადწიოს მეორე ნაპირს, ოცდამეერთე საუკუნის მარადიულ საქართველოს, რა უკოს ამ ვეებურთულა სიყაროელს – მეოცე საუკუნეს, რომელსაც დაუღია მავნებელი ხახა

და ნთქაეს თაობებს“ (ჯანსუღ ლეინჯილია).

პიაშვილის „წერილი დედას“ საქართველოსა და ქართველთა სულურ გადაარჩენაზე ფიქრით შთაგონებული ნაწარმოებია. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მხსნელის მაძიებელ ხედვას იგი წმინდა ხახულისაკენ მიაპყრობს და გულში აბობოქრებული კორიანტელის დასაცხრობად დედას ღვთისათვის ხანთლის დანთებას შესთხოვს. ამ მსასოებელი ხედვის არეში მშობელთან ერთად ღვთისმშობელიც მოიაზრება, რადგან ხახულთან განუყოფლადაა დაკავშირებული „ღვთისმშობლის მშერა, სახეც ქართული პატიოსნებით“. მკითხველი თითქოს თვალნათლივ ხედავს ქართველ ქალს, რომელიც ფეხშიშველი მიდის ხახულის გაძარში, დაჩოქილი ათევის ღამეს ქალაქში დაკარგული შვილისთვის და მის სიგრძე ხანთელს უნთებს მაცხოვარს, რათა უფალმა თავისი ნახმარი პერანგით შემოსოს და მარადიულ საქართველოში შესვლის ღირსად აქციოს იგი:

*„დედა! ინახულე მენ წმინდა ხახული!  
წადი ფეხშიშველი!  
ქალაქში დაყარულ შვილისთვის ღამე გაათიე  
ღმერთო! აპატიე – მე თუ ვერ მიშველი  
დედას, რომ დავინთოს ჩემ სიგრძე ხანთელი,  
მისთვის, რომ ჩემს გულში*

*დაყუნდეს გრიგალი და კორიანტელი...“*

„წერილი დედას“ ბავშვური უმანკოების სადიდებლად აღვლენილი საგალობელია. მომავლის იდეალად წარსულში დარჩენილი სიყმაწვილის დასახვა არის მონაგრება პირველხატთან მიახლოებისა, რაც ერის მწეობრივი განწმენდის სიმბოლოდ გაიაზრება. ამ რწმენის უმრეგი სათავეა ის წმინდა ხანთელი, რომელსაც ქართველი ქალი შვილის სულიერი გადარჩენისათვის ხახულის გაძარში ანთებს. ამ რწმენის სათავეა ის უმრეგი ნათელიც, რომელსაც ხახულის ღვთისმშობელი თავისი წოდებური ქვეყნის შთამომავალი დიდი ოქროს ჩიგების გადახარჩუნად მოჰყენს.



## „მათი მოწა“

სადავო არ უნდა იყოს – შთაბეჭდილება, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები მის პირველ მკითხველებსა თუ მაყურებლებზე ახდენს, მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული სათქმელისა და ფორმის სიახლით, ე. ი. შთაბეჭდილების ძალას ქმნის არა მხოლოდ მისი მხატვრული ღირსებები, არამედ ორიგინალურობაც შეუძლებელია, დღევანდელმა მკითხველმა განიცადოს ისეთი აღფრთოვანება მსოფლიო ლიტერატურაში დახატული პირველი დეკექტივის, დიუენის, გუნიალობით, როგორსაც გრძნობდნენ ავტორის თანამედროვენი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არაფერი იცოდნენ ვინის დაუწერელი კანონისა, ახლა, შერლოკ ჰოლმისა და მისი ურიცხვი მემკვიდრის წყალობით, აქ სიომად რომ არის ქვეული – დეკექტურ ნაწარმოებში აუცილებელია, გამოძიებელი მკითხველზე ბევრად უფრო გამჭრიახი იყო. (მოგჯერ, როდესაც სრულ სიახლესთან გვაქვს საქმე, ეს ფაქტორი მხატვრულ მხარეზე გაცილებით მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდება ხოლმე. დღეს ვეღარანაირი მხატვრული ძალის კინოეპიზოდი ვეღარ განაცდევინებს პუბლიკას იმ მულევარებას, რომელიც უფლებოდა ლემიერების სეანსების მაყურებლებს ეკრანიდან პირდაპირ მათზე მომავალი მაგარებლის პრიმიტიული კადრების ხილვისას).

იმ შთაბეჭდილების რაობაში გასარკვევად, რომელიც გამოქვეყნებისას მოახდინა „მათი მოწამ“, საჭიროა წარმოვიდგინოთ საქართველოს მაშინდელი ლიტერატურული პეიზაჟი – ფონი, რომელზეც ნაწარმოები გამოიწინა. გვიანი სტალინიზმის ეპოქის ყალბი და უსიციოხლო პროდუქციის შემდეგ, 60-იანი წლების ქართულ მწერლობაში წინა პლანზე წამოვიდა პერსონაჟის ინდივიდუალობა (პიროვნება, ხასიათი) და ესეც კი აღმაფრთოვანებულ სიახლედ იქნა მიჩნეული. მაგრამ რე-

ალიზმი, – უფრო ზუსტად კი ემპირიული სინამდვილის ჩარჩოებში დარჩენის პრინციპი, – ისეც ითვლებოდა ხელოვნების არა მხოლოდ ყველაზე სრულყოფილ, არამედ ერთადერთ შესაძლებელ მეთოდად. უცნობი იყო ნაწარმოებები, რომლებშიც რეალობა დაუფარავად არის სახეცვლილი (კონსტრუირებული ან დეფორმირებული), რომელია საბჭარო დამორებულია ყოფითი სინამდვილისგან და მილიანად ავტორის ჩანაფიქრისა და ფანტაზიის მოთხოვნების მიხედვით არის აგებული. უცნობი იყო საშხრეთაშხრული ლიტერატურის მთელი მათეური კონგინენტი, არ არსებობდა ოთარ ჭილაძის რომანები, ჯერ კიდევ იწერებოდა გურამ დომანაშვილის „სამოსელი პირველი“. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში გამოფხუვებული შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა „მათი მოწამ“, რომლის ქვეყანა და წუთისოფელი თამაშად შორდება ყოფითი დამაჯერებლობის საზღვრებს და რომელშიც, ფაქტობრივად, არ არის ხასიათები, ინდივიდუალობები კი არა, პერსონაჟინილები მოქმედებენ. შთაბეჭდილება მართლაც უწვეულოდ ძლიერი აღმოჩნდა: გადიოდა წლები, ავტორი აღარაფრით ახსენებდა მკითხველებს თავს, მოთხრობა კი ყველას ახსოვდა; მეტიც, ის ერთგვარ ლეგენდადაც კი იქცა. 80-იან წლებში ძნელად მოსაძიებელი „მათი მოწამ“ პროფესიონალ ლიტერატორთაგანაც კი ცოგა ვინმეს თუ პქონდა წაკითხული, რის გამოც ხშირად გამოითქვამდნენ ხოლმე სინანულს, რადგან უკვე დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ამ მცირე მოცულობის ნაწარმოების გარეშე თანამედროვე ქართულ მწერლობაზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეიქმნიდი. და საერთოდ, XX საუკუნეში ძნელია დაასახელო სხვა მოთხრობა, რომელსაც ესოდენ მნიშვნელოვანი და საპაგო ადგილი დაემკვიდრებინოს ავტორისათვის (ახლა მხოლოდ გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის

მზე“ მახსენდება ამ თვალსაზრისით რამდენიმე შესაღარ მოვლენად; და იქნებ კიდევ – გიორგი ბაქანიძის „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“).

„მეათე მოწმეში“ ამბავი, ერთი შეხედვით, სახეებით ჩვეულებრივ სოფელში, საბალახოში, ხდება. თუმცაღა, პირველივე გვერდების წაკითხვის შემდეგ აღვილი შესამჩნევია, რომ ეს არის შეგად უცნაური სოფელი: მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად გულმოდგინედ არის აღწერილი მისი ბალ-ვენახები, შეკები, სახლები მარან-ჭურებითურთ, ბაზრის მოედანი სადალაქოთი და ღუქნით, მოკლედ უხვად არის ელემენტები, რომელთა შემოვლით „ადგილობრივი კოლორიტი“ უნდა შექმნილიყო (პერსონაჟთა ჭარბი დიალექტიკებით დატვირთული მეტყველების ჩათვლით), საბალახო ნამდვილი სოფლის შთაბეჭდილებას შორეულადაც არ გოუვებს. მეტიც, ვფიქრობ, ესაა ყველაზე „არასოფლური“ ტერიტორია ან სივრცე ქართულ მწერლობაში: აღვილი დასანახია, რომ სინამდვილეში საბალახო საზოგადოების, სოციუმის (ან იქნებ, უფრო ფართოდ – სამყაროსა და წუთისოფლის) მიკროსკოპულ მასშტაბებამდე შემცირებულ მოდელს წარმოადგენს – ერთგვარ პოლიგონსა თუ ლაბორატორიას, სადაც ავტორის მიერ შერჩეულ საექსპერიმენტო პირობებში მარადიული საკაცობრიო დრამის კიდევ ერთი ვარიანტი თამაშდება.

ამ მიკროსამყაროში ჩანასახოვანი სახით არის მოცემული ყველა ძირითადი ელემენტი, რომელიც სოციუმს, საზოგადოებრივ წარმონაქმნს ახასიათებს: საბალახოს ჰეავს თავისი მშართველი – დიქტატორების კენ მიდრეკილი სოფლის თავკაცი საველე; აქვს რეპრეზენტებული აპარატი, – რა უწყობს რომ ის ერთადერთი კაცით არის წარმოდგენილი (ამ როლს ჯერ საველეს შემოხველი შაქრო ასრულებს, შემდეგ კი – ყასაბი მიხა); ჰეავს ბელადის მორჩილი მასა; აქვს სექსუალური მიზიდულობის ცენტრი, რომელსაც ქმნის საველეს ღამაში ასული ცირუნია (ე. ი. დაწყებულია საკუთარი მითების შექმნის პროცესი, გარკვეული ამრით, მსგავსი იმისა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში წარმოქმნის სპორტის, კინოსა და ესტრადის ვარსკვ-

ლავებს და, საერთოდ, ყველა ნაირსახეობის სახალხო კერაებს); ბოლოს კე მის რეჟისურა დება ირაციონალური საწყისი გეგმი გაფარდნილი ჯანიკოს სახით, რომელიც ღამის წარმართული ღვთაების ძალას იძენს.

სიუჟეტური კვანძის შეკერა უაღრესად მახვილგონიერულია: თანასოფელთა შელაპარაკებას ათი კაცი დაესწრო. ცხრა მოწმე ყველას ახსოვს, მეათე – არავის. რომელიც ისეთ არარაობას წარმოადგენდა, რომ მის არსებობას ვერაინ ამჩნევდა, „არარაობა“ (სწორედ ის ჯანიკო, სულ მალე სამიმ და შეუცნობელ ძალად რომ მოვევლინა სოფელს) აჯანყდა და საკუთარი არსებობის დამტკიცება გადაწყვიტა.

ოღონდ ამგვარ სიუჟეტურ კვანძსა და მოთხრობის შემდგომ განვითარებას შორის ძნელად შესამჩნევი წინააღმდეგობა არის დაფარული. დასაწყისი ქმნის შინაარსობრივ კალაპოგს, რომელშიც „არარაობის“ პიროვნებად ქცევის პროცესი უნდა განვითარდეს, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება, მეტიც – მოთხრობაში არსად ჩანს მთავარი გმირის პიროვნება. ვიდრე უწყინარი, მაგრამ სრულიად უფერული ჯანიკო ჯერ კიდევ სოფელშია, ის მართლაც თითქმის არარაობაა და ჯერ კიდევ არ არის პიროვნება; როგორც კი იგი სოფელს დატოვებს და უღრანით დაფარულ მთას შეჟარებს თავს, მაშინვე სტიქიურ ძალას იძენს და უკვე აღარ არის პიროვნება.

კონგრასტი სოფელში მყოფსა და გეგმი გატორილ მეათე მოწმეს შორის მართლაც მეგისმეგად ღიღია. დღისით, ვიდრე გეგს მისცემდეს თავს, ჯანიკო სიცხით გათანგულ სოფელში დაუხეგება, აწუხებს განზე მოსხმული ნაბადი, რომელიც ბეჭებთან ოფლით იფლინდება და მძიმდება, ძლივს მიათრევს ფეხებს, თავკაცთან შელაპარაკებისას გაჭირვებით მოახერხებს რაღაც გაუგებარი ჩაბუტბუტოს... უფსკრულია გაწოლილი ამ უფხო გლეხსა და იმ ფოლადის ადამიანს (ჯერ კიდევ ადამიანს) შორის, რომლისთვისაც უცხოა ფიზიკური უძლეულება და ყოყმანი და რომელიც იმავე ღამით მთიდან იღრიალებს: „თუ აქ გინი ნადირს ქე მიხვდება და მომერიდება... სულ მიშველი ხელით დავგლეჯ ამ საყოდავებს!“ ეს დაუჯერებელი მეგამორ-

ფომა ჯანიკოს სულში ნაგროვები ბოლოით არის რამდენადმე მოგვირეპული, ამ სასოწარკვეთით სახეს დღეებით, როცა სახლკარი თავზე ენგრეოდა, მას კი თითი არ გაუნძრევია ოჯახის გადასარჩენად. მაგრამ რაც ამის შემდეგ ხდება უკვე აღარანაირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს არ ექვემდებარება – ამბოხებული უკერგილო გლეხი იძენს ზეადამიანურ ძალას. მის ნებას ემორჩილება ცეცხლი, პაერი და წყალი – შთაბე დათებული ხანძარი, ქარისა და წვიმის დახმარებით, ფერდობზე მუსკად ამომანთავს ღარს, რომელშიც შემდეგ ჯანიკო ლოდებს აგორებს; ემორჩილება უსიცოცხლო მაგურია – მთიდან დაგორებული ლოდები აშკარად მისი სურვილით მოძრაობს (ეს ნამდვილად არ არის კარგი დამიზნება) და ანადგურებს სახლებს, მარბაზანს, ხიდს (ზოგჯერ ერთდროულად რამდენსამე სამიზნეს); ემორჩილება ცხოველები – დათევბი ხეასტავს მიერეკებიან, ხარები დუქანსად ალაქოს რქებით მიანგრ-მოანგრევენ.

ასე რომ, სოფლიდან გასვლისთანავე მთავარი გმირი ქრება მოთხრობიდან როგორც ადამიანი, ინდივიდუალობა და იქვეა სტიქიონია შეუვედ, სოფლისადმი მგრულად განწყობილ უღრანისა თუ კლდელოდის დეთაებად, რომლის მოქმედებაში კანონზომიერების აღმოჩენა უნდა მოახერხო (ლოდები, რაგომდაც, ორ თევში ერთხელ გორდება), რათა მისი ნეიგრალიზება სცადო. ამის შემდეგ კვლევის ობიექტი ხდება უკვე საბალახო, როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი მოვლეი.

ცხოვრობდა სოფელი; ჰყავდა თავკაცი, რომელსაც ხალხი საკუთარი ნებით ეშახურებოდა და რომლის გადაწყვეტილებებსაც უსიგყვოდ ემორჩილებოდა; არ აკლდა სასმელ-საჭმელი; ქიონდა გასართობი (თავკაცის ყოველდღიური საუბრები ბაშრის მოედანზე, ხოლო წელიწადში ერთხელ – დიდი ბაშრობა თეატრალური წარმოდგენითურთ). მოკლედ, შექმნილი იყო გარეგნულად საკმაოდ მყარი საზოგადოებრივი წონასწორობა, რომელიც გამოცდის წინაშე დადგა, როდესაც ამ საზოგადოების ყველაზე უწინარი და უმაქნისი წევრი გყეში გაიჭრა და საბალახ-

ოს ლოდები დაუშინა.

როგორ უპასუხა საზოგადოებამ ამ ცამთვრელს, რა თვისებები გამოამჟღავნა? უსიგყვდ შემთხვევაში, ღირსების მსგავსი არაფერი. სოფელმა ჯერ დაეინფითა და გინებით სცადა ამბოხებულის დამინება; მერე მარბაზნის ჭურვებით მოუნდომა დამომშინება; შემდეგ ჯანიკოს ინგელექტუალური მოსპობა (წიგნების მეშვეობით მისი არარსებობის დამტკიცება) სურდა; მერე სახლკარის დანგრევითა და ნაცოლარის სხვისთვის მიტოვებით დასაჯა; შემდეგ დანგრეული სახლის ნაცვლად ახალი ოდა აუშენა და ნაცოლარი შინ მიუბრუნა; და ბოლოს, ამითაც რომ ვერაფერი გააწყო, გადაწყვიტა, ურცხვად და უპირობოდ დანებებოდა დამანგრეველ ძალას: მის ახალ სახლში სოფლის უღამაშეხი ქალიშვილი ცირუნია შეასახლა და შევედრა უსახურ გლეხს, დაუფლებოდა ქალსაც და მთელ სოფელსაც: „გვიჩქნია შენთვის, ჯანიკო, აგი სოფელი, რაფერც გინდა, ისე შეიმარე ძამა... ჩვენ ქე ვიცხოვრებთ მდინარის გადაღმა კარებში... ახალი ოდა კი გაქ, საჭმელ-სასმელს უღვევად მოგართმევთ... სულ არ შეგაწუხებთ საბალახოელები!... თუ შეგვირიგებ ოდესმე, ხომ კაი, არადა რაფერც ბრძანებ, ისე იქნება!... ჩაიხუტე ეშხიანი ცირუნია... იმეფე საბალახოში!“

პასუხად კი ცივი უარი მიიღო: „არ მინდა მე თქვენნი სოფელი!“

რას მოგვაგონებს ქართული გრადიციიდან და მსოფლიო კულტურული კონტექსტიდან ადამიანური ბუნებისა და საზოგადოების ეს შეულამაშებელი და უმეღაეთი სურათი?

გრადიციიდან, უწინარეს ყოვლისა, უნივერსალური (მარადიული და მოგაღსაკაციობრივი) ყვარყვარე გაგახსენდება. საერთო ნიშნები ყასაბ მისხასთან არის განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოდგენილი, მაგრამ, არსებითად, იგივე თქმის ყველა სხვა სოფელზეც (შეიძლება ითქვას, აქ დახატულია ერთგვარი კოლექტიური ყვარყვარე). მოთხრობის დასაწყისში სოფლის ერთადერთი კუთილ ადამიანად დახასიათებული მისა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, ჩაფარი ხდება და გყიურ კერპს ვედრებით მიმართავს: „თქვი ჯანიკო ერთი სიტყვა!... რომელი საბალახოე-

ლი გინდა ჩავსვა ჭურში?..“ აქედან ერთი ნაბიჯი კი არ არის დარჩენილი ჯალათობამდე. ვიდრე ჭურშია დაკეცილებული, მისა უსუსურობის და უთავმოყვარეობის განსახიერებად არის ქცეული, საკმარისია ჭურიდან ამოიყვანონ და მოხა ჩააცვან, მაშინვე ვერცხლის ქამარ-ხანჯალს მოითხოვს და ცირუნიასთან აღერსს მოინდომებს, ხოლო როცა ქალი დოქს შეაღწავს გუჩებში, თავისი ნებით ამბობს უარს უკვე მიღებულ ქამარ-ხანჯალზე, მოთხრობის ბოლოს კი ჯანიკოს ემუდარება დაეუფლოს გემრიელ ცირუნიას. ასეთივეა სოფელეთა მასაც, რომელიც ჯერ მონურად ემორჩილება თავკაცი სავლეს ყოველ სიტყვას, მერე კი სახლ-კარს გაუპარტახებს მას, კოჭლ დათიკოს ჯერ ჯანიკოს ნაიკლარს მიათხოვებს, მერე კი მეორე ფეხითაც დააკოჭლებს მას.

მოთხრობის ფინალში ჯანიკო უკვალოდ ქრება. და უცნაური ის არის, რომ საბალახოს, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ამ გამაპარტახებელი ძალის თავიდან მოშორებაზე ოცნებობდა, მოენატრება იგი. ჯანიკო მონატრება არა მხოლოდ ყასაბ მიხას, რომელსაც ადრე რაღაც მეგობრობის შტაგისი აკავშირებდა მასთან, არამედ (და ეს მნიშვნელოვანია!) მის მიერ ყველაზე მეტად გაუბედურებულ დალაქ გაბოსაც, რომელსაც რამდენჯერმე დაუნგრია ლოდით სახლი. „მამიკია ჯანიკო, სოფელეებს შენთან საუბარი მოგვინდა!“ – ყვირის გაბო მას შემდეგ, რაც მიხასთან ერთად უკონოდ დათურება და გაღვნილები საკუთარი ხელით მიან-

გრევენ დუქანს – დაღხენილი ცხოვრებისა და კეთილდღეობის სიმბოლოებს, რომელზემე ძვირფასი ადრე არაფერი ეგულეობდათ.

რატომ ენატრება საბალახოს ჯანიკო, რომელიც, ეს ცხადზე უცხადესია, ვერანაირ სიკეთესა და სიხარულს ვერ მოუგანს სოფელს? რა შეიძლება ასეთ ადამიანებს ენატრებოდეთ მშვიდი ცხოვრებისა და მძაბარი ჭამა-სმის გარდა? როგორც ჩანს, ვერც ინდივიდი და ვერც მასა ვერ უძლებს ხანგრძლივ ჩაფლობას მხოლოდ ხორციელი მოთხოვნებისა და სურვილების წყვდიადში, მათთვის აუცილებელი ირაციონალური საწყისი და როცა ცნობიერებაში უზენაესი (აბსოლუტი) მოკლულია, მისი ადგილი ყველაზე ურგებმა და უნაყოფო ძალამაც კი შეიძლება დაიკავოს, საკმარისია ის იყოს სამიში და აუხსნელი.

და სწორედ აქ შეიძლება გამოგვადგეს გარკვეული მინიშნება ეპოქის მხოლოდ კულტურულ კონტექსტზე (ცხადია, აქ იგულისხმება არა რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების უშუალო გავლენა, არამედ ორიგინალური და, საეარაულო, მეტწილად თითქმის გაუცნობიერებელი გამომხატველობის სულისკვეთებაზე: მამ ასე, ხომ არ არის ჯანიკოს მონატრება ერთგვარი „ფოდოს (პატარა, კნინი ლმურთის, „მამიკია“ ლთაების) შილოდინი“, წყურვილი თუნდაც ასეთი კარიკატურული სახით დასრულდეს „მარტოობის (წაიკითხე უღმერთობის, ღვთის გარეშე ცხოვრების) ასი წელი“. თუ მოთხრობის ფინალს ამ თვალთ შევხვდებით, ღამის გრატიკულ ელვადობას შეიძენს „ღვთაების“ პასუხი: „არ მინდა მე თქვენი სოფელი! აფერი აღარ მინდა!“



## მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“

1926 წლის „მნათობის“ პირველ ნომერში მიხეილ ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა რომანი – „თეთრი საყელო“. ნაწარმოებმა კრიტიკოსთა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მათი ერთი ნაწილი თვლიდა, რომ რომანში დაპირისპირებულია მთა და ბარი, პრიმიტივი და ცივილიზაცია. ავტორი კი ამ ცივილიზაციიდან განდგომას ქადაგებს. რომანში აშკარაა რუსოსეული ელემენტები. რაც შეეხება ელიზბარს, იგი სულიერად გამოყოფილი პიროვნებაა, რომელიც ერთგვარ მსგავსებასაც კი ამჟღავნებს თეიმურაზ ხევისთავთან.

კრიტიკოსთა მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი კი არ უპირისპირებს, არამედ უდარებს ერთმანეთს მთასა და ბარს და საბოლოოდ გამარჯვებას ცივილიზაციას, პროგრესს ანიჭებს. ხოლო, რაც შეეხება რომანის მთავარ გმირს, იგი სამოგადოების აქტიური წევრია და მისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა.

მართლაც, პრიმიტივისა და ცივილიზაციის შედარება-დაპირისპირების უარყოფა ნაწარმოებში შეუძლებელია, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არის ერთგვარი დამხმარე თემა, მასალა მწერლისათვის მთავარის სათქმელად, პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემა კი ასეთია: რა გზას უნდა დაადგეს ქართველი ინტელიგენტი ახალ პოლიტიკურ სინამდვილეში? ალუდგეს წინ, როგორც თეიმურაზ ხევისთავი და გარდუვალად დაიღუოს, თუ გაქცეს ჯურხაანთკარში და იქაურ იდილიას მისცეს თავი, როგორც ეს ელიზბარმა გააკეთა ერთი პერიოდი? მიხეილ ჯავახიშვილისათვის ორივე ეს გზა მიუღებელია.

სწორედ მესამე, მსხნელი გზის ძიებაა „თეთრი საყელო“. ინტელიგენტის ადგილი „წითელ“ საქართველოში, მისი მოქალაქეობრივი დანიშნულება და მიზანი – აი, რომანში წამოჭრილი მთავარი პრობლემა, ან შედარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. ჯავახიშვილისათვის არც ეს თემა – ცივილიზაციისა და პრი-

მიტივის დაპირისპირება – არის უცხო. მხედველობაში გვაქვს მოთხრობა „მდედარი“, სადაც ნაჩვენებია, როგორ მარცხდება 13 წლის ბიჭი სოფელში პირველად შესულ ავტომანქანასთან სირბილში შეჯიბრის დროს. ეს ალუგორიაა პრიმიტივისა და ცივილიზაციის შორის შეჯიბრისა, სადაც ცივილიზაცია იმარჯვებს.

ამრიგად, მ. ჯავახიშვილი თავის ადრინდელ მოთხრობაში შეეხო პრიმიტივისა და ცივილიზაციის საკითხს, მაგრამ ამ საკითხის გადასაჭრელად პაგარა მოთხრობაც საკმარისად მიიჩნია.

უფიქრობთ, ხავსებით მართალია გ. ნაგროშვილი, როცა წერს, რომ „ისეთ ჰკვიან მწერალს, როგორც იყო მ. ჯავახიშვილი, არ შეიძლებოდა ცივილიზაციისა და სიბნელის დაპირისპირების პრობლემა წამოეჭრა“ (1.107).

აქ, შეიძლება შემოგვეღაონ და თვით მ. ჯავახიშვილის სიტყვები გაგვახსენონ: „თემატიკურად „თეთრი საყელოში“ ახალი არაფერია. ეს თემა – ქალაქიდან გაქცევა და პრიმიტივისა და კულტურის დაპირისპირება – რუსოს, პანსუნს, კლერმანს და სხვა მწერლებსაც გამოუცნებიათ. მე იმით განესხვავებდი მათგან, რომ გმირი ისევე ქალაქში დაეაბრუნე, ე. ი. კარნაქცილობა დაეგე და გამარჯვება კულტურას მიეკუთვნე!“ (2.206) – წერდა ჯავახიშვილი ვლიან ბაზგაძეს.

ამ შემთხვევაშიც გ. ნაგროშვილის გამოხატულებაში მოვიშველიებთ, რომელიც აღნიშნავს, რომ „მწერალი“ ოპონენტების საპასუხოდ გამოთქმულ აზრში რომანის არსებით მხარეს არ ეხება, აქ იგი რომანის ფორმას უნდა გულისხმობდეს და იმასაც მხოლოდ იმიტომ, რომ კრიტიკოსების სიჯიუტე გატყობს, თორემ ავტორზე უკეთესად ვის შეეძლო რომანის პათოსის განსაზღვრა!“ (1.104).

ეს რომ მართლაც ასეა, ამაში ისევე და ისევე მ. ჯავახიშვილი გვარწმუნებს.

„მე ვეძებ პროგრამულ რომანს, – წერდა იგი, – „ჯაყოსა“ და „თეთრი საყელოს“ შორის არც იმდენი განსხვავებაა, თქვენ რომ გგონიათ,

თემამ დაბადა ეს განსხვავება“ (2.205).

მ. ჯავახიშვილის შემოთ მოყვანილი სიგ-  
ყვების არასწორ ინტერპრეტაციად უნდა ჩაი-  
თვალოს ის გარემოება, რომ მოციგურთი ჩე-  
ნი კრიტიკოსი მსგავსებას პოულობს თეიმუ-  
რამ ხევისთავსა და ელიზბარს შორის. ჩვენი  
ამრთი, ამგვარი პარალელის გავლება არ  
არის სწორი. ისინი არათუ ჰგვანან ერთმან-  
ეთს, საყვებით განსხვავდებიან. თეიმურამ  
ხევისთავი, „რომელსაც მომავლად თვალწინ  
მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული,  
ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა,  
წარსულში ჰქონდა დარჩენილი“ (3.234), ხე-  
ვისთავი, რომელიც როგორც კი ცხოვრებას  
მისცავე მოქმედებას ითხოვს, უკან იხევს და  
ძალადობას მორჩილდება, ელიზბარისაგან  
სრულიად განსხვავებული პიროვნებაა.

არ იქნებოდა სწორი, იმისათვის, რომ ეს  
განსხვავება გვეჩვენებინა, „ელიზბარი საზოგა-  
დოების აქტიურ წევრად“ (4.372) დაგვესახა.  
„თეთრი საყელოს“ მთავარ პერსონაჟს არ  
ჰქონდა არავითარი შეღამაზება და გმირის  
რადიკალური მოდელის შექმნა, მითუმეტეს,  
რომ თავად მწერალი არ „ინდობს“ მას,  
გვიჩვენებს ელიზბარის შეცდომებს, მერყეობას.  
ეს ბუნებრივია. ეროვნულ ფასეულობებზე  
აღმრთელი კაცისათვის, ძნელი იყო მიღება და  
გაგება ყოველივე იმისა, რაც იმ დროს ხდე-  
ბოდა. საქართველოში „წითელი უმპას“ ბობო-  
ქრობის ხანა იდგა. აქედან, ის დაბნეულობა  
და მოგვარ, სულიერი გაორება, რომელიც  
თავდაპირველად რომანის გმირს ეუფლება.

მამ, საიდან გამოდის მწერალი, როცა  
„ჯაყოს ხიზნებისა“ და „თეთრი საყელოს“  
მსგავსებაზე ლაპარაკობს? პასუხი ნათელია:  
ინტელიგენციის ფუნქციისა და როლის საკითხ-  
ის ახალ პოლიტიკურ ვითარებაში. სწორედ  
ესაა უმთავრესი პრობლემა ორივე ნაწარ-  
მოებში, სწორედ ის ანათესავებს კიდევ მათ.  
მიყვებით რომანის ფურცლებს.

თუ „ჯაყოს ხიზნებში“ ავტორი პირველ-  
სავე გვერდზე იწყებს მთავრი გმირის სახის  
გახსნას და ისეთი შტრიხებით გვიხსნათებს  
მას, რომ მკითხველს ნაწარმოების დასაწყისი-  
დანვე სრული წარმოდგენა ექმნება ხევის-  
თავის პიროვნებაზე, „თეთრი საყელოში“ გმი-  
რის სასიათი თანდათან იხსნება

რომანის პირველივე თავში ჩნდება ელიზ-  
ბარი, რომელსაც კეთილშობილური მისია  
ამორჩავენ: „საქართველოს სპილენძი  
აღარა აქვს, - თქვი და გადავწყვიტე - უნდა

ვიპოვნო“ (5.445) - და ელიზბარმა და მისმა  
მეგზურმა კაკასიონის თეთრი ნაბჭებმსგავრ-  
დაძრეს ცხენები, სადაც „ყველანაღარა“  
ლივე მლაპრისა და ლეგენდის ბაღით შეხაფ-  
სულა: დიდი ბუჩქის ძირში ბუნდოვანი მითი  
ფუსუსებს, ჰიგალო კლდეზე რაინდული არა-  
კია გაკრული, ხოლო გარანდულ ხეებსა და  
გალიკულ ქვებზე განგიანი ლურსმანით გა-  
ლექსილი ეპოსია ამოჭრილი“ (5.448).

ელიზბარს და მის მეგზურს გზა დაებნე-  
ვათ და ორი დღის ხეგიალის შემდეგ ერთ  
მიყრუებულ სოფელს მიაღებინა. აი, როგორ  
აღწერს იქაურობას თავად ელიზბარი:

„უკეთ მხუთე თუ მათი საუკუნეში გა-  
დავსახლდი. იქვე - გაუთლელი ლოდებისა-  
გან ასხულებული, საქათმისოდენა ნიმი.  
გვერდით - დაფლეთილი ბაერაყი - საეკ-  
ლესიო და საომარი დროშა, ახოვანი, ასი  
წლის მედროში, იგივე დეკანოში, იგივე ხე-  
ვისებერი. დროშისა და დეკანოშის წინ -  
ოციოდე ლანდი ეამთა წარსულთა, შეჭვილი  
ჩაფხუგებით, პერანგებით, სამკლავებით,  
სამუხლებით, მრგვალი ფარებით, აღღზე  
უგრძესი ღამნებით, ადლიანი საგვერებით,  
ბუნგრძელი შუბებით, დალურსმული კო-  
მლებით და ბუნმოკლე სათხედებით“ (5.451).

ნათელია, რომ ელიზბარი სრულიად შემ-  
თხვევით (იმის გამო, რომ გზა დაებნა), მოხ-  
ედა რუსოს სამყაროში და ამ გარემოებით,  
ეფიქრობთ, ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ  
ელიზბარს არავითარი წინასწარგანზრახული  
გეგმა არ ჰქონია შემუშავებული, რომ ცივი-  
ლიზაციას გასცლოდა და პირველყოფილ ცხო-  
ვრებას დაბრუნებოდა.

აქ, ამ ღმერთისაგან და ხალხისაგან მივიწყ-  
ბულ სოფელში ელიზბარი ხვდება ჯურხას,  
რომელიც სიყმაწვილეში ქალაქში გაიხრო და  
ნამდვილი ძმობა გაუწია ვიზნაშის დამთავრების  
შემდეგ ელიზბარი რუსეთში გაემგზავრა სწავ-  
ლის გასაგრძელებლად. უკან რომ დაბრუნდა,  
ჯურხა ვეღარსად იპოვა. გავიდა წლები და  
ძმადნაყოფები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

ჯურხა ეუბნებოდა ელიზბარს (მთაში ვაჟიკად  
მონათლულს), რომ მათთან დარჩეს. და აი, აქ  
პირველად ჩნდება სიგყეები, რომლითაც იწყ-  
ება გმირის სახის გახსნა: „რა ადვილად მიაგ-  
ნო ჩემი სულის გაფხრევილ კუთხეს!“ (5.489)  
შემდეგ კი ვისმენთ მონოლოგს, რომელიც  
ელიზბარის სულიერ დრამაზე მივითითებს:

„ბედისაგან მოთვლილი და ნაბუთთადი  
ვარ. ცხოვრებამ გამოეფიგა, მომქანია და ფუ-

ღურო მყო. რაც შეიძლება და ვინც მყავდა, თითქმის ყველანი დაეკარგა: მამა, ძმა და სამიოდე ნათესავი, მამა-პაპების მონაგარი და უკანასკნელი თავმუსაფარი, სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცე. ყოველივე შეიძლება და აღარაფერი არ შეიძლება. სული დამიყარიელა და ვერაფრით ვეღარ ავაფეს. ამიგომ იყო, რომ ჩემი განიც და სულიც წიფლის ქვეშ ასე უკბად ვალხვა და ვაინაბა. ისეთი საამური ბანგით ვარ გავლენილი, რომ უძრავად თუნდ ერთ წელიწადს ვაგვლებ, თუნდა სამუდამოდ დაეღერებო. ჩემი გუშანი ძალდაგანებას, ან საპატივებულ საბაბს ელოდებო“ (5489).

ელიშბარის „აღსარებიდან“ ვიგებთ, რომ იგი სოციალურად თავადაზნაურთა წრეს ეკუთვნის. მოხდა რევოლუცია და მან ყველა და ყველაფერი დაკარგა: მამა, ძმა, ქონება და რაც მთავარია, „სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცე“. სხვა სიტყვებით, ელიშბარი ღერუ-სიაშია. მიზეზიც საყვებით ნათლადაა მინიშნებული რომანში: საქართველოში დამკვიდრებული ახალი სოციალურ-პოლიტიკური გარემო, „წითელი ეშმას“ სახელწოდებით რომაა მონათლული მწერლის მიერ.

მართალია, ელიშბარი თვითურად ხევისთავივით წინ არ აღდგომია ახალ ქვეყანას, პირიქით, მუშაობს, პროფესიით გეოლოგია და ხალხისთვის სასარგებლო საქმეს ეწევა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ „რევოლუციის“ შემდეგ ელიშბარის სული გაბზარულია და ვერ ეგუება არსებულ სინამდვილეს. იგი ვერაზოდეს იქნებოდა იმ იდეოლოგიის გამზიარებელი, რომელიც აკარგვინებდა პიროვნებას საკუთარი ღირსების გრძობას, სწყვევდა მას ეროვნულ ძირებს. ამიგომაც არის, რომ სამუველად ისე მშობლიურ მიწას მიმართავს, მიწას, სადაც ჯერ არ დადგმულა „უცხო კაცის“ ფეხი, სადაც ჯერ კიდევ ხელმუხებეულია მამა-პაპთა წეს-ჩვეულებები, შეურყენულია ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალები.

იყო კიდევ ერთი მომენტი, რომელმაც არცთუ ისე უკანასკნელი როლი ითამაშა ელიშბარის სულიერი დრამის გამწვავებაში. ეს იყო მისი დაქორწინება. თუმცა, სჯობს თავად ელიშბარს დავევდეთ ყური:

„ჩემს სიცოცხლეში ისე იოლად და შემთხვევით არაფერი არ მომხდარა, როგორც ჩემი დაოჯახება მოხდა:

– ცუქია, – ვუთხარი ერთხელ ჩემს საქმის მწარმოებელს, სამი საათი რომ შესრულდა, – სადილად გაგაგიჟებ. პატივი დამდე, ქალო.

– ხად? – უმაღლე მკითხა ცუქიამ.  
 – ორთაჭალის ბაღებში, ან თეთრ დაქვანებში  
 – „ნად კუროი“-ში წავიდეთ. ბიზნესი  
 – წავიდეთ.  
 ერთი საათის შემდეგ შებრუნული ცუქია მუხლებზე მისი, პაპიროსის აბოლებს და ღიინებს: ჩემი გული შენ მოგიკლავს  
 ნა-ა-ნა,  
 სხვისი ვავთხარებია,  
 ნა-ა-ნა“.

... ერთი საათის შემდეგ ჩემი სტუმარი ევლემი ამყავს და ეუბნებო:

– ცუქი, ჩაი ჩვენსას დაელოთ. ჩემი დეიდა მაიკო სოფელში წავიდა.

... ორი საათის შემდეგ ხელახლად ჩამუვლი ცუქია აწვილ თმას ისწორებს და სარკეს ეუბნებო:

– ელიშ (ჩემი სახელი ელიშბარ ლოგინში გადააკეთა, – ელიშ, როდის ჩამოვა დეიდა-შენი? – სამ დღეში აქ იქნება.

– საქმე მანაღლ უნდა გათავაზოთ, თორემ“ (5487) ასე „გააბედნიერა“ ცუქიამ ელიშბარი და რამდენიმე დღეში „ცხოვრება შეაძულა თავის ქმარს ქალთა ემანსიპაციის უკულმართი გაგვით: ყოველგვარი ვალდებულება „დიდსულოვნად“ ელიშბარს დაუთმო, ხოლო მთელი უფლებები თვითონ დაისაკუთრა.

ცუქია დიდიდან საღამომდე კრებებზე დარბის, პირზე მხოლოდ „რაენოპრაიე“ აკერია და ამ „რაენოპრაიეს“ განსოცილებას ქალის ყველა მოვალეობის იგნორირებაში ხედავს.

„ღუღეარი, ბანგი უკდრისი, აბჯი, კრამა, ჭეხი და ფლიდი – აი ჭარული სურათი ცუქიასი“ (5451).

იბაღება კითხვა: რაგომ ითმენს ამდენს ელიშბარი? რაგომ არ ვააღლებს ცუქიას? აქაც პასუხი მხოლოდ დროის ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ვაიყვს: შეიძლებოდა არასწორად ვაგვით „ყოფილთა“ კლასის წარმომადგენლის ამგვარი (თუმცა საყვებით სამართლიანი) დამოკიდებულება პროლეტარული რიგებიდან გამოსული ქალისადმი და ელიშბარი ერთ მშენიერ დღეს „კონგრევიოლუციონერადაც“ კი მოენათლათ (6.55).

ნათელია, რომ ცუქია იმ მახინჯი დროის სახე-სიმბოლოა, რომელმაც ელიშბარს უბედა ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ მისი იდეალები მისივე მემოქმედებაში ამგვარ სახე-სიმბოლოებს არაერთხელ ვხვდებით. თუმცა, გარკვეულწილად სახეცვლილთ: თუკი პირველ რომანში იგი ბანჯგელიანი ჯაყოს

სახით გვევლინება, „თეთრ საყელოში“ იგი უკვე კონტაქტურა ცუქციას სახეს იღებს. „გივი შადურში“ მას გამოძიებული აფთარი იმე პევი, ხოლო მწერლის უკანასკნელ რომანში („ქალის გერთი“) უკვე მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი ავმაროვისა და გურგენიძის სახეებით.

მართალია, ყველა შემოსხნებული პერსონაჟი დროის პროდუქტია და იგივე დრო მოუღებს მათ ბოლოს, მაგრამ დროის ამ მონაკვეთში იღუპება ამაღლებული და იმარჯვებს მხეყერი. ამიგომაც ილაშქრებს მიხეილ ჯაფახიშვილი ასეთი თავგანწირვით ამ ზორთგების წინააღმდეგ და თანამემამულეებს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს.

დავუბრუნდეთ რომანის მთავარ გმირს. ელიზბარი თანდათან გაწიკლაურდა. წვერი მოუშვა, მისი საუარესლით ხათუთა ერთობა, კბილის საწმენდით კი ჯურხა აბჯარ-საჭურველს ჰფერავს. საპნის ფერიც კი დააფიწყდა. მის მაგივრად სიკვამლის ხმარობს. „ყალიფანი“ ჯურხასავით საყელოში აქვს ჩარჭობილი, ხოლო, როცა „ყალიფანი“ მოსწყინდება, ქალაქიდან წამოდებულ ჰუგეს სახელმძღვანელოდან ფურცელს ხეხს, შიგ თოუუნს ახვევს და პასიროსს ეწევა. ქალაქურ-ლიცერატორული სიგვებით თანდათან ეკარგება, სამაგიეროდ ჯურხა „ნამდვილ ქართულს“ ასწავლის, საქმიანობაც „მაკაკური“ გაიზინა: „აბჯარ-საჭურველის წმენდა, ნადირობა, შუღლი, ოში, საშხადისი, ყალიფანი, ლექსის გამოჭრა, ლული, ღრეობა, ფარიკაობა.“ (5516).

ელიზბარი სახესებით ემყოფილია ამგვარი ცხოვრებით. მისი სხეული და სული ისვენებს, იგი თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, მისი ფონება იმარგლება პოლიტიკურ-მეცნიერული ლექსიკონისაგან, მის სულს ამაღლებს ხათუთასამო სიყვარული და ყოველივე ამის გამო „ცხადია სასიოცხლო ნიშაგი მემატება, – მოგვითხრობს ელიზბარი – დაკარგული გუშანი და მიმქრალი ხალისი დლით-დლე მიბრუნდება. ნათლად ვგრძნობ, რომ თანდათან რაღაც იღუმალი ძალით ეიგენები, ვიხსები, ვუფლები“ (5512).

ელიზბარის სულიერ და ფიზიკურ გამოჯანსაღებას თან მოჰყვა იმ რომანტიული ბურჟუას გოჟანგვაც, რომლითაც მისი ცხოვრება იყო მოხილი ჯურხანისკარში. არც ისე იოლი აღმოჩნდა წიკლაურობა. „წიკლაურობა ვეიად და დავმარცხდი“ – გამოუცყდა

თავისთავს – „მეგად მძიმე და უჩვეულო გერთი მოვიქიდე. ახლა დროს სწავლა დაეიმშვიდო და მუხლიე შევისყენო, ორსკე წაიქციე. სადაცა წაიქციე!“ (5553).

ბარში შემოდგომა მოდის. მთაში კი მამთარი დაიწყო. გარეთ არ გაისვლება. ელიზბარი ოთხ კედელშია ჩაჭვლილი და თითქმის დამუნჯებული დაბორიიაღებს. ადრე რაე მოსწონდა და საამურად ენენებოდა, ახლა ყველაფერი აღიმიანებს: ცუცხლის ცქერით თვალები გაუწყალდა, ხისკალმა, ერობო და ქაღამ გული აუშსუყეს, მურალმა თამბაქომ და არაყმა ხახა ჩაუხლინეს. ხოლო, როდესაც მიხვდა, რომ ხეუსურების მთელი ოცნება ბაგვაციონთა გახგის აღდგენას არ სულე ბოდა, თითქოს მხოლოდ ახლა დაინახა ისინი მთელი სიგრძე-სიგანით, შეიგნო, რომ წიკლაურობა გამოსავალი არ იყო მისთვის და მისი ხალხისათვის და მკიციელ გადაწყვიტა ქალაქში დაბრუნება.

ელიზბარი მიხვდა, რომ მისი ადგილი ქალაქშია, იქ, სადაც მისი ქვეყნის მომავალი იჭვდება, ხოლო მთაში გახიზნა გამოსავალი არ არის. ამიგომაცაა, რომ თავის საქციელს დემერტირობას უწოდებს, ცდილობს თავისი სიყვების სიმართლეში ჯურხაც დაარწმუნოს და მათ შორის მეგად საგულისხმო დიალოგი იმართება:

– მთაში გახიზნა გაქცევაა და მეგი არაფერი – მიეგე მე – ბრძოლის ეელი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ ან დავმარცხდებით. მომხდურს დედაციხეში უნდა დაუხვდე, მე კი იქიდან გამოვიქევი და დავიმაღლე.

– იქ ვერ იბრძოლებ, ვაეიკავ.  
– შენ კი იბრძვი? დათვის ბუნაგში შემბერალხარ და დამაღლე მიზნად გადაგიქევი. ჯურხა შეყოყმანდა – იყუნა და სიტყვა:  
– ქალაქში გაგაწითლებენ.  
– არე მაგისა მემინიან.“ (5574)

ელიზბარმა გააცნობიერა, რომ რეალობისაგან გაქცევა შეუძლებელია. „წითელ ეშმას“ მემინებულ კი არ უნდა გაექცე, არამედ უნდა ებრძოლო, ხოლო მთაში გახიზნა გაქცევაა, ღალატია. „მომხდურს დედაციხეში უნდა დაუხვდე“ და მისი (ელიზბარის), როგორც ჭემშარიგი ინგელიგენგის უმთავრესი დანიშნულებაა განაწყოს ერი უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად და განუმტკიცოს მას რწმენა ზეალინდელი დღისა, რადგან „გარდუვალა კანონი და უძლეველია ძალია მისი – სამშობლოსი!

## შოთა რუსთაველის პოემა უნგრულ ენაზე

XIX საუკუნის მიწურულში საქართველოს შესწავლას ხელი მოჰკიდა საქვეყნოდ ცნობილმა უნგრელმა მეცნიერმა, ეთნოგრაფმა, მწერალმა ბელა ვიკარმა (1859-1945). ამ დროისათვის მან უკვე საყოველთაო აღიარება პოვა, როგორც ცნობილი ფინური ეპოსის „კალევალას“ ბრწყინვალე მთარგმნელმა. ფინეთში იგი ხშირად ჩადიოდა და ერთხელ ეწვია კიდეც სახელოვან თანამემამულეს მიხაი ზინის, რომელიც 1889 წლის მაგზულში ლახტში (ფინეთი) ცხოვრობდა.

მოგვიანებით ბელა ვიკარი ასე იგონებდა ზინისთან შეხვედრას „მე მას ვესტუმრე როგორც მხატვარს, იმ მიზნით, რომ მის პიროვნებაში ინტერესი გამეღვიძებინა „კალევალას“ მიმართ. მე მიწოდდა, უბაღლო ილუსტრატორი როგორმე დამეთანხმებინა, ხელი მოეკიდა ცნობილი ეპოსის დასურათებისთვის, რადგან იგი სწორედ შესაფერ ძალას წარმოადგენდა ჩემთვის.“

საქმე ისე წარიმართა, რომ ეს საგანგებოდ აწყობილი გეგმა ჩამუშალა. ზინიმ მდიდრულად დასურათებული წიგნი მიჩვენა, რომელიც იმ ხანებში იყო გამოცემული. ჩემს წინაშე იდო ჩემთვის უცნობ ენაზე, უცხო შრიფტით დაბეჭდილი, ქართული ერის უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსი, მიხაი ზინისავე ილუსტრაციებით.

ამ შეხვედრის დროს მიხაი ზინის ვიკარისთვის უაზობა თავისი საქართველოში მოგზაურობის აზმავე. განსაკუთრებით გაუმახვილებია ყურადღება თბილისსა და ქუთაისში „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმებზე, რასაც დიდად შეუწყვია ხელი იმისათვის, რომ სწორად გაეზიარებინა ილუსტრაციების გი პაეი... მხატვარს ვიკარისთვის მოკლედ გაუცვინა რუსთაველის თხზულების შინაარსი და უთხოვია ამ უძველესი ქართული

ეპოსის უნგრულ ენაზე თარგმნა.

იმეამად ვიკარი მთელი გატაცებით მუშაობდა ფინური ეპოსის „კალევალას“ თარგმანზე და რუსთაველის პოემის თარგმნაზე სრულიად არ უფიქრია. მაგრამ მას არც დიდი მხატვრის შთამაგონებელი სიტყვები მიუცია დაიწყებისათვის.

ყველასათვის ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის სამზადისს ბელა ვიკარი მე-20 საუკუნის დასაწყისში შესდგომა (1908). აი, რას წერს ამის შესახებ უნგრული მკვლევარი, გურნალისტი ქალი პალმა შელკენი:

„ორმოცდაათი წლის ბელა ვიკარმა შეისწავლა ქართული ენა მხოლოდ იმისთვის, რომ თავის თანამემამულენი გასცნობოდნენ მე-12 საუკუნის ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას „ვეფხისტყაოსნის“. იგი რვა წლის განმავლობაში სწავლობდა ამ ენას და ამდენი ხნის დაძაბულმა შემოქმედებითა შრომამ სასურველი შედეგიც გამოიღო: მან დაასრულა პოემის უნგრულ ენაზე თარგმნა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ უნგრეთის აკადემიის ხელნაწერთა საცემში სიყვითლე დაკრულ გაზეთის ფურცლებსა და შენიშვნებს შორის მე წავაწყდი შევ გყავში ჩასმულ მოზრდილი შოპის რვეულს. იგი დათარიღებული იყო 1908-1909 წლებით. ამ რვეულში ბელა ვიკარის ხელით ჩაწერილია ქართული ენის გრამატიკის წესები და თვით პოემის ნაწილის თარგმანის შავი ვარიანტი.

რვეულის გადაფურცელისას მე გამახსენდა, რომ ორმოციან წლებში ბელა ვიკარმა ერთხელ მომითხორო, როგორ ისწავლა ქართული ენა. ფინეთში პირველად მგზავრობისას, 1889 წელს, იგი ეწვია ჩვენს სახელოვან მხატვარს მიხაი ზინის, ვინც იმ ხანებში ერთ პაგარა ფინურ სოფელში ლახტში ცხოვრობდა.

და. ამ ვიზიტის დროს შიჩიმ ბელა ვიკარს ასენა მის მიერ დასურათებული შოთა რუსთაველის პოემის 1888 წლის საიუბილეო გამოცემა და უთხრა: „ჩემი ილუსტრაციებიდან“ მე ამას ყველაზე კარგად ვიცი. მე თქვენ ვთხოვთ, გადათარგმნოთ ეს წიგნი უნგრულ ენაზე“.

როგორც უკვე ვთქვით, იმ ხანებში ბელა ვიკარი ფინური ეპოსის „კალევალას“ თარგმანზე მუშაობდა და, რა თქმა უნდა, არ შეუძლო ხელი მოეკიდებინა რაიმე სხვა სამუშაოსთვის, მაგრამ დიდი შხაგურის ამალეულ ბული სიტყვები მას არ დაეწყებია.

„მე უკვე ორმოცდაათ წელს გადავაბოძე — განაგრძობდა თხრობას მსცოვანი სწავლული, როცა დიდის გაჭირვებით და ახეთივე დიდი გულმოდგინებით შევედექი ქართული ენის შესწავლას, როდესაც მეორა, რომ უკვე საკმაოდ დავეუფლე მას და შემოიღია პოემის თარგმნას მივყო ხელი, სამწუხარო რამ აღმოვაჩინე: ქართული ეპოსი, რომლის უნგრულად თარგმნას ვაპირებდი, დაწერილია ძველი, შეიდასი წლის ხნის მქონე ქართული ენით და მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელი მოვანდომე ამ ენის შესწავლას, პოემის ორიგინალი ჩემთვის გაუგებარი აღმოჩნდა. ჩემთვის ნათელი და უცვლელი ვახდა, რომ ქართული ენის საფუძვლიანად შესასწავლად მარგო მე ვერას გავხდებოდი. ამისათვის საქართველოდან მოვიწვიე ქართული პოემის კარგი მცოდნე და თანაც ცნობილი ესპერანგისტი გიორგი ცისკარაული, რომელიც იმავე დროს ძველ ქართულ ლიტერატურასაც კარგად იცნობდა. გარდა ამისა, იგი თავისუფლად ლაპარაკობდა რამდენიმე ევროპულ ენაზე ნახევარი წლის განმავლობაში მე ყოველ დღე, ოთხ-ოთხი საათი ვთარგმნიდი ესპერანგოზე, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე ქართულ ლექსებსა და ფრაზებს“.

„მე და გიორგი ცისკარაულმა ჯერ „ახალი ალექსის“ წიგნი წაიკითხეთ ქართულად, მერე ქართულ ხალხურ პოეზიას ჩავეუქვით და ბოლოს რუსთაველის ეპოსს შევედექით და მხოლოდ მაშინ, როცა მე ვიგრძენი, რომ უკვე საკმაოდ ვძლიე ქართული ენის ყველა სიძნელე და თავისებურებანი, ხელი მოვიკიდე

პოემის თარგმნას. იგი 47 ლექსისგან (თავისაგან) შესდგება. სამუშაოს დასაწყისშივე სიბრულით დაერწმუნდი, რომ მისი მიზნი მართალი იყო. „ვეფხისტყაოსანი“ ჭეშმარიტად დირის გამოდგა ევროპულ ლიტერატურაში შესვლისა.“

რუსთაველის ამ გენიალურ ქმნილებას მაშინ ევროპაში ნაკლებად იცნობდნენ. მე-19 საუკუნის შუა წლებში ჯერ აკადემიკოსმა მარი ბროსემ (1802-1880), ხოლო შემდეგ კაზიმეჟ ლაფინსკიმ (1823-1893) ეს პოემა ფრანგ და პოლონულ მკითხველებს გააცნეს... გერმანულ მკითხველს კი გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ გააცნო შვერალმა არტურ ლაისგმა (1852-1927), ვინც ი. ჭავჭავაძისა და ი. შანაბლის დახმარებით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას (გამოქვეყნდა დრემდენსა და ლაიფციგში 1890 წელს).

საყურადღებოა, რომ ბერგა ფონ შუგნერი, ავსტრიელი შვერალი ქალი, გათხოვებაშივე გრაფინია კინსკი (1843-1914) თავის მეუღლესთან, ავსტრიელ შვერალ არტურ გუნდაკარ შუგნერთან (1850-1902) ერთად 9 წელი ცხოვრობდა საქართველოში (1876-1885); მან დიდი შრომა გასწია თავის მეუღლესთან ერთად ქართული კულტურის პროპაგანდისათვის ევროპაში. ბერგა ფონ შუგნერმა საქართველოს მიუძღვნა თავისი „მემუარების“ (1909) მომრდილი თავი.

არტურ შუგნერმა 1884 წელს გამ. „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილების სერია „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებიც ქართულმა გაზეთებმაკ გადაბეჭდეს. არტურ შუგნერს კუთვნის მუსიკალური ნაწარმოებები საქართველოს თემაზე.

საინტერესოა გავეცნოთ ერთ ამგვარი სახის ცნობას, რომელიც გერმანული ენის საეცილისგმა, ქალბატონმა ნელი მაღალაშვილმა მომწვოდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას უწვდით.

აი, ეს ცნობაც: „ცოლ-ქმარი შუგნერები გავეცნენ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და გადაწყვიტეს მისი გერმანულ ენაზე თარგმნა. პოემის „ლაბირინთში“ მეგზურობა იონა მეუნარგამ იკისრა და მშობლიურ სოფელ ცაისში მიიწვია. 1885 წელს, 9 იანვარს, ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „მე შუგნერები

სოფელში ჩაიყვანე და აქ ხელმეორედ შე-  
ეუდექით თარგმნას, უფრო დაკვირვებით და  
სინდისით. ჯერ უკანასკნელ რედაქციას ვაღ-  
გნებთ ფრანგულად და მერე იქვე გერმანუ-  
ლად ვთარგმნით წიგნს. ეს ორი კვირა დღე  
და ღამე ვმუშაობთ და როგორც იყო ერთს  
მეოთხედს მოვეუღეთ ბოლო.“

ნ. მაღალაშვილის თქმით თარგმანი კი  
გასრულებულა, მაგრამ მუგუნერების ნაღვაწს,  
სამწუხაროდ, დღის სინათლე არ უნახავს.

როგორც ცნობილია, დღეს უნგრულ ენაზე  
რუსთაველის პოემა რამდენჯერმე არის  
ამეცყველებული. და აქ, ამასთან მიმართე-  
ბით, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენი-  
ოთ დიდი უნგრელი მხატვრის მიხაი მიჩის  
(1827-1906) ღვაწლი, რომელმაც თავის თან-  
ამემამულეთა შორის პირველმა გაუკაფა  
გმა რუსთაველის სახელსა და მის ქმნილე-  
ბას. უნგრელები სამართლიანად ამაცობენ,  
რომ რუსთაველის პოემის ბელა ვიკარისეუ-  
ლი თარგმანი ერთ-ერთი პირველი სრული  
პოეტური თარგმანთაგანია ევროპულ ენაზე.

შოთა რუსთაველი და მისი ეფუხისტეოსანი,  
პირველად უნგრულ ენაზე ნახსენებია 1884  
წელს ეურნალ „კოსორუმი“ („გვირგვინი“)  
გამოქვეყნებულ წერილში „მიხაი მიჩი ქარ-  
თულ ლიტერატურაში“, სადაც ნათქვამია:

„ქართული ლიტერატურის უდიდესი სიამა-  
ყვა რუსთაველის დიადი პოემა „ეფუხისტეო-  
სანი“ („ეფუხის ტყავი“). 1593 სტროფისაგან  
შემდგარი თხზულების მდიდრულად გაფორმე-  
ბული გამოცემა უახლეს მომავალში იხილავს  
დღის სინათლეს. ჩვენს თანამემამულეს მხატ-  
ვარ მ. მიჩის სთხოვეს თხზულებისთვის ილუს-  
ტრაციების მომზადება. ერთმა ქართველმა  
ლიტერატურის მოყვარულმა გ. ქართველიშ-  
ვილმა ათი ათასი მანეთი შესწირა გამოცე-  
მის ხარჯების დასაფარავად; პოემა მალე ხე-  
ლმისაწვდომი გახდება ევროპელი მკითხე-  
ლისთვისაც, რადგან თბილისის „კავკასიის“  
რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს ი. მე-  
უნარგიას იგი ფრანგულ ენაზე უთარგმნია“.

როგორც ჩანს, უნგრული გამოცემის კორეს-  
პონდენტისთვის ცნობილი ყოფილა ჩვენი სა-  
მოგალობრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი  
ფაქტები: „ეფუხისტეოსნის“ გამოსაქვეყნად

მომზადება და მ. მიჩის მიერ ილუსტრაციების  
დამზადება, გ. ქართველიშვილის (1830-1901)  
მეცენატობა და ი. მეუნარგიას (1852-1919) მიერ  
რუსთაველის ქმნილების ფრანგულად თარგ-  
მნა, რამეც ქართულ პრესაში მხოლოდ ორი-  
ოდე ცნობა იყო გამოქვეყნებული.

„ეფუხისტეოსნის“ ეს გამოცემა მ. მიჩის  
შესანიშნავი ილუსტრაციებითურთ მართლაც  
განხორციელდა 1888 წელს და ვიორგი ქარ-  
თველიშვილის გამოცემის სახელითაა ცნო-  
ბილი. ამის შემდეგ მ. მიჩიმ ითავა მუორე დიდი  
კეთილშობილური წამოწყება, - ცნობილ  
უნგრულ მეცნიერსა და მთარგმნელს ბელა  
ვიკარს (1859-1945) შთააგონა მშობლიურ ენაზე  
ეთარგმნა და თავისი ხალხისათვის გაეცნო  
რუსთაველის უკუდავი ქმნილება. ლ. ალიო-  
შინას სიტყვები რომ გაეიმეოროთ, „ამით მიჩიმ  
ხელი შეუწყო საქართველოს ფარგლებს გა-  
რეთ მისი უდიდესი ეროვნული პოეტის ქმნი-  
ლების პოპულარიზაციას.“

ფინური ეპოსის „კალეველას“ უნგრულ  
თარგმანზე მუშაობისას 1889 წელს ბელა  
ვიკარი სოფელ ლახტში შეხვედრია მიხაი  
მიჩის. მას სურდა, გამოჩენილი მხატვარი  
დაეულოებინა „კალეველას“ დასურათება-  
ზე. მაგრამ მომხდარა პირიქით: მ. მიჩიმ მას  
გააცნო „ეფუხისტეოსნის“ 1888 წლის ქარ-  
თველიშვილისეული გამოცემა, ბრწყინვალედ  
ილუსტრირებული თვითონ მიჩის მიერ და  
ურჩია ახალგაზრდა უნგრულ მთარგმნელს,  
მშობლიურ ენაზე ეთარგმნა იგი. 1912 წელს  
„ბუდაპეშტი სემლე“-ში („ბუდაპეშტის მიმოხ-  
ილე“) გამოქვეყნებულ წერილში, აგრეთვე  
„ეფუხისტეოსნის“ უნგრული თარგმანის  
(ბუდაპეშტი, 1917) წინასიტყვაობაში ბელა ვი-  
კარი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „ფინეთში  
პირველი მოგზაურობის დროს, 1889 წელს  
მაფხულში, ეესტუმრე ჩვენს სახელგანთქმულ  
მხატვარს მიხაი მიჩის. მან პეტერბურგის ახ-  
ლოს მღებარე პაატარა ფინურ სოფელ ლახტში  
მიმილო და ჩემდამი ისეთი განუყოფელი  
თავაშიანობა და უნგრული სტუმართმოყვარე-  
ობა გამოიჩინა, რომლითაც სარგებლობდა  
ყოველი ჩვენი თანამემამულე, რომელიც მის  
ნახვას მოისურვებდა. მ. მიჩიმ მანქენა მდი-  
დრულად გაფორმებული წიგნი, რომელიც

იმ ხანებში იყო გამოცემული. ჩემს წინაშე იდო სემიოვის უცნობ ენაზე უცნობი შრიფტით დაბეჭდილი ქართველი ერის უდიდესი პოეტის, XII საუკუნის მოღვაწის, შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსი მ. მიხის ილუსტრაციებით“.

1908 წელს ბელა ვიკარმა დაასრულა „კალევალას“ თარგმნა, ხოლო 1909 წელს კი უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა. ამ თარგმანით „შესანიშნავემა მცოდნემ არა მარტო ფინური ენისა, არამედ ფინელი ხალხის ცხოვრებისა, ბ. ვიკარმა შესძლო უნგრული ლიტერატურის გამდიდრება „კალევალას“ მშვენიერი, ჯერაც სწორუპოვარი თარგმანით“.

ახლა უკვე შეიძლება მიხისთვის ჯერ კიდევ 20 წლის წინათ მიცემული სიტყვის შესრულება. ბელა ვიკარი გვიამბობს: „ჯერ კიდევ ომისწინა წლებში შევიძინე გერმანული ენათმეცნიერის, ეთნოგრაფის, კავკასიოლოგის, ადოლფ ღირის (1867-1930) ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო ოსკარ ამბოთის წინასიტყვაობით გერმანულ ენაზე (Ad. Dirr, „Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen /grusinischen/ Sprache...“, Wien und Leipzig.“). დაეიწეე სწავლა. საკმაო წარმატებასაც მივაღწიე, ასე რომ, ერთგვარი თვითღარწმუნებით ავიღე ხელში რუსთაველის შედევრი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ერთი-ორი სიტყვა თუ გავიგე მხოლოდ.“

ადოლფ ღირის სახელმძღვანელოს გარდა, ბელა ვიკარს, მისივე ცნობით, ხელთ ჰქონია მიხისაგან ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველმედიისეული გამოცემის ცალი და პოემის ერთ-ერთი შემდგომი „სახალხო გამოცემა“, აგრეთვე, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი; გარდა ამისა, მას ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ლათინისეული გერმანული თარგმანი /Dresden-Leipzig, 1889/, მ. უორდროპისეული ინგლისური თარგმანი / ონდონ, 1912/, და კიდევ რომელიღაც რუსული თარგმანი.

ბელა ვიკარი ფრიად საფუძვლიანად ეშმალებოდა ამ გენიალური ნაწარმოების სათარგმნელად. ერთ-ერთ მის სტენოგრაფიულ რეველში აღმოჩნდა ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული ენის შესწავლისას

მას გადაუწყვეტია გასცნობოდა საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურას, ხალხის მწერეულებს, ქართულ ფოლკლორს, დაინტერესებული ყოფილა ქართული განსაქმლთი და ქართული კერძებითაც კი. მხოლოდ ამ სერიოზული წინასწარი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ შესდგომია იგი პოემის თარგმნას.

ამ პოემის თარგმანზე მიხი მუშაობის შესახებ დროგამოშვებით გაზეთებიც ათავსებდნენ ცნობებს. აი, მაგალითად, რას წერდა 1912 წლის 5 ივნისის გამოთი „მოდორო პირლოში“ („უნგრული გამოთი“): „... აკადემიის სხდომაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბელა ვიკარმა წარმოადგინა ყველასათვის უცნობ ენაზე XII ს. ქართველი პოეტის რუსთაველის რომანტიკული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველი მე-12 საუკუნეში ცხოვრობდა, როდესაც საქართველოს ვეებურთულა გერიგორია ეკაეა და კავკასიის ხალხების კულტურის სათავეში იდგა.“

... ამგვამად წარმოდგენილი რუსთაველის ეპოსის ერთი ნაწილი გვარკვევს ორიგინალის სიმშვენიერეში და გვარწმუნებს, რომ 700 წლის წინათ მცხოვრები დიდი პოეტის ქმნილება არ დაბეღლებულა და რომ უნგრულ ენაზე ღირსეული სახით გამოთა...“

...რეა წლის გულმოდგინე შრომის შედეგი იყო ბელა ვიკარის მიერ ქართული ენის დაუფლება და რუსთაველის საგმირო ეპოსის უნგრულ ენაზე თარგმნა. 1917 წლის გამაფხულზე ნაწარმოების გამოსელასთან დაკავშირებით მეცნიერს ქების სიგელი გადასცეს პარლამენტში.

ასე გამოთა კავკასიის იქეთა მხარეს მდებარე ქვეყანაში მცხოვრები მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის შედეერი პირველად უნგრულ და შემდეგ სხვა ევროპულ ენებზერა თქმა უნდა, რუსულ ენაზე გამოცემულს თუ არ ჩავთვლით.

ბელა ვიკარს ძალიან უყვარდა ამ სამუშაოზე ლაპარაკი. მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი ვოკონა ვიყავი, როცა ბელა ვიკარი ხშირად მიყვებოდა მსოფლიოში სიღამამით განთქმული ქალების სამშობლოზე, საქართველოზე. გინამბიელი ვიყავი, როცა გავიყანი

კვი 80 წელს მიღწეული მსოფლიანი მეცნიერი, მაგრამ ჩვენი ეს საუბრები ყოველთვის დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ისეინარაღ ყვებოდა საქართველოზე, მის ხალხზე, მსახიობებზე სიმღერებზე, ჯგოფნებოდათ თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი იქ გაუგარებიაო. ამ დროს კი არასოდეს ფეხი არ დაუღვამს იქ.

თუ რარიგად უყვარდა ბელა ვიკარს რუსთაველის ეპოსის თარგმანზე მუშაობის გახსენება, ამის მშვენიერი დამამტკიცებელი საბუთია წერილი, რომელიც სიკვდილის წინ, 1945 წლის ივნისში (სექტემბერში გარდაიცვალა) მისწერა მამინდელ განათლების მინისტრს. წერილში იგი სთხოვდა, მეორედ გამოეკათ შოთა რუსთაველის ნაწარმოები უნგრულ ენაზე.

1945 წლის მაგსულში ხელმოკლედ და მართლაც მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. 86 წლის მეცნიერს, უნგრეთის ერთ პაგარა სოფელში - დუნაევჩინში მთლიანად შემობოლების შემწეობით გაპქონდა თავი, სწორედ ამგვარ პირობებში დაწერა მოგონებები, თუ როგორ დაიწყო ქართული ენის შესწავლა და ქართულ თარგმანზე მუშაობა. თავის შემუშარებში არ გამოუგოვებია ისიც, როდესაც 1917 წელს ნაწარმოების უნგრულ ენაზე გამოეკემის ჯერი დაღვა, მიხაი მიჩის ილუსტრაციებიდან სგამბამ ერთი გამოგოვა. ეს სურათი გამოსატავდა რაინდებს, რომლებიც თამარ მეფეს ესალმებოდნენ.

სურათზე გამოხატულ ადამიანებს მხატვარმა უნგრული საზეიმო ფორმა ჩააცვა. სგამბის ხელმძღვანელობამ ეს მხატვრის ხუმრობად მიიჩნია. აქვე უნდა დავსძინოთ, სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ ქართული და უნგრული საზეიმო განისაზმის ერთმანეთს ემსგავსება, თითქმის ერთნაირიკ კია.

ბელა ვიკარი არა მხოლოდ ფინური და ქართული ენების შესწავლითა და ორი თარგმანის წყალობით იყო მსოფლიოში ცნობილი, არამედ თარგმნიდა გერმანულიდან, ფრანგულიდან, ესტონურიდან, ნორვეგიულიდან. იგი მიღერის, გოეთეს, იბსენის ამრთა ერთგული გამომხატველი იყო.

ხუმრობის მოყვარულმა, ყოველთვის მხარული სახის, მახვილი ბუნების მქონე ბელა

ვიკარმა თავი გაართვა ლა ფონგენის იტყვარაკების თარგმნასაც. ენების დრმმ მქონდნემ, დაღებული ლინგვისტიკური მონაეყუბით დაჯილოებულმა ბელა ვიკარმა მშვენიერზე უმშვენიერესი ნაწარმოებებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა.

დიდი ინტერესით აღეყნებდა თვალს ნიჭიერ ახალგამრდებსაც. ჩამოაყალიბა ლიტერატურული გაერთიანებები, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხებს შორის კავშირი კიდევ უფრო გაეღრმავებინათ ლიტერატურულ და კულტურულ ერთიერთობათა საფუძველზე. ამ სექციებში ღებულობდა ნიჭიერ ახალგამრდებს და მათ წარმატებებს მთელი ძალით უწყობდა ხელს.

უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმაზე, თუ ბელა ვიკარი რამდენად იყო თავისი შეხედულებების დამცველი. იგი არასოდეს არ ყოფილა ვაჭარი, როგორც მეცნიერი და როგორც პიროვნება“ (პალმა შელკენი, მოგონებანი ბელა ვიკარზე, ბელა ვიკარის ხსოვნისადმი მიძღვნილი საუბილეო შეიმი, კოპოშვარი-ჰეგეში, 1970.).

ეს დიდი ფილოლოგი უნგრული ენიდანაც თარგმნიდა სხვა ევროპულ ენებზე. იგი მანდორ პეგეფის პოემით იყო გატაცებული და მასზე მრავალი საჯარო ლექცია აქვს წაკითხული. მანვე თარგმნა უნგრულად ყველა ლექსი, რაც კი მიუძღვნიათ უცხოელ პოეტებს უნგრეთის ამ სასიქადულო პოეტრეეოლექციონერისადმი.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული თარგმანის ისტორია კი ასეთია: ბელა ვიკარმა, მართალია, შეისწავლა და იყოღა ქართული, მაგრამ არა იმდენად, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად შესძლებოდა რუსთაველის თარგმნა. ამ საქმეში მას დახმარებია ქართველები. კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი ნაწილი 1909-1912 წლებში ვიკარს უთარგმნია გიორგი ცისკარაულის დახმარებით, ხოლო ბოლო ნაწილი 1915 წლიდან გრიგოლ ილარიონის ძე წერეთლისა და დავით სამსონის ძე თოლორაიას მონაწილეობით. პოემის გეჭყატის სათიანდოდ გასატებად ვიკარი პირველ შემთხვევაში იყენებდა ესპერანტოს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი



– გერმანულ ენას. თარგმანი დასრულდა და გამოიცა 1917 წელს ბუდაპეშტში გამოცემლობა „ათენუმში“. გამოცემაში ჩართულია მიხაი მიჩის 26 ილუსტრაცია, ხოლო გარეკანზე გამოყენებულია ქართველიშვილისეული გამოცემის ყდის მხატვრობა. თარგმანს წინ უძღვის ბელა ვიკარის წინასიტყვაობა, რომლითაც მან მკითხველებს გააცნო „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულად თარგმნის ისტორია და მიაწოდა მოგადი ცნობები რუსთაველსა და მის პოემაზე. პოემის ვიკარიულ თარგმანს საფუძვლად უდევს „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა. თარგმანს აკლია პროლოგი, ხატაელებთან ბრძოლა და სულ 1445 სტროფის მოიცავს. ვიკარის მიერ შესრულებული თარგმანი თავის დროზე საუკეთესოდ ითვლებოდა.

„რუსთაველი ჭეშმარიტად დიდი პოეტია. მისი ცხოვრება ისევე რომანტიკულია, როგორც მისი დღემდე შემონახული თხზულება“, – განუცხადა მთარგმნელმა უნგრელ სამოგადოებრიობას და შემდეგ მიაწოდა ხალხური ბიოგრაფიული ცნობები დიდ შემოქმედზე.

ბელა ვიკარის სიტყვით, რუსთაველის წინსვლამ სახელმწიფოებრივსა და ლიბერატორულ ასპარეზზე „რუსთაველის გენიის გრიუმმა, მის წინააღმდეგ აამოქმედა მურით აღსავსე ბოროტმშრახველები“ – შევიწროებამ და ღვენამ გენიალური პოეტი იერუსალიმში მიიყვანა.

ბელა ვიკარმა „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ანარეკლი დაინახა. მან სწორედ გაიაზრა პოემის იდეური სამყაროს სიღრმე. მისი სიტყვით, „პოემაში ერთიმეორეს მისდევს სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულებისა და რაინდობის უაღრესად თბილი, კოლორიტული სურათები, რის მსგავსსაც მხოლოდ უდიდეს პოეტთან ნაწარმოებებში ვხვდებით.“

ბელა ვიკარის თარგმანმა ქართულ-უნგრული ენების ჩინებული მყოფნის, ცნობილი მეცნიერის პუგო შუხარდგის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მისი აზრით, ეს თარგმანი „მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო იმით, რომ პირველად ამ გზით გაეცნო უნგრელი მკითხველი გენიალური ქართველი

პოეტის ქმნილებას, არამედ იმითაც, რომ იგი ერთ-ერთი პირველი პოეტურ-დრამატული ევროპაში, ა. ლასკის თარგმანის შემდეგ“.

მარტონ იმტვანოვიჩი წერდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ადრეულმა თარგმანმა გაამდიდრა უნგრული კულტურა.

„ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ მსოფლიო ლიბერატორის უდიდესი წარმომადგენლის რუსთაველის ფასი ევროპაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა ბელა ვიკარმა შეიყნო, და არა მარტო შეიყნო, არამედ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უძღვნა ქართველოლოგიურ კვლევას. ამ კვლევის მწვერვალს წარმოადგენს უნგრულ ენაზე ამტკიცებული ქმნილება“, – წერდა უნგრელი მეცნიერი.

გამოჩენილი უნგრელი მწერალი არპად მემპლენი (1865-1919) „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარიული თარგმანის გამოსვლასთან დაკავშირებით უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ეურნალ „ბუდაპეშტი სემლე“-ში („ბუდაპეშტის მიმოხილვა“) 1918 წელს წერდა: „ჩვენთვის, უნგრელებისთვის, რუსთაველის ქმნილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ეროვნული გამოცემა გამოვიდა უდიდესი უნგრელი ილუსტრატორის მ. მიჩის სურათებით... მიზი აღვიღო მუშაობა და შევქმნი დრამა ჩასწვდომოდა თავისი ილუსტრაციების საგანს, მკითხველს მისი სურათები ძლიერ უწყობს ხელს, სწორად გაიგოს თვით რუსთაველის ნაწარმოები. კავკასიის ვარსკვლავისათვის, ბელა ვიკარს მიხაი მიჩიმ მიაქცევინა ყურადღება. ვიკარმა, რომელიც მაშინ „კალევალას“ ჯუნგლებში დახვებია, მიიღო მხატვრის წინადადება და ცოცხალი შემდეგ გაემართა უცნობი ვარსკვლავისაკენ... კავკასიის შემოვლა, თვით იალბუშის მწვერვალზე ასვლა ბავშვური თამაშია ქართული ენის შესწავლასთან შედარებით. ვიკარმა შეისწავლა ქართული და ვალთარგმანა „ვეფხისტყაოსანი“.

ბელა ვიკარმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანით საქართველოში ღირსეული აღიარება პოვა და სათანადო პატივისცემა დაიმსახურა. მართებულად აღნიშნავდა უნგრელი ლიბერატორათმცოდნე ძიორმ რადო, რომ „ქართული ლიბერატორის გაეცნობა და მისი

შესწავლა უნგრეთში იწყება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში და დაკავშირებულია ორი უნგრელი ენთუზიასტის სახელებთან, რომლებიც ფართოდ არიან ცნობილი საქართველოშიც: მხატვარ მისაი ზინისა და მთარგმნელ-ეთნოგრაფ ბელა ვიკარის სახელებთან.

ცნობილია, რომ ბელა ვიკარმა თავისი თარგმანი მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემიდან. ამ დროიდან დაწყებული პოემის ტექსტში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი შესწორებანი. იგი გაწმენდილ იქნა შემდგომი დროის ინტერპოლაციებისაგან, აღდგენილ იქნა პოემის ცალკეული დამახინჯებული ადგილები.

გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანი“ იქნა ფართო მეცნიერული კვლევის საგნად. რუსთველოლოგია ვიკარის თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ გაძლიერდა ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული გამოკვლევებით, რომლებიც ახლებურად ხსნიან პოემის რიგ სადაეო ადგილებს.

ამ თვალსაზრისით, ბელა ვიკარის თარგმანი ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში უკვე მოქმედებულად ითვლებოდა. ბუნებრივია, ისეთი მაღალი მთარგმნელობითი კულტურის

ქვეყანაში, როგორც უნგრეთი, „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედებული თარგმანი მკითხველისა და ლიტერატურათმცოდნეების გამზდილ მოთხოვნებს ვეღარ დააკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, ამ თარგმანმა დიდი როლი შეასრულა უნგრეთში რუსთაველის სახელის პოპულარიზაციის საქმეში და, რაც მთავარია, გზა გაუკაფა ახალი, კიდევ უფრო დახვეწილი, ორიგინალთან შინაარსობრივად და მხატვრულად კიდევ უფრო დაახლოებული თარგმანის მომზადების შესაძლებლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთში რუსთაველის პოემას 1954 წლამდე „ჯიქისტყაოსანი“ ეწოდებოდა, რაც უნგრულ ენაზე შემდგენიარად ელერს „Parducboros Lavag“.

1954 წლის ბოლოს კი გამოდის პოემის ახალი უნგრული თარგმანი სახელწოდებით „ვეფხისტყაოსანი“ („A Tigrisboros Lavag“). ეს თარგმანი შეასრულა უნგრელმა პოეტმა მანდორ ვიოროშმა.

უნგრულ ლიტერატურათმცოდნეობაში ვიორომისეული ამ თარგმანით „ვეფხისტყაოსანი“ აღიარებულ იქნა შუა საუკუნეების მსოფლიო პოეტურ შედეგად.



თამარაზ შიშკალაშვილი

## მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ ფილოსოფიაში გამოხმაურება მ. მახარაძის მონოგრაფიაზე „რენესანსი, პუშანისმი და X-XII საუკუნეების საქართველო“

გასულ წელს გამოქვეყნდა „ელფმა“ გამოსცა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ მახარაძის მონოგრაფია „რენესანსი, პუშანისმი და XI-XII საუკუნეების საქართველო“. ერთი წელი, ცხადია, საკმაოდ მცირე დროა ნებისმიერი წიგნის ჭეშმარიტი ღირებულების მიუკერძოებელი და სრულყოფილი შეფასებისთვის, მაგრამ მ. მახარაძის გამოკვლევა, სადაც ერთადაა თავმოყრილი და გაბანალიშებული განსახილველი საკითხის გარშემო არსებული უდიდესი მეცნიერული მასალა, ჩაგარებული კვლევის აკადემიური დონითა და მიღებული შედეგების მეცნიერული ღირებულებით, ნამდვილად იძლევა იმის სრულ საფუძველს, რომ მას, უკვე დღევანდელ, ცალსახად დადებითი და მაღალი შეფასება მიეცეს.

ნაშრომის პირველ პარაგრაფში, – „რენესანსის იდეის სათავეებთან“, – ავტორი საკმაოდ ვრცლად და იმპედროულად საკითხის დრმა და საფუძვლიანი ცოდნით კრიტიკულად მიმოიხილავს რენესანსის თეორიის აღიარებული წარმომადგენლის, – იაკობ ბურკჰარდტის შეხედულებებს. როგორც საკუთრივ ბურკჰარდტის, ასევე ნაშრომში განხილული სხვა მრავალი მკვლევარის შეხედულებების მიმართ ავტორის ეს, საფუძვლიანად არგუმენტირებულ მყარ პოზიციამ და მყარებული კრიტიკული დამოკიდებულება ნათლად შედგინდა უკვე ნაშრომის დასაწყისშივე, სადაც იგი, რენესანსის ცნების გააზრებაში ბურკჰარდტის მიერ საერთოდ ანტიკურობის, განსაკუთრებით კი ანტიკური ფილოსოფიისა და მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის – არისტოტელეს ფილოსოფიის მნიშვნელობის აქცენტირებაზე (სხვა ფილოსოფოსთა მნიშვნელობის ერთგვარი უგულვებელყოფის ფონზე) მთლიანობაში

პოზიტიური მსჯელობის მიუხედავად, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაინც, „რენესანსის მსოფლმხედველობისათვის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას“ (გვ. 5).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ი. ბურკჰარდტის თვალსაზრისიდან გამომდინარე დასკვნას, რომ აღორძინების ეპოქაში ანტიკურობის გაელენის გამო, ცხოვრების ქრისტიანული იდეალის – სიწმინდის ადგილი ისტორიული იდეალის იდეამ დაიკავა“ (გვ. 7), რამაც პუნგურივად წამოსწია წინ ისტორიული პროგრესის იდეა და მის პრიმაში აღამიანისა და მოუღი სოციალური სინამდვილის პუშანიზაციის პრობლემა (რამაც ეს ორი მოვლენა, – რენესანსი და პუშანიზმი, – ერთმანეთთან უმჭიდროესად დააკავშირა, და რაც თვით ბურკჰარდტსაც ნათლად წარმოიხილა), მაგრამ აქვე მის სუსტ მომენტად მიიჩნევს იმას, რომ „მის ნაშრომში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული რენესანსისა და პუშანიზმის ცნებები და მათი ურთიერთქმედება“ (გვ. 8). ი. ბურკჰარდტის თვალსაზრისის შეფასებისას, ავტორის აზრით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლო ხანებში ევროპულ მეცნიერებაში იცვლება დამოკიდებულება რენესანსის გრადიციული გაგებისა და საერთოდ კულტურის ისტორიაში მისი ადგილის შესახებ. სწორედ ამ კონტექსტში იგი ვრცლად აანალიზებს ეუჯენიო გარინისა და პიეტრო ბიორკის გამოკვლევებში წარმოდგენილ თვალსაზრისებს.

ე. გარინის თვალსაზრისზე მსჯელობისას მ. მახარაძე განსაკუთრებით ამხევილებს ყურადღებას ცნობილი ქართველი მკვლევარების შალვა ნუკუბიძისა და შალვა ხიდაშელის პოზიციებთან მისი პოზიციების სიახლოვესა და თითქმის იდენტურობაზეც კი.

ქართველ მოაზროვნეთა „შრომებში ნეო-პლატონიზმი გაგებულია ისე, სადაც ღმერთი და მისგან გამოსული სინამდვილე ერთიანობაშია, ადამიანის ღმერთთან გაერთიანება შეუძლია და ა. შ. დაახლოებით მსგავსი ვითარებაა გარინისთან“... ქრისტეს გაცხადებაც პრიმატული თეოლოგიის სხვადასხვა სახეებში განხორციელებული და პლატონისა და პლოტინეს მიერ განმარტებული უცვლელი მარადიული ტექსტები ემყარება სამყაროს ერთიანობას, ღმერთისა და მის მიერ შექმნილთა განუყოფლობას“ (გვ. 11). რაც შეეხება პ. ბიორკს, მისი დამოკიდებულება რენესანსის გრადიციული გაგებისადმი, ავტორის აზრით, გამოკვეთილად უარყოფითია, რამეც ნათლად შეგვევლებს მისი სიტყვებით: „თუ ჩვენ „რენესანსს“ მეწამულ და ოქროს ფერებში წარმოვიდგინოთ და გამოვჩვენოთ კულტურულ სასწაულად ან მეცნიერულ გამოვლინებად მივიჩნევთ, ჩემი პასუხი იქნება „არა“. მაგრამ თუ ამ გერმანულ... გამოთქმებში დასაყვარ კულტურაში მომხდარ გარკვეულ ცვლილებათა აღსანიშნავად, მაშინ იგი შეიძლება ფუნდამენტურ, საყრდენ კონცეფციად მივიჩნიოთ, რომელიც სახეებით გამართლებულია“ (გვ. 13-14).

ბურკარდის, გარინისა და ბიორკის თვალსაზრისების განხილვა გარკვეულ წარმოდგენას ქმნის რენესანსზე და პუმანიშვიტს, მაგრამ ამ მოაზროვნეებთან ამ ცნებების შინაარსები მაინც ბოლომდე ნათლად არაა გარკვეული. არადა ეს სრულიად აუცილებელია ვეროპული კულტურის სისტემაში მათი ადგილისა და როლის, ასევე მათი ურთიერთმიმართების ხასიათის გასარკვევად. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ სარეცენზიო ნაშრომის პირველი თავის შემდგომი მონაკვეთები („რენესანსის ცნებისთვის“, „პუმანიშვიტის ცნებისთვის“, „პაიდეგური და სარგრი პუმანიშვიტის შესახებ“) მთლიანად ამ საკითხების განხილვას ეძღვნება. ამ მიზნით საფუძვლიანადაა გაანალიზებული შ. ნუკუბიდის შეხედულებები, რომლის თანახმადაც რენესანსის საფუძვლად მინეული იოანე სკოტ ერიუგენასა და ნიკოლოზ კუმანელის შეხედულებები, თავის მხრივ, არეოპატიკული მოძღვრებითაა განსაზღვრული და რომ შესაბამისად, სწორედ არეოპატიკიკა იყო ის მოძღვრება, რომელმაც ანტიკური ფილოსოფიური მემკვი-

დროება ქრისტიანულ საფუძველზე „გადარგო“, რითაც შენარჩუნებულ იქნა რენესანსისთვის აუცილებელი იდეა ღმერთისა და სამყაროს ერთიანობისა, „რაც შემდეგ აუცილებელ მომენტებს მოიცავს: ღმერთიდან არსებათა აუცილებლობით წარმოშობა, ადამიანის გაღმერთების შესაძლებლობა, ღმერთთან უშუალო შეერთების დაშვება, იერარქიის პრინციპი, სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის აღიარება“ (გვ. 17). აქვე განხილულია: ბერგრან რახელის, ვალტერ პაგერის, ი. პუმანოს, ლ. კარსაინის, ნ. კაკაბაძის, ა. ლოსევის, ლ. ბრაგინას, ე. ლაზარევის, შ. ხიდაშელის, ნ. კონრადის, მ. ბახტინის, ლ. ბაკტინის, პაიდეგერისა და სარგრის თვალსაზრისები. მათი ურთიერთშეჯერება - შედარების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ „რენესანსისა და პუმანიშვიტის ცნებებზე ერთიანი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს“ (გვ. 34), თუმცა კი, პუმანიშვიტის ცნებაში უპირატესად მაინც „ამქვეყნიური, მიწიერი ადამიანის ღირებულებად გამოცხადება იგულისხმება“ (გვ. 34). ხოლო რაც შეეხება რენესანსს, საბოლოოდ იგი გაგებულია, როგორც „კულტურის გიჟი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში თავისებურად ვლინდება“ (გვ. 34), რისი არსებობისთვისაც აუცილებელია კულტურის საერთო აღმავლობა და აყვავება. პუმანიშვიტში, რენესანსთან შედარებით, უფრო კულტურულ-ისტორიული მოვლენაა და როგორც ასეთი, ის „შეიძლება გვხვდებოდეს, როგორც აღორძინების ეპოქაში, ისე მანამდე და მის შემდეგ „ღროს თვალსაზრისით, - დაასკვნის პირველი“ თავის ბოლოს ავტორი, - პუმანიშვიტში უფრო ხანგრძლივი მოვლენაა, მაგრამ ჩარჩოებით უფრო ვიწრო, ვიდრე რენესანსი“ (გვ. 35).

შ. მახარაძის სრულიად მართებული აზრით, აღორძინება და პუმანიშვიტი, მათი ურთიერთგანსხვავების მიუხედავად, შინაგან და მყარ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. მაგრამ, ნებისმიერი ფილოსოფიური გამოკვლევის საზღვრებში ეს მოსაზრება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ბოლომდე გამართლებულად და არგუმენტირებულად დასაბუთებულად, თუ ჩანვენი იქნება, რომ მათ რაღაც საერთო ფილოსოფიური მსოფლმხედველობრივი (რადგანაც აღორძინება, მრავალი თავისი

პარამეტრიტი არსებითად განსხვავდება ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველმდებარე წმინდა რელიგიური დოგმებისაგან) საფუძველი გააჩნიათ. ამიგომ, სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ ნამშრომის მეორე თავი მთლიანად ასეთი საფუძვლების გარკვევას ეხება. ამ მიზნით ავტორი ვრცლად და მისთვის საინტერესო კუთხით მიმოიხილავს აღნიშნული პრობლემატიკის აღიარებული მკვლევარების: შ. ნუკუბიძის, ა. ლოსვეის, შ. ხიდაშელის, ასევე ნ. ნათაძისა და გ. თევზაძის გამოკვლევებს. ეს გამოკვლევები, პრობლემის სხვადასხვა ასპექტების წინ წამოწევიან და განხილვით, ასევე მისი გადაწყვეტის სხვადასხვა გზების არჩევითა და შესაბამისად სხვადასხვა ისტორიულ-კულტურული მასალის ანალიზით (მაგ. შ. ნუკუბიძისთან უფრო აქცენტირებულია ნეოპლატონიზმის არეოპაგიტიკული რედაქცია – არეოპაგიტიკული ნეოპლატონიზმი და ქართული რენესანსის იდეური საფუძველი – იოანე პეტრიწის ფილოსოფია, მაშინ, როდესაც ა. ლოსვეთან განსაკუთრებული აქცენტია გადაგანილი იგალიურია აღორძინების ფილოსოფიისებზე), ქმნიან რენესანსისა და ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძვლის დადგენის გარკვეულ, ლოგიკურად მწყობრ სვლას. როგორც ავტორი აღნიშნავს, „მათ მოსაზრებებში შეინიშნება რაღაც უხილავი ძაფი, რომლის ცალკეული მონაკვეთი გარკვეული ურთიერთშეკვება რენესანსისა და ჰუმანიზმის იდეური საფუძვლის დადგენისას“ (გვ. 62), რაც მთლიანობაში მათ აძლევს ერთიანი სისტემის სახეს, რომლის თანახმადაც, რენესანსის ფილოსოფიურ საფუძვლად ნეოპლატონიზმი აღიარებულია.

ნამშრომის მესამე თავი მთლიანად ეთმობა შ. ნუკუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას. აქვე განხილულია ამ თეორიაზე არსებული გამოხმაურებები და შეფასებები. აღნიშნული თეორიის დებულებები და პრინციპები შ. ნუკუბიძემ, როგორც ცნობილია, საბოლოო სახით ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, სადაც რენესანსის მსოფლმხედველობრივი ძირები აღმოსავლეთშია დანახული, რის საფუძველზე გაგარებულია აზრი დასავლეთის რენესანსისათვის აღმოსავლეთის მნიშვნელობის შესახებ და გაკეთებულია

დასკვნა, რომ „წინარენესანსი და რენესანსი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმდინებელია და იდეურად ეს ერთიანია გეოგოგიკური ხაზი იყო“ (გვ. 64). თანახმაა შ. ნუკუბიძისა, აღნიშნავს მ. მახარაძე, „ნეოპლატონური ფილოსოფიის უკანასკნელმა დღემა სისტემატიკოსმა პროკლემ შეძლო ერთიანობის პრინციპის გაგარება. მაგრამ პროკლეს ფილოსოფია... სამრდობა წარმართული მსოფლმხედველობითაც. ამიგომაც ამ სახით მას ქრისტიანობა ვერ მიიღებდა. საჭირო იყო ნეოპლატონიზმის გარკვეული რეაქცია და მისი მორგება ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე. ეს მისია წარმატებით განახორციელა ე. წ. არეოპაგიტიკული თხზულებების ავტორმა, რითაც – ქრისტიანულ სინამდვილეში სარეალიზაციოდ გზა გაეხსნა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის პროგრესულ იდეებს. ამასთან, არეოპაგიტიკა ქრისტიანულ აღმოსავლეთში შექმნილი ძველია და რენესანსის იდეურ საფუძველსაც შეადგენს, ამიგომ უდავო უნდა იყოს აღმოსავლეთის როლი რენესანსის ჩამოყალიბებაში“ (გვ. 69). თუმცა, აღნიშნავს აქვე მ. მახარაძე, შ. ნუკუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორია, მთლიანობაში მისი უდავო სომტიური მეცნიერული მნიშვნელობის მიუხედავად, მთლად უნაკლოდ ვერ ჩაითვლება. ერთ-ერთი ასეთი ნაკლია, მაგალითად, ის, რომ შ. ნუკუბიძის „დასკვნა დასავლეთის რენესანსზე აღმოსავლეთის რენესანსის გავლენის თაობაზე მხელია აიხსნას დასავლეთის რენესანსის მთავარი იდეოლოგიების – ერიგენასა და კუზანელის მხრიდან მხოლოდ არეოპაგიტიკული მოძღვრების გამოყენებით, თუნდაც გადაწყვეტი სარგებლობის ფაქტით“ (გვ. 65); მის სისუსტედ უნდა მივიჩნიოთ ასევე ისიც, რომ აქ, ერთგვარად გაზვიადებულია რენესანსისთვის ერეტიკული მოძრაობის მნიშვნელობა; ნათლად და გამოკვეთილად არაა დადგენილი რენესანსის ცნების შინაარსი და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, შ. ნუკუბიძის თეორიის სწორედ ამ სისუსტეებითაც იყო გამოწვეული ის უარყოფითი რეაქცია, რითაც მას იმთავითვე შეხედნენ საქართველოში და რის საილოტრაციოდაც მ. მახარაძეს მოაქვს ფილოლოგ კორნელი კეკელიძისა და ფილოსოფოს სერგი დანელიას შეხედულებები, რომელთა მიუკერ-

მოხუცი, ობიექტური ანალიზის საფუძველზე იგი მიიჩნევს, რომ ამ გამოხატულებებში გვხვდება, როგორც „სრულიად სამართლიანი შენიშვნები, ასევე სადავო მოსაზრებებიც და, სამწუხაროდ, ტენდენციური შეფასებებიც“ (გვ. 69). თუმცა, შემდგომ, ვითარება თანდათან იცვლება და ამ თეორიას, მოინადადმდეგებთან ერთად მრავლად უჩნდებათ მომხრეებიც. საბოლოოდ, ის ავტორები, რომლებიც ასე თუ ისე ეხმარებიან ამ საკითხს, მ. მახარაძის მიერ სამ ჯგუფადა დაყოფილი: ისინი, ვინც საერთოდ უარყოფენ რენესანსის არსებობას აღმოსავლეთში (ბ. გორნუნი, ა. გორუნკელი, ვ. რუგენბურგი, ვ. შტეინი და სხვა); ისინი ვინც აღიარებენ რენესანსის არსებობას აღმოსავლეთში, მაგრამ უარყოფენ მსგავს მოვლენას საქართველოში (ვ. ჯორჯენი, ი. გოლენიშევი-კუგუზოვი), დაბოლოს ისინი, ვინც აღიარებს, როგორც საერთოდ აღმოსავლურ რენესანსს, ისე ქართულსაც (ნ. კონრადი, ა. ლოსევი). რაც შეეხება ქართველ ავტორებს, ამ თეორიას მხარს უჭერენ: მ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე, რ. სირაძე, ვ. ყორანაშვილი, ე. ხინთიბიძე. ნაშრომის დარჩენილი ნაწილიც მთლიანად ამ ავტორების, ასევე მოსე გოგიბერიძისა და მორის ბორუას შეხედულებების ანალიზს ეძღვნება. აქვე უნდა პარაგრაფად განხილული საქუთრიე ქართული რენესანსის თეორიის არსი, რისი მოცემულობის ერთ-ერთ გადაწყვეტად შეიქცევა მიჩნეულია XI-XII საუკუნეების საქართველოში არეოპაგეტიკული იდეების აღორძინება (ეფრემ მცირეს მიერ ფსევდოდონისე არეოპაგეტის თხზულებებისა და მასზე დართული მაქსიმე აღმსარებლისა და გერმანოსის კომენტარების ძველბერძნულიდან ქართულზე თარგმნა, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“) და რის ძირებსაც თვით მ. ნუკუბიძე ეძიებდა V საუკუნეში, როცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პროკლეს თხზულების – „კაპიტოლინის დიკონისეველისანი“ – არეოპაგეტიკული ინტერპრეტაციის, ე. წ. არეოპაგეტიკული წიგნების ერთადერთი შესაძლო ავტორი“ (გვ. 84). ვინც ნუკუბიძე-პონიგმანის ცნობილი იდენტობის თეორიის თანახმად, იყო V საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი (411-491 წლები). ასეთია ძალზედ მოკლე და მოგადად

მ. მახარაძის ამ გამოკვლევის შინაარსი, რის ერთ-ერთ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ისიც რომ იგი ერთის მხრივ ეყრდნობა და შეესაბამება მალურად ითვალისწინებს განსახილველი პრობლემების აღიარებული ქართული და უცხოელი მკვლევარების შეხედულებებს, ხოლო მეორეს მხრივ კი მომავალ საყურადღებო, საკუთრივ ავტორისეულ მოსაზრებასაც შეიცავს. ნაშრომის ავტორი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აბსოლუტურად სრულყოფილად ფლობს განსახილველ მასალას, რაც ამ მასალის რაც შეიძლება ფართო მოყვლობით ათვისებასთან ერთად, მასთან წმინდა სულიერი დამოკიდებულების, ანუ მასთან მიმართებაში საქუთარი პოშიციის გამოუმუშავებასა და ნათლად ჩამოყალიბებასაც გულისხმობს. ნაშრომის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ, ასევე, მასში გამოქვეყნებული მაღალი პროფესიონალიზმი, განხილული ავტორებისადმი შედმიწვევითი კორექტული დამოკიდებულება და მათი ნააზრების შეფასებისას, ობიექტურობის პრინციპის მაქსიმალური დაცვა. ყოველივე ეს მას აძლევს უაღრესად სერიოზული და მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე გამოკვლევის ხასიათს, რომლის უპირველეს ღირსებადაც უნდა მივიჩნიოთ ასევე ისიც, რომ აქ, ქართულ მეცნიერებაში პირველად, ერთ მთლიანობაშია განხილული რენესანსის, კუპანისმისა და ქართული რენესანსის საკითხები; შეჯამებულია ამ საკითხებზე არსებული თვალსაზრისები, საფუძვლიანადაა შესწავლილი და წარმოდგენილი ქართული, რუსული და უცხოური გამოკვლევები; ასევე საფუძვლიანადაა გამოკვლეული რენესანსისა და კუპანისმის ფილოსოფიური საფუძველები, გარკვეულია მათი, როგორც ფილოსოფიური ცნებების შინაარსები და ურთიერთმიმართების ხასიათი. ყოველივე ეს გვაძლევს იმის სრულ საფუძველს, რომ მიხედვით მახარაძის გამოკვლევის „რენესანსი, კუპანისმი და XI-XII საუკუნის საქართველო“ ბოლო პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შენაძენად მივიჩნიოთ, რაც დიდ დახმარებას გაუწევს პროფესიონალ ფილოსოფოსებს და საინტერესოა ქება რენესანსისა და კუპანისმის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

ბიორგი შაყულაშვილი

...სამ ენაზე ერთი ბრძნობის მხატვარი!

ასეთი პოეტური შეძახილითა და ექსპრესიული ინტონაციით ცდილობდა ერთი ქართული პოეტი მკითხველისათვის ეგრძნობინებინა გაოცება და აღტაცება მე-18 საუკუნის აშული საიათნოვას პოეზიის სამეწიფეების ძალით გამოწვეული. საიათნოვა ხომ სამ ენაზე – ქართულ, ამერბაიჯანულსა და სომხურ ენაზე თხზავდა ლექსებს. ძველი თბილისის ცხოვრების მოტრფიალე პოეტების შთაგონების წყაროდ დიდხანს იყო საიათნოვა თავისი სამეწიფეანი ღირიკითა და თავისი სამეწიფეობითაც. ამ ფაქტით მოხიბლულებს სამ ენაზე წერის კულტურა შემოქმედებით ფერხონში გადაქცონდათ და მათი აღტაცებისა თუ გაოცების გრძნობაც ამ განწყობილებიდან იღებდა სათავეს. გაკვირვებას ვერც მოგიერთი მკვლევარი მაღაუდა, ეგზოტიკურად აღიქვამდა ამ არც თუ ჩვეულებრივ ფაქტს. მოგს ინტერნაციონალისტური გრძნობის გამოვლინებად მიაჩნდა საიათნოვას სამეწიფეანი პოეზია,<sup>1</sup> მოგი ფიქრობდა, რომ ეს იყო უნიკალური და ერთადერთი შემთხვევა მსოფლიო პოეზიის ისტორიაში,<sup>2</sup> მოგის აზრით, საიათნოვას სამეწიფეანი ღირიკა თანაბარი მხატვრული ძალით გამოირჩეოდა,<sup>3</sup> მოგი ამას საიათნოვას გენიას მიაწერდა.<sup>4</sup>

ქონდა თუ არა მკვლევართა ასეთი დასკვნებს რეალური საფუძველი?

ჯერ იმის გარკვევაა საჭირო, რას ეყრდნობოდა შემოქმედლის მრავალენოვნება, აქვს თუ არა რაიმე შინაგანი კავშირი მის პოეტურ ნიჭთან, ე. ი. არსებობს თუ არა ურთიერთკავშირი ენის შეთვისების უნარსა და ლექსის თხზვის დეფორმაციას შორის?

სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა, ასეთი ურთიერთკავშირი არ არსებობს! ერთია აღამის ძის პოლიგლოგური უნარი, მეორე – ლექსის თხზვის შესაძლებლობა. მართლაც, რამდენია ენების მცოდნე პირი, რომელსაც ერთი სტროფიც კი პოეტური ნიმუშისა არ შეუთხზავს, ხოლო რამდენი გენიოსია, მხატვრული სიკაცისა დედაქნის გარდა სხვა ენა რომ არ სცოდნია!

მაშ, რა უნდა ედოს საფუძველად შემოქმედის მრავალენოვნებას?

პასუხი მარტივი უნდა იყოს, პოეტურ ტალანტთან ერთად ენის შეთვისების უნარი და გარემო.

თუ პოეტური ნიჭით დაჯილდოებულმა პირმა დედაქნის გარდა იცის სხვა ენა ან ენები, ბუნებრივია მას ამ ენაზე თუ ენებზე შეეძლება შეთხზას მხატვრული თხზულება. ასეთი შემოქმედის მხატვრული შემკვიდრობის ხარისხს განაპირობებს არა იმდენად ენათა ცოდნა, არამედ ინტელექტი. არსებობს ენისა თუ ენების შესწავლის იოლი და უცყური საშუალება – ენობრივი კონტაქტები. მაგალითად, ცნობილია, რომ სპარსეთის არაბიზაციის პერიოდში (IX-X ს.ს.), სპარსულ პოეტთა დიდი ნაწილი ორ ენაზე – არაბულსა და სპარსულ ენაზე წერდა. ამ აზრის საილუსტრაციოდ ჩვენი დედაქალაქიც გამოდგება. თბილისის ისტორიულად სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით იყო დასახლებული, მათ შორის ამერბაიჯანელი და სომეხი ერის მოსახლეობით. ამიტომ ამერბაიჯანული და სომხური ენების შესწავლა დიდ პრობლემას არ წარმოადგინდა და არც

ახლა წარმოადგენს. გარკვეულ უბნებში მოსახლეობა საყოფაცხოვრებო დონეზე ორ-სამ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობს. თუ ამ კონგინგენცში პოეტური ნიჭით მადლცხებული კაცი აღმოჩნდება, იგი შესძლებს ამ ენებზე მხატვრული ფერებით გამოხატოს თავისი სურვილები, მისწრაფებები, შეხედულებანი.

ასე რომ, ენების ცოდნა და ამ ენებზე ლექსის წერას არავითარი კავშირი არა აქვს ადამიანის პოლიტიკურ, სოციალურ, სამოგადოებრივ შეხედულებებთან, მამასადავსე არც ინტერნაციონალიზმთან.

რაც შეეხება სამ ენაზე წერის კულტურას, იგი მსოფლიო ლიტერატურულ სამყაროში უნიკალური შემთხვევააო, არც ეს არის მართალი.

მსოფლიო პოემიის ისტორიამ იცის მრავალენოვანი შემოქმედები, იცის მათი სახელებიც, ვინც ორ-სამ ენაზე წერდა, შემონახული აქვს მათი მხატვრული მემკვიდრეობა. ასეთი მოვლენა შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის მხატვრულ სიგვეამი გრადიციულად იმდენად ჩვეულებრივად იყო მიჩნეული, რომ მხატვრული სიტყვის შემფასებელნი ამ პირობას არც თუ დიდ დამსახურებად უთვლიდნენ ავტორს. ასე რომ, ვისაც ურთიერთობა ჰქონია აღმოსავლურ - მუსლიმურ ლიტერატურასთან, მას არ დასჭირდება გადაფურცლოს ლიტერატურის ისტორიის ფოლიანტებში, ისედაც გაიხსენებს უფრო მასშტაბურსა და ცნობილ ავტორებს. შემიძლია მკითხველს შოგიერთი მათგანი გაეახსენო ან გაეცნოს, რომელიც სამ ენაზე - არაბულ, სპერსულსა და თურქულ-აშერბაიჯანულზე წერდა. მაგალითად, მე-14 საუკუნის აშერბაიჯანელი იმად ედ დინ ნესიმი, რომელსაც აქვს შესანიშნავი ფილოსოფიურ-საგრაფიკო ლირიკა სამენოვანი,<sup>1</sup> თურქი პოეტი დიდი ჯვლად ედ დინ რუმის ძე სულთან ველედის სამენოვანია, წერდა სპარსულად, ბერძნულად, ანაგოლიურ თურქულად.<sup>2</sup> ასევე, XV საუკუნის

თურქი მუვიმადე აბდურაჰმან ჩელეკი,<sup>3</sup> XVI საუკუნის მთელი მახლობელი ბლმსის ლეთის მხატვრული სიტყვის დიდოსტატი მუჰამედ ფუმულიც სამენოვანი გახდავთ.<sup>4</sup> ამ უკანასკნელს აქვს ლირიკული ლექსების სამი კრებული სამ ენაზე, პოემები, ფილოსოფიური გრაქტატი და ა. შ. მისი შვილი ფაზლი სამ ენაზე - არაბულ-სპარსულ-თურქულ-აშერბაიჯანულზე თხზავდა. სამენოვანია XVI-XVII საუკუნის თურქი კლასიკოსი ნევი,<sup>5</sup> სხვადასხვა ენაზე წერდნენ სპარსულ-გაჯიკური პოემის წარმომადგენლები შაჰიდ ბალხელი,<sup>6</sup> რუდაქი,<sup>7</sup> ყასიმ ალ ანვარი და ა. შ. და ა. შ.

გამოჩენილი რუსი ორიენტალისტის ედ. ბერთელსის თქმით, მუსლიმური სამყაროს თითქმის ყოველი დიდი წარმომადგენელი გარდა დედაენისა ჩვეულებრივ რომელიმე ენაზე წერდა. თურქები სარგებლობდნენ სპარსული და არაბული ენით, სპარსელები არაბულით, უფრო იშვიათად არაბები მიმართავდნენ სპარსულსა და თურქულ ენებს, ხოლო სპარსელები თურქულ ენასო.<sup>8</sup>

ამ საინტერესო მოვლენას თავისი საფუძველი ჰქონდა. არაბული ენა მთელ წინა აზიაში მტკიცედ დამკვიდრდა, როგორც ენა რელიგიისა, თეოლოგიისა, ლინგვისტიკისა, მთელი რიგი სამეცნიერო დისციპლინებისა. სპარსულმა ენამ კი თავისი გავლენა მხატვრულ ენაზე გაავრცელა. ეს დიდებული მისია მას არგუნა შუა საუკუნეების პოემიამ, ენამ რუდაქისა, ფირდოუსისა, სანაისა, ომარ ხაიამისა, საადისა, შაფუზისა, ჯამის - და სხვათა და სხვათა. თურქებმა არაბთა და სპარსთაგან ბევრი რამ გადაიღეს, მათ შორის მშრძანების კარის ლიტერატურული ეტიკეტებიც. ამის გამო თურქულენოვანი ხალხების ენათა გრადიცია ასე გამოიკვეთა: მეცნიერების ენა - არაბული, პოემიის ენა - სპარსული, ყოფითი - თურქული.

არაბული მხატვრული ლიტერატურის უძველესი გრადიციების გამო არაბულ ენასაც



იყენებდნენ ხოლმე სპარსთა და თურქთა სალიგერაგურო მხაგრულ სამყაროში. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც სპარსული საადის „ვოლესთანში“ ჩართული არაბულენოვანი ლექსები.<sup>13</sup>

აღნიშნული გრადიცია ამიერკავკასიაშიც იყო დამკვიდრებული. დეონ მედიქსით ბგვის ცნობით ჯერ კიდევ XVI საუკუნეში სომეხი გრიგოლ ახთამარელი სამ ენაზე – სომხურ, თურქულსა და სპარსულ ენაზე წერდა ლექსებს.<sup>14</sup> XVIII საუკუნის მიწურულს საქართველოში არაერთი მეღვქმე თხზავდა ორ-სამ ენაზე. მაგალითად, შამში მეღვქონი წერდა ქართულ, ამერბაიჯანულსა და სომხურ ენებზე.<sup>15</sup> სამეწოვანი იყო ქიმიქნოვაც,<sup>16</sup> ღურგარ ოლღანიც.<sup>17</sup> რაც შეეხება ორენოვან მეღვქმეებს, მათი რიცხვი გაცილებით დიდია: ბუდაღ ოლღანი, ქემშიმ დარღიმანდი, მირზაჯანა მადათოვი, ჯეკელ ოლღანი, უზუნ ოლღანი და ბუერი სხვაც. როგორც ირკვევა, ორ-სამ ენაზე წერის პრაქტიკა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიგომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ საიათნოვას ლირიკა სამეწოვანია! დაეკვირდეთ, საიათნოვა ეროვნებით სომეხი იყო და რა გასაკვირია, რომ დედა ენა იყოდა. საქართველოში ცხოვრობდა და ქართული ენა ეცოდინებოდა. ამერბაიჯანულის ცოდნა კი პროფესიით აშუღს აუცილებლად ევალებოდა. აშუღური ლიგერაგურა თურქულენოვანი ხალხების საკუთრებაა და მისი მდიდარი გრადიციების, უბრალოდ აშუღურ მანერაზე წერა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საიათნოვასგან ამერბაიჯანული ენის ცოდნას მოითხოვდა. თბილისში კი ამ ენის შესწავლა ძნელი არ იყო.

საიათნოვას სამეწოვანი პოეზია თანაბარი ესთეტიკური პულსაციით გამოირჩევაო, თავმოწონედ აცხადებდა ზოგიერთი ჩვენი მეცნიერ-მკვლევარი. თუმცა ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ იგი სომხურ-ამერბაიჯან-

ულ ენებს ვერ ფლობდა და ასეთი დასკვნის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამჟამად სწავლის ნოვას ლირიკა ენობრივი თვალსაზრისით ჯერ არავის შესწავლია და ავტორიტეტული მეცნიერული დასკვნა ჯერაც არ არსებობს. მხოლოდ პროფესორმა ალექსანდრე ფოცხიშვილმა სცადა გაერკვია აშუღის შესაძლებლობანი ქართული ენის ცოდნისა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საიათნოვა ქართულ ენას ჯეროვნად ვერ ფლობდა.<sup>18</sup>

იმის გარკვევაც მნიშვნელოვანია თუ უცხო ენაზე შექმნილი თხზულება მხაგრული და ესთეტიკური თვალსაზრისით რამდენად ადეკვატურია დედაენაზე შექმნილისა. ელ. ბერთელისავე დასკვნით, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ფუმულის სამეწოვანი შემოქმედება, მისი არაბული ნაწილი ამკარად ჩამორჩება ამერბაიჯანულ ენაზე შექმნილს.<sup>19</sup> მეცნიერის თქმით, შესწავლილი ენა ვერასოდეს მიუახლოვდება დედნის საზღვრებს. ენა ეროვნული ცნობიერების განუყოფელი ნაწილია, რაც იმის მანიშნებელია, რომ შექმნილი ენა ვერ გაუთანაბრდება დედა ენას, რაც შემოქმედებით ფაქტორშიც იჩენს თავს.

ერთი კითხვაც მოითხოვს პასუხს – რამდენიმე ენაზე წერის უნარი მართლა გენიოსების უცყვარი ნიშანია?

თუ ასეა, მაშინ გენიოსები ყოფილან ძველი თბილისის ოკრო-ბოკრო პოეზიის წარმომადგენლები – შამში მეღვქონი, ქიმიქნოვა, ღურგარ ოლღი, ბუდაღ ოლღანი, მირზაჯანა, ბენარა და სხვანი და სხვანი!

რაც შეეხება საიათნოვას, მისი სამეწოვნებით გამოწვეული ჰიბერბოლური გამონათქვამები პოეტებისა და მკვლევარებისა იმ ლეგენდების ერთი ნაწილია, რომელიც სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო მიაწერს ჩვენს აშუღს და რომელსაც არაავითარი რეალური კავშირი არ ჰქონია მისავე რეალურ ცხოვრებას და შემოქმედებასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ლონიძე, მუსიკის სათნოე (ბიოგრაფიული ესკიზი), ტფილისი, 1930, გვ. 5.
2. ორ. აბაშიძე, სათნოე, ქართული ლექსები, თბილისი, 1968, გვ. 6.
3. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966, გვ. 219-226.
4. В. Налбандян, Певец человека и любви, Ленинград, 1982, ст. 9.
5. მ. გულუზაძე, ნესიმის აზერბაიჯან ედებიოთი თარიხი, I, ბაქო, 1960, გვ. 285 (აზერბაიჯანულ ენაზე).
6. ამეთ კაბაკლი, თურქ ედებიოთი, ისტამბულ, 1994, გვ. 308 (თურქულ ენაზე); М. С. Фомкин, Султан Велед и его тюркская поэзия, Москва, 1994, ст. 16.
7. Михри Хатун, Диван, Москва, 1967, ст. 26 (თურქულ ენაზე).
8. მ. გულუზაძე, ფუზული, აზერბაიჯან ედებიოთი თარიხი, I, ბაქო, 1960, გვ. 362 (აზერბაიჯანულ ენაზე).
9. სეთი ქემელ კარაადიოდლე, თურქ ედებიოთი თარიხი, ისტამბულ, I, 1980 (თურქულ ენაზე).
10. Е. Э. Вертельс, Избранные труды, История персидско-таджикской литературы, Москва, 1960, ст. 149.
11. იქვე, გვ. 135.
12. Е. Э. Вертельс, Избранные труды, Низами и Фузули, Москва, 1962, ст. 504-505.
13. საადი, გოღუსთანი, თბილისი, 1948, გვ. 10-11.
14. ლ. მელექიშვიტი ბეგი, სათნოეგას სომხურ ლექსთა სრული კრებული, ტფილისი, 1935, გვ. 6.
15. გ. სკანდაროვა, საღხინო ხაზანდარი, ტფილისი, 1895, გვ. 235-237; კ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S 2385-46 S v, 47 r, 49 r, 49 v, 68 v, 143 r.
16. საღხინო ხაზანდარი, გვ. 237-238; 267-268; კ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S 2385 - 31 r, 51 v, 59 v, 60 v, 61 r, 138 r, 140-146 v, 143 v.
17. კ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S 3723-14, 14 r, 116 v; S 2385 - 123 v, 143 v; S 1512 - 135 v, 136 r.
18. აღ. ფოცხიშვილი, სათნოე - ლექენდები და სინამდვილე, თბილისი, 1990, გვ. 84-93.
19. Е. Э. Вертельс, Избранные труды, Низами и Фузули, Москва, 1962, ст. 520-521.

## ძველი ლიტერატურული მოტივები ბრატონულ ციკლში

თორია ლიგერაგურის გლობალისტური გაგების შესახებ განსაკუთრებით აქტუალურად დადგა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ცალკე დარგად ჩამოყალიბდა შედარებითი ლიგერაგურათმცოდნეობა, რომელიც განიხილავდა სხვადასხვა ხალხის ლიგერაგურაში მსგავსი მოტივებისა და სიუჟეტების განვითარებას. ასევე, როგორც ჩამოყალიბდა მითოლოგიის კვლევის სხვადასხვა მიმართულება: მითოლოგიური ანთროპოლოგია, სტრუქტურალიზმი, შედარებითი მითოლოგია, რომლებიც განიხილავენ მითებს, როგორც ერთიან მოვლენას, გამოყოფენ გარკვეულ თვისებებს, პოულობენ მსგავსებებს.

შედარებით ლიგერაგურათმცოდნეობის ძირითად პრინციპად სახელდება ისტორიის გარკვეულ ეტაპზე სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში მსგავსი ლიგერაგურული პროცესების განვითარება. ისეთი იდეოლოგიური მიმდინარეობები და ლიგერაგურული სტილები, როგორცაა აღორძინება, ბაროკო, კლასიციზმი, განმანათლებლობა, რომანტიზმი და ა. შ. ვითარდება, ფაქტობრივად, მთელ ევროპაში.

XIX საუკუნის ბოლოს რუსი აკადემიკოსი ვესლოვსკი ლიგერაგურულ ევოლუციას აშზრით აღიარებდა ენის ცვლილებას: ასევე, როგორც ენებში, მიუხედავად მათი ბგერითი და გრამატიკულ-სტრუქტურული განსხვავებისა, არის საერთო კატეგორიები (მაგ. სახელები), ასევე სხვადასხვა რასისა და მრწამსის ხალხებში შეიმჩნევა მსგავსი შეხვედრები. ხშირად ერთმანეთისგან ისტორიულად და ეთნოლოგიურად დამორეული ხალხების მღაპრებსა და რიგულელებში შეორდება იგივე მოტივები და ამოყანები. ამის ახსნას ვესლოვსკი ადამიანის ფსიქიკური პროცესებით ცდილობს (86).

მაგრამ ფსიქოლოგიურ პროცესს გამომწვევი ობიექტური მიზეზები სჭირდება. ასეთი მიზეზი იყო გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური წყობა, ისტორიული ვითარება, ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ.

სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ლიგერაგურის განსხვავებული შინაარსია. ცალკეული ერთევალი ან – უკიდურეს შემთხვევაში, ეკონომიურ-სოციალურად ახლო წყობათა მანძილზე შეიმჩნევა ერთი ტიპის ან ძალიან მსგავსი ლიგერაგურული მოვლენები; რომლებიც ახლოა შოგადი ხასიათით, ეანრით, სახით თუ პირდაპირ სიუჟეტურად. მაგალითად „პარალელური ბიოგრაფიები“ დაწერეს საბერძნეთში პლეგარქემ, ჩანეთში – სიმე ციანმა. ისინი თანამედროვეები არ იყვნენ (პლეგარქე უფროსი იყო) და მათ შორის არანაირი შეხება არ შეიძლება და ყოფილიყო.

კარგად ვიცნობთ პროვანსულ ლიგერაგურას შუა საუკუნეებში, მაგრამ იმავე პერიოდში იაპონიაში განვითარდა მსგავსი ტიპის კურტუაზული პოეზია. მსგავსება იქამდე მიდის, რომ იაპონიაშიც ვხვდებით სატრფიალო ლირიკის ისეთ ეანრს, როგორცაა „დილის სიმღერა“. იაპონიაში ეს პოეზია განვითარდა IX-X ს. (არიეარა ნარინირა და კინო ეურაკი), პროვანსში – XV-XII ს. (ქუაურე რუდელი, ბერგრან დე ბორნი).

რასაკვირველია, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებაში ხალხში სხვადასხვა პრობლემატიკა, იდეა თუ მოთხოვნა იღვიძებდა, რასაც ასახავდა კიდევ ლიგერაგურა. რადგან ლიგერაგურა, როგორც ეან შარდ პეიენი აშზობს, საზოგადოების სარკეა – მის აშრებს, ადათებს და ცხოვრების წესს ასახავს (37). ამის მაგალითია ე. წ. ქალაქ-სახელმწიფოების განვითარება, სადაც ეკო-

ნომიკა შენიგნია, ლიგერაგურაშიც „ოქროს ხანა“ დგება. საბერძნეთში ამ ვითარებაში შეიქმნა ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს შედევრები; ასევე ლეგოს – ქალაქსახელმწიფოების – დროს შეიქმნა კლასიკური ჩინური ძეგლები: კონფუციის, ლაოძის, ჩენგანძის, ლუძის, სიუნძის და ა. შ.; იტალიაში მსგავს პერიოდზე მოდის რენესანსის დაბადება.

ამ მოსაზრებას ემაყრება ე. გილორი, როცა მოითხოვს დაახლოებით მსგავსი კულტურული დონის სამოვადლოებათა შედარებას (6.4). მაგრამ საბჭოთა მეცნიერები წარმოიდგინდნენ მსოფლიო ლიგერაგურას, როგორც მთლიან, ლოგიკური განვითარების მქონე პროცესს. ამიგომ ვირმუნსკი თვლის, რომ „ისტორიული პოეტიკის“ შექმნისას, ვესელოვსკი გამოიმდინარეობს გამოუთქმელი დასკვნადან (5.20) მსოფლიო ლიგერაგურის განვითარების ერთიანი და კანონზომიერი პროცესის შესახებ. ლიგერაგურული პროცესის ეს მოგადი კონცეფცია (რომელიც არსად არ გამოთქმულა), საშუალებას აძლევს მას შეაპირისპიროს ისეთი მოვლენები, როგორიცაა: ძველგერმანული საგმირო ეპოსი და „ილიადა“ ან „კალეველა“, ძველი ბერძნების საკულტო დრამა და ე. წ. „დათვის დრამა“ ჩრდილოეთ ციმბირის ხალხებში და სხვ. (2.19) ეს მოსაზრება უფრო სერიოზულად ჩამოაყალიბა კონრადმა და მსოფლიო ლიგერაგურული მოვლენის სახით წარმოგვიდგინა რენესანსი. მისი თეორიის თანახმად, რენესანსი, რენესანსის გაღლა შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დაიძრა და მისი შემადგენელი რგოლია ქართული რენესანსი – „ვეფხისტყაოსნით“ წარმოდგენილი.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ სასციკად ილაშქრებდა შ. ნუკუბიძე, რომლისთვისაც „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ლიგერაგურული განვითარების ლოგიკური შედეგია და არა „მსოფლიო ლიგერაგურული გაღლის“ ვაგრძელება.

რა თქმა უნდა, კონრადის თეორია ლიგერაგურას მექანიკური მოძრაობის მსგავსად წარმოვიდგინო, რომელიც ენერჯით გრძელდება. ამ მხრივ, კინდება წარმომშობი კულტურის როლი, ანუ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ამრისა და მხატვრული ხელოვნების ნაყ

ოფი კი არ ყოფილა, არამედ შორეულ აღმოსავლეთში აგორებული გაღლის გრაფიკის წერტილი. რაც, თავისთავად, არანაწილია.

რასაკვირველია, ეს არ გამოირჩება, ერებ-ის ურთიერთობის შედეგად, ნახესებ მოცივებს და სიუჟეტებს. ვესელოვსკიმ თავის „ისტორიულ პოეტიკაში“ პირველად წამოაყენა „სესხების სამღერებს“ თეორია: „სესხება მიმღებში გულისხმობს არა ცარიელ ადგილს, შემხვედრ დინებას, ამროვნების მსგავს მიმართულებას, ანალოგიურ ფანგამიურ სახეებს“ (2.504).

მამახადაძე, მსგავსი ლიგერაგურული მოცივებისა და სიუჟეტების განვითარება – ნახესხები თუ ორიგინალური შემოქმედების სახით – შესაძლებელია მხოლოდ მსგავს სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ საფხურზე მყოფ ქვეყნებში, რადგან „საყოფაცხოვრებო და ფსიქოლოგიური აქტის ერთიანობას მიეყვავებო სიმბოლური გამოსახვის ერთიანობამდე“ (2.513).

II

მსგავსი ლიგერაგურული მოვლენების განხილვისას საინტერესოა ნაწარმოების არამარტო იდეური, არამედ მხატვრული პარალელებიც. მაგალითად, სხვადასხვა საგმირო ეპოსში გვაქვს საერთო ეპიკური ნიშნები, სიუჟეტები, გაიდეალებულია ხალხური გმირის საბრძოლო წარმატებები; სტილური წყობაც მსგავსია, ხშირად მეორდება ეპითეტები, და ბოლოს, დამახასიათებელია ეპოსის გავრცელების ფორმა – შეპირი გაღაცემა, რეჩიგაგივით, მუსიკალური აკომპანიმენტით და სხვ.

საგმირო ეპოსის ყველა ნიმუში წარმოვიდგინო განსაკუთრებულ პიროვნებას, შეადამიანური ძალით, დაუოკებელი ენერჯით და შაღალი შორალურა პრინციპებით. დამახასიათებელია გმირის არანეულებრივი ჩასახვის თუ დაბადების მოცივი, რომელიც ვაგრელებულია მითში, ეპოსში და შღაპრებში. გმირი იბადება დედის მიერ ვაშლის შექმით, ყვავილის დაყოსვით, საოყარი წყაროს წყლის დაღვევით (კონსობარი და კუხილინი, კულტურ მითოლოგიაში), ან მასში დაბანიით (სანსასარი და ბაღდასარი, „დავით სასუნელში“), მშისგან, წვიმისგან, ქარისგან და ა. შ. ვესელოვსკის აზრით, მსგავსი მოცივები უკავშირდება პარკენოვანების (უშანკო ჩასახ

ვის) იდეას, რომელიც დედის გვარის გრადიციდან მოდის (2.533). მეორეს მხრივ, სიმბოლურ პლანში თუ განვიხილავთ, ეს მოტივი გმირის აღმშენებელს, მისი შეზღუდვების ხაზგასმას უნდა ემსახურებოდეს.

მოტივებით, სარაინდო რომანში, კერძოდ, ბრეტონულ ციკლში, მოხდა ამ მოტივის გრანსფორმაცია. პერსონაჟი უბრალოდ არაჩვეულებრივი კი არაა, აღიქმული გმირია, ის დებულობს მესიანისტურ სახეს. მისი განსაკუთრებულობისთვის ხაზგასასმელად ჩნდება უამრავი მისტიკური ელემენტი, ფეტიში, საკრალური რიტუები. მაგალითად, ჯადოქარ მორგანის ერთ-ერთ იპოსტასს, რიანონს შეილი 1 მისის დამეს შეეძინა, ეს ვალპურების დამეა და აქ სიმბოლური დაკვირვებაა (7.78).

გვიან ფეოდალურ ეპოქაში გმირის საოცარი დაბადების მოტივი ახალ შტრახებს იძენს. მაგალითად, ლანცელოტი, პერსევალი, გრისგანი იბადებიან გრატიკულ ვითარებაში, მამის დაღუპვის დროს, განდევნილი დედისგან და სხვ. ამ დროის ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გმირის ფიზიკურ მონაცემებს. პავოგრაფიისგან განსხვავებით, სადაც გმირის ხორციელი მშვენიება სულის მშვენიერებით იყო გამოწვეული, აქ სულისა და ხორცის „შესაბამისობა“ გვაქვს. ბრეტონული ციკლის გმირებიც, ისევე, როგორც სხვა ეპიკური გმირები, თვალაღები და განაღები არიან. ლანცელოტი, პერსევალი, გოვენი, გრისგანი – უმშვენიერესი გმირებია. ეს თვისება განსაკუთრებით აქტუალური სწორედ კურტუაზიულ ლიტერატურაშია, სადაც რაინდი სრულყოფილი უნდა ყოფილიყო და სხვა მრავალ მოთხოვნათა შორის მას „სიგურფე მართებს მარტ ვითა მჭეობა“. გმირის ფიზიკური მონაცემები მის მშვენიერებასთან ერთად ძალას და კარგ ბრძოლის უნარს გულისხმობს.

გმირის საოცარი ძალა და შეზღუდვების თვისებები ადრეული ბავშვობიდან ვლინდება. ის იზრდება „წლისა – დღეში და დღისა – საათში“. ეს მოტივი საყოველთაოდაა გავრცელებული: რუსულ თქმულებებში, ოსურ ეპოსში, სომხურ „დავით სასუნელში“, „როლანდის“ ისლანდიურ ვერსიაში და ა. შ. გმირს ძალის შესაფერისი კვებაც სჭირდება: რუსკ-

უმს 12 გადია ძლიერ აძლებს, როლანდი 4 გადის ძუძუს წოვს, ამირანს „სადღეღამურება კამეჩი, ვახშმად არც სამი ვყოფა“. ასევე ბრეტონულ ციკლში პერსევალი, ლანცელოტი, ბოპორტი არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებიან. მოზრდილი პერსევალი თავისთვის მშვილდ-ისარს იკეთებს და ჩიგებზე ნადირობს (8-32), მაღე კი ნანადირევით არჩენს სახლეულს. მოგჯერ იმხელა ცხოველს მოკლავდა, სამიდარსაც უჭირდა, ჭაბუკს კი თავად მოქიონდა (8.32).

რასაკვირველია, ეს ბუნებრივი მონაცემები გმირებს წარმართობიდან გამოყვით, რადგან ეს მოტივები ძალიან ძველია და ქრისტიანობაც განავითარებდა სულიერად ძლიერი გმირის სახეს, რომელიც ბედისწერის მორჩილია. ეს გენდენცია იმ ეპოქამდე ვრძელდება, სანამ დიონისე არეოპაგელი პირველად დააყენებს თეოზისის საკითხს, რითაც ადამიანში სრულყოფილების პოტენციალს დებს.

ძმადნაფიცობისა და გმირთა მეგობრობის მოტივიც ერთ-ერთი წამყვანია საგმირო-სარაინდო ლიტერატურაში. ამ მოტივის განვითარებას ვესელოვსკი ხსნის თეში მიღების რიტუალის შემკვიდრებით (2.580). დამეგობრებას წინ უსწრებს ორთაბრძოლა, როცა გმირები ერთმანეთს შეაფასებენ და ღირსეულად ცნობენ: როლანდი და ოლივიე, ილია მურომელი და ლობრინია. ასეთი მეგობრობის მაგალითები ბრეტონულ ციკლშიც გვხვდება: ლანცელოტი და გალეო, პერსევალი და გოვენი, ბოპორტი და პერსევალი. მ. შილენკი ამ მეგობრობას სიმბოლისტურ პლანში განიხილავს, განსაკუთრებით, კრეტენ ლე გრუას „გრაალის მოთხრობაში“, სადაც მოქმედება პარალელურად ვითარდება (პერსევალის და გოვენის თავგადასავალი): მათ შორის უამრავი მსგავსება მკვლევარს აუიჭრებინებს, რომ ეს ორი გმირი ერთი პერსონაჟის ალტერნატივებია ანუ გაკეთებული არჩევანის შემდგომი განვითარება (10.34). ასეთივე ამრი აქვს ე. შორის გოვენის და მისი ძმების თაობაზე: გაერიე (აპერიე) გოვენის მეორე მუა – მისი კეთილი მხარე, გაერიეს სიკვდილის შემდეგ გოვენში სიძულვილი მძლავრობს, რაც, საბოლოოდ, დაღუპავს (11.82). მაგრამ აქ განხილვა ხდება სიმბოლურ-

მეგაფიმიკურ პლანში და არა მხატვრულში.

მსგავსი დამეგობრება უნდა იყოს ნაწარმოებების ციკლიზაციის ერთ-ერთი საშუალება. ფეოდალურ ეპოქაში ციკლიზაციას გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაგვირთვა უნდა ჰქონოდა. რადგან შუა საუკუნეებში ხასიათდება ობიექტურის წინ წამოწევით, სუბიექტურის დათრგუნვის ხარჯზე. დღის წესრიგში დადგა ცენტრალიზებული მართვის საკითხი, რასაც განასახიერებდა კარლოს დიდის, კიეველი ვლადიმერის, ჯანგარის სამეფო კარი. ყველა შემთხვევაში ეპიკურ მონარქს გარს არტყია ინდივიდუალური თვისებების და ბიოგრაფიის მქონე გმირები. ისინი ემორჩილებიან მეფეს და ერთი საბრძოლო ძმობის წევრები არიან. საინტერესოა, რომ ციკლიზაცია მხატვრული დანიშნულების გარდა, ერთგვარად ეროვნული გამოვლიანების იდეას ატარებდა... მისი ცენტრი – მეფე – ქვეყნის სუვერენიტეტს განასახიერებდა. ამიგომ ეპიკური ციკლიზაცია დღის წესრიგში იდგა იქ, სადაც წამოიჭრებოდა ეროვნული თვითშეგნების, მამულის ერთიანობის პრობლემა. ყველაზე ნაკლებად ციკლიზაცია შეეხო გერმანულ ეპოსს. თქმულებები ზიგფრიდსა და ნიბელუნგებზე

(რინის ციკლი). ლიგრიხსა და ფრმანარისზე (დურაის ციკლი) და მოგიერთი სხვაე XII-XIII ს. ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. ეპიკური მთლიანობის არქონა ასახავდა ეროვნული ერთიანობის არქონას დაქუცმაცებულ გერმანიაში. გერმანული ლიტერატურისგან (გერმანული აღორძინება, რომანტიზმი და ა. შ.).

მამასადამე, მსგავსი სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში ვითარდება მსგავსი ლიტერატურული მოტივები და სიუჟეტები. ისინი შეიძლება დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ (რადგან საფორმაციოებო და ფსიქოლოგიური აქტის ერთიანობას მიეყვართ სიმბოლური გამოსახვის ერთიანობამდე – ა. ნ. ვესელოვსკი) ან ხდება მათი სესხება. მაგრამ სესხებისთვისაც საჭიროა, რომ მიმღებში იყოს შემხვედრი დინება, ამროვნების მსგავსი მიმართულება.

ასეთი მსგავსი და საყოველთაოდ გავრცელებული მოტივები გვხვდება ბრეტონულ ციკლშიც: გმირის საოცარი დაბადება, ფეგში, ბავშვობიდან გამოვლენილი შეზუნებრივი ფიზიკური მონაცემები, ძმადნაფიცობა, პოლიტიკური ცენტრის – მეფის – ირგვლივ გაერთიანება – ციკლიზაცია.

**ბიბლიოგრაფია**

1. ნუეუბიძე შ., „კრიტიკული ნარკვევები“, თბ., საბჭოთა საქართველო, 1969.
2. Веселовский А. Н., „Историческая поэтика“, Л., 1940.
3. Веселовский А. Н., „Сравнительная мифология и её метод“, СПб, 1938 т. XVI.
4. „История всемирной литературы“, М., Наука, 1983.
5. Жирмунский В. М., Сравнительное литературоведение, Л., Наука, 1969.
6. Тејлор Э., „Первобытная культура“, М., 1949.
7. Markale Y., „La Fee Morgane, P. Pygmalion, 1994
8. Markale Y., La Reraval le Gamlois, P. Pygmalion, 1991.
9. Maurice Y., Mort le Roi Arthuz, PUF, 1995.
10. Yzkilnik M, Reraval ou le Roman du Greal, folio, 1998.



პრინტ გვერდი

## ისლამი: განსხვავებული შეხედულება ადამიანის უფლებაზე

დასავლეთი ადამიანის უფლებებს იმ ჩამოყალიბებული სტრუქტურის ჩარჩოთა პრიზმაში განიხილავს, სადაც ეს უფლებები შეიძლება განხორციელდეს. ეს არის სტრუქტურა ისეთი სახელმწიფოსი, რომელიც ერთის მხრივ ძლიერი უნდა იყოს, რათა საზოგადოებრივი წესრიგი დაიცვას, მეორეს მხრივ კი, არა ყოვლისშემძლე, რათა საზოგადოება არ დათრგუნოს. ასეთ სახელმწიფოს უდავოდ რეალური ქმედებაც უნდა შეეძლოს და აუცილებელი ამოცანების გადაჭრაც, თუმცა მათ რიგში მთელი კაცობრიობის გაბედნიერება ან საყოველთაო სამართლიანობის დამყარება ნამდვილად არ მოიაზრება; სხვათა შორის, არც საერთაშორისო კორუფციასთან ბრძოლა ასეთი სახელმწიფოს ფუნქცია.

რა საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს „ადამიანის უფლებების“ წარმოშობას, დღესდღეობით დასავლეთში მისი მნიშვნელობაცა და გამოყენებაც აბსოლუტურად საეროა. „ადამიანის უფლებები“ თანაბრად ვრცელდება მორწმუნეებზე და ურწმუნოებზე და რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე თუ მოთხოვნებზე არაა დამოკიდებული. იგულისხმება, რომ ნებისმიერ ადამიანს დაბადებისთანავე აქვს ხელშეუხებელი უფლებები, განურჩევლად იმისა, არის თუ არა იგი რაიმე თეოლოგიური დოქტრინის მატარებელი. ეს უფლებები იმაზე არაა დამოკიდებული, მიიღებ თუ არა რაიმე რწმენას. ადამიანთა ძირითადი უფლებების არც მნიშვნელობა და არც გამოყენების დონე რელიგიურ მრწამსს არ ეფუძნება.

„ადამიანის უფლებებთან“ ასეთი დამოკიდებულება, ყოველგვარი გამონაკლისებისა და შენიშვნების გარეშე, სწორედ გიპიური ილუზიაა იმ დასავლეთელი ადამიანისა, ვინც მიუნაუშენივით ჭაობიდან თავისთავის თმე-

ბით ამოთრევას ცდილობს. ასეთი დამოკიდებულება პარაზიტი ხდება იმ ქრისტიანულ-რელიგიური ტრადიციებისა, რომლის უარყოფაც თავად უნდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: დღესდღეობით ადამიანთა უფლებების დოქტრინას არავითარი რელიგიური საფუძველი არა აქვს.

### სხვა ჯეშმარიტებანი

ახლა სხვა სოციალური წესრიგი განვიხილოთ. მისთვის დამახასიათებელია ისეთი სახელმწიფო, რომელიც ერთი მხრივ არასაკმარისად ძლიერია, რათა ძალადობა დააკანონოს და ამის მონოპოლიური უფლება მოიპოვოს, მეორეს მხრივ აბსოლუტურ ძალაუფლებაზე აქვს პრეტენზია, რადგან ამას მორალური ნორმების გამოხატულებად მიიჩნევს. მისი ამოცანაა სიკეთე წაახალისოს და მანკიერება დასაჯოს, ხოლო მისი მიწიერი ვალი ლეთიური წესრიგის მხარდაჭერაა. ის მზადაა და შეუძლია კიდევ ისეთი სამოქალაქო საზოგადოებას უხელმძღვანელოს, რომელიც მასთან ძალა-უფლებას სულაც არ ინაწილებს.

ეს დახასიათება, რომელიც სისუსტესა და სიძლიერეს აერთიანებს, წინააღმდეგობრივი სულაც არაა: ის ცოცხლობს და ისლამური სამყაროს საზღვრებში სრულიად რეალურია.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია: მუსულმანი უცილობლად უარყოფს დასავლეთის თანამედროვე სოციოლოგიის საერთო აზრს იმის შესახებ, რომ მსოფლიო გარდაუვლად საერო ხდება.

სეკულარიზაცია მუსულმანურ სამყაროს არ შეეხება. ორი-სამი შემთხვევის გარდა (მაგალითად, თურქეთი), რელიგიის ძალა-უფლება სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე ხელშეუხებელია. უფრო მეტი, ძლიერდება კიდევ. და

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ეს ერთიანი-  
ად ეხება როგორც კონსერვატორულ რაიონ-  
ებს, სადაც სათავეში გრადიციული ხელისუ-  
ფალნი დგანან (ჩრდილოეთ ნიგერია, საუდის  
არაბეთი), ასევე რადიკალური ორიენტაციის  
სახელმწიფოებს, სადაც სათავეში ახალი ორი-  
ენტაციის ხელისუფალნი მოვიდნენ (ლივია,  
სამხრეთ იემენი, ალჟირი).

რით შეიძლება ამისი ახსნა?

სწორ პასუხს რამდენიმე მიზეზი აქვს.

საღიჯო წერილის მონოთეიზმი, მორალური  
სიწმინდე და ეგალიტარიზმი, რასაც მალაღი  
ისლამი ქვდაგებს, ახალი დროის მორალურ  
მოთხოვნებს ეხმიანება. უცვლელი მხოლოდ  
ურყევი რწმენა და დაქვევის უარყოფა ხდება.

მალაღი ისლამი ფართო სამოგადობრივი  
ფუნების ცხოვრებაში შეფარვით ყოველთვის  
მონაწილეობს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი  
კულტურა, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი რჩე-  
ბა. ეს უწყვეტი კავშირი ისლამს საშუალებას  
აძლევს შემოქმედება მოახდინოს როგორც  
ახალი, ქალაქური მასების თვითშეგნებაზე,  
ასევე სამოგადობის იმ ფუნებზე, ვინც  
ერთნულ თვითშეგნებას კოლონიალურ ხე-  
ლისუფლებასა და თავისივე დასაუღეთისკენ  
გადახრილ ელიტასთან ოპოზიციით იძენენ  
(როგორც ირანში). ისლამური კულტურა მათ  
მოქალაქეობრივ სტატუსს გრადიციულ მა-  
ღალ ფუნებთან ათანასწორებს და თანამედ-  
როვე ხელისუფალთა მეუპირატესობისაღმი  
მათ პროტესტს გამოხატავს. სწორედ ამიტო-  
მაც ებღაუჭებიან ჯერ კიდევ ცოცხალი ხნის წინ  
მიეწვეულ უდიდეს გრადიციებს, რომელიც  
უცებ, თითქოს ჯადოსნობით, ცხოვრებაში კე-  
ლავე აღორძინდა.

ასეთი რელიგიური იდეოლოგია, რომელ-  
იც დახვეწილი მონოთეიზმით გამოირჩევა,  
ხოლო ადათ-წესების აღსრულების უთიკით  
დამორჩილების უთიკას უპირისპირდება, საო-  
ცარი წარმატებით ეწერება თანამედროვე  
ცხოვრებაში და მუსულმანურ სამყაროს სა-  
შუალებას აძლევს თავიდან აიცილოს ის  
დღემა, რომელიც უცილობლივ წამოიჭრება  
მესამე სამყაროს ყველა ქვეყნის წინაშე: გარე-  
ღან (დასაუღეთიდან) შემოჭრილი კულტურა  
მიიღოს თუ პოპულიზმი ამჯობინოს? მუსულ-  
მანურ სამყაროს შეუძლია საკუთარი რწმე-

ნის მაღალი კულტურით ისარგებლოს, რო-  
მელიც ნამდვილად მისია და არა გარეგანი  
შემოგანილი.

მესამე სამყარო დიდი ხნის წინ რეინზე  
ჩაისახა და ქვეყანათა უმეტესობა განვითარე-  
ბის ამ სტადიის გავლისას იგივე დილემას  
შეებალა. მუსლიმანური სამყაროს რეაქციამ  
კი დასაუღეთის გამოწვევაზე თავისებური  
რეფორმაციის, ანუ ძველი რწმენის განწმენ-  
დის ფორმა მიიღო.

ახალი სამყაროს მეორე თვისება: სახელმ-  
წიფო სამოქალაქო სამოგადობასთან მიმა-  
რთებაში კელავ ძალიან ძლიერი რჩება. ამ  
ეგაპზე იგი იმ ფუნებშიც კი გაძლიერდა, სადაც  
აღრე სუსტი იყო. ახლა მას შეუძლია თავისი  
ნება იმ გლუხებსაც კი მოახვიოს თავზე, ყვე-  
ლაზე მიუღვამელ რეგიონებში რომ ცხოვ-  
რობენ. თანამედროვე სამხედრო, აღმწინსვრაცი-  
ული და კავშირგაბმულობის ტექნიკა ამის სა-  
შუალებას იძლევა. სახელმწიფოს პოზიცია იქვე  
ძლიერი რჩება, სადაც გრადიციულად ძლიერი  
იყო – ქალაქებში და მკვიდრი მოსახლეობის  
გეოგრაფიულად მისაღწევ რაიონებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქციფიკურად  
ისლამური თვისება არ არის, ეს მილიანად  
მესამე სამყაროს ახასიათებს. ამკარად იკვეთ-  
ება, თუ როგორ უპირისპირდება და თრგუნავს  
სამოგადობას გარეღან მიღებული კონტრო-  
ლის ტექნოლოგიით აღჭურვილი სახელმწიფო.  
დათრგუნვის ტექნოლოგიის სესხება ყო-  
ველთვის უფრო იოლია, ვიდრე წარმოებისა.  
გარდა ამისა, უპირველესად მუღამ ძალადობის  
გამოცდილების სესხება გინდება ხოლმე.

ძალადობის უახლესი სისტემის იძულებითი  
შემოგანა ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო  
წარმოებას ახალი სისტემაში აქცევს, რაც თვით-  
წარმოების უნარით გამოირჩევა. გარდა ამისა,  
ძალადობას მეტი გამოირჩევა აქვს, ვიდრე წარ-  
მოებას, შესაბამისად ბრძოლა ძალადობის იერ-  
არქაში ადგილისთვის იწყება, რაც თავის შხრევ  
სამეწარმეო სექტორს ყოველგვარი განვითარე-  
ბის საშუალებას უსპობს.

სხვა რეკოლუცია

ქვეშარბი ფუნდამენტალისტები ანუ ისი-  
ნი, ვინც რელიგიურ ღიღერს სამხედრომე  
მაღლა აყენებენ, ირანის რეკოლუციის დროს

ხელისუფლების სათავეში ფრიად ღრამბატული სიგუაყიით მოვიდნენ და დასახლეის მუსულმანური ფუნდამენტალიზმის დიდი მნიშვნელობა დაანახეს.

მუსლიმანურ ქვეყნებში სხვადასხვაგვარ სამხედრო ლიდერებს ვაწყდებით. ერთნი ღრმად და ჭეშმარიტად რელიგიურნი არიან, მეორენი პრაგმატული რწმენით გამოირჩევიან. გუნისში, ვთქვათ, სეკულარიზმით აღჭურვილ ლიდერებს ვხვდებით (თურქეთის თავისებურ და ორამროვან სეკულარიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ). მმართველობის ორი განსხვავებული გიპი შეიძლება გამოვყოთ: გრადიციონალისტები (საუღის არაბეთი, ჩრდილოეთი ნიგერია) და სამხედრო თუ გეჟნიკურ სკოლადამთავრებული მოღერნისტები, ეგრეთწოდებული „ახალი მამულეები“.

არის ისტორიის რაღაც ირონია იმაში, რომ კლერიკალური ფუნდამენტალიზმის წმინდა ნიშნად დღეს ირანი გვევლინება. სპარსელებისთვის შიიზმი ისევე ქმნის ცხოვრების სტილს, როგორც პოლონელებისთვის კათოლიციზმი ან სერბეთისთვის მართლმადიდებლობა. მოგერთ ქვეყანაში შიიგები ნახევრად იაგაკვეშა მღვდომარეობაში არიან, ირანში კი, ხელისუფლებაც ამ რელიგიიდან ამოღის და თვითშეგნების გარანტიად ის გვევლინება. ისლამის ჩარჩოებში შიიგებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ნომოკრაგია, ანუ კანონის ერთგულება და წმიდათაწმინდა კულგი. საზოგადოების კულგი, წმინდა წერილთა კულგი, წმინდა მეუფის კულგი მუსულმანური თეოლოგიისათვის გამჭოლი თემებია. სწორედ შიიგებმა გასყეს პასუხი პლაგონის მიერ წამოჭრილ უძველეს შეკითხვას: ვინ ხელმძღვანელობს ხელმძღვანელებს? ამის თეოლოგიური ვერსია კი ასე გამოიყურება: ვინ შეამოწმებს მოძღვრების განმმარტებელთა განმარტებებს?

შიიგები ამ უფლებას იმამებს უთმობენ. იმამების მიუკერძოებლობისა და მოუსყიდველობის რწმენა იმდენად ძლიერია, რომ მათი განცხადებები კანონის ძალას იძენს და დაეჟეუბის ადგილს აღარ გოვებს. შედეგად, რა თქმა უნდა, პრეგენშია რეალურ და უღაეოდ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე მხოლოდ იმამებს შეიძლება ჰქონდეთ.

თუ ყველაზე არა, ბევრი შიიგური მიმართულების პოლიტიკურ პრაქტიკაში ვიღად იგრძნობა ფარული იმამის იღის გავლენა. როცა ჭეშმარიტი ლიდერი და წინასწარმეტყველი ფარულია, ვიღაცამ მისი როლი თავის თავზე უნდა აიღოს. ამგომ ისლამის მოგერთ მიმართულებაში ნებადართულია, იმაში ფარული კი არ იყოს, ღიად, ხალხში მოჩანდეს. ეს სახალხო, პოლიტიკური თეოლოგია განსაკუთრებით მაშინ ხდება ეფექტური, როცა კანონის ღვთის ნებას უპირისპირებენ და ამით მმართველობის სისტემას ცვლიან.

თუ ამ თვალთ შევხვდავთ, ირანის რევოლუციის წარმატება გასაგები ვახდება, ის ხომ სამხედრო თვალსაზრისით უსუსურ და ეკონომიკურად განადგურებულ ქვეყანაში არ მოხდა. პირიქით, ამ უმდიდრეს ქვეყანას ზეთანაშეღროვე, დაუმარცხებელი არმია ჰყავდა. ეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს, სადაც ხალხის მუხსიერების სიღრმეში მეწარმეობის კულგი ცოცხლობს და დროდარო მოქმედებს მოითხოვს. სწორედ მეწარმეობის ექსტაზის წყალობით შესძლეს შიიგურმა მემამოხეებმა შაჰის რეჟიმის შეიარაღებული ძალების დამარცხება. თავად პოშიენი ამის შესახებ ამაყად წერდა:

„შიიგური სკოლა იმთავითვე... მთელი რიგი უნიკალური თვისებებით გამოირჩეოდა. სხვა თეოლოგიური დოქტრინები ხელისუფალი თვინიერად ემორჩილებიან, მაშინაც კი, როცა ისინი სისასტიკისა და კორუფციის ჭაობში არიან ჩანთიქმულინი. შიიზმი კი პროტესტის უფლებას ქადაგებს და ასეთ ხელისუფალი უკანონოდ აყხადებს. წარმოშობის დიდიანვე შიიზმი დოთრგუნის ოპოზიციის თეოლოგია იყო“.

უღაეოა, რომ მოწამეობის შიიგურმა კულგამ რევოლუციას დიდად შეუწყო ხელი. სამაგეროდ იგეფე კულგი უკანა პლანზე აღმოჩნდა მაშინ, როდესაც რევოლუციის შემდგომი, ახალი საზოგადოების მშენებლობა და მისი კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავება დაიწყო.

ახლა მთავარ აუცილებლობად კანონის საყოველთაო გამყარება და მისი ერთგული, თავგანწირული ერთგულება ითვლება, განურჩევლად იმისა, გამონდება ადამიანთა შორის ფარული იმაში თუ არა.

კანონის გაგარება ხელისუფლთა საქმეა და ისიც თავის მოვალეობას მორიდ მოსვლამდე ასრულებს. პომეინის სწავლების მიხედვით იმამები თავის თავზე პოლიტიკურ ვალდებულებებს მხოლოდ დროებით იღებენ – დაახლოებით ისე, როგორც მე ვითანხმები დროდადრო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული სამუშაო შევასრულო.

სანამ ფარული იმამი კვლავ არ გამოჩნდება, სახელმწიფო სხვამ, ყველაზე უფრო შესაფერისმა უნდა მართოს. ამ ამოცანას კი სწავლულ სამართალმცოდნეებზე უკეთ აბა, ვინ შეწყდება?! დროებითი მთავრობის რთული ფუნქციები თავის თავზე რესპუბლიკური მმართველობის ორგანიზებმა უნდა იგვირთონ იურისტების მეთაურობით.

აი, ასე ჩნდება სამართლიანობის ახალი წრე – საზოგადოება სამართლიანობას მოითხოვს, ეს კი შესაძლებელი მხოლოდ იქ ხდება, სადაც სახელმწიფოს სურს ან შეუძლია. ეს მათი ხედვებით ხდება, ვინც კანონი იცის და ესმის კიდევ, რადგან განმარტება უკვე მიიღო. პომეინის მიმართვის ამრიგ სწორედ ესაა: ისინი ვალდებული არიან ეს როლი იგვირთონ, ყოველ შემთხვევაში ფარული იმამის მოსვლამდე მაინც და მის გარდა ამ ვალდებულებისაგან მთი ვერაფერს გაანთავისუფლებს.

თუკი იმ სიმდიდრესაც გავითვალისწინებთ ნავთობს რომ მოაქვს, სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური კონტროლი თავის სიმბაზურს კარგავს, თუმცა პომეინი დაფინანსებით მოითხოვდა გადასახადების გრადიციული, მუსულმანური პრინცი პების აღდგენას.

სამოქალაქო საზოგადოების ხელისუფალთა წინაშე არსებითად ერთადერთი მოვალეობა აქვს – ეს მორჩილებაა. ჯილდოდ მას კვლავ აღორძინებულ, გამყარებულ მორალურ ფასეულობებს მართმევენ და იმ თანამედროვე უღმერთო საზოგადოების ხაფანგებისგან დაიცავენ, რომელსაც არც ფესვები აქვს და თანაც ცოდვების ჭაობში იღრჩობა.

პომეინი წერს:

„უფლის წმინდა წინასწარმეტყველმა... თავის თავზე იგვირთა ამ ცხოვრებაში კანონის დაფუძნება, ამ ქვეყნად ისლამის მოთხოვნების გამყარება და ამით ღელამიწაზე ისლამური სახელმწიფოს შექმნა. იგი არა მხოლოდ ად-

ერებდა კანონს, თავადაც აღასრულებდა. ხელებსაც თავად აჭრიდა, მოლგავედა და მოლგავედა და ქვევითაც თავად ქოლავედა. წმინდა წინასწარმეტყველის მიმდევრებმა დღეს იგივე უნდა გააკეთონ“.

„დღეს აღარაინ საუბრობს... სიცილით დასჯის გაუქმებამ“.

„ისლამური მმართველობა არც ერთ სხვა ფორმის მმართველობას არა ჰგავს... იგი არაკონსტიტუციურია ამ სიცივის პირდაპირი გაგებით... სამაგიეროდ კონსტიტუციურია იმ გაგებით... რომ მმართველი რაღაც პირობების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს... ეს პირობები კი ყურანსა და წმინდა წინასწარმეტყველის სუნამია ჩამოყალიბებული. ამიტომ ისლამურ მმართველობას წმინდა წერილის მმართველობა შეიძლება ვუწოდოთ“.

საერთო იდეა ნათელია – მუსულმანურ სამყაროს მხოლოდ წმინდა წერილი უნდა მართავდეს. იმამის მოვლინებაზე კანონს სწავლული მამები უნდა განმარტავდნენ და ნერგავდნენ. ამგვარად, მთელი ძალაუფლება პიროვნებაში კი არა, კანონში იყრის თავს.

## ორი სიბართლი

ახლა ვიმჯელოთ, რა სახე შეიძლება მიიღოს ასეთი პირობებში ადამიანთა უფლებების კონცეფციამ თეოლოგიის მიღმა დარჩენილ ადამიანთათვის. თავად პომეინი ცალსახა პასუხს იძლევა:

„ქსენოზანიაკეობ, დასავლეთით დაბადავებულეობ... გამოფხიზლდიო! მიხედ-მოიხედიო და დაინახეთ დასავლეთში ადამიანის უფლებათა დამცველის როლში ვინ გამოდის და რა მიზნები ამოძრავებს. ვითომ ადამიანთა უფლებებზე მრუნავენ? იქნებ შესახელმწიფოს უფლებები უფრო აღლვევით? ჩვენი იურისტები მთი არამც და არამც არ უნდა დაეშვავენ“.

რა თქმა უნდა, პომეინი რამდენაღმე მართალია, როცა ამტკიცებს ჩვენი კონცეფცია გირანული სულაც არააო. რაღაც კეთილშობილური ნამდვილად იგრძნობა კანონის ასეთ უანგარო ერთგულებაში, ყოველგვარი ადამიანური მოქმედების მიღმა რომ დგება.

მუსულმანურ ცივილიზაციაში ასეთ ელემენტებს ყოველთვის ვხვდებით. თავისთავად იგი მუშაკავშირებული ფაქტორი ვერ გახდ-

ბოლა, მაგრამ წმინდა წერილით შექმნილ მარადიულ და უცვლელ კანონებზე დაყრდნობა, პლუს დამოუკიდებელ, აგრესიულ, შეკავშირებულ ხელისუფლებას მოწყურებული გომებისა და რელიგიის საფუძველზე აღმოცენებული სახალხო რისხვის სამიმროება მმართველებს უხსოვარი დროიდან სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.

მარქსიზმი ან სოციალიზმი ასეთ ფართო მასებს ვერ გააერთიანებს.

აწ გარდაცვლილი მწერალი გალალ ასადი ამტკიცებს ისლამსა და მარქსიზმს არაფერი აქვთ საერთო და იმ ამრს უპირისპირდება, რომელიც აცხადებს, ორივე მოძღვრება ცდილობს საზოგადოებას თავზე გოგალური მორალური სისგება მოახვიოსო. და აი, რა საინტერესო არგუმენტით ადასტურებს, რომ მუსულმანურ და მარქსისტულ სოციალურ წყობას შორის საერთო არაფერია:

„... ცოცხათი დაფიქრლები თუ არა, მამინვე მიხვდები, რომ მნიშვნელობა შარიათის კანონთა ლიგურატურულ შინაარს ან თუ გნებათ თავად გქვსტს კი არა, იმ დონესა აქვს, რა დონეზეც ის სოციალურ პრაქტიკას აესებს და არეგულირებს. არც არასოდეს არსებობდა და არც ახლა არსებობს ისეთი მუსულმანური საზოგადოება, სადაც ისლამის კანონებს სოციალური ცხოვრების ფრაგმენტებზე მეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა“.

და იქვე აგრძელებს:

„თანამედროვე სახელმწიფოებში... ადმინისტრაციული და სამართალდამცავი მექანიზმები... საზოგადოებრივი ცხოვრების გასაკონტროლებლად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტურია, ვიდრე ოდესმე ისლამი შეიძლება ყოფილიყო“.

ასადი, რა თქმა უნდა, სადაც მართალია. ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფო მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით, გრადიციულ სახელმწიფოებზე უფრო ეფექტურია. მაგრამ მთავარი სხვა საკითხია: კრძოლ ის, შეიძლება თუ არა თანამედროვე სოციალისტური სახელმწიფოები გრადიციულ ისლამურ

სახელმწიფოებს შეეადაროთ? იქნება კი სამართლებრივი ასეთი შედარება? ერთ მემონივევამის და მეორეშიც საქმე ძლიერ სახელმწიფოებთან გვაქვს, რომელიც მორალურ დოგმაზე დაფუძნებული და რაღაც იდეას ემსახურება. სახელმწიფო ამ შემთხვევაში იმ იდეის განხორციელების ინსტრუმენტად განიხილება და ყოველ მოქმედებას იმით ამართლებს, რომ კაცობრიობა ბუნებრივ მოძაველისკენ მიჰყავს. იგი უპირატესობას რაღაც უზენაეს სამართლიანობას ანიჭებს და არა სამართლიანობის სამართლებრივ ნორმას.

„აღამიანის უფლებების“ დასაქვური გაცება კი პირიქით, თავის თავში თეოლოგიური „არყოღნის რიდეს“ ატარებს. აქ პატივისცემით ექცევიან პოსტულაგს იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტება არაივს შეუცენია, ამიგომ ის ყველას საკუორებაა. ჩვენი სოციალური კონტრაქტი იმის აღიარებაზე დაფუძნებული, რომ საზოგადოებრივ სფეროში ჩვენ მრწამსი კი არა, სკეპტიციზმი გვაერთიანებს. არადა, გაერთიანება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა უარს არა მხოლოდ იარაღზე, დოგმაზედაც იცავი.

მეორე, აღამიანის უფლებების განხითარება ეფუძნება, რეალური ენით რომ ვთქვათ, საზოგადოებაში რაღაც კონტრაქტალის არსებობას, რომელმაც კონტროლიორები უნდა გააკონტროლოს და სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება შემღვლოს.

ასეთი სიკუაცია სახელმწიფოს საშუალებას არ აძლევს ჭეშმარიტების მონოპოლისტად გადაიქცეს, თავისი უდავო წარმოდგენები სარწმუნოებაზე და კანონზე ყველას და ყოველს თავს მოახვიოს და პასუხი მხოლოდ ღმერთის წინაშე ავოს და არა თანამოქალაქეების წინაშე.

დღეს კი, როცა ძლიერი გრადიცია და ამ გრადიციამ აგებული პოლიტიკური ქმედება სხვა ძლიერ პოზიციას ეძლება, ძალიან მწვავედ დგება კითხვა: შესაძლებელია კი საერთო ხელვის კუთხე აღამიანის უფლებების შესახებ წმინდა წერილის დამცველებსა და ლიბერალ-სკეპტიკოსებს შორის განდღეს?



## ზურაბ ნიჟარაძის ფირწარული ნიუანსები

მომაკვდავი ემა ბოფარი ფლობერმა მწარდი ვიბრაციის ატმოსფეროში ჩაძირა.

ემა კვებოდა ატლასის კაბაში, რომლის ნაოჭებშიც მოვარის სინათლესავით გადარბოდნენ ჩრდილები...

ეს იყო მაგერიის სახეცვლილება, ხილულის გარდასახვა უხილავეში; და, პირუკუ—

ასეთი ხელშესახები გრანსფორმაციებით ძალიან ახლობელ, საყვარელ არსებებს ხატავენ. ეგზომ მოუხელთებელი ვიბრაცია, სამყაროს პულსირებადი ველის განვრცობა თავისებური პანტომიმოდრამაა, ემუხალური მუსიკაა — სიერეში განფენილი.

ზურაბ ნიჟარაძე ამგვარ ემუხალურ მუსიკას ელტვის. იგი გულით ხატავს, თუმცა, ალბათ, ისიც იცის, რომ „გულსაც უნდა ბერგყვა, როგორც სურჯინს...“ ამასობაში გვინი იწყებს მუშაობას. ამ, როგორც ანრი ბერგსონი იტყვოდა, „პანტომიმის ორგანოში“ თამაშდებიან მხატვრის მიმეტური სხეულებრივი გრანსები.

მხატვრის ყველა ფერიც „პანტომიმის ორგანოშივე“ მწიფდება. ამ „ორგანოს“ საქმე აქვს ვიბრაციების ასლებთან, მათ ჩანაწერებთან, სულიერი მოძრაობების უსასრულოდ რეპროდუცირებად სისტემასთან, რომელსაც გვინი, დიახაც, განის ვიბრაციებით პასუხობს ხოლმე—

სიმულაციითა ასეთ ჩაკეტილ სისტემაში, შეუძლებელია, აზრმა არ გამოხატოს ფუნდამენტური განხეთქილება უნივერსალურ მიმეტიზმთან, მაგერიისა და მესხიერების ამ ურთიერთშექცევად პანტომიმასთან.

ეცობა, ნიჟარაძისეული ფერწერული მესხიერებაც, მარტოოდენ, ელემენტარული ვიბრაციიდან კი არ წარმოიშობა, არამედ განის მოძრაობებითაც სტიმულირდება და მისივე სტრუქტურიდან იბადება.

მას უყვარს სხეული. ქალის განი ხიბლავს. იზიდავს, უპირველესად, ფერი — სამოგადოდ მდებრის. ამ ფერის უსასრულო ვიბრაციები-

სა და ამ ვიბრაციების წმინდა მიმეტიზმის მოხელთებასაც ამიგომ ხომ არ ღამობს?!

ნიჟარაძე დაზგური სურათის აღეპგაა, ოპუსის ესთეტიკის ჯიუტად თანმიმდევრული აღეპგა. ოლონდ, გარკვეულწილად, არღვევს კიდეც სურათის კლასიკურ გექსტს. სახელდობრ: მისი სასურათე სიერეე კონტინუალურია, უწყვეტი, საზღვრები მარკირებული არაა. ფიქსირებული თეატრალიზებული სიერეე უეხოა მისთვის, თუმეა განათების რამპული ჩარჩობეე აქვს ხოლმე მონიშნული და მინიე, მის სურათეში ატოპია და კეტეროტოპიაა გამეფებული. მისი სხეულებეე, ალბათ ამიგომაა უადვილო. მისეულ ქალეებს, თითქოსდა, განის ადგილებეე შენეელებული აქეთ... ილუმორულად, რაც სხეულის სიერეული უნივერსალიზაციის განედასაც ბადებს.

სიერეის ატოპია-კეტეროტოპიულობას პაერის კრისტალურობა შეესატყვისება. ასე გვონია, პაერის მასას ხატავსო. უფრო მუსტად, კრისტალეში გუმბავსო პაერს, რომელეე ძლივს ეტევა ამ კრისტალიზებულ საზღვრეში. მერე კი ამ გამჭვირვალე კრისტალეებიდან გარდატეხილი, რეზონანსული სინათლისმიერი მასეები სურათის ქრომატულ პარტიტურაში გადბანაწილდება.

ასე იწყებენ ნათებას სხეულის ფერწერულად მეტონიმიური დეტალეები, კრისტალურად სტრუქტურირებული ფრაგმენტეები — ეს თავისებური კეტ-ეროტეული მონეები. მათი ნიუანსობრივი ვიბრაცია თუ კიღურების შეუმწეველად მონიშნული „როკაიღური“ აქცენტეები რაღაც გაუმხელელ ეროტიკულ „მესიჯს“ გამოსეყმენ. ეროტიკულს — სიუზან სონტაგისეული გატეებით.

როგორეე ყველა ნამღვიღ მხატვარს, თითოეული ოპუსისათვის, მასაც ლიმიტირებული გრძნობაღი არსენალი მოეპოვება. ესაა მადანი, რომლის რეწვაც მხოლოდ მას ხელე



წივება. მოღიანობაში ნიკარაგის სამყარო შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გამაბრუნებელი მგრძობილობით გონივრებული ორიქლის აბანო, სადაც ძვირფასი თელებით ანათებენ სხეულები. ალ. ბაჭუქაშვილი ქოის მსგავსად, ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი ნიკარაგისთვისაც ქალის სხეულია, ქალის განი პლუს ფაქტურის ძვირფასი ზედაპირი, ანუ ნაგურაც და ზენაგურაც. ლეკორატიულ პლენერზე გათამაშებული შირაგებით, ოპტიკური ილუზიებით, კვაზიფიზიონურული ხილვებით გაჯერებული ეს ნოსტალგიური ზენაგურები ლეხირებული ფაქტურა-გექსტურებით გვიწვდიან ხელს, მაღღუნებლად გვიწვევენ თავიანთ ბუღარებში, მერე კი ისევ აურაგულ ბინდში უჩინარდებიან. მათი ასეთი გაგვრინული ყოფნაც კიდევ ერთი დამატებითი ეროტიკულად მაინტრიგებელი ფაბულაა. და ყველაფერი ეს იმდენად ხელშესახებია... ისეთივე ხელშესახები, როგორც თითებში ამოწერილი ნერვები; და კიდევ, ისეთივე მგრძობიარე, როგორც შემბრანა.

და მაინც, შეუძლებელია მზაგვარი არ განიცდიდეს მისი კოლორისტული დისკურსიის ერთგვარ ანაქრონიზმს, ანდა დროთა კავშირის საბედისწერო რღვევას, თუმცა, იქნებ, იმასაც გრძნობს, რომ ამ სიმიფეს შრომაში ჩადებულ ინვესტიციას აღრე თუ გვიან, ამოიღებს.

ერთიგაა: თუკი მთელ ამ არგისტულ-პროფესიულ ძალისხმევას გრანსავანგარდისტულ სარჩულს ამოუვდებთ, ეს დინჯი მზაგვარი თავისი კამერული რეგროსპექტივიზმით სხარტ მარათონულად წარმოვიდგება, ვენეციელუბიდან რომ იღებს სტაგის და მაგისამდე რომ მოიჩქარის... ოღონდ, მოიჩქარის ნელა!

უისტლური ამბობდა, სურათი ყვაილივით უნდა იფურჩქნებოდეს, ნელ-ნელა იმლუბოდეს, შეუმწველად... იგივე უისტლური, თუ გასსოვთ, რესკის იმამი ეღავებოდა, ბუნება იშვიათადაა მართალიო. იმდენად იშვიათად, რომ ასეუ შეიძლება ითქვას: ბუნება, ფაქტობრივად, არასოდესაა მართალი, რაც იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ბუნებრივი არსებები ძალზე იშვიათად იმსახურებენ სურათზე აღბეჭდვას. ძალზე იშვიათად, ანუ თითქმის არასოდეს.

თუმცა მზაგვარი იმის მზაგვარია, რათა დაუცადოს საგანთა იმ მღვთმარეობას, იმგ-

ვარ კონდიციას, როცა ისინი მომწიფდებიან არა საერთოდ, არამედ საკუთრზე წერსანულ გადასატანად. ოღონდ ეს „მოცდა“, ეს „მომწიფება“, ისევ და ისევ მზაგვარში უნდა ხდებოდეს. არგისტში და არა ბუნებაში! ცხადია, შემეძლო მეთქვა, ყველაფერი (და ყველაფერი) მზაგვრის სულში უნდა მომწიფდეს-მეთქი, მაგრამ არა - სული აქ თითქმის არაფერ შუაშია. მთავარია ხელი; ხელი და ხელის გინი, ისევ და ისევ, „პანკომიმის ორგანო“. ყველა დიდ მზაგვარს, სწორედაც ხელის ჭკუა გამოარჩევს, პაველ ფლორენსკი ხელოვანის უმთავრეს ინსტრუმენტად რომ მიიჩნედა, და არცთუ უსაფუძვლოდ.

ნიკარაგისული რეცეფცია მუდამ სხეულებრივია, მუდამ განისეული. მეცნარესაც ისეთივე განი აქვს, როგორც ქალს; ლანდშაფტსაც ისეთივე სხეული აქვს, როგორც ქალს. მათი ლეფორმაციის ხარისხია სხვადასხვაგვარი. ამასთან, ქალსაც, მეცნარესაც, მიწასაც საზიარო სუნი აქვთ.

ქალსაც, მეცნარესაც, მიწასაც დამუშავება უნდა. სამივეს მოფურება სჭირდება, მოფურება და გახარება. სამივეს ერთი სახელი შეიძლება ეწოდოს - ფლორა. მათი ლეფლორაცია მზაგვრის ხელობაა!

ზურაბ ნიკარაგაე საკმაო დროს ახმარს ნიუსთან ფერწერულ ფლირტს, ამ მშვენიერ პრელუდიას. სულაც არ ჩქარობს საგანთა ისეული, გამჭვირვალე, ლამისაა სფუმატოსებრი აკის დარღვევას. მისთვის ეს ყმენ-ია ეს-თეგიმისა და პედონიზმის საგანი, განთან ლაციის ობიექტი. ყოველივე ეს ეესგია, ფრთხილი, მომომილი, არგისტული ეესგია, მზაგვრის ვიბრაციულ ესთეტიკად რომ გვესახება. თუნდაც ვიბრაციულ ესთეტიკაში, მგრძობილობის მეგაორგანულ კანონებს რომ ემორჩილება და ფორმის ვალორული მოდელირების (თუ რემოდელირების) გადლოვანი ბუნებიდან იკრებს ფარულ ენერგიას, იმ, მე ვიცოვო, სათუთ ენებას, რომელიც არასოდეს გადამიზრდება უხეშ მგეტრიალურ ძალასა და ფიმილოგიკურ აგრესიაში.

ფორმის ვალორისტიკა, ლუნარიზმთან რომაა შეთანხმებული, ჩრდილ-სინათლის გენერისტული თამაზიდან ამომიზრდება და საგანთა აღქმის იდეალურ მოდელადაც გვე-



ლინება. სინათლისმიერი გაღლები მის ოპტიკურ აპარატში აკურატული წესრიგითაც რევისტორილებიან, ცალკეული ოპუსის პალიგრის შესაბამისი დრამატურგითაც კონსერვირდებიან და არგისტული დაუდევრობითაც გვეცხადებიან. ყველაფერი ეს – სიცოცხლის მიმეტიმს ეხმიანება. სიცოცხლე თავისი არსით თავადაა მიმეგური. ამასთან, იძულებულია, Hymen-ივით დაარღვიოს მიმეგური პროექციების იზომორფულობა, თანაც ისევ და ისევ, საკუთარი არსებობის სახელით.

კამილ ფლამარიონმა თავის დროზე აღწერა *desmodie oscillante*-ის თვითმობრაობა, ყვაილისა, რომლის ფურცლების რხევაც ერთობ ჩამოჰკავეს საათის წამწომი ისრის მოძრაობას. ინდოეთში წამში სამოცამდე რეგულარული რხევა დაუფიქსირებიათ, თურმე—

ფლამარიონისეული ყვაილები ვიბრაციული რიგმის რევისტორაციის წიად ასე გადაიქცევიან საათებად, ვიბრაციის, როგორც დროის მანიფესტაციას რომ მოასწავებს.

ნიჟარაძისეული ფლორაც – რამიე მცენარეებსაც ველისსმობ და ქალებსაც – თითქოსდა, ფლამარიონისეული ყვაილის, ამ იდეალურად რევისტორირებადი მანქანის დროით მუშაობს.


წედან „კონსერვაცია“ ვახსენე. ახლა დავამატებდი, რომ ნიჟარაძის ფერწერის შრიული ონტოლოგია კონსერვირებული სახითაც წარმოგვიდგება. ფენა-ფენა ფიქსირდება და მსუბუქად ეწერება სურათის დიაგრამატულ წყობაში, რაზედაც დიდრონ ფერით ლაქებად დისლოცირებული კომპოზიციური სტრუქტურებიც მეტყველებენ. ამგვარი ვიბრაციული ესთეტიკაც უხილავისა და ხილულის ზღვარზე მუშაობას მოასწავებს. მათი დიალექტიკა ბევრისა და სინათლის, ამ ორი გაღლოვანი ფენოზების გერმინებში შეიძლება აღიწეროს. ავგუსტ სტრინბერგის ექსპერიმენტების კვალობაზე ხომ, რენგენული სხივები, მსჭვალავენ რა მყარ მაგნიტას, სწორედაც ბევრად გაღლებთან ამჟღავნებენ ყველაზე მეტ სიახლოვეს. ეს ის სტრინბერგია, რომელიც, სხვათა შორის, იმასაც ვარაუდობდა, რომ გუსტავ ლებონის მიერ „აღმოჩენილმა“ შავმა გამოსხივებამ საესებით დაჩრდილა რენგენის აღმოჩენა. თუმცა ბეკერელმა აჩვენა, რომ ლებონის სხივები სხვა არაფერია, თუ არა ინ-

ფრაწითელი გამოსხივება.

რახან ასე შემიტყუა ამ თემაზე, ხარკმ დაუძებნდი: ის ფაქტი, რომ ხილული სინათლე უხილავ – რენგენულ, ინფრაწითელ, ულტრაიისფერ გამოსხივებათა კონტექსტში აღმოჩნდა, პლუს სინათლის, როგორც ელექტრომაგნიტური მოვლენის გაგება, თავად სინათლის იდეას წყვეტს მისივე წმინდა ვიზუალურობის იდეისაგან. ამ შხრივ, ლებონისეული სხივების „შავად“ მოხსენიებაც ნიშანდობლივი უნდა იყოს, რაც შეეხება მეორად, რეზონირებად გამოსხივებას, იგი სინათლის იდეას გამოაცალკეებს იმ ნეოპლატონური სამყაროსაგან, ხილულობასა და სინათლეს საგანთა შინაგან ფორმებთან (თუ მეტაფორმებთან) რომ აკავშირებს. და, იმავედროულად, ფარულად ეხმიანება მანიერისტული *de segno interno*-ს იდეას, თავის შხრივ, ფორმათა ანაგურალიზაციის წყაროთაც რომ გვევლინება. მე რომ მკითხოთ, სწორედ ამ წყაროთა მორწყული ნიჟარაძისეული ფლორა, მისი ნამითაა დათრთვილული ნიჟარაძისეული ვირგულური ვარდები, რომელთა ფურცლობის ნიშნისაც შხაგვარი მუდამ დროულად იძლევა. ეს არის მარადიული გამაფხული, რომელსაც რძის სუნი ასდის...

აი, გამოსხივება კი, თითქოსდა, საკუთარ თავში ინახავს ინფორმაციას იდეშალი კრიტიკოსამყაროს შესახებ და არა იმდენად ხილულ ფენომენტთა სამყაროსთან, რამდენადაც შინაგანი წყვიდადის, ინკლევიტიბულ სამყაროსთან ამჟღავნებს ნათესაობას. ასე იწყებს სხივი „შინაგანს“ რეპრეზენტაციას „ვარეგანის“ ინკენსიურობით... რაც შეეხება ჩემ მიერ ყბადაღებულ რენგენს, ნიჟარაძის სურათების რეკეპიის იდეალურ „კამერა-ობსკურად“ იქნებ, დიასაც, რენგენი გვევლისსმამ?! და საერთოდ, ეგებ ფერწერა იმისათვის არსებობს, რათა დაგვარწმუნოს თუ არა, ჩავგავგონოს მანინ, რომ ჩუენი ვარემომცეული სამყარო *par excellence* უხილავია.

ნიჟარაძისეული სურათები ერთგვარი კოლორისტული ლაბირინთებია. უფრო მუსიკალ, მათში თითქმის გაშქრალია სხვაობა ლაბირინთს, გოპოსსა და განს შორის. მთელი ეს „ქორეოგრაფია“ კი რაღაც უნატიფესი მემბრანის მეშვეობით აღიქმება. ამ გამომ-



ვლებულ სხეულებს გარემოსაგან რომ აცლ-  
კვებს და ათავისუფლებს ლეფორმაციათა  
განუწყვეტელი როკის სიერეს. ეს როკვა,  
ლაბირინთს, ადგილსა და განს შორის როკვა,  
შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ორ-  
მაგა - ცენტრისკენული და ცენტრიდანული  
მოძრაობა... ბირთვად შეკერა და... გახლეჩა;  
გახლეჩა და... გაფართოება.

Hymen-იყ ასევე იხლიება, სკდება... ამხო-  
ბაში, განსაკ აკლდება რაღაც, ერთი აუწერე-  
ლი ხიბლი, გრაციოზული ხიბლი. „შენმა გა-  
ხეთქამ ეში მოკლა შენივე წელისა“...

თუკი მივიწოდებთ (სხვა რა ეზა ვეაქვს) განის  
ამგვარი ქვევის მიმების გრამინებში წარმოღ-  
ვენას, იგი გარემოს ფორმას მიიღებს, დაწეხის  
მომენტში, თითქოსდა ბირთვის ფორმას რომ  
იძენს. ესაა ბირთვი, რომელიც თავისი გამჭვირ-  
ვალე ფორმით არც არსებობს და ვიბრაციის  
მომენტში თვალსა და ხელს შუა უჩინარდება,  
ჭრება, ეზა ბოუარის სხეულოვით დნება.

მოკლედ, ბირთვი ცენტრის, ამ გეომეტრი-  
ული ფიქციის ოღენ ფიზიკური მანიფესტაციის  
სახით მნიშვნელობს, რაც, სხვათა შორის,  
ექსპერიმენტულადაც დასტურდება. ავტორი-  
ტეტი გნებათ, ინებეთ: რულოლე არნხეინის  
თანახმად, ჩვეულებრივი ნუბელობითი ბქტები  
სულაც არ თხოვლობენ მთელი სხეულის  
ჩართვას. მზაგერული თვალსაზრისით, ამგ-  
ვარი ღოკალიმაცია არადამაკმაყოფილებუ-  
ლია. ექსპერსიამ ხომ წარმოიღვენის მთელი  
მოეულობა უნდა ჩაითრიოს?!

ნიმანდობლივა რომ ახეღორა ღენკანი თავის  
„ცენტრს“ აღწერდა, როგორც სინათლის წყაროს  
მისგან წამოიხლებულ როკვას კი სინათლისა კენ  
მომომიდ მოძრაობად წარმოიღვენდა.

ნივარაბქე მომომილი ნაბიჯებით მიდის  
სინათლისაკენ. ნელ-ნელა აჩაღებს ცეცხლს;  
ცეცხლს, რომელიც კონკრეტული ფორმის  
მეთოდური უარყოფაცა და ვირტუალური  
ფორმების წარმოიღვენის პირობაც.



ალბერტ დე როში თავის ერთ ესეუმე აღ-  
ნიმანდა, რომ გვინში არის ერთგვარი მონე-  
ბი, სადაც ლაგენტური ვიბრაციების სახით  
ვროვდება, ილექება შთაბეჭდილებები. რეგ-  
ისტრაციის ეს მექანიზმი ამ ესესიგს ფონო-

გრამის პრინციპს აგონებდა. აი, შერკოს ექს-  
პერიმენტების თანახმად კი, იმ შერკოსის, ისევე  
რიული ნაგურების მიერ გონის სიმაღლის  
მიმართ გამოვლენილი რეაქციების ლემონსგრ-  
ირებას რომ ახლენდა, კამერგონის ვიბრაცია  
ცლისპირებს კატალეჟსიამი ავლენდა, რისი სრუ-  
ლი აღკვეთაც ამ უბედურებში სონანამუღენში  
იწვევდა. საკმარისი იყო კამერგონის ვიბრა-  
ციაში მოყვანა, რომ კატალეჟსია კვლავინდუ-  
ბურად უბრუნდებოდა ცლისპირს.

მურაბ ნივარაბქეს ბევრი რამ შეიძლება  
დასწამო, ოღონდ ისტერია - არა!

იგი იშვიათად გაწონასწორებული, ჯანსა-  
ლი ფსიქიკის კაცია. და მაინც, მისი მგრძობუ-  
ლობა ჯიუტად მაგონებს კამერგონის ვიბრა-  
ციას და მისდამი რეაქციას. ეს კამერგონი სხე-  
ულია, მდღერის განია და მისი მიმეხიეული  
ეუექტი. ანუ იმგვარი ეუექტი, მიმეხიეულ  
გრანსში რომ გადაიმრდება ხოლმე მას ხე-  
ლეწიფება ამგვარ გრანსში ჩაგდება, მანამდე  
კი გონში ჩაგდება. ხელეწიფება ამგვარი გრან-  
სის ვიშვალდამაცია; ვიშვალდამაცია და ვუალ-  
იმაცია. შეუძლია მთელი ამ გრანსული მღგო-  
მარეობის ალაგება, მერე კი ვალორების შრი-  
ული მავსგრაით რევისგრაირება, აურის რეგ-  
ისტრირება, იმ აურისა, იპოლიტ ბარადიუკი  
„სახიოცხლელ ძალის ვიბრაციად“ (vibration e  
de force vitale) რომ აღწერდა და ერთგვარ  
მუცახებე მორთილვარე ვუალდ გვევლინება,  
მონარნარე ნახაგით, რომელშიც პერმანენტუ-  
ლად იმსქვალეებიან და უჩინარდებიან სხეუ-  
ლებრივი გამოსახულებანი. ამგვარი აურაა ის  
მოუხელთებელი აირი, განს ახალ სიოცხლეს  
რომ შთაბერავს და ჰარმონიის ახალი ენერ-  
გეტიკით რომ ალაგვებს.

ასე გარდაისახება ნივარაბქისეული მდღერი  
თავისებურ ვიბრირებად ცენტრად, ფერწერ-  
ულ გექსტვალურ ნაკლში რომ ინისლება და  
ღუნარისგული რემონანსების ახალ-ახალ  
გალღებში რომ აღივლივდება.

ასე წარმოიღვენდა მდღერი სამყაროს გო-  
გალური მღგომარეობის ზაგად.

ვიბრაციების ასეთი პოეტკა ახასიათებდა  
ბოდლერს. ეორე პულე ასე აღწერს პოეტის  
სამყაროს: „საგნები ვიბრირებენ, აზრი ვიბრ-  
ირებს, ვიბრაცია - ყოველ გარეგან კონტურ-  
ში, ბგერასა თუ ფერში, თითოეულ შინაგან

იდეაში...“ და, მართლაც, თუკი ვიბრაქცია არ მსჭვალავს იდეას, თუკი მისი ექსტატიური პროექცია არ გადაიხარდა გონით რეალობაში, მისი ეფექტი ვერ გაცხდება ფიზიკური ხდომილობის ფაქტებს, ესთეტიკაში ვერ გადაიზრდება, ვიშუალურ მუსიკად გაფორმებული სახით ვერ წარმოვიდგება.

ნიჟარაძის ფერწერაში ვიბრაქციული ინტენცია, დიახაც ვიშუალურ მუსიკად განივრცობა, დედდება, აპკით იმოსება, რომელსაც თავად მავსტრო არღვევს ხოლმე...

ნიჟარაძისეული მღერები, თითქოსდა, ამგვარი Hymen-ით არიან უცოდველნი, ესთეტიკურად უმანკონი. არადა, ყველა პიკოსეული მღერი სულაც არაა virgo intacta.

მოკლედ, ჩვენი მხატვრის ენა ეროგიკული განის ენაა, რმოდის ექს-სტატიკურიობაც აფექტირებულ მდგომარეობათა – განწყობილებათა, სისუსტეთა, მოთხოვნილებათა, ლტოლეთა, ნდომათა კონკურეზითაა გარემოწერილი. ამ ენას შეესაბამება ფრაგმენტული წერის ტექნიკა, ფრაგმენტული, რადგანაც ამგვარი ნაწერი გამორიცხავს ცენტრს, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში, ცენტრად იქცევა ის ადგილი, რომელსაც ფერმწერი ამუშავებს. ამასობაში თვით ფერწერული ტექნიკაც ატაობური ხდება, ცალკეული მატერიალიზებული დეტალის კულგს აფუძნებს. თავის მხრივ, „მე“-ს, როგორც აფექტირებულ მდგომარეობათა დისკრეტულობას რადიკალური წყვეტილობის მარკირება ჩაენაცვლება. ასე მონტირდება და დემონტირდება დეტალები. ამიერიდან ავტორი უნივერსალური მიმართებების გარანტიად აღარ გამოდგება: მისი „მე“ დანაწევრებულ „მე“-თა სახითღა ვლინდება.

ასეა თუ ისე, ქალია მხატვარ ნიჟარაძის ფერწერულ-ჰედონისტური ლტოლვის უპირველესი საგანი. ხელოვნებაც ამიტომბა მისთვის ლიბიდოური ენერჯის „სხვა“ ფორმით მოვლინება.

ასე ერწყმის ფერწერაში ლიბიდო ფერს და მოასწავებს ამ ენერჯის გრანსფორმაციას: ფერით წერას, დაუსრულებელ წერას, წერას და გადაწერას, და სურათში, ამ სანდომელ ობიექტში განმსჭვალავს, ქრომატიკული ხელწერით ლიბიდოს გამოთავისუფლებას...

ამასობაში, სულ სხვაფრად წარმოდგინდება მღერი. და უკვებ „სულში შემოდის ქალის ვარდებით, ელდით და ერუნიკელით“...

ასეთია ნიჟარაძისეული ქალის ხატი და ამ ქალის კვალი ( trace ), ქალისა, რომელიც ყველაფრის ნებას რთავს მხატვრის თვალებს.

აი, საკვად აღება იგი და ჩრდილებს მოიქნებს. ჯერჯერობით კი ძინავს, ძილბურანში თელემენ მისი სურვილები, ენებები... ხედავთ, როგორ მიცოცავს დამფრთხალი ჩრდილი მის განმეხადლაც ბნელში კი რაღაც ბზინავს, მის მიღმა მოჩანს სახეგაპობილ კედლის ალმური...

ასე გამოიყრება მშფოთვარე სიმრებით შემკრთალი ქალები. ო, როგორ გვიმღავენ ჩრდილების შუფებით გაბრუებული მათი განები. თავბრუდამხვევი სურვილებით და მხაფრი, თუმც შეკავებული ენებებით წამონთებული მათი სხეულები... რა ხანია ბნელში წვანან, მერე, რახან დარწმუნდება, რომ გაუღვიძიათ, თანდათან იძენენ წონას, დროისა და სივრცის უგრძობლობასაც სძლევენ, წამოიწვიან, და ასე აზრწულდება დემოდის ხერელებით დაწრთული სურათის შედაპირება.

მხატვარი, როგორც ნაღვერდაღს – ბუხარში, ისე აღვივებს ფერწერული ენერჯის, ლიბიდოირებული ემოციების ამ „მეორე სახელის“ ნაკადს. ასე აცლის უგრძობლობის ფერფლს, ასე აღვიძებს სურათ-ქალს, აცილებს ძილქუშის ნაქარს, ოღონდ იცის, რა შოშით წამოღვიძოს, სადამდე აუხილოს თვალა...

ასე ნელ-ნელა იმოგავს ოსტატი ქალის განს, ამ უცხო სასმელს, სეამს, თურება და... ასე „ნათდება მისი გონება ხერელებით ბნელი“.

გარეთ კი ცხება, „ქალაქი ხელში უჭირავს სიყვს“ (ო. ჭილაძისა არ იყოს), მერე ეს – გოლგამეზიანის მამხატვიით ქალი, დახაწოლ ადვილს რომ ვეღარ პოულობს, ადგება, გაასწორებს საწოლს და ფარებს დაუშვებს. მისი სისხლი ხმაზღა იწყებს დღილს სივრცეს ბული ნიჭავს.

შემდეგი სურათი: იმ ბაღში, წამწამსა და წამწამს შუა რომ გაუშენებია მხატვარს, ისევე ირწევა ენების პამაკა...

აი, თაფლობის თვეე გაღის. და იწყება ყველაზე აუტანელი; აუტანელი და მიინე სანუკვარი ცხოვრება; ცხოვრება, მოდლის გარემოთითქოსდა – სტადია, პაოლოს სიღენგარიონის ლექსებში რომაა აღწერილი.



ეს სტადიები ვიბრაციული ესთეტიკის ახალ ეტაპს მოასწავებს. მან უნდა წაშალოს, თანაც, ლამისაა მეთოდურად უნდა წაშალოს განისულებული საზღვრები, შეუმჩნეველად უნდა გააბროს მიმდებარე კანი (და არა ტყავი) და ახალი კანით, ანტიმიმდებარე კანით შემოსოს (ანტიმიმდებარე ხომ ყველაფერი კარგია!) ახალი ქსოვილით, ახალი გექსტურით.

რახან სინუსოლოგიას ვერ ვეშვები, ერთი ჭკვიანი კაცის სიგყვებსაც დავიმოწმებ: ყოველი ქალი ის არფაა, რომლის აელერებაც

მარტოოდენ მამაკაცს შეუძლია. უძედრო განის აელერებაც მხოლოდ მამრ მხატვარს ძალუძს. ოღონდ, ბალზაკისა არ იყოს, ქალის ბუდუარში მძრომიალე მამაკაცი ან რაფინირებული ბრძენია, ანდა სრული ბრიყვი.

ეგყობა, ზურაბ ნიქარაძე რაფინირებული ბრძენია. ყოველ შემთხვევაში, რაფინირებული გონების კაცი, „კანტონიმის ორგანოთი“ რომ ჭერეტს სამყაროს; სამყაროს, როგორც ქალს და ქალს, როგორც სამყაროს; ამ „ორგანოთივე“ გრძნობს ფერს.



## ავტობიოგრაფია პროზილში

გამომცემლობა „საარმა“ დასგამაბა რემო თაბუკაშვილის მოთხრობების კრებული „ავტობიოგრაფია პროზილში“. კარგი იქნებოდა წიგნის გოგულზე გარეკანზე, ან სადმე მოცემული ყოფილიყო, თუნდაც, ტუნჯი ბიოგრაფიული მონაცემები, თუ სად და როდის შედგა მისი ლიტერატურული დებიუტი. მით უფრო, რომ წიგნის ავტორი ჩვენი სასიქაღლო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რემო თაბუკაშვილის შვილიშვილი და სეხნია ვახლაძე.

რემო თაბუკაშვილს წერის მაღალი გეჟინი აქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ კარგახანია პროზაში მუშაობს. თხრობა აღწერითი ხასიათისაა და მუსტი. გემში, როგორც ძველი რომაელები იცოდნენ, „იქაქრე ნება“. ამ გემის მენარჩუნება აპოკალიფსური შფოთისა და ცივილიზაციის ფანტასმაგორულ რიგში გემრობაა. მსოფლგანცდა რილკესი – „იქნებ შეუმჩნეველში თელემს მთელი სამყარო“. ამიგომ უყურადღებოდ არაფერი რჩება. ერთნაირი სერიოზულობითა და სიყვარულით აღიქვამს სამყაროში ყველაფერს, - უმცირესსაც და უდიდესსაც. რემო თაბუკაშვილი უაღრესად, მე ვიგყოფი, სახიფათოდაც კი, ემოციურია. მაგრამ ამ ხიფათს ანეიტრალებს კარგი ანალიტიკური გონება, რომ არა ინტელექტი, მის მგრძობულობას გადაწვის საფრთხე ამკარად დაემუქრებოდა, მისი სასიცოცხლო ენერჯია სპირტივით მალე აორთქლდებოდა.

სპირტთან დაკავშირებით, - ბევრს სეამენ მისი პერსონაჟები, შეიძლება თქვას, სეამენ ქრონიკულად, განუწყვეტლივ. სამოციანელთა, სამოცდაათიანელთა, თვით ოთხმოციანელთა შემოქმედებაშიც კი ეს ურთიერთობა არაქონ, ვისკითხვ, სპირტიან სასმელებთან ერთგვარ „ლიტერატურმწიურ“ ხასიათს ატარებდა ქართულ პროზაში. რატომდაც მამინვე ვახსენდებოდა ფოლკნორის, სკოგ ფიქცერალდის, პემინგუის მამაკაცები. რემო თაბუკაშვილის მოთხრობათა პერსონაჟებისათვის ეს ყოველივე უაღრესად ორგანული და ბუნებრივია. არყის ან გეკილას ყლუბი

პაერის ყლუბივით საჭირო და აუცილებელია.

ლექსიკა - ურბანიზებული, მაგრამ საკმაოდ მდიდარი. პერსონაჟები არც ლიტერატურული ქართულით მეტყველებენ და არც მხოლოდ ყოფილი, ქუჩური სიტყვებით. მილიანობაში ეს შეჯერებულია და ძალიან ხანტერესო ქალაქური პიბრიდია მიღებული. სასიამოვნოა, რომ მისი თაობის სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით გარჯონი, ანუ სლენგი მომიერია და სიტყვა **დ ე დ ა** არასახარბილო კონტექსტში თითქმის არსადაა ჩასმული.

ავტორის ხელება თბილი, მზიანი და ალერსიანია. თუმცა ეს სითბო და ალერსი, როგორც ნამღვილ კაცს შეპყვრის, არასოდეს გადადის სენტიმენტალიზმში. როცა ერთი მოთხრობის გმირი, ცოლთან გაცილებული გუგა სადარბაზოში არბის, რათა შეიღოს, პაგარა ანკა უცხოეთში გამგზავრებაშე კიდევ ერთხელ ინახულოს და ცოგა ხნით გაასეირნოს, კარს ალებს ეკა, მისი ყოფილი მეუღლე. ქალი თან ბავშვს ეძახის - მამამ მოგაკითხაო, თან კაცს უთანხმდება - ძალიან არ დაიგვიანონ, რადგან ბარგი ჩასალაგებულია, ისინი ხომ ზგე მიფრინავენ. გუგა მოკლედ პასუხობს, - ვიცი და ცხრა საათისათვის მოვიყვან ბავშვს... და ამ პასუხს მოსდევს ასეთი მუსტი და მრავლისმთქმელი პასაჟი: „ეს საოცრად ნაცნობი, ერთ დროს ასე ახლობელი და საყვარელი სახე, რომლის ყოველ ნაწილსაც გრძობდა გუგა და საკუთარივით იცოდა, ახლა შორი, უცხო, გამომშრალი მოიქვენა. იგივე ხალი კისერზე, თხეი ნესტოებში, ლამაზი შავი თმა და თვალები, ეშმაკური ჩალიმება, - ეს ყველაფერი ისევ იყო, მაგრამ თითქოს რაღაც ამოაყალქო მას. გუგა ამოაყალქეს“.

ამოცლას, გაეცლას, გათიშვას ყოველივით თან სდევს დიდი სიყარბილე. ეს სიყარბილე განსაკუთრებული ინტენსივობითა და სიძლიერით დაფიქნირდა ომის თემატკაზე შექმნილ პაგარა მოთხრობებში, ნოველებში, მინიატურებში... შესაძლოა სიტყვა „თემატკა“ მკრეხელობათაც კი ვაისმის ამ კონტექსტში, იმუნად დიდა სოხუმის დაცვით, სურთოდ, აფხ-

ამეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი; ომისა, რომელშიც თავისი აბსურდული ტაქტიკისა თუ სტრატეგიის გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ აგიტაციო-პროპაგანდამ, ქვეყნის საუკეთესო გენერალნი შეიწირა, გულანთებული ჭაბუკების გმირობები მიმანმომართულად გააუფასურა და წაგებულ ომში ცინიკურად ჩამორიგებული გენერლის ჩინებით დუმლი იყავა.

სიუვეტურობის თვალსაზრისით, რემო თავბუკამეილის მოთხრობებს ახასიათებს დიაბოლა. იგი არ ეკებას სამყაროში არსებულ მოვლენებს, პროცესებს, შემთხვევებს სიუვეტო ვრეში. არ მიმართავს მიმანსკენებს, გრადიულ აქცენტებს - კვანძი, კვანძის გასხნა... რემო თავბუკამეილის სტიქიაა წინსვლა. არქიტექტონიკის თვალსაზრისით მისი მოთხრობები იაპონური ყოფით სახლებს გახსნილობას მოგვაგონებს: მხოლოდ სამი კედელი, მეთხუთთი პირდაპირ სივრცეს, სამყაროს უფრთხილება. მის მოთხრობებში არ არის ინტრიგა, არ არის საიდუმლო. არის მხოლოდ წვიმის ფარდები, მთისკენ მიმავალი ბილიკები (საკალუფო გზები), მოხეტიალე მგზავრები და წამლითა თუ სპირტით გაბრუნებული ვინება, რათა ჩადირული გემებივით სამუდამოდ ფსკერზე დარჩეს სიყვარულისა თუ მოკლული ბიჭების ხილვები.

რემო თავბუკამეილის მხატვრული აზროვნება არამეტაფორულია, ერთი უხეხვით, არაქვეტექსტურის კი... მით უფრო საოცარია მისი სიტყვის ენერჯის ძალა. იგი ან პირდაპირ ლაპარაკობს, ან უბრალოდ დუმს. თხრობას წყევტს ისე, რომ ჭრილობა დია რჩება, დია ჭრილობის პირისპირ გტოვებს.

ომის ციკლზე დაწერილი მოთხრობებიდან განსაკუთრებული სიმღიერთი გამოირჩევა „სოხუმის დაემა“, „არგატევეა“. „სოხუმის დაემა“ გამახსენა ცნობილი ფრანგული ფილმი „ძველი თოფი“, სადაც ფილიანუარეს გმირის მეშულობით, ერთი მამაკაცისა და ერთი ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია ომის მთელი სისასტიკე. რემო თავბუკამეილის მოთხრობაში ჭერახილ და ფანჯრის ჩარჩოებამოდებული ოთახში დაწერილი ბიჭი კედელსამოფარებული თვალს აღევნებს, თუ როგორი შემლილი სახით დაძრწის იარაღმომარჯვებული კაცი ოთახში ფანჯრის გასწვრივ და როგორ მვერავს ქუჩას. ოთახის სიდრემში, ერთ კუთხეში დედა-მეილი გაქვავებულა, ბავშვის წამიერი წამოგირება სამინლად ათროთოდებს გულს.

„არგატევეამ“ ერთ-ერთ მწერალთან (თუ არ ვცდები, სტუფან ცვაიგთან) ოდესღაც ამოკითხული მოსაზრება მომავონა. როცა სახელმწიფო იწყებს ომს, ბუნებრივია, ამ ომში

სხვადასხვა ხასიათისა და ბედის მქონე აღამიანები (ჯარისკაცები) მიდიან, მაგრამ მხოლოდ პირდაპირ შეებასავით გარბის ომში: ეს ინტროპი კი არა, რომ მას სისხლისღერა ენატრება, როგორც იგვიან, სისხლი სწყურია, არამედ იმდენად გრაფიკულია მისი პიროვნული ბედი, რომ ომში სიკვდილი შეებას წარმოადგენს. ამ ამრს ავითარებს ცვიიგი, როცა ომში ჩადენილ გმირობებზე საუბრობს. ესაა აღამიანის ქვეყნობიერი ლტოლვა სიკვდილისაკენ. რა თქმა უნდა, გმირობის აქტს ბევრი რომ განაპირობებს, მაგრამ შემოსხენებული მომენტები ამკარად გასათვალისწინებელი „არგატევეის“ გმირთან - ლალოსთან მიმართებაში. ეს ახალგაზრდა კაცი, სხვებთან ერთად სოხუმის მშვიდობიან მოსახლეობას გეშე აიყვანს, ხოლო უკანასკნელ წუთებში, სანამ დარჩენის გადაწყვეტილებას მიიღებს, ასეთი ფიქრული მოსდის თავში: „ისევე ისე ასფალტობილუელი ორდობე, ისევე ჯდომს სახლის წინკართან გრძელ სკამზე, ისევე ვნახში მუშაობა, სიბერე, ლოგინში სიკვდილი. ლეილაყ უკვე გათხოვდა... „და აღარ მიდის, აღარ მოსყვება ლალო გემს, რაღაც დამრჩია, მომიმეშვებს... არწყინვალე ფინალი აქვს ამ მოთხრობას: - ბიჭო, გემი საყაა გაეა! - მიამახეს მას.

ბებერ, ჯერ ისე კობად ამოლგილ ფიჭეს მიყრდნობილი ლალო ხვადვდა: როგორ მიმიედ მიამობდა ლურჯ, ქაფიან წყალს უმარმაზარი, ხალხით აჭრელებული შავი გემი.“

„...მოულოდნელად გაღვიძებულ გოგოს ავტომატომარჯვებული ბიჭის ხმა ცხადშიც გამოჰყვა. ბავშვის საწოლთან კედელზე ახალგაზრდა მუელის გაღიდებული სურათი ჰკიდა... უცებ ბავშვი იწყებს გიროლს, გარეთ წვიმს, გოგო დაიხრება, მგირალ ბავშვის ხელში აიყვანს, ფანჯარასთან მივა. გაქვავებულ სახეზე „გრძელი ცრემლები“ ჩამოგვორდება, მიუხედავად ამ ძუნწი „აღწერისა“. ამკარად გესმის ინტონაცია, - მკაცრი, ეჭვიმოგანული, უკუყარი. თითქოს ახალგაზრდა ქალი ფიცს სდებს გარდაცული მუელისა და შვილის წინამე, რომ, მართალია, ომი დამთავრდა, მაგრამ იგი ვაცილებით უფრო ხანგრძლივი და მკაცრი ომის მოგებას აპირებს, რომელსაც სახელად ცხოვრება ჰქვია. აი ამ ცხოვრებას გაუძლებს და გააბრლევს. რემო თავბუკამეილის მინიატურები, განსაკუთრებით კი სხენებული მოთხრობა თავისი გევალი სიძუნწითა და შეკავებული მგრძობილობით აუკეთიბლად გაგახსენებთ ნიყო ლორთქიანობის პაწია მეღვერებს, ამ შემთხვევაში კი „გულს“.

შემიმჩნევა დიდი და უსამართლო მიყენებული ტკივილების დროს კაცები უცხო

ენაზე, სხვათა ენაზე იცნობიან. თითქოს ენის ბარიერი მლაგბაუმივით ეშვება ადამიანსა და მის განკუთვნილ შორის და ამ გაუცხოებით ერთგვარად უიღბლებს გრაგედისა თუ წყენის გადატანას. რატომღაც ეს დაკვირვება ამოგვივლიდა, როდესაც რეზო თაბუკაშვილის მოთხრობა „ღინა და გამეზე“ წაუკითხე. თვალწინდელი ინდოეთის სივრცეში, კალკუტის მეთითა თუ კვამლით გაპოხილ ფარდულეებში, ანდა პირდაპირ შუაგულ ასფალტზე თავის დროზე მეუ მინახავს, როგორ ვყარენენ კუტი ბავშვები, ახლობლებისგან საგანგებოდ დამახინჯებულნი, რათა ამ აქნილ გორსს ქვეითად მოსიარულეთა გულები შეერხია და გენეტიკურ (კასტურ) სისასტიკეში რუპია გადაეხადა. ავტობუსის სიმალიდან გულმემოყრელი დაუქროდი დაუკრებულ სილაგაკეს მყოფ საუკუნის ამ მშანებას, რომელიც გიღის განმარტკების ფონზე მღვრიე, გაღახისფერ მდინარესავით მიედინებოდა. და უცნაური სიმშვიდე განმარტკავდა, რომ კალკუტის ქუჩებში ყოველდღიურად რუა, ცხრა ათასი კაცი მუშაობს, რათა შიმშილით დახოცილთა ათასობით ცხელარი მოაცილოს ინდოელები-სათვის ყველაზე უფრო საყვარელ და გიპერ ინდურ ქალაქს.

ამ კომპარულ ხილვებს, რა თქმა უნდა, არანაირი საერთო არ ჰქონდა მაშინდელ „მშორ“ საქართველოსთან და მაინც მიკვრიდა, როგორ შეიძლებოდა თუნდაც გურისტის შედაპირულ თვალს ყოველივე ეს სტატისტიკურ „ეკონომიკად“ მივჩნია. ანდა რა სტირდით სიმბოლისტებს სიმახინჯისა თუ სილაგაკის კულტივირებას რომ ახდენდნენ და თითქოს ევროპის ჯინაზე ეთაყვანებოდნენ ამ შეურაცხყოფილ ხატებს.

ინდური სამყაროს პატარა მათხოვრები - ღინა და გამეზე, რომელთა ანალოგიც უკვე რა ხანია განჩნდა რეზო თაბუკაშვილის დროინდელ საქართველოში XXI საუკუნის საქართველოში... შეუძლებელია ასე გეტკინოს სხვისი ჭირი, თუ საკუთარი არ გტკივა. რეზო თაბუკაშვილის მოთხრობაში სილაგაკის ესთეტიკა თავისი ღრმა და მკაცრი სიფაქიმიით დიდი ინდოელი რეჟისორის სადათ რეის ესთეტიკას მოგვაგონებს: რეჟისორი ისე გაღის ადამიანური უმწყობისა და სიძლიერის მღვარგამყოფი იარაღის ბასრ მელაპირზე, როგორც შაუთეთრის, ღღისა და ღამის გრაფიკული მონაცემლობა. პაწია მოთხრობა „ღინა და გამეზე“ თავისი არსით იმ უჩვეულო სიბრძნის მატარებელია, რომელიც როგორც გასრესილი ყვავილი, ისე შეღადავებს ღედამიწას, რომ სიყვარული, თუნ-


დაც გათვლილი თავის მარადიულ სურსკლს გოეებს, ისეთსავე კეთილშობილურსა და მარადიულს, როგორც საჭეველი, რომელიც ღინაზე ასე აღბობს და ამსუბუქებს სულს.

„ავტობიოგრაფია პროფილი“ რეზო თაბუკაშვილის თაობის სახე ყველაზე უკეთ სწორედ ამ ვრცელ მოთხრობაში გამოჩნდა. პერგრუდა სტაინმა თავის დროზე ძალიან მკაცრი განაჩენი გამოუგანა მთელს თაობას, როცა მათ „დაკარგული თაობა“ უწოდა. მე ვერ დავარქმევ ამ თაობას დაკარგულს, ისინი უფრო „გაწირული თაობის“ სახელს იმსახურებენ. ისინი რეის ქვეშე ამოყრილი კალმხებივით ფართხალბუნ. რეის ქვეშ ჩვენა ვართ. დამშრალი მდინარეებიც ჩვენა ვართ...

ჩემთვის არ არსებობს დროის დაყოფა: წარსული-აწმყო-მომავალი... არ არსებობს განხილვა - „ეს უკვე იყო, ეს მე არ შეეხება“ ეს არმეხება ყველაზე დიდი აბსურდა სამყაროში. სამყაროს არ უყვარს აბსურდები, რადგან სამყარო ლეთაებრივი ლოგიკის მაწყვბელია ყველაზე და ყოველწამს. აბსურდი ამ ლოგიკის წინააღმდეგ სელამია. ამიგომ აწმყო ყოველთვის წარსულითაა დაღდასმული და მომავალიც აწმყოს ჭი პლარითაა გამოზმული. ბოროტი ნების ადამიანები ყოველთვის ამ ერთობაზე ნადირობენ. ამიგომაა სსოუნა მათთვის ყველაზე დიდი კონტრაბანდა.

სსოუნაა მამოძრავებელი და ძირითადი სტიმული წინსვლისა. ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნამდვილი ქმედება და წინსვლა ქმედების ილუმინამ არ შეუცლოს, როგორც ეს კუროსავის ფილმი „გრამეას ბორბლებ ქვეშ“ არის გამოხატული. აქ ნახევრად შეშლილი ბიჭი მთელი დღე წარმოსახული გრამეას საჭეს აგრიადებს და წრიულად უვლის სილაგაკისა თუ უმოქმედობის შონას. ასევე ნახევრად შეშლილი კაცი დიდიდან დაღამებამდე ნაკწებად ქვეული მეწრების ხეგას ისე დაძაბული აყურადებს, როგორც მომაკვდავი ახლობლის გულს-ძვერას, რომელსაც ვერ არ გააქრობია სიცოცხლის ნიშანწყალი.

ჯერჯერობით ჩვენც ამ ილუმორული ქმედების შონაში ვრჩებით, თავისი „რულეტკის“ წრილით, მარისუნას მირაეებითა თუ ნეპალის მიუხედავად ხეგაილით. ჯერჯერობით ისევე ძალაში რჩება ოგია პაქკორიას უსკეს დაკვირვება თაობაზე - „ჭაბუკი ადგილზე გარბოდა“. აი ეს „ადგილზე სირბილი“. ეს გამოუვალი ლაბირინთი, ანუ როგორც ჰეგელი იტყვოდა ეს „ცული უსასრულობა“ არანაველებრივი გულწრფელობითაა გადმოცემული რეზო თაბუკაშვილის მოთხრობაში „ავტო-



ბიოგრაფია პროფილში“. ეს სათაურიც უაღრესად სიმბოლურია ჩემთვის. ისინი არ გვიყურებენ სახეში, ამიგომ ვერც ჩვენ ვეყურებთ პირდაპირ, ამიგომ მხოლოდ პროფილს ვხედავთ მათსა, პროფილს, რომელმაც სრულყოფილად არ ჩანს ის იარაღები, მათმა ბიოგრაფიამ რომ დააღადა ...

სითბო, სიყვარული, ერთგულება, ეს ყველაფერი აღარ დევს ხელისგულზე. ეს ყოველივე როგორც საუნჯე ჩაძირულია ამ თაობის არსებობის ფსკერზე. გემთი მხოლოდ თამაშია სისასტიკისა და შეუკლებლობის, რადგან ამას ჯუნგლის კანონით ამოქმედებული მათი უბანი, მათი ქალაქი, მათი ქვეყანა მოითხოვს. თუმცა, როგორც ჭაობის შედაპირზე ამომსკდარი ყველაზე სუფთა ყვავილები, ისე იციხებოდა დაძმის ერთგულება და სიყვარული ირასა და თინას სახით.

და მაინც, ჩემთვის მთელს ამ წიგნში ყველაზე სანუგეშო, ნათელ და სიყვარულ მოთხრობად „დაულაგირი“ რჩება. დაულაგირი მწვერვალია კიშალის მთებში. რუმო თაბუკაშვილმა მოახერხა, რომ შემყვარებოდა ეს უცნობი მწვერვალი არა მხოლოდ იმიგომ, რომ ასე შესანიშნავად დაწერა მშის რაპურის ფონზე განფენილი თოვლის ფერადოვანი მშორება და უშმა ან თეთნულდი გამახსენა, არა მხოლოდ იმიგომ, რომ სოფელი „მარჟა“, ანდა „კაკმანდუ“ ლაგალიფარივით შემომატარა და არც მხოლოდ იმიგომ, რომ მთებში გერასულად განფენილი მთელი ეს მრავალეროვანი ექსპედიცია ბელორუსებით, ფრანგებით, ამერიკელებით, რუსებით, იაპონელებით, ქართველებით - დათო გურამიელივითა და აფი გიგანივით დამამახსოვრა, და ბოლოს, არა მხოლოდ იმიგომ, რომ ალპინიზმი ვაკეკაცობის სიმბოლოდაა მიჩნეული... არამედ იმიგომ, რომ ეს მოთხრობა თავისი გრაფიკული მოხაზულობით, თავისი არქიტექტონიკით ჯვარს წაბავებს. ჯვრის გადაკვეთის პორიზონტალური ხაზი მოყვასის სიყვარულს გულისხმობს. რუმო თაბუკაშვილს მთელი არსებით უყვარს აღამიანი, კარგად იცნობს მას და სწორედ ეს შეცნობა და სიყვარული აიძულებს ნაბიჯის წინ გადადგმას, სელას შემოთქენ, მწვერვალს აკენ. ყოველი სანგიმეტრი ნევიტქენ საკუთარ თავზე გამარჯვება, საკუთარ თავზე, ანუ საკუთარ ცოდვებზე, რომელნიც ასე ხშირად გადადის მის მოთხრობებში ჩვევის ინერცია-

ში. ეს ინერცია ასე მკაცრად შეფასდა ხალხურ სიბრძნეში: ჩვეულება რკულზე უმეტესად სიაო. სწორედაც რომ რკულით, რკულის კანონით უნდა შეფერხდეს ცოცხლის ინერცია, კვლომის ინერცია. ცოცხა უფსკრულს ჩაკიდული მყინვარებივით სამშიმა და მიმბიდეულია. ესაა წყვლიადის მიმბიდელობა, რომელსაც ვარსკვლავები აღარ ჰყავს. შესვლა მყისთან, სითბოსთან, სინათლესთან მიახლებას ჰგავს. კი არ ჰგავს, არამედ მიახლებაა და ეს საიხლოვე ფიბიკურად შეიგრძნობა ჩვენს კერ.

ქვეყნობიერად მწვერვალისაკენ ლტოლვა, ყოველი ახალი მწვერვალის დაპყრობა „ეკული უსასრულობიდან“ გამოსვლაა და კარგ უსასრულობაში გადასვლა, ანუ იმ წრის მოხაზვა, რომლის წყალიობითაც სახარებისეულ იგავში უძლები შეილი მამას უბრუნდება.

მე მინდა მკეროდეს, რომ რუმო თაბუკაშვილი, ეს ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი, საკუთარ თავში იმდენ ძალასა და ენერჯიას აღმოაჩინეს, რომ ამ წიგნივით, კიდევ არაერთხელ გაიმარჯვებს საკუთარ თავზე. აბრუნებს და ამრავლებს გალანგს, უფალმა რომ უწყალობა. დეთის ამ წყალობას იმით უასუსებებს, რომ არ დამარხავს საკუთარ შესაძლებლობებს. ბრძოლას გამორეხლებს სასოწარკვეთისა და მცირების დემონებს და დაულაგირივით არაერთხელ გადალახავს წერის უღელგებილებს. ბოლოს და ბოლოს, აღამიანის მთელი დანიმუნულებაც ესაა - გაიმარჯვოს საკუთარ თავზე.

რაც შეეხება მისი პროფესიის - მწვერვლების უკუგებას, ჯერჯერობით მაგერიალურ უკუგებაზე ლაპარაკი შედუმეთ... ძალიან მწელია, მაგრამ მისი სულიერი თუ ფიზიკური ავტობიოგრაფიიდან გამომდინარე, რომელიც ჯერ მხოლოდ თუნდაც პროფილში იციხება, მაგრამ, რომ იგი მულტრეტლობას გამოიჩინეს და თავს არ შეიარყხვებს იმ სულსწრაფობით, რასაც კონფორმისმითან გარიგება ჰქვია. მით უფრო, რომ ეს კონფორმისმი ჩვენთან ჯერაც მიულწველია მშართველ წრებთან და ნომენკლატურულ ჩინოვნიკებთან გარიგების გარეშე.

მაგრამ ნუგეშად სხვა უკუგება რჩება. მკითხველის ნიღობა და მოლოდინი. უნდა არ უნდა, მას ეს მომენტი აინტერესებს თუ არ აინტერესებს. ფაქტი ფაქტად რჩება. - მწვერლობა ორმხრივი სიყვარულია, რადგან ნამდვილ მკითხველზე უკეთ ვერაეინ გრძნობს, რომ ნამდვილი ხელოვანის მიერ გაწეული გარჯა სამყაროს სახარებებლად მიმდინარეობს.

## დიდი აღმოჩენა სინას მთის ძარბულ ხელნაწერთა ახალ კოლექციაში

მკითხველმა საზოგადოებამ, კარგა ხანია, იცის, რომ სინას მთაზე გაშენებულ მონასტერში, რომელიც IV საუკუნის წმ. მოწამის, ეპაგერინეს, სახელს ატარებს, და რომელშიც განსაკუთრებით IX-X სს-ში ინგენიურად მოღვაწეობდნენ ქართველი მწიგნობარი ბერებიც, 1975 წელს (26 მაისს) აღმოჩნდა 1100-ზე მეტი ხელნაწერი სხვადასხვა ენაზე (ბერძნული, არაბული, სირიული, ეთიოპური, სლავური და ქართული). ამ მნიშვნელოვან აღმოჩენას მამინვე საუკუნის აღმოჩენა უწოდეს.<sup>1</sup> იმ დროისათვის ვერაფერი წარმოიდგენდა, რომ ამავე მონასტერში აღნიშნულ აღმოჩენას სულ მალე მოჰყვებოდა მეორე, ასევე საუკუნის აღმოჩენა, სახელდობრ, რომ სინას მთის ახლად მიკვლეული ხელნაწერების ქართულ კოლექციაში აღმოჩნდებოდა ქართულ-ალბანური პალიმფსესტები და რომ პალიმფსესტების ქვედა გადაწყობილი ალბანური ტექსტი გაიშიფრებოდა.

ბიბლიურ-ტექსტოლოგიურმა ინსტიტუტმა 2003 წლის თარიღით გამოსცა ამ აღმოჩენის ავტორის, ზამა ალექსიდის, წიგნი „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“. სათაურს ქვესათაურად მოსდევს „აღმოჩენა სინას მთის წმ. ეპაგერინეს მონასტერში.“ ქართულ-ალბანურ პალიმფსესტებში ალბანური ანბანით შესრულებული ტექსტის დადასტურება მართლა აღმოჩენა იყო, მაგრამ ამ ტექსტის გამ-

იფრვა, რაც შემდეგ შესრულდა ზ. ალექსიდის მიერვე, ეს უკვე ჩვეულებრივ აღმოჩენას ნამდვილად აღემატება. ზ. ალექსიდემ წლების (1994-2003) დაძაბული მუშაობის შედეგად და იმ ერუდიციის წყალობით, რაც მას ასე უხვად აქვს მომადლებული, ალბანური ტექსტი წაკითხა და წაკითხული ტექსტის ფარგლებში ათი საუკუნის წინ გამქრალი კავკასიის ალბანთა ენა აღადგინა.

ზ. ალექსიდემ დიდი ივანე ჯავახიშვილის სტილის მკვლევარი, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის ღრმა ცოდნასთან ერთად თანაბრად ფლობს ისტორიკოსის, ლიგურატურათმცოდნისა და ენათმეცნიერის კვლევის მეთოდებს. უნდა ითქვას, რომ კვლევის ამ მეთოდების ერთობლივი გამოყენების გარეშე ეს არაჩვეულებრივი წიგნიც ვერ დაიწერებოდა.

ზ. ალექსიდის დასახელებული წიგნი რვა თავისაგან შედგება, უძველეს „წინასიტყვაობა“ და „შესავალი“ და ერთვის „ბოლოსიტყვა“. „შესავლის“ ტექსტი, სადაც ძირითადად ამ აღმოჩენის მნიშვნელობაზე ლაპარაკი, მთაერთებდა მეტად ორიგინალური და საინტერესო მიძღვნიტ. ზ. ალექსიდემ კარგად იცის, რომ იყვნენ მეცნიერები და მოყვარულები, რომლებსაც უმუშაოთა უცნობი დამწერლობების გამოიფრვაზე, მაგრამ მცდარი შედეგი მიუღი-

<sup>1</sup>ზამა ალექსიძე, „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“. ბიბლიურ-ტექსტოლოგიური ინსტიტუტი, 2003 წელი



ათ, ან სულ არ პქონიათ შედეგი. ყველა წარმატებული აღმოჩენა - წერს იგი - წარუმატებელი ცდების, შეცდომით განვლილი გზების ავტორთა მხრებზე დგას. მათ ხსოვნას, ვისი სახელიც დაივიწყა ისტორიაში, ან მხოლოდ შეცდომებით დაიმახსოვრა, უძღვნის ამ წიგნს ავტორი.”

წიგნის პირველ სამ თავში ავტორი ისეთ საჭირო ცნობებს გვაწვდის სინას მთის ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერებისა და აღბანეთის ანბანისა და დამწერლობა-მწერლობის შესახებ, რომელთა ცოდნაც აუცილებელია, რომ მკითხველმა კარვად გაიაზროს ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აღბანური ტექსტის აღმოჩენას და მის გამოფრვას აქვს.

წიგნის პირველი თავი იწყება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მოკლე ისტორიის მოთხრობით, შემდეგ ავტორი ასევე მოკლედ გვიამბობს იმის შესახებ, თუ რა დროიდან გვხვდებიან ქართველები ამ მონასტერში, რომ ესაა პერიოდი VI საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნემდე. უფრო ინტენსიური ხანა კი ამ მონასტერში ქართველთა მოღვაწეობისა, როგორც შემოთ აღენიშნეთ, IX-X საუკუნეებია, უფრო X საუკუნე.

ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების ქართული კოლექციის შესასწავლად სინას მთაზე კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტიდან მოწყობილმა ექსპედიციამ (მ. ალექსიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იგი ოთხჯერ შედგა: 1990, 1994, 1995, 2000წ.წ.) ამ კოლექციაში 141 დასახელების ქართული ხელნაწერი გამოავლინა. მათგან უმრავლესობა ხელნაწერ წიგნს წარმოადგენს. 10 გრაფილია. შოგი სრულია, შოგაც ნაკლები და დამიანებული. უფროცაა საერთო რაოდენობა 4000-ზე მეტია. აქვეა აგრეთვე დიდი რაოდენობით ფრაგმენტები. „ეს აღმოჩენა -

როგორც მ. ალექსიძე აღნიშნავს, უძველეს ბათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის ყველა დროის ყველაზე დიდ აღმოჩენად.”

სინური ხელნაწერების ქართულ ახალ კოლექციაში აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა, როგორებიცაა შაგბერულ-ჰელიმური რედაქციებისაგან განსხვავებული და მათზე ძველი „მოქცევა ქართლისაჲს“ ორი რედაქცია, კვლავ ცნობილთაგან განსხვავებული რედაქციის ასურულ მამათა ცხოვრების წიგნები, ანბანური პაგერიკი, დიდი რაოდენობით ლიტურგიკული კრებულები, უმეტესად იერუსალიმური ლეთისმსახურებისა და სხვ. კოლექციაში გვხვდება აგრეთვე: ფსალმუნები, ოთხთავები, მამათა სწავლანი, პაგიოგრაფიული კრებულები, საკითხავები ძველი ალექსიძის წიგნებიდან. სხვათა შორის, მალე გამოქვეყნდება მ. ალექსიძის, მ. ქავთარიას, მ. შანიძის და ლ. ხევსურიანის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენილი ახლად მიკვლეული ქართული ხელნაწერების კატალოგი ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე. ასე რომ ეს ექსპედიცია ძალზე წარმატებული იყო. მან საუკეთესოდ წარმოაჩინა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციის რაობა და უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და კულტურის შესწავლისათვის.

ქართულ-აღბანური პალიმფსეგები მ. ალექსიძემ ორ ხელნაწერში დაადასტურა. ესენია N/Sin. 13 და N/Sin. 55. აღსანიშნავია, რომ N/Sin. 55 მთლიანად გაქვავებული იყო. ხელნაწერთა ინსტიტუტის რესტავრატორებმა, რომლებიც ამ საქმეში თავისი დახელოვნებით გამოიჩინეს,

პერგამენის ქვადქეული მასა სრულფასოვან ხელნაწერად აქციეს. ამ ხელნაწერების პირველადი შესწავლით გაირკვა, რომ მათში გადარჩენილი ფურცლების რაოდენობა 170-მდეა, თორმეტი ფრაგმენტით. ამათგან ქვედა გექსტი ბევრ ფურცელზე იხევა გადარეცხილი, რომ სრულიად აღარ იკითხება. რაც შეეხება ზედა გექსტს, იგი X ს-ში გადაწერილი ე.წ. ანბანური პატერიკია.

კავკასიის ალბანეთი მდებარეობდა აღმოსავლეთ კავკასიაში, ძირითადად თანამედროვე ამერბაიჯანის ტერიტორიაზე. ალბანეთი ამ ქვეყანას ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით ეწოდება. სომხურ წყაროებში მისი სახელწოდებაა: ალუანქ/ალუანქ. ქართულში – რანი, ალუანი და პერეთი, არაბულ წყაროებში კი – არარან.

ალბანი ხალხის გადაშენება და მისი კულტურული ფასეულობების გაქრობა, როგორც ავტორი წერს, შედეგი იყო იმ პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლისა, რაც ადრემუხასაუკუნეებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბიზანტიისა და სპარსეთის დიდი მონაწილეობით. წიგნის II თავში გვაწვდის რა ამ ცნობებს, მ. აღექსიძე დაწვრილებით განიხილავს სომეხი და ამერბაიჯანელი სპეციალისტების თვალსაზრისებს ალბანოლოგიის პრობლემათა შესახებ. ეს პრობლემებია: „როდის ჩამოყალიბდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო, რა ტერიტორიას მოიცავდა იგი, როგორი იყო მისი ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაციის პროცესი, შექმნა თუ არა ალბანურმა მოსახლეობამ თავისი დამწერლობა და მწერლობა. თუ შექმნა, რა ენაზე. რამდენად განვითარდა იგი და რამდენ ხანს იარსება.“ მ. აღექსიძის შეფასებით, სომეხი და ამერბაიჯანელი სპეციალისტების თვალსაზრისები ერთმანეთისაგან რა-

დიკალურად სხვაობს და ორივე განდევნილია ციურია.

III თავში ავტორი, პირველ რიგში, ასახელებს წყაროებს, სადაც მოცემულია ცნობები ალბანური დამწერლობისა და მწერლობის შექმნისა და არსებობის შესახებ. ეს წყაროებია: მოსე ხორენელის (V-IX სს.) „სომხეთის ისტორია“, კორინთის (V ს.) „მამიკოსის ცხოვრება“ (ხელნაწერები გვიანდელია), მოსე კალანკატგულის (VII-X სს.) „ალბანთა ქვეყნის ისტორია“. VIII საუკუნის ისტორიკოსი ლევონდი/ დევონდი ჩამოთვლის ენებს, რომლებზედაც არსებობს სახარება და მათ შორის მე-12 ადგილზე დასახელებულია ალბანური. ყველაზე უფრო მუსიკა დოკუმენტური ცნობა კი ალბანური დამწერლობისა და მწერლობის არსებობის შესახებ დედნის 506 წლის საეკლესიო კრების მასალებში ყოფილა დაკული. მ.აღექსიძე ასახელებს აგრეთვე XVII-XVIII სს-ის სომხურ ხელნაწერებს, რომელთა გექსტიც ძალზე ძველია და სათაურად წამძღვარებული აქვს: „წმიდა და ღვთაებრივი მირონის შესახებ, რომელიც იპოვეს წმ. მამებმა აღმოსავლეთში ალბანურ ენაზე და თარგმნეს სომხურად“.

გარდა ამისა, ქართულ და სომხურ ხელნაწერებში შემონახულია ალბანური კალენდრის თვეთა სახელები (ესენია: ნავახართუნ, ტულენ, ნამუც, ცილე, ბაკიონ, მარე, ავჭუკინე, ნაკულიონ, ბუნგოკე, ვორსილინ, იეხან, ხებნა). როგორც ავტორი წერს, „ეს კალენდარი არის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ალბანური ენის უდიურთან დასაკეშირებლად. მისივე აზრით, „იგივე კალენდარი უნდა ჩაითვალოს დოკუმენტურ მოწმობად ალბანური მწერლობის არსებობისა, სხვაგვარად შეუძლებელია ალბანური ხალხური კალენდარი



გვიანშუახაუკუნეებამდე შემოენახა კავკასიურ წერილობით გრაფიკას”.

III თავშივე ავგორი ეხება ალბანური დამწერლობის იმ დოკუმენტებს, რომელთა აღმოჩენაც XX საუკუნის შუა წლებში დაფიქსირდა. „როდესაც ალბანური დამწერლობის რაიმი ნიმუშის აღმოჩენის იმედით უკვე გადაწურული იყო - წერს მ. ალექსიძე - 1937 წელს ილია აბულაძემ ენობიანი ხელნაწერებს შორის XV საუკუნის ხელნაწერში აღმოაჩინა სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელშიც ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, სირიულ, კოპტურ და არაბულ ანბანებთან ერთად მოცემული იყო ალბანური ანბანიც.“

ნამოროში ვრელადაა საუბარი ამ მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესახებ, რომლის თარიღიც (1937 წ. 28 სექტემბერი) მიჩნეულია „კავკასიის ალბანური ფილოლოგიისა და კავკასიის ალბანური ენათმეცნიერების დაბადების დღედ“.

აკ. შანიძემ, რომელმაც ეს ანბანი შეიწავლა, მისი ავთენტურობა დაადასტურა, ხოლო მასში მოცემული ბგერათსისტემის სიახლოვე დაინახა ლემბიურ ენათა ჯგუფის წარმომადგენლის უდიური ენის ბგერათსისტემაში.

ამის შემდეგ კვლავ აღმოჩნდა ხელნაწერი ალბანური ანბანით, მაგრამ იგი ილია აბულაძის მიერ აღმოჩენილი XV ს-ის ხელნაწერის ასლი გამოდგა (ხელნაწერი გადაწერილია 1580 წელს. მის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა ამერიკელმა არმენოლოგმა ა. ქერდიანმა 1956 წელს).

როგორც მ. ალექსიძე წერს, „ალბანოლოგიის განვითარებას ახალი იმპულსი მისცა 1948-1952 წლებში ამერბაიჯანისა და დაღესტნის გერიგორიამზე რამდენიმე ლაიდარული წარწერისა და გრაფიკის აღმოჩენამ, რომელთა ერთობლიობასაც დღეს

პირობითად ალბანურ წარწერათა კორპუსს უწოდებენ“ (სხვათა შორის, მათ გამოფერვაზე მუშაობას მ. ალექსიძე მომავლისათვის გეგმავს). ამ აღმოჩენების შესწავლაში მონაწილეობა მიიღეს შხოფლიოს ბევრი ქვეყნის სპეციალისტებმა, მაგრამ მ. ალექსიძის თქმით, ალბანურ წარწერათა გამოფერვის ცდები არსებითად ჩიხში მოექცა“.

ავგორი ასახელებს ჩიხის მიზეზებსაც. ჯერ ერთი, სომხურ ხელნაწერში არსებული ანბანი გადაწერილი იყო რამდენჯერმე ალბანური ენის არმოდუნეთა მიერ და ამიგომ ბევრი შეცდომა იყო დაშვებული როგორც გრაფიკულ მოხაზულობაში, ისე ფონემურ მნიშვნელობათა გადმოღებაში, მეორეც, მეცნიერები არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ალბანური წარწერები უდიური ენის მეშვეობით უნდა გამოფერულიყო, თუმცა უდიურიც ძალიანაა დამორებული ძველ ალბანურს.

სხვათა შორის, აქ შეიძლება განჩნდეს კითხვა: რამ განაპირობა, რომ უდიური ენა, რომელიც ალბანური ენის მეკვიდრე და მისი ჩამომავალია, დროთა განმავლობაში უმწერლობო ენათა ჯგუფში მოექცა? სხვანაირად, რაგომ ვერ გადაარჩინეს უდიებმა თავისი წინაპარი ხალხის ალბანთა ( ძველი უდიების) დამწერლობა? ამისი მიზეზი რა თქმა უნდა, ალბანური მწერლობის ძველების სრული განადგურება და გაქრობა იყო.

წიგნი IV თავიდან ბოლომდე წარმოდგენილია ქართულ-ალბანურ პალიმფსესტებზე ავგორის მუშაობის მთელი პროცესი.

გუქსკის გამოფერვაზე მუშაობის დაწყებას, პირველ რიგში, წინ უძღოდა ხელნაწერების კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლა. კოდიკოლოგიურმა შესწავლამ, სხვათა შორის, ისიც აჩვენა, რომ ალბანეთი ეკონომიურად კარგად

განვითარებული და საკმაოდ მდიდარი ქვეყანა უნდა ყოფილიყო (ხელნაწერის დამზადება ხომ ძალიან ძვირი ჯდება). პალეოგრაფიული შესწავლა კი მიზნად ისახავდა ალბანურ ტექსტში გრაფიკათა რაოდენობის გამოვლენას (გრაფიკათა რაოდენობამ აქ 54-ს მიაღწია) და წერის მიმართულების დადგენას; ალბანური დამწერლობა ქართულისა და სომხურის მსგავსად ორიენტირებული აღმოჩნდა წერის მიმართულებაზე მარცხნიდან მარჯვნივ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომში, თუ როგორ ხდებოდა ავტორის მიერ ალბანური ტექსტის გასაშიფრავად უმოკლესი გზის ძიება. ამ გზის ძიებამ მიიყვანა იგი იმ უტყუარ დასკვნამდე, რომ პალიმფსესტში დაცული უნდა ყოფილიყო ალბანური ლექციონარის ტექსტი (დაწერილებითაა მოთხრობილი, თუ ძველი სასულიერო მწერლობის ძეგლებიდან როგორ შეჩერდა მისი არჩევანი ლექციონარზე).

ტექსტის რაობის დადგენას მოჰყვა მისი ფორმალური ანალიზი და ალბანური ხელნაწერების ფორმალური შედარება ქართული და სომხური ლექციონარების ხელნაწერებთან.

ტექსტის ფორმალური ანალიზი გულისხმობდა გაბმით ნაწერი ტექსტის დამლას სიგვევებად ან რაღაც შედარებით მცირე ერთეულებად მაინც. ამის საშუალებას, როგორც ავტორი წერს, იძლეოდა: განკვეთილობის ნიშნები, საშვედო ასოები, ქარაგმები, მზნის ინფინიტივის დაბოლოებები, მოგიერთი ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის სავარაუდო ცოდნა, შედარებით მცირე ასოებით ნაწერი, შესაძლოა, სათაურები, რომელთაც აუცილებლად ახალი სიგვევა უნდა მოჰყოლოდა და აგრეთვე აღრიცხვა ტექსტში გამეორებული ადგილებისა.

რაც შეეხება ალბანური ხელნაწერებ-

ის ფორმალურ შედარებას ქართული და სომხური ლექციონარების ხელნაწერებთან, მცირე მომის ასოებით ნაწერი ადგილების შედარებამ ქართულ ხანმოკლე ლექციონართან, რომელსაც, როგორც ცნობილია, სპეციალისტები მე-5 საუკუნით ათარილებენ, საესეებით დაადასტურა ავტორის ვარაუდი, რომ მათი სახით საქმე ჰქონდა სწორედ საკითხავების სათაურებთან. ეს აზრი მოგვიანო ხანის სომხურ ლექციონართან შედარებამაც განუმტკიცა და მხოლოდ ამის შემდეგ მან ხელი მოჰკიდა ტექსტის წაკითხვას.

ტექსტის გაშიფრვას მ. ალექსიძე მთლად ცარიელი ხელებით არ შესდგომა. მას ხელთ ჰქონდა XV ს-ის სომხურ ხელნაწერში ილია აბულაძის მიერ აღმოჩენილი ალბანური ანბანი და არსებობდა დადესტური ჯგუფის ერთ-ერთი ენა - უდიური, რომელიც ალბანურის ჩამომავლად ითვლებოდა, მაგრამ ეს საშუალებები დიდ იმედებს არ იძლეოდა, რადგან სომხური ხელნაწერის ანბანი, როგორც უკვე ვიცით, იმის გამო, რომ ბევრჯერ იყო გადანაწერი (მისი არქეტიპი, როგორც თვითონ მ. ალექსიძემ გაარკვია, IX საუკუნეზე ადრინდელი უნდა ყოფილიყო) ძალზე დამიანებული და დამახინჯებული იყო, უდიური კი ათასწლეულის მანძილზე, ცხადია, გრამატიკულად თუ ლექსიკურად დიდ შეცვლილი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, მკვლევარი იმედს მაინც მათზე ამყარებდა, მათზე და, როგორც თვითონ წერს, განგების ნებაზე. იმედმა გაამართლა.

ძიების პროცესი წიგნში შემდეგნაირადაა აღწერილი: რაკი უკვე აღარ ეპარებოდა ეჭვი, რომ ხელთ ჰქონდა ალბანური ლექციონარის ტექსტი, რამდენიმე თვის დამძებული შრომის, სხვადასხვაგვარი გა-



ნათების, გამადიდებელი საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შედეგად ზ. ალექსიძემ მეტ-ნაკლებად მუსკად გადმოწერა ორმოცამდე სავარაუდო საკითხავის სათაური.

უკვე ამის შემდეგ მან გადაწყვიტა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ალბანური ტექსტი წაეკითხა სომხურ ხელნაწერში შემონახული ანბანის საშუალებით. პირველ ყოვლისა, ლექციონარში იგი ეძებდა მოსალოდნელ ნაცნობ ანთროპონიმებსა და გეოგრაფიკულ მითვლ ორმოც სათაურში ბოლოსდაბოლოს ასეთი, უცვლელად ამოკითხული სიტყვა აღმოჩნდა ერთადერთი სიტყვა, რომელსაც ქართულში შეესაბამება „თესალონიკი“.

თუ რა განწყობა დაეუფლა პირველი სიტყვის ამოკითხვის შემდეგ, ზ. ალექსიძე ამის შესახებ საკმაოდ ემოციური გონით წერს: „თესალონიკის“-ს ამოკითხვა ეჭვს არ იწვევდა, რადგან ყველა ასო როგორც გრაფიკულად (არაარსებითი განსხვავებებით), ისე ფონეტიკურად ემთხვეოდა სომხურ ხელნაწერში მოცემული ანბანის ასოებს ... ცხადია, მე ეს სიტყვა ქართულად უნდა გამეგო როგორც „თესალონიკელთა“, თუკი რაიმე ფაგალური დამთხვევის წინაშე არ ვიდექი. ისიც აშკარა იყო, რომ რადგან სათაურში ვეაქვს „თესალონიკელთა“, საქმე უნდა გვექონდეს პავლე მოციქულის ეპისტოლესთან თესალონიკელთა მიმართ. აი, ამ მომენტში მე უკვე პირველად მიხვდი, რომ ალბანური ტექსტი იწყებს ლაპარაკს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იყო ჩემი მღელვარება. მაშინვე გამახსენდა ივ. ჯავახიშვილის სიტყვები, წარმოთქმული 1923 წლის 10 თებერვალს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სამოგადოების კრებაზე, როდესაც მან ბოძლეს ბიბლიოთეკაში დაკულ ქართულ-ებრაულ

პალიმფსტეგში თავმოკრული ბანი და აღადგინა:

ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან, როგორც ვიცი, ივ. ჯავახიშვილმა ერთ ხანს მუშაობის გაგრძელება ვეღარ შეძლო, რადგან მისთვის ცხადი გახდა, რომ თვალწინ ქართული მწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი ედგა.

იგივე დაემართა ზ. ალექსიძესაც. მღელვარებისაგან ერთხანს ვერც მან შეძლო მუშაობის გაგრძელება. აღმოჩენის სიხარული, როგორც ჩანს, ერთნაირ ემოციებს იწვევს მათ ავტორებში.

პირველი მღელვარების დაქსრომის შემდეგ მუშაობა გაგრძელდა: „თესალონიკელთა“ მოკვება ალბანური დაწერილობით და ფორმით „კორინთელთა“, „ებრაელთა“, „ეფესელთა“, „ტიმოთეს [მიმართ]“, შემდეგ საკუთარი სახელი „პაულოსი“ (პავლე) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

წიგნში თანმიმდევრულადაა აღწერილი მთელი პროცესი იმისა, თუ ერთი სიტყვისა და ფრაზის მიგნებას როგორ მიჰყავდა მკვლევარი თანდათანობით სხვა სიტყვისა თუ ფრაზის მიგნებაზე და როგორ ეშველებოდა მას ამ პროცესში როგორც უდიური ენა, ისე ქართულ-სომხური შესაბამისი ტექსტების მონაცემები. ასე მაგ., პავლეს ეპისტოლეთა ერთი ჯგუფის სათაურებში (თესალონიკელთა, კორინთელთა, ტიმოთეს [მიმართ]) სხვებისაგან განსხვავებით იკითხებოდა ორი ზედმეტი სიტყვა: „სერბაუნ“ და „კურანინ“. რაკი ამ მისამართებით პავლეს მიერ ორ-ორი ეპისტოლე იყო გაგზავნილი, ცხადია, ამ ორი სიტყვიდან ერთი უნდა ყოფილიყო „პირველის“ აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო მეორე – „მეორისა“. რომელი იყო მათ შორის „პირველი“ და რომელი – „მეორე“, ამის გასარკვევად მკვლევარს უდიური ენა

დაეხმარა, სადაც „ერთის“ აღმნიშვნელი სიტყვაა „სა“, ხოლო „ორისა“ – „პა“. აქედან სრულიად უმტკივნეულოდ გაკეთდა დასკვნა, რომ „პირველის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო „სერბაუნ“, ხოლო „მეორისა“ – „კურანინ“ (სხვათა შორის, „კურან“ დღევანდელ უდიურში ნიშნავს: კვლავ, განმეორებით).

იმ ტექსტში, რომელიც „კორინთელთა მეორე“ უნდა ყოფილიყო, მკვლევარმა დააფიქსირა, რომ ერთი და იგივე სიტყვა „მარაკესუნუხ“ მიყოლებით ცხრაჯერ მეორდებოდა. უდიურში „მარ“ არის ჩირქი, ხოლო „აკესუნ“ – ნახვა, განცდა. რაკი დღევანდელ უდიურში - უხ არის მრავლობითობის სუფიქსი, ცხადია, ასევე იყო ალბანურშიც. ამ კომპოზიციის შესაბამისი ქართულ-სომხურ შესაბამის ტექსტებში შეიძლება ყოფილიყო „ჭირთა ნახვანი“, „ჭირი“. მართლაც, ეს სიტყვა ასევე მრავლად აღმოჩნდა „II კორინთელთას“ 11, 26-27 მუხლებში. ამ კონტექსტში სიტყვა „ჭირის“ რამდენჯერმე გამეორებით ლაპარაკია იმის შესახებ, თუ პაულე მოციქულმა რა განსაცდელი გადაიგანა და რა ჭირი ნახა მდინარეთაგან, ავაზაკთაგან, ხალხისაგან. ქალაქებში, უდაბნოებში, მღვაში და სხვ.

ჩამოთვლადი, თუ რისგან რა ჭირი ნახა პაულე მოციქულმა, ალბანურ ტექსტში ამ აღვლას იკითხებოდა რამდენიმე სიტყვა, რომლებიც იმავე სახით დასკურდება როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში, აგრეთვე სომხურსა და უდიურში. ეს სიტყვებია:

„აბაპაკ“ (=ყაჩაღი) – ეს სიტყვა დღესაც ამავე ფორმით და შინაარსით იხმარება უდიურში, ხოლო „ავაპაკის“ სახით ქართულსა და სომხურში.

„კეთანოს“ (=წარმართი) – იხმარება სომხურში.

„ქალაქ“ (=ქალაქი) – ასევე ქართულშია და IX საუკუნემდე სომხურში.

ამავე კონტექსტში მის მიერ ამოკითხული სიტყვა „ბუსინ“ მ. ალექსიძემ შეუფარდა სიტყვას „მიმშლით“ (ტექსტში ამ აღვლას ლაპარაკია მიმშლით ჭირის ნახვებზე), რადგან დღევანდელ უდიურში „ბუსა“ სწორედ მიმშლს აღნიშნავს.

ამგვარად, დიდი შრომისა და გარჯის ფასად და გამორჩეული მეცნიერული აღვლას წყალობით მ. ალექსიძემ წაიკითხა ალბანური ლექციონარის ტექსტის დიდი ნაწილი. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ტექსტის კითხვისას ერთდროულად ხდებოდა ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში გადაშფურთავან დამახინჯებული და დამიანებული სომხური ხელნაწერის ანბანის გასწორება, საერთოდ ალბანური ანბანის იდენტიფიკაცია.

მ. ალექსიძემ, გარდა იმისა, რომ ქართულ-ალბანურ პალიმფსესტებში ალბანური ლექციონარის ტექსტი დაადასტურა, მან ეს ლექციონარი ფილოლოგიური თვალსაზრისითაც შეისწავლა და აქაც თავისი სიტყვა თქვა.

ლექციონარი, როგორც ვიცით, ლიგურგიკული კრებულია, რომელშიც შეტანილია საკითხავები ბიბლიის წიგნებიდან მთელი წლის სადღესასწაულო დღეებში საკითხავად. ისიც ცნობილია, რომ ლექციონარი ვითარდებოდა მარტივიდან რთულისაკენ. სინას მთაზე აღმოჩენილი ალბანური ლექციონარი, მ. ალექსიძის გამოკვლევის თანახმად, ლექციონარის განვითარების ყველაზე ადრინდელ ეტაპს გვიჩვენებს და შინაარსის მიხედვით IV-V სს-ის მიჯნით დათარიღების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, მისივე აზრით, ხელნაწერი შეიძლება ამავე ხანებში იყოს შექმნილი ან ცოტა უფრო გვიან (მაგრამ

მინგეჩაურის წარწერებზე უფრო ადრე).

რადგან ბიბლიის წიგნების თარგმნა, საერთოდ, ყველა ენაზე უფრო ადრე იუარაუდება, ვიდრე ლექციონარის შედგენა, ამიტომ ალბანური დამწერლობის შექმნაც უფრო ადრინდელი ან დაახლოებით იმავე ხანით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება ალბანური ლექციონარის შექმნის ადგილს, მ. ალექსიძის აზრითვე, იგი შექმნილი უნდა იყოს იერუსალიმურ გარემოში და უნდა მიეკუთვნებოდეს იერუსალიმური ლექციონარის უადრეს ტიპს. მკვლევრის აზრით, ლექციონარების ქრინოლოგია ახლებურად შეიძლება ამგვარად იქნეს წარმოდგენილი: ბერძნული (დაკარგულია) → ქართული ხანმეგური და ალბანური – სომხური – სირიული – დიდი ქართული ლექციონარი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ალბანური ლექციონარი, ავგორის დაკვირვებით, გიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას ქართულ ხანმეგურ ლექციონართან და შესაძარბეული მასალის მიხედვითაც მეტი საერთო აქვს ქართულ ლექციონართან, ვიდრე სომხურთან.

ჩენი აზრით, არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტიც, რომ ქართული ხანმეგური და ალბანური ლექციონარები ორივე ერთდროს გადაწერილი და ერთი ტიპისაა

სინას მთაზე ერთდროულად თანხაირსე ბობდნენ (ქართული ხანმეგური ლექციონარიც ხომ სინური წარმოშობისაა).

წიგნს ბოლოს ერთვის „ალბანური ლექციონარის“ საკითხავეების სათაურთა ნიმუშები გრანსკრიპციითა და სიგყვა-სიგყვითი ქართული თარგმანით (თავი VII) და იდენტიფიცირებული და ამოკითხული ტექსტების ნიმუშები და მათ ფარგლებში ალბანური ენის გრამატიკული აღწერა ლექსიკითურთ (თავი VIII). დარჩენილი ტექსტის გამოფრვა გრძელდება.

მ.ალექსიძის აღმოჩენა მრავალმხრივია მნიშვნელოვანი და საყურადღებო. იგი, პირველ რიგში ძალზე ფასეულია როგორც ალბანეთის, ასევე ადრეული საუკუნეების მთელი ამიერკავკასიის ისტორიის შესწავლისათვის. უდიდესია ამ აღმოჩენის მნიშვნელობა აგრეთვე მთის კავკასიურ ენათა შესწავლის თვალსაზრისით, კერძოდ კი, დაღესტნური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის. რაც შეეხება ალბანურ ლექციონარში დადასტურებულ ბიბლიურ საკითხავეებს, მათ ერთ ნაწილს შესაბამისი არ ეძებნება სხვა ენებზე, ასე რომ, ასეთ საკითხავეებს სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლიათ ბიბლიის ტექსტის არქეტიპის რეკონსტრუქციის საქმეში.

ცოალა ქურციკიძე

# შურნალ „მნათობის“ 2004 წლის ნომრების შინაარსი

„მნათობი“ 80. № 1-2

## პოეზია

- ახვლედიანი ვახტანგ – ძახილი. პუბლიცისტური პოემა. № 5-6  
 ახოზაძე ამირან – ლექსები. № 7-8  
 ბერაია გივი – ლექსები. № 3-4  
 ბოსტანაშვილი შოთა – წყალწყალა ლაპარაკი. პოემა. № 7-8  
 ბუაჩიძე ანდრო – ლექსები. № 9-12  
 გიგაური გიორგი – ლექსები. № 3-4; № 9-12  
 დაუშვილი თამარ – ლექსები. № 3-4  
 ერისთავი თამარ – ლექსები. № 9-12  
 შოთე შოთა – თეთრი ქალაქი. პოემა. № 7-8  
 კვიციანიშვილი ემზარ – ასფურქლიანი რვეულიდან. ლექსები. № 1-2  
 ოთხვანი ეანა – ლექსები. № 1-2  
 სვანიძე თენგიზ – ლექსები. № 5-6  
 შენგელია ქეთევან – ლექსები. № 9-12  
 ჩილაჩაია რაულ – ლექსები. № 7-8  
 ჩორდელი ვახა – ლექსები. № 7-8  
 XIX-XX საუკუნეების უკრაინელი პოეტები. თარგმნა რაულ ჩილაჩაიამ. № 9-12.

## პროზა, დრამატურგია

- არსენაშვილი კარლო – მოთხრობები. წინასიტყვაობა ემზარ კვიციანიშვილისა. № 9-12.  
 არსენიშვილი მაირა – შიშინობის დროსაო. მოთხრობა. № 1-2  
 ბათიაშვილი გურამ – ზანქანი ძე მორღეხაისა. რომანი. № 9-12.  
 გუგუშიძე გურამ – 9 მარტი. ნაწყვეტი რომანიდან. № 5-6.  
 დოლიძე მამუკა – ფიქრის გორა. მოთხრობა. № 7-8  
 ელბაძიძე მარინა – მოთხრობები. № 3-4  
 ლაგერკვისტი პერ – მორის ფლორი. მოთხრობა. თარგმნა მანანა მიქელაძემ. № 7-8  
 ლობჯანიძე დიმიტრი – ბიჭი, მგლები და ხარები. № 1-2  
 მთლარიშვილი ლია – ბედნიერი ღამე. პიესა. № 1-2  
 მონიავა ჯემალ – მოთხრობები. № 9-12  
 ნიკარაძე რევაზ – მოთხრობები. № 3-4  
 ქუთათელაძე გენრიეტა – მთვარის ბილიკი. მოთხრობა. № 5-6  
 ჭილაძე თამაზ – მშვიდობით, ლომებო! პიესა. № 3-4  
 ფრანგული მოთხრობა – მაქს ცეკოზი – დიდი ადამიანის ბიოგრაფია,  
 შარლ-ლუი ფილიპი – შეხვედრა,  
 ალფონს ალე – მშითვი. თარგმნა მანანა მიქელაძემ. № 3-4

## კრიტიკა, კუბლიცისტობა

- ბუაჩიძე ანდრო – გერონტი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“. № 1-2; ასეთი არის მისი პორტრეტი. № 5-6  
 გუგუნაია ლია – პარალელები. № 7-8  
 დედგარიანი რომა – აველუმობიდან აბელუმობამდე. № 7-8; წითელ ფარშა ვანგებსა და ოქროს ჩიგებს შორის. № 9-12;  
 იმერლიშვილი ვანო – უნგრული მწერლობა უძველესი დროიდან დღემდე. № 7-8; შოთა რუსთაველის პოემა უნგრულ ენაზე. № 9-12

- კაკაბაძე მანანა** – კომედიის პოეზია. № 9-12  
**კვერცხიშვილი მაზა** – „მეათე მოწმე“. № 9-12  
**კვიციანი მანანა** – ლეგენდა ღონ ქუანზე. № 1-2  
**კვიციანი ემზარ** – ცხოვრება და ღვაწლი აკაკი წერეთლისა. № 9-12  
**მჭედლიშვილი ჯემალ** – როცა მართალ ხარ! № 3-4  
**ნეოლეიშვილი ავთანდილ** – კონსტანტინე გამსახურდია და აფხაზეთი. № 5-6  
**ოდიკაძე გელა** – „გარეუბანი.“ № 3-4  
**რობაქიძე მერაბ** – „ვეფხისტყაოსნის“ მოვიერთი ცნებებისა და ადგილის გაგებისათვის. № 1-2
- ფოფხაძე მერი** – XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ქალები. № 1-2  
**მურღაია გაბა** – სინამდვილესა და ოცნებას შორის. № 7-8  
**ჩინუა შალვა** – კრიტიკოსი და დრო. № 3-4  
**ცანავა ნანა** – ისტორია უძალოდ დარჩენილი დაკარგული ქვეყნისა და უქვეყნიოდ დარჩენილი დაკარგული ძალებისა... № 9-12
- ძიგუა მაია** – მიხეილ ჯაფახიშვილის პუბლიცისტური წერილები. № 3-4;  
 მიხეილ ჯაფახიშვილის „ეთერი საყულო“. № 9-12

### მეცნიერება

- ბარათელი ენვერ** – ბასილ კესარიელი ძველ ქართულ მწერლობაში. № 3-4  
**ბრეგვაძე ანზორ** – ფილოსოფოსის მრწამსი. № 3-4  
**დოლიძე მამუკა** – სამყაროს ფარული განმომილევები. № 5-6  
**თავართილაძე ვერვო** – ძველი ლიტერატურული მოტივები ბრეტონულ ციკლში. № 9-12
- მირიანაშვილი მაღლენა, ჩხაიძე გურამ** – საქართველოდან გატანილი განძეულის დაბრუნება. № 5-6
- მთიებლაშვილი თეიმურაზ** – მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ ფილოსოფიაში. № 9-12
- შაყულაშვილი გიორგი** – „სამ ენაზე ერთი გრძნობის მხატვარი! № 9-12  
**ჩინუა ნინო** – კოგნიტიური სქემები ინგლისურენოვან პუბლიცისტურ დისკურსში. № 3-4  
**ჩლაბაძე ლია** – ვინ შეიძლება იყოს „ქორქეთის წიგნის“ მუქლი მეფე. № 5-6

### თვალსაზრისი

- ტყემალაძე გურამ** – დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. № 5-6  
**ფრუიძე ლევან** – ჩვენი ლაშქარი. № 7-8

### სარკმელი

- გაროდი როვე** – სენ-გონ პერსი. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ. № 1-2  
**მენი ალექსანდრ** – ყოფიერება და რწმენა. თარგმნა მანანა მიქელაძემ. № 3-4  
**გელერი ერნსტ** – ისლამი: განსხვავებული შეხედულება ადამიანის უღლებებზე. თარგმნა მანანა მიქელაძემ. № 9-12
- ფართოდ გახსნილი მგერა** (მათივე გალე უსაბურება მარგერიტ იურსენარს). თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ. № 3-4
- შესტოვი ლეე** – შექსპირის „ოულიუს კეისარი“. თარგმნა მანანა მიქელაძემ. № 1-2
- ძმები მანუბი ერთმანეთის შესახებ. თარგმნა მანანა მიქელაძემ. № 7-8

### ხმლოვნება

- აღამია რემო** – ხუან მირო. № 1-2  
**ანდრიაძე დავით** – მურაბ ნივარადის ფერწერული ნიუანსები. № 9-12  
**გურაბანიძე ნოდარ** – რამაზ ჩხიკვაძე კინემატოგრაფიულ სამყაროში. № 5-6  
**იმერლიშვილი ვანო** – მიხაი ზინის მოღვაწეობა საქართველოში. № 1-2

- შენგვლია ქეთევან - ცოცხალი ილუსტრაციები. № 3-4
- ხოშერეიკი მანანა - ხალღობა და ღვთისმშობლის ღირსება. № 7-8

**თემატიკა**

- ანა კალანდიაძე - 80
- ჭილაძე თამაზ - სინაგოგის ხელოვნება. № 9-12

**ბიბლიოგრაფია**

- კალანდიაძე მურაბ - ახალი წიგნები. № 3-4
- ლომიძე ვაჟა - „გალაქტიკონოლოგია“ - II. № 1-2
- ქურციკიძე ციხლა - დიდი აღმოჩენა სინაგოგის მთავარი ქართული ხელნაწერთა ახალი კოლექციის შესახებ. № 9-12
- ჯობაძე მკვირვალი - ავტობიოგრაფია პროფილში. № 9-12

სინაგოგის გამომცემი  
 შპს „სინაგოგის“  
 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101

სინაგოგის გამომცემი  
 შპს „სინაგოგის“  
 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101



რედაქციის მისამართი:  
0105 რ. თაბუკაშვილის №5  
ტელეფონი: 93-29-23

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა  
დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური  
მხარდაჭერით



2005-81

ԳՆՆՈՒ ՄԻՈՒ ԸՆԿՈՒ

2004-1

868/  
2.

  
ՄԱՐԿԱԿԱՆ  
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ  
ԿԵՆՏՐՈՆ  
761250